როგორ იმართება მსოფლიო

საერთაშორისო ურთიერთობების მოკლე მიმოხილვა

მესამე გამოცემა

რასელ ბოვა
დიკინსონის კოლეჯი

Funded by the U.S. Embassy in Georgia
დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს მიერ

PEARSON

ბოსტონი, კოლუმბუსი, ინდიანაპოლისი, ნიუ-იორკი, სან-ფრანცისკო, ამსტერდამი, კეიპთაუნი, დუბაი, ლონდონი, მადრიდი, მილანი, მიუნხენი, პარიზი, მონრეალი, ტორონტო, დელი, მეხიკო, სან-პაულუ, სიდნეი, ჰონგ-კონგი, სეული, სინგაპური, ტაიბეი, ტოკიო.

PEARSON

Authorized translation from the English language edition, entitled HOW THE WORLD WORKS:
A BRIEF SURVEY OF INTERNATIONAL RELATIONS, 3rd Edition;
ISBN 0134378849; by BOVA, RUSSELL; published by Pearson Education, Inc.
Copyright © 2017 by Pearson Education, Inc.

All rights reserved. No part of this book may be reproduced or transmitted in any form or by any means, electronic or mechanical, including photocopying, recording or by any information storage retrieval system, without permission from Pearson Education, Inc. GEORGIAN language edition published by ACADEMIC PRESS OF GEORGIA.
Copyright © 2019.

თარგმანი © **დავით პაპოშვილი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა ნანა ესართია

© საგა – საქართველოს აკადემიური გამომცემლობა, 2019
ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-9627-7-6

საგა – საქართველოს
აკადემიური გამომცემლობა
აღმაშენებლის გამზ. 181/2
თბილისი, 0112, საქართველო
ტელ.: (+995 32) 234 04 32
E-mail: pressacademic@gmail.com
www.apgeorgia.com
FB: Academic Press of Georgia – საგა

მოკლე სარჩევი

1	როგორ ვიფიქროთ მსოფლიო პოლიტიკაზე: რეალიზმი და მისი კრიტიკოსები	1
2	ისტორიული პერსპექტივები: უწყვეტობა და ცვლილება მსოფლიო პოლიტიკაში	42
3	ანალიზის დონეები: საგარეო პოლიტიკის წყაროები	73
4	ომი და ძალმომრეობა მსოფლიო პოლიტიკაში: რეალისტური სამყარო	99
5	საერთაშორისო სამართალი და ორგანიზაცია: ლიბერალური ინსტიტუციონალიზმის პერსპექტივა	139
6	რევოლუცია ადამიანის უფლებათა სფეროში: საერთაშორისო ნორმების ჩამოყალიბება	173
7	ეკონომიკური გლობალიზაცია: ლიბერალური კომერციალიზმის შედეგები	207
8	ტრანსნაციონალური გამოწვევები: სახელმწიფო სისტემა წნეხის ქვეშ	249
9	მსოფლიოს მომავალი: ოცდამეერთე საუკუნის კონკურენტული მსოფლმხედველობები	289

სარჩევი

წინასიტყვაობა ix
რუკები xi

1 როგორ ვიფიქროთ მსოფლიო პოლიტიკაზე: რეალიზმი და მისი კრიტიკოსები 1

საერთაშორისო ურთიერთობებისა და მსოფლიო პოლიტიკის შესწავლა 2
დებატები პოზიტიური მეცნიერების შესახებ 3
დებატები მეთოდების შესახებ 5
ინტერპარადიგმული დებატები 6
რეალისტური პარადიგმა 7
■ **თეორია პრაქტიკაში 1.1 ახალგაზრდებით დაკომპლექტებული ბანდები: საერთაშორისო ურთიერთობების ანალოგი** 16
რეალიზმის ალტერნატივები 19
ლიბერალიზმი 19
კონსტრუქტივიზმი 25
ფემინიზმი 29
■ **თეორია პრაქტიკაში 1.2 ობამა კონსტრუქტივისტია?** 30
ნეო-მარქსიზმი 34
■ **თეორია პრაქტიკაში 1.3 ქალები ხელისუფლების სათავეში: ახალი თაობა?** 36
არაპარადიგმატული კვლევა 37
დასკვნა 38
საკვანძო ტერმინები 40
საკითხების მიმოხილვა 40
ჩამოტანილი შენიშვნები 40

2 ისტორიული პერსპექტივები: უწყვეტობა და ცვლილება მსოფლიო პოლიტიკაში 42

1648: სახელმწიფო სისტემის წარმოშობა 44
1815: ევროპის კონცერტი 48
1919: ექსპერიმენტი კოლექტიურ უსაფრთხოებაში 51
1945: პოსტომისეული ბიპოლარული სისტემა 54
■ **თეორია პრაქტიკაში 2.1 ჰენრი კისინჯერის საგარეო პოლიტიკა** 59
1989: ცივი ომის დასრულების შემდგომი პერიოდი 61
2001: მსოფლიო 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ 65
■ **თეორია პრაქტიკაში 2.2 მსუბუქი ძალა და ობამას ეფექტი** 69
დასკვნა 70
საკითხების მიმოხილვა 71
საკვანძო ტერმინები 72
ჩამოტანილი შენიშვნები 72

3 ანალიზის დონეები: საგარეო პოლიტიკის წყაროები 73

საერთაშორისო სისტემის ანალიზის დონე 74
სისტემური დონის ატრიბუტები 75
რაზიონალიზმის ვარაუდი 77
■ **თეორია პრაქტიკაში 3.1 ჩრდილოეთი კორეის ბირთვული იარაღი და რაციონალური არჩევნის თეორია** 79

სახელმწიფო ანალიზის დონე 80
სახელმწიფო დონის ატრიბუტები 80
■ **თეორია პრაქტიკაში 3.2 ისრაელის ლობი: რეალიზმი და ანალიზის დონეები** 83
პირველი დაპირისპირება რაციონალიზმთან 84
ინდივიდუალური ანალიზის დონე 89
ინდივიდუალური დონის ატრიბუტები 89
მეორე დაპირისპირება რაციონალიზმთან 92
■ **თეორია პრაქტიკაში 3.3 კოლეჯის არჩევა: რაციონალური აქტორი, კოგნიტური და პოლიევრისტიკული მიდგომები** 95
დასკვნა 96
საკითხების მიმოხილვა 96
საკვანძო ტერმინები 97
ჩამოტანილი შენიშვნები 97

4 ომი და ძალმომრეობა მსოფლიო პოლიტიკაში: რეალისტური სამყარო 99

ომის როლი მსოფლიო პოლიტიკაში 100
ომი და ძალმომრეობა 101
■ **თეორია პრაქტიკაში 4.1 იძულების დიპლომატია ტაივანის სრუტეში** 103
ომის მიზეზები 104
ომი და ზნეობა 108
■ **თეორია პრაქტიკაში 4.2 პაციფისტი ბრძანდებით?** 110
თანამედროვე ომის ევოლუცია 112
ტოტალური ომის დასაბამი 112
ბირთვული იარაღის გამოყენება 113
დასრულდა კი ომი? პოსტცივიომისეული ეპოქა 118
ომის სიხშირის შემცირება 118
მშვიდობის განმარტება 120
ომის მომავალი 125
ასიმეტრიული ომი 126
ტერორიზმი 129
■ **თეორია პრაქტიკაში 4.3 ტერორიზმი ან ომი?** 130
■ **თეორია პრაქტიკაში 4.4 უპილოტო საფრენი აპარატების რევოლუცია** 134
რეალიზმის მნიშვნელობა 135
დასკვნა 136
საკითხების მიმოხილვა 136
საკვანძო ტერმინები 137
ჩამოტანილი შენიშვნები 137

5 საერთაშორისო სამართალი და ორგანიზაცია: ლიბერალური ინსტიტუციონალიზმის პერსპექტივა 139

საერთაშორისო კანონმდებლობა 141
ხელშეკრულებები 142
საერთაშორისო ჩვეულება 143
საერთაშორისო სამართლის სხვა წყაროები 143
საერთაშორისო სამართლის განაჩენი 144
გაეროს საერთაშორისო სასამართლოს სტრუქტურა და ფუნქციები 145
გაეროს საერთაშორისო სასამართლოს გავლენა 146
საერთაშორისო ორგანიზაციების როლი 150
საერთაშორისო სამართლის იძულებითი აღსრულება 152
■ **თეორია პრაქტიკაში 5.1 ავღანეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები** 153
იძულებითი აღსრულება საკუთარი ძალებით 154

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია 154
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურა 155
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ სამართლისა და წესრიგის უზრუნველყოფა 157
■ **თეორია პრაქტიკაში 5.2 მშვიდობის შენარჩუნება და მშვიდობის დამყარება** 164
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეფორმირება 165
დასკვნა 170
საკითხების მიმოხილვა 171
საკვანძო ტერმინები 171
ჩამოტანილი შენიშვნები 171

6 რევოლუცია ადამიანის უფლებათა სფეროში: საერთაშორისო ნორმების ჩამოყალიბება 173

ყოყმანის მიზეზები 174
საერთაშორისო წესრიგის არგუმენტი 175
ეროვნული ინტერესების არგუმენტი 175
კულტურული რელატივიზმის არგუმენტი 176
პირველი ნაბიჯები: ადამიანის უფლებათა ნორმების ჩამოყალიბება 177
ადამიანის უფლებათა მონიტორინგი 183
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონიტორინგი 183
არასამთავრობო ორგანიზაციის მონიტორინგი 185
ეროვნული და რეგიონალური მონიტორინგი 186
ადამიანის უფლებების იძულებითი დაცვა 188
ეკონომიკური სანქციები 188
სამხედრო ინტერვენცია 190
■ **თეორია პრაქტიკაში 6.1 „სიტყვა გ“ (The “G-Word”)** 194
ადამიანის უფლებათა დამრღვევი პირების სისხლის სამართლებრივი დევნა 196
უნივერსალური იურისდიქცია 196
სპეციალური ტრიბუნალები 198
სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო 199
■ **თეორია პრაქტიკაში 6.2 პალესტინა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო** 201
დასკვნა 203
საკითხების მიმოხილვა 204
საკვანძო ტერმინები 204
ჩამოტანილი შენიშვნები 205

7 ეკონომიკური გლობალიზაცია: ლიბერალური კომერციალიზმის შედეგები 207

პერსპექტივები გლობალური ეკონომიკის შესახებ 209
რეალიზმი 209
ლიბერალიზმი 210
ნეო-მარქსიზმი 212
ბრეტონ ვუდსის სისტემა 214
საერთაშორისო სავაჭრო რეჟიმი 214
საერთაშორისო სავალუტო რეჟიმი 216
■ **თეორია პრაქტიკაში 7.1 ბანანის ომი და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია** 217
განვითარების პრობლემა 220
რეგიონალური ინტეგრაცია 225
დებატები გლობალიზაციის თემაზე 231
რა არის გლობალიზაცია? 231
რატომ გლობალიზაცია? 232
ზეიმის მიზეზი? 233

■ **თეორია პრაქტიკაში 7.2 „უოლმარტის“ ფენომენი: გლობალიზაციის წარმატების ისტორია?** 234
უარყოფითი დამოკიდებულება გლობალიზაციის მიმართ? 236
გეოპოლიტიკა და გლობალიზაციის მომავალი 240
დასკვნა 245
საკითხების მიმოხილვა 246
საკვანძო ტერმინები 246
ჩამოტანილი შენიშვნები 247

8 ტრანსნაციონალური გამოწვევები: სახელმწიფო სისტემა წნეხის ქვეშ 249

ეროვნული უსაფრთხოებიდან ადამიანის უსაფრთხოებამდე 250
საერთაშორისო გარემო 252
ენერგეტიკული გამოწვევა 254
კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პრობლემა 256
გამოწვევების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები: მოვლენათა განვითარების სამი სცენარი 258
■ **თეორია პრაქტიკაში 8.1 კლიმატის ცვლილება და დარფურის კონფლიქტი** 261
გლობალური ჯანმრთელობა და დაავადებები 267
ინფექციური დაავადებების ხელახალი აღმოცენება 267
გლობალიზაცია და დაავადებები 270
■ **თეორია პრაქტიკაში 8.2 ებოლა გრიპის წინააღმდეგ. პანდემიის საშიშროება** 271
გლობალური დაავადებების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები 272
ინტერნეტი და გლობალური კომუნიკაციები 274
სახელმწიფოს გამოწვევა 275
სახელმწიფოს საპასუხო ქმედება 281
დასკვნა 284
საკითხების მიმოხილვა 285
საკვანძო ტერმინები 285
ჩამოტანილი შენიშვნები 286

9 მსოფლიოს მომავალი: ოცდამეერთე საუკუნის კონკურენტული მსოფლმხედველობები 289

მომავალი I: ისტორიის დასასრული 291
■ **თეორია პრაქტიკაში 9.1 ისტორიის დასასრული?: რუსული მოვლენა** 293
მომავალი II: ერთიანი მსოფლიო 294
მომავალი III: მსოფლიო სახელმწიფო 297
მომავალი IV: კასკადური ნორმა ომის წინააღმდეგ 300
მომავალი V: აღმოცენებული მშვიდობა 302
მომავალი VI: ცივილიზაციათა შეჯახება 304
■ **თეორია პრაქტიკაში 9.2 კარიკატურული კრიზისი და „შარლი ებდოს“ სისხლიანი ტრაგედია. ცივილიზაციათა შეჯახება?** 307
მომავალი VII. მსხვილმასშტაბიანი ომი 309
გავაუმჯობესოთ მსოფლიო 312
საკითხების მიმოხილვა 313
საკვანძო ტერმინები 314
ჩამოტანილი შენიშვნები 314

წინასიტყვაობა

წინა ორი გამოცემების პრეზენტაციებში მე დავწერე, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ლექტორებს გაუმართლათ, რომ მედიამ შეასრულა კარგი საქმე ამგვარი კურსის მარკეტინგში. ახალი ამბების მუდმივი ტალღა გლობალური მოვლენების შესახებ უზრუნველყოფს სტუდენტების სტაბილურ ნაკადს, რომლებიც მოისურვებენ მსოფლიო პოლიტიკის გააზრებას და გავლენას მათ ცხოვრებაზე. მეორე გამოცემის გამოქვეყნებისთანავე მოვლენები უსასრულოდ გაგრძელდა. არაბული გაზაფხული, რუსეთის შეჭრა ყირიმში, ISIS-ის გაძლიერება და ებოლას ეპიდემია დასავლეთ აფრიკაში – ეს არის მხოლოდ რამდენიმე საყურადღებო მოვლენა, რომელიც შევიტანე მეორე გამოცემაში.

ამ მესამე გამოცემის ერთ-ერთი მიზანიც იყო ამ მოვლენების ანალიზი.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ მესამე გამოცემა უფრო ზოგადი გაუმჯობესების შესაძლებლობას იძლევა. ამასთან, ტექსტის გადახედვისას, პირველი ორი გამოცემის ძირითადი მიზანი უცვლელი დარჩა. ეს არის გლობალური მოვლენებისადმი ინტერესის გაღვივება და შენარჩუნება, რაც გამოიწვევს საერთაშორისო ურთიერთობათა კურსისადმი უფრო მეტი სტუდენტის დაინტერესებას.

„როგორ იმართება მსოფლიო“ გთავაზობთ დეტალურ ცოდნასა და ინფორმაციას, რაც აუცილებელია მსოფლიო პოლიტიკის გასაგებად. სტუდენტები გაეცნობიან ისეთ საკითხებს, როგორიცაა გაეროს სტრუქტურა, საერთაშორისო კონფლიქტების ტენდენციები, საერთაშორისო სამართლის წყაროები და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის როლი. სტუდენტები ერთდროულად გაეცნობიან ლექსიკის ახალ ტერმინებს: „შეკავება“, „ჰეგემონია“, „კოლექტიური უსაფრთხოება“ და „შედარებითი უპირატესობა“. მაგრამ ფაქტები და ცნებები საკმარისი არ არის. ახალი ლექსიკის შეძენისას და მოვლენების დეტალების გაცნობისას მნიშვნელოვანია, სტუდენტები არ დაიკარგონ მსოფლიო პოლიტიკის ქსელში იმდენად, რომ „ვერ დაინახონ ტყე ხეების უკან“ (Don’t miss the forest for the trees). მათ ასევე სჭირდებათ უფრო დიდი ჩარჩო იმ მონაცემების კონტექსტისა და მნიშვნელობის, ტენდენციებისა და ტერმინოლოგიის, რომელშიც ისინი მოექცევიან.

წლების განმავლობაში სწავლებისას აღმოვაჩინე, რომ საერთაშორისო ურთიერთობებისა და მსოფლიო პოლიტიკის ფაკულტეტის სტუდენტების უმეტესი ნაწილი პირველ წელს მიდის უკვე საკუთარი ხედვით იმაზე, თუ როგორ იმართება მსოფლიო. ზოგი აღიარებს კონფლიქტებს და ძალადობას, **როგორც საერთაშორისო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს.** ეს სტუდენტები „ინსტინქტური რეალისტები“ არიან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ვერ აცნობიერებდნენ „რეალისტურ“ პერსპექტივას საერთაშორისო ურთიერთობებში, როგორც ოფიციალურ თეორიას. სხვები, სწავლების პირველ წელს, უფრო ოპტიმისტურად არიან განწყობილნი გლობალური თანამშრომლობის პერსპექტივებისადმი და, შესაბამისად, უფრო მეტად არიან მიდრეკილნი საგარეო პოლიტიკის ძალაუფლებაზე ორიენტირებული მიდგომების დაცვაზე, აღიარებენ რა ისეთი ინსტიტუციების მუშაობას, როგორიცაა საერთაშორისო სამართალი და გაერო. ეს სტუდენტები „რეალიზმის ინსტინქტური კრიტიკოსები“ არიან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ოფიციალურად არასოდეს გაცნობიან „რეალიზმს“, როგორც კონცეფციას საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში.

ეს წიგნი დაეხმარება სტუდენტებს შეამოწმონ თავიანთი მიდრეკილებები, ეჭვქვეშ დააყენონ მოსაზრებები და დაასაბუთონ თავიანთი დასკვნები დებატებისა და დისკუსიების პროცესში.

წიგნის ყველაზე მთავარი მიზანია, რომ სტუდენტებმა იფიქრონ იმაზე, თუ როგორ იმართება მსოფლიო. ამ მიზნით, წიგნი აწყობილია რეალიზმისა და მისი კრიტიკოსების ისტორიის გარშემო. გვამცნობს, რომ მეცნიერები ერთმანეთს არ ეთანხმებიან მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთქმედებებსა და ტენდენციებში. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მკვლევარი ბოლო წლების განმავლობაში ეჭვქვეშ აყენებს საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა პარადიგმებს, საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრების TRIP კვლევები აგრძელებს იმის მტკიცებას, რომ მეცნიერთა უმეტესი ნაწილი მუშაობას ერთი ან რამდენიმე ამ პარადიგმის ფარგლებში. რომ ამ სფეროში მრავალი გავლენიანი მეცნიერი (მაგ., ალექსანდრე ვენდი, რობერტ კოჰანი, კენეტ ვალსი, ჯონ მეარსაიმერი) მტკიცედ ეყრდნობა პარადიგმულ ანალიზს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს არ არის „რეალისტური“ წიგნი და იგი არ ცდილობს დაასაბუთოს რომელიმე პარადიგმის უპირატესობა. მეორე მხვრივ, ამ წიგნის ამოცანაა, რომ მოხდეს სტუდენტების აზრის გამოვლენა საპირისპირო პერსპექტივებზე და მიეწოდოს ემპირიული და კონცეპტუალური საფუძველი, რითაც ისინი შეძლებენ დაიწყონ საკუთარი შეფასების შემუშავება მსოფლიოს წყობაზე.

რასელ ბოვა

თავი 1

როგორ ვიფიქროთ მსოფლიო პოლიტიკაზე

რეალიზმი და მისი კრიტიკოსები

მსოფლიო სავაჭრო ცენტრი, 2001 წლის 11 სექტემბერი. 9/11-ის ტრაგედიას შემდეგი გამოხმაურება მოჰყვა – „ყველაფერი შეიცვალა“. თქვენი აზრით, რას იტყოდნენ ამის შესახებ რეალისტები?

სწავლების მიზნები

1-1 განმარტეთ დისკუსიები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეისწავლონ მეცნიერებმა საერთაშორისო ურთიერთობები.

1-2 განსაზღვრეთ და განმარტეთ რეალისტური პარადიგმის მთავარი ვარაუდები და არგუმენტები.

1-3 შეადარეთ და განასხვავეთ ლიბერალური, კონსტრუქტივისტული, ფემინისტური და ნეო-მარქსისტული პარადიგმები.

პოლიტიკური საქმიანობა გლობალური მასშტაბისაა. თუ თქვენ ნიუ-იორკში, შანხაიში, კანზასის შტატის ერთ პატარა ქალაქში, ინდოეთის სოფელში, მდიდარი ევროპულ ქალაქის შუაგულში ან სუბსაჰარული აფრიკის ღარიბულ ფერმაში ცხოვრობთ, მსოფლიო პოლიტიკა თქვენი ცხოვრებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ომის დროს ცალკეული ადამიანები იღუპებიან, ხანდახან კი მთელი საზოგადოება ეწირება მსხვერპლად. ამის მიუხედავად, შედარებით „ნორმალურ“ დროშიც კი გლობალური მოვლენები მუდამ აისახება ჩვენს ყოველდღიურობაზე. თუ განათლების გაღრმავებას საზღვარგარეთ გადაწყვეტთ, ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს თქვენი ქვეყნის ვალუტის ღირებულებაზე მსოფლიო სავალუტო ბაზრებზე. როდესაც უმაღლესს სასწავლებელს დაამთავრებთ და მუშაობას დაიწყებთ თქვენი არჩევანის მიხედვით, ეს შეიძლება დამოკიდებული იყოს მსოფლიო ვაჭრობის განვითარებად მოდელზე.

გლობალური ტენდენციები თქვენს ცხოვრებაზე მხოლოდ ეკონომიკური კუთხით არ ახდენს გავლენას. ჰაერის ხარისხი, რომელსაც სუნთქავთ, მთელ მსოფლიოში განლაგებული ქარხნების მიერ ბინძურდება. დავუმატოთ ამას ადამიანის უფლებები, ასევე, თქვენს უსაფრთხოებაზე გავლენას ახდენს გლობალური ტერორიზმი ან მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება. როგორც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ აღმოჩნდა, აუცილებელი არ არის მისი მოქმედების ეპიცენტრში აღმოჩნდეთ, რომ გააცნობიეროთ მისი გავლენა თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე. აეროპორტებში უსაფრთხოების ნორმების გამკაცრებამ, ემიგრაციაზე დაწესებულმა შეზღუდვამ და უსაფრთხოებასა და სამოქალაქო თავისუფლებას შორის ხელახლა დაკალიბრებულმა ბალანსმა არა მარტო ამერიკელებზე, არამედ შეერთებულ შტატებში ჩამსვლელებზე ან სწავლის მსურველებზეც მოახდინა გავლენა.

ომი, კონფლიქტი თუ სავაჭრო ურთიერთობები ყოველთვის გავლენას ახდენდა ადამიანების ყოველდღიურობაზე. ბოლო ათწლეულებში ტექნოლოგიური, სატრანსპორტო, განსაკუთრებით კი სატელეკომუნიკაციო სფეროების განვითარებამ მსოფლიო დააპატარავა და ადამიანებს ერთმანეთთან დაკავშირება გაუადვილა. ოცდამეერთე საუკუნის ადამიანმა უნდა გააცნობიეროს იმ მსოფლიოს არსი, რომელშიც ცხოვრობს. ამის მიუხედავად, ჩვენ უნდა გავიგოთ მეტი მსოფლიოს შესახებ, ასევე უნდა გავიაზროთ მსოფლიოს მართვის პრინციპები, რაც, თავის მხრივ, ახალ ამბებში გადმოცემული ინფორმაციის გააზეებაში დაგვეხმარება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება საერთაშორისო ურთიერთობებისა და მსოფლიო პოლიტიკის შესწავლა.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და მსოფლიო პოლიტიკის შესწავლა

1-1 განმარტეთ დისკუსიები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეისწავლონ მეცნიერებმა საერთაშორისო ურთიერთობები.

ტერმინებს – „საერთაშორისო ურთიერთობები“ და „მსოფლიო პოლიტიკა“ – ხშირად სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება. დამოუკიდებელ სახელმწიფოებს – შეერთებული შტატები, რუსეთი, ჩინეთი – ასევე არასახელმწიფო აქტორებს – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (United Nations (UN) *გაერო*), „ალ-ქაიდა“ (Al-Qaeda) და „ემნესთი ინთერნეშენალი“ (Amnesty International) – შორის პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიური ურთიერთკავშირის შესახებ საუბრისას ხშირად შეხვდებით ამ ტერმინებს, თუმცა მათ ფაქტიურად სხვადასხვა დატვირთვა გააჩნიათ.

„საერთაშორისო ურთიერთობები“ ფოკუსირებას ახდენს დამოუკიდებელ სახელმწიფოებზე როგორც მთავარ აქტორებზე. „მსოფლიო პოლიტიკა“ კი პირიქით, არასახელმწიფო აქტორების ფართო ქსელს გულისხმობს. ბოლო წლებში ხშირად იყენებენ ტერმინ „მსოფლიო პოლიტიკას“.

მიუხედავათ იმისა თუ რომელ ტერმინს ანიჭებს ადამიანი უპირატესობას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ურთიეთობებისა და მსოფლიო პოლიტიკის მეცნიერულ შესწავლას არაფერი აქვს საერთო ჟურნალისტიკასთან ან პოლიტიკურ მსჯელობასთან. ჟურნალისტები და თანამედროვე ისტორიის მიმომხილველები, როგორც წესი, დაწვრილებით აღწერენ და აანალიზებენ კონკრეტულ, დისკრეტულ მოვლენებს, პოლიტოლოგები კი მსოფლიოს მართვის მოდელებსა და საშუალებებს ეძებენ. მაგალითად, ჟურნალისტი 2001 წლის 11 სექტემბერს „ალ-ქაიდას“ მოწყობილ ტერორისტულ აქტს უბრალოდ აღწერს და განმარტავს, პოლიტოლოგი კი ტერორიზმის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების გაგებას ცდილობს. ჟურნალისტი უბრალოდ აღწერს და გადმოგვცემს ბირთვული იარაღის შექმნასთან დაკავშირებით ირანის მცდელობებს, საერთაშორისო ურთიერთობები კი მეცნიერულად შეისწავლის ამ იარაღის პროლიფერაციის მიზეზებსა და შედეგებს.

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები ეთანხმებიან იმ აზრს, რომ მათი საქმიანობის სპეციფიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება ჟურნალისტიკისგან, თუმცა მსოფლიოს შესწავლისა და მართვის თაობაზე არც მათ შორის არსებობს ერთიანი აზრი. მართლაც, საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერული შესწავლას დიდი დისკუსიები მოჰყვა. სამი ყველაზე მნიშვნელოვანი დისკუსიაა: პირველი, დისკუსია იმის შესახებ არის თუ არა საერთაშორისო ურთიერთობები პოზიტიური მეცნიერება; მეორე, დისკუსია მეცნიერებაში გამოყენებული შესაბამისი მეთოდების შესახებ; მესამე, დისკუსია პარადიგმების არჩევის შესახებ, რომელთა დახმარებითაც აღიქვამ მსოფლიოს. ამ დისკუსიების შესახებ დაწვრილებით ვისაუბრებ.

დებატები პოზიტიური მეცნიერების შესახებ

თითქმის მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლას დიპლომატიის ისტორიაში, საერთაშორისო სამართალსა და საერთაშორისო ინსტიტუტების განხილვებსა თუ კვლევებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა. მეცნიერი განსაკუთრებული ყურადღებას უთმობდნენ ისტორიული მოვლენებისა და ტენდენციების აღწერა/ინტერპრეტაციას. ეს რეკომენდაციები სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს საერთაშორისო ურთიერთობებში საკუთარი მიზნების მიღწევას გაუადვილებდა. ამ პერიოდში ის მეცნიერები სარგებლობდნენ დიდი გავლენით, რომელთა ისტორიული ნარატივი და ინსტიტუციონალური ანალიზი ყველაზე დამაჯერებლად მიიჩნეოდა.

როგორც უნდა იყოს, 1960-იან წლებში მეცნიერებათა ახალი თაობა საკითხისადმი ასეთი მიდგომა უკმაყოფილებას იწვევდა. მათი აზრით, ტრადიციული მეცნიერება ძალზე აღწერილობითი იყო და დიდად არ განსხვავდებოდა ჟურნალისტური ანალიზისაგან. ახალი თაობის მეცნიერებს სურდათ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლა გადაექციათ უფრო სერიოზულ საქმიანობად, რომელსაც საბუნებისმეტყველო მეცნიერების ბაზისად გამოიყენებდნენ. ეს უკანასკნელები **პოზიტივიზმის (Positivism)** გარშემო გაერთიანდნენ

პოზიტივისტური მიდგომა საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლისას სამეცნიერო მეთოდს იყენებს. ანვითარებს ჰიპოთეზას რომელიც ზუსტად განსაზღვრავს კავშირს ორ ცვლილებას შორის. მაგალითად,

პოზიტივიზმი – *მიდგომა, რომელიც მეცნიერულ მეთოდსა და ემპირიული ფაქტების შესწავლა/ანალიზს ეფუძნება.*

განვიხილოთ შემდეგი ჰიპოთეზა: დემოკრატიული სახელმწიფო აგრესიულობითა და საომარი რიტორიკით დიდად არ გამოირჩევა. დემოკრატია არის დამოუკიდებელი ცვლილება და ომი დამოკიდებული ცვლილება. დამოუკიდებელი ცვლილება არის ის, რასაც მეცნიერი იყენებს რათა გაიგოს თუ რა გავლენას ახდენს ის დამოკიდებულ ცვლილებაზე. ქიმიურ ლაბორატორიაში ნებისმიერ ადამიანს შედეგის მისაღებად შეუძლია დაამუშაოს დამოუკიდებელი ცვლილება ქიმიური ნივთიერების დამატებით ან შემცირებით. საერთაშორისო ურთიერთობაში მსგავსი რამის გაკეთება შეუძლებელია, თუმცა შესაძლებელია დემოკრატიული და ავტორიტარული სახელმწიფოების ომისადმი მიდრეკილების შედარება. ამგვარად, ჰიპოთეზის შესამოწმებლად, შევამოწმოთ ემპირიული ფაქტები დემოკრატიული და არადემოკრატიული რეჟიმების მილიტარისტული მიდრეკილების შესახებ და ეს ფაქტების, თავის მხრივ, ჰიპოთეზის გამტკიცებას ან გაყალბებას უზრუნველყოფს.

საერთაშორისო ურთიერთობების პოზიტიური მეცნიერების მიზანს საერთაშორისო ქცევის სამეცნიერო კანონების განვითარება წარმოადგენს. ეს კანონები სრულყოფილებით ვერ დაიკვეხნის, უფრო ვარაუდებს ეყრდნობა. მაგალითად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ვინმე ოდესმე დარწმუნებით განაცხადებს, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები ყოველთვის მშვიდობისმოყვარული არიან ან რომ დემოკრატიული რეჟიმი X უფრო მშვიდობიან მეთოდებს გამოიყენებს საერთაშორისო ურთიერთობებში, ვიდრე ავტორიტარული რეჟიმი Y.

რაციონალური არჩევანის თეორია – *მიდგომა სოციალური მეცნიერებაში, რომელიც უშვებს, რომ ადამიანები არიან რაციონალური აქტორები, რომლებიც საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებენ.*

ამ ახალი მეცნიერული მიდგომის გამოვლინება იყო **რაციონალური არჩევანის თეორიის (Rational Choice Theory)** დომინირება. რაციონალური არჩევანის თეორია მკვეთრად განსხვავდებოდა ისტორიული საფუძვლიანი აღწერებისაგან, რაც ახასიათებდა საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლას მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში. რაციონალური არჩევანი უშვებს, რომ ცალკეული პირები შეიძლება იყვნენ რაციონალური აქტორები, რომელთა მთავარი მოვალეობა საკუთარი ინტერესების წინა პლანზე წამოწევა გახლდათ. აქედან გამომდინარე ეკონომისტებმა დიდი ხნის წინ შეიმუშავეს ეკონომიკური ქცევის კანონები, რომლებიც ისტორიული და კულტურული კონტექსტის მიუხედავად მაინც მოქმედებდა. რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსებიც ცდილობდნენ საერთაშორისო ურთიერთობებში საერთაშორისო ქცევის კანონების შემუშავებას, რომლებსაც ნებისმიერ დროს გამოიყენებდნენ პრაქტიკაში.

ტრადიციული მეცნიერების აზრით, რომლებიც განსხვავებულ აზრზე დგანან, ადამიანის ქცევის შესწავლა საფუძვლიანად განსხვავდება მსოფლიოს შესწავლისგან. მათი თქმით, რთულია თუ არა შეუძლებელი ადამიანური სამყაროს ინტელექტუალური ობიექტურობით შესწავლა. ბუნებისმეტყველები სწორედ ამ ობიექტურობით შეისწავლიან ფიზიკის კანონებს. თუმცა უპირატესობა პოზიტივისტებმა მოიპოვეს და შემდგომი ორი ათწლეულის განმავლობაში დომინირებდნენ საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში.

1990-იან წლებში საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში პოზიტიური მიდგომის დომინირებამ უარყოფითი რეაქციები გამოიწვია. „პოსტპოზიტივისტი“ მეცნიერების ახალი თაობის მტკიცებით, საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის პოზიტივისტური ბუნებისმეტყველებისადმი იმიტირების მცდელობა შეცდომა იყო. მათი არგუმენტი ეფუძნებოდა „განმარტებისა“ და „გაგების“ შორის არსებულ სხვაობას. პოზიტივისტები ცდილობენ ნათელი მოჰფინონ საერთაშორისო ქმედებას, რომელიც მითითებულია მსოფლიოში არსებულ ობიექტურ მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთობებით. მაგალითად, პოზიტივისტმა შეიძლება განაცხადოს, რომ

როდესაც ერთი ქვეყანა ქმნის ბირთვულ იარაღს, მისი მეზობლები შეეცდებიან თავდაცვის მიზნით მის შექმნას.

პოსტპოზიტივისტის აზრით, ამ დასკვნის ზოგად კანონში ფორმულირება არ შეიძლება. ნაცვლად ამისა, ერთი ადამიანის რეაქცია მეზობელი ქვეყნის მიერ იარაღის შეძენაზე განისაზღვრება მეორე ადამიანის სუბიექტური გაგებით, რომ ეს მეზობელი მეგობარია თუ მტერი. ასევე, ამ ქვეყანებსს შორის არსებული ისტორიული ურთიერთობებით, ლიდერების მიერ წინასწარშექმნილი წარმოდგენებით და იდეებით, რომლებიც უკავშირდება მეზობელი სახელმწიფოდან წამოსული საფრთხის არსს. ამგვარად, ერთმა მხარემ შეიძლება „გაიგოს“ სახელმწიფოს ქცევის არსი, მაგრამ მეორე მხარემ ვერ „განმარტოს“ იგი.

დებატები მეთოდების შესახებ

საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარები (*ყველა არა*) მეთოდებზეც ხშირად კამათობენ. საერთაშორისო ურთიერთობების პოზიტიური მეცნიერების მომხრე მეცნიერების მტკიცებით, საერთაშორისო ურთიერთობების კანონზომიერების კვლევა-ძიება მოითხოვს მრავალი შემთხვევის გაანალიზებას. ამ შეთხვევებისას რთულ სტატისტიკურ მეთოდებს იყენებენ. ხარისხობრივმა მეთოდოლოგიებმა ამ შემთხვევების დროს შეიძლება საინტერესო ადეკვატური შეფასება უზრუნველყონ, თუმცა დაინტერესებულ ადამიანს ომების დაწყებასთან დაკავშირებით ზოგადი კანონების ფორმულირების საშუალებას არ მისცემენ. მრავალი მეცნიერის მტკიცებით, ზოგადი დასკვნების გასაკეთებლად, დაინტერესებულმა ადამიანმა რაოდენობრივი მეთოდებით მრავალი შემთხვევა უნდა გაანალიზოს.

კიდევ ერთხელ იკითხეთ რა გავლენას ახდენს დემოკრატია ომის დაწყებაზე. მრავალი შეთხვევიდან გამომდინარე შეიძლება გასცე პასუხი, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს პასუხი დამაჯერებელი იყოს. კითხვაზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა ათობით ან ასობით შემთხვევის გაანალიზებას საჭიროებს. შეიძლება დაიწყო განსაზღვრული ტერმინებით როგორიცაა დემოკრატია ან ავტორიტარიზმი, სახელმწიფოებს სხვადასხვა კატეგორიაში მიუჩინო ადგილი და აქედან გამომდინარე განსაზღვრო მათი მილიტარისტული მიდრეკილებები.

რასაკვირველია, ნებისმიერი ასეთი კვლევა სწრაფად გახდება უფრო კომპლექსური, რადგან მხედველობაში უნდა მივიღოთ საბრძოლო მოქმედების რაოდენობა იმისათვის, რომ ამ შემთხვევას ომის კლასიფიკაცია მივანიჭოთ და ასევე შევაფასოთ სხვადასხვა ქვეყანაში დემოკრატიისა და ავტორიტარიზმის განსხვავებული ეტაპები. ასეთი შემთხვევის დროს უნდა გავითვალისწინოთ სხვა შემთხვევითი ფაქტორებიც, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ მილიტარისტულ მიდრეკილებაზე. ესენია ეკონომიკური განვითარების დონე, წინანდელი შეიარაღების რბოლა და ა.შ. ამ ფაქტორების გავლენის გამოაშკარავება ადვილი საქმე არ არის. ამის გაკეთება, შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ რთული სტატისტიკური ანალიზის მეშვეობითაა შესაძლებელი.

რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება მეცნიერების განსხვავებული აზრის ფონზე მიმდინარეობდა. მათი მტკიცებით, რაოდენობრივმა ანალიზმა ზიანი მიაყენა თემატურ კვლევასა და ხარისხობრივი კვლევების სხვა ფორმებს. ეს კრიტიკოსები უკმაყოფილებას გამოხატავდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ არსებობდა პოლიტიკური ცხოვრების მრავალი ასპექტი, რომლებსაც ვერ შეამცირებდი მონაცემების რაოდენობრივი ანალიზისას და სტატისტიკურ მეთოდებზე ხაზგასმა ბიძგს აძლევდა იმ მეცნიერებს, რომლებმაც უფრო მეტი იცოდნენ მონაცემთა ანალიზის მეთოდების შესახებ, ვიდრე პოლიტიკური ისტორიის რეალური სუბსტანციის

თაობაზე. საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის პროცესში ეს ორივე მიდგომა დღემდე არსებობს.

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტთა ბოლოდროინდელი კვლევის თანახმად, ამ სფეროში დღემდე დომინირებენ ის მეცნიერები, რომლებიც კვლევის დროს ხარისხობრივ მეთოდებს იყენებენ. ამის მიუხედავად, მეცნიერთა მნიშვნელოვანი პროცენტი (*შეერთებულ შტატებში მოღვაწე მეცნიერების დაახლოებით ერთი მეოთხედი*) რაოდენობრივ მეთოდებს ანიჭებს უპირატესობას.[1]

ინტერპარადიგმული დებატები

პარადიგმა – *სამეცნიერო დისციპლინაში მიღებული კონცეპტუალური ან თეორიული პერსპექტივა ან სისტემა, რომელიც გვეხმარება ინფორმირებაში და თავისებურ გავლენას ახდენს აზროვნებასა და კვლევაზე.*

საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართა შორის მსჯელობის კიდევ ერთი საგანია „ინტერპარადიგმული დებატები“. **პარადიგმა (Paradigm)** ეს არის აზროვნების საშუალება და მეთოდი, რომელიც კონკრეტულ დისციპლინაში ფართოდ გამოიყენება და დაკავშირებულია მეცნიერულ კვლევასთან. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში მოღვაწე მეცნიერები, როგორც წესი, ერთი პარადიგმის ფარგლებში მოქმედებენ. თუ კონკრეტულ მომენტში პარადიგმა მეტად ვეღარ განმარტავს ახალ ინფორმაციას ან აღმოჩენებს, წარმოიქმნება სამეცნიერო ევოლუცია, რომლის დროსაც მეცნიერები ძველი პარადიგმის ჩანასაცვლებლად ახალ პარადიგმას ქმნიან.[2] მაგალითად, აინშტაინის ფართობიდობის თეორიამ თავდაყირა დააყენა ნიუტონის ფიზიკის პარადიგმა. ამის მიუხედავად, სოციალურ მეცნიერებებში, განსაკუთრებით კი საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის პროცესში, როგორც წესი, რამდენიმე კონკურენტი პარადიგმა არსებობს. მთავარი კონკურენტი პარადიგმები მსოფლიოს მართვის განსხვავებულ საშუალებებს გვთავაზობს.

საერთაშორისო ურთიერთობების სფეროსათვის დამახასიათებელმა ე.წ. პარადიგმულმა ომებმა მასშტაბური სახე განსაკუთრებით 1980-1990-იან წლებში მიიღო. მას შემდეგ მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ამ ომებისაგან დისტანცირებასა და ე.წ. „არაპარადიგმულ კვლევაზე“ კონცენტრირებას ცდილობდა. 2014 წელს საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერთა თაოსნობით ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერთა დაახლოებით სამი მეოთხედი კვლევის დროს ერთ-ერთ მთავარ პარადიგმას ეყრდნობოდა.[3]

ამგვარად, წინამდებარე თავში ყურადღებას გავამახვილებთ ძირითადი კონკურენტი პარადიგმების შედარებაზე. კონკურენტი პარადიგმების ერთ-ერთი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ პარადიგმა რეალობის გამარტივებულ სურათს გვთავაზობს. იგი ყოველდღიურ მოვლენებსა და ურთიერთობებს გასაგებს ხდის.[4] კონკურენტი პარადიგმების დადებით მხარეებზე ფიქრის დროს გაითვალისწინეთ რამდენიმე გამაფრთხილებელი საკითხი.

1. აუცილებელი არ არის, რომ მსოფლიო პოლიტიკის პარადიგმამ ყოველი მოვლენა ახსნას. გამარტივებულ რეალობაში პარადიგმა რამდენიმე კონკრეტულ საკითხს ვერ შეამჩნევს. პარადიგმის შემოწმება და თქვენი შეფასება მისი ეფექტურობის შესახებ გახლავთ ის თუ როგორ ართმევს თავს მსოფლიო პოლიტიკის რეალობას და რამდენად ეფექტურია თავის ქმედებებში. პარადიგმა, რომლის გათავისებასაც აპირებთ უნდა იყოს ისეთი, რომ სხვებისგან განსხვავებით ყველაზე მკაფიოდ და ეფექტურად გამარტოს მსოფლიოს მართვის პრინციპები.
2. პარადიგმები მსოფლიოს მართვის პრინციპებს გვთავაზობენ და არა იმას თუ როგორ ისურვებდით მის ოპერირებას. ამის მიუხედავად, ეს ურთიერთსაწინააღმდეგო დახასიათებები შეიძლება პოლიტიკის შე-

მუშავებისთვისაც გამოდგეს. ამგვარად, პარადიგმა, რომელსაც აირჩევთ გავლენას მოახდენს იმ არჩევანზე, რომელიც თავად აირჩიეთ. ამიტომ კონკურენტი პარადიგმების აღქმა და შეფასება აკადემიურ სწავლებაზე მეტია. იგი ფარულ გავლენას ახდენს თქვენს აზროვნებაზე.

3. ქვემოთ მოცემულ პარადიგმებს საზოგადოებრივი მეცნიერებების სფეროში მოღვაწე ადამიანები **იდეალურ ტიპებს (Ideal Types)** უწოდებენ. რეალური სამყარო იშვიათად შეესაბამება რომელიმე იდეალურ ტიპს. სხვადასხვა პარადიგმასთან დაკავშირებული მეცნიერები ერთმანეთისგან ხშირად სწავლობენ, სესხულობენ საკითხებს და ამის გათვალისწინებთ ცვლიან თავიანთ თეორიებს. ამის მიუხედავად, პარადიგმებს შორის სხვაობა მაინც თვალშისაცემია. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ იმისათვის მზად, რომ ყველა მეცნიერმა ერთი პარადიგმა გაიზიაროს.

იდეალური ტიპი – *კონცეფცია, რომელიც ანალიტიკური თვალსაჩინოებისა და კონცეპტუალური შედარებისათვის უტრირებულ და ზედმეტად გამარტივებულ რეალობას გვთავაზობს.*

მომდევნო ქვეთავში თავდაპირველად გავეცნობით რეალიზმს – პარადიგმას, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობებში დომინირებდა.

ამის შემდეგ კვლავ დავუბრუნდებით კონკურენტ პარადიგმებს, რომლებიც რეალისტურ ხედვას უპირისპირდებიან. დასასრულს ჯერ კიდევ არ იქნებით იმაში დარწმუნებული რეალისტები უფრო დამაჯერებელი არგუმენტები მოჰყავთ თუ მათ კრიტიკოსებს. ამისათვის მთელი წიგნის უნდა წაიკითხოთ. ბოლოს კი უკვე თავად დარწმუნდებით, რომ მსოფლიოს მართვასთან დაკავშირებით რეალისტებსა და მათ კრიტიკოსებს შორის დიდი აზრთა სხვადასხვაობაა.

რეალიზმი – *მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობებში ვარაუდზე დაფუძნებული პარადიგმა, რომლის თანახმადაც საერთაშორისო ურთიერთობები ეს არის ბრძოლის ველი, რომელზეც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს ერთმანეთს ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ეომებიან.*

რეალისტური პარადიგმა

1-2 განსაზღვრეთ და განმარტეთ რეალისტური პარადიგმის მთავარი ვარაუდები და არგუმენტები.

მეორე მსოფლიო ომის დასასრულიდან მოყოლებული ცივი ომის დასასრულამდე საერთაშორისო ურთიერთობებში **რეალიზმი (Realism)** დომინირებდა. რეალისტი მეცნიერები საერთაშორისო ურთიერთობებს ეროვნული ინტერესების დაცვის მექანიზმად აღიქვამენ. რეალისტებისათვის ძალაუფლების ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო სამხედრო შესაძლებლობებია. სწორედ ამიტომ რეალისტური მსოფლიო ძალადობისა და ომისაკენ არის მიდრეკილი.

ადამიანური ბუნების რეალისტები (ასევე უწოდებენ „კლასიკურ რეალისტებს“) – *მეცნიერები, რომლებიც ომს ძალაუფლების ხელში ჩაგდების მექანიზმად განიხილავენ რაც ახასიათებს საერთაშორისო ურთიერთობებს და, თავის მხრივ, ადამიანის ხასიათის განუყოფელი ნაწილია.*

ადამიანური ბუნების რეალისტებს (Human Nature Realists. *ან კლასიკური რეალისტები*) მიაჩნიათ, რომ მსოფლიო პოლიტიკას ადამიანური თვისებები განაპირობებენ. მათი აზრით, სახელმწიფო მიილტვის ძალაუფლებისკენ და იყენებს ძალას იმიტომ, რომ ადამიანები ძალაუფლების წყურვილით შეპყრობილი მოძალადე არსებები არიან.

მათთვის ეს არის განსაკუთრებით პესიმისტური მსოფლმხედველობა. მსოფლიო პოლიტიკაში ომი და ძალადობა ადამიანისათვის დამახასიათებელ ჩვეულ მოვლენად აღიქმება. ამის მიუხედავად, ყველაზე თანამედროვე რეალისტები **სტრუქტურული რეალისტები (Structural Realists**. *ასევე უწოდებენ ნეორეალისტებს*) არიან. მათი შეხედულებით, სახელმწიფოების ქმედებას ბევრი არაფერი აქვს საერთო ადამიანის ძირითად თვისებებთან და არც საერთაშორისო სისტემის სტრუქტურასთან. ქვემოთ მოცემული ათი პუნქტი შეაჯამეს სტრუქტურულ რეალისტურ პრესპექტივას; პირველი სამი პუნქტი წარმოადგენს მის ძირითად ვარაუდს:

სტრუქტურული რეალისტები – *მეცნიერები (ასევე უწოდებენ „ნეორეალისტებს) რომლებიც ომს ძალაუფლების ხელში ჩაგდების მექანიზმად განიხილავენ რაც ახასიათებს საერთაშორისო ურთიერთობებსა. იგი დამკვიდრებულია საერთაშორისო სისტემის სტურქტურაში, განსაკუთებით კი ანარქიიულ პირობაში.*

1. **ანარქია არსებობს მსოფლიო პოლიტიკაში**. თანამედროვე რეალისტების უმეტესობის აზრით, რაც უნდა ვიცოდეთ და დავიმახსოვროთ არის ის, რომ მსოფლიო პოლიტიკა **ანარქიის (Anarchy)** კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

ანარქია – *არასებობა ეფექტური მსოფლიო მთავრობისა, რომელსაც ძალუძს საზოგადოებას თავს მოახვიოს ქცევის წესები და ნორმები.*

ურთიერთობებში ანარქია მსოფლიო მთავრობის არარსებობითაა გამოწვეული. ეს მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისგან რასაც მიჩვეული ვართ ჩვენს შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში, სადაც მოქმედი მთავრობები ადამიანის სამართავად იღებენ წესებსა და კანონებს და სადაც ისეთი ინსტიტუტები როგორებიცაა პოლიცია, სასამართლოები და ციხეები იმისათვის არსებობს, რომ ამ წესების შესრულება უზრუნველყონ.

როგორი იქნებოდა შიდა პოლიტიკური ცხოვრება ასეთი მთავრობისა და წესრიგს გარეშე? მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეში მოღვაწე ბრიტანელმა პოლიტიკურმა ფილოსოფოსმა თომას ჰობსმა (Thomas Hobbes) ივარაუდა ასეთი მსოფლიო და მას **ბუნებივი მდგომარეობა (State of Nature)** უწოდა.[5]

ბუნებრივი მდგომარეობა – *ანარქიული მდგომარეობა, როდესაც არ არსებობს მთავრობა. თომას ჰობსის რწმენით, ოდესღაც ადამიანები ბუნებრივ მდგომარეობაში არსებობდნენ, მაგრამ შემდეგ მმართველობის ფორმები შემოიღეს. ადამიანებმა წესრიგისა და უსაფრთხოების სანაცვლოდ, პიროვნული თავისუფლება დათმეს.*

ასეთ მსოფლიოს დიდი ალბათობით დადებით მხარეც ექნებოდა. ბოლოს და ბოლოს მთავრობის მიერ თავს მოხვეული წესებისა და შეზღუდვების გარეშე იცხოვრებდი. ქუჩაში საათში ოთხმოცდაათი მილის სიჩქარით იმოძრავებდი და არც იმის შეგეშინდებოდა, რომ სიჩქარის გადაჭარბებისათვის პოლიციელი დაგაჯარიმებდა. არც გადასახადებს გადაიხდიდი. ხოლო იმ შემთხვევაში თუ კონკრეტული ნივთი გენდომებოდა, მაგრამ მისი შეძენის საშუალება არ გექნებოდა ყოველგვარი შიშის გარეშე ჩაიგდებდი ხელში და არც იმის შიშნარევი განცდა გექნებოდა, რომ ამის გამო პოლიცია დაგაპატიმრებდათ. მთავრობის მიერ თავსმოხვეული შეზღუდვების გარეშე შეძლებდი სურვილის მიხედვით ნებისმიერი წიგნის წაკითხვას, ინფორმაციის მიღებას, ნებისმიერი სასმელის დალევას, მოწევას და ა.შ. მოკლედ რომ ვთქვათ, არჩევანის სრული თავისუფალება გექნებოდათ.

მეორე მხრივ, ნამდვილად ისურვებდით ასეთ მსოფლიოში ცხოვრებას? სამთავრობო შეზღუდვებისაგან თავისუფალი სხვა თქვენზე უფრო ძლიერ ადამიანს დაემორჩილებოდით. მაღალი სიჩქარით მომავალმა მანქანამ შეიძლება მოგკლათ, ქურდმა კი თქვენი ნივთები მოიპაროს. ამჯერად თქვენ არა მთავრობა, არამედ თქვენზე ძლიერი მეზობელი შეგზღუდავდათ, რომელიც თქვენს ხარჯზე შეეცდებოდა მატერიალური სარგებლის მიღებას. ჰობსისეული ბუნებრივი მდგომარეობა ხასიათდება ამგვარად – „ომი ყველა ყველას წინააღმდეგ“. ზემოხსენებულ საზოგადოებაში ცხოვრება „საშიში, სასტიკი და ხანმოკლე“ იქნებოდა. ჰობსის თქმით, ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე ადამიანები მთავრობის მიერ თავს მოხვეული შეზღუდვებით ცხოვრებას ანიჭებენ უპირატესობას. წესრიგისა და უსაფრხოების სანაცვლოდ, მთავრობის სასაგებლოდ ზოგიერთ უფლებაზე უარს ვამბობთ.

მაშინ როდესაც ზოგიერთი ადამიანი ამ კომპრომისზე მიდის, საერთაშორისო ასპარეზზე სახელმწიფოები დათმობის სურვილს არ გამოხატავენ. მართლაც, მიმომხილველების დიდი ნაწილის რწმენით, ძლიერი და ეფექტური მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბება დიდ გავლენას ვერ მოახდენს სახელმწიფოთა ქმედებაზე. ამგვარად, საშინაო პოლიტიკისგან განსხვავებით, მსოფლიო პოლიტიკა დღემდე „ბუნებრივი მდგომარეობაშია“. ძალადობა, ქაოსი, სიკვდილიანობა და ნგრევა მსოფლიო პოლიტიკის თანმდევი მოვლენებია, რომლებიც გამოხატავენ შემდეგს – „ომი ყველა ყველას წინაამდეგ“ – რომელიც თავის თავში მოიცავს საერთაშორისო ანარქიას.

2. **სუვერენული სახელმწიოფები**. ტერმინი **სუვერენიტეტი (Sovereignty)** ლექსიკონ „უებსტერში“ განმარტებულია როგორც „უზენაესი და დამოუკიდებელი პოლიტიკური ხელისუფლება“.[6]

მონარქიული მმართველობის ხანაში მეფესა და დედოფალს ხშირად „სუვერენად“ მოიხსენიებდნენ. ეს ტერმინი, თავის მხრივ იმ ფაქტზე მიანიშნებს, რომ „უზენაესი და დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალაუფლება“ სამეფო ტახტზე მჯდომი ერთი ადამიანის ხელშია თავმოყრილი. დემოკრატიულ სისტემაში კი პირიქითაა. უზენაესი ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს. დემოკრატიული არჩევნების შედეგად ყალიბდება მთავრობა, რომელსაც სუვერენული ძალაუფლება ხალხისაგან აქვს მინიჭებული.

სუვერენიტეტი – *უზენაესი, დამოუკიდებელი და პოლიტიკური ძალაუფლების განმსაზღვრელი მდგომარეობა, რომელიც პასუხს არ აგებს მასზე ზემდგომ ძალასთან. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში, განსაკუთრებით კი რეალისტთა წრეში სახელმწიფოებს ხშირად სუვერენად მიიჩნევენ.*

გლობალური მასშტაბით არცერთი უზენაესი სუვერენული ხელისუფლება არ იყენებს ყოვლისმომცველ პოლიტიკურ ძალაუფლებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერათშორისო სისტემა ანარქიულობით ხასიათდებოდა. საერთაშორისო სისტემაში ყველაზე ზემდგომი სუვერენული აქტორები ორასამდე დამოუკიდებელი სახელმწიფოა, თითოეული მათგანი პრეტენზიას აცხადებს განსაკუთრებულ უფლებაზე, რომ მის იურისდიქციაში შემავალ ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენები აკონტროლოს. ეს დამოუკიდებელი სახელმწიფოები ზესახელმწიფოებად (*აშშ*) და პატარა ქალაქ-სახელმწიფოებად (*სინგაპური*) იყოფიან. სიდიდს, სიმდიდრისა და სამხედრო ძლიერების მიუხედავად, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების თანახმად, ეს სახელმწიფოები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ რაც, თავის მხრივ, საკუთარ საზღვრებში საქმიანი ურთიერთობები წარმართვის საშუალებას იძლევა. სახელმწიფოებრივი მოწყობის სისტემა სათავეს იღებს 1648 წლიდან და ვესტფალიის ზავიდან, როდესაც ოცდაათწლიანი ომი დასრულდა (*იხ. თავი მეორე*).

სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთკავშირებით, მოქალაქეების გადაადგილებით, დედამიწის შეზღუდული რესურსების მოხმარებით, მათზე წვდომითა თუ მეორე სახელმწიფოზე თავსმოხვეული კულტურით, იდეოლოგიითა თუ ფასეულობებით ყოველი სახელმწიფო გავლენას ახდენს მეორე სახელმწიფოს კეთილდღეობასა და ინტერესებზე. იმ დროს, როცა სატრანსპორტო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში მიღწეულმა პროგრესმა დედამიწა დააპატარავა, საკუთარ თავში დაჯერებული ორასი სუვერენული აქტორის იდეა ერთი შეხედვით აბსურდულად ჟღერს. მსოფლიო ორასი დამოუკიდებელი აქტორისაგან შედგება. ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობენ, თუმცა ამავდროულად ერთმანეთსაც უპირისპირდებიან. მსოფლიო მთავრობის არყოლა ნიშნავს, რომ არ გყვავს ზემდგომი უმაღლესი ხელისუფლება, რომელიც, თავის მხრივ, დაარეგულირებს და გადაწყვეტს მათ შორის წარმოქმნილ დავებს. ორასმა დამოუკიდებელმა სახელმწიფომ თავად უნდა გადაწყვიტონ სადავო საკითხები და ინტერესთა კონფლიქტები.

3. **სახელმწიფოები უნიტარული რაციონალური აქტორები არიან.** ვარაუდობენ, რომ სახელმწიფოები *უნიტარული* აქტორები არიან. რეალისტების თქმით, სახელმწიფოებს აქვთ **ეროვნული ინტერესები (National (Interests)**, რომლებიც აღემატებიან კონკრეტული ადამიანებისა თუ ჯგუფების ინტერესებს.

ეროვნული ინტერესები – *სახელმწიფოს მიზნები და საჭიროებები, რომლებიც რომლებიც აღემატებიან კონკრეტული ადამიანებისა თუ ჯგუფების ინტერესებს.*

პირველი, სახელმწიფო ინტერესები დაკავშირებულია სახელმწიფოს ფიზიკურ უსაფრთხოებასა და არსებობასთან; მეორე – ხელი შეუწყოს სახელმწიფოს კეთილდღეობასა და ეკონომიკურ განვითა-

რებას. მაგალითად, ზოგიერთი მიმომხილველის მტკიცებით, ახლო აღმოსავლეთში ბირთვული იარაღის არგავრცელება შეერთებული შტატების ეროვნულ ინტერესებში შედის. დაფიქრდით ერთი წუთით. სამასმილიონიანი შეერთებული შტატები, სადაც კონკურენტი პოლიტიური პარტიები და სხვადასხვა ინტერესის მქონე ჯგუფები არსებობენ, ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკით ინტერესდება.

მკვლევართა გარკვეული ნაწილის აზრით, სახელმწიფოებიც რაციონალური აქტორები არიან. რეალისტებს არ აქვთ იმის ილუზია, რომ სახელმწიფოები საკუთარი ინტერესების დასაცავად ყოველთვის გონივრულად იქცევიან. ისინი არც მორალური ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით იწონებენ თავს, როდესაც საქმე სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურ მიზნებს ან საშუალებებს ეხება. რეალისტები უბრალოდ ამბობენ, რომ სახელმწიფოს ინტერესებსა (*მიზნები*) და საგარეო პოლიტიკას შორის არსებობს მიზნებისა და საშუალებების ურთიერთკავშირი, რომელიც სახელმწიფოს ამ მიზნების მიღწევისაკენ უბიძგებს (*საშუალებები*). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფოები საკუთარი ინტერესების დამცველ პოლიტიკას აწარმოებენ.

განსაკუთრებით დემოკრატიულ ქვეყნებში შიდა პოლიტიკაზე გავლენის მოხდენას ცდილობენ სხვადასხვა შეხედულების მქონე ადამიანები, ინტერესთა ჯგუფები, პოლიტიკური პარტიები თუ სამთავრობო ინსტიტუტები, რომლებიც საჯარო პოლიტიკის ფორმირებას ცდილობენ. პოლიტიკური შედეგები ხშირად კომპრომისით სრულდება. რეალისტების უმეტესობა თანხმდება, რომ ზოგიერთი ეს პოლიტიკური ბაგირი დღემდე გარკვეულ როლს ასრულებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში. 2003 წელს შეერთებული შტატების ერაყში შეჭრასთან დაკავშირებით გამართული დებატები მიუთითებენ თუ რამდენად საკამათო შეიძლება იყოს საგარეო პოლიტიკა. ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის, მისი არგამოყენების, ეკონომიკური სანქციების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (*გაერო*) მიერ სადამ ჰუსეინის (Saddam Hussein) საერთაშორისო ამბიციების აღკვეთის, ასევე მისი და „ალ-ქაიდას“ (al-Qaeda) ტერორისტების ურთიერთთანამშრომლობის შესახებ პოლიტიკოსები და ექსპერტები სხვადასხვა აზრზე იდგნენ. თუმცა რეალისტები ერაყის თემატიკაზე გამართულ დებატებშიც ამტკიცებდნენ, ჰუსეინის განეიტრალება „ეროვნულ ინტერესებს“ უკავშირდებოდა, რათა კიდევ არ განმოერებულიყო 9/11-ის ტრაგედია, შეენარჩუნებინათ სპარსეთის ყურის ნავთობზე კონტროლი და არ დაეშვათ მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება. ქვეყნის ინტერესები სუბეროვნუული ჯგუფების ინტერესებს აღემატება. მთავარი დებატები კი არ იყო, არამედ ის, რომ ეს ინტერესები საფთხის ქვეშ არ აღმოჩენილიყო და მათი იმპლემენტირებას ხელი არ შეშლოდა. მომდევნო ოთხ პუნქტში სახელმწიფოთა ქმედებით გამოწვეულ შედეგებზე ვისაუბრებთ.

4. **ეროვნული უსაფრთხოება თვითდახმარებას საჭიროებს.** ქვეყნაში სადაც კანონისა და წესრიგის აღმსრულებელი ეფექტური ინსტიტუტები მოქმედებენ, ადამიანებს შეუძლიათ იმედი დაამყაროთ მათზე, რომლებიც მათ კანონიერ ინტერესებასა და უსაფრთხოებას დაიცავენ. თუ სახლში ვინმე შემოგეჭრებათ რეკავთ 911-ზე და იმედი გაქვთ, რომ პოლიციელები მალე თქვენთან გაჩნდებიან სანამ მოქალაქეები ცენტრალური ხელისუფლების ეფექტურობისა და სამართლიანობისადმი ნდობას ინარჩუნებენ, მათი დიდი ნაწილი თავდასაცავად იარაღს არ ყიდულობს. თუმცა როდესაც ცენტრალური ხელისუფლებისადმი

ნდობა მცირდება, მაშინ ურთიერთობები და მოქმედებები იცვლება. თუ თქვენს სამეზობლოში დანაშაული მკვეთრად იზრდება და პოლიციის ქმედითობის შესახებ ნდობა გიქრებათ, საკუთარი თავის დაცვაზე იწყებთ ფიქრს.

ანარქიულ სამყაროში სუვერენულ სახელმწიფოზე ზემდგომი ორგანო არ არსებობს, რომელიც წესრიგს დაამყარებს. ასევე სახელმწიფოებისთვის არ არსებობს საერთაშორისო ნომერი 911, რომელზეც მაშინ დარეკავენ, როდესაც მათ ინტერესებს საფრთხე დაემუქრება. ამიტომ, სახელმწიფოებმა საკუთარი ძალებით უნდა დაიცვან თავი. სახელმწიფო **თვითდახმარებას (Self-Help)** ორ შემთხვევაში მიმართავს.

თვითდახმარება – *როდესაც სახელმწიფო საკუთარ ინტერესებს სამხედრო ძალით ან მოკავშირეების დახმარებით იცავს.*

პირველი, სახელმწიფომ შეიძლება გაზარდოს თავისი სამხედრო აქტივები – სამხედრო ქვედანაყოფები, ტანკები, სამხედრო გემები, მათ შორის ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღები. თუმცა შედარებით პატარა, ღარიბ ან მცირემოსახლეობიან სახელმწიფოებს ამის საშუალება არ აქვთ და, შესაბამისად, დიდ, მდიდარ თუ ჭარბმოსახლეობიან მეზობელ ქვეყნებს კონკურენციას ვერ უწევენ. მეორე, ასეთმა სახელმწიფომ სხვა სახელმწიფოებთან უნდა შექმას ალიანსი. ასეთი ალიანსის ფორმირება დამოკიდებული არ არის სუვერენულ სახელმწიფოებზე ზემდგომ მთავარ ორგანოზე. თუ კრიმინალების თავდასხმისას იმედს თქვენს მეზობლებზე ამყარებთ, ეს მიდგომა ძირეულად განსხვავდება პოლიციაზე იმედის დამყარებისგან. პოლიცია მეზობლებისგან განსხვავებით გარკვეული უფლებამოსილებით არის აღჭურვილი და მისი დირექტივების შესრულება ნებაყოფლობითი არ არის.

5. ერთი სახელმწიფოს უსაფრთხოება შეიძლება მეორე სახელმწიფოსათვის საფრთხის შექმნას ნიშნავდეს. უსაფრთხოების დილემა (Security Dilemma) ეწოდება შეხედულებას, როდესაც ერთი სახელმწიფოს თავდაცვის მიზნებმა შეიძლება მეორე სახელმწიფოს უსაფრთხოებას შეუქმნას საფრთხე. თავდაცვის მიზნით ერთი სახელმწიფოს მიერ იარაღის შეძენისა და კავშირების დამყარების მცდელობა, მეორე სახელმწიფომ შეიძლება მუქარად აღიქვას.

უსაფრთხოების დილემა – *ერთი სახელმწიფოს თავდაცვითმა მიზნებმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას მეორე სახელმწიფოს უსაფრთხოებას.*

ეს არის ერთ-ერთი მიზეზი მსოფლიოში გაჩაღებული შეიარაღების გამალებული რბოლისა. ხოლო დაძაბული ურთიერთობები შეიძლება რთული დასარეგულირებელი აღმოჩნდეს. სახელმწიფო A სახელმწიფოს B-ს შიშით იწყებს ჯარის შექმნას, ამის შემდეგ სახელმწიფო B-ც მსგავსი ნაბიჯების გადადგმას იწყებს, რადგან სახელმწიფო A-სი ეშინია. ამგვარად, ეს სახელმწიფოები, რომლებსაც ერთმანეთისადმი აგრესიული მიზნები არ ამოძრავებთ, უნებლიედ ერთვებიან ძვირადღირებულ შეიარაღებულ რბოლაში, რაც არცერთი მათგანის გეგმებში არ შედის და აღარც კონტროლის ეფექტური მექანიზმები ჰყოფნით.

ამ უსაფრთხოების დილემას საერთაშორისო ურთიერთობებში იყენებენ. წარმოვიდგინოთ, რომ პოლიციამ ბანკის ძარცვაში ეჭვმიტანილი ორი პიროვნება დააპტიმრა. სამართალდამცველები ეჭვობენ, რომ ისინი დამნაშავეები არიან, თუმცა მათ წინააღმდეგ მყარი მტკიცებულება არ აქვთ. ამგვარად, პოლიციამ ერთი ეჭვმიტანილის აღიარება მაინც უნდა მოიპოვოს. სამართალდამცავებს ისინი პოლიციის მთავარ განყოფილებაში გადაჰყავთ, სხვადასხვა ოთახში ათავსებენ და მათ დაკითხვას იწყებენ. პატიმრების მიერ დანაშაულის აღიარებით ან დუმილით განპირობებული შედეგებისათვის იხილეთ ტაბულა 1.1. ცხადია ორივე ეჭვმიტანილისათვის კარგი იქნება თუ არცერთი მათგანი არ აღიარებს დანაშაულს (*ოთხივე შედეგი მოცე-*

მულია ტაბულაში). ეჭვმიტანილები თუ დანაშაულს არ აღიარებენ ბრალს არ წაუყენებენ და გაათავისუფლებენ. სიმულაციის მიუხედავად, ორივე მხარე, როგორც წესი, აღიარებს დანაშაულს და თითოეულ მათგანს ხუთწლიანი პატიმრობა ემუქრება (*შედეგი* 1). დუმილის შემთხვევაში ორივე მათგანი თავს აარიდებდა გისოსებს მიღმა გამოკეტვას. თუ ასეა, რატომ აღიარებენ ისინი დანაშაულს? პასუხი ნათელია. ორივე ეჭვმიტანილი ცდილობს თავიდან აარიდოს შედეგი 2 ან შედეგი 3. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი ეჭვმიტანილი აღიარებს დანაშაულს, მაგრამ მეორე დუმილს ინარჩუნებს, პირველი მათგანი მინიმალურ სასჯელს იღებს, რადგან პოლიციას საქმის დახურვაში დაეხმარა. ამასობაში კი მეორე ეჭვმიტანილს, რომელიც დუმილს ინარჩუნებს და პოლიციასთან თანამშრომლობაზე უარს აცხადებს, ათწიანი პატიმრობა ემუქრება. როდესაც ერთი ეჭვმიტანილი მეორეს ქმედებაში დარწმუნებული არ არის, უსაფრთხოების სტრატეგია (*როდესაც ათწლიანი სასჯელისთვის თავის არიდებას ცდილობს*) ხშირად აღიარებად ითვლება.

ახლა კი დავუბრუნდეთ საერთაშორისო ურთიერთობებს და ზემოხსენებული ორი პატიმარი ბირთვული იარაღით აღჭურვილი ინდოეთით და პაკისტანით შევცვალოთ. სასურველი იქნებოდა თუ ამ ქვეყნებს ბირთვული იარაღი არ ექნებოდათ. პირველი, ბირთვული იარაღის შექმნა უზარმაზარ თანხებთანაა დაკავშირებული. უკეთესი იქნებოდა, რომ ეს თანხები განათლებაზე, ჯანდაცვაზე, გზების მშენებლობაზე ან სხვა მნიშვნელოვან საჭიროებებზე დახარჯულიყო. დიდი ალბათობით სამხრეთ აზიაში ბირთვული შეიარაღების რბოლის დასასრული ინდოეთსა და პაკისტანს შორის ბირთვული ომის პერსპექტივას გამორიცხავდა, რაც, სავარაუდოდ, ორივე ქვეყნის გეგმებში უნდა შედიოდეს.

ასე რომ, რატომ არ თანამშრომლობენ ეს ქვეყნები და არ იწყებენ განიარაღების პროცესს (*შედეგი* 4, *ტაბულა* 1.2)? ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ არცერთი ქვეყნა დარწმუნებული არ არის, რომ განიარაღების დაწყების შემთხვევაში მეორე ქვეყანაც იგივე ნაბიჯებს გადადგავს. თუ მხოლოდ ერთი ქვეყანა იტყვის ბირთვულ იარაღზე უარს, მომავალი კრიზისის დროს იგი მეორე ქვეყნის შანტაჟის მსხვერპლი გახდება. როგორც პატიმრის დილემაშია მითითებული, 2-ისა და მე-3 შედეგის შიშის გამო 1 შედეგს ვღებულობთ. როდესაც შედეგი 1 შედეგ 4-ზე უფრო დაბლა დგას იგი ამ ორ სახელმწიფოს შორის თანასწორობას უზრუნველყოფს და თავს არიდებს შესაძლებლობას, რომ რომელიმე ქვეყანა მეორე ქვეყნის ბირთვული შანტაჟის მსხვერპლი გახდეს.

რასაკვირველია ზემდგომი ხელისუფლება ამ ქვეყნებს (*ინდოეთი და პაკისტანი*) თაღლითობის საშუალებას არ მისცემდა და თუ იგი მატყუარას დასჯიდა, ხოლო შესაძლო მსხვერპლს დაიცავდა, მაშინ

ტაბულა 1.1 პატიმრის დილემა

	ეჭვმიტანილი A აღიარებს	**ეჭვმიტანილი A დუმილს ინარჩუნებს**
ეჭვმიტანილი B აღიარებს	(1) ორივე ხუთწლიან სასჯელს იღებს	(2) A ათწლიან სასჯელს იღებს, ხოლო B ერთწლიან სასჯელს
ეჭვმიტანილი B დუმილს ინარჩუნებს	(3) B ათწლიან სასჯელს იღებს	ხოლო A ერთწლიან სასჯელს, (4) ორივეს ათავისუფლებენ

ამ დილემას უფრო ადვილად გაუმკლავდნენ. ანარქიულ მსოფლიოში ეფექტური ზემდგომი ხელისუფლების არარსებობის გამო, თანაშრომლობა სირთულეებთან და რისკებთანაა დაკავშირებული.

6. **ომი გარდაუვალობა.** ზემოთ განხილული საკითხები ადასტურებენ რეალისტების შეხედულებას, რომ ომი საერთაშორისო ურთიერთობების გარდაუვალი და ბუნებრივი კომპონენტია. მსოფლიოში არ არსებობს ზემდგომი ხელისუფლება, რომელიც წესებს დაადგენს ან სახელმწიფოთაშორისო უთანხმოებებს მოაგვარებს. ორასამდე სუვერენული აქტორი ეროვნულ ინტერესებს საკუთარი ძალებით იცავს. სახელმწიფოები სადავო საკითხების გადასაჭრელად ხანდახან ძალას იყენებენ.

   თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა სახელმწიფო ძალას ანიჭებს უპირატესობას. ზემოთქმულის მიუხედავად, როდესაც ეროვნულ ინტერესებს საფრთხე ემუქრება და მათ მოსაგვარებლად ყველა საშუალება ამოწურულია, ფაქტობრივად ყველა სახელმწიფო სადავო საკითხების გადასაწყვეტად ძალის გამოყენებას ანიჭებს უპირატესობას. მეცხრამეტე საუკუნეში მოღვაწე პრუსიელი სამხედრო თეორეტიკოსი კარლ ფონ კლაუზევიცი (Carl von Clausewitz) თავის ცნობილ წიგნში – „ომის შესახებ“ (On War) – განმარტავს: „ომის პოლიტიკის სხვა საშუალებებით გაგრძელებაა“[7] (*წიგნი სამხედრო სტრატეგებსა და მკითხველთა შორის დღემდე პოპულარობით სარგებლობს*). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კლაუზევიცს კარგად ესმოდა, რომ ომი არც უაზრო და თვითნებური ძალადობრივი აქტი და არც უცნაური და უჩვეულო მოვლენა იყო. პირიქით, იგი თვლიდა, რომ ომი ერთ-ერთი ინსტრუმენტი იყო, რომელსაც პოლიტიკური მიზნების მისაღწევად აუცილებლად გამოიყენებდნენ.

   რეალისტური პერსპექტივის თანახმად, სახელმწიფოები მუდმივად საომარ მდგომარეობაში არ იმყოფებიან, თუმცა გარე სამხედრო საფრთხე ყოველთვის არსებობს. სწორედ ამას გულისხმობდა ჰობსი, როდესაც ამბობდა, რომ ბუნებრივ მდგომარეობაში ცხოვრებისას, როდესაც ზემდგომი ხელისუფლება არ არსებობს „ომი ყველა ყველას წინააღმდეგ“ ჩვეული მოვლენაა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ კლაუზევიცს, ჰობსს ან ვინმე სხვას საერთაშორისო ცხოვრების ეს პასაჟი „მოსწონდა“. საქმე იმაში გახლავთ, რომ რეალისტები სწორედ ამას მიიჩნევენ მსოფლიოს მართვის ფუნდამენტად, რადგან საერთაშორისო ანარქია და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი ჯერ კიდევ დომინირებენ.

7. **მშვიდობა და წესრიგი ძალაუფლების განაწილების ფუნქციაა**. რეალისტების რწმენით, ომის გარდაუვალობა საერთაშორისო ურთიერთობებისთვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშან-თვისებაა, თუმცა არც იმას გამორიცხავენ, რომ სახელმწიფოებს შორის ძალაუფლების განაწილებამ, მოკლევადიან პერსპექტივაში, შეიძლება მშვიდობასა და წესრიგზე მოახდინოს გავლენა. **თავდაცვითი რეალისტების (Defensive Realists)** მტკიცებით, სახელმწიფოები თავს მაშინ იგრძნობენ დაცულად,

თავდაცვითი რეალისტები – *რეალისტების ქვეკატეგორია, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოები თავს მაშინ იგრძნობენ დაცულად, როდესაც ზესახელმწიფოებს შორის ძალთა ბალანსის არსებობის პირობებში მშვიდობისა და წესრიგის ალბათობა მაქსიმალურად იქნება დაცული.*

ტაბულა 1.2 უსაფრთხოების დილემა

	ინდოეთის შეიარაღება	ინდოეთის განიარაღება
პაკისტანის შეიარაღება	(1) სამხედრო თანასწორობა, მაგრამ მაღალი ხარჯები	დაძაბულობა (2) ინდოეთი დაუცველია, პაკისტანი ფლობს უპირატესობას
პაკისტანის განიარაღება	(3) პაკისტანი დაუცველია, ინდოეთი ფლობს უპირატესობას	(4) დაბალი ხარჯები, ბირთვული ომის დაწყება გამორიცხულია

ძალთა ბალანსი – *წონასწორობა ზესახელმწიფოებს შორის. უზრუნველყოფს სტაბილურობის შენარჩუნებას. შეიარაღებული კონფლიქტის წამოწყების შემთხვევაში ვერცერთი სახელმწიფო ვერ იქნება გამარჯვებაში დარწმუნებული.*

როდესაც ზესახელმწიფოებს შორის **ძალთა ბალანსის (Balance of Power)** არსებობის პირობებში მშვიდობისა და წესრიგის ალბათობა მაქსიმალურად იქნება დაცული. ძალთა ბალანსის იდეის ლოგიკა ძალზე მარტივია. სახელმწიფოები რაციონალური აქტორები არიან, ისი ომს მხოლოდ მაშინ იწყებენ, როდესაც გამარჯვების შანსი აქვთ. რაციონალური აქტორები წამგებიან ომებს არ იწყებენ. ვარაუდობენ, რომ ერთ რომელიმე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ალიანსს მეორე სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ალიანსი დააბალანსებს. როდესაც არცერთი მხარე გამარჯვებაში დარწმუნებული არ არის მაშინ ომის დაწყების სურვილი მცირდება.

ძალთა ბალანსის კლასიკური მოდელის თანახმად, დაბალანსება საერთაშორისო სისტემაში თავისთავად მოხდება. როდესაც ძალთა ბალანსი მეორე (*ან სახელმწიფოთა ალიანსის*) სასარგებლოდ იცვლება, სუვერენული სახელმწიფოები ბალანსის აღსადგენად გაზრდიან საკუთარ ძალას ან შექმნიან კოალიციებს პოტენციური საფრთხის წინაშე მყოფ სხვა სახელმწიფოებთან. გახსოვდეთ, ეს არის დინამიკური პროცესი, რომელიც არასოდეს მიაღწევს საბოლოო წონასწორობის მდგომარეობას. ცალკეული სახელმწიფოების ძლიერება, მათ შორის ალიანსები ყოველთვის იცვლება, სახელმწიფოები მოკავშირე პარტნიორებს ძალთა ბალანსის შენარჩუნების მიზნით ირჩევენ და არა პოლიტიკური ან იდეოლოგიური მსგავსების გამო. ძალთა ბალანსის პოლიტიკის ერთი ძველი პრინციპი საერთაშორისო ურთიერთობებში მუდმივ ალიანსების არსებობას გამორიცხავს, რასაც ვერ ვიტყვით მუდმივ ინტერესებზე. თქვენი დღევანდელი მოწინააღმდეგე ხვალ შეიძლება თქვენს მოკავშირედ იქცეს (*ან პირიქით*). მოკლედ რომ ვთქვათ, ძალთა ბალანსის კლასიკური მოდელის თანახმად, სახელმწიფოები სისტემური ბალანსის შენარჩუნებისაკენ მიისწრაფვიან. ამ შემთხვევაში ომის დაწყების შანსი, თუმცა ბოლომდე არ არის გამორიცხული, მცირდება.

თავდასხმითი რეალისტები – *რეალისტების ქვეკატეგორია. მათი რწმენით, ზესახელმწიფოები ჰეგემონიისაკენ იმიტომ მიილტვიან, რომ თავი დაცულად იგრძნონ.*

თავდაცვითი რეალისტებისაგან განსხვავებით, **თავდასხმითი რეალისტები (Offensive Realists)** გვთავაზობენ, რომ ანარქიულ მსოფლიოში ძალთა ბალანსი საკმარისი არ არის, რათა სახელმწიფოებმა ბოლომდე დაცულად იგრძნონ თავი.[8] მათი მტკიცებით ზესახელმწიფოები არა წონასწორობისაკენ, არამედ ჰეგემონიისაკენ მიისწრაფვიან, რათა საერთაშორისო სისტემაში დომინანტური ძალაუფლება და გავლენა მოიპოვონ. ბალანსი გულისხმობს მრავალი სახელმწიფოსა და ალიანსისაგან შემდგარი სისტემის არსებობას შედარებით მოწესრიგებულ სამყაროში ან მეტნაკლებად თანაბარ ძალაუფლებას, ჰეგემონია კი თავის თავში მოიცავს ერთ ზემდგომ ძალას, რომელიც გლობალური პოლიტიკური თამაშის წესებს განსაზღვრავს და აღასრულებს პოლიტიკურ კანონებს. თავდასხმითი რეალისტების ხედვასთან ახლოს **დგას ჰეგემონური სტაბილურობის თეორია (Hegemonic Stability Theory)**, რომლის თანახმადაც მსოფლიო მხოლოდ მაშინ იქნება მოწესრიგებული და მშვიდობიანი, როდესაც რომელიმე ზესახელმწიფო საკუთარ თავზე აიღებს გლობალური პროცესების ერთპიროვნული მართვის პასუხისმგებლობას და სხვა სახელმწიფოები დაეთანხმებიან.

ჰეგემონური სტაბილურობის თეორია – *იდეა, რომლის თანახმადაც საერთაშორისო სისტემაში მშვიდობა და სტაბილურობა მაშინ მყარდება, როდესაც ერთ ზესახელმწიფოს ან „ჰეგემონს“ აქვს შესაძლებლობა და მტკიცე განზრახვა გახდეს დომინანტი, რათა წესრიგის უზრუნველსაყოფად განსაზღვროს და სისრულეში მოიყვანოს საერთაშორისო კანონები.*

მიაქციეთ ყურადღება, მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვითი და თავდასხმითი რეალისტები ვერ თანხმდებიან იმაზე თუ რა ძალა საჭირო, რომ სახელმწიფომ თავი დაცულად იგრძნოს და ძალაუფლების განაწილების რომელი მეთოდია ყველაზე ხელსაყრელი წესრიგის დასამყარებლად (*ზესახელმწიფოებს შორის არსებული ძალთა ბალანსი თუ ერთი ჰეგემონი სახელმწიფო*), ორივე მხარე მაინც რეალისტების

კატეგორიას მიეკუთვნება ორი სხვადასხვა მიზეზის გამო. პირველი, ორივე მხარეს წესრიგის შენარჩუნებაზე ამყარებს იმედს; მეორე, ორივე მხარე გვთავაზობს, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში ძალაუფლების განაწილება ამცირებს ომის დაწყების შანსებს, ამავდროულად ორივე მხარე ამტკიცებს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ომის დაწყების ალბათობა ბოლომდე არასოდეს აღმოიფხვრება. ბალანსის მცდელობა შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს, ხოლო გამოწვევების დროს ჰეგემონმა შეიძლება სისუსტე გამოავლინოს ან ხელმძღვანელებმა შეცდომა დაუშვან. ძალთა ბალანსის ან ჰეგემონობის შესანარჩუნებლად ზოგჯერ მცირე ომებიც კი შეიძლება აუცილებელი იყოს. რეალისტთა ამ ორივე ჯგუფის თანახმად, მოკლევადიან პერსპექტივაში ძალაუფლების განაწილებამ შეიძლება მშვიდობისა და წესრიგის გამყარებას შეუწყოს ხელი, მაგრამ ომის დაწყებას ვერასოდეს აღუდგება წინ (*იხ. თეორია პრაქტიკაში* 1.1).

რეალისტური ვარაუდები და შედეგები საერთაშორისო ურთიერთობებში ეთიკასა და მორალს უგულებელყოფს. ამის მიუხედავად, მომდევნო ორი პუნქტი ადასტურებს, რომ ასეთ საკითხებს სწორედ რეალისტური პარადიგმა წყვეტს.

8. **ძალაუფლება აღემატება სამართლიანობას.** პელეპონესის ომების (Peloponnesian Wars – *ძვ.წ.აღ.* 431-404 *წლებში უძველეს ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებს, ათენსა და სპარტას, შორის მიმდინარე ომი*) აღწერისას თუკიდიდე ძლევამოსილი ათენისა და პატარა კუნძულ მილოსის წარმომადგენლთა შორის გამართული დიალოგის შესახებ მოგვითხრობს. ოდესღაც სპარტას ქვეშევდრომმა კუნძულმა მილოსმა იგრძნო, რომ დამოუკიდებლობის მოპოვება არც თუ ისე შორეული პერსპექტივა იყო, სპარტამ მისადმი ინტერესი დაკარგა, თუმცა კუნძულზე ათენელებს ეჭირათ თვალი. ქვემოთ მოცემული დიალოგის ფრაგმენტებში კარგად ჩანს, რომ მილოსელები დამოუკიდებლობის დასაცავად სამართლიანობისა და პატივისცემასაკენ მიისწრაფვოდნენ, ათენელებს კი ეს ცნებები არარელევანტურად მიაჩნიათ, რადგან მათი შეხედულებით, სამყაროში ძალის პრიმატი ბატონობდა.[9]

ათენელები: ორივემ მხარემ კარგად ვიცით, რომ ადამიანური ურთიერთობების შესახებ გამართული დისკუსიისა სამართლიანობის საკითხს მხოლოდ მაშინ განიხილავენ, როდესაც ძალები თანასწორია. ძლიერმა ზუსტად იცის რა შეუძლია, სუსტი კი თანხმდება პირობებზე

მილოსელები: შეიძლება ჩვენი კუნძულის ხელში ჩაგდება თქვენს ინტერესებში შედის, მაგრამ ჩვენ თქვენი მონები უნდა გავხდეთ?

ათენელები: თქვენივე ინტერესები მოითხოვს, რომ დაგვემორჩილოთ. ნებაყოფლობითი ნაბიჯი თავიდან აგარიდებთ უსიამოვნებებს. ჩვენ კი თქვენს დაცვას ვუზრუნველყოფთ.

მილოსელები: მონები და ლაჩრები ვიქნებით ჩვენი თავისუფლება სხვისი საზრუნავი რომ გახდეს. თქვენი მონები არ გავხდებით.

ათენელები: ასე არ არის. თუ აუღელვებლად აღიარებთ: თქვენ თანასწორ ძალას არ ებრძვით. წააგებთ და სახელსაც შეირცხვენთ, თუმცა თქვენი გადასაწყვეტია წინააღმდეგობას გაგვიწევთ თუ დაგვნებდებით. აირჩიეთ ან ღირსება ან კეთილგონიერება.

თეორია პრაქტიკაში 1.1

ახალგაზრდებით დაკომპლექტებული ბანდები: საერთაშორისო ურთიერთობების ანალოგი

ახალგაზრდებით დაკომპლექტებული ბანდები არაერთ ამერიკულ ქალაქს უქმნიან პრობლემას. საინტერესოა, რომ მათი ძალმომრეობის მსხვერპლთა უმეტესობა ამავე დაჯგუფების წევრები არიან. კითხვაზე თუ ვინ ქმნის და რატომ წევრიანდებიან ასეთ ორგანიზაციებში დღემდე ერთგვაროვანი პასუხი არ არსებობს. ამჟამად ამ ფენომენის ახსნას არ დავიწყებ. ქალაქში მოქმედი ბანდები დაძრწიან და უთვალთვალებენ მეზობლებს. ეს ორგანიზაციები ქმნიან ალიანსებს როგორც სახელმწიფოები საერთაშორისო პოლიტიკაში.

ამ ბანდების, მეზობლის მოთვალთვალე დაჯგუფებებისა და საერთაშორისო ალიანსების წარმოშობის მიზეზს უსაფრთხოების არარსებობა განაპირობებს, რადგან კანონისა და წესრიგის დამცველი ინსტიტუტები, როგორც ჩანს, მათზე დაკისრებულ მოვალეობას სათანადოდ ვერ ახორციელებენ. ზოგიერთი ქალაქის უბნებში ანარქია სუფევს, არ მოქმედებს კანონი, შესაბამისად წესრიგიც დაცული არ არის. ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი საკუთარი უსაფრთხოების მიზნით (*თვითდახმარება*) წევრიანდება ბანდებში (*ალიანსები*). მათ მიზანს სხვა ბანდების საპირწონე დაჯგუფების შექმნა წარმოადგენს, რადგან ისინი პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენენ (*ძალთა ბალანსი*). რასაკვირველია, ერთი ადამიანის თავდაცვითმა მიზნებმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას მეორე ადამიანის უსაფრთხოებას („*უსაფრთხოების დილემა*“). ამგვარად, დაძაბულობებსა და ომებს გარდაუვალი და პარადოქსული შედეგები მოჰყვება.

- ამგვარად, რა მიზეზით იქმნება ბანდები, მოთვალთვალე დაჯგუფებები და მსგავსი ალიანსები?
- ბანდები, მოთვალთვალე დაჯგუფებები და ალიანსები რატომ ითვლება „თვითდახმარების“ გამოვლინებად, როდესაც სამივე მათგანი, როგორც ჩანს, საკუთარი უსაფრთხოების განსამტკიცებლად სხვებზე ამყარებენ იმედს?
- რა უნდა მოხდეს, რომ ბანდები, მოთვალთვალე დაჯგუფებები და ალიანსები საჭიროებას აღარ წარმოადგენდნენ თავიანთი წევრების უსაფრთხოებისათვის?

მილოსელები: წარმატების იმედი არ დაგვიკარგავს; ვიმედოვნებთ, რომ არაფერში ჩამოგვარდებით ზეცის პატივსაცემად, რადგან ჩვენ მართლები ვართ, თქვენ კი არა.

სიტყვების რახარუხის შემდეგ ათენელები წყვეტენ დიალოგს პატივისცემის, სამართლიანობისა და მტყუან-მართლის გარჩევის შესახებ და მილოსელებს გასაკეთებელი არჩევანის არსს განუმარტავენ.

ათენელები: რა თქმა უნდა ვერ გაექცევით ღირსების ყალბ შეგრძნებას, რომელმაც ბევრი ხალხის დამარცხება განაპირობა, როდესაც საფრთხისა და დამცირების პირისპირ აღმოჩნდნენ. უნდა გააცნობიეროთ, რომ სახლოვანი ქალაქის მორჩილება სამარცხვინო საქმე არ არის. თქვენ მისი მოკავშირე გახდებით შესაბამისი პირობების თანახმად. ამგვარად, შეინარჩუნებთ საკუთარ მიწას და უბრალოდ გადაიხდით ხარკს; რასაკვირველია ვერანაირ პატივისცემას ვერ მოიპოვებთ თუ ორ ალტერნატივას – უსაფრთხოება ან ომი – შორის უარესზე შეაჩერებთ არჩევანს. უსაფრთხოების შენარჩუნების ერთადერთი გონივრული გზაა – მხარი დაუჭიროთ ჩვენ უფლებებს თანასწორობის წინააღმდეგ, იყოთ ზემდგომებთან და დაიცვათ ზომიერება ხელქვეითების მიმართ. დაფიქრდით კიდევ ერთხელ, როდესაც ჩვენ უკან ვიხევთ და განუწყვეტლივ უმეორეთ საკუთარ თავს, რომ მხოლოდ თქვენს ქვეყანაზე ფიქრობთ, რადგან ერთმა გადაწყვეტილება შეიძლება გადაგარჩინოთ ან გაგანადგუროთ.

მილოსელებმა დანებებაზე უარი განაცხადეს. ათენელები მილოსის ერთ-ერთი ქალაქის ბლოკირების მიზნით მის გარშემო კედელივით აღიმართნენ ათენელებმა ბრძოლის შემძლე ყველა მილოსელი იმქვეყნად გაისტუმრეს, ქალები და ბავშვები კი დაამონეს. თუკიდიდე დაწვრილებით აღწერს, რომ ქედმაღლუმა რიტორიკამ მილოსელებს ცუდი სამსახური გაუწია. ათენელების თქმით, ეს იყო მათი ყველაზე სუსტი მხარე, რამაც ისინი სულელებად წარმოაჩინა. ამაყმა მილოსელებმა სამართლიანობისა და მტყუან-მართალის გარჩევა დაიწყეს. ორი ათასი წლის შემდეგ თომას ჰობსმა იგივე აზრი განავითარა, როდესაც ამტკიცებდა, რომ ისეთ საზოგადოებაში, სადაც არ არსებობს „საერთო ხელისუფლება“ (*რასაც თანამედროვე რეალისტები „ანარქიას“ უწოდებენ*), „ბოროტებისა და სიკეთის, სამართლიანობისა და უსამართლობის ცნებები უადგილოა.“ მოკლედ რომ ვთქვათ, რეალისტები იზიარებენ თუკიდიდესა და ჰობსის შეხედულებებს, რომელთა თანახმადაც დამოუკიდებლობა და გადარჩენა დამოკიდებულია ძალაზე. ავიღოთ ათენელები, მათ საკუთარი ინტერესების გასატარებლად ფიზიკური ძალა გამოიყენეს.

9. **მსოფლიო პოლიტიკა როგორც სიკეთისა და ბოროტების მოქმედების არეალი.** რეალისტური შეხედულება, რომლის თანახმადაც მსოფლიო პოლიტიკაში სამართლიანობას ძალა აღემატება ხანდახან ჩნდება შეგრძნება, რომ რეალისტები სავსებით ამორალური ადამიანები არიან. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით მეოცე საუკუნის ცნობილი რეალისტი მოაზროვნე ჰანს მორგენტაუ (Hans Morgenthau): „პოლიტკური რეალიზმი აცნობიერებს პოლიტიკური ქმედების მორალური მნიშვნელობა“.[11] სინამდვილეში, რეალისტების უმეტესობა ეთანხმება მორალური კოდექსის ზოგიერ ვერსიას, რომელიც მათ ზოგიერი ქმედების ამორალურად შეეფასების საშუალებას აძლევს. მაგალითად, რეალისტების უმეტესობა ნაცისტურ ჰოლოკოსტს ბოროტებად მიიჩნევს.

თუმცა, პირად და სახელმწიფოებრივ მორალს ერთმანეთისგან განასხვავებენ. მორგენტაუს მტიცებით, სახელმწიფოებმა კეთილგონიერების პრინციპით უნდა იხელმღვანელონ: პოლიტიკური ქმედების (*ან უმოქმედობის*) გამოწვეული შედეგების გათვალისწინებით სახელმწიფოებმა საკუთარი აბსტრაქტული მორალური პრინციპების გამოყენება უნდა შეზღუდონ. მაგალითად, ინდივიდს შეუძლია ამაღლებული მორალური მიზნების გამო თავი გაწიროს, თუმცა სახელმწიფოები მსოფლიო პოლიტიკაში მორალური პრინციპებით ვერ იხელმძღვანელებენ, რადგან მათ არსებობას საფრთხე დაემუქრება. ინდივიდები ზნეობრივი კოდექსით მოქმედებენ, სახელმწიფოები კი ეროვნული ინტერესებით ხელმძღვანელობენ.

მორგენტაუს აზრით, სახელმწიფოს ინტერესების მორალურ მიზნებთან გაიგივება შეცდომაა. სახელმწიფოები და მათი ხელმძღვანელები საგარეო პოლიტიკაში კეთილშობილებისა და სიძულვილის ენას ხშირად იყენებენ. მაგალითად, თქვენ კეთილშობილური მიზნებით აწარმოებთ ომს, ისინი კი აგრესიული მიზნებით; თქვენ ადამიანის უფლებების დაცვას ცდილობთ, ისინი კი ეთნიკურ წმენდას ახორციელებენ; თქვენ სადავო საკითხების მშვიდობინი გზით გადაჭრას უჭერთ მხარს, ისინი კი ომსა და ძალადობას უპირატესობას ანიჭებენ. ამის მიუხედავად, რეალისტები მოგვიწოდებენ, რომ საკუთარ ქმედების გამართლებისა და ოპონენტების დემონიზირების მცდელობას ყოველთვის სკეპტიურად შევხედოთ. კონფლიქტებისა და ომების უმეტესობა მიწებისა და რესურსების ხელში ჩაგდების ან უსაფრთხოების გამო იწყება.

საქმე იმაში გახლავთ, რომ საერთაშორისო სისტემა თავისი არსით დესტრუქციულია, რასაც, თავის მხრივ, ხელს უწყობენ სახელმწიფოები და მათი ხელმძღვანელები. ლიდერებმა შეიძლება ამორალური გადაწყვეტილებები მიიღონ, თუმცა ზოგიერთმა მათგანმა შეიძლება უარი თქვას არაზნეობრივ მეთოდებზე. მართლაც, რეალისტების თქმით, აღქმამ, რომლის თანახმადაც მსოფლიო პოლიტიკა სიკეთისა და ბოროტების მოქმედების არეალი, შეიძლება სულ მცირე ორ პრობლემას შეგვაჯახოს: პირველი, ერთ სახელმწიფოს კეთილი მიზნები ამოძრავებს, მეორეს კი ბოროტი; მეორე, მსუბუქად გააკრიტიკო საკუთარი ქვეყნის პოლიტიკა, როდესაც იგი თანხვედრაში არ მოდის მაღალ და მუდმივ მორალურ სტანდარდებთან.

საბოლოოდ, რეალისტები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ თანამშრომლობისა და ცვლილებების შესაძლებლობა არსებობს.

10. **თანამშრომლობისა და ცვლილების შესაძლებლობა შეზღუდულია**. რეალისტურ პარადიგმასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ, საერთაშორისო ანარქიის პირველ ვარაუდს ეყრდნობა. საჭიროების შემთხვევაში ძალთა ბალანსის შექმნა, ომის გარდაუვალობა, სამართლიანობისა და ზნეობრიობის მინიმალური როლი მსოფლიო პოლიტიკაში განპირობებულია უმაღლესი ხელისუფლების არარსებობით, რომელიც შეინარჩუნებს წესრიგს, აღკვეთავს აგრესიას, ან სისრულეში მოიყვანს სამართლიანი და ზნეობრივი ქცევის გლობალურ ნორმებს. რეალისტების თქმით, ამ პარადიგმის თამაშიდან გაყვანა ნაკლებად სავარაუდოა.

როგორც რეალისტები აღიარებენ, სახელმწიფოებმა შეიძლება სხვადასხვა სფეროში – იქნება ეს ვაჭრობა, ადამიანის უფლებები თუ საერთაშორისო მშვიდობა – ერთმანეთთან ითანამრომლონ. თუმცა კანონის ფარგლებში ძალის გამოყენებით სუვერენული სახელმწიფოს განადგურება და შემდეგ რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციისათვის მართვის მონოპოლიის გადაცემა, საერთაშორისო სისტემისათვის დამახასიათებელ ანარქიას ვერ აღმოფხვრის. რეალისტები მტკიცებით, ძალაუფლების ასეთი გზით გადაცემა არა მხოლოდ ნაკლებად სარწმუნოა, არამედ ამის საჭიროება შეიძლება არც კი დადგეს დღის წესრიგში. ასეთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც დედამიწაზე სტაბილურობის შენარჩუნების ვალდებულებას აიღებს დიდი ალბათობით დემოკრატიის ნიმუშად ვერ ჩაითვლება. პირიქით, კონფლიქტებით მოცულ სამყაროში წესრიგის შენარჩუნება, სავარაუდოდ, უაღრესად მკაცრი და დიქტატურისაკენ მიდრეკილ ცენტრალური ხელისუფლების არსებობას არ საჭიროებებს, რომელიც, თავის მხრივ, დიდი ალბათობით ყველანაირ ძალადობრივ წინააღმდეგობას წარმოშობს. რეალისტების რწმენით, ასეთი მსოფლიო დღევანდელი მსოფლიოსავით არამიმზიდველი იქნებოდა.

ამგვარად, რეალისტები შიდა პოლიტიკასა და საერთაშორისო პოლიტიკას შორის მნიშვნელოვან განსხვავებას ხედავენ. შიდა პოლიტიკაში თანამშრომლობას კანონები და ცალკეულ აქტორებზე ზემდგომი ინსტიტუტების არსებობა განაპირობებს. თუმცა საერთაშორისო ურთიერთობებში უმაღლესი ხელისუფლების არარსებობის გამო ასეთი თანამშრომლობა და ფუნდამენტური ცვლილების შესაძლებლობა ყოველთვის შეზღუდული იქნება. მოგვწონს თუ არა ეს, ასეა მსოფლიო მოწყობილი (*აუცილებელი არ არის მოგწონდეს რეალისტების თვალით დანახული მსოფლიო*).

რეალიზმის ალტერნატივები

1-3 შეადარეთ და განასხვავეთ ლიბერალური, კონსტრუქტივისტული, ფემინისტური და ნეო-მარქსისტული პარადიგმები.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ პერიოდში სერთაშორისო ურთიერთობებში რეალიზმი დომინირებდა, ყველამ როდი გაიზიარა ამ პარადიგმის ვარაუდები. რეალიზმს ყოველთვის აკრიტიკებდნენ, თუმცა მისი კრიტიკა პოსტცივიომისეულ პერიოდში მკვეთრად გაძლიერდა. მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედის დრამატულმა მოვლენებმა – ცივი ომის დასასრული, დემოკრატიის საყოველთაო გავრცელება, ეკონომიკური გლობალიზაცია, 2001 წლის 11 სექტემბერის ტერორისტული აქტები – მრავალი კითხვა გააჩინა იმის შესახებ თუ რამდენად მოერგებოდა რეალიზმი ოცდამეერთე საუკუნეს. თუ თანამედროვე გლობალურ ლანდშაპში მიმდინარე განუწყვეტელი ცვლილებების ხარისხს გავითვალისწინებთ, გასაკვირი არ არის, რომ ოდესღაც გაბატონებული პარადიგმის აქტუალურობა ეჭვქვეშ დადგეს. ბოლოდროინდელი ერთერთი კვლევის თანახმად, საერთაშორისო ურთიერთობების თემაზე შექმნილი ლიტერატურის დაახლოებით ერთი მესამედი რეალისტური პარადიგმის გავლენას განიცდის.[12]

ამ ეტაპზე რეალიზმს არც ერთი პარადიგმის გამოწვევა არ მიუღია. მომდევნო თავებში ოთხ ალერნატიულ პარადიგმას განვიხილავთ. ესენია: ლიბერალიზმი, კონსტრუქტივიზმი, ფემინიზმი და ნეო-მარქსიზმი. ოთხივე მათგანი რეალიზმს უპირისპირდება. ყურადღებას გავამახვილებთ მათსა და რეალიზმს შორის არსებულ განსხვავებასა და მსგავსებაზე. ბოლოს კი ამ თავს არაპარადიგმული კვლევის არგუმენტის მოკლე განხილვით დავასრულებთ.

ლიბერალიზმი

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ პერიოდში მსოფლიო პოლიტიკაში გაბატონებულ პერსპექტივას ხშირად **იდეალიზმის (Idealism)** სახელით მოიხსენიებენ. იდეალისტებმა მსოფლიოს მართვასთან დაკავშირებული თუკიდიდესა და ჰობსის მრავალი შეხედულება, რომლებმაც მეოცე საუკუნის რეალისტებზე გარკვეული მსოფლმხედველობითი გავლენა მოახდინა, ეჭვქვეშ დააყენეს. რეალისტებისაგან განსხვავებით, იდეალისტებს მილიტარისტული მსოფლიოს ტრანსფორმაცია რეალურად ესახებოდათ, სადაც სახელმწიფოები მშვიდობიან გარემოში ითანამშრომლებდნენ. იდეალიზმის მიერ შემოთავაზებულ კეთილშობილურ, თუმცა უტოპიურ პერსპექტივას მსოფლიოს მართვის ფორმულასთან არაფერი აკავშირებდა. ზოგიერთი მეცნიერი თავს იდეალისტად მიიჩნევს. დღესდღეობით ამ პერსპექტივის მიმდევრები ორ განსხვავებულ პარადიგმას – ლიბერალიზი (*ვისაუბრებთ ამ თავში*) და კონსტრუქტივიზმი (*ვისაუბრებთ მომდევნო თავში*) – ეყრდნობიან.

იდეალიზმი – *პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდგომი პერიოდის მსოფლიო პოლიტიკაში გაბატონებულ პერსპექტივა, რომელიც რეალიზმისგან განსხვავებით, უგულებელყოფს ძალისმიერ პოლიტიკას.*

ლიბერალიზმი (Liberalism) უკვე დიდი ხანია რაც რეალიზმის საპირწონე პარადიგმად ითვლება. ლიბერალიზმი ასე თუ ისე იზიარებს რეალიზმის რამდენიმე ძირითად ვარაუდს. ლიბერალიზმი აღიარებს, რომ სახელმწიფოები მსოფლიო პოლიტიკის მთავარი აქტორები არიან და, ამავდროულად, მსოფლიო მთავრობის არარსებობის გამო საერთაშორისო სისტემის ანარქიულობას უსვამს ხაზს. ამის მიუხედავად, ლიბერალებს ამ ვარაუდებთან მიმართებით საკუთარი შენიშვნებიც გააჩნიათ. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოები მთავარი აქტორები არიან, ისინი მსოფლიო პოლიტიკის ერთადერთი მნიშვნელოვანი აქტორები არ არიან. ანარქია დღემდე

ლიბერალიზმი – *პარადიგმა, რომელიც საერთაშორისო თანამშრომლობას შესაძლებლად მიიჩნევს. იგი უპირისპირდება რეალისტურ ვარაუდს, რომელიც მსოფლიო პოლიტიკაში ძალის გამოყენებაზე აკეთებს მთავარ აქცენტს.*

არსებობს, თუმცა შესუსტებული ფორმით. რეალისტებისაგან განსხვავებით, ლიბერალები შემდეგ საკითხებს იზიარებენ

- თვითდახმარების გარდა გადარჩენის ალტერნატიული გზებიც არსებობს;
- არსებობს უსაფრთხოების დილემისაგან თავის დაღწევის შესაძლებლობა;
- მსოფლიო პოლიტიკაში არსებობს ზნეობრიობა და სამართლიანობა;
- არსებობს იმის ალბათობა, რომ ომი აქტუალურობას დაკარგავს;
- არსებობს სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის შესაძლებლობა.

მოკლედ რომ ვთქვათ, რეალისტებისაგან განსხვავებით, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მსოფლიო პოლიტიკაში ძალის გამოყენებას ალტერნატივა არ აქვს, ლიბერალებს მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა შესაძლებელია.

ლიბერალების აზრით, მთავარი ვარაუდი იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობა შეიძლება **აბსოლუტური მოგების (Absolute Gains)** წყარო გახდეს. რეალისტებთან კი პირიქითაა, პრობლემა **ფართობით მოგებასთან (Relative Gains)** არის დაკავშირებული. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ რეალისტები სახელმწიფოთა შორის ძალთა ბალანსით არიან დაინტერესებული. მთავარი ის კი არ არის, რომ შენი სახელმწიფო აბსოლუტურ სარგებელს იღებს, არამედ ის რომ რამდენად არის იგი სარგებლის მომტანი სხვა სახელმწიფოებთან შედარებით. ამგვარად, ასეთი რეალისტური პერსპექტივის თანახმად, თუ საერთაშორისო ვაჭრობა სახელმწიფოს გამდიდრებისა და კეთილდღეობის საშუალებას აძლევს, მაშინ ამ სახელმწიფომ წინდახედული ნაბიჯები უნდა გადადგას იმ შემთხვევაში თუ სხვა სახელმწიფოები უფრო გამდიდრდებიან და ეკონომიკურად გაძლიერდებიან. ეკონომიკურმა მდგრადობამ შეიძლება სამხედრო ძლიერების ზრდა განაპირობოს რაც, თავის მხრივ, საფრთხეს შეუქმნის პირველ სახელმწიფოს. ლიბერალები ფოკუსირებას აბსოლუტურ მოგებაზე აკეთებენ, რეალისტები კი ფართობით მოგებას ანიჭებენ უპირატესობას.

აბსოლუტური მოგება – *აბსოლუტური სარგებელი, რომელსაც სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთთანამშრომლობით იღებ და არ გადარდებს მათი მონაპოვარი.*

ფართობითი მოგება – *სარგებელი, რომელსაც სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთთანამშრომლობით იღებ და, ამავდროულად, მათი ბენეფიტებითაც ინტერესდები.*

ლიბერალების განსაკუთრებული ყურადღება აბსოლუტურ მოგებასა და სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის შესაძლებლობებზე შეიძლება დავუკავშიროთ პატიმრის დილემას (*იხ. პუნქტი მეხუთე. რეალისტური პარადიგმის შესახებ თავში*). აბსოლუტური მოგება პატიმრებსაც მაქსიმალურ სარგებელს მოუტანდა თუ ორივე მათგანი დუმილს შეინარჩუნებდა და უარს იტყოდა პოლიციასთან თანამშრომლობაზე. ასეთ შემთხვევაში ორივეს გაათავისუფლებდნენ. თუმცა, ყველა პატიმარს იმის ეშინია, როდესაც ერთი დუმილს ინარჩუნებს, ხოლო მეორე აღიარებით ჩვენებას იძლევა, მაქსიმალურად ზრდის თავის შეფარდებით მოგებას პატიმრის დუმილის ხარჯზე. რეალისტებისათვის რთულია ამ დილემისაგან თავის დაღწევა.

აზრთა სხვადასხვაობა ლიბერალთა შორისაც არსებობს. თანამშრომლობის შესაძლებლობასთან დაკავშირებულ მოსაზრებას იზიარებს ცნობილი პოლიტოლოგი რობერტ აქსელროდიც (Robert Axelrod), რომელიც პატიმრის დილემის სტრატეგიების (*რომელიც კომპიუტერულ სიმულაციებს ეფუძნება*) სწავლობს.[13] აზრი იმაში მდგომარეობს, რომ იფიქრო იმგვარად რასაც ის უწოდებს „იტერაციულ პატიმრის დილემას“, როდესაც თამაში ერთჯერადი მოვლენა კი არ არის, არამედ ერთი და იგივე მოთამაშეები რამდენიმეჯერ თამაშობენ თამაშს. რაც მან აღმოა-

ჩინა არის ის, რომ ნებისმიერს შეუძლია გამოავლინოს თანამშრომლობის მნიშვნელობა თამაშის დროს "tit for tat"-ის სტრატეგიის მეშვეობით. თითოეული ადამიანის ერთობლივი სტრატეგიით იწყებს. იგი სხვა მოთამაშეებს ბაძავს. მაგალითად, თუ სხვა მოთამაშეები უპირატესობას ანიჭებენ ერთობლივ არჩევანს თქვენც იგივეს აკეთებთ. თუ სხვა მოთამაშეები დეზერტირობენ და თანამშრომლობაზე უარს აცხადებენ თქვენც იგივეს აკეთებთ. საბოლოოდ, სხვა მოთამაშეები ხვდებიან, რომ თანამშრომლობა ხელს უწყობს თანაშრომლობის ზრდას, დეზერტირობა კი ბადებს დეზერტირობას. აქსელროდის წიგნის – თანამშრომლობის ევოლუცია" (The Evolution of Cooperation) – სახელწოდება ზუსტად რეზიუმირებს მოსაზრებას, რომლის თანახმადაც თანამშრომლობას შეიძლება მაშინაც კი ჩაეყაროს საფუძველი, როდესაც ამის ნიშან-წყალი არ ჩანს.

ვინაიდან სახელმწიფოთა შორის ურთიერთკავშირები ერთჯერადი მოვლენა არ არის, არამედ „იტერაციულია" მთელი რიგი საკითხთან დაკავშირებით, ლიბერალების მტკიცებით, თანამშრომლობის დაწყება საერთაშორისო ურთიერთობებშიც სავსებით რეალურია. მართლაც, საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის ურიცხვი მაგალითი მოიძებნება, რაც უგულებელყოფს უნდობლობასა და დეზერტირობასთან დაკავშირებულ რეალისტურ მოლოდინებს. ზოგიერთ შემთხვევაში თანამშრომლობა შეიძლება იმ ქვეყნებს შორის ჩამოყალიბდეს, რომლებსაც ხანგრძლივი მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდათ (*მაგალითად, შეერთებული შტატები და კანადა*). ასევე, შეთანხმებას შეიძლება იმ სახელმწიფოებაც მიაღწიონ, რომლებიც წლების მანძილზე ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ (*მაგალითად, ცივი ომის პერიოდში შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის დადებული შეთანხმებები შეიარაღების კონტროლის შესახებ*). შეზღუდული **ნდობის აღმდგენი ღონისძიებები (Confidence-Building Measures)** მოწინააღმდეგეებს თანამშრომლობი დაწყებისაკენ უბიძგებს. ასეთი ღონისძიებები (*მაგ. ჯარების გადაადგილების შეტყობინება ან შეიარაღებაზე მცირედი ლიმიტების დაწესება*) სახელმწიფოებს ერთმანეთისადმი ნდობის მოპოვებაში ეხმარება.

ნდობის აღმდგენი ღონისძიებები – *სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის განსამტკიცებლად გაფორმებული შეთანხმებები, რომლებიც მათ შორის ნდობისა და კონფიდენციალურობის გაღრმავებას ემსახურება. ეს ღონისძიებები ფართომასშტაბიანი კონფლიქტების მოგვარებისას მნიშვნელოვან როლს ასრულებს.*

ლიბერალები რეალისტებისაგან განსხვავებით, უფრო ოპტიმისტურად უყურებენ საერთაშორისო სისტემაში თანამშრომლობის შესაძლებლობას. ისინი იზიარებენ რეალისტებთან ვარაუდს, რომლის თანახმადაც საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ამ თანამშრომლობის ხარისხსა და არსზე. საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავ შირებით თანამედროვე ლიბერალური აზროვნების ფუძებმდებლად გერმანელი ფილოსოფოსი იმანუელ კანტი (Immanuel Kant) ითვლება. 1795 წელს გამოცემულ ნარკვევში – „ „მარადიული მშვიდობა" (Perpetual Peace) – კანტი ამტკიცებდა, რომ „გვერდიგვერდ მცხოვრებ ადამიანთა შორის მშვიდობა ბუნებრივი მდგომარეობა (status naturalis) არ არის; ბუნებრივი მდგომარება არის ომი. ეს უკანასკნელი ყოველთვის არ ნიშნავს უშუალო საომარ მოქმედებას. ომის პერმანენტული საფრთხეც მასთან არის დაკავშირებული". ამ მხრივ, გერმანელი ფილოსოფოსის, თომას ჰობსისა და თანამედროვე რეალისტების მოსაზრებები ემთხვევა. თუმცა ჰობსისა და დღევანდელი რეალისტებისაგან განსხვავებით, კანტი იმასაც ამბობოს, რომ მარადიული მშვიდობის დამყარება შესაძლებელია. კანტის თვალით დანახული მშვიდობა რამდენიმე ფაქტორისაგან შედეგებოდა: პირველი, უნდა დაარსდეს „თავისუფალ სახელწიფოთა ფედერაცია", რომლის წევრებიც საერთაშორისო წესრიგისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად იზრუნებდნენ; მეორე, კანტის შეხედულებით, „კომერციის სული" (the spirit of commerce) „ომს ვერ ეთვისება" და „ადრე თუ გვიან იგი ყველა

სახელმწიფოში მნიშვნელოვან პოზიციას დაიკავებს“; მესამე, რესპუბლიკური სახელმწიფოების შექმნა, როდესაც დამოუკიდებელი საკანონმდებლო ორგანო აღმასრულებელ ხელისუფლებას გააკონტროლებს.[14]

კანტის მარადიულ მშვიდობასთან დაკავშირებით თანამედროვე ლიბერალებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. პოლიტოლოგი მაიკლ დოილი (Michael Doyle) ლიბერალიზმს სამ ქვეჯგუფად ჰყოფს: ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი, ლიბერალური კომერციალიზმი და ლიბერალური ინტერნაციონალიზმი.[15]

ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი – *ლიბერალური პარადიგმის ქვეტიპი, რომლის თანახმადაც საერთაშორისო ინსტიტუტები: კანონი, რეჟიმები და საერთაშორისო ორგანიზაციები – ხელს უწყობენ ანარქიის შემსუბუქებასა და საერთაშორისო თანამშრომლობას.*

ლიბერალური ინსტიტუციონალიზმის მხარდამჭერები საერთაშორისო ინსტიტუტებს საერთაშორისო სისტემაში გამეფებული ანარქიის შემამცირებლებად მიიჩნევენ. ინსტიტუტებში იგულისხმება – „წესები, რომლებიც არეგულირებენ მსოფლიო პოლიტიკის საფუძვლებსა და ორგანიზაციები, რომლებიც ამ წესების იმპლემენტაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ“.[16] ამ ინსტიტუციონალისტური პერსპექტივის მთავარი ფაქტორი არის საერთაშორისო სამართლის ოფიციალური სისტემა, რომელიც არეგულირებს და ზღუდავს სახელმწიფოთა ქმედებას და ამგვარად ხელს უშლის მათ სუვერენულ უფლებას მოიქცნენ საკუთარი სურვილის თანახმად. ამ წესების პრაქტიკაში გასატარებლად იქმნება საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ითავსებენ კონტროლიორის ფუნქციას, უზრუნველყოფენ ამ წესების იძულებითი ფორმით აღსრულებას და ა.შ.

ლიბერალები კანტისეული მშვიდობის გზას მიუყვებიან. მიაჩნიათ, რომ საერთაშორისო სისტემაში მშვიდობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად უნდა დაარსდეს „თავისუფალ სახელმწიფოთა ფედერაცია“. გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა (*გაერო*) და მისი წინამორბედის, ერთა ლიგის, შექმნით კანტის იდეალი მეტნაკლები სრულყოფილებით განხორციელდა. ოცდამეერთე საუკუნეში უკვე ფუნქციონირებს საერთაშორისო სამართლის საყოველთაო ორგანო, ასევე ასობით საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლებიც სახელმწიფოთა ქმედებებს არეგულირებენ და მხარს უჭერენ მათ ისეთ საკითხებში როგორებიცაა საერთაშორისო ვაჭრობა, ადამიანის უფლებები, იარაღის გავრცელება და სხვ.

ამ ინსტიტუციური მშენებლობის მიზანია საერთაშორისო სისტემაში აქტორებს შეუქმნან შესაძლებლობა იმისათვის, რომ გასცდნენ ჰობსის ბუნებრივ მდგომარეობას. უსაფრთხოების დილემისაგან თავის დაღწევის შესაძლებლობას ეფექტური ინსტიტუტები უზრუნველყოფენ. მაგალითად, ორმხრივი უნდობლობის გამო ინდოეთ-პაკისტანის ბირთვული შეიარაღების გამალებული რბოლის შემცირება დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ზემოთქმულის მიუხედავად, საერთაშორისო ინსტიტუტები მათზე დაკისრებულ მოვალეობას თავს ბოლომდე ვერართმევენ.

ლიბერალური კომერციალიზმი – *ლიბერალური პარადგიმის ქვეტიპი, რომლის თანახმადაც სახელმწიფოებს შორის გაჩაღებული ვაჭრობა ხელს უწყობს ორმხრივ ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებას რაც, თავის მხრივ, ზრდის ღირებულებას და ამცირებს ომების ალბათობას.*

მიაქციეთ ყურადღება, რეალისტები და ლიბერალი ინსტიტუციონალისტები ერთსა და იმავე ვარაუდს იზიარებენ: სანამ ანარქია არსებობს, მსოფლიო პოლიტიკაში ძალის პრიმატი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი იქნება. ამის მიუხედავად, მათ დღესდღეობით მსოფლიოში მოქმედი ინსტიტუტების (*საერთაშორისო სამართალი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და სხვ.*) ეფექტურობის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები აქვთ.

ლიბერალური კომერციალიზმი (Liberal Commercialism) მხარდამჭერებიც იზიარებენ შეხედულებას, რომლის თანახმადაც სახელმწიფოებს შორის ნაკლებად პერმანენტული მშვიდობა შეიძლება ჰობსისეულმა ომის პერმანენტულმა მდგომარეობამ ჩაანაცვლოს. თუმცა ამ დროს მეტი ყურადღება ექცევა „კომერციის სულს“ და

ნაკლებად ინსტიტუციურ მშენებლობას. ვარაუდის თანახმად, კაპიტალისტურ, საბაზრო ეკონომიკაში ომი ბიზნესის განვითარებას უშლის ხელს. იგი ძირს უთხრის სარფიან ვაჭრობას და საინვესტიციო ამინდს, უარყოფითად მოქმედებს საზოგადოებების ეკონომიკურ მიღწევებზე, რასაც თავისუფალი ვაჭრობა და კომერცია უზრუნველყოფს. ამგვარად, სახელმწიფოები და კერძო სექტორი საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

მეოცე საუკუნის მიწურულსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში სწრაფად მზარდმა ეკონომიკურმა გლობალიზაციამ ლიბერალი კომერსანტების პოზიციის გამყარებას შეუწყო ხელი. მათი აზრით, საერთაშორისო ვაჭრობის, წარმოებისა და ინვესტიციის გაფართოება ფართომასშტაბიანი ომის დაწყების შანს ამცირებს. ამ მხრივ, ზოგიერთი ქვეყანა უგულებელყოფს ურთიერთდამოკიდებულების ტენდენციას და გლობალური ეკონომიკის ფარგლებს გარეთ (*მაგ. ჩრდილოეთი კორეა*) რჩება. ადრე თუ გვიანი ისინიც ინტეგრირდებიან გლობალურ სისტემაში.

ამერიკელმა ჟურნალისტმა და მწერალმა თომას ფრიდმანმა (Thomas Friedman) მკაფიოდ ჩამოაყალიბა ლიბერალური კომერციალიზმის შეხედულების პოპულარიზებული ვერსია თავის კომენტარებსა და გლობალიზაციის თემატიკაზე შექმნილ წიგნებში. მისი შეფასებით, გლობალიზაცია უზრუნველყოფს ომს, გეოპოლიტიკას და მსოფლიოს მართვასთან დაკავშირებულ რეალისტურ შეხედულებას.[17] ფრიდმანი ამტკიცებდა, რომ ორი ქვეყანა, რომელშიც „მაკდონალდსის“ რესტორნებია მიმოფანტული ან ორი ქვეყანა, რომელშიც „დელის“ კომპიუტერებს აწარმოებენ დიდი ალბათობით ერთმანეთს არ დაუპირისპირდებიან. ფრიდმანი ორ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას: პირველი, ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოები, რომლებშიც „მაკდონალდსის“ რესტორნებს მატერიალურად ეხმარებიან, ომის დროს დიდ ზარალს განიცდიან; მეორე, მათი ეკონომიკური კეთილდღეობა უშუალოდ დაკავშირებულია სხვა სახელმწიფოების დანაკარგებთან, რომლებიც „დელის“ კომპიუტერებით (*ან „აიფონებით“, ავტომობილებით ან სხვა პროდუქციით*) სარგებლობენ.

ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებისა და გლობალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით ლიბერალებსა და რეალისტებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ. ამ საკითხებს წინამდებარე წიგნის მეშვიდე თავში განვიხილავთ.

ლიბერალური ინტერნაციონალიზმი – დოილის თქმით, კანტის შეხედულება, რომლის თანახმადაც რესპუბლიკური მთავრობა „მუდმივი მშვიდობის“ მთავარი წყაროა, **ლიბერალური ინტერნაციონალიზმის (Liberal lnternationalism)** მხარდამჭერთათვის ამოსავალ წერტილად იქცა. კანტის მტკიცებით, იქ, სადაც მთავრობა მოქალაქეების თანხმობით ჩამოყალიბდა ომისადმი უარყოფითი დამოკიდებულება არსებობს, რადგან ომის სირთულე ამ მოქალაქეებს დააწვებათ კისერზე. სინამდვილეში კანტის თავისუფალ სახელმწიფოთა ფედერაციას წინ უძღოდა ვარაუდი, რომ მისი წევრები რესპუბლიკური მმათველობის ფორმას აირჩევდნენ და ომისადმი მიდრეკილებას არ გამოხატავდნენ.

ლიბერალური ინტერნაციონალიზმი – *ლიბერალური პარადიგმის ქვეტიპი, რომლის თანახმადაც შიდა რეჟიმი გავლენას ახდენენ სახელმწიფოს საგარეო ქმედებაზე. კერძოდ, იგი დაკავშირებულია დემოკრატიული მშვიდობის თეორიასთან.*

ამგვარად, ლიბერალური ინტერნაციონალისტური პერსპექტივის მიხედვით, მშვიდობის გასაღები რესპუბლიკების რაოდენობის გაზრდა ძევს. კანტი დემოკრატიას უფრთხოდა, რადგან მოქალაქეები უშუალოდ იღებდნენ გადაწყვეტილებებს. თუმცა თანამედროვე ლიბერალ-დემოკრატიული სახელმწიფოები კანტი რესპუბლიკური მთავრობის იდეას იზიარებენ. მეოცე საუკუნის მიწურულს განვითარებულმა ტენდენციებმა კანტის

მიმდევრებს ოპტიმიზმის მიზეზი მისცა, რადგან დემოკრატია ლათინურ ამერიკაში, აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, ასევე აზიისა და აფრიკის ქვეყანაში გავრცელდა. როგორც ამტკიცებენ, დემოკრატიული სახელმწიფოები ისტორიულად ერთმანეთს არ ეომებოდნენ. **დემოკრატიული მშვიდობის თეორიის (Democratic Peace Theory)** ზოგიერთი მხარდამჭერის მტკიცებით, კანტის ხედვა სულ უფრო და უფრო რეალური ხდება (*დემოკრატიული მშვიდობის თეორიასთან დაკავშირებით იხ. თავი მესამე და მეოთხე*).

დემოკრატიული მშვიდობის თეორია – *იდეა, რომლის თანახმადაც დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთს არ ეომებიან, საერთაშორისო სისტემაში დემოკრატიული მმართველობის გავრცელებამ კი შეიძლება ომის ანტიდოტის ფუნქცია იკისროს.*

დემოკრატიული მშვიდობის იდეა შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯორჯ უ. ბუშის (George W. Bush) ადმინისტრაციასთან დაკავშირებულმა მოაზროვნეებმა და პოლიტიკოსებმა ააღორძინეს ხელახლა. 2003 წელს აშშ-ის ერაყში შეჭრასთან დაკავშირებით ბუშის ადმინისტრაციის წევრებისა და მრჩევლების მიერ შემოთავაზებული მთავარი არგუმენტი დემოკრატიის აღმოცენებას უწყობდა ხელს. ვარაუდობდნენ, რომ ერაყელებს დემოკრატია სწყუროდათ და ამ მიზანს დემოკრატიის მთავარი დამაბრკოლებლის, სადამ ჰუსეინის, ხელისუფლებიდან ჩამოშორებით მიაღწევდნენ. იმედოვნებდნენ, რომ (*თუმცა უშედეგოდ*) ერაყში შექმნილი არაბული და ისლამური დემოკრატიის მოდელი მთელ რეგიონში გავრცელდებოდა. ძალის გამოყენებით დემოკრატიის დამყარება **ნეოკონსერვატიზმის (Neoconservatism)** ამოსავალი პრინციპია. მას ზოგჯერ ამგვარად ახასიათებენ: ლიბერალური მიზნების (*დემოკრატიული მშვიდობა*) განსახორციელებლად რეალისტური მეთოდების (*სამხედრო ძალა*) გამოყენება.

ნეოკონსერვატიზმი – *შეხედულება, რომლიც ჯორჯ უ. ბუშის ადმინისტრაციასთან დაახლოებულ ინტელექტუალებთან ასოცირდება. ნეოკონები ერაყში ომის დაწყებას გამართლებულად მიიჩნევდნენ. ამ შეხედულების თანახმად, დემოკრატიის გავრცელება დროდადრო სამხედრო ძალის გამოყენებითაც შეიძლება.*

კანტის სამკუთხედი ლიბერალური პერსპექტივის ყველაზე მძლავრი კონსტატაცია მაშინ იწყებს აღმოცენებას, როდესაც ზემოთ განხილული სამი ლიბერალური ქვევჯგუფის ძირითად ვარაუდებს ვაერთიანებთ. პოლიტოლოგები ბრიუს რასეტი (Bruce Russett) და ჯონ ონილი (John Oneal) მას **კანტის სამკუთხედის (Kantian Triangle)** სახელით მოიხსენიებენ. საერთაშორისო ინსტიტუტები, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება და დემოკრატია საერთაშორისო თანამშრომლობასა და მშვიდობას უზრუნველყოფენ (*იხ. დიაგრამა* 1.1).[18] ამგვარად, თუ ამ სამი ფაქტორიდან ერთიც ვერ შეძლებს მსოფლიოში მშვიდობის დამყარებასა და თანამშრომლობის უზრუნველყოფას, ისინი ერთობლივი ძალებით სამმხრივ იერიშს მიიტანენ საერთაშორისო ურთიერთობების ბუნებაზე.

კანტის სამკუთხედი – *იდეა, რომლის თანახმადაც საერთაშორისო ინსტიტუტები, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება და დემოკრატიის გავრცელება აძლიერებენ და მხარს უჭერენ ლიბერალურ ცნებებს, რომლებიც სახელმწიფოთა შორის მშვიდობასა და თანამშრომლობას განაპირობებენ.*

გარდა ამისა, ინსტიტუტები, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება და დემოკრატია არა მხოლოდ უზრუნველყოფენ მშვიდობას, არამედ ერთმანეთსაც აძლიერებენ ირიბად. დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთთან ვაჭრობას ანიჭებენ უპირატესობას და არა ავტორიტარულ რეჟიმებთან. ეს კი მათ ეკონომიკურ უერთიერთდამოკიდებულებას აძლიერებს. პოლიტოლოგების მტკიცებით, ეკონომიკური კეთილდღეობა დემოკრატიასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ეკონომიკური ურთიერთობების დარეგულირების მიზნით ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ინსტიტუტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ზრდას უწყობს ხელს. ოდესღაც დაარსებული ეს ინსტიტუტები უწყვეტი და არაკრიზისული ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გაგრძელებას უზრუნველყოფენ. ამგვარად, რასეტისა და ონილის დასკვნით, შიშის, უნდობლობისა და კონფლიქტის მანკიერი წრე, რომელიც რეალისტური „უსაფრთხოების დილემისათვის“ არის დამახასიათებელი, შეიძლება ორმხრივი ინტერესებისა და თანამშრომლობის „კეთილშობილურმა წრემ“ ჩაანაცვლოს, რაც კანტის სამკუთხედის სამი პუნქტის ერთობლივი გავლენითაა განპირობებული.[19]

კონსტრუქტივიზმი

კონსტრუქტივიზმი – *პარადიგმა, რომელიც მნიშვნელობას ანიჭებს იმ როლს, რომელსაც ადამიანური ფაქტორი, იდენტურობა და ნორმები ასრულებენ საერთაშორისო ურთიერთობების ბუნების „შექმნაში“.*

კონსტრუქტივიზმი (Constructivism) რეალისტების ბოლოდროინდელი გამოწვევაა. „კონსტრუქტივისტული შემობრუნება“ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში სათავეს იღებს შეერთებული ცივი ომის პერიოდის დასასრულიდან. კრიტიკოსების მტკიცებით, სამყაროს მართვის რეალისტურმა ხედვამ მოლოდინი ვერ გაამართლა და განმარტება ვერ მოუძებნა ცივი ომის მოულოდნელ, მშვიდობიან დასასრულსა და რუსულ-ამერიკული ურთიერთობების საოცარ გაუმჯობესებას. კონსტრუქტივისტების რწმენით, რეალიზმმა ვერც შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობების სიღრმისეულ გაუმჯობესებას მოუძებნა ახსნა და ვერც იმას მოჰფინა ნთელი თუ როგორ დააღწია ამ ორმა ქვეყანამ „უსაფრთხოების დილემას“, რომელშიც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში იყვნენ გამომწყვდეული. ორივე ქვეყანას ჰყავს სპეციალურად შექმნილი ძლიერი ტრადიციული და ბირთვული იარაღით აღჭურვილი შენაერთები ერთმანეთთან საბრძოლველად. რეალისტებმა პროგნოზის თანახმად, ორივე მხარე მაინც უსაფრთხოების შენარჩუნებას მიანიჭებს უპირატესობას.

კონსტრუქტივისტების თქმით, ლიბერალიზმიც ვერ განმარტავს ცივი ომის დასრულების მიზეზებს. ეკონომიკური სისტემის, უსაფრთხოების ფაქტორების, საერთაშორისო ვაჭრობისა თუ ფინანსური ურთიერთკავშირების მხრივ შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს არაფერი ჰქონდათ საერთო. ანალოგიურს ვერ ვიტყვით დასავლეთ ევროპასა და იაპონიაზე, რომლებთანაც აშშ მჭიდროდ თანაშრომლობდა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის უკანასკნელმა მმართველმა მიხეილ გორბაჩოვმა (Mikhail Gorbachev) 1980-იანი წლების მიწურულს ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების განხორციელა, ცივი ომის მიწურულს სსრკ-ს დემოკრატიული სახლმწიფოების რიგებში მაინც არ მოიაზრებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატებსა და საბჭოთა კავშირს მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებაზე ჰქონდათ ხელი მოწერილი და არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრებიც იყვნენ, არცერთ მათგანს არ ძალუძდა 1980-იანი წლების მიწურულს დაწყებული ურთიერთობების ცვლილების არსის განმარტება. მოკლედ რომ ვთქვათ, კანტის სამკუთხედის ვერცერთი პუნქტი ცალ-ცალკე ვერ ხსნის მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარ ყველაზე მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ცვლილებას.

დიაგრამა 1.1 კანტის სამკუთხედი

წყარო: Triangulating Peace: Democracy, Interdependence, and International Organizations by John R. Oneal and Bruce Russett (The Norton Series in World Politics, 2001), 35.



მიუხედავად იმისა, რომ რეალიზმს აკრიტიკებენ, კონსტრუქტივისტები ვალდებული არ არიან განიხილონ საერთაშორისო ურთიერთობების მართვასთან დაკავშირებული რეალისტური შეხედულება. მთელ რიგ შემთხვევაში კონსტრუქტივისტებიც აღიარებენ, რომ ძალაუფლებისაკენ სწრაფვა, თვითდახმარება და ომი თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების შემადგენელი ნაწილები არიან. მართლაც, გადაშალეთ ნებისმიერი ყოველდღიური გაზეთი და ამ ყველაფერში თავად დარწმუნდებით. რასაც კონსტრუქტივისტები ეჭვის თვალით უყურებენ არის რეალისტური ვარაუდები და განმარტებები იმის შესახებ თუ რა ფაქტორებმა განაპირობეს დღევამდელი რეალობა. განსაკუთრებით სამი პუნქტი აჯამებს კონსტრუქტივისტული პერსპექტივისა და განსხვავებების არსს:

1. *მატერიალური სტრუქტურა განსაზღვრული არ არის.* კონსტრუქტივისტები კამათობენ ყველაზე მნიშვნელოვანი რეალისტური ვარაუდის შესახებ, რომლის თანახმადაც ანარქია სახელმწიფოების ქმედებაზე გარდაუვალ გავლენას ახდენს. პოლიტოლოგ ალექსანდრე ვენდტს (Alexander Wendt) კი მიაჩნია, რომ „ანარქიის წარმოშობას თავად სახელმწიფოები უწყობენ ხელს.“[20] მისი თქმით, ანარქია რეალისტურ აგრესიულ სამყაროსა და თვიდახმარებას აღმოცენების საშუალებას აძლევს, თუმცა თავად ამას არ საჭიროებს. თვითდახმარების რეალისტური ფორმებით დაკავებული რეაგირებას ვახდენთ ანარქიაზე. ეს არის სოციალურად კონსტრუქტირებული პასუხები, რომლებიც ფორმირებულია ჩვენი საერთო გამოცდილებებით, გაგებებით და იდეებით იმის შესახებ თუ როგორ მოქმედებს მსოფლიო. იმის ნაცვლად, რომ პასიური ფორმებით მოახდინონ რეაგირება საერთაშორისო სისტემის იმპერსონალურ ლოგიკაზე, კონსტრუქტივისტები ადამიანის საქმიანობას უფრო დიდ როლს ანიჭებენ, ვიდრე რეალისტები. ისინი იმ სისტემას აყალიბებენ და აშენებენ რომელშიც ყოველდღიურ საქმიანობას ვეწევით.

   ვენდტის თქმით, ყურადღება უნდა მივაქციოთ ადამიანის საპასუხო ქმედების შესაძლო დიაპაზონს უცხო ცივილიზაციასთან კონტაქტისას. პირველმა რეაქციამ შეიძლება უცხოპლანეტელთა პირველივე კოსმოსურ ხომალდზე თავდასხმისაკენ გვიბიძგოს. თუმცა ასეთი რეაქცია დამოკიდებული იქნება იმაზე თუ როგორ ურთიერთობას დაამყარებენ ისინი ჩვენთან. მისი მტკიცებით, თუ კოსმოსური ხომალდებით მოსული უცხოპლანეტელები ნიუ-იორკს გაანადგურებდნენ ჩვენ ყველას ერთნაირი რეაქცია გვექნებოდა. ანალოგიური რამ შეიძლება ითქვას ჩვენს მიმართ მათი მშვიდობიანი გეგმების შესახებაც. მაშინაც ერთნაირი რეაქცია გვექნებოდა, როდესაც მათ მშვიდობიან მიზნებში დავრწმუნდებოდით. რასაკვირველია, მეორე შემთხვევის დროს სიფრთხილეს გამოვიჩენდით.

   ახლა კვლავ რეალურ სამყაროს დავუბრუნდეთ და ცივიომისეული ეპოქის რუსულ-ამერიკული ურთიერთობები ამერიკა-კანადის ურთიერთობებს შევადაროთ. ორივე ურთიერთობა საერთაშორისო ანარქიის სისტემაში არსებობს, თუმცა მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. ცივი ომის პერიოდში შეერთებული შტატების თვითდახმარების მცდელობები – მაგალითად, ბირთვული შეკავების განვითარება – შესაძლოა ხელს უწყობდა უსაფრთხოების დილემას, რაც რეალისტების თქმით, საბჭოთა კავშირის ქმედებებით იყო განპირობებული. შეერთებული შტატების ბირთვული იარაღი, რომელსაც თეორიულად

ოტავასა და ტორონტოს განადგურება შეეძლო, ასევე მიწის პირისაგან აღგვიდა მოსკოვსა და ლენინგრადს, თუმცა მსგავსი მოქმედების განხორციელების სურვილი კანადის მიმართ დღის წესრიგში არასოდეს დამდგარა. რატომ? კონტრუქტივისტების მტკიცებით, ამერიკელთა დამოკიდებულება ამ ქვეყნების მიმართ წარსული ურთიერთობებიდან, გამოცდილებებიდან ან მოტივებიდან იღებს სათავეს. კონსტრუქტივისტების დასკვნით, ანარქია მათი ურთიერთობის დამახასიათებელი ნიშნების არც განსაზღვრის და არც განჭვრეტის საშუალებას არ გვაძლევს.

ზოგიერთი რეალისტი ნაწილობრივ აღიარებს ამ მოსაზრებას. ძალთა ბალანსის ტრადიციული რეალისტური ცნების მოდიფიკაციით რეალისტმა პოლიტოლოგმა სტივენ უოლტმა (Stephen Walt) წამოაყენა თეორია, რომელის თანახმადაც სინამდვილეში სახელმწიფოებს **საფრთხის ბალანსი (Balance of Threat)** ამოძრავებს.[21]

საფრთხის ბალანსი – *ძალთა ბალანსის ცნების მოდიფიკაცია. იდეა, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს ქმედებაზე გავლენას ახდენს საფრთხის სუბიექტური შეფასება, როდესაც სხვა სახელმწიფოები მის ეროვნულ ინტერესებს ემუქრებიან.*

ძალთა ბალანსის ტრადიციული თეორიის მიხედვით, სახელმწიფოებს ერთმანეთის ეშინიათ, რაც მათი სამხედრო შესაძლებლობებითა და გეოგრაფიული სიახლოვით არის გამოწვეული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთ სახელმწიფოს თავის სიახლოვეს მდებარე ძლიერი სახელმწიფოებისადმი შიში ექნება. მხოლოდ ეს ობიექტური ფაქტორები აიძულებენ სახელმწფოებს ძალთა ბალანსისა და უსაფრთხოების დილემის დაცვას. საფრთხის ბალანსის იდეის თანახმად კი შესაძლებლობებისა და გეოგრაფიის გარდა არსებობს მესამე ფაქტორიც, რომელიც უნდა გაითვალისწინონ სახელმწიფოებმა. ეს არის გაცილებით ძლიერი მეზობლის გეგმების აღქმა. კანადელებს შეერთებული შტატების არ ეშინიათ, რადგან მიაჩნიათ, რომ სამხრეთელ მეზობლს მათ მიმართ აგრესიული განზრახვა არ ამოძრავებს. ობიექტური მატერიალური პირობების გაერთიანებით, ასევე, მიზნებისა და იდენტური თვისებების განხილვით, საფრთხის ბალანსის იდეა თავს უყრის რეალისტურ და კონსტრუქტივისტულ ვარაუდებს. ეს კი იმის ნათელი მაგალითია, რომ სხვადასხვა პარადიგმის მხარდამჭერი მეცნიერები ერთმანეთზე გარკვეულ გავლენას ახდენენ.

2. *ნორმები და იდეები მნიშვნელოვანია.* კონსტრუქტივისტების რწმენით, ქცევის იდეები და ნორმები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადამიანის ქმედების ფორმირებაში. განვიხილოთ ხანძრის შემთხვევა ხალხით გადავსებულ თეატრში, რომელშიც მხოლოდ ერთი გასასვლელია.[22] თეატრი იმ ადგილას მდებარეობს, სადაც მიღებული ნორმის თანახმად, პირველად ქალებსა და ბავშვებს აძლევენ გასვლის საშუალებას? თეატრში მყოფი ადამიანები ერთმანეთს არ იცნობენ? იქნებ ეს აუდიტორია შედგება სკოლის მოსწავლეებისაგან, რომლებიც თეატრში უფროსებთან ერთად იმყოფებიან? ხანძრის მიმართ შეიძლება სავსებით განსხვავებული რეაქციები გამოხატონ. ეს მდგომარეობა (*ანუ ხანძარი და ერთი გასასვლელი*) ამ შეთხვევაში მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყოფს ადამიანის ქცევის პირველმიზეზს. თქვენ ასევე უნდა იცოდეთ თუ რომელ კულტურულ ნორმებს იზიარებენ ადამიანები.

კონსტრუქტივისტების აზრით, იდეის ცვლილების ძალა და მსოფლიოს აღქმა ცივი ომის დასრულების მიზეზის გაცნობიერებას უზრუნველყოფს. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი მიხეილ გორბაჩოვი მსოფლიოს მართავასთან დაკავშირებულ ტრადიციულ ვარაუდებსა და იდეებს არ ეთანხმებოდა. საგარეო ურთიერთობებში მისი „ახალ

აზროვნება“ ტრადიციულ რეალისტურ აზროვნებას უპირისპირდებოდა:

- ეროვნული უსაფრთხოება დაკავშირებულია საერთაშორისო უსაფრთხოებასთან; თავს უსაფრთხოდ ვერ იგრძნობთ თუ სხვები დაუცველი იქნებიან.
- ეკონომიური ძალაუფლება, როგორც საერთაშორისო უსაფრთხოების წყარო, სამხედრო ძალაუფლებაზე მნიშვნელოვანია.
- გარემოს დაბინძურებასა და ბირთვულ ომთან დაკავშირებული გლობალური პრობლემები საფრთხეს უქმნის მსოფლიოს. მათ გადასაჭრელად მთელი ჩვენი ძალები უნდა გავაერთიანოთ. ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მხოლოდ თვითდახმარება არ კმარა.

რეალისტების თქმით, „ახალი აზროვნება“ იმდროინდელი საბჭოთა კავშირის შიდა სისუსტემ და შეიარაღებულ რბოლაში ჩამორჩენამ განაპირობა. რატომ აირჩია გორბაჩოვმა პრობლემების გადაწყვეტის მშვიდობიანი გზა? თუ კონსტრუქტივისტებს ვერწმუნებით, მისმა „ახალმა აზროვნებამ“ ტრადიციულ რეალისტებს ალტერნატივა შესთავაზა. თუ მსოფლიოს რეალისტების თვალით შევხედავთ, ჩვენც მათ იდეებს გავიზიარებთ. მაგრამ თუ გორბაჩოვის მსგავსად მსოფლიოს მართვის მეთოდებს გადავაფასებთ, მაშინ ამ სამყაროსაც შევცვლით.

3. *იდეების განვითარებას ინდივიდები და არასახელმწიფო აქტორები უწყობენ ხელს.* გორბაჩოვს ახალი არაფერი უთქვამს. მისი გაჟღერებული იდეები წლების მანძილზე მეცნიერთა, ადამიანის უფლებებისა და მშვიდობის დამცველ აქტივისტებს შორის მუსირებდა. ამ საკითხებზე სხვადასხვა საერთაშორისო და არასათავრობო ორგანიზაციაც მუშაობდა კონსტრუქტივისტი მეცნიერები განსაკუთრებულ ყურადღებას **ტრანსნაციონალური მხარდამჭერი ჯგუფების (Transnational Advocacy Networks)** – ცალკეული პირებისა და ტრანსნაციონალური ორგანიზაციების წარმომადგენელთა ნაზავი, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საერთო ფასეულობებით, დისკურსიით, ასევე ინფორმაციისა და მომსახურების ხშირი გაცვლით – წარმოშობაზე ამახვილებენ. სწორედ ამაში მდგომარეობს იდეებისა და ნორმების ძალა. კონსტრუქტივისტები მსოფლიოს შესახებ რეალისტური და ლიბერალური შეხედულებების გაზიარებას არ გვირჩევენ.

ტრანსნაციონალური მხარდამჭერი ჯგუფები – *ცალკეული პირებისა და ტრანსნაციონალური ორგანიზაციების წარმომადგენელთა ნაზავი, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საერთო ფასეულობებით, დისკურსიით, ასევე ინფორმაციისა და მომსახურების ხშირი გაცვლით.*

პოლიტოლოგ მარკ ლინჩის (Marc Lynch) მტკიცებით, ოსამა ბენ ლადენი და „ალ-ქაიდა“ ნამდვილი კონსტრუქტივისტები იყვნენ. მათ კარგად ესმოდათ, რომ დასავლეთის წინააღმდეგ წამოწყებული ომის შედეგი განისაზღვრებოდა არა მხოლოდ სამხედრო ძალით, არამედ სხვა არსებული შესაძლებლობებითაც. როგორც ჩანს, „ალ-ქაიდას“ სტრატეგია, დაფუძნებულია ვარაუდზე, რომლის თანახმადაც გაიმარჯვებს ის მხარე, რომელიც განავითარებს და ხელს შეუწყობს ნარატივს, რომელიც ნათელს ჰფენს ისლამსა და დასავლეთს შორის არსებული ურთიერთობის არსს. ლინჩის განცხადებით, „ალ-ქაიდა“ ისლამური იდენტობის წახალისებას ცდილობდა“, რათა განესაზღვრა მუსულმანთა ინტერესები, რომლებიც „დიდ როლს შესასრულებდნენ დასავლეთთან კონფრონტაციის დროს“. ასევე, ყურადღებას ამახვილებდა „რელიგიის მნიშვნელოვნებაზე პოლიტიკური ცხოვრების ყველა ასპექტში“ და „ჩარჩოში აქცევდა მსოფლიო პოლიტიკას და მას ცივილიზაციათა შეჯახებად აღიქვამდა“.[24] რასაკვირველია ეს იმას არ გულისხმობს, რომ კონსტრუქტივისტები „ალ-ქაიდას“ უჭერენ მხარს.

შეერთებული შტატების პრეზიდენტი რონალდ რეიგანი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი მიხეილ გორბაჩოვი ხელს აწერენ საშუალო დიაპაზონის ბირთვული იარაღის შეზღუდვის ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულებამ (1987 წ.) ცივი ომით გამოწვეული დაძაბულობის შემცირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. რეალისტები, ლიბერალები და კონტრუქტივისტები როგორც ახსნა მოუძებნიდნენ ცივი ომის დასასრულს?

კონსტრუქტივიზმი არც იდეოლოგიაა და არც პოლიტიკური შეხედულება. იგი ერთ-ერთი პარადგიმაა, ერთგვარი ჩარჩო, რომლის მეშვეობითაც ადამიანები სამყაროს შეცნობას ცდილობენ. სხვა პარადგიმის მსგავსად, კონსტრუქტივიზმიც ჩვენთვის არასასურველი მოვლენების აღქმაში გვეხმარება (*იხ. თეორია პრაქტიკაში* 1.2).

კონსტრუქტივისტები არ ეთანხმებიან ლიბერალების ვარაუდს, რომლის თანახმადაც სახელმწიფოთა ქმედების ცვლილება შეიძლება საერთაშორისო ინსტიტუტებსა და სტრუქტურებში მანამდე წარმოშობილმა ცვლილებამ განაპირობოს. ლიბერალების შეხედულებით, ანარქიის განადგურებას საერთაშორისო სამართლის ეფექტური სისტემა, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდა და დემოკრატიის გავრცელება უზრუნველყოფს.

ფემინიზმი

ფემინიზმი ქალების მამაკაცებთან უფლებრივ გათანაბრებას ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ მთელ მსოფლიოში ქალების საზოგადოებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. სასიკეთო ძვრები ბევრ ქვეყანაში შეინიშნება. ქალებს ეძლევათ განათლების მიღების საშუალება, იწყებენ მუშაობას, ინიშნებიან სახელისუფლო თანამდებობზე და ა.შ. ამის მიუხედავად, საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები ჯერ კიდევ მამაკაცთა მოქმედების ასპარეზად რჩება.

პოლიტიური თვალსაზრისით, ფემინიზმის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა ქალებისათვის გზა გაეხსნა სახელისუფლო ვერტიკალისკენ. ამ საკითხთან დაკავშირებით ქალებისა და მამაკაცების უმეტესობა, რომლებიც თავს ფემინისტებად მიიჩნევენ, სავარაუდოდ, ერთმანეთს ეთანხმებიან. თანამდებობებზე მოკალათებული ქალები მამაკაცებს არაფრით ჩამოუვარდებიან. რეალისტების მტკიცებით, ამერიკის ნებისმიერ პრეზიდენტი, იქნება ეს ქალი თუ კაცი დაუპირისპირდება იგივე საერთაშორისო სისტემას, იგივე ძალთა ბალანსსა და ეროვნულ ინტერესებსაც დაიცავს. ამგვარად, გენდერულ სხვაობას დიდი მნიშვნელობა არ მიენიჭება. რეალისტები იმასაც ამბობენ, რომ ერთსა და იმავე დროს შეიძლება იყო ქალი, ფემინისტი და რეალისტი.

ფემინიზმი – *პარადიგმა, რომლის თანახმადაც (1) პოლიტიკურ თანამდებობებზე ქალების დანიშვნამ შეიძლება მსოფლიო პოლიტიკის ცვლილებაზე გარკვეული გავლენა მოახდინოს, (2) ტრადიციული მეცნიერება, განსაკუთრებით რეალიზმი, საერთაშორისო ურთიერთობებში გენდერულ პერსპექტივას გამოხატავს.*

თეორიული თვალსაზრისით, საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერულ დისციპლინაში **ფემინიზმის (Feminism)** შესახებ ორ მნიშვნელოვან მოსაზრებას ვაწყდებით: პირველი, ტრადიციულად, საერთაშორისო ურთიერთობები მამაკაცების სფეროა; მეორე, პოლიტიკურ თანამდებობებზე ქალების დანიშვნამ შეიძლება მსოფლიო პოლიტიკის ცვლილებაზე გარკვეული გავლენა მოახდინოს.

ფემინიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში მოგვიანებით გამოჩნდა (1980-*იანების მიწურულსა* და 1990-*იანი წლების დასაწყისში*), ვიდრე სხვა სფეროებში. საერთაშორისო ურთიერთობების ზოგიერთი სპეციალის-

თეორია პრაქტიკაში 1.2
ობამა კონსტრუქტივისტია?

ბარაკ ობამამ შეფასებამ, როდესაც „ალ-ქაიდა“ და „ისლამური სახელმწიფო“ „მოძალადე ექსტრემისტებად“ მოიხსენია და არა „მუსულმან ექსტრემისტებად“, დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია. კრიტიკოსებმა პრეზიდენტის სიტყვებში შეუსაბამო პოლიტკორექტულობა ამოიკითხეს. მათი თქმით, ობამა სათანადოდ ვერ აფასებდა საფრთხეს, რომელიც დასავლეთს ამ დაჯგუფებებისგან ემუქრება. კრიტიკოსებისაგან განსხვავებით, ობამას მხარდაჭერები სხვაგვარად აფასებენ მის სიტყვებს. მათი თქმით, პრეზიდენტის სიტყვებში არც საფრთხისადმი მიმამიტური დამოკიდებულება გამოსჭვივოდა და არა პოლიტკორექტულობა. მოკლედ რომ ვთქვათ, ობამამ თავი აარიდა „ალ-ქაიდასა“ და „ისლამური სახელმწიფოს“ ნარატივს ისლამურ სამყაროსა და დასავლეთს შორის წარმოშობილი ცივილიზაციათა შეჯახების თაობაზე. განვიხილოთ მისი სიტყვები:

> „ალ-ქაიდა“, „ისლამური სახელმწიფო“ და მათი იდეების გამზიარებელი სხვა უკანონო დაჯგუფები რელიგიურ ლიდერებად – ისლამის დამცველ წმინდა მეომრებად წარმოჩენას ცდილობენ. „ისლამური სახელმწიფო“ თავს უფლებას აძლევს საჯაროდ განაცხადოს, რომ იგი „ისლამური სახელმწიფოა“. ისინი ავრცელებ აზრს, რომ ამერიკა და ზოგადად დასავლეთი ისლამს ებრძვის. სწორედ ასეთი მეთოდებით ცდილობენ ისინი ახალგაზრდების რადიკალიზაციასა და გადაბირებას. ჩვენ მათ მცდარ შეხედულებებს არასოდეს დავეთანხმებით. ჩვენ ამ ტერორისტებს რელიგიური ლეგიტიმაცია არ უნდა მივანიჭოთ. ისინი რელიგიური ლიდერები კი არა ტერორისტები არიან. ჩვენ ისლამს არ ვებრძვით. ჩვენ ვებრძვით იმ ადამიანებს, რომლებმაც ისლამი დაამახინჯეს.“

ობამას სიტყვები მიანიშნებს, რომ მას „ისლამური სახელმწიფოს“ დამარცხება მუსულმანურ იდენტობასთან დაკავშირებული ნარატივის დამარცხებად მიაჩნდა. საუბარი ასევე ეხება ისლამის სახელით „ისლამური სახელმწიფოს“ ჩადენილი მხეცობების წინააღმდეგ შემლებული ნორმების მხარდაჭერას. პრეზიდენტმა ყურადღება ასევე გაამახვილა კონკურენტ *ნარატივებზე*, სუბიექტური *იდენტობის* საკითხებსა და ზნეობრივ-პოლიტიკურ *ნორმებზე*. ობამამ კონსტრუქტივისტის შთაბეჭდილება დატოვა.

- თქვენი აზრით, ობამა მართალი იყო, როდესაც მათ „ისლამისტი ექსტრემისტების“ ნაცვლად „მოძალადე ექსტრემისტები“ უწოდა?
- თქვენი აზრით, ვინ იგებს კონკურენტი ნარატივების ბრძოლას, რომელიც „ისლამურ სახელმწიფოსა“ და დასავლეთს შორის მიმდინარეობს?
- თქვენი აზრით, როგორ საგარეო პოლიტიკას ატარებდა ობამა რეალისტურს, ლიბერალურს თუ კონსტრუქტივისტულს? შეგიძლიათ აღმოაჩინოთ თითოეული მათგანის ანარეკლი ობამას პოლიტიკაში?

წყარო: “Remarks by the President in Closing of the Summit on Countering Violent Extremism,” February 18, 2015, http://www.whitehouse.gov/the-press-office/2015/02/18/remarks-president-closing-summit-countering-violent extremism.

ტი ფემინიზმს ჯერ კიდევ არ მოიხსენიებს განვითარებულ პარადიგმად. ზოგიერთი მეცნიერი კი მას კონსტრუქტივიზმის ქვეკატეგორიად მიიჩნევს. სხვები, მათ შორის ზოგიერთი ფემინისტი მეცნიერი მას ცალკე პარადიგმად მიიჩნევენ, ვიდრე პერსპექტივად, რომელიც ადამიანებს სხვა პარადიგმების აღქმაში ეხმარება.[25] მრავალი მეცნიერი (*ფემინისტები და არაფემინისტები*) თქმით, ბოლო წლებში ფემინისტების კრიტიკული შენიშვნები უზრუნველყოფენ გარკვეულ პარადიგმატულ საფუძველს იმასთან დაკავშირებით თუ როგორ ოპერირებს მსოფლიო.[26] ამ თვალსაზრისის დახმარებით, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მოღვაწე მეცნიერების მიერ ჩატარებულმა ბოლოდროინდელმა მასშტაბურმა კვლევამ აჩვენა, რომ მეცნიერები ფემინიზმისადმი (*რეალიზმთან, ლიბერალიზმთან, კონსტრუქტივიზმსა და მარქსიზმთან ერთად*) დიდ დაინტერესებას იჩენენ.[27]

საერთაშორისო ურთიერთობების ყველა სხვა პარადიგმის ადეპტების მსგავსად, აზრთა სხვადასხვაობა მრავალ საკითხში ფემინისტთა შორისაც არსებობს. თუმცა, გენდერის თაობაზე გამართულ განხილვებში ყოველთვის მონაწილეობენ. „სქესისგან“ განსხვავებით, რომელიც ბიოლოგიური კონცეფციაა, „გენდერი“ დაკავშირებულია სამყაროს აღქმისა და ურთიერთქმედების სოციალურ ვალდებულებებსა და საშუალებებთან. ფემინისტი მეცნიერების აზრით, გენდერის განხილვის უგულებელყოფით, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას ახასიათებს ვარაუდების სრულყოფილება საერთაშორისო ქცევის შესახებ, რომელიც ფაქტიურად ეფუძნება კონკრეტულ გენდერულ პერსპექტივას. ამავდროულად, ამ გენდერულმა პერსპექტივამ მეცნიერების ყურადღება სხვადასხვა პრობლემაზე მიაპყრო.

რეალიზმი როგორც გენდერული პერსპექტივა ფემინიზმი რეალიზმს ძირითადად მამაკაცურ პერსპექტივად მიიჩნევს – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „გენდერული პერსპექტივა“. ფემინისტი მეცნიერის, ჯეი. ენ ტიკნერის, (J. Ann Tickner) აზრით, რეალიზმის მთავარი ვარაუდები – ანარქია, სუვერენული სახელმწიფოების დომინანტური როლი და თვითდახმარების საჭიროება სინამდვილეში მამაკაცური საწყიებიდან იღებს სათავეს.[28] მაგალითად, ტიკნერი ამტიცებს, რომ რეალისტური პარადიგმის ზოგიერთი „ფუნდამენტური მითი“ როგორიცაა ბუნებრივ მდგომარეობაში ადამიანების ქცევასთან დაკავშირებული ჰობსისეული აღქმა მიუთითებს ადამიანის ქცევაზე, რომელიც მამაკაცების სავარაუდო ქცევაზეა დაფუძნებული.[29]

გარდა ამისა, ფემინისტები იმასაც ამტკიცებენ, რომ გენდერის განხილვების უგულებელყოფითა და, განსაკუთრებით, ძალაუფლებაში გენდერული უთანასწორობით და განსხვავებულობით, რეალისტები უგულებელყოფენ ქალის როლს მსოლფიო პოლიტიკაში. რეალისტურ სამყაროში, სადაც მნიშვნელობა ძალის პრიმატს ენიჭება, ქალებსა და ბავშვებზე მსოფლიო პოლიტიკის გავლენასთან, უთანასწორობასა და სიღარიბესთან დაკავშირებული საკითხები ყურადღების მიღმა რჩება. ფემინისტი სინტია ენლოუს (Cynthia Enloe) თქმით, მსოფლიო პოლიტიკა სახელმწიფოთა შორის მხოლოდ მაღალი დონის ურთიერთობებით არ გამოიხატება. იგი ადამიანების ყოველდღიურობაზეც ახდენს გავლენას.[30]

ფემინისტი მეცნიერების თქმით, რეალიზმის დომინირება მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში, ნაწილობრივ, იმ ფაქტითაც გამოიხატება, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში მამაკაცები დომინირებენ. 2012 წელს ჩატარებულ კვლევისას დაახლოებით სამი ათას ხუთასმა საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარმა ოცი ქვეყნიდან დაასახელა ოთხი მეცნიერი, რომლებიც უდიდესი გავლენით სარგებლობდნენ ამ

სფეროში ბოლო ოცი წლის მანძილზე. ოც გავლენიან მეცნიერს ტაბულა 1.3-ში იხილავთ. ამ ცხრილში მამაკაცები სჭარბობენ. ჩამონათვალში მხოლოდ ორი ქალბატონია (№15 *ფინმორი*; №19 *სთრეინჯი*). ამ კვლევის ანგარიშის თავდაპირველ ვერსიაში (2004 *წ.*) ქალები საერთოდ არ ფიგურირებდნენ

მამაკაცების დომინირება გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო. ბოლო წლებში სულ უფრო მეტი ქალი ეუფლება ფილოსოფიის დოქტორის ხარისხს სერთაშორისო ურთიერთობებში, ასე რომ მსგავსი კვლევა, რომელიც ოცი წლის შემდეგ ჩატარდება, სავარაუდოდ, ძალიან განსხვავებული იქნება. ამ ნუსხაში მოცემული ყველა მეცნიერი რეალისტი არ არის. პირველი სამეული – უენდტი კონსტრუქტივისტია, კეოჰეინი ლიბერალი, უოლცი კი რეალისტი. ფემინისტების განცხადებით, გენდერის მრავალფეროვნების არასებობამ მეოცე საუკუნეში გარკვეულწილად ჩამოაყალიბა საერთაშორისო ურთიერთობების სფერო.

საგარეო პოლიტიკის შემუშავება როგორც მამაკაცების საქმიანობა

2015 წლის იანვრის მონაცემებით, მხოლოდ სუსტი სქესის ათ წარმომადგენელს ეკავა სახელმწიფოს ხელმძღვანელის პოსტი, თხუთმეტი კი მთავრობას მეთაურობდა. ეს რიცხვი ნამდვილად ძალიან დაბალია, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მსოფლიოში დაახლოებით ორასი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.[31] გარდა ამისა, მთელი მსოფლიოში მინისტრების (*მაგ. განათლების ან ჯანდაცვის სფეროები*) ან მთავრობის მეთურთა ჩვიდმეტი პროცენტი ქალბატონია. რამდენიმე მათგანი საგარეო საქმეთა მინისტრია, ზოგსაც თავდაცვის მინისტრის პორტფელი აბარია.[32]

ფემინისტები შემდეგ კითხვას სვამენ: „რამდენად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით პოლიტიკის შემმუშავებელთა უმეტესობა მამაკაცია“?[33] მაგალითად, გლობალური საკითხების გადაწყვეტისას ქალები უფრო აგრესიულობით გამოირჩევიან თუ მათი კოლეგა მამაკაცები?

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, განსხვავება სქესშია. პოლიტოლოგ ფრენსის ფუკუიამას (Francis Fukuyama) მტკიცებით, ძალადობისაკენ მამაკაცები უფრო არიან მიდრეკილი, რაც მათი სქესიდან გამომდინარეობს.[34] ფუკუმიანა, რომელიც ბიოლოგიაზე (*სქესი*), როგორც გენდერის საპირწონეზე, ამახვილებდა ყურადღებას, ფემინისტი ნამდვილად არ არის. შეგახსენებთ, რომ ფემინისტებისათვის მნიშვნელოვანია გენდერის როლი და ნორმები და არა ბიოლოგია ან სქესი. ფემინისტი მეცნიერები ეთანხმებიან იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების წესები მამაკაცური შეხედულების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა. ხელისუფლების სადავეებთან უფრო მეტი ქალის დგომა მსოფლიოს კიდევ უფრო მშვიდობიანს გახდიდა.

სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობასთან დაკავშირებით ფემინისტები ლიბერალების შეხედულებას იზიარებენ. მართლაც, ფუკუიამა „დემოკრატიული მშვიდობის“ ლიბერალური თეორიისა და ფემინისტური თეორიის ასპექტებს შორის კავშირებს ხედავს. იგი ამტკიცებს, რომ მთავარი მიზეზი იმისა თუ რატომაც არ ეომებიან დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთს იმაში მდგომარეობს, რომ ქალებს პოლიტიკაში არც თუ ისე უმნიშვნელო პოზიციები უკავიათ. ამ მოვლენას ფუკუიამა „პოლიტიკის ფემინიზაციას“ უწოდებს. სწორედ პოლიტიკის ფემინიზაცია განაპირობებს უფრო მშვიდობიანი მსოფლიო საზოგადოების არსებობას

სხვა ფემინისტების მტკიცებით, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასევე მოლაპარაკებებსა და დიპლომატიაში ქალების უფრო მეტი ჩართულობა მშვიდობისაკენ გადადგმული კიდევ ერთი ნა-

ტაბულა 1.3 ყველაზე გავლენიანი მეცნიერები. მამაკაცების სამყარო?

1. ალექსანდრე ვენდრტი (Alexander Wendt)
2. რობერტ კოჰეინი (Robert Keohane)
3. კენეტ უოლცი (Kenneth Waltz)
4. ჯოზეფ ნაი (Joseph Nye)
5. ჯონ მირშაიმერი (John Mearsheimer)
6. ჯეიმს ფირონი (James Fearon)
7. სამუელ ჰანტინგტონი (Samuel Huntington)
8. რობერტ კოქსი (Robert Cox)
9. ბარი ბუზანი (Barry Buzan)
10. პიტერ კაცენშტეინი (Peter Katzenstein)
11. ბრიუს ბუენი დემესქიტა (Bruce Bueno de Mesquita)
12. რობერტ ჯერვისი (Robert Jervis)
13. სტივენ უოლტი (Stephen Walt)
14. სტივენ კრასნერი (Stephen Krasner)
15. მარტა ფინმორი (Martha Finnemore)
16.ჯონ იკენბერი (John Ikenberry)
17. ბრიუს რასეტი (Bruce Russett)
18. ჯონ რაგი (John Ruggie)
19. სუზან სთრეინჯი (Susan Strange)
20. ჯეიმს როზენაუ (James Rosenau)

წყარო: Daniel Maliniak, Susan Peterson, and Michael J. Tierney, "TRIP around the World: Teaching, Research, and Policy Views of International Relations Faculty in 20 Countries," May 2012, Institute for the Theory and Practice of International Relations, The College of William and Mary, 34, https://www.wm.edu/offices/itpir/_documents/ trip/trip_around_the_world_2011.pdf.

ბიჯი იქნებოდა. მეცნიერი/აქტივისტები სვანი ჰანტი (Swanee Hunt) და კრისტინა პოსა (Cristina Posa) ფემინისტების ამ განცხადებას მხარს უჭერენ და იმ შემთხვევებზე მიუთითებდნენ – ჩრდილოეთი ირლანდია, ინდოეთის სუბკონტინენტი, ახლო აღმოსავლეთი და ბალკანეთი, როდესაც ქალებმა ძველი ეროვნული და ეთნიკური კონფლიქტის დარეგულიებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს.[35] გავრცელებული ინფრმაციით, შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა (Bill Clinton) 2000 წელს ისრაელსა და პალესტინას შორის გამართული მორიგი წარუმატებელი სამშვიდობო მოლაპარაკების შემდეგ განაცხადა: „კემპ-დევიდში" (Camp David) ქალბატონები რომ გვყოლოდა, შეთანხმებას მივაღწევდით".

ფემინისტები კონსტრუქტივისტების რამდენიმე შეხედულებასაც იზიარებენ. ვარაუდობენ, რომ კონსტრუქტივისტები არ ცდებიან, როდესაც ნორმებსა და იდეებს ანიჭებენ მნიშვნელობას, თუმცა არც ფემინისტები ცდებიან, როდესაც ამბობენ, რომ ქალბატონებს მამაკაცებისაგან განსხვავებით, მსოფლიოსთან დაკავშირებით, განსხვავებული შეხედულებები და მიდგომები აქვთ. ხელისუფლების სათავეებში მეტი ქალის ყოფნის შემთხვევაში, საერთაშორისო ურთიერთობების მეთოდების შეცვლა შესაძლებელი იქნებოდა. ფემინისტების განცხადებით, იმის გამო, რომ ქალებს ნაკლებად ახასიათებთ მსოფლიოს „რეალისტური" აღქმა, საერთაშორისო ურთიერთობების რეკონსტრუქციის პროცესი ქალების მეტ ჩართულობას უზრუნველყოფდა.

ფემინიზმის კრიტიკოსები ხშირად მიუთითებენ ხელისუფლების სათავეში მოკალათებულ იმ ქალებზე, რომლებიც სახელმწიფოს ინტერესები-

დან გამომდინარე ძალის გამოყენებაზეც არ ამბობდნენ უარს. ფემინისტი სინტია ენლოუ ყურადღებას ამახვილებს იმ სამ შემთხვევაზე, რომელსაც ფემინიზმის კრიტიკოსები ხშირად იმოწმებენ.[36]

- ინდირა განდი: ინდოეთის პირველი ქალი პრემიერ-მინისტრი (1966–1977 და 1980–1984 *წწ.*). 1971 წელს პაკისტანის წინააღმდეგ ომში ინდოეთს ხელმძღვანელობდა. ამ ომმა ბანგლადეშის სახელმწიფოს აღმოცენებას შეუწყო ხელი. 1974 წელს ინდოეთმა პირველი ატომური ბომბი გამოცადა.
- გოლდა მეირი: ისრაელის პირველი ქალი პრემიერ-მინისტრი (1969–1974 *წწ.*). 1973 წლის „იომ-ქიფურის ომის“ დროს ქალბატონი მეირი ისრაელს ხელმძღვანელობდა. ისრაელმა ეგვიპტისა და სირიის სამხედრო შენაერთებზე მოულოდნელი იერიში მიიტანა. თავდაპირველი მარცხის მიუხედავად, შეერთებული შტატებით ზურგგამაგრებულმა ისრაელმა ომში გამარჯვება მოიპოვა.
- მარგარეტ ტეტჩერი: დიდი ბრიტანეთის პირველი ქალი პრემიერ-მინისტრი (1979–1990 *წწ.*). „რკინის ლედი“, როგორც მას უწოდებდნენ, 1982 წელს არგენტინის წინააღმდეგ დაწყებული ფოლკლენდის ომის დროს ქვეყანას ხელმძღვანელობდა. დიდი ბრიტანეთი ასორმოცდაათი წლის განმავლობაში აცხადებდა პრეტენზიას ამ კუნძულებზე.

ამის მიუხედავად, სინტია ენლოუ და სხვა ფემინისტები ეწინააღმდეგებიან ორ შენიშვნას: პირველი, მაღალი დონის საგარეოპოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალები უმცირესობაში რჩებიან. მათ წინასწარ დაგეგმილი პოლიტიკისა და საგარეო პოლიტიკის თამაშის წესები უნდა დაიცვან, როგორც ამას მამაკაცები აკეთებენ. მეორე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ხელისუფლების სათავეში მყოფი ქალების წარსული. კერძოდ, ქალბატონები, რომლებიც ფემინისტური მოძრაობიდან მოდიან, საგარეო პოლიტიკას განსხვავებულად წარმართავენ, რასაც ვერ ვიტყვით „მამაკაცური“ საგარეო პოლიტიკური სისტემიდან წამოსულ ქალბატონებზე. ამგვარად, მთავარი ის გახლავთ, რომ ხელისუფლების სათავეში მოკალათებული ქალების კრიტიკული მასა მამაკაცთა ამ სამყაროს არ მიეკუთვნება (*იხ. თეორია პრაქტიკაში* 1.3).

ნეო-მარქსიზმი

მეოცე საუკუნეში კომუნისტური სახელმწიფოები აღმოცენდნენ. 1917 წლის დასაწყისში რუსეთში ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკები მოვიდნენ. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კომუნისტური წყობა დამყარდა ჩინეთში, აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, კორეის ნახევარკუნძულსა და კუბაში. 1945 წელს შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის დაწყებული ცივი ომი 1991 წელს ამ უკანასკნელის დაშლით დასრულდა. ეს არ იყო მხოლოდ ორ ზესახელმწიფოს შორის დაპირისპირება. ამ წლებში ორი იდეოლოგიური სისტემა – დასავლური დემოკრატიული კაპიტალიზმი და კომუნიზმი – ებრძოდა ერთმანეთს.

ათწლეულების მანძილზე კომუნისტური რეჟიმები არასტაბილურობით გამოირჩეოდნენ. საბჭოთა კავშირი და კომუნისტური სისტემა დაინგრა. ევროპის პოსტკომუნისტური ქვეყნები დასავლური ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების ნაწილი გახდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთს დღემდე კომუნისტური პარტია მართავს, გასული საუკუნის ბოლო მეოთხედში აზიურმა გიგანტმა დიდ ეკონომიკურ წარმატებას მიაღწია. ჩსრ-ის ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაგეგმილი კომუნისტური

ეკონომიკური სისტემა საბაზრო ეკონომიკას შეერწყა. ისტორიის სანაგვეზე გადაგდებული კომუნისტური პარტიებისა და რეჟიმების ინტელექტუალური შთაგონების წყარო მეცხრამეტე საუკუნეში მოღვაწე ფილოსოფოსი კარლ მარქსი გახლდათ. გასული საუკუნის ბოლო მეოთხედის განმავლობაში ნეო-მარქსისტული პარადიგმის მხარდამჭერი მეცნიერების შემცირება ამ შემთხვევებმა განაპირობეს.

ზოგიერთი მეცნიერი **ნეო-მარქსიზმს (Neo-Marxism)** მსოფლიოს პოლიტიკის მართვასთან დაკავშირებულ ალტერნატიულ შეხედულებად მიიჩნევს. სხვა განხილული პარადიგმების მსგავსად, მასაც ახასიათებს შიდა ცვლილებები, აქვს ფუნდამენტური ვარაუდები, რომლებსაც ყველა ნეო-მარქსისტი იზიარებს.

ნეო-მარქსისტული პერსპექტივა რეალიზმის ზოგიერთ ვარაუდს იზიარებს. ორივე თანხმდება, რომ მსოფლიო პოლიტიკა თავისი არსით ძალისმიერია. გარდა ამისა, ნეო-მარქსისტები და რეალისტები მიიჩნევენ, რომ კონფლიქტის მიზეზი იმალება საერთაშორისო და მსოფლიო სისტემის გარკვეულ სტრუქტურულ მახასიათებლებში, რომლებიც დიდწილად წინასწარ განსაზღვრავენ ეროვნული პოლიტიკის შემმუშავებელი აქტორების ქმედებას. ამგვარად, ორივე პერსპექტივა იზიარებს რეალისტურ სკეპტიციზმს, რომელიც დაკავშირებულია ლიბერალურ, კონსტრუქტივისტულ და ფემინისტურ ოპტიმიზმთან, რომლის თანახმადაც, მსოფლიო პოლიტიკაში კონფლიქტებს თანამშრომლობა ჩაანაცვლებს.

ამავდროულად, რეალისტებსა და ნეო-მარქსისტებს შორის მსოფლიო პოლიტიკის მამოძრავებელი კონფლიქტის არსთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. რეალისტების აზრით, ეროვნული ინტერესების მიზანი საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის საფუძველში ძევს. მათი რწმენით, საერთაშორისო ურთიერთობები ეს არის სუვერენულ სახელმწიფოებს შორის გამართული ბრძოლა ძალაუფლების მოსაპოვებლად. ნეო-მარქსისტების აზრით, კლასობრივი ინტერესების კონკურენტული მიზანი მსოფლიოს შეცნობის მთავარი ელემენტია. მათი რწმენით, მსოფლიო პოლიტიკას გლობალური ეკონომიკის პირობებში მუშებისა და კაპიტალისტების კონკურენტული ინტერესები ამოძრავებს.

გარდა ამისა, ნეო-მარქსისტები ამ კლასობრივ ინტერესებს ეკონომიკური თვალსაზრისით განსაზღვრავენ. ამგვარად, მათი რწმენით, პოლიტიკას ეკონომიკური ინტერესები ამოძრავებს, რეალისტები კი სხვაგვარად ფიქრობენ. ეროვნულ ინტერესებს პირველ რიგში სამხედრო უსაფრთხოება განსაზღვრავს, ეროვნული უსაფრთხოების მიზანი კი ეკონომიკას ამოძრავებს. მაგალითად, ნეო-მარქსისტების რწმენით, შეერთებულმა შტატებმა სპარსეთის ყურეში განხორციელებული სამხედრო ინტერვენციით მსხვილი მუნტინაციონალური ნავთობკომპანიების ეკონომიკური ინტერესები დაიცვა. რეალისტებს კი მიაჩნიათ, ამ ნაბიჯით შეერთებულმა შტატებმა ნავთობის საბადოებზე შეინარჩუნა წვდომა რაც ერთობ მნიშვნელოვანია როგორც ეკონომიკისათვის, ისე სამხედრო უსაფრთხოებისათვის.

რეალისტების რწმენით, საბჭოთა კავშირი შეერთებული შტატების ეროვნულ ინტერესებს საფრთხეს უქმნიდა. ამერიკელები და კომუნისტები ერთმანეთს ეჭვის თვალით უყურებდნენ. სხვა სიტყვებით

ნეო-მარქსიზმი – *პარადიგმა, რომელიც იზიარებს რეალისტურ ცნებას, რომლის თანახმადაც მსოფლიო პოლიტიკაში კონფლიქტი ჩვეული მოვლენაა, თუმცა მიიჩნევს, რომ ეს კონფლიქტი გამოწვეულია სოციალურ-ეკონომიკური კლასების ეკონომიკური ინტერესებით და არა სუვერენული სახელმწიფოების გეოპოლიტიკური ინტერესებით.*

მარგარეტ თეთჩერი: დიდი ბრიტანეთის პირველი ქალი პრემიერ-მინისტრი, რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც ბრიტანელებმა ფოლკლენდის კუნძულების გამო 1982 წელს არგენტინის წინააღმდეგ ომი დაიწყეს. თქვენი აზრით, რა როლს ასრულებს გენდერი საგარეო პოლიტიკის წარმართვისას?

თეორია პრაქტიკაში 1.3

ქალები ხელისუფლების სათავეში: ახალი თაობა?

მიუხედავად იმისა, რომ ქალები მთელ მსოფლიოში საგარეოპოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღების პროცესში ჯერ კიდევ აშკარა უმცრიესობაში არიან, ოცდამეერთე საუკუნე ქალბატონების ახალი თაობის მოწმე შეიქნა. 2005 წელს გერმანიის კანცლერის სავარძელი ორმოცდათერთმეტი წლის ანგელა მერკელმა (Angela Merkel) დაიკავა. 2014 წელს წელს ჟურნალმა „ფორბსმა“ (Forbes) მას მსოფლიოს ძლევამოსილ ადამიანთა ჩამონათვალში მეხუთე ადგილი მიუჩინა. 2012 წელს სამხრეთი კორეის პირველი ქალი პრეზიდენტი პაკ კინ ჰე (Park Geun-hye) გახდა, რომელმაც, ამავდროულად, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი აზიის პირველი ქალი ლიდერის მანტიაც მოირგო.

იმ დროს, როცა მერკელი და პაკი მსოფლიო პოლიტიკურ სცენაზე გამოვიდნენ (*პაკი სამხრეთი კორეის მესამე პრეზიდენტის, პაკ ჩონ ჰის, ქალიშვილია*), სხვა ქალები, რომლებიც ხელისუფლების სათავეში ოცდამეერთე საუკუნეში მოვიდნენ, პოლიტიკურ ისტებლიშმენტს არ მიეკუთვნებოდნენ.

2005 წელს ლიბერიაში პრეზიდენტი გახდა ელენ ჯონსონ-სერლიფი (Ellen Johnson-Sirleaf), რომელიც აფრიკული სახელმწიფოს პირველი არჩეული ქალი ლიდერია. 1980-იანი წლებში ციხეშიც გამოკეტეს. 2006 წელს ჩილეში პრეზიდენტის სავარძელი მიშელ ბაჩელეტმა (Michele Bachelet) დაიკავა. ბეჩელეტებმა პინოჩეტის რეჟიმის სისასტიკე საკუთარ თავზე გამოცადეს. როდესაც მამამისს პინოჩეტის ხალხი აწამებდა, ბაჩელეტი დედასთან ერთად დააპტიმრეს. 2010 წელს ბრაზილიის პრეზიდენტად დილმა რუსეფი (Dilma Rousseff) აირჩიეს. ბრაზილიაში გამეფებული მილიტარისტული დიქტატურის წინააღმდეგ საბრძოლველად რუსეფი 1960-იან წლებში პარტიზანთა შეიარაღებულ ჯგუფს შეუერთდა. დროის გარკვეული პერიოდი ციხეში გაატარა.

შეერთებულ შტატებში პოლიტიკური ძალაუფლების მწვერვალი ქალბატონებისათვის ჯერჯერობით მიწვდომელია. ამის მიუხედავდ, ბოლო წლებში მათ საკვანძო თანამდებობები დაიკავეს. 1997-2001 წლებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე მადლენ ოლბრაიტი (Madeleine Albright) – პირველი ქალი, რომელსაც ეს თანამდებობა ანდეს – მსახურობა. ამ დროიდან მოყოლებული ეს თანამდებობა სუსტის სქესის წარმომადგენლებმა კიდევ ორჯერ დაიკავეს. ჯერ კონდოლიზა რაისი (Condoleezza Rice, 2005-2009 *წწ.*) გახდა აშშ-ის პირველი დიპლომატი, შემდეგ კი ჰილარი კლინტონი (Hillary Clinton, 2009-2013 *წწ.*). როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქალბატონებისათვის აშშ-ის პირველი პირისა და თავდაცვის მდივნის სავარძელები ჯერჯერობით მიუწვდომელია. ამავდროულად, ჰილარი კლინტონი პირველი ქალბატონი იყო, რომელმაც შეერთებული შტატების პრეზიდენტობაზე (2008 *წ.*) განაცხადა პრეტენზია.

- თქვენი აზრით, შეერთებულ შტატებში რატომ არ აირჩიეს დღემდე ქალი პრეზიდენტი?
- თქვენი აზრით, დადგება ის დროება, როდესაც მსოფლიო ლიდერების უმეტესობა ქალბატონები იქნებიან? განმარტეთ მიზეზები.
- თქვენი აზრით, ქალების მართულ მიერ მსოფლიოში მშვიდობა დაისადგურებდა? განმარტეთ მიზეზები.

რომ ვთქვათ, ცივი ომი უსაფრთხოების დილემის კლასიკური მაგალითი იყო.

ნეო-მარქსისტები საფრთხეს სხვადასხვაგვარად აღიქვამენ. მათი შეფასებით, მთავარ საფრთხეს კომუნისტური და კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემების დაპირისპირება წარმოადგენდა, რადგან საბჭოთა კავშირმა მსოფლიოს დიდი ნაწილი ეკონომიკური პროცესების მიღმა დატოვა. ეკონომიკური სისტემების სხვაობის გამო ათწლეულების განმავლობაში ამერიკელი კაპიტალისტები ინვესტიციებს ვეღარ ახორციელებდნენ საბჭოთა კავშირში, ვერ აწარმოებდნენ ვაჭრობას და ხელი არ მიუწვდებო-

დათ ამ ქვეყნის ბუნებრივ რესურსებზე. ნეო-მარქსისტების მტკიცებით, საბჭოთა კავშირის სამხედრო შესაძლებლობებმა ამერიკელთა მტრული დამოკიდებულება განაპირობა. ორ ზესახელმწიფოს შორის წლების მანძილზე მიმდინარე ცივი ომი ამერიკულ ბიზნესინტერესებზე უარყოფითად მოქმედებდა.

როდესაც რეალისტები ევროპაში მიმდინარე გეოპოლიტიკურ ბრძოლას სამხედრო/პოლიტიკური ბალანსის კონტექსტში განიხილავენ, ნეო-მარქსისტებმა მას ევროპის მმართველ კლასებს შორის შიდაკაპიტალისტურ დაპირისპირებად მიიჩნევენ, რომლის მიზანიც ნაკლებად განვითარებულ მსოფლიოზე ეკონომიკური ბატონობის მოპოვებაა.

ასევე, როდესაც რეალისტები ცივი ომის პერიოდში შეერთებული შტატების მესამე სამყაროში ინერვენციას აშშ-ის სასარგებლოდ ძალთა გლობალური ბალანსის შენარჩუნების მცდელობად მიიჩნევდნენ, რათა ანტი-საბჭოთა რეჟიმებთან მეგობრული ურთიერთობები განემტკიცებინათ, ამ დროს ნეო-მარქსისტები აშშ-ის ინტერვენციას ამერიკული ბიზნესინტერესების მხარდჭერ კამპანიად განიხილავდნენ, რადგან ამერიკელი კაპიტალისტები ბაზრების, ინვესტიციებისა და რესურსების დაკარგვით იყვნენ შეწუხებული.

არაპარადიგმატული კვლევა

რეალისტების, ლიბერალების, კონსტრუქტივისტების, ფემინისტებისა და ნეო-მარქსისტების დებატების ფონზე თუ რომელი პარადიგმა განმარტავს უკეთ მსოფლიოს, მეცნიერთა დიდი ნაწილი მხარს უჭერს პარადიგმების ფარგლებიდან გასვლას **არაპარადიგმატული კვლევის (Non-Paradigmatic Research)** სასარგებლოდ. დევიდ ლეიკის (David Lake) მტკიცებით, მსოფლიო მართვასთან დაკავშირებულმა ინტერპარადიგმულმა დებატებმა ჩვენი მსოფლმხედველობის პროგრესიებას შეუწყო ხელი[37] (*იხ. მისი სტატია* Why 'isms' Are Evil). ლეიკისა და სხვების სიტყვით, პარადიგმები მეცნიერებს კვაზირელიგიურ „სექტებად" ჰყოფენ, ეს სექტები კი კონკურენტ და უსაფუძვლო ვარაუდებს ემყარებიან, რაც მეცნიერთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, სხვადასხვა პარადიგმაში ფესვგადგმული საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვანი თეორიის კვლევა, კრიტიკოსთა აზრით, წმინდა გრაალის ძებნის პროცესს წააგავს.

არაპარადიგმატული კვლევა – *კვლევა, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი პარადიგმების ფარგლებს გარეთ ტარდება.*

მთავარი თეორიების კვლევის ნაცვლად, რომლებიც ყველაფრის ახსნას ცდილობენ, არაპარადიგმატული კვლევის მომხრეები მხარს უჭერენ „საშუალო დონის თეორიებს", რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობებში უფრო სპეციფიკურ და შეზღუდულ მოვლენას ეხებიან. მაგალითისათვის მოვიყვან საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემას. მთავარი ყურადღება უნდა გავამახვილოთ ნაკლებად ამბიციურ, თუმცა გაცილებით ნაყოფიერ კვლევებზე, რომლებიც ტერორიზმის გამომწვევ მიზეზებს შეისწავლიან. იქნებ ტერორიზმის მიზეზები გაკოტრებული ქვეყანის გაღარიბებულ საზოგადოებაში უნდა ვეძებოთ და ა.შ.? ასეთი ტიპის კვლევა ხშირად ჰიპოთეზის ტესტირების ფორმას იღებს. უნდა ვნახოთ არსებობს თუ არა კავშირი დამოუკიდებელ ცვლადსა (*მაგ. სიღარიბე*) და დამოკიდებულ ცვლადს *მაგ. თვითმკვლელი ტერორისტი*) შორის. თვითმკვლელ ტერორისტებზე მონაცემების შეგროვებითა და სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით დაინტერესებული პირი გაეცნობა არსებობს თუ არა ცხადი კორელაცია სიღარიბესთან.

პარადიგმებისა და დიდი თეორიის მხარდაჭერების თქმით, არაპარადიგმატული კვლევა ხელს არ უწყობს ცოდნის განვითარებას, როგორც ამას მისი მხარდამჭერები ამტკიცებენ. დიდი თეორეტიკოსების

მტკიცებით, საუკეთესო შემთხვევაშიც კი, არაპარადიგმატული კვლევა და პრობლემების კვლევა მეცნიერებს უფრო შეზღუდულ საკითხებზე კონცენტრირებისაკენ უბიძგებს. ეს საკითხები კი, თავის მხრივ, მსოფლიოს მართვის ცნობიერებაში ასახვის მნიშვნელოვან პროცესს ვერ უზრუნველყოფს.

ვინ იზიარებს ამ არგუმენტს? ამ ეტაპზე ორივე მხარის სასარგებლოდ არსებობს მტკიცებულებები. ერთი მხრივ, 1990-იანი წლების შემდეგ არაპარადიგმატულმა კვლევამ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში აკადემიური კვლევების დაწყება განაპირობა. 2014 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ამ სფეროში მოღვაწე მეცნიერთა ოცდაშვიდი პროცენტი საკუთარ საქმიანობას არაპარადიგმატულად ახასიათებდა, განსხვავებით ოცდაორი პროცენტისა, რომლებიც ორი წლით ადრე ამავე პოზიციაზე იდგნენ.[38] გარდა ამისა, ყველაზე პრესტიჟულ ჟურნალებში გამოქვეყნებული აკადემიური კვლევის შედეგები არაპარადიგმატული საქმიანობის დამადასტურებელ კიდევ უფრო მაღალ პროცენტზე მიუთითებენ. ამ პარადიგმების ზოგიერთი ცნობილი მხარდამჭერი უმაყოფილებას გამოთქვამდა იმასთან დაკავშირებით, რომ ჰიპოთეზის ტესტირების სანაცვლოდ, საერთაშორისო ურთიერთობების სფერო ყოველდღიურად უარს ამბობს მთავარ თეორიაზე.[39]

მეორე მხრივ, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მოღვაწე მეცნიერების თითქმის სამი მეოთხედი ჯერ კიდევ აცხადებს, რომ კვლევისას ერთ-ერთ პარადიგმას ეყრდნობიან. თუ კვლევის მონაცემებს კარგად დავაკვირდებით დავრწმუნდებით, რომ იმ მეცნიერთა დიდი ნაწილი, რომლებიც არაპარადიგმატულ კვლევას ეყრდნობიან, არც პარადიგმებზე ამბობენ ბოლომდე უარს. კითხვაზე თუ რატომ უარყოფდნენ პარადიგმატული ანალიზის გამოყენების ფაქტს, ზემოხსენებული ოცდაშვიდი პროცენტიდან თითქმის ნახევარმა განაცხადა, რომ მათი კვლევა ერთ ან რამდენიმე პარადიგმაზე იყო დაფუძნებული.[40] ამგვარად, იმის ნაცვლად, რომ ბოლომდე უგულებელყონ პარადიგმა, უფრო ხშირად იყენებენ მათ. მეცნიერთა დაახლოებით ოთხმოცდახუთი პროცენტი საერთაშორისო ურთიერთობის კვლევისას ერთ ან რამდენიმე პარადიგმას ეყრდნობა. ალექსანდრე ვენდტი (*კონტრუქტივისტი*), რობერტ კეოჰეინი (*ლიბერალი*) და კენეტ უოლცი (*რეალისტი*) ბოლო ოცი წლის განმავლობაში ყველაზე გავლენიანი მეცნიერები იყვნენ (*იხ. ტაბულა* 1.3)

დასკვნა

როგორც წინამდებარე თავის შესავალში აღვნიშნე, საერთაშორისო ურთიერთობებისა და მსოფლიო პოლიტიკის მეცნიერული კვლევა მსოფლიოს მართვასთან დაკავშირებული ცოდნის გაუმჯობესებაც ისახავდა მიზნად. მიზანი არა ერთი კონკრეტული ომის, არამედ ზოგადად ომების გამომწვევი მიზეზების გაცნობიერებაა. ასევე, გაეცნოთ არა რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის (*მაგ. გაერო*) მიერ კონკრეტული კონფლიქტის მოგვარების გზებს, არამედ იმ გარემოებებსა და სტრატეგიებს, რომლებიც მშვიდობას უზრუნველყოფენ. თქვენ სიღრმისეულად იაზრებთ მსოფლიოს მართვის პრინციპებს, რაც ყოველდღიურად ახალი ამბების მეშვეობით გადმოცემული აურაცხელი ინფორმაციის გაანალიზებასა და აღქმაში დაგეხმარებათ. ისინი გეხმარებიან კონცეფციების, მექანიზმების, აზროვნების მეთოდების და ა.შ. გაცნობიერებაში. საერთაშორისო მოვლენებს სხვა თვალით შეხედავთ. ეს ცოდნა მთელი ცხოვრება გაგყვებათ.

ამ თავში ასევე ვისაუბრეთ სხვადასხვა პარადიგმაზე, რომლებიც მსოფლიოს მართვის პრინციპების ახსნას ცდილობენ. ამ პარადიგმებთან დაკავშირებული მეცნიერები საკვანძო საკითხების (*მაგ. ომის გამომწვევი მიზნები, მშვიდობის პერსპექტივები და სხვ.*) შესახებ განსხვავებულ მოსაზრებებს გვთავაზობენ (*იხ. ტაბულა* 1.4).

სტრუქტურული რეალისტების აზრით, მსოფლიოს მართვის პრინციპის აღქმა საერთაშორისო ანარქიით იწყება. განსაკუთრებით ომი და ძალადობა, რაც მსოფლიო პოლიტიკას ახასიათებს, ამ ფუნდამენტური ვარაუდიდან იღებს სათავეს. სხვა პარადიგმები ამ რეალისტურ ხედვას არ იზიარებენ. ლიბერალების თქმით, ანარქიის შესუსტებას საერთაშორისო ინსტიტუტები, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება და დემოკრატიული მმართველობის გავრცელება განაპირობებენ. კონსტრუქტივისტების მტკიცებით, მსოფლიოს მართვასთან დაკავშირებული ახალი ნორმებისა და შეხედულებების წარმოშობამ და გავრცელებამ შეიძლება თავად სახელმწიფოებისა და სხვა აქტორების ქმედებები შეცვალოს. ფემინისტების რწმენით, მსოფლიოს მართვის პრინციპის გასაცნობიერებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ გენდერის როლი. ნეო-მარქსისტები მიუხედავად იმისა, რომ იზიარებენ მსოფლიო პოლიტიკის კონფლიქტურ ბუნებასთან დაკავშირებული რეალისტური პესიმიზმის მნიშვნელოვან ნაწილს, კონფლიქტს ეკონომიკური კეთილდღეობის (და არა *გეოპოლიტიკური გავლენის*) მოპოვების პირველ მიზეზად მიიჩნევენ.

ალტერნატიული პერსპექტივების გავრცელების მიუხედავად, რეალისტური პარადიგმა ჯერ კიდევ აქტუალურია. რეალიზმი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარადიგმის სტატუსს დღემდე ინარჩუნებს. ეს პარადიგმა ამ ალტერნატიული კონცეფციებისათვის მთავარი ფოლგის როლს ასრულებს. რეალიზმის სიცოცხლისუნარიანობა მისი მიმზიდველობითა და ეფექტურობითაა განპირობებული. საერთაშორისო ანარქიის ვარაუდით რეალიზმი მსოფლიოს მართვის შესახებ ბევრ ინფორმაციას გვაწვდის.

როგორც კრიტიკოსები გვარწმუნებენ, ამ მიმზიდველობასა და სიმარტივეს თანამედროვე მსოფლიოს ზედმეტი გამარტივებისაკენ მივყავართ. განსაკუთრებით, მსოფლიო პოლიტიკის ბოლოდროინდელ ტენდენციების გავითვალისწინებთ კრიტიკოსები

ტაბულა 1.4 მთავარი პარადიგმების შეჯამება

	რეალიზმი	ლიბერალიზმი	კონსტრუქტივიზმი	ფემინიზმი	ნეო-მარქსიზმი
მსოფლიო პოლიტიკის არსი	კონფლიქტური	პოტენციურად კოოპერატიული	პოტენციურად კოოპერატიული	პოტენციურად კოოპერატიული	კონფლიქტური
მთავარი აქტორები	სახელმწიფოები	სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები	ცალკეული პირები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ტრანსნაციონალური მხარდამჭერი ჯგუფები	ცალკეული პირები, გენდერის თემით დაკავებული არასამთავრობო ორგანიზაციები და ტრანსნაციონალური მხარდამჭერი ჯგუფები	სოციოეკონომიკური კლასები
მთავარი იდეა	ანარქია წარმოშობს დაუცველობასა და კონფლიქტს	ინსტიტუტები ხელს უწყობენ თანამშრომლობას	ანარქიის წარმოშობას სახელმწიფოები განაპირობებენ	გენდერი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს	კლასები შეეწინააღმდეგებიან
პოლიტიკის დანიშნულება	ძალის მოპოვება (*განსაკუთრებით სამხედრო ძალის*)	საერთაშორისო ორგანიზაციების დაარსება, დემოკრატიისა და ეკონომიური ურთიერთდამოკიდებულების ხელშეწყობა	თანამშრომლობის ნორმებისა და სხვა ფასეული იდეების ჩამოყალიბება/გავრცელება	მეტი ქალი ხელისუფლების სათავეში	სიმდიდრის მოხვეჭა
სატრენდო ხაზი დისციპლინაში	ერთი დომინანტი პარადიგმა, რომელიც მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას	წონასწორობა	იზრდება სწრაფად; დისციპლინის „მზარდი აქცია“	დაიპყრო თანდათანობით, თუმცა მნიშვნელობა გაზარდო	ცივი ომის დასრულების შემდეგ მკვეთრი დაცემა

*The trend-line is not necessarily a reflection of the inherent value of each paradigm, but rather, of their trends in popularity among international relations scholars since the 1980s

ამტკიცებენ, რომ რეალიზმი განსაკუთრებულად რეალისტური არ არის და ყველა ეს ალტერნატიული პარადიგმა მსოფლიოს რეალისტური ხედვის შესახებ სხვადასხვა არასწორ დასკვნას გვთავაზობს. მხოლოდ წინამდებარე თავის წაკითხვა სრულყოფილ წარმოდგენას ვერ შეგიქმნით მსოფლიოს მართვის შესახებ.

მომდევნო თავებში უფრო დაწვრილებით გავეცნობით ომისა და ძალადობის დანიშნულებას მსოფლიო პოლიტიკაში, არასახელმწიფო აქტორების როლს, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მოდელებსა და სხვა მრავალ საინტერესო საკითხს. ამ საკითხების შესწავლისას არ დავეყრდნობით, ყოველ შემთხვევაში სრულად, იმ ხუთ პარადიგმას, რომელთა შესახებაც უკვე ვისაუბრეთ წინამდებარე თავში. ყოველი თავის ბოლოს, განსაკუთრებით კი წიგნის დასასრულს, ნათელი წარმოდგენა შეგექნებათ თუ რომელი პარადიგმული პერსპექტივა გეხმარებათ მსოფლიოს მართვის გაცნობიერებაში.

საკვანძო ტერმინები

პოზიტივიზმი
რაციონალური არჩევანის თეორია
იდეალური ტიპი
რეალიზმი
ადამიანური ბუნების რეალისტები
სტრუქტურული რეალისტები
ანარქია
ბუნებრივი მდგომარეობა
სუვერენიტეტი
ეროვნული ინტერესები
თვითდახმარება
უსაფრთხოების დილემა
თავდაცვითი რეალისტები
ძალთა ბალანსი
ჰეგემონური სტაბილურობის თეორია
იდეალიზმი
ლიბერალიზმი
აბსოლუტური მოგება
ნდობის აღმდგენი ღონისძიებები
ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი
ლიბერალური კომერციალიზმი
ლიბერალური ინტერნაციონალიზმი
დემოკრატიული მშვიდობის თეორია
ნეოკონსერვატიზმი
კანტის სამკუთხედი
კონსტრუქტივიზმი
საფრთხის ბალანსი
ტრანსნაციონალური მხარდამჭერი ჯგუფები
ფემინიზმი
ნეო-მარქსიზმი
არაპარადიგმატული კვლევა

საკითხების მიმოხილვა

- რა განსხვავებას ხედავენ რეალისტები საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკას შორის? რომელი განსხვავება უფრო მნიშვნელოვანია?
- რა სახის მსგავსებას აღმოაჩენთ ლიბერალურ, კონსტრუქტივისტულ, ფემინისტურ და ნეო-მარქსისტულ პერსპექტივებს შორის? რა განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან?
- ცივი ომის დასასრულმა რეალისტები თავდაცვით პოზიციაზე გადაიყვანა, თუმცა მსოფლიო პოლიტიკაში ბოლო ათწლეულებში განვითარებულმა მოვლენებმა ზოგიერთი მეცნიერი რეალიზმის აღასრულთან დაკავშირებული ჭორების უპერსპექტივობაში დაარწმუნა.

ჩამოტანილი შენიშვნები

1. Daniel Maliniak, Susan Peterson, Ryan Powers, and Michael J. Tierney, "TRIP 2014 Faculty Survey Report," https://trip.wm.edu/reports/2014/rp_2014/.
2. Thomas S. Kuhn, *The Structure of Scientific Revolutions*, 3rd ed. (University of Chicago Press, 1996).
3. Maliniak et al., "TRIP 2014 Faculty Survey Report."
4. Samuel P. Huntington, *The Clash of Civilizations and the Remaking of World Order* (Simon & Schuster, 1996), 29–30.
5. See the brief selection from Thomas Hobbes's classic work, *Leviathan,* in Phil Williams, Donald M. Goldstein, and Jay M. Shafritz, *Classic Readings of International Relations* (Wadsworth, 1994), 28–30.

6. Webster's *Deluxe Unabridged Dictionary*, 2nd ed., 1983.
7. Carl von Clausewitz, *On War* (Penguin, 1982).
8. John J. Mearsheimer, *The Tragedy of Great Power Politics* (Norton, 2001) is the classic statement of the offensive realist view.
9. The excerpts that follow come from Benjamin Jowett, *Thucydides* (Lothrop, 1883), Book 5. Available online at http://www.shsu.edu.
10. Thomas Hobbes, *Leviathan*, ch. 13.
11. Hans J. Morgenthau, *Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace*, 5th ed. (Knopf, 1978), 10.
12. Daniel Maliniak, Susan Peterson, and Michael J. Tierney, "TRIP Around the World: Teaching, Research, and Policy Views of International Relations Faculty in 20 Countries," May 2012, Institute for the Theory and Practice of International Relations, The College of William and Mary, 34, https://www.wm.edu/offices/itpir/_documents/trip/trip_around_the_world_2011.pdf.
13. Robert Axelrod, *The Evolution of Cooperation* (Basic Books, 1984).
14. Kant, *Perpetual Peace: A Philosophical Sketch* (1795), available online at http://www.constitution.org/kant/perpeace.htm.
15. Michael W. Doyle, *Ways of War and Peace* (Norton, 1997).
16. Robert O. Keohane, "International Institutions: Can Interdependence Work?" *Foreign Policy* (Spring 1998): 82.
17. Thomas Friedman, *The Lexus and the Olive Tree* (Knopf, 2000); Thomas Friedman, *The World Is Flat* (Farrar, Straus and Giroux, 2005).
18. Bruce Russett and John Oneal, *Triangulating Peace: Democracy, Interdependence, and International Organizations* (Norton, 2001).
19. Russett and Oneal, *Triangulating Peace*, ch. 1.
20. Alexander Wendt, "Anarchy Is What States Make of It: The Social Construction of Power Politics," *International Organization* 46:2 (1992): 391–425.
21. Stephen Walt, "Alliance Formation and the Balance of Power," *International Security* 9:4 (1985): 3–43.
22. This scenario is a summary of that developed in Ted Hopf, "The Promise of Constructivism in International Relations Theory," *International Security* 23:1 (1998): 173.
23. For an extended treatment of his "new thinking," see Mikhail Gorbachev, *Perestroika: New Thinking for Our Country and the World* (Perennial Library, Harper and Row, 1988).
24. Marc Lynch, "Al-Qaeda's Constructivist Turn," Praeger Security International, May 5, 2006, online at http://psi.praeger.com.
25. Laura Sjoberg, "Feminist IR 101, Post #4: Common Myths About Feminist IR (and the 'truth')," *Duck of Minerva*, December 13, 2010, online at duckofminerva.com.
26. See, for example, Joyce McCarl Nielsen, ed., *Feminist Research Methods: Exemplary Readings in the Social Sciences* (Westview, 1990). Also see J. Ann Tickner, "What Is Your Research Program? Feminist Answers to IR's Methodological Questions," *International Studies Quarterly* 49 (2005): 1–21.
27. Maliniak et al., "TRIP 2014 Faculty Survey Report."
28. J. Ann Tickner, "Gendering a Discipline: Some Feminist Methodological Contributions to International Relations," *Journal of Women in Culture and Society* 30:4 (2005): 2177.
29. J. Ann Tickner, "Searching for the Princess? Feminist Perspectives in International Relations," *Harvard International Review* (Fall 1999): 47.
30. Cynthia Enloe, *Bananas, Beaches and Bases: Making Feminist Sense of International Politics* (University of California Press, 2001).
31. "Facts and Figures: Leadership and Political Participation," *UN Women*, January 2015, http://www.unwomen.org/en/what-we-do/leadership-and-political-participation/facts-and-figures.
32. "Facts and Figures"
33. Tickner, "Gendering a Discipline," 2177.
34. Francis Fukuyama, "Women and the Evolution of World Politics," *Foreign Affairs*, (September/October 1998): 24–40.
35. Swanee Hunt and Cristina Posa, "Women Waging Peace," *Foreign Policy* (May/June 2001): 38–48.
36. Cynthia Enloe, "Women and Men in the Iraq War: What Can a Feminist Curiosity Reveal?" lecture at Dickinson College, Carlisle, Pennsylvania, March 24, 2008.
37. David Lake, "Why 'isms' Are Evil: Theory, Epistemology, and Academic Sects as Impediments to Understanding and Progress," *International Studies Quarterly* 55 (2011): 465–480.
38. Maliniak et al., "TRIP 2014 Faculty Survey Report," and Maliniak et al., "TRIP around the World," 27.
39. John J. Mearsheimer and Stephen M. Walt, "Leaving Theory Behind: Why Simplistic Hypothesis Testing Is Bad for International Relations," *European Journal of International Relations* 19:3 (2013): 427–457.
40. Maliniak et al., "TRIP 2014 Faculty Survey Report.

თავი 2

ისტორიული პერსპექტივები

უწყვეტობა და ცვლილება მსოფლიო პოლიტიკაში

1989 წლის მიწურულს ცივი ომის სიმბოლო, ბერლინის კედელი, დაინგრა. ბერლინის ორ ნაწილად გამყოფი კედლის დანგრევამ მსოფლიოს ცივი ომის დასრულების შესახებ აუწყა.

სწავლების მიზნები

2-1 განმარტეთ რატომ ითვლება 1648 წელი თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ათვლის წერტილად.

2-2 განმარტეთ ერთობლივი მოდელი და მისი იმპლემენტაცია მეცხრამეტე საუუნის დროინდელ ევროპაში.

2-3 შეადარეთ და განასხვავეთ ძალთა ბალანსისა და კოლექტიური უსაფრთხოების მიდგომები წესრიგისადმი.

2-4 განიხილეთ როგორ გააერთიანა ცივი ომის ეპოქამ მრავალი მიდგომა საერთაშორისო წესრიგთან.

2-5 განსაზღვრეთ პოსტცივიომისეული ეპოქის მთავარი დამახასიათებელი ნიშნები და განმარტეთ საერთაშორისო წესრიგში შეტანილი მათი წვლილი.

2-6 შეადარეთ და განასხვავეთ 1990-იანი წლების მსოფლიო საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე ტენდენციების თანხლებით, რომლებიც ოცდამეერთე საუკუნის პირველ დეკადაში აღმოცენდნენ.

აფორიზმი რომ „არაფერი გრძელდება, მაგრამ იცვლება“ როგორც ჩანს უდავოდ შესაბამისობაში მოდის საერთაშორისო ურთიერთობებთან. სუსტი სახელმწიფოები ძლევამოსილი ზესახელმწიფოები გახდნენ, ხოლო იმპერიები, რომლებიც ოდესღაც ძლიერებით დაიკვეხნიდნენ გაქრნენ. მეგობრულად განწყობილ ერებს შორის წარმოიქმნება სადავო საკითხები და ერთმანეთს უპირისპირდებიან, იმ დროს, როცა ისტორიული მოწინააღმდეგეები მოკავშირეები ხდებიან. საზღვრები მუდამ იცვლებოდა, ამიტომ რუკები უკვე ათწლეულებია რაც თანამედროვე მსოფლიოს რეალობას ზუსტად აღარ ასახავს.

ამის მიუხედავად, უწყვეტი წყალქვეშა დინებები კვლავინდებურად მიმდინარეობს. კონკრეტული მოთამაშეები და პრობლემები იცვლებიან, თუმცა თამაშის არსი უცვლელი რჩება. როგორც მეოცე საუკუნის რეალიზმის მამამთავარი ჰანს მორგენტაუ (Hans Morgenthau) ამტკიცებდა, ეს თამაში არის ბრძოლა ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის და ეს ბრძოლა „უნივერსალურია დროსა და სივრცეში“.[1] ამგვარად, დღესდღეობით ჩვენ შეგვიძლია გავერკვეთ მსოფლიო პოლიტიკის არსში, რომელსაც ჯერ კიდევ თუკიდიდემ ახადა ფარდა პელეპონესის ომებისადმი მიძღვნილ თავის კვლევაში (*იხ. პირველი თავი*).

რეალიზმის კრიტიკოსების აზრით, ხაზგასმა უწყვეტობაზე ვერ აფასებს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ციკლებს. მსოფლიოში, რომელშიც ყველაფერი ვითარდებოდა – მეცნიერება, ტექნოლოგიები, პოლიტიკური მმართველობები, სოციალური თუ კულტურული ფასეულობები – საერთაშორისო ურთიერთობების არსიც უნდა შეცვლილიყო. უეჭველად, კრიტიკოსებმა შეიძლება იდავონ, რეალისტებს არ შეუძლიათ სერიოზულად ამტკიცონ, რომ გაკვეთილები, რომლებიც მოცემულია ურთიერთობების მიერ ანტიკურ ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებს შორის, რჩება ბოლო სიტყვად ოცდამეერთე საუკუნის მსოფლიო პოლიტიკაში გლობალიზებულ, ციფრულად დაკავშირებულ მსოფლიოსთან. მართლაც ზოგიერთი კრიტიკოსი ამტკიცებს, რომ მსოფლიო პოლიტიკის ცვალებადი არსის ვერ გაგება, რეალისტები მოტყუებული მნიშვნელოვანით, თუმცა ჯერ კიდევ ნაწილობრივი პროგრესით, რომელიც გაკეთდა უკეთესი მსოფლიოს შესაქმნელად.

ამ თავში მოკლედ განვიხილავთ მსოფლიო პოლიტიკას 1648 წელს გაფორმებული ვესტფალიის ზავიდან მოყოლებული დღევანდელ დღემდე. სივრცის არარსებობის გამო დაწვრილებით ვერ ვისაუბრებთ ბოლო ოთხ საუკუნეში მსოფლიო ისტორიაში მომხდარ კატაკლიზმებზე. სანაცვლოდ, ამ თავში ყურადღება გამახვილდება თანამედროვე საერთაშორისო ისტორიაში მომხდარ ექვს საკვანძო თარიღსა და პერიოდზე, რომლებიც სიმბოლურად გამოხატავენ ამ თარიღებს.

1648 წელი – სახელმწიფო სისტემის წარმოშობა და კონსოლიდაცია;
1815 წელი – ევროპული კონცერტის სისტემა;
1919 წელი – პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი, კოლექტიური უსაფრთხოების ექსპერიმენტი;
1945 წელი – მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი, ბიპოლარული ეპოქა;
1989 წელი – საერთაშორისო სისტემა პოსტცივიომისეულ პერიოდში;
2001 წელი – მსოფლიო 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ.

მიაქციეთ ყურადღება, რომ ეს თარიღები შემთხვევით არ ავირჩიეთ. ერთი გამონაკლისით (2001 *წ.*), თითოეული მათგანი აღნიშნავს მსხვილი საერთაშორისო კონფლიქტის დასრულებას და ახალი ძალისხმევის დაწყებას სტაბილური საერთაშორისო წესრიგის აღსადგენად. როგორც დავინახავთ, კონფლიქტის განმეორების ალბათობა დიდია.

ნაწილობრივ ეს კვლევა მიზნად ისახავს მსოფლიო ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენების არსში ჩაწვდომას. (1) შეადარო და განასხვავო საერთაშორისო წესრიგისადმი მიდგომა, რომელიც წარმოდგენილია ყველა ეპოქაში, (2) განიხილო რას მოგვითხრობენ ეს ისტორიული მოვლენები უწყვეტობაზე (*როგორც რეალისტები აღნიშნავენ*) ცვლილებების საწინააღმდეგოდ (*როგორც რეალიზმის კრიტიკოსები აღნიშნავენ*), (3) ნახო, როგორ გამოვლინდა მიდგომები საერთაშორისო ურთიერთობების თეორიისადმი და იყო გავლენის ქვეშ კონკრეტული ისტორიული მოვლენების მიერ, რადგანაც მეცნიერები ცდილობდნენ სიღრმისეულად ჩასწვდომოდნენ მსოფლიოს მართვის მეთოდებს.

1648: სახელმწიფო სისტემის წარმოშობა

2-1 განმარტეთ რატომ ითვლება 1648 წელი თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ათვლის წერტილად.

ოცდამეერთე საუკუნის საწყის ეტაპზე მსოფლიო პოლიტიკის შესწავლით დაინტერესებული ადამიანი შეიძლება სირთულის წინაშე აღმოჩნდეს, რომ წარმოიდგინოს მსოფლიო რომელიც ორგანიზებულია როგორც შესაძლებელია, არამედ სუვერენული ერი-სახელმწიფოების სისტემა. ერი-სახელმწიფოების თანამედროვე იდეა წარმოადგენს ორი სხვა კონცეფციის გაერთიანებას – სახელმწიფო და ერი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერმინებს ზოგჯერ სინონიმებად იყენებენ, სინამდვილეში კი მათ განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ. **სახელმწიფო (State)** ეს არის პოლიტიკური ერთეული, რომელსაც შეუძლია ეფექტურად მართოს და გააკონტროლოს კონკრეტული ტერიტორია და მისი მოსახლეობა. **ერი (Nation)** კი პირიქით, გულისხმობს ადამიანებს, რომლებიც საერთო ისტორიული გამოცდილებებისა და კულტურული მახასიათებლების გამო საერთო ჯგუფის წევრებად მიიჩნევენ თავს. ამ ორის გაერთიანებას მივყავართ **ერი-სახელმწიფოს (Nation-State)**.

სახელმწიფო – *პოლიტიკური ერთეული, რომელსაც შეუძლია ეფექტურად მართოს და გააკონტროლოს კონკრეტული ტერიტორია და მისი მოსახლეობა.*

ერი – *ადამიანები, რომლებიც საერთო ისტორიული გამოცდილებებისა და კულტურული მახასიათებლების გამო საერთო ჯგუფის წევრებად მიიჩნევენ თავს.*

ერი-სახელმწიფო – *სუვერენული სახელმწიფო, რომლის მოქალაქეები ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად ერთი ერის წარმოადგენლები არიან.*

ნაციონალიზმი – *იდეა, რომლის თანახმადაც ადამიანები ზრუნავენ თავიანთ ეროვნულ იდენტობაზე და საკუთარი სახელმწიფოს შექმნით სურთ ეროვნულ დამოუკიდებლობის მოპოვება.*

მსოფლიო იდეალურად შეესატყვისება ერი-სახელმწიფოს მოდელს, თუმცა არასოდეს გაერთიანებულა ამ მოდელის გარშემო.

ზოგიერთ ერს (*მაგ. პალენტინელები და ქურთები*) საკუთარი სამშობლო საერთოდ არ გააჩნია. მაგალითად ყოფილ საბჭოთა კავშირში მრავალი სახელმწიფო იყო გაერთიანებული. **ნაციონალიზმის (Nationalism)** დღევანდელი იდეოლოგია ეფუძნება ადამიანთა შეხედულებას იზრუნოს საკუთარ ეროვნულ იდენტობაზე და საკუთარი სახელმწიფოს შექმნით ეროვნულ დამოუკიდებლობას მიაღწიონ.[2] მეჩვიდმეტე საუკუნემდე ნაციონალისტური იდეოლოგია არ არსებობდა, ვინაიდანაც არც ერის იდეა და არც სახელმწიფოს კონცეფცია კარგად განვითარებული არ იყო. შედეგად, მეჩვიდმეტე საუკუნემდე მსოფლიოს პოლიტიკური რუკა დღევანდელი რუკისაგან განსხვავდებოდა.

ევროპის პოლიტიკური რუკა ერთმანეთთან მოქიშპე პოლიტიკური ერთეულებით იყო აჭრელებული. ზოგიერთი იყო პატარა, ლოკალური პოლიტიკური ერთეული, რომელიც შუა საუკუნეების ევროპის პოლიტიკური ლანდშაფტისათვის უცხო არ იყო. ამ პოლიტიკურ ერთეულებს მიეკუთვნებდნენ შემდეგი ქალაქ-სახელმწიფოები – ფლორენცია და ვენეცია, ასევე სხვა მცირე ტერიტორიები, რომლებსაც პრინცები, ეპისკოპოსები, ბარონები და სავაჭრო გილდიები მართავდნენ.

სწორედ მცირე ზომის პოლიტიკური ერთეულებისგან შედგებოდა რომის საღვთო იმპერია, რომელიც მთელი ქრისტიანული ევროპის მართვის პრეტენზიას აცხადებდა. იმ დროს მისი სახელი ადამიანებს მეხუთე საუკუნის ბოლომდე ევროპაში გაბატონებულ რომის იმპერიას აგონებდა.

სინამდვილეში რომის საღვთო იმპერია ნაკლებად ძლიერ და ცენტრალიზებულ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. არსებობის განმავლობაში მისი ძალაუფლება ვრცელდებოდა დღევანდელი ცენტრალური ევროპის ფარგლებში. საღვთო რომის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ დღევანდელი გერმანია, ავსტრია, იტალიის ჩრდილოეთი ნაწილი და უშუალოდ მისი ზოგიერთი მეზობელი ტერიტორიები.

არა მხოლოდ სიდიდე და კომპოზიცია განასხვავებდა მთავარ პოლიტიკურ ერთეულებს იმისგან, რომელშიც ახლა ვცხოვრობთ, არამედ სუვერენიტეტის ცნება. დღევანდელი სისტემა, რომელშიც სახელმწიფოები მოიპოვებენ საერთაშორისო აღიარებას, როგორც ერთადერთი მმართველი ორგანო ერთი კონკრეტული ტერიტორიის ნაწილზე, ჯერ კიდევ არ არსებობს. იმპერია, რომელიც ეჯიბრებოდა სხვადასხვა ადგილობრივ პოლიტიკურ ერთეულს, და სუფთა რუკა ცხადად ადგენდა საზღვრებს, რომელიც ჰყოფდა აღიარებულ სუვერენულ პოლიტიკურ ერთეულს მეორისგან, არ გამოხატავდა ამ ეპოქის რეალობებს.

დროთა განმავლობაში ძალაუფლებისადმი ადგილობრივი და იმპერიული პრეტენზიების ერთობლიობამ პრობელემები წარმოშვა. პირველი, მრეწველობისა და ტექნოლოგიების პროგრესმა შუა საუკუნეების ევროპის ამ პატარა პოლიტიკურ ერთეულებს მნიშვნელობა დაუკარგა. ცვლილებები განსაკუთრებით სამხედრო ტექნოლოგიებში განხორციელებულმა ინოვაციებმა გამოიწვია. ჩინელების გამოგონილი დენთის მნიშვნელობამ და მისმა გამოყენებამ ახალი სახის იარაღებში როგორიცაა ქვემეხი, ამბიციურ მონარქებს ამ პატარა პოლიტიკური ერთეულების ხელში ჩაგდებისაკენ უბიძგა. ამგვარად, შუა საუკუნეების ევროპის პაწაწინა სამთავროები და ქალაქი-სახელმწიფოები ევროპის პოლიტიკური რუკიდან გაუჩინარდნენ.[3]

მეორე, რელიგიურმა გარდატეხებმა, რომელმაც გავლენა მოახდინა ევროპის კონტინენტზე, რომის საღვთო იმპერია ეპოქისათვის შეუსაბამო გახადა. მონარქებს ლეგიტიმურობას რომის პაპი აძლევდა. მეთექვსმეტე საუკუნის ევროპაში მომხდარმა პროტესტანტულმა რეფორმაციამ კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის განხეთქილებას ჩაუყარა საფუძველი. პროტესტანტების რწმენით, პაპის მიერ მონარქების კურთხევა დიდ პოლიტიკურ და მორალურ დატვირთვას არ ატარებდა. ამგვარად, ტექნოლოგიური და რელიგიური ტენდენციების გაერთიანებამ გავლენა მოახდინა იმდროინდელი ევროპის პოლიტიკურ ერთეულებზე.

ბოლო დრომდე მეცნიერები ამტკიცებდნენ, რომ ოცდაათწლიანმა ომმა (Thirty Years' War (1618–1648) საბოლოოდ შეცვალა ევროპის რუკა და ხელი შეუწყო საშუალო ზომის პოლიტიკური ერთეულების ეტაპობრივ აღმოცენებას, რომლებისგანაც მოგვიანებით წარმოიშვნენ თანამედროვე სუვერენული სახელმწიფოები. ამ ომში ოთხასი ათასი ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. ერთი შეფასების თანახმად, ომის დასრულების შემდეგ გერმანიის მოსახლეობა სამოცდაცხრა პროცენტით შემცირდა, ცამეტი მილიონი გერმანელიდან მხოლოდ ოთხი მილიონი გადაურჩა სიკვდილს, ბოჰემიაში ოცდათხუთმეტი ათასი სოფლიდან მხოლოდ ექვსი ათასი გადაურჩა განადგურებას.[4] საყოველთაოდ მიღებული აზრის თანახმად, 1648 წლის **ვესტფალიის ზავმა (Peace of Westphalia)** არა მხოლოდ ომის დასრულება განაპირობა, არამედ საძირკველი ჩაუყარა თანმედროვე საერთაშორისო სისტემას, რომელიც შესაბამისად ვესტფალიის სისტემის სახელით გახდა ცნობილი. გავრცელებული ინფორმაციით, განსაკუთრებით სამი რამ ახასიათებს 1648 წლის შემდგომდროინდელ მსოფლიოს და განასხვავებს მას ევროპის წარსულისგან.

პირველი, ვესტფალიაში გამართულმა მოლაპარაკებებმა რომის საღვთო იმპერიის დაშლის პროცესს შეუწყო ხელი. მეორე, იმპერიის საბოლოო

ვესტფალიის ზავი – 1648 *წელს დადებული ორი ხელშეკრულების კოლექტიური სახელწოდება, რომელმაც ევროპაში გაჩაღებული ოცდაათწლიანი ომის დასასრულსა და თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბებას დაუდო სათავე. ამ სისტემის მთავარი აქტორები სახელმწიფოები არიან.*

დაშლის შემდეგ მის საზღვრებში სუვერენული პოლიტიკური ერთეულების აღმოცენდნენ. მესამე, ვესტფალიის ზავმა ევროპაში რელიგიურ ომებს ბოლო მოუღო და დაიწყო ეპოქა, როდესაც ბებერ კონტიტენტზე მომხდარი მსხვილი კონფლიქტები სეკულარულ ხასიათს ატარებდა. მაგალითად, სახელმწიფოები ერთმანეთს ტერიტორიების გამო ეომებოდნენ.

რასაკვირველია არავის უცდია იმის მტკიცება, რომ ეს ცვლილებები ერთ ღამეში განხორციელდა. მათი ზოგიერთი მექანიზმი ვესტფალიამდე დიდი ხნით ადრე მომზადდა და ამ ცვლილების დიდი ნაწილი ამ მოვლენის შემდეგ ათწლეულების მანძილზე კვლავაც მიდინარეობდა. ბოლო დროს ჩატარებული რამდენიმე მეცნიერული კვლევის თანახმად, ვესტფალიის მთელი იდეა, ისტორიული მითია და მეტი არაფერი.[5] მართლაც, 1648 წლის შემდგომი ევროპის რუკა (*იხ. დიაგრამა* 2.1) ოცდამეერთე საუკუნეში მცხოვრები ევროპელისთვის უცნაურად გამოიყურება. ვესტფალიაში მიმდინარე მოლაპარაკებებისას მხოლოდ გერმანიის ტერიტორიაზე სამასი სუვერენული სახელმწიფო აღიარეს. გარდა ამისა, გახსოვდეთ, სუვერენული სახელმწიფოებისა და ერების წარმოშობის იდეას დიდწილად თავად ევროპა ზღუდავდა. ამ წლებში ევროპელები ეწეოდნენ კოლონიური ექსპანსიას, რომელიც მეოცე საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა. ამ პერიოდში მსოფლიოს ხალხების დიდი ნაწილი ევროპულ ქვეყნებს ემორჩილებოდა. ევროპელებმა მათ სუვერენიტეტის უფლება ჩამოართვეს.

დიაგრამა 2.1 ევროპის პოლიტიკური რუკა 1648 წელს

ამის მიუხედავად, დროთა განმავლობაში, ევროპის სახელმწიფოების უფლების წარმოშობა რომ მართონ თავიანი ტერიტორიები და რომის საღვთო იმპერიის უფლების შედეგობრივი გაუქმება ან ნებისმიერი ზემდგომი ძალისა, რომელიც ხელს უშლის ამ საქმიან ურთიერთობებს უზრუნველყო სუვერენული სახელმწიფოების ანარქიული სისტემის საფუძველი, რასაც სტრუქტურული რეალისტები დღემდე უსვამენ ხაზს. 1648 წლის შესახებ გამართული დებატების მიუხედავად, „ვესტფალიის სისტემა“ დღემდე აღიარებულია და გამოყენებული ამ სუვერენული სახელმწიფოების ანარქიული ეპოქისა და მისი შედეგების სტენოგრაფიად – თვითდახმარება, უსაფრთხოების დილემები, ომი – რომლებიც რეალისტებს შეუძლით წინასწარ განჭვრიტონ (*გაიხსენეთ ანარქიის ამ შედეგების განხილვა პირველ თავში*).

ახალი ვესტფალიური წესრიგის შესახებ ისტორიკოსებს შორისაც არ არსებობს ერთგვაროვანი პასუხი. ზოგიერთი მათგანის თქმით, სუვერენიტეტისა და ჩაურევლობის იდეებიდან სახელმწიფოს შიდა საქმეებში წარმოიშვა მარტივი მიდგომა უსაფრთხოებისადმი, რომელშიც ევროპის სახელმწიფოები აღმოჩნდნენ მომწყვდეული, რომ დაესაჯათ ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც დაარღვევდა მეორე სახელმწიფოს სუვერენიტეტს. განსაკუთრებით 1648 წლის შემდგომი ეპოქა დროთა განმავლობაში ხასიათდებოდა თვითრეგულირებადი ძალთა ბალანსის სისტემით (*იხ. პირველი თავი*), რომელშიც სახელმწიფოები ავტომატურად გააკონტროლებდნენ სხვა სახელმწიფოების მზარდ ძალაუფლებას დროებითი ალიანსების შექმნით. ვინაიდან ასეთი სისტემა მუშაობდა მისი მიმზიდველობა იმაში მდგომარეობდა, რომ სახელმწიფოები საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე დაიცავდნენ საერთაშორისო მშვიდობას.[6]

იმ დროს როცა აღიარებენ ამ ტენდენციებს, ისტორიკოსთა სხვა ჯგუფის მტკიცებით, ეს იდეები არ შეესაბამება, ორგანიზებულ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს წესრიგს.[7] მიუხედავად იმისა, რომ საღვთო რომის იმპერიამ 1806 წლამდე იარსება ოცდაათწლიანი ომის შემდეგ საგრძნობლად დასუსტდა, თუმცა იგი არ ჩაუნაცვლებია ყოვლისმომცველი და ავტორიტეტული სისტემას, რომელიც რომ ახლადჩამოყალიბებულ სუვერენულ აქტორებს შორის კონფლიქტებს მოაგვარებდა. იმედოვნებდნენ, რომ მთავარი აქტორები საკუთარ თავს შეზღუდვას დაუწესებდნენ. ამ აქტორების უმეტესობა მონარქები იყვნენ. არ არსებობდა ოფიციალური სისტემა, რომელიც შეზღუდავდა სახელმწიფოთა ახლად მოპოვებულ სუვერენიტეტს და თავიდან აიცილებდა სხვათა სუვერენიტეტის უგულებელყოფას. ერთი ისტორიკოსის სიტყვით, ასეთი იდეები განიხილეს, თუმცა ისინი დიდწილად იყო „პუბლიცისტური“ საუბარი, ფილოსოფოსებისა და თეორეტიკოსების დისკურსი. იგი არ გამოხატულა მთავრობების თათბირებსა და საქმიანობაში“.[8]

წესიგის სისტემის შექმნისკენ ევროპელებს რევოლუციამ და ომმა უბიძგა – განსაკუთრებით 1789 წელს საფრანგეთში მომხდარმა რევოლუციამ და ნაპოლეონის ომებმა. საფრანგეთის რევოლუციამ ევროპელი მონარქები ძალიან შეაშინა. საფრანგეთში ალტერნატიული მთავრობის ფორმირება ევროპელი მონარქებისთვის იდეოლოგიურ გამოწვევას წარმოადგენდა. პოსტრევოლუციურმა მზარდმა ფრანგულმა სამხედრო მანქანამ ევროპაში დამკვიდრებულ წესრიგს საფრთხე შეუქმნა. ევროპელი მონარქების მტრულ დამოკიდებულებას საფრანგეთში შიშით უცქერდნენ და იმედოვნებდნენ, რომ სუვერენული სახელმწიფოების ვესტფალიური პრინციპი მათი მმართველობის რევოლუციურ ფორმას არ შეხებოდა. იყვნენ ისეთები, რომლებიც ეჭვობდნენ, რომ ევროპელი მონარქები ახალი ფრანგული წესრიგის განადგურებას გეგმავდნენ.

ნაპოლეონის ევროპულმა სამხედრო კამპანიამ სახელმწიფო სუვერენიტეტის, კოლექტიური უსაფრთხოებისა და ძალთა ბალანსის კონტინენტური ვალდებულების ილუზია ფეხქვეშ გათელა. ამის საპირისპიროდ, ნაპოლეონის ევროპული მარში იმითაც საყურადღებო იყო, რომ იგი სწორედ ამ ფასეულოებათა უგულებელყოფასა და დამარცხებული ქვეყნების აბსოლუტურ დამორჩილების ცდილობდა. მართლაც, ნაპოლეონი საფრანგეთის ხელძღვანელობით ახალი ევროპული იმპერიის შექმნას ცდილობდა.

1812 წელს რუსეთში წარუმატებელმა ლაშქრობამ ნაპოლეონის ერთპიროვნულ მმართველობას საყრდენი გამოაცალა, თუმცა ძალაუფლება 1814 წლამდე შეინარჩუნა. საფრანგეთიდან გაძევებული ბონაპარტი კუნძულ ელბაზე გადაასახლეს. 1815 წელს საფრანგეთის საიმპერიო ტახტზე დაბრუნებული ნაპოლეონი იმპერიის აღდგენას უშედეგოდ ცდილობდა. 1815 წელს ვატერლოოსთან საბოლოოდ დამარცხებული გენერალი ბონაპარტი წმინდა ელენეს კუნძულზე გადაასახლეს, სადაც 1821 წელს გარდაიცვალა. ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ ევროპული ევროპის ლიდერები მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებას ცდილობდნენ.

1815: ევროპის კონცერტი

2-2 განმარტეთ ერთობლივი მოდელი და მისი იმპლემენტაცია მეცხრამეტე საუკუნის დროინდელ ევროპაში.

როდესაც ნაპოლეონის მმართველობა დასასრულს უახლოვდებოდა, ომის შემდეგ გაჩენილი ტერიტორიული პრობლემების მოსაგვარებლად და ევროპაში წესრიგის სისტემის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც კიდევ ერთ დიდ ომს აარიდებდა კონტინენტს, ავსტრიის იმპერიის დედაქალაქ ვენაში თავი მოიყარეს ევროპის წამყვანი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა. ვენის კონგრესზე (Congress of Vienna – *სექტემბერი 1814-ივნისი 1815 წწ.*) მთვარ როლს ოთხმხრივი ალიანსის (Quadruple Alliance) წევრები: დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, ავსტრია და პრუსია – ასრულებდნენ. ვენაში ჩამოყალიბებული სისტემა წინამორბედი სისტემებისგან ბევრი არაფრით განსხვავდებოდა. მშვიდობა სუვერენული სახელმწიფოების სისტემაზე უნდა დაფუძნებულიყო, სადაც არ იქნებოდა ზემდგომი ძალა, რომელიც სახელმწიფო სუვერენიტეტს შეზღუდავდა. ასევე, ამ წესრიგის მთავარი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ სისტემაში შემავალი ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფოებს შორის ძალთა ბალანსის შენარჩუნებულიყო. ამ სისტემაში მიღებულმა საფრანგეთმა ბალანსის შენარჩუნებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

ამის მიუხედავად, ნაპოლეონის ეპოქის გაკვეთილი იმაში მდგომარეობდა, რომ წესრიგი, უსაფრთხოება და ძალთა ბალანსი არ უნდა განმეორებულიყო. სახელმწიფოებს არასწორი გაანგარიშების, საშინაო პრობლემების ან შეზღუდული რესურსების გამო შეიძლება უგულებელყოთ ბალანსი. მართლაც, ვიდრე მზარდი ძალის ბალანსების ნაცვლად, სახელმწიფოს შეიძლება შეცდომა დაეშვა და ეწარმოებინა **მიტმასნების (Bandwagoning)** პოლიტიკა იმ მიზნით, რომ მომავალ კონფლიქტში გამარჯვებულის მხარეს აღმოჩენილიყო.

Bandwagoning – *მიეტმასნო დომინანტ ან მზარდი ძალაუფლების მქონე მხარეს, რათა აღმოჩნდე გამარჯვებულის მხარეს. ეს არის ბალანსირების ანტონიმი.*

შეთანხმების მოდელი – *ძალთა სისტემის ბალანსი, რომლის თანახმადაც ბალანსის მეთვალყურეობასა და შენარჩუნებას ზესახელმწიფოები უზრუნველყოფენ.*

ვენის კონგრესში მონაწილე ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებმა ბალანსირების მართვადი სისტემა ჩამოაყალიბეს.

შეთანხმების მოდელის (Concert Model) სახელით ცნობილი ეს მიდგომა უარყოფს მეთვრამეტე საუკუნის ძალთა სისტემის კლასიკური ბალანსის ვარაუდი, რომლის თანახმადაც ბალანსი უნდა ყოფილიყო დაცული საკუთარ ინტერესების დამცველი სახელმწიფოების მიერ, რომლებიც მოქმე-

დებენ დამოუკიდებლად და იმედოვნებენ, რომ ბალანსის მეთვალყურეობასა და შენარჩუნებას ზესახელმწიფოები უზრუნველყოფდნენ.

ამგვარად, 1815 წელს ვენის კონგრესზე შეიმუშავეს არაოფიციალური წესები და ნორმები:

- ზესახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ ერთობლივად გააკონტროლონ ტერიტორიულ საკითხებთან დაკავშირებით 1815 წელს მიღებული გადაწყვეტილებები.
- ვენაში გაფორმებულ შეთანხმებაში ცალმხრივად ცვლილებების შეტანა აიკრძალა. კონკრეტული ცვლილება ზესახელმწიფოების მიერ კონსულტაციისა და კონსესუსის მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო.
- არ შეიძლებოდა ისეთი ცვლილების განხორციელება, რომელიც ერთ სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოზე უპირატესობას მოაპოვებინებდა ან საყოველთაო ძალთა ბალანსის სისტემას საფრთხეს შეუქმნიდა.[9]

ამ წესების ერთობლიობას – მეცხრამეტე საუკუნეში ზესახელმწიფოებს შორის არაერთი შეხვედრა და კონფერენცია გაიმართა – **ევროპის კონცერტის (Concert of Europe)** სახელით მოიხსენიებენ.

ევროპის კონცერტი – *ევროპაში სტაბილურობისა და წესრიგის უზრუნველსაყოფად 1815–1848 წლების შუალედში ევროპის წამყვან სახელმწიფოებს შორის არაერთი შეხვედრეა და კონფერენცია გაიმართა.*

ამ კონცერტმა ევროპაში ომის პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტა ვერ უზრუნველყო. მართლაც, ფიქრობდნენ, რომ ძალთა ბალანსის შენარჩუნება საჭიროებდა პერიოდულ ომებს მათ წინააღმდეგ ვისი მოქმედებებიც საფრთხეს უქმნიდა ბალანსს. მეცხრამეტე საუკუნის ევროპაში ომები, კონფლიქტები, ასევე რევოლუციები თუ კონტრევოლუციები უცხო ნამდვილად არ იყო. მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდში კონცერტის მონაწილე (*მაგალითად, ყირიმის ომი რუსეთსა და ბრიტანეთს შორის*) ზესახელმწიფოები არაერთხელ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ამის მიუხედავად, კონტინენტალურ მსოფლიო ომებს ადგილი არ ჰქონია. აქვე დავამატებ, რომ მეცხრამეტე საუკუნის ევროპაში შედარებითი მშვიდობა სუფევდა რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით მეთვრამეტე და მეოცე საუკუნეების ევროპაზე.

მეცხრამეტე საუკუნის ვენის სისტემის წარმატებით განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილი ორმა შემდეგმა ფაქტორმა შეიტანა. პირველი და უმთავრესი – ევროპაში სტატუს-კვოს შენარჩუნებასთან დაკავშირებით ზესახელმწიფოებმა, ვენის კონგრესიდან რამდენიმე ათწლეულის შემდეგ, საყოველთაო შეთანხმებას მიაღწიეს. დიდ ბრიტანეთს, ავსტრიას, რუსეთსა და პრუსიას განხვავებული ინტერესები ამოძრავებდათ, თუმცა მათ შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობა საკმარისი არ აღმოჩნდა 1815 წელს მიღწეულ ტერიტორიულ შეთანხმებებთან დაკავშირებული ვალდებულების უგულებელსაყოფად. მეორე, სხვადსხვა ეპოქაში **დამაბალანსებელი სახელმწიფოს (Balancer State)** როლს ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფო ასრულებდა. იგი დაინტერესებული იყო ბალანსის შენარჩუნებით მაშინაც კი, როდესაც სხვა წამყვანი სახელმწიფოები ჭოჭმანობდნენ. ისტორიულად, ევროპის მთავარი დამბალანსებლის როლს დიდი ბრიტანეთი ასრულებდა. კონტინენტურ ევროპაში ერთი რომელიმე სახელმწიფოს ან პოლიტიკური ალიანსების მიერ გამოწვეული ძალთა დისბალანსი, თავის მხრივ, გაერთიანებული სამეფოს ეროვნულ ინტერესებს უქმნიდა საფრთხეს. დიდ ბრიტანეთს ბალანსის შესანარჩუნებლად საკმარისი რესურსებიც გააჩნდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სამეფო ფლოტი, რომელიც ზღვებზე ერთპიროვნულად ბატონობა. აქედან გამომდინარე, მეცხრამეტე საუკუნეს **„პაქს ბრიტანიკას“ (Pax Britannica – *„ბრიტანული მშვიდობა“*)** ეპოქის სახელით შემთხვევით არ მოიხსენიებენ.

დამაბალანსებელი სახელმწიფო – *სახელმწიფო, რომელსაც ბალანსის შენარჩუნება ევალება.*

პაქს ბრიტანიკა – *მეცხრამეტე საუკუნეში არსებული მშვიდობიანი პერიოდი, რომლის გარანტად დიდი ბრიტანეთი ითვლებოდა.*

მიუხედავად იმისა, რომ ვენის სისტემამ მეტნაკლებად შეინარჩუნა მნიშვნელობა მეცხრამეტე საუკუნეში. პოლიტიკურმა თუ ეკონომიკურმა ცვლილებებმა ევროპის კონტინენტის ტრანსფორმაციას შეუწყო ხელი. ერთი მხრივ, ნაციონალსტურმა იდეოლოგიამ პოზიციები გაიმყარა, რამაც, თავის მხრივ, ზესახელმწიფოებს შორის სტაბილურობის მოშლის საფრთხე გააჩინა. ამავდროულად, ნაციონალიზმის მზარდი ტალღა უკავშირდებოდა სახალხო სუვერენიტეტის მზარდ მოთხოვნილებას – იდეა, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს უფლებამოსილება და ლეგიტიმურობა საკუთარი მოქალაქეების ნება-სურვილს ეფუძნება. სახალხო სუვერენიტეტის იდეა ამერიკისა და საფრანგეთის რევოლუციების მთავარი მამოძრავებელი ძალა შეიქნა. მოგვიანებით იგი 1848 წლის რევოლუციებშიც გამოიკვეთა, როდესაც ინდუსტრიული რევოლუციის შედეგად გაიზარდა ქალაქის მუშათა კლასი, რომელიც ევროპელ მონარქებს დაუპირისპირდა. ამის შედეგად, დიპლომატია მონარქების დაინტერესების საგანს აღარ წარმოადგენდა, რასაც ვერ ვიტყვით რიგით მოკვდავებზე. ამგვარად, სახელმწიფოებში მიმდინარე მოვლენებმა სისტემებისა და ძალთა ბალანსების შენარჩუნება გაართულა.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ევროპაში ძალთა ბალანსის სისტემამ ფორმა იცვალა. იცვლებოდნენ ზესახელმწიფოები, სისტემები, დამბალანსებლები და ა.შ. შედეგად ერთმანეთთან დაპირისპირებული ორი ანგარიშგასაწევი ალიანსი შეიქმნა. 1882 წელს ჩამოყალიბებული სამთა კავშირი (Triple Alliance) ავსტრია-უნგრეთისა და ახლად გაერთიანებული გერმანული და იტალიური ერი-სახელმწიფოებისგან შედგებოდა. მალევე ამ კავშირის მოწინააღმდეგე ალიანსი ანტანტა (Triple Entente) – დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი – დაარსდა. ეს ხისტი სისტემა განსხვავდებოდა ძალთა ბალანსის სისტემისაგან. ზემოხსენებულ ზესახელმწიფოთა შორის ერთსულოვნებისა და კონსულტაციის ნაცვლად აზრთა სხვადასხვაობამ და დაპირისპირებამ იფეთქა. ევროპის კონცერტის სისტემას ბოლო მოეღო.

1914 წელს სარაევოში ჩასული ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ტახტის მემკვიდრე ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი სერბი ნაციონალისტმა მოკლა. თავისი მოკავშირით, რუსეთით, ზურგგამაგრებულმა სერბეთმა უარი განაცხადა ავსტრია-უნგრეთის წაყენებული ულტიმატუმის გათვალისწინებაზე. მომხდარიდან მალევე ავსტრია-უნგრეთმა სერბეთს ომი გამოუცხადა. ამგვარად, ეს ომი მეცხრამეტე საუკუნის ევროპაში მომხდარი ყველა სხვა კონფლიქტისაგან არ განსხვავდებოდა. ადამიანთა გარკვეული ჯგუფი იმედოვნებდა, რომ ომის დაწყების შეთხვევაში იგი ბალკანეთის საზღვრებს არ გასცდებოდა. სარაევოში მომხდარი მკვლელობა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშინელ ომში გადაიზარდა. ავსტრიის მიერ ომის გამოცხადებამ რუსეთის იმპერიას მობილიზაციისა და სერბების დახმარებისკენ უბიძგა. თავის მხრივ, გერმანიამაც მოახდინა მობილიზაცია და რუსეთს ომის გამოუცხადა. 1914 წლის აგვისტოში სამთა კავშირისა და ანტანტის წევრებმა ერთმანეთს ომი გამოუცხადეს. აგვისტოს მიწურულს ფრონტი ხაზმა შორეულ აღმოსავლეთიც გადაინაცვლა, როდესაც იაპონიამ გერმანიას გამოუცხადა ომი, ავსტრია-უნგრეთი კი ამომავალი მზის ქვეყანას დაემუქრა.

ვენის სისტემის რღვევა და ურთიერთდაპირისპირებული ალიანსების წარმოშობა ამ კონფლიქტის დაწყებისა და სწრაფი გავრცელების აღქმაში გვეხმარება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაციონალიზმის ზრდამ ევროპულ სახელმწიფოებს შორის ინტერესთა კონფლიქტი გაამწვავა. ახლად გაერთიანებულმა და სწრაფად მოძლიერებულმა გერმანიამ თავის მეზობლებს ახალი თავის ტკივილი გაუჩინა. მარქსისტი მეცნიერების თქმით, ევროპულ

სახელმწიფოებს შორის გაჩაღებული ომის მიზეზი იმპერიულ ზრახვებსა და კოლონიების ხელახალი გადანაწილების სურვილში უნდა ვეძებოთ.

იმ დროს, როცა ისტორიკოსები პირველი მსოფლიო ომის გამომწვევ ფაქტორებზე კამათობენ, მეცხრამეტე საუკუნეში მომხდარი ყველაზე საშინელი კონფლიქტებისგან განსხვავებით ამ ომმა დამაგრეველი შედეგები მოიტანა. დაღუპულთა რაოდენობის თვალსაზრისით, ამ ომს კაცობრიობის ისტორიაშ მანამდე მომხდარი ვერცერთი ომი ვერ შეედრებოდა. ომის დასასრულს, 1918 წელს, ორივე მხარიდან დაახლოებით ცხრა მილიონი ჯარისკაცი ემსხვერპლა, ხოლო დაღუპულ ჯარისკაცთა და სამოქალაქო პირთა საერთო რაოდენობა თხუთმეტ/ოც მილიონს აღწევდა. ახვადასხვა სახის ჭრილობა თუ დაზიანება მილიონზე მეტმა ადამიანმა მიიღო. აღარაფერს ვამბობთ ომით გამოწვეულ ეკონომიკურ ზარალსა და ფსიქოლოგიურ ტრავმაზე.

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ყურადღება კიდევ ერთხელ მიაპყრეს პოსტომისეულ საერთაშორისო სისტემის ფორმას, რომელიც მოიცავდა ტერიტორიული შეთანხებისა და დამარცხებულ ქვეყნებთან თანამშრომლობის საკითხებს. ამგვარად, ოცდაათწლიანმა ომმა ვესტფალიის სისტემის შექმნა უზრუნველყო, ნაპოლეონის ომების შედეგად გამოწვეულმა უწესრიგობამ ვენის სისტემის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, პირველმა მსოფლიო ომმა კი სათავე დაუდო ახალ სისტემას, რომელიც წესრიგისა და სტაბილურობის გარანტი უნდა გამხდარიყო.

1919: ექსპერიმენტი კოლექტიურ უსაფრთხოებაში

2-3 შეადარეთ და განასხვავეთ ძალთა ბალანსისა და კოლექტიური უსაფრთხოების მიდგომები წესრიგისადმი.

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობებში ახალი მიდგომის შექმნის კონცეფცია შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ვუდრო უილსონმა (Woodrow Wilson) წამოაყენა. უილსონმა ძალთა ბალანსზე უარი განაცხადა. აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა განაცხადა: „ძალთა ბალანსი სამუდამოდ დისკრედიტებულია. იგი მოძველებული და ცუდი სისტემაა, რომელიც პირველ მსოფლიო ომამდე იყო გაბატონებული. მომავალში ძალთა ბალანსს არ უნდა დავეყრდნოთ“.[10]

1918 წლის 8 იანვარს უილსონმა შეერთებული შტატების კონგრესს თავისი ცნობილი „თოთხმეტი პუნქტი“ განსახილველად წარუდგინა. იგი „სახელმწიფოთა საყოველთაო გაერთიანების“ ფორმირებას იდეით გამოდიოდა, რომელიც საერთაშორისო სისტემაში წესრიგის საფუძველს უზრუნველყოფდა.[11] მისი თქმით, ამ გაერთიანებაში გაწევრიანებული სახელმწიფოები მშვიდობის დამრღვევ აგრესორ სახელმწიფოს ეკონომიკური წნეხით ან სამხედრო გზით შეაჩერებდნენ. ხოლო კანონის დამრღვევს საზოგადოება დაუპირისპირდება.[12] უილსონმა საზოგადოებას **კოლექტიური უსაფრთხოების (Collective Security)** სისტემის ჩამოყალიბების იდეა შესთავაზა. კოლექტიური უსაფრთხოება ძალთა ბალანსისგან სამი მნიშვნელოვანი კომპონენტით განსხვავდება.

პირველი, ძალთა ბალანსი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო სტაბილურობას ყველაზე მეტად მაშინ არის შენარჩუნებული, როდესაც ძალთა წონასწორობა არსებობს, კოლექტიური უსაფრთხოება კი მიიჩნევს, რომ სტაბილურობა წონასწორობის დარღვევიდან წარმოიქმნება მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების სასარგებლოდ. მეორე, ძალთა ბალანსის თეორია კი მრავალრიცხოვან, მოქნილი ალიანსებს წონასწორობის შემანარ-

კოლექტიური უსაფრთხოება – *წესრიგის სახეობა, რომლის დროსაც სახელმწიფოები კოლექტიურ გადაწყვეტილებას იღებენ და მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიული ქმედებების განხორციელებაზე უარს ამბობენ. მაგალითად, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) წევრები კოლექტიურად მოქმედებენ.*

ტაბულა 2.1 მიდგომები საერთაშორისო წესრიგისადმი. ძალთა ბალანსი კოლექტიური უსაფრთხოების წინააღმდეგ

	ძალთა ბალანსი	კოლექტიური უსაფრთხოება
უპირატესობას ანიჭებს ძალაუფლების განაწილებას	წინასწორობა ზესახელმწიფოებს შორის	წონასწორობის რღვევა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების სასარგებლოდ
ალიანსების როლი	მრავალრიცხოვანი, ცვალებადი ალიანსები	მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების ერთი დიდი ალიანისი
სახელმწიფო სუვერენიტეტი	შენარჩუნებული	გადაეცა უფრო ზემდგომ ორგანოს
თვითდახმარება	არსებითი	აღარ საჭიროებს
მთავარი პარადიგმა	რეალიზმი	ლიბერალიზმი

ჩუნებელ მექანიზმად მიიჩნევს, კოლექტიური უსაფრთხოების სისტემები თავს არიდებენ ასეთ დაპირისპირებულ ალიანსებს ერთი დიდი ალიანისის ან მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების სასარგებლოდ. მესამე, იმ დროს, როცა ძალთა ბალანსი რჩება თვითდახმარებაზე დაფუძნებულ სისტემად, კოლექტიური უსაფრთხოება ქმნის სახელმწიფოების კოლექტიურ ორგანიზაციას, რომლის წევრებსაც აქვთ თითოეული სახელმწიფოს მოქმედების მონიტორინგისა და რეგულირების უფლება, ვალდებულება და უფლებამოსილება ომისა და მშვიდობის საკითხის გადაწყვეტისას. მოკლედ რომ ვთქვათ, კოლექტიური უსაფრთხოება წესრიგის პრაქტიკაში იმპლემენტირებისათვის (*იხ. ტაბულა* 2.1) საერთაშორისო შერიფის (*„ერთა საყოველთაო კავშირი“*) შექმნისაკენ მიისწრავის.

უილსონისათვის კოლექტიური უსაფრთხოების მიდგომა დაკავშირებული იყო მის მოლოდინთან, რომლის თანახმადაც სახალხო სუვერენიტეტზე დაფუძნებული დემოკრატიული სახელმწიფოები მომავლის ტალღას წარმოადგენდნენ. მისი აზრით, კოლექტიური უსაფრთხოების წარმატებას ავტოკრატიის განადგურება და დემოკრატიის საყოველთაო გავრცელება განაპირობებდა“.[13]

უილსონის ხედვა და მიდგომა პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობებში მთავარი პერსპექტივა უნდა გამხდარიყო. უილსონის დარად, მრავალი მეცნიერი ამ ახალი მიდგომის – უწინ ისტორიკოსებისა და ფილოსოფოსების საქმიანობის სფერო – გავლენას განიცდიდნენ, რადგან ძალთა ბალანსის სისტემამ პირველი მსოფლიო ომის თავიდან არიდება ვერ უზრუნველყო. საბოლოოდ უილსონის იდეების გამზიარებელი მეცნიერები სკეპტიკურად განწყობილმა რეალისტმა კრიტიკოსებმა „იდეალისტებად“ (*იხ. თავი პირველ*) მონათლეს. ეს უკანასკნელები ამგვარად ცდილობდნენ უილსონის მიამიტური და უტოპიური ხედვების დისკრედიტაციას. ამ უილსონის იდეალიზმის ტესტი ახლდადაარსებული ერთა ლიგა აღმოჩნდა.

1919 წელს ვერსალის ხელშეკრულების ძალით დაარსებული **ერთა ლიგა (League of Nations)** ამჟამინდელი გაეროს ანალოგი გახლდათ. ერთა ლიგა გარკვეულწილად უილსონის ხედვებისა და ძალისხმევის შედეგი იყო. ამ ორგანიზაციის დაფუძნების იდეა საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის ხელის შეწყობა წარმოადგენდა წესდების მეათე მუხლის თანახმად, ერთა ლიგის წევრებს პატივი უნდა ეცათ ყველა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისათვის.[14] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნებისმიერი წევრის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის ავტორს ყველა წევრი კოლექტიურ პასუხს გასცემდა.

ერთა ლიგა – *კოლექტიური უსაფრთხოების გლობალური სისტემის შექმნის მიზნით 1919 წელს დაარსებული საერთაშორისო ორგანიზაცია. შეიარაღებული თავდასხმა მის ერთ ან რამდენიმე წევრ სახელმწიფოზე აღიქმებოდა, როგორც შეიარაღებული თავდასხმა ორგანიზაციის ყველა წევრზე. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ერთა ლიგა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ჩაანაცვლა.*

უილსონის კონცეფციაში ერთა ლიგის იდეა არ ეთანხმებოდა 1648 წელს დაარსებული ვესტფალიის სისტემას, რომელმაც სუვერენული სახელმწიფოს ცნებას დაუდო სათავე. მსოფლიო მშვიდობაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ერთა ლიგის საბჭოს. ეს ორგანო შედგებოდა „მთავარი მოკავშირე და პარტნიორი ოთხი სახელმწიფოებისგან“, რომლებიც როტაციას განიცდიდნენ. ამ თვალსაზრისით, ერთა ლიგამ ვენის სისტემის მსგავსად მშვიდობის და წესრიგის გაკონტროლება წამყვან სახელმწიფოებს მიანდო.

ამავდროულად, ერთა ლიგამ ვენის კონგრესზე შემუშავებული ძალათა ბალანსის კონცეფციაზე უარი განაცხადა. გარდა ამისა, წამყვანმა სახელმწიფოებმა ვენსის სისტემა ავსტრიის იმპერიის დედაქალაქში გამართულ კონგრესზე შეიმუშავეს. კონგრესის მონაწილეებს არ შეუქმნიათ ოფიციალური, საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც სუვერენული სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებლად იმოქმედებდა და სისტემის ფარგლებში წესრიგსა და სტაბილურობას გააკონტროლებდა. ერთა ლიგის შემთხვევაში კი პირიქით მოხდა. დაარსდა მუდმივი ორგანიზაცია, რომელსაც მშვიდობის შესანარჩუნება დაევალა. წევრი სახელმწიფოები თავიანთ ოფიციალურ ვალდებულებებზე უარს ვერ იტყოდნენ.

მართალია ერთა ლიგამ შესძლო ზესახელმწიფოებს შორის დაძაბულობის განმუხტვა, თუმცა მასზე დაკისრებულ მისიას წარმატებით ვერ გაართვა თავი. 1931 წელს, როდესაც იაპონია მანჯურიაში შეიჭრა ამ უკანასკნელმა, რომელიც ლიგის საბჭოს წევრი გახლდათ, ეს ორგანიზაცია გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. 1934 წელს, როდესაც იტალია ეთიოპიაში შეიჭრა ერთა ლიგა სამხედრო თვალსაზრისით უუნარო აღმოჩნდა და მხოლოდ ეკონომიკური სანქციების დაწესებით შემოიფარგლა, თუმცა ამ სანქციებს იტალიაზე გავლენა ვერ მოუხდნა. როდესაც გერმანია დაემუქრა თავის მეზობლებს და ამის კულმინაცია კი ოხდა 1939 წლის მოვლენების დროსაც, როდესაც ნაცისტები პოლონეთში შეიჭრნენ, ერთა ლიგა ამჯერადაც უუნარო აღმოჩნდა. ამგვარად, პირველი მსოფლიო ომის დასრულებიდან ორი ათწლეულის შემდეგ მსოფლიოს ისტორიაში მეორე უდიდესი სისხლისმღვრელი ომი დაიწყო. ერთა ლიგამ უმთავრესი მიზანის – მშვიდობის დაცვა – შესრულება ვერ უზრუნველყო. მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას ამ ორგანიზაციამ ფუნქციონირება შეწყვიტა. მსოფლიო ისტორიაში ყველაზე დამანგრეველი ომის დაწყების შემდეგ ლიგის საბჭო (League Council) – ერთა ლიგის ორგანო, რომელიც უშუალოდ აგებდა პასუხს მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნებაზე – აღარასოდეს შეკრებილა.

ერთა ლიგის წარუმატებლობა მრავალი ფაქტორით აიხსნება, თუნდაც ის, რომ მისი რიგები რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ დატოვა. პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ გერმანიას 1926 წლამდე მის რიგებში გაწევრიანებაზე უარს ეუბნებოდნენ. რევოლუციასა და სამოქალაქო ომში ჩაფლული რუსეთი, რომელსაც იმხანად ბოლშევიკური რეჟიმი მართავდა, 1930-იან წლებამდე ამ ორგანიზაციის რიგებში არ ირიცხებოდა. ამ პერიოდში ერთა ლიგის შემადგენლობიდან გარიცხეს იტალია, იაპონია და გერმანია. 1939 წელს ფინეთში შეჭრის გამო საბჭოთა კავშირი (*იმხანად ჯერ კიდევ რუსეთის სახელით მოიხსენიებდნენ*) ერთა ლიგის რიგებიდან გარიცხეს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის ფაქტი გახლავთ, რომ შეერთებულმა შტატებმა ერთა ლიგაში გაწევრიანებაზე უარი განაცხადა იმის მიუხედავად, რომ აშშ-ის პრეზიდენტი ვუდრო უილსონი მის ჩამოყალიბებას მხარს უჭერდა. ბედის ირონიით, შეერთებული შტატების სენატმა, რომელშიც იზოლაციონისტური ვნებები ჭარბობდა, 1919 წელს ერთა ლიგაში გაწევრიანებაზე უარი განაცხადა. იმავე წელს პრეზიდენტი უილსონი ერთა ლიგის დაარსებაში შეტანილი წვლილისთვის ნობელის მშვიდობის პრემიით დააჯილდოვეს.

მიღებული გადაწყვეტილებები ერთა ლიგის საბჭოსა და უფრო დიდ ასამბლეაში, რომელშიც ლიგის ყველა წევრი იყო წარმოდგენილი, ეფუძნებოდა ერთსულოვნების პრინციპს. ხმის მიცემისას წევრი სახელმწიფოები ერთსულოვნად მოქმედებდნენ. ასევე, სანქციების დაწესება იმ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებიც მშვიდობას საფრთხეს უქმნიდნენ ან სხვა უკანონო ქცევებს ეწეოდნენ, დიდწილად სუვერენული სახელმწიფოების შეხედულების მიხედვით ხდებოდა.

კრიტიკის ქარცეცხლს ვერც თავად კოლექტიური უსაფრთხოების კონცეფცია გაექცა. რეალისტი კრიტიკოსების მტკიცებით, იგი მაშინაა ეფექტურია, როდესაც პატარა სახელმწიფოებს შორის მომხდარი კონფლიქტის შესახებ ზესახელმწიფოები ერთ აზრს იზიარებენ. მათ განაცხადებით, ერთა ლიგის მსგავსი ოფიციალური ორგანიზაცია ზედმეტია, რადგან, ზესახელმწიფოებს მსგავსი პრობლემების გადაწყვეტა თავად შეუძლიათ. სწორედ ამას ითვალისწინებდა მეცხრამეტე საუკუნეში ჩამოყალიბებული ვენის სისტემაც.

მეორე მხრივ, როდესაც ერთი ან მეტი ზესხელმწიფო მონაწილეობს კონფლიქტში, კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა გამოწვევების წინაშე დგება. 1938 წელს გამართულ მიუნხენის კონფერენციაზე ჰიტლერი დაჟინებით ითხოვდა ჩეხოსლოვაკიის კუთვნილი სუდეტის ოლქის (*სადაც მრავალი ეთნიკურად გერმანელი ცხოვრობდა*) გერმანიისათვის გადაცემას. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მის მოთხოვნას დათანხმდა. ევროპელი პოლიტიკოსები **დაშოშმინების (Appeasement)** პოლიტიკით ჰიტლერის დაშოშმინებას ცდილობდნენ, თუმცა უშედეგოდ. ერთა ლიგა ამჯერადაც არაეფექტური აღმოჩნდა.

დაშოშმინება – *ომის თავიდან ასაცილებლად დამთმობი ნაბიჯების გადადგმა.*

კრიტიკოსების თქმით, კოლექტიური უსაფრთხოება მაშინ მუშაობს კარგად, როდესაც მისი საჭიროება დიდად არ არსებობს, საჭიროების შემთხვევაში კი წარუმატებლობისათვის არის განწირული. გავრცელებული ინფორმაციით, იტალიის ყოფილმა დიქტატორმა ბენიტო მუსოლინიმ (Benito Mussolini) ერთხელ განაცხადა: „ერთა ლიგაა კარგია, როდესაც ბეღურები ჭიკჭიკებენ, თუმცა აზრს კარგავს, როდესაც არწივები ეცემიან“.

1945: პოსტომისეული ბიპოლარული სისტემა

2-4 განიხილეთ როგორ გააერთიანა ცივი ომის ეპოქამ მრავალი მიდგომა საერთაშორისო წესრიგთან.

მეორე მსოფლიო ომის მიწურულს, კერძოდ, 1944-1945 წლებში, მსოფლიო ლიდერებს შორის კიდევ ერთხელ წამოიჭრა პოსტომისეული მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების საკითხი. როგორც წესი ეს კონკრეტულ ტერიტორიულ საკითხებს ეხებოდა. თუმცა გაცილებით სერიოზული პრობლემა, როგორც ეს გახლდათ 1648, 1815 და 1919 წლების შემთხვევაში, გახლდათ მსოფლიო წესრიგის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც, თავის მხრივ, კიდევ ერთი ფართომასშტაბიანი ომის თავიდან აცილებას უზრუნველყოფდა. ერთ-ერთ ალტერნატივად განიხილებოდა ერთა ლიგისა და კოლექტიური უსაფრთხოების იდეის გაუმჯობესება. ამ იდეის მხარდამჭერების მტკიცებით, ამ ორგანიზაციის წინაშე მდგარი პრობლემები დიდად არ უკავშირდებოდა კოლექტიური უსაფრთხოების საყოველთაო კონცეფციას, არამედ მისი იმპლემენტაციის მეთოდებს 1920-1930-იან წლებში. კერძოდ, მათი აზრით, წამყვანი სახელმწიფოების ერთა ლიგისადმი უნდობელი დამოკიდებულება და გადაწყვეტილების მიღებისას ერთსულოვნების არქონა ჩრდილს აყენებდა ამ ორგანიზაციას.

მოკავშირე ქვეყნების ლიდერები კოლექტიურ უსაფრთხოებაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. არც აშშ-ის პრეზიდენტი ფრანკლინ დ. რუზველტი (Franklin D. Roosevelt), არც დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი (Winston Churchill) და არც საბჭოთა ლიდერი იოსებ სტალინი (Josef Stalin) ძალაუფლების დათმობას არ აპირებდნენ. რადგანაც 1930-იან წლებში კოლექტიურმა უსაფრთხოებამ მარცხი განიცადა, საერთაშორისო ურთიერთობებისადმი იდეალისტური მიდგომა, რომელიც საყოველთაო პოპულარობით სარგებლობდა ომთაშორის პერიოდში, იმხანად „რეალისტური“ ხედვისაკენ იხრებოდა. 1948 წელს ჰანს მორგენტაუს გამოცემულმა წიგნმა – „პოლიტიკა სახელმწიფოებს შორის“ (Politics Among Nations)[15] – გავლენა მოახდინა საერთაშორისო ურთიერთობების არაერთი თაობის მკვლევრებზე.

წიგნში რეალიზმის უპირატესობააა ხაზგასმული. ცივი ომის პერიოდში ძალზე აქტუალური იყო რეალისტური პოლიტიკა.

რეალისტები წესრიგის შესანარჩუნებლად ძალთა ბალანსს ანიჭებენ უპირატესობას. ისტორიკოს გორდონ კრეგისა (Gordon Craig) და პოლიტოლოგ ალექსანდრე ჯორჯის (Alexander George) თქმით, არსებობდა ძალთა ბალანსის სისტემების სულ ცოტა სამი ვერსია, რომლებიც გამარჯვებულ სახელმწიფოებს მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ შეეძლოთ აერჩიათ.[16] პირველი, მათ შეეძლოთ დაბრუნებოდნენ კლასიკურ ძალთა ბალანსის პოლიტიკას, რომელიც გაბატონებული იყო მეთვრამეტე საუკუნის ევროპაში. მეორე, მათ შეეძლოთ აღედგინათ მეცხამეტე საუკუნეში ჩამოყალიბებული ვენის სისტემა. მესამე, ძალთა ბალანსის მიდგომა, რომელიც ეფუძნება **გავლენის სფეროების (Spheres of Influence)** განაწილების იდეას. ამ სისტემის თანახმად, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონი ზესახელმწიფოების გავლენის ქვეშ იქნებოდა. ეს სისტემა მეთვრამეტე საუკუნის მოდელისაგან განსხვავდებოდა, რადგან ბალანსის შესანარჩუნებლად უარყოფდა მოქნილი, ცვალებადი ალიანსების ცნებას. იგი ვენის სისტემის მოდელსაც უარყოფდა, რომლის დროსაც ზესახელმწიფოები ერთობლივად წყვეტდნენ პრობლემებს მშვიდობის დასტაბილურობის შესანარჩუნებლად. ამის ნაცვლად, ერთ-ერთ ზესახელმწიფოს, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, ეკისრებოდა პასუხისმგებლობა გაეკონტროლებინა თავისი გავლენის სფერო თავისი ნება-სურვილის მიხედვით.

გავლენის სფეროები – *მიდგომა საერთაშორისო წესრიგში, როდესაც მსოფლიოს მთავარი რეგიონები ზესახელმწიფოთა გავლენის სფეროებად ითვლება.*

მიუხედავად იმისა, რომ ამ იდეამ ჩერჩილისა და სტალინის მოწონება დაიმსახურა, რუზველტი სკეპტიკურად იყო განწყობილი. მიაჩნდა, რომ გავლენის სფეროები დიდი ხნით ვერ შეაკავებდა ზესახელმწიფოების სურვილს გავლენის სფეროს და გავლენი სფეროების გაფართოებას მოიწადინებდნენ. ასეც რომ ყოფილიყო, ეს სისტემა უარყოფდა თითოეულ სფეროში შემავალი გაცილებით პატარა, სუსტი სახელმწიფოების სუვერენიტეტსა და თვითგამორკვევის უფლებას. აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტს უფრო ევროპის კონცერტის მოდელი მოსდიოდა თვალში. მისი აზრით, ახალი სისტემა უნდა დაფუძნებულიყო ოთხ მოკავშირე სახელმწიფოზე, „ოთხი პოლიციელზე“ როგორც რუზველტი უწოდებდა მათ (*აშშ, დიდი ბრიტანეთი, საბჭოთა კავშირი და ჩინეთი*). ეს უკანასკნელები შეინარჩუნებდნენ წესრიგსა და სტაბილურობასა და სტატუს-კვოს დამრღვევ სახელმწიფოებს გამოავლენდნენ.

პოსტომისეული წესრიგმა წარმოქმნა ამ რამდენიმე მიდგომის საერთო ფაქტორები. 1945 წელს, ომის მიწურულს იალტის კონფერენციაზე (Yalta Conference) შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი უხალისოდ დაეთანხმნენ საბჭოეთისათვის აღმოსავლეთი ევროპის გადაცემას. კრიტიკოსების თვალსაზრისით, იალტა გავლენის სფეროების იდეის სიმბოლოდ იქცა, რომელსაც რუზველტი ეწინააღმდეგებოდა. ამასობაში კი,

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი, აშშ-ის პრეზიდენტი ფრანდკლინ დელანო რუზველტი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი იოსებ სტალინი 1945 წელის თებერვალში იალტაში გამართულ კონფერენციაზე ერთამენთს შეხვდნენ და პოსტომისეული ევროპის მოწყობის საკითხები განიხილეს. რაში მდგომარეობდა პოსტომისეული საერთაშორისო სისტემის განსაზღვრელი თავისებურებები?

1944 წელს „დუმბარტონ-ოქსში“ (Dumbarton Oaks) შეხვედრების სერია გაიმართა. აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონში მდებარე ისტორიულ მამულში შერებილი ამერიკელი, ბრიტანელი, საბჭოთა და ჩინელი პოლიტიკოსები პოსტომისეული კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის ჩამოსაყალიბების შესახებ მსჯელობდნენ. 1945 წლის აპრილში ქალაქ სან-ფრანცისკოში გამართული კონფერენცია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (*გაერო*) დაარსების ათვლის წერტილად ითვლება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზანი და სტრუქტურა გამოხატავდა იდეალიზმისა (*ან რასაც ჩვენ ვუწოდეთ პირველ თავში ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი*) და რეალიზმის კავშირს. ერთი მხრივ, გაერომ გააცოცხლა თავისი წინამორბედის, ერთა ლიგის, მიზანი რომ შეექმნა უფლებამოსილებით აღჭურვილი გლობალური ორგანიზაცია, რომელიც მონიტორინგს გაუწევდა სახელმწიფოშორის ომსა და მშვიდობას. ამ თვალსაზრისით, გაეროს ახალი უშიშროების საბჭო გაუქმებული ერთა ლიგის მემკვიდრე ხდებოდა. უშიშროების საბჭოზე დაწვრილებით ვისაუბრებთ მეხუთე თავში. სხვა მხრივ, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (*გაერო*) დაკავშირებულია სუვერენული სახელმწიფოსა და ძალის პოლიტიკის რეალისტურ ცნებებთან. უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები ომში გამარჯვებული ზესახელმწიფოები (*აშშ, დიდი ბრიტანეთი, სსრკ, საფრანგეთი და ჩინეთი*) გახდებოდნენ და ამ უკანასკნელებს ერთსულოვანი გადაწყვეტილებები უნდა მიეღოთ. ერთა ლიგის მემკვიდრემ იდეალისტებს იმედი გაუცრუა. სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე კოლუმბიის წარმომადგენლმა გაერო იმ ზესახელმწიფოს შეადარა, რომელსაც ხელში დიდი ჯოხი ეჭირა, რომელსაც სურვილისამებრ მშვიდობის დაცვის საბაბით ნებისმიერ დროს გამოიყენებდა.[17]

მართლაც, ახლად ჩამოყალიბებული გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (*გაერო*) 1815 წლის ევროპის კონცერტის ინსტიტუციონალიზებულ ვერსიას მოგვაგონებდა. გაეროს ზესახელმწიფოები მშვიდობის გარანტორებად ესახებოდა და მიაჩნდა, რომ ისინი წესრიგისა და სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით „შეთანხმებულად“ იმოქმედებდნენ.

თუ გამარჯვებულ მოკავშირე ზესახელმწიფოებს შორის გაგრძელდებოდა მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ ნაკისრი ერთობლივი ვალდებულება, გაეროს მხარდამჭერები ჩათვლიდნენ, რომ ეს ორგანიზაცია საერთაშორისო წესრიგის ახალი სისტემის საფუძელს უზრუნველყოფდა. თუმცა შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის წარმოქმნილმა დაძაბულობამ ეს იმედი მალევე გააქარწყლა. მეორე მსოფლიო ომში აშშ და სსრკ ჰიტლერის წინააღმდეგ ერთიანი ძალებით იბრძოდნენ, თუმცა ხანმოკლე მოჩვენებითი სიამტკბილობა **ცივმა ომმა (Cold War)** – 1940-იანი წლებში დაწყებული დაძაბულობისასა და კრიზისის პერიოდი, რომელიც 1980-იანი წლების მიწურულს დასრულდა – ჩაანაცვლა. რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ორ ზესახელმწიფოს შორის არსებული დაძაბულობა მსოფლიო ისტორიოგრაფიაში „ცივი ომის“ სახელით შემორჩა, რადგან დაპირისპირებული მხარეები, კერძოდ, შეერთებული შტატები და საბჭოეთი, ერთმანეთში კონფლიქტის გამწვავებას ყოველთვის თავს არიდებდნენ, თუმცა, ამ პერიოდში მომხდარმა არაერთმა კრიზისმა დაპირისპირებული მხარეები ომის ზღვარზეც კი მიიყვანა.

ცივი ომი – *შეერთებულ შტატებსა და სსრკ-ს შორის არსებული კრიზისული და დაძაბული პერიოდი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან მალევე დაიწყო. ცივი ომი 1989 წელს ბერლინის კედლის დაცემითა და 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლით დასრულდა.*

იმ დროს, როცა მრავალი ადამიანი ადრეული ცივი ომის კრიზისიდან ევროპაში მიმდინარე დაძაბულობებზე იყო კონცენტრირებული, დეკოლონიზაციის პროცესი მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებულმა დაპირისპირებამ ჩაანაცვლა. ევროპის ყოფილმა კოლონიებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს. აშშ და სსრკ გავლენის სფეროების მოსაპოვებლად ერთმანეთს ექიშპებოდნენ. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ზესახელმწიფოები გავლენის მოპოვებას ირაღის გადაცემით ან ეკონომიკური დახმარებით ცდილობდნენ. სხვა შემთხვევებში ადგილი ჰქონდა სამხედრო ინტერვენციას. ვინაიდან პირდაპირ სამხედრო კონფრონტაციას შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირის შორის შეიძლება უარყოფით შედეგები გამოეწვია, ეს ორი სუპერ ზესახელმწიფო ერთმანეთის მიმართ არაპირდაპირ ომს აწარმოებდა.

არაპირდაპირი ომი (Proxy War) კონფლიქტი, როდესაც ერთი სახელმწიფო მთავარ კონკურენტს მესამე ძალის გამოყენებით უპირისპირდება. აღმოსავლეთ აზიაში მზარდი საბჭოთა გავლენის შესასუსტებლად შეერთებული შტატები კორეასა (1950–1953 *წწ.*) და ვიეტნამში (1960–1975 *წწ.*) კომუნისტებს ებრძოდა. ანალოგიური შემთხვევა განმეორდა 1979 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირი ავღანეთში შეიჭრა. ამერიკის შეერთებული შტატები წითელ არმიასთან მებრძოლი „მოჯაჰიდებს“ (*იმხანად მათ რიგებში „ალ-ქაიდას“ მომავალი ხელმძღვანელი ოსამა ბინ ლადენიც ირიცხებოდა*) ფინანსურად ეხმარებოდა. ამერიკელები ისლამისტ მეომრებს სამხედრო დახმარებასაც უწევდნენ.

არაპირდაპირი ომი – *კონფლიქტი, როდესაც ერთი სახელმწიფო მთავარ კონკურენტს მესამე ძალის გამოყენებით უპირისპირდება.*

ცივი ომის გამწვავებაში გარკვეული როლი ბირთვული იარაღის არსებობამაც შეასრულა. 1945 წლის აპრილში შეერთებულმა შტატებმა წყანრი ოკეანის აუზში მიმდინარე ომის დასამთავრებლად ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური ბომბები ჩამოყარა (*უფრო დაწვრილებით ბირთვული იარაღის შესახებ იხ. თავი მეოთხე*). 1949 წელს ბირთვული იარაღი საბჭოთა კავშირის შეიარაღებაშიც გამოჩნდა. ორივე ქვეყნის ძალისხმევით ბირთვული არსენალის სწრაფი ტემპებით გავრცელებამ მსოფლიო ბირთვული კატასტროფის ზღვრამდე მიიყვანა.

1962 წლის ოქტომბერში დაიწყო **კუბის ქობინთა კრიზისი (Cuban Missile Crisis)** – უკიდურესი დააბულობის ორკვირიანი პერიოდი, რაც კუნძულ კუბაზე საბჭოთა ბირთვული რეაქტიული ჭურვების აღმოჩენამ განაპირობა. საბჭოთა ლიდერმა ნიკიტა ხრუშჩოვმა (Nikita Khrushchev) მოგვიანებით განაცხადა, რომ მან ეს ნაბიჯი თავისუფლების კუნძულზე შეერთებული შტატების აღსაკვეთად გადადგა. კომუნისტურ კუბას იმხანად საბჭოთა

კუბის ქობინთა კრიზისი – *აშშ-სა და სსრკ-ს შორის უკიდურესი დაძაბულობის ორკვირიანი პერიოდი 1962 წლის ოქტომბერში კუნძულ კუბაზე საბჭოთა ბირთვული რეაქტიული ჭურვების აღმოჩენამ განაპირობა.*

კავშირის მოკავშირე ფიდელ კასტრო (Fidel Castro) ხელმძღვანელობდა. არც ის არის გამორიცხული, რომ რუსები სტრატეგიული ბირთვული უპირატესობის ანაზღაურებას ცდილობდნენ. აშშ-ს მრავალი მხრიდან შეეძლო სსრკ-ზე იერიშის მიტანა. ამერიკელთა ერთ-ერთი სამხედრო ბაზა მდებარეობდა, NATO-ს წევრ თურქეთში, რომელსაც უშუალოდ ესაზღვრებოდა აღმოსავლეთის ბანაკის ლიდერი. ამის საპირისპიროდ, საბჭოთა კავშირს გაცილებით მეტი განსაზღვრული საკონტინენტთაშორისო შესაძლებლობა ჰქონდა, თუმცა დასავლეთ ნახევარსფეროში არცერთი ბაზა არ ჰქონდა. აშშ-ის პრეზიდენტი ჯონ ფ. კენედი (John F. Kennedy) კუბაში განლაგებულ საბჭოთა ბაზებზე საჰაერო თავდასხმისა და კუნძულზე შეჭრის მცდელობებს განიხილავდა. საბოლოო ჯამში ამ ორივე შესაძლებლობის გამოყენებაზე კენედის ადმინისტრაციამ უარი განაცხადა, რადგან ამერიკელები შიშობდნენ, რომ ამ კონფრონტაციას მესამე მსოფლიო ბირთვულ ომი არ გამოეწვია. ამის ნაცვლად კენედიმ კუბის საზღვაო ბლოკადაში მოქცევის ბრძანება გასცა, რათა კუნძულისაკენ მიმავალი რაკეტებით დატვირთული საბჭოთა გემებისათვის ხელი შეეშალათ. რამდენიმესაათიანი მაღალი დაძაბულობის შემდეგ ვითარება ჩაწყნარდა, სსრკ-მა სიტუაციის გამწვავებაზე ხელი აიღო. შეერთებულმა შტატებმა კუბაზე არ შეჭრისა და სსრკ-თან მიმართებით სხვა სახის დათმობებზე წასვლის პირობაც დადო. ხრუშჩოვმა კი კუბაში განთავსებული ბირთვული რაკეტების დემონტაჟისა და დაშლის ბრძანება გასცა.

1970-იანი წლების დასაწყისში რუსულ-ამერიკულ ურთიერთობებში ყინულის დნობის პროცესი მას შემდეგ დაიწყო, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტმა რიჩარდ მ. ნიქსონმა (Richard M. Nixon) **დაძაბულობის შენელების (Détente)** პოლიტიკის დაწყება სცადა. აშშ-სა და სსრკ-ს შორის სავაჭრო, საგანმანათლებლო და კულტურულ სფეროებში ორმხრივი თანამშრომლობის გაართოებამ დაძაბულობის შენელების პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. დაძაბულობის შენელების ყველაზე საინტერესო და უმთავრესი მომენტები გახლდათ შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელთა შორის ბირთვული იარაღის კონტროლის შესახებ გამართული მოლაპარაკებები და უმაღლესი დონის შეხვედრები, რაც ამ ეპოქის სიმბოლოდ იქცა. 1972 წელს, რიჩარდ მ. ნიქსონმა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ბრეჟნევმა (Leonid Brezhnev) ხელი მოაწერეს პირველ **სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შეთანხმებას (Strategic Arms Limitation Talks (SALT)**, რომლის ძალითაც განისაზღვრა ორივე მხარის არსენალში არსებული შეტევითი ბირთვული იარაღის რაოდენობა და მკვეთრად შეიზღუდა ბირთვული რაკეტების თავდაცვითი სისტემების განთავსება.

დაძაბულობის შენელება – *ეს ტერმინი 1970-იან წლებში, ცივი ომის ეპოქაში, შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირის შორის არსებული პოლიტიკური დაძაბულობების აღსანიშნავად გამოიყენება.*

სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შეთანხმებები – *1970-იან წლებში შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის გამართული მოლაპარაკებების ციკლი, როდესაც ზესახელმწიფოების პირველმა პირებმა შეტევითი ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობასთან დაკავშირებით შეთანხმებას მიაღწიეს.*

ეს ცვლილება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. კუბის ქობინთა კრიზისის დროს ცეცხლთან თამაში ბირთვულ ჰოლოკოსტს გამოიწვევდა. ორივე სახელმწიფოს ლიდერი იმხანად არსებული დაძაბულობის შეანელებაზე აკეთებდა აქცენტს. 1970-იან წლები ორივე მხარემ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ურთიერთობების ნორმალიზება გადაწყვიტა. ვიეტნამის არაპოპულარულ ომში ჩაფლული შეერთებული შტატები ომიდან თავის დაღწევის საშუალებებს ეძებდა. საბჭოთა კავშირმა თავის ვიეტნამელ მოკავშირეებზე ზეწოლის განხორციელებით აშშ-ს ამ მიზნის მისაღწევის საშუალება მისცა. ამერიკის პრეზიდენტმა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაუმჯობესება გადაწყვიტა. შეერთებული შტატების კონგრესი და ამერიკული საზოგადოება უარყოფითად იყო განწყობილი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე აშშ-ის ინტერვენციის გამო. ამგვარად, შეერთებული შტატები სსრკ-თან დაძაბულობების შენელებას ცდილობდა და იმედოვნებდა, რომ რუსები ინტრიგების მოწყობისაგან თავს შეიკავებდნენ

განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, რომლებშიც აშშ და სსრკ ერთმანეთს გავლენის მოსაპოვებლად ექიშპებოდნენ. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი ეკონომიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ურთიერთობების დათბობა ამერიკასთან სავაჭრო ურთიერთობების გაფართოების პერსპექტივას გაზრდიდა. საბჭოთა კავშირს ძალიან ესაჭიროებოდა მარცვლეულისა და ტექნოლოგიების ექსპორტი. მოკლედ რომ ვთქვათ, ურთიერთობების გაუმჯობესება ორივე ზესახელმწიფოს ინტერესებში შედიოდა. ნიქსონის ადმინისტრაციაში პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში და შემდეგ სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი (Henry Kissinger) **ურთიერთკავშირის (linked)** პოლიტიკის გატარებას ცდილობდა, რომლის თანახმადაც, თუ სსრკ მთელი მსოფლიოს მასშტაბით კარგად მოიქცეოდა შეერთებული შტატები მასთან სავაჭრო ურთიერთობებს გააფართოვებდა.

ურთიერთკავშირი – *ჰენრი კისინჯერის სტრატეგია, რომლის თანახმადაც თუ საბჭოთა კავშირი მთელი მსოფლიოს მასშტაბით „კარგად მოქცეოდა“ აშშ-თან სავაჭრო ურთიერთობებს გააფართოებდა.*

გასათვალისწინებელი იყო ჩინეთის ფაქტორიც. 1949 წელს, როდესაც მაო ძედუნის (Mao Zedong) ხელმძღვანელობით ჩინეთის ხელისუფლებაში კომუნისტები მოვიდნენ სათავეში, ფიქრობდნენ, რომ ერთი იდეოლოგიის მქონე და შეერთებული შტატებისადმი ანტაგონიტურად განწყობილი ჩსრ და სსრკ მონოლითურ კომუნისტურ ბლოკს ჩამოაყალიბებდნენ. ჩინეთის რევოლუციის დასრულების შემდეგ მოსკოვი და პეკინი მჭიდროდ თანამშრომლობდნენ, თუმცა ყოფილ მოკავშირეებს შორის განხეთქილება ჩამოვარდა. 1960-იანი წლების მიწურულს საბჭოთა და ჩინელი მესაზღვრეები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. დაძაბულობა მცირემასშტაბიან სამხედრო შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. ნიქსონის ადმინისტრაციაში უმალვე გააცნობიერეს, რომ ჩინურ-რუსული მზარდი დაძაბულობა აშშ-ს

რეალპოლიტიკა – *„რეალისტური პოლიტიკა“ ან ეროვნულ ინტერესებზე და არა იდეოლოგიურ ან მორალურ მოსაზრებებზე დაფუძნებული პოლიტიკა.*

თეორია პრაქტიკაში 2.1

ჰენრი კისინჯერის საგარეო პოლიტიკა

შეერთებული შტატების პრეზიდენტის, რიჩარდ მ. ნიქსონის (1969-1974 *წწ.*), საგარეო პოლიტიკა ხშირად რეალისტური პარადიგმის სახელმძღვანელო მაგალითად მიიჩნევენ. უდავოა ჰენრი კისინჯერის გავლენაც. ნიქსონის ყოფილი მრჩეველი და მოგვიანებით სახელმწიფო მდივანი საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის სპეციალისტია. 1957 წელს გამოცემული მისი სადოქტორო დისერტაცია – „აღდგენილი მსოფლიო“ – ვენის სისტემისა და იმ მნიშვნელოვანი პირების შესწავლას ეთმობა, რომლებმაც მსოფლიოს ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. მისი ნამუშევარი ეფუძნება პოლიტიკურ რეალიზმს, რომელმაც გამოძახილი ჰპოვა 1970-იან წლებში ნიქსონი/კისინჯერის თაოსნობით გატარებულ საგარეო პოლიტიკაში. ასეთი პოლიტიკის რეალისტური საფუძვლებია:

- **ჩინეთთან დაახლოება** – ანტიკომუნისტური შეხედულებებით ცნობილი რიჩარდ მ. ნიქსონი საბჭოთა კავშირის ხელისუფლების დასაბალნსებლად ჩინეთთან დაახლოებას ესწრაფვოდა.
- **შეერთებული შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის დაძაბულობის შენელება** – ორ ზესახელმწიფოს შორის წლების მანძილზე იდეოლოგიური ანტიპათია არსებობდა. ნიქსონისა და კისინჯერის რწმენით, ამერიკის ინტერესებიდან გამომდინარე საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა უნდა აღედგინათ.
- **ადამიანის უფლებათა პოლიტიკა** – ნიქსონი და კისინჯერი **რეალპოლიტიკის (Realpolitik** – *სიტყვასიტყვით „რეალისტური პოლიტიკა“ ან ეროვნულ ინტერესებზე და არა იდეოლოგიურ ან მორალურ მოსაზრებებზე დაფუძნებული პოლიტიკა*) გამო არაერთხელ გაუკრიტიკებიათ. მაგალითად, როდესაც ცნობილი რუსი ნოველისტი და ანტიკომუნისტი დისიდენტი ალექსანდრე სოლჟენიცინი (Aleksandr Solzhenitsyn) 1974 წელს საბჭოთა კავშირიდან გაასახლეს, ნიქსონის ადმინისტრაციაში იმაზე წუხდნენ, რომ ამ შემთხვევას ამერიკა-რუსეთის ურთიერთობაზე უაყოფითად არ ემოქმედა. ამგვარად, ნიქსონის ადმინისტრაციამ საბჭოთა კავშირის კრიტიკისგან თავი შეიკავა და აშშ-ში ჩასულ სოლჟენიცინს დახვედრის ცერემონია არ გაუმართეს.

ჰენრი კისინჯერი თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირს გამოხატავს. პოლიტიკოსად ჩამოყალიბებულმა ყოფილმა მეცნიერმა, რეალისტური თეორია პრაქტიკაში შესანიშნავად გაატარა.

- როგორ აისახა კისინჯერის რეალურ პოლიტიკაში საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესი?
- სხვადასხვა მიზეზის გამო კისინჯერს ხშირად აკრიტიკებენ როგორც ლიბერალები, ისე კონსერვატორები. თქვენი აზრით, რომელ მხარეს მოსწონს კისინჯერი და რომელს არა?
- სოლჟენიცინის შემთხვევისას თქვენ რა პოზიციას დაიკავებდით? სოლჟენიცინის შემთხვევისას?

კიდევ უფრო მეტ დივიდენდს მოუტანდა. ამიტომ ნიქსონმა და კისინჯერმა მოსკოვსა და პეკინთან ურთიერთობების გაუმჯობესების გზების ძიება დაიწყეს. ამერიკელები იმედოვნებდნენ, რომ კომუნისტური გიგანტების მყიფე ურთიერთობაში კიდევ უფრო მეტი დაძაბულობის შეტანითა და ერთმანეთთან დაპირისპირებით პოლიტიკურ უპირატესობას მოიპოვებდნენ. რიჩარდ მ. ნიქსონი პირველი ამერიკელი პრეზიდენტია, რომელიც 1949 წლის რევოლუციის შემდეგ ჩსრ-ს ეწვია. 1972 წლის ოფიციალურმა ვიზიტმა შეერთებულ შტატებსა და ჩინეთის კომუნისტურ რეჟიმს შორის ურთიერთობის ნორმალიზებას ჩაუყარა საფუძველი (*იხ. თეორია პრაქტიკაში* 2.1).

1980 წელს ამერიკის პრეზიდენტად რონალდ რეიგანის (Ronald Reagan) არჩევამ სიმბოლურად დაძაბულობის შენელების ეპოქა დაასასრულს დაუდო სათავე. 1983 რეიგანმა საბჭოთა კავშირი „ბოროტების იმპერიის“ ეპითეტით შეამკო. პირველ საპრეზიდენტო ვადაში შეერთებულმა შტატებმა თავდაცვისა თუ შეიარაღების კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. ამის მიუხედავად, კრიტიკოსები დაძაბულობის შენელების წარუმატებლობაზე ჯერ კიდევ 1976 წელს მიუთითებდნენ, როდესაც პრეზიდენტობის კანდიდატი ჯერალდ ფორდი (Gerald Ford) იმ დასკვნამდე მივიდა იქამდე ხელახალი საარჩევნო კამპანიისას ამ სიტყვის გამოყენება აკრძალა. მემარჯვენე კრიტიკოსებს (*მათ შორის რეიგანი*) მიაჩნდათ, რომ დაძაბულობის შენელება საბჭოთა კავშირის ინტერესებს ემსახურებოდა და საბჭოთა ლიდერებს უღვივებდა რწმენას, რომ აშშ მოკავშირეებს მიატოვებდა. მემარცხენე კრიტიკოსები (*მათ შორის პრეზიდენტი ჯიმი კარტერი*) ამტკიცებდნენ, რომ ნიქსონისა და კისინჯერის რეალიზმმა უგულებელყო ამერიკული ფასეულობები, მაგ. ადამიანთა უფლებების დაცვა. 1979 წელს საბჭოთა კავშირის ავღანეთში შეჭრამ, 1981 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისადმი კარტერის ადმინისტრაციის გამოცხადებულმა ბოიკოტმა, საბჭოთა კავშირისთვის მარცვლეულის მიყიდვის შეწყვეტამ დ შეერთებული შტატების თავდაცვის ხარჯების გაზრდამ რეიგანის პრეზიდენტად არჩევამდე ერთი წლით ადრე დაძაბულობის შენელების ეპოქა დაასრულა.

კრიტიკისა და დაძაბულობების მიუხედავად, ცივი ომი არასოდეს გადაზრდილა რეალურ ომში. რეალისტები ორ განმარტებას გვთავაზობენ: პირველი, ისინი ყურადღებას ამახვილებენ **ბიპოლარულობაზე (Bipolarity).** არაერთი რეალისტი მეცნიერის თქმით, ბიპოლარულო სამყარო გაცილებით პროგნოზირებად და სტაბილურ ძალთა ბალანსს უზრუნველყოფს. ასეთ დროს ორივე მხარე ომის დაწყების შემთხვევაში სერიოზულ დანაკარგებს განიცდიდნენ. მეორე, ბირთვულმა იარაღმა ბიპოლარული ძალთა ბალანსი ბიპოლრულ „ტერორის ბალანსად“ გარდაქმნა. ასეთ დროს ფართომასშტაბიანი ომი დაწყება ორივე მხარეს გაანდგურებას უქადის (*იხ. თავი მეოთხე*).

ბიპოლარულობა – *საერთაშორისო სისტემა, როდესაც მხოლოდ ორი ზესახელმწიფო ემუქება ერთმანეთის უსაფრთხოებასა და სუვერენიტეტს.*

ზოგიერთი რეალისტის აზრით, ცივი ომის დასასრულს ჩაბარდა ხანგრძლივი მშვიდობა.[18] ცივი ომი თანამედროვე ისტორიაში ზესახელმწი-

ფოებს შორის ყველაზე ხანგრძლივ მშვიდობიან პერიოდად ითვლება. მათი აზრით, ცივი ომის დასასრულმა სახელმწიფოებს შორის გაცილებით მშვიდობიანი ეპოქის აღმოცენების შესაძლებლობა გააჩინა.

1989: ცივი ომის დასრულების შემდგომი პერიოდი

2-5 განსაზღვრეთ პოსტცივიომისეული ეპოქის მთავარი დამახასიათებელი ნიშანები და განმარტეთ საერთაშორისო წესრიგში შეტანილი მათი წვლილი.

1991 წლის 25 დეკემბერს საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი თანამდებობიდან გადადგა, საბჭოთა კავშირმა არსებობა შეწყვიტა. კომუნისტურმა რეჟიმმა, რომელიც 1917 წლიდან მართავდა ქვეყანას, ძალაუფლების სადავეები დათმო. იმ დროს, როცა გორბაჩოვის საშობაო მიმართვამ საბოლოო ლურსმანი ჩააჭედა საბჭოთა კომუნიზმის კუბოზე, ცივი ომის ეპოქა სიმბოლურად 1989 წელს ბერლინის კედლის დაცემით დასრულდა

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანია ორ სახელმწიფოდ იყო გაყოფილი. დემოკრატიული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (*დასავლეთი გერმანია*) შეერთებულ შტატებსა და დასავლეთი ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობდა, მეზობლებთან, ხოლო კომუნისტური გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა (*აღმოსავლეთი გერმანია*) სსრკ-ის მოკავშირე იყო. გერმანის დედაქალაქი ბერლინი ორ ნაწილად (*დემოკრატიული და კომუნისტური ბერლინი*) იყო გაყოფილი. აღმოსავლელი გერმანელების დასავლეთში გაქცევის აღსაკვეთად 1961 წელს საბჭოთა კავშირმა ბერლინის შუაგულში ააშენა კედელი, რომელიც ქალაქს ორნაწილად ჰყოფდა.

1989 წლის 9 ნოემბერს კედლის დანგრევამ ასობით ათას აღმოსავლელ გერმანელს ახალი ცხოვრების დაწყების იმედი გაუჩინა. პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით დასუსტებული საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი (Mikhail Gorbachev) უშედეგოდ ცდილობდა რეფორმების გატარებას. კომუნიზმის ციტადელს ვერ **„პერესტროიკამ“ (Perestroika** – (*ეკონომიკური რესტრუქტურიზაცია*) უშველა და ვერც **„გლასნოსტმა“ (Glasnost –** *საჯაროობა*).

რეფორმებმა, რომლებიც საბჭოთა იმპერიის გადარჩენას ისახავდნენ მიზნად, თავად საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური მმართველობის კრახი განაპირობეს. სსრკ თხუთმეტ სუვერენულ სახელმწიფოდ დაიშალა, მათ შორის ტერიტორიულად ყველაზე დიდი იყო რუსეთის ფედერაცია (*იხ. დიაგრამა* 2.2 და *დიაგრამა* 2.3). პოსტკომუნისტური რუსეთის ახალმა პრეზიდენტმა ბორის ელცინმა (Boris Yeltsin) შეერთებულ შტატებთან ურთიერთობები დაათბო და ცივი ომი დასრულებულად გამოცხადა. ამგვარად, 1989 წელი, როგორც 1648, 1815, 1919 და 1945 წლები მსოფლიო ისტორიაში წყალგამყოფი აღმოჩნდა.

ამავდროულად, 1989 წელი სხვა საკვანძო თარიღებისგან მნიშვნელოვანად განსხვავდება. პირველი, 1648, 1815, 1919 და 1945 წლები ფართომასშტაბიანი ომების დასასრულზე მიუთითებენ. 1989 წელს დასრულებული ცივი ომი ან დაძაბულობის პერიოდი ტრადიციული ომისგან მკვეთრად განსხვავდება. ცივი ომი საბჭოთა კავშირმა წააგო, თუმცა ეს წაგება სხვა ფაქტორებმა განაპირობეს. ეს არ იყო ტრადიციული სამხედრო წაგება სხვა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებთან. სსრკ-ის ტერიტორიების ოკუპაცია გარე ძალას არ მოუხდენია.

პერესტროიკა – 1980-იანი წლების შუაგულში მიხეილ გორბაჩოვის ინიციატივით საბჭოთა კავშირში დაწყებული ეკონომიკური გარდაქმნის პროცესი, რაც კომუნისტური სისტემაში საბაზრო ეკონომიკის საფუძვლების ეტაპობრივ დანერგვას ითვალისწინებდა.

გლასნოსტი – 1980-იანი წლების შუაგულში მიხეილ გორბაჩოვის დაწყებული „საჯაროობის“ პოლიტიკამ მედიაზე სახელმწიფო ცენზურის შესუსტებას და ინფორმაციულობას დაუდო სათავე.

დიაგრამა 2.2 ევრაზია ცივი ომის პერიოდში



პირველი განსხვავება ძირითადად ნათელს ჰფენს მეორეს. ზესახელმწიფოებმა მსოფლიო წესრიგის უზრუნველმყოფელი ახალი სისტემისა და კიდევ ერთი დიდი ომის პრევენციის მიზნისთ არაფერი იღონეს. ცივი ომის დასასრულს ახალი სისტემის სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად არ მოჰყოლია ვესტფალიის ზავი, ვენის კონგრესი, ვერსალის ხელშეკრულება ან იალტის კონფერენცია. თუმცა ცვლილებების ქარმა მაინც დაუბერა. არაერთი თვითმხილველის თქმით, ამ ცვლილებებმა მშვიდობისა და სტაბილურობის ახალ დროებას ჩაუყარა საძირკველი. ეს მნიშვნელოვანი ცვლილებებია:

უნიპოლარულობა – *საერთაშორისო სისტემა, როდესაც ერთი ზესახელმწიფო თავის კონკურენტს სამხედრო შესაძლებლობით ძალზე აღემატება და ვერცერთი სხვა ზესახელმწიფო მის უსაფრთხოებასა და სუვერენიტეტს ვერ დაემუქრება.*

1. *ბიპოლარული სისტემის დასასრული.* სსრკ-ის და ვარშავის პაქტის რღვევამ საერთაშორისო სისტემის მაღალ ეშელონებში სტრუქტურული ცვლილებები გამოიწვია. ამერიკული ჰეგემონია, რასაც მავანნი „უნიპოლარულ მომენტს“[19] უწოდებენ, საბჭოთა კავშირის კოლაფსმა განაპირობა. ერთი სახელმწიფოს დომინირებას **უნიპოლარულობას** (Unipolarity) უწოდებენ ცივი ომის დასრულების შემდეგ უკონკურენოტდ დარჩენილმა კაპიტალისტური სამყაროს მებაირახტრემ მთელ მსოფლიოზე სამხედრო, ეკონომიკური და კულტურული თვალ-

დიაგრამა 2.3 ცივი ომის ეპოქის დასრულების შემდგომი ევრაზია



საზრისით უდიდესი გავლენა მოიპოვა. ჰეგემონური სტაბილურობის თეორიის თანახმად, ჰეგემონი ან უნიპოლარული სისტემა მიდრეკილია სტაბილური და მშვიდობიანი გარემოსადმი, რადგან დომინანტ სახელმწიფოს ან ჰეგემონს საერთაშორისო სისტემის კანონების ჩამოაყალიბებისა და დაიცვის შესაძლებლობები აქვს. რასაკვირველია ეს წესები ჰეგემონის ინტერესებთან მოვა თანხვედრაში. ამ უკანასკნელის თავნებობით აღშფოთებული სახელმწიფოები ვმას ერ დაუპირისპირდებიან და გარკვეული დროის განმავლობაში მშვიდობა იარსებებს.

2. *გლობალიზაცია*. იმ დროს, როცა ამერიკული ჰეგემონია უზრუნველყოფს პოსტცივიომისეული ეპოქის მშვიდობისა და სტაბილურობის რეალისტურ განმარტებას, რეალიზმის კრიტიკოსების თქმით, ამ დროს სხვა ფაქტორებიც მოქმედებდნენ. მეოცე საუკუნის მიწურულს მომხდარმა ტელესაკომუნიკაციო რევოლუციამ ხელი შეუწყო ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდას (*დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხ. თავი მეშვიდე*). საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების ზრდამ, ასევე გლობალურ სისტემაში სულ უფრო მეტი ქვეყნის ჩართვამ 1990-იან წლებში მთელ მსოფლიოში არნახული ეკონომიკური კეთილდღეობა განაპირობა. ზოგიერთი ადამიანის აზრით, ოცდამეერთე საუკუნეში კულტურული ფასეულობებისა გლობალიზაციის გზები გადაიკვეთება, რამაც შესაძლებელია კონფლიქტი გამოიწვიოს. სხვების აზრით კი ჰომოგენური და ურთიერთდაკავშირებული სამყაროს მსოფლიო პოლიტიკაში ომი და ძალადობა შემცირდება.

3. *დემოკრატიზაცია*. ეკონომიკურ გლობალიზაციასთან ერთად პოსტცივიომისეულ ეპოქაში დემოკრატიული დემოკრატიული სახელმწიფოების რაოდენობამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია (*იხ. თავი მეოთხე*). ეს ტენდენცია დაიწყო 1970-იან წლებში, როდესაც დემოკრატიული მმართველობის ფორმაზე გადასვლა პირველად განხორციელდა

> სამხრეთ ევროპაში (*განსაკუთრებით ესპანეთსა და პორტუგალიაში*) და შემდეგ გავრცელდა ლათინურ ამერიკაში, აზიისა და აფრიკის გარკვეულ ნაწილში და ბოლოს თვით აღმოსავლეთი ევროპის პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებსა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. ფიქრობენ, რომ დემოკრატიული მშვიდობის თეორია (*იხ. თავი პირველი*) ჭეშმარიტებასთან ახლოს დგას.

მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან პირველად გლობალიზაცია და დემოკრატიზაცია რეალიზმის დომინირებას დაუპირისპირდნენ. ლიბერალი კომერციალისტები და ლიბერალი ინტერნაციონალისტები ყურადღებას ამახვილებდნენ გლობალიზაციისა და დემოკრატიზაციის დამამშვიდებელ გავლენაზე, რომელიც ცივი ომის დასრულების შემდეგ გავრცელდა. მათმა შეხედულებებმა გავლენა მოახდინეს პრეზიდენტ ბილ კლინტონის (Bill Clinton) ადმინისტრაციაზე. 1996 წელს მათ მიერ შემუშავებულმა შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიამ განსაკუთრებული ყურადღებაზე გაამახვილა ამ ტენდენციების მნიშვნელობაზე როგორც მსოფლიო მშვიდობის, ისე შეერთებული შტატების უსაფრთხოების თვალსაზრისით:

> თავისუფალ საბაზრო სისტემაში ჩართული ქვეყნები, რომლებსაც მზარდი ეკონომიკა და მყარი, თავისუფალი სავაჭრო კავშირები აქვთ, თავს უფრო დაცულად გრძნობენ და თავისუფლებისაკენ მიილტვიან. დემოკრატიული სახელმწიფოები ჩვენს ინტერესებს არ დაემუქრებიან და, სავარაუდოდ, ითანამშრომლებენ შეერთებულ შტატებთან, რათა ხელი შეუწყონ თავისუფალი ვაჭრობის განვითარებასა და თავი უსაფრთხოდ იგრძნონ. ამ მიზნების გათვალისწინებით ამერიკა აფართოებს უსაფრთხოების გაერთიანებას, თავისუფალ ბაზარსა და მხარს უჭერს დემოკრატიულ სახელმწიფოებს.[20]

ამავდროულად კი ლიბერალი ინსტიტუციონალისტები ამტკიცებენ, რომ აშშ-სსრკ-ის შორის წლების მანძილზე მიმდინარე ბიპოლარული მეტოქეობის დასასრულმა თავდაპირველად წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის გარანტორის ესტაფეტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას (*გაერო*) გადასცა. იმედოვნებდნენ, რომ ეს „ახალი“ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია 1991 წელს სპარსეთის ყურეში ერაყის წინააღმდეგ გაჩაღებული ომის დროს თავის სიტყვას იტყოდა. როდესაც ერაყის არმია 1990 წლის ზაფხულში მეზობელ კუვეიტში შეიჭრა, ზესახელმწიფოებმა გაეროს უშიშროების საბჭოზე ერთხმად დაუჭირეს მხარი კუვეიტის გასათავისუფლებლად სამხედრო ოპერაციის დაწყებას.

მოკლედ რომ ვთქვათ, ლიბერალების მტკიცებით, კანტის სამკუთხედის სამივე პუნქტი მშვიდობის მიმართულებით ერთსა და იმავე დროს ერთ წერტილში შეერთდა, რამაც, თავის მხრივ, რეალისტებისათვის გაუგებარი მსოფლიოს ჩამოყალიბებას შეუყო ხელი.

ცივი ომის დასასრულმა სითამამე შემატა ლიბერალებს. მისმა დასასრულმა ასევე ხელი შეუწყო კონსტრუქტივიზმის აღმოცენებას, რომელიც ორთოდოქს რეალისტებს და ლიბერალებს დაუპირისპირდა და რეალიზმის მთავარ ალტერნატივად ჩამოყალიბდა. კონსტრუქტივისტების მტკიცებით, ცივი ომის დასასრულმა საბჭოეთის დემოკრატიზაცია და მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში მისი ინტეგრაცია განაპირობა. უფრო მეტიც, მათი განცხადებით, ეს ცვლილებები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (*გაერო*) ან სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების რეფორმირების გარეშე განხორციელდა. რეალისტებისა და ლიბერალების პროგნოზების საპირისპიროდ 1980-იანი წლების მიწურულს შეერთებული შტატებისა და საბ-

ჭოთა კავშირის ურთიერთობის ძირეული გაუმჯობესება დამოკიდებული არ იყოს საერთაშორისო სისტემის ან საბჭოთა რეჟიმის სტრუქტურულ ცვლილებებზე. კონსტრუქტივისტების თქმით, ეს დამოკიდებულია საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ ახალი შეხედულების გავრცელებაზე, რამაც მთავარი აქტორების პოლიტიკაზე მოახდინა გავლენა.

2001: მსოფლიო 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ

2-6 შეადარეთ და განასხვავეთ 1990-იანი წლების მსოფლიო საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე ტენდენციების თანხლებით, რომლებიც ოცდამეერთე საუკუნის პირველ დეკადაში აღმოცენდნენ.

2001 წლის 11 სექტემბერს თვითმკვლელი ტერორისტების მიერ გატაცებული ოთხი თვითმფრინავიდან ორი, ქალაქ ნიუ-იორკში, ქვემო მანჰეტენზე, აღმართულ მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ორ ცნობილ ცათამბჯენს, ე.წ. „ტყუპებს“ დაეჯახა. მესამე თვითმფრინავი დედაქალაქ ვაშინგტონთან ახლოს განთავსებულ აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს შენობას, „პენტაგონს“, დაეჯახა. სავარაუდოდ, თეთრი სახლის ან შეერთებული შტატების კაპიტოლიუმისაკენ გეზაღებულმა მეოთხე თვითმფრინავმა გამტაცებლებსა და მგზავრებს შორის დაწყებული ხელჩართული ბრძოლის გამო პენსილვანიაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინდორზე ჩამოვარდა. ამ ტრაგედიას დაახლოებით სამი ათასი ადამიანი ემსხვერპლა. ყველა მედიასაშუალება ერთხმად იტყობინებოდა, რომ ამ დღიდან ძირეული ცვლილებები დაიწყებოდა. მაგრამ, მოხდა კი ასე? მართლაც, ამ გადასახედიდან 1990 და 2000-იანი წლები დიდად არ განსხვავდება. ახალი ეპოქის დაწყების მიმანიშნებელი კონტურები დიდი ხანია რაც გამოიკვეთა. ამერიკელებისათვის 9/11 ტრაგედია წყალგამყოფი აღმოჩნდა, რადგან ცივი ომის დასრულების შემდგომ პერიოდში არსებულ ოპტიმიზმს, რომელიც მშვიდობიან მსოფლიოს უკავშირდებოდა, ბოლო მოუღო. ასევე, ბოლო მოუღო ხელშეუხებლობის განცდას რითიც ამერიკა წლების მანძილზე ტკბებოდა არა მხოლოდ თავისი სამხედრო ძლიერების, არამედ გეოგრაფიული მდგომარეობის გამო. მსოფლიო ამერიკელებისთვის მოულოდნელად საშიში აღმოჩნდა. ჯორჯ უ. ბუშის (George W. Bush) ადმინისტრაციის გატარებული საგარეო პოლიტიკა 11 სექტემბრის შემდეგ ნათლად ასახავდა ამ ცვლილებას, რომელიც მათ დამოკიდებულებაში ცხადად ვლინდებოდა. იმ ვარაუდი ნაცვლად, რომლის თანახმადაც დემოკრატიზაცია საყოველთაო მშვიდობის საწინდარია, ამერიკელი ნეოკონსერვატორები (*იხ. თავი პირველი*) ამტკიცებდნენ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დემოკრატიის სამხედრო ძალით გავრცელება დასაშვები იყო. ამერიკულ საზოგადოებაში გაჩენილმა შიშმა, რომელიც აშშ-ის ტერიტორიაზე ბირთვული, ქიმიური ან ბიოლოგიური იარაღით ტერორისტული აქტების განხორციელებას უკავშირდებოდა, დაუცველობის შეგრძნება გააძლიერა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (*გაერო*) უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით 2003 წელს შეერთებულმა შტატებმა ერაყის წინააღმდეგ **უპირატესი ომი (Preemptive War)** დაიწყო. ამ ომის მიზანს ერაყის მასობრივი განადგურების ირაღის განადგურება და ამ ქვეყნის დემოკრატიზაცია წარმოადგენდა. შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია (2002 *წ.*) აშშ-ს ცალმხრივად მოქმედებისა და უპირატესის უფლებას ანიჭებდა რათა თავიდან აერიდებინა 9/11-ის მსგავსი თავდასხმა კიდევ ერთი საკუთარ ტერიტორიაზე.[21] ამ დოკუმენტში ვკითხულობთ,

უპირატესი ომი – *ომის სახეობა, როდესაც სახელმწიფო პირველი იწყებს სამხედრო ოპერაციას მტრის გარდაუვალი თავდასხმის თავიდან აცილების მიზნით, რადგან მოწინააღმდეგე მის სასიცოცხლო ინტერესებს მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის.*

ერაყის ომის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და სიმბოლური მომენტი, როდესაც ერაყელთა შეძახილების თანხლებით, ამერიკელმა სამხედროებმა ბაღდადის ცენტრში, ფირდოსის მოედანზე (Firdos Square), აღმართული სადამ ჰუსეინის ქანდაკება ჩამოაგდეს. ბუშის ადმინისტრაციის განცხადებით, ერაყში შეჭრა მხოლოდ უპირატესი ომი იყო. ეთანხმებით? განმარტეთ დადებითი ან უარყოფითი მიზეზები.

რომ მასობრივი განადგურების იარაღი და საერთაშორისო ტერორიზმი შეერთებული შტატების სასიცოცხლო ინტერესებს პერმანენტულ საფრთხეს უქმნის.

11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ საერთაშორისო სისტემაში ძირეული ცვლილებები მოხდა. ზოგიერთი მეცნიერი „პოსტცივიომისეული ეპოქის“ აღმოცენების შესახებ ალაპარაკდა.[22] ხშირად განიხილავენ მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების საერთო დამახასიათებელ ნიშნებს. ესენია:

1. *ახალი მულტიპოლარულობა?* რეალისტთა დიდი ნაწილის აზრით 1990-იან წლებში გაბატონებული „უნიპოლარულ მომენტი“ ყოველთვის დროებით მოვლენად ითვლებოდა, რადგან ძალაუფლება საბოლოო ჯამში მაინც დაბალანსდებოდა. ამგვარად, უნიპოლარული მომენტები საბოლოოდ დასრულდა და ჩანაცვლდა ახალი ბიპოლარული სისტემით ან სამი ან ოთხი ზესახელმწიფოს ჩამოყალიბებული ახალი მრავალპოლარულობით. 1990-იანი წლების მიწურულს ზოგიერთი მიმომხილველი ამტკიცებდა, რომ ასეთი დაბალანსების მცდელობები შეერთებული შტატების წინააღმდეგარ იყო მიმართული.[23] ანტიამერიკული გაერთიანებები შეერთებული შტატების დომინირების შეჩერებას ცდილობენ.

საყურადღებოა წლების მანძილზე ჩინეთის სამხედრო ბიუჯეტის ზრდა, უფრო თავდაჯერებული რუსეთის ფედერაცია შეერთებული შტატების ინტერესების უპირისპირდება, ირანელების ბირთვული იარაღის შექმნით ახლო აღმოსავლეთში თავისი მნიშვნელობის დამტკიცებას ცდილობენ, ჩრდილოეთი კორეა აგრძელებს ბირთვული ქობინებისა და რაკეტების განვითარების პროცესს, და ვენესუელის ყოფილის პრეზიდენტის, უგო ჩავესისა, და მისი მემკვიდრეების მიერ გატარებული ანტიამერიკული პოლიტიკა შეიძლება შეფასდეს შეერთებული შტატების დომინირებისა და უნიპოლარულობის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯებად.

2014-2015 წლებში რუსეთის მიერ აღმოსავლეთი უკრაინისა და ყირიმის ოკუპაცია შეერთებული შტატების ჰეგემონიისა და დომინირების უგულებელყოფის დემონსტრირების ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მაგალითია. ეს ქმედება რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინს (Valdimir

Putin), მოტივაციაზე მიუთითებს. პუტინისათვის, ისევე როგორც მრავალი რუსისათვის, ყირიმი ისტორიულად რუსეთის, მოგვიანებით კი საბჭოთა კავშირის განუყოფელი ნაწილი იყო, რომელიც ცივი ომის დასრულების შემდეგ რუსეთის სუსტი საერთაშორისო პოზიციების გამო დაკარგულად ითვლებოდა. ამგვარად, ზემოხსენებული 2014-2015 წლის მოვლენები, პუტინის აზრით, უკრაინაში ბუნებრივი წესრიგის აღდგენას ემსახურებოდა. რუსეთი შეერთებულ შტატებსა და ცივი ომის დასრულების შემდგომ პერიოდში დასავლეთის ჩამოყალიბებულ წესრიგს დაუპირისპირდა. პუტინის თამაში ჩრდილოატლანტიური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) რიგებში უთანხმოების შეეტანას ითვალისწინებდა. შეერთებული შტატები ევროპაში თავის ჰეგემონიას სწორედ ამ ალიანსის მეშვეობით ახორციელებდა. რუსები NATO-ს ეფექტურობის შერყევასა და მისი როლის, როგორც წესრიგის დამცველის, გაბიაბრუებას ცდილობდნენ. რუსები ასევე აინტერესებდათ სამხედრო კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში დაიცავდა თუ არა შეერთებული შტატები ალიანსის წევრ (*მაგ. ბალტიისპირეთის ქვეყნები*) და არაწევერ (*მაგ. უკრაინა*) სახელმწიფოებს. როგორც გამოჩნდა, რუსეთის პრეზიდენტს ევროპაში შეერთებული შტატების დაბალანსების სურვილი ამოძრავებდა.

მავანთა თქმით, ამერიკელთა დომინირება ახლო აღმოსავლეთშიც შემცირდა. 2015 წელს, ისრაელმა, საუდის არაბეთმა და ეგვიპტემ ამერიკელთა შესაძლებლობებში ეჭვი შეიტანეს. ამერიკელთა ყოვლისშემძლეობას აღმოსავლეთ აზიაშიც ეჭვის თვალით შეხედეს. იაპონიასა და სამხრეთ კორეას შეერთებული შტატების მიერ მათდამი მიცემული უსაფრთხოების გარანტიების სანდოობაზე კითხვები გაუჩნდათ. პუტინის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული პოლიტიკის პასუხად შეერთებული შტატების არც თუ ისეთმა მკაცრმა რეაქციამ თავად ალიანსის წევრებიც – განსაკუთრებით ახალი წევრები ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები დააფიქრა.

მსუბუქი ძალა (Soft Power) ეს არის შესაძლებლობა გავლენა მოახდინო სხვებზე მიმზიდველობით და არა ძალის გამოყენებით. ამ თეორიის პიონერის, ამერიკელი პოლიტოლოგის, ჯოზეფ ნაის (Joseph Nye), თქმით, სახელმწიფოს მსუბუქი ძალის წყაროებია ქვეყნის კულტურა („*ჰოლივუდიდან ჰარვარდამდე*“), პოლიტიკური ფასეულობები („*დემოკრატიიდან სიტყვის თავისუფლების შესაძლებლობამდე*“) და საგარეო პოლიტიკის ლეგიტიმურობა (*როგორც ამას სხვები აღიქვამენ*).[24] 2008 წელს დაწყებულმა ეკონომიური კრიზისმა, აშშ-ის პოლიტიკური სისტემის უუნაროობამ ეფექტური რეაგირება მოეხდინა მიმდინარე გამოწვევაზე, ასევე ახლო აღმოსავლეთში გატარებულმა არაპოპულარულმა და წარუმატებელმა პოლიტიკამ მისი მსუბუქი ძალის რესურსების გამოფიტვა განაპირობა.

მსუბუქი ძალა – *სხვა ქვეყნებზე უპირატესობისა და გავლენის მოპოვება მიმზიდველობით და არა ძალის ან მუქარის გამოყენებით.*

ზემოჩამოთვლილი პრობლემების მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ შეერთებული შტატები მრავალ ასპექტში ჯერ კიდევ დომინირებულ სახელმწიფოდ რჩება. აშშ ეკონომიკური, სამხედრო თუ ტექნოლოგიური თვალსაზრისით, პოტენციურ ოპონენტებს მკვეთრად აღემატება. 2006 წელს შეერთებული შტატების ბიუჯეტის ორი მესამედი თავდაცვის ხარჯებზე მოდიოდ, ამ დროს კი ჩინეთის, ოცდამეერთე საუკუნეში მისი სავარაუდო მეტოქე, ხარჯები მხოლოდ ექვს პროცენტს შეადგენდა.[25] 2015 წელს შეერთებული შტატების თავდაცვის ხარჯების შემცირებასთან დაკავშირებული ვარაუდების მიუხედავად, ჩინეთი და რუსეთი ხარჯების კუთხით მნიშვნელოვნად მას. ამერიკა შეიარაღებაზე ხარჯავს ორჯერ უფრო მეტს, ვიდრე რუსეთი და ჩინეთი ერთად აღებული.[26] დღემდე შეერთებული შტატების ეკონომიკა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეკონომიკას აღმეატება. ამერიკა მსოფლიო პროდუქციის დაახლოებით ერთ მეოთხედს

მოიხმარს. 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს ყველაზე სწრაფად შეერთებულმა შტატებმა დააღწია თავი. წლების მანძილზე აშშ საზღვარგარეთიდან იმპოტირებულ ნავთობზე იყო დამოკიდებული, თუმცა ბოლო წლებში ამერიკელებმა ფიქალის ნავთობის წარმოებას მიჰყვეს ხელი.

რაც შეეხება მსუბუქ ძალას, ამერიკის პოტენციური მეტოქეები სხვადასხვა სახის გამოწვევებს ებრძვიან. საბერძნეთში კრიზისი მძვინვარებს, გრძელდება ეკონომიკური სტაგნაცია, იზრდება პოლიტიკური პოლარიზაცია როგორც ქვეყნებს შიგნით ისე ქვეყნებს შორის (*ამ ევროპული გამოწვევების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხ. თავი მეშვიდე*). ამავდროულად, კორუფცია და უმოქმედობა რუსეთის ეკონომიკაზე უარყოფითად მოქმედებს. განვითარების რუსული მოდელი მეზობელ ქვეყნებში მცხოვრები რუსულენოვანი სეპარატისტებისა და რამდენიმე რიგითი ევროპელი პოლიტიკოსის გარდა მსოფლიოსთვის მიმზიდველი ნამდვილად არ არის. ათწლეულების განმავლობაში შთამბეჭდავი ეკონომიკური განვითარების მიუხედავად, ჩინეთიც მომავალთან დაკავშირებულ ბუნდოვან გამოწვევებს აწყდებოდა. პოლიტიკური არამდგრადობა მის ავტორიტარულ კაპიტალისტურ მოდელს მიმზიდველობას უკარგავს. ზოგიერთი მიმომხილველის აზრით, შეერთებული შტატების პრეზიდენტად არჩეული ბარაკ ობამა (Barack Obama) მსუბუქი ძალის პოლიტიკის გაძლიერებას დაუჭერდა მხარს. ამერიკამ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში შელახული იმიჯის გამოსწორებაზე დაიწყო ზრუნვა (*იხ. თეორია პრაქტიკაში* 2.2).

2. *ევროცენტრიზმის დასასრული?* თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში ხშირად ამოიკითხავთ, რომ ევროპა სამყაროს ცენტრია. არსებობს რამდენიმე კანონზომიერება. ინდუსტრიულმა რევოლუციამ ევროპის მმართველ კლასს 1648 წლის შემდეგ მსოფლიო პოლიტიკაში გაბატონების საშუალება მისცა. მრავალსაუკუნოვანი და შთამბეჭდავი ისტორიით სხვა ცივილიზაციები დაიკვეხნიან. ბედის ირონიით, ბოლო საუკუნეებში გამოჩნდა, რომ ეს ოდესღაც ამაყი ცივილაზაციები ევროპელთა კოლონიებად იქცნენ. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დეკოლონიზაციისა და თვითგამორკვევის პროცესი გაგრძელდა. ამ ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებს აზრის გამოთქმის უფლება მიენიჭათ. 11 სექტემბრის მოვლენები, ასევე ერაყში, სირიასა და ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა რეგიონში „ისლამური სახელმწიფოს“ (ISIS) აღზევება გარკვეულწილად დასავლური ძალმომრეობის გამოძახილია. ჩინეთისა და ინდოეთის ეკონომიკური აღმასვლა გლობალურ ძალთა ბალანსში ცვლილებას გამოიწვევს. დღესდღეობით ხშირად მოისმენთ, რომ ოცდამეერთე საუკუნე „აზიის საუკუნეა“.

მსოფლიო პოლიტიკის მაკონტროლებელი ცენტრის ევროპიდან აღმოსავლეთში გადატანამ, საერთაშორისო ურთიერთობებში ახალი კულტურული განზომილება წარმოიშვა. 1648 წლის შემდეგ ერთმანეთს ძირითადად დასავლური სახელმწიფოები უპირისპირდებოდნენ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ცივი ომიც შიდადასავლური უთანხმოება იყო, თუმცა ამერიკულ-საბჭოთა დაპირისპირებას ხშირად დასავლეთ-აღმოსავლეთის კონფლიქტად მოიხსენიებენ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საბჭოთა რეჟიმის კომუნისტური დოქტრინის ავტორად მეცხრამეტე საუკუნეში მოღვაწე ცნობილი გერმანელი პოლიტიკური ფილოსოფოსი კარლ მარქსი (Karl Marx) ითვლება. გარდა ამისა, რუსეთში, დასავლეთ ევროპასა და შეერთებულ შტატებში ქრისტიანობა დომინირებს.

3. *დემოკრატიზაციისა და გლობალიზაციის უარყოფითი შედეგები?* ზემოთ განხილულმა ტენდენციებმა – შეერთებული შტატების შედარებითი დასუსტება, ახალი მულტიპოლარულობის წარმოშობა, ევროცენტ-

თეორია პრაქტიკაში 2.2

მსუბუქი ძალა და ობამას ეფექტი

2008 წლის ივნისში ამერიკელი პოლიტოლოგი ჯოზეფ ნაი წერდა: „რთულია ყველა ქმედების წარმოდგენა, რომელიც ამერიკას მსუბუქი ძალის აღდგენისაკენ უბიძგებდა, ვიდრე პრეზიდენტად ბარაკ ობამას არჩევა“. ამ გამოთქმის – „მსუბუქი ძალა“ – ავტორობა ჯოზეფ ნაის მიეწერება. 2004 წელს გამოცემულ წიგნში „მსუბუქი ძალა: საშუალებები მსოფლიო პოლიტიკაში წარმატების მისაღწევად“ (Soft Power: The Means to Success in World Politics) ნაიმ ეს კონცეფცია კიდევ უფრო განავითარა. ამერიკელი პოლიტოლოგი „ობამას ეფექტზე“ ამახვილებდა ყურადღებას. პირველი, მას უნდა ჩაენაცვლებინა მსოფლიოში ძალზე არაპოპულარული პრეზიდენტი ჯორჯ უ. ბუში; მეორე, ობამა გაწონასწორებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. იგი მკვეთრად შეცვლიდა თავისი წინამორბედის პოლიტიკას. მან ერაყის ომის დასრულებისა და გუანტანამოს ციხის (*რომელშიც ტერორიზმში ეჭვმიტანილ პირებს აწამებდნენ*) დახურვის პირობა დადო; მესამე ობამა აშშ-ის პირველი აფროამერიკელი პრეზიდენტია.

არჩევნებიდან ერთი წლის თავზე ნათელი გახდა, რომ ობამას ეფექტმა იმუშავა. 2009 წლის ივლისში „ფიუ რისერჩ სენთერის“ (Pew Research Center) ჩატარებული კვლევის თანახმად, მთელ მსოფლიოში (*თუ არ ჩავთვლით რუსეთსა და შუა აღმოსავლეთს*) შეერთებული შტატების იმიჯი გარკვეულწილად გაუმჯობესდა. წარმატებას წარუმატებლობა და შეუსრულებელი დაპირებებიც მოჰყვა, თუმცა 2014 წელს Pew Research Center-ის ინფორმაციით, მსოფლიო მასშტაბით ამერიკის იმიჯი კიდევ უფრო დასტაბილურდა და აღდგა. გამორიცხული არ არის, რომ შეერთებული შტატების იმიჯის გაუმჯობესება გარკვეულწილად მსუბუქი ძალის ზრდით ყოფილიყო განპირობებული.

რეალისტები მსუბუქ ძალას მაგარი ძალის ნაყოფად მიიჩნევენ, რადგან ის მიმზიდველობა, რომელიც მსუბუქ ძალას ახასიათებს სათავეს იღებს ეკონომიკური და სამხედრო ძლიერებიდან. ლიბერალებისთვის, როგორიცაა ნაი, პირიქით, მსუბუქი ძალა მნიშვნელოვანია თავისი არსით. ფაქტიურად, ისინი ამბობენ, რომ მაგარი ძალის გამოყენებით ერთი რომელიმე ქვეყნისა და მისი მმართველების იმიჯი და რეპუტაცია ან გაიზრდება ან შესუსტდება. ასევე, კონსტრუქტივისტების მტკიცებით, მსუბუქი ძალა საერთაშორისო ნორმებთან არის დაკავშირებული.

- მოიძებნება კი რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში „ობამას ეფექტის“ გამოყენებამ შეერთებულ შტატებს მისი პრეზიდენტობის პერიოდში წარმატებები მოუტანა?
- გაუძლო კი „ობამას ეფექტმა“ დროის გამოცდას? ობამას პრეზიდენტობის დასრულების შემდეგ როგორი იმიჯი ექნება შეერთებული შტატებს მთელ მსოფლიოში?
- ზოგიერთი მიმომხილველი ბოლო წლებში ჩინეთის მსუბუქი ძალის ზრდაზე მიუთითებს. ამასთან დაკავშირებით რა მტკიცებულებები მოიპოვება და როგორ განმარტავდნენ მას რეალისტები, ლიბერალები და კონსტრუქტივისტები?

რიზმის დასასრული, აზიის აღმასვლა – დღის წესრიგში დააყენა 1990-იან წლებში პოპულარული შეხედულებების გადახედვა, რომელთა თანახმადაც დემოკრატიზაციისა და გლობალიზაციის გავრცელება გარდაუვალია. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკური დემოკრატია და თავისუფალი ბაზრის სისტემაზე აწყობილი ეკონომიკები ისტორიულად დაკავშირებული იყო დასავლეთის აღმავლობასა და დომინირებასთან ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში. ბოლო ხანებში მსოფლიო პოლიტიკაში შეერთებული შტატების მიერ შესრულებული დომინანტური როლი, დასავლეთისა და შეერთებული შტატების შედარებითი დასუსტება ხელს უწყობს დემოკრატიზაციისა და გლობალიზაციის მომავალის შესახებ დისკუსიების დაწყებას.

დროთა განმავლობაში მოვლენები სხვაგვარად წარიმართა. 2010 წლის დეკემბერში, ადგილობრივი ხელისუფლებისაგან არაერთხელ შევიწროვებულმა

არაბული გაზაფხული – 2010 *წლის დეკემბერში ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში ავტორიტარული რეჟიმების წინააღმდეგ მიმართული საპროტესო ტალღა.*

ხილით მოვაჭრე მოჰამედ ბუაზიზიმ (Mohamed Bouazizi) თავი დაიწვა. ახალგაზრდა ტუნისელის რადიკალური ნაბიჯი **„არაბული გაზაფხულის“ (Arab Spring)** – საპროტესტო ტალღა, რომელმაც გრიგალივით გადაუარა შუა აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკას – კატალიზატორი აღმოჩნდა. კორუფციისა და ავტორიტარული რეჟიმების წინააღმდეგ საპროტესტო აქციები დაიწყო. დემოკრატიზაციის ტალღამ, რომელმაც წლების წინ სამხრეთი და აღმოსავლეთი ევროპის მთელ რიგ ქვეყნებს, ლათინურ ამერიკას, აზიისა და აფრიკის ნაწილს გადაუარა, საბოლოოდ მუსულმანური სამყაროს ნაპირებთან დაივანა. ორი წლის განმავლობაში ტუნისში, ეგვიპტეში, ლიბიასა და იემენში ერათმანეთის მიყოლებით დაემხო ავტორიტარული რეჟიმები. გავრცელებული შეხედულების თანახმად, თითქოს ისლამი, არაბული კულტურა (*ან ორივე ერთად*) და დემოკრატია შეუთავსებელი ცნებებია, როგორც ჩანს, სიმართლეს არ შეეფერება.

სურათი რადიკალურად შეიცვალა. ავტორიტარი ლიდერებისათვის მოვლენები არასახარბიელოდ განვითარდა. ეგვიპტეში, 2013 წლის ივნისში მომხდარმა სამხედრო სახელმწიფო გადატრიალებამ ბოლო მოუღო ქვეყნის დემოკრატიზაციის იმედს; იემენში, 2015 წლის იანვარში, ირანისაგან ზურგგამაგრებულმა ჰუსიტებმა პრეზიდენტს გადადგომა აიძულეს, პარლამენტი კი დაშალეს; ლიბიაში, 2011 წლის აჯანყების შემდეგად, რომელიც NATO-ს მხარდაჭერით მიმდინარეობდა, დიქტატორ მუამარ კადაფის (Muammar Gaddafi) რეჟიმი დაემხო. გაჩანაგებულ ლიბიაში სისასტიკით გამორჩეულმა „ისლამურმა სახელმწიფომ“ დაიდო ბინა. სირიასა და ერაყში ქაოსმა დაისადგურა. „ისლამური სახელმწიფოს“ სისასტიკე მსოფლიო საზოგადოების აღშფოთებას იწვევდა. საუდის არაბეთი და სპარსეთის ყურის ქვეყნები ნებისმიერი სახის დემოკრატიულ გამოვლინებას წინააღმდეგობას უწევდნენ. ტუნისმა უარი თქვა ავტორიტარიზმზე. პუტინმა რუსეთში ავტორიტარული რეჟიმი ჩამოაყალიბა. დემოკრატიის კუთხით არც ჩინეთშია სახარბიელო მდგომარეობა.

მოკლედ რომ ვთქვათ, ცივი ომის დასრულების შემდგომ პერიოდში არსებული ოპტიმიზმი პესიმიზმმა ჩანაცვლდა. 1990-იანი წლების გლობალური წესრიგის სათავეების დასუსტებამ მსოფლიო უწესრიგობა განაპირობა. ზესახელმწიფოებს შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლა გაჩაღდა. რამდენიმე პატივცემული მეცნიერი მეცნიერი შეერთებული შტატებისა და ჩინეთის ან შეერთებული შტატებისა და რუსეთის შორის ფართომასშტაბიანი ომის შესაძლებელობაზე ალაპარაკდა. ოცდამეერთე საუკუნეში ზესახელმწიფოები კიდევ ერთხელ გაერთიანდებიან გამოწვევებისა და დაძაბულობების გადასაჭრელად. დრო აჩვენებს რამდენად წარმატებული იქნება მათი ძალისხმევა.

დასკვნა

ვესტფალიის ზავის შემდეგ საუკუნეების განმავლობაში მრავალი დრამატული მოვლენა მოხდა და მრავალი რამ შეიცვალა მსოფლიო პოლიტიკაში – ეკონომიკური განვითარება, ტექნოლოგიური პროგრესი, მსოფლიო ომები, რევოლუციები, იმპერიების დაშლა, ასევე ახალი ერების, სახელმწიფოების, იდეოლოგიებისა და მმართველობის ახალი ფორმის წარმოშობა. დღევანდელი მსოფლიო იმ ეპოქის ევროპელს ნამდვილად გააკვირვებდა. საკითხი იმაში მდგომარეობს ამ მოვლენებმა მსოფლიო მართვის პროცესებზე ხომ არ მოახდინა გავლენა. განსაკუთრებული კითხვა კი იმაში მდგომარეობს იმაში რა როლი შეასრულეს ამ მოვლენებმა უფრო მშვიდობიანი და მოწესრიგებული მსოფლიოს შექმნაში.

რეალისტებისათვის ოცდამეერთე საუკუნის მსოფლიო დიდად არ განსხვავდება 1648

ტაბულა 2.2 საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის ექვსი პერიოდი: რეზიუმე

ომი	შეთანხმება	ახალი ეპოქა საერთაშორისო ურთიერთობებში
ოცდაათწლიანი ომი (1618-1648)	ვესტფალიის ზავი (1648)	კლასიკური ძალთა ბალანსის სისტემა (მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეები)
ნაპოლეონის ომები (1803-1815)	ვენის კონგრესი (1814-1815)	ევროპის კონცერტი (1815 – მეცხრამეტე საუკუნის დასასრულამდე)
პირველი მსოფლიო ომი (1914-1918)	ვერსალის საზავო ხელშეკრულება (1919)	კოლექტიური უსაფრთხოება პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ (1919-1939)
მეორე მსოფლიო ომი (1939-1945)	იალტის კონფერენცია (1945)	ცივი ომის ბიპოლარულობა (1945-1989)
ცივი ომი (1945-1989)	ბერლინის კედლის დაცემა (1989)	პოსტცივიომისეული პერიოდი (1989-2001)
2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედია და შეერთებული შტატების ომის ტერორიზმის წინააღმდეგ (2001- ?)	?	პოსტპოსტცივიომისეული საერთაშორისო სისტემა? (2001-?)

წლის მსოფლიოსაგან. ვესტფალიიდან აღმოცენებული სუვერენული სახელმწიფოების სისტემა დღემდე ფუნქციონირებს, სერთაშორისო ურთიერთობებში კვლავ ძალის პრიმატი მოქმედებს, ომისა და უწესრიგობის თავიდან ასაცილებლად კი ერთადერთ პრაქტიკულ საშუალებად დღემდე ძალთა ბალანსი რჩება. თუმცა, ფართომასშტაბიანი ომების შემდეგ იდეალისტები საერთაშორისო სისტემის რეკონსტრუქციის პირობას დებდნენ, უარს ამბობდნენ ძალისმიერ პოლიტიკაზე და ა.შ. მთელ რიგ შემთხვევაში საჯარო დაპირებები ნელ-ნელა დავიწყებას ეცემოდა. იმ დროს, როცა რეალისტები ხაზს უსვამენ უწყვეტობას, მათი კრიტიკოსები ცვლილებაზე ამახვილებენ ყურადღებას.

რეალიზმის მრავალი კრიტიკოსის აზრით, ათწლეულების მანძილზე შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის მიმდინარე ბიპოლარული ცივი ომის დასასრულებამ უზრუნველყო ისტორიული შესაძლებლობა იმისათვის, რომ ხელი შეეწყოთ ცვლილების ოთხსაუკუნოვანი, თანმიმდევრული პროცესისათვის, იმასთან დაკავშირებით თუ როგორ მოქმედებს საერთაშორისო ურთიერთობების სამყარო. საინტერესოა, რამდენად რეალურია ეს ცვლილება და თუ ასეა ხომ არ უპირისპირდება იგი მსოფლიოს მართვასთან დაკავშირებულ რეალისტურ მსოფლმხედველობას. ამ საკითხებს წინამდებარე წიგნის მომდევნო თავებში განვიხილავთ.

საკითხების მიმოხილვა

- 1648 წლის შემდეგ მსოფლიო პოლიტიკაში განხორციელებულმა ცვლილებებმა თქვენზე რა შთაბეჭდილება მოახდინა? მსოფლიო წესრიგის სისტემის ჩამოყალიბებამ პროგრესი მოიტანა თუ მუდმივად ერთ წრეზე ვტრიალებთ?
- ამ წელს რომ საერთაშორისო კონფერენცია ჩატარებულიყო, რომელზეც ოცდამეერთე საუკუნის მსოფლიო წესრიგის შესახებ იმსჯელებდნენ, მსოფლიო საზოგადოებას ძალთა ბალანსის ან კოლექტიური უსაფრთხოების მიდგომების გაზიარებას ურჩევდით? თუ ასეა, განმარტეთ მიზეზები.
- ამ წელს რომ საერთაშორისო კონფერენცია ჩატარებულიყო ვინ იქნებოდნენ წამყვანი მოთამაშეები? და რატომ?

საკვანძო ტერმინები

სახელმწიფო
ერი
ერი-სახელმწიფო
ნაციონალიზმი
ვესტფალიის ზავი
მიტმასნება
შეთანხმების მოდელი
ევროპის კონცერტი
დამაბალანსებელი სახელმწიფო
პაქს ბრიტანიკა
კოლექტიური უსაფრთხოება
ერთა ლიგა
დაშოშმინება
გავლენის სფეროები
ცივი ომი
არაპირდაპირი ომი
კუბის ქობინთა კრიზისი
დაძაბულობის შენელება
სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შეთანხმება
ურთიერთკავშირი
რეალპოლიტიკა
ბიპოლარულობა
პერესტროიკა
გლასნოსტი
უნიპოლარულობა
უპირატესი ომი
მსუბუქი ძალა
არაბული გაზაფხული

ჩამოტანილი შენიშვნები

1. Hans J. Morgenthau and Kenneth W. Thompson, *Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace*, 6th ed. (Knopf, 1985), 37–38. Original edition published 1948.
2. *Stanford Encyclopedia of Philosophy*, http://plato.stanford.edu/entries/nationalism/.
3. On the relationship between military technology and state formation in modern Europe, see Bruce D. Porter, *War and the Rise of the State: The Military Foundations of Modern Politics* (Free Press, 1994).
4. Kalevi J. Holsti, *Peace and War: Armed Conflicts and International Order 1648–1989* (Cambridge University Press, 1991), 28–29.
5. Andreas Osiander, "Sovereignty, International Relations, and the Westphalian Myth," *International Organization* 55:2 (Spring 2001): 251–287.
6. Seyom Brown, *New Forces, Old Forces, and the Future of World Politics: Post-Cold War Edition* (HarperCollins, 1995), 47.
7. Holsti, *Peace and War*, 40. Also see Gordon A. Craig and Alexander L. George, *Force and Statecraft: Diplomatic Problems of Our Time*, 3rd ed. (Oxford University Press, 1995), 21.
8. Craig and George, *Force and Statecraft*, 21.
9. Adapted from a more detailed summary in Holsti, *Peace and War*, 167.
10. Quoted in Joseph S. Nye Jr., *Understanding International Conflicts: An Introduction to Theory and Practice*, 4th ed. (Longman, 2003), 85.
11. Woodrow Wilson, speech to joint session of the US Congress, January 8, 1918, http://wwi.lib.byu.edu.
12. Woodrow Wilson, *The State* (D. C. Heath, 1918), from an excerpt in Evan Luard, *Basic Texts in International Relations* (St. Martin's, 1992), 270.
13. Woodrow Wilson, *The State*, in Luard, 270.
14. Covenant of the League of Nations, http://www.yale.edu/lawweb/avalon/leagcov.htm.
15. Morgenthau and Thompson, *Politics Among Nations*.
16. Craig and George, *Force and Statecraft*, 90–94.
17. Quoted in Alvaro T. Mejia and Carlos H. Holguin, *Colombia in the United Nations*, ch. 1, http://www.un.int/colombia/english/colombia_onu/chapter%201.htm.
18. John Mearsheimer, "Why We Will Soon Miss the Cold War," *Atlantic Monthly* (August 1990): 35–50.
19. Charles Krauthammer, "The Unipolar Moment," *Foreign Affairs* 70:1 (1990–1991): 23–33.
20. 1996 National Security Strategy of the United States, Preface, http://www.fas.org.
21. The National Security Strategy of the United States, September 2002, http://www.whitehouse.gov.
22. See, for example, Richard Haass, "Defining U.S. Foreign Policy in a Post-Post–Cold War World," 2002 Arthur Ross Lecture, Remarks to Foreign Policy Association, New York, April 22, 2002, http://www.state.gov.
23. See, for example, Jack Snyder, "One World, Rival Theories," *Foreign Policy* (November/December 2004): 56.
24. "Harvard Professor Joseph Nye on Hard and Soft Power," *Spiegel Online International* (August 2009) http://www.spiegel.de/international/world/harvard-professor-joseph-nye-on-hard-and-soft-power-it-is-pointless-to-talk-to-al-qaida-a-643189.html.
25. Stephen G. Brooks and William C. Wohlforth, *World Out of Balance: International Relations and the Challenge of American Primacy* (Princeton University Press, 2008), 29.
26. *The Economist*, May 3, 2014, http://www.economist.com/news/united-states/21601535-no-other-country-comes-close-americas-hard-power-its-lead-slipping-unrivalled.
27. Brooks and Wohlforth, *World Out of Balance*, 32. If measured by purchasing power parity (PPP), China and the US run neck and neck for the title of the world's largest economy. But by either measure, US GDP per capita is far higher than that in China.

თავი 3

ანალიზის დონეები

საგარეო პოლიტიკის წყაროები

ვლადიმირ პუტინის (Vladimir Putin) ერთ-ერთი ფოტო, რომელშიც მაჩოს პოზაში მდგომი რუსეთის პრეზიდენტი, სავარაუდოდ, სიძლიერისა და გამბედაობის დემონსტრირებას ახდენს. რა როლს ასრულებს ლიდერის პიროვნულობა და მსოფლმხედველობა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ფორმირების პროცესში? და პირიქით, რა დოზით გამოხატავს საგარეო პოლიტიკა სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებსა და საერთაშორისო სისტემის დაწესებულ შეზღუდვებს?

სწავლების მიზნები

3-1 განმარტეთ საერთაშორისო სისტემის ანალიზის დონეს, გადაწყვეტილების მიმღები რაციონალური აქტორის მოდელისა და რეალისტური პარადიგმას შორის არსებული კავშირი.

3-2 განმარტეთ როგორ უპირისპირდება სახელმწიფო ანალიზის დონე და გადაწყვეტილების მიმღები ბიუროკრატიული პოლიტიკის მოდელი სახელმწიფოთა ხედვებს, რომლებიც რაციონალური და უნიტარული აქტორები გახლავან.

3-3 იმსჯელეთ როლზე, რომელსაც ცალკეული პირები ასრულებენ საგარეო პოლიტიკის ფორმირებისა და საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვისას.

რატომ შეიჭრა რუსეთი 2014 წელს ყირიმში? ამ კითხვაზე რეალისტი პოლიტოლოგის, ჯონ მირშაიმერის (John Mearsheimer), პასუხის თანახმად, ნახევარკუნძულის ოკუპაციით რუსეთი ეროვნული ინტერესების დაცვას ცდილობდა, რადგან ცივი ომის დასრულების შემდეგომ პერიოდში აშშ-ის მართული ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO) მის დასავლეთ საზღვრებს მიუახლოვდა. ამერიკელი პოლიტოლოგის თქმით, მსგავს სიტუაციაში ანალოგიურად მოიქცეოდა ნებისმიერი რუსი პოლიტიკური ლიდერი ან სხვა ზესახელმწიფოს ხელმძღვანელი.[1]

მირშაიმერი, რომელიც რეალიზმის პრიზმიდან უყურებს მოვლენებს, სამ ვარაუდს გამოთქვამს: პირველი, რუსეთი უნიტარული აქტორია, რომელსაც ეროვნული ინტერესები გააჩნია და მათ დასაცავად ყოველ ღონეს მიმართავს; მეორე, რუსეთის საგარეო პოლიტიკა დიდწილად რეაგირებს იმ გამოწვევებზე, რომლებიც საერთაშორისო სისტემიდან იღებენ სათავეს; მესამე, რუსი ლიდერები თავიანთი ეროვნული მიზნების (*რუსეთის ეროვნული ინტერესები*) მისაღწევად საუკეთესო საშუალებების (*საგარეო პოლიტიკა*) მოძიებისა და იმპლემენტირების რაციონალური პროცესით არიან დაკავებული.

კრიტიკოსები ეჭვის თვალით უყურებენ ამ ვარაუდებს. პირველი, მათი სიტყვით, არსებობს სხვადასხვა მოთამაშის განსხვავებული ინტერესების გათვალისწინებით ფორმირებული „ეროვნული ინტერესები“. რუსეთისა თუ სხვა ნებისმიერი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში სწორედ ეს მოთამაშეებია ჩართული.[2] მეორე, სახელმწიფო სტრუქტურების მახასიათებლებისა და ხელმძღვანელთა პიროვნული თვისებების მრავალფეროვნებამ შეიძლება ნათელი მოჰფინოს მსგავსი გარე გამოწვევების საპასუხოდ გადადგმულ ნაბიჯებს. მესამე, მათი განცხადებით, ადამიანი ყოველთვის ვერ იღებს რაციონალურ გადაწყვეტილებებს.

წინამდებარე თავში დაწვრილებით განვიხილავთ საერთაშორისო ურთიერთობებსა და მსოფლიო პოლიტიკაში სახელმწიფოს მოქმედების წყაროებს. ამისთვის მოვიშველიებთ **ანალიზის დონეებს (levels of Analysis)**. ამ დონეების კონცეფცია 1959 წელს გამოცემულ კენეტ უოლცის (Kenneth Waltz) წიგნში „ადამიანი, სახელმწიფო და ომი“ (Man, the State, and War) ფიგურირებს. ავტორი საერთაშორისო ურთიერთობებში ომის აქტუალობით ინტერესდება.[3] უოლცი გვთავაზობს სამ სავარაუდო პასუხს, რომლებსაც საერთაშორისო ურთიერთობების „იმიჯებს“ უწოდებს. პირველი „იმიჯი“, ინდივიდუალური დონე, ცდილობს ნათელი მოჰფინოს ომის თავისებურებებს, რომლებიც ადამიანის ბუნებას ახასიათებს. მეორე „იმიჯი“, სახელმწიფო ან ეროვნული დონე, კონცენტრირებულია ცალკეული სახელმწიფოების თავისებურებებზე. მესამე „იმიჯი“, საერთაშორისო სისტემის დონე, აერთიანებს ომთან დაკავშირებულ ყველა ახსნა-განმარტებას, რომლებიც საერთაშორისო სისტემას ახასიათებს. უოლცის სამივე „იმიჯის“ დაწვრილებით განხილვას ბოლოდან დავიწყებ.

ანალიზის დონეები – *ფაქტორების ნაზავი და ლოკაცია, რომლებიც გავლენას ახდენენ სახელმწიფოთა გარეპოლიტიკურ ქცევაზე. ყველაზე ხშირად განხილვადი ფაქტორებია საერთაშორისო სისტემის დონე, სახელმწიფოებრივი დონე და ინდივიდუალური დონე.*

საერთაშორისო სისტემის ანალიზის დონე

3-1 განმარტეთ საერთაშორისო სისტემის ანალიზის დონეს, გადაწყვეტილების მიმღები რაციონალური აქტორის მოდელისა და რეალისტური პარადიგმას შორის არსებული კავშირი.

საერთაშორისო სისტემაში, რომელშიც დამოუკიდებელი სახელმწიფოები ოპერირებენ, სახელმწიფოს ქმედებას მესამე „იმიჯი“ განსაზღვრავს. სტრუქტურული რეალისტები (*ნეორეალისტები*), მათ შორის თავად უოლცი, რომელიც თანამედროვე სტრუქტურული რეალიზმის ფუძემდებლად

ითვლება, საერთაშორისო სისტემას სახელმწიფოს ქმედების ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ მიიჩნევენ. მათი ვარაუდით, სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა შეიძლება ამ სახელმწიფოს ეროვნულ თავისებურებებს არ შეესაბამებოდეს. საერთაშორისო სისტემის არსის გაცნობიერება სახელმწიფოს ქმედების გაგების წინაპირობაა.

სისტემური დონის ატრიბუტები

სტრუქტურული რეალისტის აზრით, სახელმწიფოს ქმედებას საერთაშორისო სისტემის ორი მთავარი ატრიბუტი განსაზღვრავს. ყველაზე ფუნდამენტური გახლავთ საერთაშორისო ანარქია. იმ დროს, როცა რეალისტების აზრით, ანარქია მუდმივი მოვლენაა, საერთაშორისო სისტემაში არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება, რომელიც ხშირად იცვლება – ეს არის ძალაუფლების განაწილება. სისტემაში ძალაუფლების განაწილების კვლადაკვალ სახელმწიფოს ქმედებაც შესაბამისად იცვლება. მაგალითად, ბიპოლარულ სისტემაში (*მაგ. ცივი ომის დროინდელი ეპოქა*) ერთმანეთს ორი პოლუსი დაუპირისპირდება, თუმცა სიფრთხილეს შეინარჩუნებენ. მაგრამ თუ თქვენი სახელმწიფო ტრიპოლარულ სისტემაში (*სამი დომინანტი სახელმწიფო*) მოიაზრება, უნდა დარწმუნდეთ, რომ თქვენ სხვა ორი მთავარი პოლუსის ალიანსში „ზედმეტი“ არ ხართ. მულტიპოლარულ სისტემაში, რომელშიც სამზე მეტი სახელმწიფო დომინირებს, სახელმწიფოებმა ძალთა ბალანსის ლოგიკის თანახმად, დომინანტური კოალიციის შექმნას ხელი უნდა შეუშალონ. ყველა შემთხვევაში, ძირითადი სისტემური ლოგიკა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სახელმწიფოთა ეროვნული თავისებურება.

1970-იან წლებში აშშ-საბჭოთა კავშირსა და აშშ-ჩინეთს შორის დაძაბულობების შენელება (*დეტანტი*) სახელმწიფოთა ქმედებაზე საერთაშორისო სისტემის ცვალებადი გავლენის თვალსაჩინო მაგალითია. 1949 წელს ჩინეთის სათავეში კომუნისტების მოსვლის შემდეგ შეერთებული შტატები ჩსრ-ს არ აღიარებდა. კომუნისტურ ჩინეთთან პირველი დიპლომატიური ურთიერთობები რიჩარდ ნიქსონმა (Richard Nixon) დაამყარა. ამავდროულად ვაშინგტონი იარაღის კონტროლსა და ვაჭრობის გაფართოებასთან დაკავშირებით მოსკოვთანაც აწარმოებდა მოლაპარაკებებს. 1950-იან წლებში ნიქსონს უკომპრომისო ანტიკომუნისტური პოზიცია ეკავა, თუმცა საერთაშორისო სისტემის ცვალებადობამ წლების შემდეგ მას პეკინსა და მოსკოვთან დაახლოებისაკენ უბიძგა. 1970-იან წლებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ბირთვული სახელმწიფო იყო, თუმცა შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირისაგან განსხვავებით ჯერ კიდევ სუსტი საერთაშორისო პოზიციები ეკავა. ზოგიერი მიმომხილველი წინდაწინ გრძნობდა ტრიპოლარული სისტემის აღმოცენებას. ცვალებადი საერთაშორისო სისტემის კონტექსტში აშშ-ის ოცდამეჩვიდმეტე პრეზიდენტი წინასწარ შემუშავებული პროგნოზირებადი სტრატეგიის მეშვეობით ორი პოლუსის ერთმანეთთან დაპირისპირებას ცდილობდა. სავარაუდოდ, მოსკოვი და პეკინიც მსგავს სტრატეგიას ახორციელებდნენ.

ასეთ მცდელობას საერთაშორისო ურთიერთობებში ხანდახან **ბილიარდის ბურთის მოდელის (Billiard Ball Model)** სახელით მოიხსენიებენ. წარმოიდგინეთ ბილიარდის სათამაშო მაგიდა, იგი თამაშის მთავარი სტრუქტურის როლს ასრულებს. მაგიდის ზომა, ჯიბეების რაოდენობა და ზედაპირზე გადაკრული ფეტის ხარისხი ბურთების მოძრაობის შესაბამისი გარემოს ქმნიან. ბურთების მოძრაობას არაფერი აქვს საერთო მათ შიდა ხარისხთან (*შიგნიდან ყველა ერთნაირია*). ბურთის სროლისას მნიშვნელოვანია მაგიდა და ბურთების ინტერაქცია, როდესაც ერთმანეთს ეჯახებიან. საერთაშორისო ურთიერთობებში ბილიარდის ბურთის მოდელის

ბილიარდის ბურთის მოდელი – *შეხედულება, რომლის თანახმადაც საერთაშორისო ურთიერთობებს მხოლოდ საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა და ამ სისტემაში შემავალი სახელმწიფოების ურთიერთკავშირები აყალიბებს. შიდა ცვლილებებს დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება.*

თანახმად, საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა (*საერთო მაგიდა*) და სახელმწიფოთა ურთიერთშორისი ინტერაქცია (*ბილიარდის ბურთები*) ერთმანეთთან არის კავშირში.

საერთაშორისო სისტემის ანალიზის დონესა და ბილიარდის ბურთის მოდელის თანახმად, სახელმწიფოთა ინტერესები თანხვედრაში არ მოდის სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით მოღვაწე ცალკეული პირებისა და ჯგუფების კერძო ინტერესებთან. სახელმწიფოს უმთავრესი მიზანია გადარჩენა, რომელსაც შემდეგი კომპონენტები უზრუნველყოფს: პირველი, სახელმწიფოს, მისი საზღვრებისა და მოსახლეობის ფიზიკური უსაფრთხოება; მეორე, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება და კეთილდღეობა; მესამე, სახელმწიფოს პოლიტიკური სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა. საერთაშორისო სისტემის ანალიზის დონე საერთაშორისო ურთიერთობებსა და საგარეო პოლიტიკას სახელმწიფოს მეთაურების მიერ, საგარეო გამოწვევების გათვალისწინებით, ეროვნული ინტერესების დაცვისა და ხელშეწყობის პერმანენტულ ძალისხმევად აღიქვამს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს დონე ყველაზე მჭიდროდ სტრუქტურულ რეალისტურ პარადიგმასთან არის დაკავშირებული, კონკურენტი პარადიგმების მომხრე მეცნიერები ზოგჯერ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ სახელმწიფოს ქმედების სისტემურ წყაროებს. მათი შეხედულებები მკვეთრად განსხვავდება რეალისტური მსოფლმხედველობისგან. ლიბერალების აზრით, მთავარი სისტემური ცვლილებები, რომლებიც სახელმწიფოს ქმედებას განსაზღვრავენ, შეიძლება მოიცავდეს საერთაშორისო ინსტიტუტების არსებობას ან სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ხარისხს. რეალისტური ბილიარდის ბურთის მოდელის ნაცვლად, ზოგიერთი მეცნიერი „ობობას ქსელის მოდელს“ (Cobweb Model) მიიჩნევს პოსტულატად.[4] პირველი მოდელი მთლიანად სახელმწიფოთა საგარეო ურთიერთმოქმედებაზე ახდენს კონცენტრაციას, მეორე კი მსოფლიო პოლიტიკას მიიჩნევს ურთიერთმოქმედებების უფრო მრავალმხრივ კომპლექტად, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოსთან, ცალკეულ პირებსა და სხვადასხვა სუბეროვნულ ჯგუფთან. ლიბერალების თქმით, ადამიანთა შორის არსებული ფართო საერთაშორისო კავშირები საერთაშორისო სისტემაში აქტორებს შორის ომისა და კონფლიქტის დაწყების სურვილს ანელებს.

საერთაშორისო სისტემაში კონსტრუქტივისტ მეცნიერებსაც ეთქმით სიტყვა. სისტემური ანალიზის დონის გამოყენებასთან დაკავშირებით რეალისტებსა და კონსტრუქტივისტებს შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობა სისტემური ცვლილებების ბუნებას უკავშირდება. რეალისტების აზრით, საერთაშორისო სისტემის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ქმედებას, არის ძალაუფლების განაწილება, კონსტრუქტივისტების აზრით კი ეს არის გლობალური ნორმების გავრცელება. მაგალითად, საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის მანძილზე სახელმწიფოს ქმედებას განსაზღვრავდა და ზღუდავდა სახელმწიფო სუვერენიტეტის ნორმისადმი მტკიცე ვალდებულება. ამავდროულად, კონსტრუქტივისტებმა შეიძლება განაცხადონ, რომ ასეთი ნორმა არც „დადგენილია“ და არც „ისტორიული სრულყოფილებაა“. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ პერიოდში სუვერენიტეტის ცნებასთან დაკავშირებულმა გამოწვევამ, ალტერნატიული იდეამ, რომლის თანახმადაც ადამიანის უფლებათა დაცვის საბაბით შეიძლება უგულებელყო სუვერენიტეტი, სათავე დაუდო ახალი ნორმების აღმოცენებას, რომლებიც გავლენას ახდენენ სახელმწიფოთა ქმედებზე.

რაციონალიზმის ვარაუდი

საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზის დონეზე მომუშავე მეცნიერების, განსაკუთრებით კი რეალისტი მეცნიერების ვარაუდით, სახელმწიფოები ყოველთვის როდი არიან უნიტარული აქტორები ან რაციონალური აქტორები. სახელმწიფოები საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ეფექტური გზებს ეძებენ. 1990 წლის 2 აგვისტოს ერაყი ნავთობით მდიდარ კუვეიტში შეიჭრა. რამდენიმედღიანი ბრძოლის შემდეგ ერაყელებმა მეზობლის წინააღმდეგობა გატეხეს და ქვეყანაზე სრული კონტროლი დაამყარეს.

საპასუხოდ, შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელებმა, მათ შორის პრეზიდენტმა, სახელმწიფო და თავდაცვის მდივნებმა, მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, ასევე სადაზვერვო თუ სამხედრო უწყებების წარმომადგენლებმა სპეციალურად მოწვეულ შეხვედრებზე დაზვერვის მოპოვებული მონაცემები განიხილეს. ამერიკელმა პოლიტიკოებმა ერთმანეთთან, მათ შორის მოკავშირეებთან კონსულტაციები დაიწყეს. როგორც ჩანს, ამერიკელმა მაღალჩინოსნებმა ეროვნულ ინტერესებთან დაკავშირებული ვალდებულებები და სამოქმედო პრიორიტეტები განსაზღვრეს: სპარსეთის ყურეში არსებულ ნავთობსაბადოებზე წვდომის შენარჩუნება, შეერთებული შტატების მეგობრებისა და მოკავშირეების ნდობის შენარჩუნება და ახლო აღმოსავლეთში სასურველი ძალთა ბალანსის შენარჩუნება. ამერიკელებმა მოწინააღმდეგის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხეები კარგად აწონ-დაწონეს და მათი თავიდან აცილების გეგმაც შეიმუშავეს. ხანმოკლე დიპლომატიური ზეწოლისა და ეკონომიკური სანქციების მიუხედავად, ერაყმა აშშ-ისა და მსოფლიო საზოგადოების მოთხოვნა სასწრაფოდ დაეტოვებინა კუვეიტი არაფრად ჩააგდო. ამერიკელებმა სამხედრო ძალის გამოყენება გადაწყვიტეს. 1991 წლის 17 იანვარს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (*გაერო*) უშიშროების საბჭოს თანხმობით, კოალიციამ, რომელსაც შეერთებული შტატები მეთაურობდა, ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი“ (Desert Storm) დაიწყო. ერთობლივმა საჰაერო დარტყმებმა და სახმელეთო ოპერაციებმა ერაყს კუვეიტის დატოვება აიძულა. ამავე წლის 27 იანვარს, ჯორჯ ჰერბერტ უოკერ ბუშმა (George Herbert Walker Bush) სპარსეთის ყურეში ცეცხლის შეწყვეტის ბრძანება გასცა. აშშ-ის პრეზიდენტმა მოსახლეობას ერაყის არმიის დამარცხებისა და კუვეტის გათავისუფლების შესახებ აუწყა.

ერაყის მიერ კუვეიტის ოკუპაციაზე შეერთებული შტატების საპასუხო ქმედება **რაციონალური აქტორის მოდელს (Rational Actor Model)** ეფუძნებოდა. ამ მოდელის თანახმად, არსებობს ინტერესები (*კუვეიტის ოკუპაცია*) და მიზნები (*ერაყის კუვეიტიდან განდევნა*). ხარჯებისა და ბენეფიტების საგულდაგულოდ აწონ-დაწონის შემდეგ იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას და სისრულეში მოჰყავთ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას რაციონალური აქტორის მოდელს ნებისმიერ სფეროში გამოიყენებთ – იქნება ეს საგარეო პოლიტიკა, საშიანო პოლიტიკა თუ პირადი საკითხები, როგორიცაა კოლეჯის არჩევა და ა.შ. უფრო მეტიც, ამ მოდელით შეიძლება ისარგებლონ როგორც გადაწყვეტილების მიმღებმა ცალკეულმა პირებმა, ისე სახელმწიფოებმა (*იხ. თეორია პრაქტიკაში* 3.1). როდესაც რეალისტი მეცნიერები საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე რაციონალური აქტორის მოდელს იყენებენ, ეს უკანასკნელი ეყრდნობა სამ ძირითად მოსაზრებას, იმის დაკავშირებით თუ როგორ იღებენ საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს.

რაციონალური აქტორის მოდელი – *ხედვა, რომელსაც, როგორც წესი, ისტორიული გადაწყვეტილების ანალიზისას იყენებენ. ამ მოდელის თანახმად, გადაწყვეტილებას იღებს გონიერი პიროვნება, რომლის მიზანსაც წარმოადგენს რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიიღოს ამ გადაწყვეტილებიდან.*

1. *პოლიტიკოსები და ეროვნული ინტერესები.* პოლიტიკოსებს, რომლებიც საგარეოპოლიტიკურ დღის წესრიგს განსაზღვრავენ, ეროვნული ინტერესების საერთო აღქმა აქვთ. ისინი მოტივირებული არიან ამ ინტერესების დასაცავად და ხელშესაწყობად. გავლენიანი ლიდერი (*პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი*) ხშირად მოგვევლინება ეროვნული ინტერესების დამცველად, რათა დარწმუნდეს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული სხვა პირები ეროვნულ ინტერესებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.
2. *პოლიტიკის შემუშავება რაციონალური, ინტელექტუალური პროცესია.* საგარეო პოლიტიკა მიზნებისა და საშუალებების კავშირია. საგარეოპოლიტკური გადაწყვეტილებების მიმღები პირები ერთობლივად და გეგმაზომიერად იმსჯელებენ ალტერნატიული პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესახებ, უპირატესობას კი იმ გადაწყვეტილებებს მიანიჭებენ, რომლებიც ყველაზე მეტად შეუწყობს ხელს ეროვნული ინტერესების გათვალისწინებასა და დაკმაყოფილებას.
3. *პოლიტიკური არჩევანი და გადაწყვეტილების მიმღები პირების გეგმები:* ეს პუნქტი გულისხმობს მიზნების ერთობას პოლიტიკის განსამზღვრელებს, ცალკეულ პირებსა და დაწესებულებებს შორის, რომლებმაც ისინი უნდა განახორციელონ.

მიაქციეთ ყურადღება, რაციონალური აქტორის მოდელის თანახმად, პროცესში ჩართულ პირებს შორის სრული თანხმობა არ სუფევს. მაგალითად, კუვეიტში შეჭრამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. იმ დღეებში ზოგიერთი ამერიკელი პოლიტიკოსი ირწმუნებოდა, რომ ამ ქვეყნის სუვერენიტეტის დაკარგვა შეერთებული შტატების ყოველდღიურ ცხოვრებაზე დიდ გავლენას არ მოახდენა, რადგან მათთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა სადამ ჰუსეინისაგან (Saddam Hussein) შეიძენდნენ ნავთობს თუ კუვეიტის მონარქისაგან. მათი თქმით, ეს ქვეყნები დემოკრატიულობითა თუ თავისუფლებით ვერ დაიკვეხნიდნენ.

კუვეიტის მოვლენებთან დაკავშირებით შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე კოლინ პაუელი (Colin Powell) ეკონომიკური სანქციების დაწესებას ემხრობოდა. ამ დროს კი სხვა პირები, მათ შორის პრეზიდენტი ბუში იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სანქციები შედეგს ვერ მოიტანდა და შექმნილ ვითარებას მხოლოდ სამხედრო ჩარევა თუ დაარეგულირებდა.[5] ამ მოდელის თანახმად, არჩეულმა პოლიტიკურმა კურსმა შეიძლება ფიასკო განიცადოს, რადგან საგარეო პოლიტიკის შემმუშავებლები ხშირად ცდებიან. სპარსეთის ყურის ომის შემდეგ ბუშის პოლიტიკის ზოგიერთი კრიტიკოსის განცხადებით, საომარი მოქმედებები დროზე ადრე დასრულდა, ხოლო მთავარი მიზანი სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობა უნდა ყოფილიყო. ამ საკითხთან დაკავშირებით არც ბუშის ადმინისტრაციაში არსებობდა ერთიანი აზრი.

უნიტარული აქტორები – *შეხედულება, რომელიც ეთანხმება რეალისტურ პარადიგმასა და რაციონალური მოდელის აქტორს, რომლის თანახმადაც სახელმწიფოების ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს ეროვნული ინტერესების დაცვა წარმოადგენს.*

რაციონალური აქტორის მოდელის მიხედვით, სახელმწიფოები **უნიტარული აქტორები (Unitary Actors)** არიან, რომელთა ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს ეროვნული ინტერესების დაცვა წარმოადგენს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაციონალური მოდელის აქტორი ვარაუდობს, რომ „მნიშვნელოვან მოვლენებს მნიშვნელოვანი მიზეზები უდევთ საფუძვლად“.[6] მაგალითად, სხვადასხვა სახელმწიფოს გადადგმული კონკრეტული ნაბიჯი თუ მცდელობა – ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობა ან ჩინეთის მიერ ანტითანამგზავრული იარაღის (Anti-satellite weapon (ASAT) გამოცდა – ხშირად არაპირდაპირ მიანიშნებს მათ ეროვნულ მიზნებსა და სტრატეგიაზე.

თეორია პრაქტიკაში 3.1

ჩრდილოეთი კორეის ბირთვული იარაღი და რაციონალური არჩევნის თეორია

2004 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, პოლიტოლოგმა ბრუს ბუენო დე მესკიტამ (Bruce Bueno de Mesquita) ჩრდილოეთი კორეის განიარაღების საუკეთესო გზას მიაგნო. მისი თქმით, „უსაფრთხოების გარანტიები, რომლებსაც შეერთებული შტატები (*არ დაესხმება თავს*) და ჩინეთი (*დაიცავს მას საჭიროების შემთხვევაში*) უზრუნველყოფენ, ასევე ჩრდილოეთი კორეისათვის გამოყოფილი საკმაოდ დიდი ეკონომიკური დახმარება (*დაახლოებით ერთი მილიარდი აშშ დოლარი ყოველ წელს*) კიმ ჩენ ირს (Kim Jong Il) უარს ათქმევინებდა ბირთვული პროგრამის გაგრძელებაზე და საერთაშორისო ორგანიზაციებს ბირთვული ობიექტების ინსპექტირებისა და უსაფრთხოების ნებას დართავდა.“

დე მესკიტას დასკვნა რაციონალური არჩევანის თეორიას (Rational Choice Theory) ეფუძნება. ამ თავში განხილული რაციონალური აქტორის მოდელის მსგავსად, ეს თეორიაც ადამიანებს გონიერ არსებებად მიიჩნევს. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, რაციონალური არჩევანის თეორიის ვარაუდით, ადამიანებს ინტერესები გააჩნიათ და მოქმედების კურსის არჩევისას სწორედ მათი გათვალისწინებით მოქმედებენ. ამის მიუხედავად, რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსების აზრით, ეს ინტერესები „ეროვნული ინტერესები“ არ არის, თუმცა მთავარი აქტორების ცალკეული ინტერესები დაკავშირებულია საგარეოპოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებასთან. ამგვარად, ნებისმიერი ქვეყანის ქმედების აღსაქმელად და გამოსაცნობად საჭიროა ოთხი დებულების ცოდნა: პირველი, ვინ არიან მთავარი მოთამაშეები, რომლებსაც პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენა სურთ; მეორე, რა ინტერესები ამოძრავებთ მათ ან რაში მდგომარეობს მათი უპირატესობა; მესამე, რამდენად მნიშვნელოვანია პრობლემა ამ მოთამაშეებისათვის; მეოთხე, რამდენად გავლენიანი არიან ეს მოთამაშეები.

ჩრდილოეთი კორეის შემთხვევაში მთავარი მოთამაშე გახლდათ კიმ ჩენ ირი, რომელსაც უდიდესი გავლენა ჰქონდა ამ ქვეყნის პოლიტიკაზე. ამიტომ, მისი ინტერესები გასათვალისწინებელი იყო. დე მესკიტას თქმით, მრისხანე დიქტატორი ძალაუფლების შენარჩუნებაზე (*სხვა მრავალი პოლიტიკოსის მსგავსად*) ფიქრობდა. ამგვარად, თუ იგი ხელშეუხებლობის გარანტიებს მიიღებდა, ჩრდილოეთი კორეის ბირთვული პროგრამის შეჩერება შესაძლებელი გახდებოდა. რასაკვირველია, თუ დასავლეთი დაუნდობელ კიმს გაურიგდებოდა და ძალაუფლების სათავეში დატოვებდა გაჩნდებოდა ზნეობრივი კითხვები, რომლებიც განხილვის გარეშე არ უნდა დარჩენილიყო. რაციონალური არჩევანის თეორიის მიხედვით, ჩვენ მაშინ გავაცნობიერებთ უკეთ სახელმწიფოთა ქმედებებს თუ მათზე წამყვანი სახელმწიფოების ინტერესების გათვალისწინებით ვიფიქრებთ, რადგან ეს სახელმწიფოები მსოფლიო პოლიტიკის შემუშავებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

წყარო: Bruce Bueno de Mesquita, *The Predictioneer's Game* (Random House, 2009).

- რა ვარაუდებს გვთავაზობს რაციონალური აქტორის მოდელი და რაციონალური არჩევნის თეორია?
- რა არის ძირითადი განასხვავებელი იმ ინტერესებისა, რომელსაც პოლიტიკოსები ახორციელებენ „რაციონალური აქტორის მოდელის“ თანახმად, ვიდრე „რაციონალური არჩევანის თეორიისა“?
- რა გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ დაუნდობელი დიქტატორი კიმ ჩენ ირი გონიერი ადამიანია? ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მის პოლიტიკას მხარი დავუჭიროთ?

ერაყს კუვეტში შეჭრისკენ სწორედ სასიცოცხლო ეროვნულმა ინტერესებმა უბიძგა. სანამ მეზობელი ქვეყნის ოკუპაციის გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, სადამ ჰუსეინმა და მისმა მრჩევლებმა ჯერ შეჭრასთან დაკავშირებული ხარჯებისა და ბენეფიტების საკითხები განიხილეს. ის ფაქტი, რომ ერაყის დიქტატორი რაციონალური აქტორი გახლდათ არ ნიშნავს, იმას რომ მისი მიზნები და მეთოდები გავიზიაროთ ან მოვიწონოთ. ამ მოდელის მიხედვით, ერაყის საგარეო პოლიტიკა „რაციონალური“ პროცესის შედეგი იყო და ეს სისტემური ძალისხმევა დაკავშირებულია პოლიტიურ მიზნებსა და საშუალებებთან.

სახელმწიფო ანალიზის დონე

3-2 განმარტეთ როგორ უპირისპირდება სახელმწიფო ანალიზის დონე და გადაწყვეტილების მიმღები ბიუროკრატიული პოლიტიკის მოდელი სახელმწიფოთა ხედვებს, რომლებიც რაციონალური და უნიტარული აქტორები გახლავან.

სისტემური ანალიზის დონესა და რაციონალური აქტორის მოდელის მიმზიდველობის არსი მათ დახვეწილობასა და ეფექტურობაში მდგომარეობს. ამა თუ იმ ქვეყნის ქმედების წინასწარ განსასაზღვრად აუცილებელი არ არის მისი ისტორიის, საშინაო პოლიტიკის ან მმართველების განვლილი გზის ცოდნა. მაგალითად, ცივი ომის დროინდელი რუსეთის ქმედების აღსაქმელად საჭირო არ არის რუსული ენის ფლობა, ამ ქვეყანაში ცხოვრება ან ძარღვებში რუსული სისხლის ჩქეფა. რაციონალური ვარაუდის გამოსათქმელად ბიპოლარული სისტემის ლოგიკაში უნდა ერკვეოდეთ.

როგორც უნდა იყოს, საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში მოღვაწე არაერთი მეცნიერის აზრით, სისტემური ანალიზის დონე და რაციონალური ვარაუდი მსოფლიოს მართვასთან დაკავშირებით გამარტივებულ შეხედულებას გვთავაზობს.

სახელმწიფო დონის ატრიბუტები

„მეორე იმიჯი“ (*სახელმწიფო დონე*) „მესამე იმიჯისგან“ (*საერთაშორისო სისტემის დონე*) იმით განსხვავდება, რომ საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოთა ქმედებას მათი და მათი საზოგადოებების თავისებურებანი განსაზღვრავენ. ამ გადასახედიდან რთულია იმის თქმა თუ როგორ მოიქცევა სახელმწიფო. ცალკეულ სახელმწიფოებზე რაღაც წარმოდგენა მაინც უნდა გქონდეთ. დავუბრუნდეთ ბილიარდის ბურთის მეტაფორას. ეს არის თამაში, რომელსაც ამჟამად განსხვავებული ზომისა და სხვადასხვა მასალით დამზადებული ბურთებით თამაშობენ. ამგვარად, დარტყმის დროს ბურთის მოძრაობა დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ მაგიდისა და სხვა ბურთების განლაგების თავისებურებაზე, არამედ ბურთის უნიკალურ ატრიბუტებზეც.

„დემოკრატიის გავრცელების“ იდეას, რომელიც, ნაწილობრივ, საფუძვლად დაედო ერაყის წინააღმდეგ 2003 წელს დაწყებულ მეორე სამხედრო კამპანიას, შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და საერთაშორისო ურთიერთობებში ამერიკელთა უნიკალური ატრიბუტია. ბუშის ადმინისტრაციის მცდელობა, რომ მსოფლიო კეთილისა და ბოროტის დაპირპისპირების ადგილად წარმოეჩინა, აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში დიდი ხნის და კარგად აპრობირებული მეთოდია.

სახელმწიფო ანალიზის დონის ცვლილებათა სრული ჩამოთვლა დიდ დროს წაიღებს. ამ ცვლილებებმა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაზე შეიძლება გავლენაც კი მოახდინონ. ამიტომ, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხებიდან მხოლოდ ხუთ საკითხს გამოვყოფ:

1. *მმართველობის ფორმა.* ბოლო წლებში მეცნიერთა საყოველთაო ყურადღება მმართველობის ფორმამ მიიპყრო. დემოკრატიული მშვიდობის თეორია (Democratic Peace Theory. *იხ. თავი პირველი და მეოთხე*) სახელმწიფო ანალიზის დონის შესანიშნავი მაგალითია, რადგან ამ თეორიის მიხედვით, დემოკრატიულ სახელმწიფოებს ავტორიტარული რეჟიმებისგან განსხვავებით, ომისადმი მიდრეკილება ნაკლებად ახასიათებთ (*განსაკუთრებით მაშინ, თუ მოწინააღმდეგე დემოკრატიული სახელმწიფოა*). მმართველობის ფორმამ შეიძლება გავლენა მოახდინოს არა მხოლოდ სახელმწიფოს ქმედებაზე, არამედ განსაზღ-

ვროს მისი საგარეო პოლიტიკური კურსი. მაგალითად, ფრანგი ისტორიკოსი ალექსის დე ტოკვილი (Alexis de Tocqueville), რომელიც 1830-იან წლებში გამოცემულ წიგნში „დემოკრატია ამერიკაში“ (Democracy in America) მეცხრამეტე საუკუნის ევროპელი მკითხველისათვის ამერიკული დემოკრატიული ექსპერიმენტის განმარტებას ცდილობდა, პესიმისტურად უყურებდა დემოკრატიის შესაძლებლობას და საგარეო პოლიტიკაში მისი ეფექტურობა აეჭვებდა. აი, რას წერდა დე ტოკვილი: „საგარეო პოლიტიკაში დემოკრატიისათვის დამახასიათებელ დადებით თვისებებს ვერ გამოიყენებთ, მაგრამ გამოიყენებთ თითქმის ყველა იმ ღირსებას რაც მას არ ახასიათებს“.[7] ამის საპირისპიროდ, ამერიკელი პოლიტოლოგი ჯეიმს ფირონი (James Fearon) ამტკიცებდა, რომ დემოკრატიული ქვეყნები ავტორიტარული რეჟიმებისგან განსხვავებით, ზოგიერთ ასპექტში უპირატეს მდგომარეობაში იმყოფებიან. მაგალითად, საერთაშორისო კრიზისის დროს საჯარო პოზიციის გამოხატვისას დემოკრატიული სახელმწიფოების ხელმძღვანელები ადვილად ვერ დაიხევენ უკან, რადგან საკუთარი მოქალაქეების უარყოფით რეაქციას წააწყდებიან. ფირონმა პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ მოვლენაზე ხალხის უარყოფით რეაქციას **აუდიტორიის შეფასება (Audience Costs)** უწოდა. ამგვარად, კონკურენტი სახელმწიფოები დარწმუნდებიან, რომ დემოკრატი ლიდერები სიტყვას ჰაერზე არ ისვრიან და დემოკრატიული სახელმწიფოების დამოკიდებულებას სერიოზულად მიუდგებიან.[8]

აუდიტორიის შეფასება – *ტერმინი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში, რომელიც განმარტავს, რომ დემოკრტიულ ქვეყანაში ლიდერისადმი ხალხის ნდობა მას შემდეგ იკლებს, როდესაც იგი საერთაშორისო კრიზისის დროს პოზიციას თმობს.*

2. *ეკონომიკური სისტემა და ეფექტურობა.* საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში მოღვაწე ზოგიერთი მეცნიერის რწმენით, სახელმწიფოს ქმედებაზე მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება ეკონომიკურმა სისტემამ მოახდინოს, ვიდრე პოლიტიკურმა. მაგალითად, ტრადიციული მარქსისტული ანალიზის თანახმად, კაპიტალისტურმა ეკონომიკურმა სისტემებმა ჭარბწარმოებით გამოწვეული შიდა კრიზისის დასაძლევად საზღვრებს გარეთ უნდა ეძებონ გასაღების ბაზრები. მათი სიტყვით, ეს ეკონომიკური იმპერატივი საჭიროებს იმპერიალისტურ საგარეო პოლიტიკას, რომლის დროსაც სახელმწიფოები ბაზრებზე მუდმივი წვდომის უზრუნველსაყოფად ძალის დემონსტრირებას ახდენენ. თავის მხრივ, ამგვარმა პოლიტიკამ შეიძლება იმპერიალისტური სახელმწიფოები კონფლიქტამდე მიიყვანოს. სახელმწიფოს ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა შეიძლება ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზეც მოახდინოს გარკვეული სახის გავლენა. საბჭოთა ეკონომიკის დაუძლურებამ მიხეილ გორბაჩოვს (Mikhail Gorbachev) შეერთებულ შტატებთან ურთიერთობების გაუმჯობესებისა და ხანგრძლივი ცივი ომის დასასრულისკენ უბიძგა. 1980-იან წლებში სსრკ-ის ეკონომიკა საბჭოთა მოქალაქეებს პირველადი მოხმარების საგნებით დიდი გაჭირვებით უზრუნველყოფდა. წითელ იმპერიას აღარც შეიარაღების რბოლის გაგრძელება და ტექნოლოგიური თვალსაზრისით საკმაოდ ძლიერ და პრინციპულ მეტოქესთან, შეერთებულ შტატებთან, ძალუძდა გაჯიბრება. ცივი ომის დასასრულმა ეკონომიკურად ჩამორჩენილ და დასუსტებულ ქვეყნებს სასუნთქი სივრცე გაუთავისუფლა.

3. *პოლიტიკური კულტურა და ეროვნული თავისებურებანი.* ზოგიერთი მიმომხილველის მტკიცებით, სახელმწიფოები საქმიანი ურთიერთობებისას განსხვავებული პოლიტიკური კულტურითა და აქედან გამომდინარე განსხვავებული ეროვნული თავისებურებებით გამოირჩევიან. ეს გეოგრაფიული და ისტორიული ქარტეხილების შედეგია. მაგალითად, რუსეთი და აშშ გეოგრაფიული თუ ისტორიული თვალსაზრისით საგრძნობლად განსხვავდებიან. ამ ქვეყნებს საერთაშორისო ურთიერთობებისადმი ძალზე განსხვავებული მიდგომები ახასიათებთ. რუსეთი ევრაზიის შუაგულში (Eurasian Heartland) მდებარეობს. მის

საზღვრებთან მუდამ საომარი მოქმედებები მიმდინარეობს. ანალოგიურს ვერ ვიტყვით შეერთებულ შტატებზე, რომელიც დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ოკეანეებით არის დაცული, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან კი შედარებით სუსტი მეზობლებითაა გარშემორტყმული. ასევე, 1812 წლის შემდეგ ამერიკას საკუთარ მიწაზე სახელმწიფოთაშორისი ომი უწარმოებია. ამიტომ, რუსეთის პოლიტიკა უფრო არასაიმედო, პესიმისტური და „რეალისტურია“, რასაც ვერ ვიტყვით გაცილებით უსაფრთხო, ოპტიმისტურ და „იდეალისტურ“ მსოფლმხედველობაზე, რომელიც ლეიტმოტივად გასდევს შეერთებული შტატების პოლიტიკას.

4. *ინტერესთა ჯგუფები.* იმ დროს, როცა რეჟიმის ტიპი, ეკონომიკური სისტემა და პოლიტიკური კულტურა გამოხატავს სახელმწიფოთა ტრადიციულ დამახასიათებელ ნიშნებს, რომლებიც ისტორიიდან იღებენ სათავეს, არსებობს გაცილებით ცვალებადი, უფრო მოკლევადიანი შიდა ფაქტორები, რომლებიც საგარეო გამოწვევების დროს სახელმწიფოს საპასუხო ქმედებებს განსაზღვრავენ. ამასთანავე, არსებობენ შიდა ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც საგარეოპოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობენ. მაგალითად, სხვა ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებისა და რატიფიკაციის თაობაზე შეერთებულ შტატებში გამართული დებატებისას ითვალისწინებენ სავაჭრო პალატის, პროფკავშირებისა და ადამიანის უფლებებისა თუ გარემოს დამცველი ორგანიზაციების ინტერესებს. ასევე, ახალი ტიპის იარაღის შემუშავებისა და წარმოების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები, ნაწილობრივ, შეიძლება განპირობებული იყოს სამხედრო აუცილებლობით, ასევე იარაღის მწარმოებლების, ამ სფეროში დასაქმებული მუშათა დამცველი პროფკავშირებისა და იმ ქალაქებისა და დაბების ინტერესების გათვალისწინებით, რომლებშიც ეს ქარხნები მდებარეობენ.

5. *საზოგადოებრივი აზრი.* ადამიანის ემოციური მდგომარეობა და საზოგადოებრივი აზრი ხშირად იცვლება. დემოკრატიულ ქვეყნებში იშვიათად თუ მოიძებნება ისეთი პოლიტიკური ლიდერი, რომელიც საზოგადოების განწყობას უგულებელყოფს. 1970-იან წლებში შეერ-



2014 წელს ყირიმის ანექსიის შემდეგ რუსეთში გამართული პუტინის მხარდამჭერი მიტინგი. რა როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრი საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში ისეთ ავტორიტარულ ქვეყანაში როგორიცაა რუსეთი?

თებული შტატების ვიეტნამიდან გამოსვლა ამერიკული საზოგადოების ძლიერმა ანტისაომარმა განწყობამაც დააჩქარა. ასევე, 2003 წელს ერაყში შეჭრასთან დაკავშირებით მიღებული თავდაპირველი გადაწყვეტილება და მოგვიანებით განხორციელებული ზეწოლა, რომელიც გამოსავლის ძიებას უკავშირდებოდა, საზოგადოებრივი განწყობის ცვლილების ფონზე მიმდინარეობდა. ავტორიტარული რეჟიმების ლიდერებს, რომლებსაც არჩევნების ფაქტორი არ აშინებთ, საგარეო პოლიტიკასთან მიმართებით საზოგადოებრივი აზრი ნაკლებად აღელვებთ. 2014 წელის ყირიმის ანექსიის შემდეგ რუსეთში ვლადიმირ პუტინის რეიტინგი საგრძნობლად გაიზარდა. ამ მოვლენების გათვალისწინებით სავსებით შესაძლებელი იყო, რომ საზოგადოების ნდობით აღჭურვილ პრეზიდენტს სამხედრო კონფლიქტი აღმოსავლეთი უკრაინის სხვა რეგიონებშიც გაეჩაღებინა.

როგორც დავრწმუნდით, საერთაშორისო სისტემისა და სახელმწიფო ანალიზის დონეები საერთაშორისო ურთიერთობების პარადიგმების უმეტესობას ეთავსება. იმ დროს, როცა ლიბერალები, რომლებიც საერთაშორისო ინსტიტუტების განვითარებაზე ან გლობალური ეკონომიური ურთიერთდამოკიდებულების ხარისხზე აკეთებენ აქცენტს, ძირითადად სისტემურ დონეზე ოპერირებენ, ლიბერალური დემოკრატიული მშვიდობის თეორეტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ სახელმწიფო დონის ცვალებადობაზე (*რეჟიმის ტიპი*). ლიბერალური კანტისეული სამკუთხედი (*იხ. თავი პირველი*) ეს არის აზროვნების ტიპი მსოფლიო პოლიტიკის შესახებ, რომელიც სახელმწიფო და სისტემურ ფაქტორებს აერთიანებს.

ერთ-ერთი პარადიგმა, რომელიც რეალურად ყველაზე მეტად ეწინააღმდეგება სახელმწიფო ანალიზის დონეს, გახლავთ სტრუქტურული რეალიზმი. კლასიკური რეალისტებისგან განსხვავებით, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ სახელმწიფოსა და მის ატრიბუტებს, სტრუქტურული რეალისტები საერთაშორისო სისტემის მიერ ცალკეული სახელმწიფოების ქმედების შეზღუდვასა და განსაზღვრაზე ამახვილებენ ყურადღებას. სტრუქტურული რეალიზმი თავისი არსით საერთაშორისო სისტემის დონის პერსპექტივაა. კენეტ უოლცის თქმით, „სახელმწიფოებს ნებისმიერი სისულელის ჩადენა შეუძლიათ“, თუმცა იქვე შენიშნავს, რომ საერთაშორისო სისტემა მათ მოქმედების თავისუფლებას უზღუდავს[9] (*ბოლო დროს საგარეო პოლიტიკურ საკითხთან დაკავშირებით სტრუქტურულმა რეალისტებმა სახელმწიფო ანალიზის დონე გამოიყენეს. იხ. თეორია პრაქტიკაში* 3.2).

თეორია პრაქტიკაში 3.2

ისრაელის ლობი: რეალიზმი და ანალიზის დონეები

2006 წლის მარტში მზის სინათლე იხილა ჯონ მირშაიმერისა და სტივენ უოლტის (Stephen Walt) საკამათო სტატიამ „ისრაელის ლობი და შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა“ (The Israel Lobby and U.S. Foreign Policy). ცნობილმა ამერიკელმა პოლიტოლოგებმა სტატია სქელტანიან წიგნად აქციეს და მომდევნო წელს საზოგადოებას წარუდგინეს. მათი თეზისის მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ახლო აღმოსავლეთში ათწლეულების განმავლობაში ამერიკის მიერ წარმოებული პოლიტიკა რეგიონში შეერთებული შტატების სასიცოცხლო, სტრატეგიულ ინტერესებს ეწინააღმდეგება. ისინი შეერთებული შტატების პოლიტიკასა და ეროვნულ ინტერესებს შორის დისბალანსის გამო პასუხისმგებლობას აკისრებენ ისრაელის ლობს, რომელიც საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოებაზე უფრო ზრუნავს, ვიდრე შეერთებული შტატების ხვალინდელ დღეზე. ეს ძალზე საკამათო სტატია კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. ანტისემიტიზმშიც დადანაშაულებულ ავტორებს განათლებაც დაუწუნეს.

როგორც არ უნდა იყოს, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო გახლდათ ის, რომ ამ

ყველაფერს ცნობილი რეალისტები წერდნენ. 2001 წელს გამოცემულ მირშაიმერის წიგნში – „ძლიერი სახელმწიფოების პოლიტიკის ტრაგედია“ (The Tragedy of Great Power Politics) – ვკითხულობთ, რომ სახელმწიფოები საერთაშორისო კონტექსტის საპასუხოდ, საკუთარი ეროვნული ინტერესების განსახორციელებლად თანმიმდევრულად და გეგმაზომიერად მოქმედებენ. ამგვარად, ნეორეალისტური აზროვნების კლასიკად მიჩნეულ წიგნში ყურადღება გამახვილებულია საერთაშორისო სისტემის დონეზე. მირშაიმერი სახელმწიფოებს უნიტარულ აქტორებად მიიჩნევს, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში რაციონალურ სტრატეგიებს იყენებენ. შიდა ფაქტორებს ნაკლები ყურადღება ეთმობა.

ამის მიუხედავად, ისრაელის ლობი ძირითადად შეერთებული შტატების საშინაო პოლიტიკაზე ახდენს გავლენას. რეალისტების უმეტესობა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საერთშორისო სისტემის დონეს, შიდა ფაქტორების როლსაც აღიარებს. მირშაიმერისა და უოლტის აზრით, ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის პოლიტიკას შიდა ფაქტორები განსაზღვრავენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „რეგიონში შეერთებული შტატების პოლიტიკას საშინაო პოლიტიკა აძლევს ბიძგს“.

თუ რეალიზმს სახელმწიფოთა ქმედების მამოძრავებელ ძალად მიიჩნევთ, შეგიძლიათ განაცხადოთ, რომ მირშაიმერისა და უოლტის კრიტიკას, რომელიც შეერთებული შტატების პოლიტიკას ეხება, რეალისტური საფუძველი აქვს. როგორც უნდა იყოს, რეალისტების დიდი ნაწილის მტკიცებით, რეალისტური პარადიგმის მიმზიდველობა და სიძლიერე იმაში მდგომარეობს, რომ იგი გამოხატავს და წინასწარ ჭვრეტს სახელმწიფოთა ქმედებას. თუ ვინმეს ამგვარი წარმოდგენა აქვს რეალიზმზე და ამავდროულად ისრაელის ლობს შეერთებული შტატების პოლიტიკური დღის წესრიგს მთავარ განსაზღვრელად მიიჩნევს, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არარეალისტურად აზროვნებს.

- თქვენი აზრით, მსოფლიოს მართვის აღქმაში რეალიზმი დაგვეხმარება?
- შეადარეთ მირშაიმერისა და უოლტის ისრაელის ლობთან დაკავშირებული თეზისი ბილიარდის ბურთის მეტაფორას. რა განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან?
- რამდენად სამართლიანია მირშაიმერის დადანაშაულება იმაში, რომ ისრაელის ლობის განხილვისას იგი რეალისტურ პარადიგმას აცდა. რა რეაგირებას მოახდენდა ამერიკელი პოლიტიოლოგი?

წყაროები: John Mearsheimer and Stephen Walt, “The Israel Lobby,” London Review of Books, March 23, 2006, http://www .lrb.co.uk; John Mearsheimer and Stephen Walt, The Israel Lobby and U.S. Foreign Policy (Farrar, Straus and Giroux, 2007); and John Mearsheimer, The Tragedy of Great Power Politics (Norton, 2003).

სახელმწიფო ანალიზის დონე გაცილებით კომპლექსურია, ვიდრე სისტემური დონის ანალიზი. სახელმწიფო ანალიზის დონეს მისგან განსხვავებით დახვეწილობა და ეფექტურობა აკლია. ყოველი სახელმწიფოს ქმედება მისთვის დამახასიათებელი ატრიბუტების კონტექსტში უნდა განვიხილოთ. უფრო მეტიც, ვინაიდან სახელმწიფო ანალიზის დონე პოლიტიკურ პროცესებში სუბეროვნული ჯგუფების როლსა და ინტერესებს აღიარებს, სახელმწიფოებთან დაკავშირებით ჩნდება ეჭვები რამდენად არიან ისინი რაციონალური და უნიტარული აქტორები.

პირველი დაპირისპირება რაციონალიზმთან

1957 წლის აგვისტოში კოსმოსში გაშვებული პირველი საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრი „სპუტნიკი I” (Sputnik I) მსოფლიოს გარშემო ორბიტაზე განთავსდა. ამავე წლის 3 ნოემბერს ორბიტაზე გავიდა რუსების მეორე თანამგზავრი „სპუტნიკი II” (Sputnik II). საბჭოელთა წარმატებულმა კოსმოსურმა მისიამ აშშ-ში შეშფოთება გამოიწვია. „სპუტნიკი“, რომელიც ატომური ქობინების გადატანის შესაძლებლობას იძლეოდა, საბჭოთა კავშირს მნიშვნელოვან უპირატესობას აძლევდა. შეერთებულ შტატებში ნათლად გააცნობიერეს, რომ პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვებით მათი მთავარი მოწინააღმდეგე და კონკურენტი მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდა. შექმნილი ვითარების მიუხედავად, პრეზიდენტი დუაიტ

1957 წლის 6 დეკემბერს რაკეტა „ავანგარდი“ გამოცდის დროს აფეთქდა და მიწაზე დაეცა. შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა კავშირთან კოსმოსური რბოლის პირველი რაუნდი წააგო, თუმცა დროებით მარცხს ამერიკელები არ დაუბნევია.

ეიზენჰაუერი (Dwight Eisenhower) ოპტიმიზმს ინარჩუნებდა. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა სამოქალაქო თუ სამხედრო ტექნოლოგიების თვალსაზრისით მნიშვნელოვნად უსწრებდა თავის კონკურენტს, ბევრ ადამიანს მიაჩნდა, რომ შეერთებული შტატები კოსმოსურ რბოლას აგებდა.

„სპუტნიკის“ საპასუხოდ, ამერიკელებმა რაკეტა „ავანგარდის“ (Vanguard) მეშვეობით საკუთარი თანამგზავრის გამოცდის გრაფიკი დააჩქარეს. მართლაც, 1957 წლის 6 დეკემბერს მრავალმა ამერიკელმა „ავანგარდის“ წარუმატებლობა საკუთარი თვალით იხილა პირდაპირ ეთერში. რამდენიმე ფუტის სიმაღლეზე ჰაერში აჭრილი რაკეტა გამშვებ პლათფორმაზე დაენაცხა და აფეთქდა. დამსხვრეული „ავანგარდი“ კვამლისა და ცეცხლის ალში გაეხვია. ეს იყო ამერიკის როგორც ტექნოლოგიური, ისე პოლიტიკური მარცხი. „ავანგარდის“ წარუმატებლობამ აშშ-ში გააჩნია შეგრძნება, რომ ქვეყანა საბჭოთა კავშირთან კოსმოსურ რბოლას აგებდა. ამერიკელთა კიდევ უფრო დასამცირებლად საბჭოთა კავშირმა გაეროში შეერთებულ შტატებს განვითარებადი ქვეყნებისათვის განკუთვნილი სახის დახმარება შესთავაზა[10] (*იხ. „ავანგარდის“ წარუმატებელი გაშვების კადრები.* http://www.youtube.com/ watch?v=JK6a6Hkp94o).

ყველაზე ოპტიმისტი მიმომხილველებიც კი აღიარებდნენ, რომ „ავანგარდის“ კატასტროფამ შეერთებული შტატების რეპუტაციაზე უარყოფითად იმოქმედა. გასაკვირი იქნება თუ ვიტყვით, რომ შეერთებული შტატების არმიის გენერალს, რომელიც იმ დღეს პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან ერთად „ავანგარდის“ გამოცდას ადევნებდა თვალს, მარცხი გახარებოდა და ეს დღე „არმიისათვის დიდებულ დღედ“ გამოაცხადებინა. ასევე წარმოუდგენელია იმის გაფიქრებაც კი, რომ აშშ-ის არმიის ნებისმიერ ოფიცერს გახარებოდა შეერთებული შტატების ტექნოლოგიური და პოლიტიკური წარუმატებლობა. პასუხი შეიძლება ვიპოვნოთ შეერთებული შტატების არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს შორის არსებულ **შიდა კონკურენციაში (Interservice Rivalry)**, რადგან „ავანგარდი“ სამხედრო-საზღვაო ფლოტის კუთვნილება გახლდათ, მისმა წარუმატებელობამ კი აშშ-ის არმიას ხელსაყრელი შესაძლებლობა მისცა.

„ავანგარდის“ ისტორია და შეიარაღებულ ძალებში არსებული შიდა კონკურენცია **ბიუროკრატიული პოლიტიკური მოდელის (Bureaucratic Politics Model)** თვალსაჩინო მაგალითია. მოდელი, რომელსაც ხანდახან „სამთავრობო პოლიტიკის მოდელის“ (Governmental Politics Model) ან „ინსტიტუციონალური პლურალიზმის მოდელის“ (Institutional Pluralism Model) სახელითაც მოიხსენებენ, საგარეო პოლიტიკას „ეროვნული ინტერესების“ განსახორციელებლად სხვადასხვა სამთავრობო ინსტიტუტსა და აქტორს შორის კონკურენტული ბრძოლის მეთოდად მიიჩნევს. ბიუროკრატიული პოლიტიკის მოდელი ეფუძნება ოთხ მთავარ ვარაუდს, რომელიც პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესთან არის დაკავშირებული.

შიდა კონკურენცია – *დაფინანსების, პრესტიჟისა და გავლენის მოსაპოვებლად ეროვნული სამხედრო ძალების სხვადასხვა შტოსა და ქვეჯგუფს შორის გამართული ბრძოლა.*

ბიუროკრატიული პოლიტიკის მოდელი – *საგარეო პოლიტიკას სამთავრობო ინსტიტუტებს, სააგენტოებსა და აქტორებს შორის კონკურენტული ბრძოლის მეთოდად მიიჩნევს. ეს უკანასკნელები „ეროვნულ ინტერესებს“ თავიანთი ბიუროკრატიული სააგენტოს ინტერესებისა და პერსპექტივების თანახმად ახორციელებენ.*

1. *პოლიტიკის შემუშავება საზოგადოებრივი პროცესია.* ეს პროცესი საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავებაში გარკვეული როლის შემსრულებელ ცალკეულ და ინსტიტუციურ აქტორებს შორის ბაგირის გადაწევას მოგვაგონებს. ზოგიერთ ლიდერს (*მაგ. პრეზიდენტი, პრემიერი-მინისტრი*) პოლიტიკური პროცესების წარმართვისას მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა აკისრია, თუმცა შემუშავებისა და მიღების პროცესს სრულიად ვერ აკონტროლებს.
2. *ეროვნული ინტერესების ერთიანი ვერსია არ არსებობს.* იმ დროს, როდესაც ყველა მოთამაშე ეროვნულ ინტერესებს ერთიან კონტექსტში უნდა აღიქვამდეს, თითოეულ მონაწილეს ბიუროკრატიული როლიდან გამომდინარე საკუთარი ინტერესები და პერსპექტივები გააჩნია. ერთი პოლიტოლოგის მოსწრებული თქმით, „სადაც დგახართ დამოკიდებულია იმაზე თუ სად ზიხართ“.[11]
3. *პოლიტიკური გადაწყვეტილებები კომპრომისთან არის დაკავშირებული.* თუ პოლიტიკური კურსის განსაზღვრა მართლაც საზოგადოებრივი პროცესია, რომელიც უკავშირდება კონკურენტულ ინტერესებსა და განსხვავებულ პერსპექტივებს, აქედან გამომდინარე საგარეოპოლიტიკური ქმედების დროს კონკურენტულ ინტერესებსა და პერსპექტივებს შორის არსებული შედეგები ხშირად კომპრომისულია. ამგვარად, აუცილებელი არ არის, რომ „მნიშვნელოვან მოვლენებს მნიშნელოვანი მიზეზები“ ჰქონდეს.
4. *გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად, პოლიტიკური პროცესი არ ჩერდება.* პოლიტიკური კურსის განსაზღვრაში ჩართული ზოგიერთი მოთამაშე ბოლომდე ვერ იღებს იმას, რაც სურს. ამის მიუხედავად, მათ იმპლემენტაციის სტადიაზე არსებულ პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა ჯერ კიდევ აქვთ.

თამაში ორ დონეზე – *იდეა, რომლიც თანახმადაც ლიდერები ერთდროულად მოლაპარაკებას აწარმოებენ სხვა სახელმწიფოებსა და ქვეყნის შიგნით მოქმედ წამყვან აქტორებთან საერთაშორისო ურთიერთობების თანხლებით.*

ბიუროკრატიული პოლიტიკის მოდელი საგარეო პოლიტიკას მიიჩნევს **ორდონიან თამაშად (Two-Level Game)**,[12] რომლის თანახმადაც სახელმწიფოები საერთაშორისო მასშტაბით გავლენისა და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ერთმანეთთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს, ამავდროულად კი ქვეყნის შიგნით მოქმედ წამყვან საზოგადოებრივ აქტორებსა და სხვა სამთავრობო დაწესებულებებთანაც თანამშრომლობენ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბიუროკრატიული პოლიტიკა არ უარყოფს იდეას, რომლის თანახმადაც აქტორები რაციონალურად აფასებენ მოვლენებს, თუმცა ეჭვის ქვეშ აყენებს რაციონალური აქტორის მოდელს. ამის ნაცვლად, საგარეო პოლიტიკა რაციონალურ აქტორებს შორის გავლენისა და ძალაუფლების მოსაპოვებლად გაჩაღებულ შიდასამთავრობო ბრძოლად

ცხრილი 3.1 რაციონალური აქტორის მოდელი ბიუროკრატიული პოლიტიკის მოდელის წინააღმდეგ

	რაციონალური აქტორის მოდელი	ბიუროკრატიული პოლიტიკის მოდელი
წამყვანი აქტორები	უნიტარული სახელმწიფოები	საგარეოპოლიტიკური ბიუროკრატია
პოლიტიკური პროცესი	ინტელექტუალური პროცესი	საზოგადოებრივი პროცესი
პოლიტიკური მიზნები	ეროვნული ინტერესების წახალისება	ეროვნული და ბიუროკრტიული ინტერესების წახალისება
პოლიტიკური შედეგები	ინტერესების მაქსიმალიზაცია	ინტერესების კომპრომისი და დაკმაყოფილება
პოლიტიკის იმპლემენტაცია	ადმინისტრაციული/ტექნიკური პროცესი	პოლიტიკური პროცესი

აღიქმება. მათ განსხვავებული ინტერესები, როლი, მისია და ორგანიზაციული პროცესი ამოძრავებთ[13] (*რაციონალური აქტორისა და ბიუროკრატიული პოლიტიკის მოდელების შესაჯამებლად იხ. ტაბულა* 3.1).

ინტერესები განსხვავებული ინტერესები განსხვავებულ პერსპექტივებს წარმოშობს. ეს ინტერესები დაკავშირებულია ინსტიტუციონალური პრესტიჟის, ხარჯთაღრიცხვისა და ძალაუფლების საკითხებთან. შეერთებული შტატების არმიის გენერალი, რომელსაც სამხედრო-საზღვაო ფლოტის თანამგზავრულ პროგრამაზე კონტროლის დამყარება სურდა, ცხადია ინსტიტუციონალური ფაქტორებით იყო მოტივირებული. თუ „ავანგარდის“ გამოცდა წარმატებით დასრულებოდა სამხედრო-საზღვაო ფლოტი არმიაზე მეტ დაფინანსებას მიიღებდა. კოსმოსურ რბოლაში მოწინავე პოზიციებზე გამოსული სამხედრო მანქანის ნებისმიერ შტოს საკმაოდ დიდ ყურადღებას დაუთმობდნენ. მიღწეული წარმატებები ისევე მოჩვენებითი ხასიათის იქნებოდა, როგორც პოლიტიკური გავლენა.

ბიუროკრატიული როლი და მისია ბიუროკრატიული როლის (Bureaucratic Role) კონცეფცია დაკავშირებულია პასუხისმგებლობასთან, რომელიც, თავის მხრივ, კონკრეტულ საქმიანობას ან თანამდებობას უკავშირდება. იმ დროს, როცა თითოეულ ადამიანს ნებისმიერი სამუშაოსადმი განსხვავებული მიდგომა და მუშაობის სტილი ახასიათებს, თავად სამუშაოს შეუძლია განსაზღვროს ან შეზღუდოს ამ პოზიციაზე დასაქმებული ადამიანის ქმედება და პერსპექტივა. ასევე, კონკრეტული ბიუროკრატიული ორგანოს მისიას, რომლის ფარგლებშიც ეს ადამიანი მუშაობს, ძალუძს გავლენა მოახდინოს პოლიტიკის შემუშავებაში ჩართული აქტორების პერსპექტივაზე.

ბიუროკრატიული როლი – *კონკრეტულ სამსახურთან ან თანამდებობასთან დაკავშირებული პასუხიმსმგებლობა. თანამდებობა, თავის მხრივ, განსაზღვრავს ამ პოზიციაზე დასაქმებული ადამიანის პერსპექტივასა და ქმედების არსს.*

მაგალითად, 1980-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირმა დასავლეთ ევროპაში ბუნებრივი აირის ექსპორტის მიზნით სამი ათასი მილის სიგრძის გაზსადენი გაიყვანა. შეერთებული შტატების თავდაცვის მდივანი კასპარ უაინბერგერი (Caspar Weinberger) და სახელმწიფო მდივანი ალექსანდრ ჰეიგი (Alexander Haig) ევროპელი მოკავშირეების მიმართ განსხვავებულ მიდგომებს უჭერდნენ მხარს. ორივე მაღალჩინოსანი ეჭვის თვალით უყურებდა საბჭოთა კავშირის ქმედებას და შეშფოთებას გამოთქვამდა იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთი ევროპა ენერგეტიკული თვალსაზრისით სსრკ-ზე ხდებოდა დამოკიდებული. ამ სადავო საკითხის გადაჭრისას რეიგანის ადმინისტრაციის წამყვანი წევრები სხვადასხვა პოზიციაზე იდგენენ. უაინბერგი ევროპელი მოკავშირეებისათვის ეკონომიური სანქციების დაწესებას ემხრობოდა თუ ეს უკანასკნელები გაზსადენთან დაკავშირებულ გარიგებაზე უარს არ იტყოდნენ. ჰეიგი კი უფრო მოქნილ დიპლომატიის წარმოებას უჭერდა მხარს, რადგან შიშობდა, რომ ეკონომიკურ სანქციებს შეიძლება უარყოფითად ემოქმედა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაზე (NATO).[14] საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა, ნაწილობრივ, მათ განსხავავებულ ბიუროკრატიულ როლს უკავშირდება. სახელმწიფო მდივანის პორტფელი ალექსანდრ ჰეიგს ებარა, რომელსაც ამერიკის მოკავშირეებთან კეთილმეგობრული დიპლომატიური ურთიერთობების შენარჩუნება ევალებოდა. ცხადია, ეკონომიკური სანქციები მოკავშირეთა შორის უთანხმოებასა და ურთიერთობების გამწავავებას გამოიწვევდა. ამიტომ, ჰეიგის შეხედულებები მკვეთრად განსხვავდებოდა თავდაცვის მინისტრის სავარძელში მოკალათებული კოლეგის გეგმებისაგან.

ორგანიზაციული პროცესები ბიუროკრატიული პერსპექტივები განსხვავდება **ორგანიზაციული პროცესისგან (Organizational Process)**. დროთა განმავლობაში ბიუროკრატები ისევე როგორც ცალკეული ადამიანები

ორგანიზაციული პროცესი – *ორგანიზაციისათვის დამახასიათებელი რუტინული პროცედურებისა და პროცესების კომპლექსი („სტანდარტული ოპერაციული პროცედურები“), რომელიც მას საფრთხეებისა და გამოწვევების დროს რეაგირების მოხდენისას ეხმარება.*

თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში ან სტანდარტულ პროცედურებში განსხვავებებს ავლენენ. ეს „სტანდარტული სამუშაო პროცედურები“ (Standard operating procedures *ან* SOPs) წარმოიქმნება წინასწარი გამოცდილების საპასუხოდ მსგავსი სიტუაციების განხილვისას.

ორგანიზაციული SOPs-ის კლასიკური მაგალითია 1962 წლის კარიბის კრიზისი (Caribbean Crisis). კუბაში საბჭოთა შეტევითი ბირთვული რაკეტების აღმოჩენის გამო პრეზიდენტმა ჯონ ფ. კენედიმ (John F. Kenned) კუნძულის ბლოკადაში მოქცევის ბრძანება გასცა. ქვეყნის პირველი პირი და თავდაცვის მდივანი რობერტ მაკნამარა (Robert McNamara) განვითარებულ მოვლენებს შეშფოთებული ადევნებდნენ თვალყურს. პოლიტოლოგ გრემ ელისონის (Graham Allison) განცხადებით, მაკნამარამ სამხედრო-საზღვაო ოპერაციების ხელმძღვანელი ადმირალი ჯორჯ ანდერსონი (George Anderson) გამოიძახა და დაძაბული ვითარების კიდევ უფრო გამწვავავების შემთხვევაში სამხედრო-საზღვაო ფლოტის საპასუხო ქმედებით დაინტერესდა. მაკნამარას მცდელობებმა, რომლებიც ბლოკადის გაკონტროლებას უკავშირდებოდა, ანდერსონს იმედი გაუცრუა:

> „სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენელმა მაკნამარას თვალწინ აუფრიალა საზღვაო წესდება და უყვირა: „ყველაფერი აქ არის“. თავდაცვის მდივანმა საპასუხოდ მიუგო: „არ მადარდებს თუ როგორ მოიქცეოდა ჯონ პოლ ჯონსი (John Paul Jones), მაინტერესებს რის გაკეთებას აპირებთ ამჟამად“. მოულოდნელი შეხვედრა ანდერსონის რემარკით დასრულდა: „ამჟამად ბატონო მდივანო, თუ თქვენ და თქვენი მოადგილე სამუშაო პოზიციას დაუბრუნდებით, სამხედრო-საზღვაო ფლოტი ბლოკადას უხელმძღვანელებს“.[15]

მიაქციეთ ყურადღება, ეს ცვლილება მას შემდეგ განხორციელდა როგორც კი საზღვაო ბლოკადის საპასუხოდ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღეს. მანკანამარა და ანდერსონი ამ პოლიტიკის იმპლემენტაციის გამო დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ბლოკადის განხორციელების მიუხედავად, იმ დროის ორ ზესახელმწიფოს შორის ომის დაწყების ან მშვიდობის შენარჩუნების საკითხი წყდებოდა.

რაციონალური აქტორის მოდელი და ბიუროკრატიული პოლიტიკის მოდელი საკითხის არსში გარკვევას უზრუნველყოფს. ამ გადაწყვეტილების მიმღები მოდელების შედარებითი სარგებლიანობა დამოკიდებულია გარემოებაზე. იხილეთ სამი პრაქტიკული წესი:

1. *ვითარების არსი.* კრიზისულ სიტუაციაში, როდესაც საფრთხე სასიცოცხლო ინტერესებს ემუქრება, ამ დროს, სავარაუდოდ, რაციონალური აქტორის მოდელი დომინირებს. ამის საპირისპიროდ, გადაწყვეტილების მიღების პროცესი გაცილებით რუტინულ, არაკრიზისულ სიტუაციებში სუბეროვნული ჯგუფების შეზღუდული ინტერესებისა და ორგანიზაციული პერსპექტივებისათვის გაცილებით დიდ გასაქანს უზრუნველყოფს.
2. *ლიდერის ბუნება.* ნებისმიერ მმართველს (*პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები, დიქტატორები და ა.შ.*) ეროვნული ინტერესების გატარება ევალება. იმ დროს, როცა ამ ლიდერებს საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ინტერესები აქვთ, არიან პოლიტიკურად გაწაფული, საგარეო საკითხებთან დაკავშირებით კომპეტენტურობით გამოირჩევიან, აქვთ ცხოვრებისეული გამოცდილება და ხალხის დიდი მხარდაჭერა (*მაგ. არიან ქარიზმატული ან თაფლობის თვის შემდეგ საქმიანობას უბრუნდებიან*), ამ დროს რაციონალური აქტორის მოდელი მაქსიმალურად სარგებლის მომტანია. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ეს ლიდერი ცენტრიდანული ძალების გამოყენების თვალსაზრისით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდება და პოლიტიკას სუბერო-

ვნული ბიუროკრატიული ინტერესების მიმართულებით წარმართავს. ამის საპირისპიროდ, უუნარო, გამოუცდელი და პოლიტიკურად სუსტი ლიდერების მმართველობისას ბიუროკრატიული სისტემის გავლენა მაქსიმალურად იზრდება.

3. *რეჟიმის არსი.* დემოკრატიულ ქვეყანებში სუბეროვნული ინტერესები და პერსპექტივები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ პოლიტიკურ პროცესებზე. დემოკრატიულ ქვეყნებში ბიუროკრატიულ აქტორებს შეუძლიათ შექმნან ალიანსები საზოგადოებრივ ჯგუფებთან, რომლებიც მათ შეხედულებებს იზიარებენ. ამის საპირისპიროდ, ჩაკეტილ ავტორიტარულ საზოგადოებებში ძალაუფლება უფრო ცენტრალიზებულია და ბიუროკრატიული აქტორების შესაძლებლობა, რომელიც ამომრჩევლის მობილიზებას უკავშირდება, შეზღუდულია. ავტორიტარული რეჟიმისგან განსხვავებით, დემოკრატიულ საზოგადოებაში ბიუროკრატიულ პოლიტიკას გაცილებით მეტი გასაქანი აქვს.

ზემოთქმულის მიუხედავად, ეს წესები დიდი ეფექტურობით არ გამოირჩევა.

ინდივიდუალური ანალიზის დონე

3-3 იმსჯელეთ როლზე, რომელსაც ცალკეული პირები ასრულებენ საგარეო პოლიტიკის ფორმირებისა და საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვისას.

არც საერთაშორისო სისტემა და არც სახელმწიფო ანალიზის დონე დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს ცალკეული პირების შესრულებულ როლს მსოფლიო პოლიტიკაში. არჩევნების დღეს საარჩევნო ყუთთან მისული დემოკრატიული ქვეყნების მოსახლეობა კონკრეტული კანდიდატის არჩევით ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე ახდენს გავლენას. საარჩევნო ყუთებში ბიულეტენების ჩაგდებით ამომრჩევლები უსიტყვოდ ეთანხმებიან **ისტორიაში დიდი ადამიანის თეორიას (Great Man Theory of History)**, რომლის თანახმადაც კაცობრიობის ისტორიული განვითარების კურსს განსაზღვრავენ არა მხოლოდ მნიშვნელოვანი სოციალური, პოლიტიკური ან ეკონომიკური ფაქტორები, არამედ ხელისუფლების სათავეებთან მოქცეული განსაკუთრებული თვისებებით დაჯილდოებული ადამიანები.

ისტორიაში დიდი ადამიანის თეორია – *შეხედულება, რომლის თანახმადაც კაცობრიობის ისტორიული განვითარების კურსს განსაზღვრავენ არა მხოლოდ მნიშვნელოვანი სოციალური, პოლიტიკური ან ეკონომიკური ფაქტორები, არამედ ხელისუფლების სათავეებთან მოქცეული განსაკუთრებული თვისებებით დაჯილდოებული ადამიანები.*

ამ თეორიის მიხედვით, სტალინი, რუზველტი, ჩერჩილი, ჰიტლერი, მაო, რეიგანი, პუტინი და ობამა რომ არ დაბადებულიყვნენ მეოცე საუკუნის ისტორია სულ სხვაგვარად განვითარდებოდა. ასევე, შეიძლება ვინმემ ისიც კი განაცხადოს, რომ 1980-იან წლების ავღანეთში რუსებს რომ ოსამა ბინ ლადენი (Osama bin Laden) მოეკლათ ან 2000 წელს ფლორიდანში განვითარებული საარჩევნო ციებ-ცხელების დროს ბუშის ხმები რომ ელ გორისათვის გადაეცათ ოცდამეერთე საუკუნე სხვანაირად დაიწყებოდა. საპრეზიდენტო არჩევნებში დემოკრატი კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში კი აშშ-ში 2003 წელს ერაყში შეიძლება არც კი შეჭრილიყო.

ინდივიდუალური დონის ატრიბუტები

ანალიზის „პირველი იმიჯის“ ფორმულირებისას კენეტ უოლცი ადამიანების საერთო თვისებების შესწავლით იყო დაინტერესებული. ამერიკელ პოლიტოლოგს განსაკუთრებით აინტერესებდა ადამიანს ძალადობისა და ომისადმი მიდრეკილება დაბადებიდან ხომ არ აქვს თანდაყოლილი. ადამიანური ინსტინქტები, რომლებიც პიროვნების შეხედულებებსა და თავისებურებებთან არის დაკავშირებული, გარკვეულწილად გავლენას ახდენენ საერთაშორისო ურთიერთობებსა და საგარეო პოლიტიკაზე.

რწმენის სისტემები რწმენა სამყაროს აღქმისა და ადამიანური ღირებულებების ერთობლიობაა. როდესაც ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე გავლენის მქონე ლიდერების თვისებებს განვიხილავთ, თავდაპირველად მათ შეხედულებებსა და იდეებზე ვამახვილებთ ყურადღებას.

რწმენის სისტემაში არსებული სხვაობები შეიძლება კონკრეტული საგარეო პოლიტიკური გამოწვევებისას გამოვლინდეს. ირანს ბირთვული იარაღის შექმნაში ხელი ძალის გამოყენებით უნდა შევუშალოთ, უნდა გავწევრიანდეთ თუ არა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რიგებში, ადამიანი პროტექციონისტია თუ თავისუფალი კომერსანტი, ინტერვენტი თუ იზოლაციონისტი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) მხარდამჭერი თუ კრიტიკოსი, გარე გამოწვევებს დიპლომატიური მეთოდებით გადაჭრის თუ იარაღის ჟღარუნით? ამ საკითხების განხილვისას ლიდერის პოზიციის გარკვევა მისი მომავალი ქმედების განსაზღვრაში დაგვეხმარება.

იდეოლოგია – *ერთობლიობა იდეებისა და შეხედულებებისა, რომლებიც ასახულია პოლიტიკაში, ეკონომიკაში, საზოგადოებაში, რელიგიაში და ა.შ.*

რწმენის სისტემის ყველაზე რთული და კომპლექსური დონე არის იდეოლოგია. **იდეოლოგია (Ideology)** ეს არის ერთობლიობა იდეებისა და შეხედულებებისა, რომლებიც ასახულია პოლიტიკაში, ეკონომიკაში, საზოგადოებაში, რელიგიაში და ა.შ. მარქსისტული იდეოლოგიის გამზიარებელ ლიდერსა და ფუნდამენტალისტ მუსულმან თეოკრატს მსოფლიოს მართვასთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულებები აქვთ. ათეისტი მსოფლიო პოლიტიკას მატერიალიზმის პრიზმიდან უყურებს, თეოკრატიის ადეპტი კი ყურანით ხელმძღვანელობს და პოლიტიკოსებს ყოველდღიურობაში რელიგიური ღირებულებების გათვალისწინებისაკენ მოუწოდებს. იდეოლოგიური განსხვავებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ასევე პრიორიტეტების განსაზღვრაში და სხვ.

ოპერატიული კოდი – *გასაღები, რომლის მეშვეობითაც ჩასწვდები პოლიტიკური ლიდერის შეხედულებებს.*

სახელმწიფოს ქმედებაზე ხელისუფალთა ოპერატიულ კოდებსაც შეუძლია გავლენის მოხდენა. **ოპერატიული კოდი (Operational Code)** ეს ლიდერის ლტოლვა „ჩასწვდეს პოლიტიკისა და პოლიტიკური კონფლიქტის არსს, ასევე გააცნობიეროს ისტორიული მოვლენების განვითარება და შეიმუშაოს სწორი სტრატეგია და ტაქტიკა“.[16] კონკრეტულ საკითხებსა და იდეოლოგიურ მიმართულებებთან დაკავშირებით ლიდერის ოპერაციული კოდი პოზიციებს სცილდება. ლიდერებს სხვადასხვა საკითხთან მიმართებით განსხვავებული შეხედულებები აქვთ.

პიროვნების ატრიბუტები მრავალი მეცნიერის თქმით, პიროვნების დამახასიათებელი ნიშნები პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზეც აისახება. ადამიანის ქმედებას მისი შეხედულებები და ფსიქიკურ თვისებათა ერთობლიობაც განსაზღვრავს.

ამერიკელმა მარგარეტ ჰერმანმა (Margaret Hermann) კარიერის დიდი ნაწილი საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით ლიდერის პიროვნული თვისებების შესწავლას მიუძღვნა. პოლიტიკურმა ფსიქოლოგმა ინტერვიუებსა და პუბლიკის წინაშე გამოსვლების დროს ლიდერების წარმოთქმული სიტყვები შეისწავლა და გაანალიზა. ჰერმანმა შვიდი განსხვავებული პიროვნული ნიშან-თვისება გამოყო: პირველი, შეხედულება, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდონოს ან გააკონტროლოს მოვლენები; მეორე, ძალაუფლებისა და გავლენის მოთხოვნილება; მესამე, კონცეფტუალური სირთულის დონე; მეოთხე, თვითრწმენა; მეხუთე, ფოკუსირება მოახდინოს პრობლემის გადაჭრასა და აღმოფხვრაზე და არა ჯგუფის მხარდაჭერაზე, ასევე სხვების იდეებსა და მგრძნობიარობაზე; მეექვსე, სხვა ადამიანების მიმართ უნდობლობა და ეჭვნარევი დამოკიდებულება; მეშვიდე, შიდაჯგუფური ფავორიტიზმის დონე.[17]

ტაბულა 3.2 ხელმძღვანელთა ტიპოლოგია

	ითვალისწინებს შეზღუდვებს	უპირისპირდება შეზღუდვებს
თავისუფალი წვდომა ინფორმაციაზე	ოპორტუნისტები • ძალიან სენსიტიურიები არიან გარემოსადმი. • განწყობილი არიან მოლაპარაკებისა და კომპრომისისათვის. • მეტისმეტად ფრთხილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებენ.	სტრატეგები • აქვთ მკაციო მიზნები. • მათ განსახორციელებლად ინფორმაციის მოპოვებას ცდილობენ. • არაპროგნოზირებადი ადამიანები არიან.
ინფორმაციის გასაიდუმლოება	პრაგმატიკოსები • გრძნობენ გარე შეზღუდვების გავლენას. • დროისა და ვითარებიდან გამომდინარე უარს ამბობენ მიზნების განხროციელებაზე. • ტოვებენ მერყევი ადამიანის შთაბეჭდილებას.	ჯვაროსნები • ნაკლებად სენსიტურიები არიან გარემოსადმი. • აქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნები და ახორციელებენ უყოყმანოდ. • ტოვებენ გაბედული და იმპულსური ადამიანის შთაბეჭდილებას.

წყარო: Margaret G. Hermann, Thomas Preston, Baghat Korany, and Timothy M. Shaw, "Who Leads Matters: The Effect of Powerful Individuals," International Studies Review 3:2 (Summer 2001).

ჰერმანის ანალიზის გამარტივებული ვერსია წარმოდგენილია ტაბულაში 3.2.[18] ამ შვიდი ნიშან-თვისების გაერთიანებით ტაბულა 3.2 გამოყოფს ლიდერების ორ ტიპს: საპასუხო რეაქცია გარე შეზღუდვებზე და ინფორმაციის საჯაროობა. რეაგირება შეზღუდვებზე, რომელიც დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ აღიქვამს ლიდერი საზღვრებს გარეთ მიმდინარე მოვლენებს სისტემური და სახელმწიფო ანალიზის დონეების გათვალისწინებთ, რათა შეზღუდოს თავისი მოქმედების თავისუფლება. ინფორმაციის საჯაროობა დაკავშირებულია იმასთან თუ რამდენად მიილტვის ლიდერი სენსიტიური ინფორმაციისკენ, რომელიც ეწინააღმდეგება მის წინასწარ შექმნილ პოლიტიკურ შეხედულებებს. შედეგად ვიღებთ ლიდერშიპის ოთხ მთავარ ტიპს: ჯვაროსნები, ოპურტუნისტები, სტრატეგები და პრაგმატიკოსები.

ჯვაროსნები მათ გარშემო მიმდინარე მოვლენებისადმი ნაკლები მგრძნობიაროობით გამოირჩევიან. მათ ამოძრავებთ მკაფიო მიზნები ან განზრახვები, რომელთა განსახორციელებლად გარე შეზღუდვებს ან საპირისპირო ინფორმაციას ყურადღებას არ აქცევენ. ჯვარსონები გაბედული და იმპულსური ადამიანების შთაბეჭდილებას ტოვებენ. ოპორტუნისტები ყველაზე მგრძნობიარედ რეაგირებენ შეზღუდვებსა და საპირისპირო ინფორმაციაზე. მათთვის, შენიშნავს ქალბატონი ჰერმანი, „პოლიტიკა შესაძლებლობების ხელოვნებაა".[19] მხარდაჭერების აზრით, ოპურტუნისტებს სიფრთხილე ახასიათებთ, კრიტიკოსებისათვის კი ნაკლებად გაბედულ ადამიანები არიან. ჯვაროსნებისაგან განსხვავებით, სტრატეგები და პრაგამიტკოსებიც უფრო მეტად არიან შეზღუდული თავიანთი გარემოცვს მიერ. სტრატეგისტებს აქვთ მკაფიო მიზნები, რომელთა განხორციელებსაც მუდამ ცდილობენ, თუმცა მათ მისაღწევად ინფორმაციის მოპოვებას ცდილობენ. აუთსაიდერების რწმენით, ისინი არაპროგნოზირებადი ადამიანები არიან, რადგან ახალი ინფორმაციის საპასუხოდ თავიანთ ტაქტიკას ერგებიან. პრაგმატიკოსები მიაჩნიათ, რომ შეზღუდულები არიან. მათ აქვთ მიზნები, თუმცა ვითარებიდან გამომდინაე მზად არიან კომპრომისისათვის. პრაგმატიკოსებმა შეიძლება მერყევი ან ვალდებულებისათვის თავის ამრიდებელი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვონ.

ერთი კვლევის თანახმად, რომელიც მარგარეტ ჰერმანის ლიდერშიპის ტიპოლოგიას ეფუძნებოდა, ჯორჯ უოკერ ბუში (George W. Bush) ჯვაროსანია, მამამისი ჯორჯ ჰერბერტ უოკერ ბუში (George H. W. Bush)

კი პრაგმატისტ-ოპურტუნისტი.[20] თავად ჰერმანი შეერთებული შტატების ყოფილ პრეზიდენტს, ბილ კლინტონს (Bill Clinton), ოპორტუნისტთა რიგებს მიაკუთვნებს.[21] ბარაკ ობამამ (Barack Obama) პირველი საპრეზიდენტო კამპანიის მსვლელობისას ხაზი გაუსვა, რომ თავის ადმინისტრაციას „მეტოქეების გუნდად“ აქცევდა. მისი ქმედებებიდან (*ინფორმაციის საჯაროობა, გარე შეზღუდვების გათვალისწინება*) გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ იგი სტრატეგია ან ოპურტუნისტი. რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის (Vladimir Putin), ქმედება (*მაგ. უკრაინაში*) მიანიშნებს, რომ იგი ჯვაროსანია, რომელიც უპირისპირდება შეზღუდვებს და უზრუნველყოფს ინფორმაციის გასაიდუმლოებას.

მარგარეტ ჰერმანის ტიპოლოგია ლიდერთა პიროვნული თვისებებისა და საჯარო საქმიანობის დაკავშირების ერთ-ერთი მცდელობაა. გავრცელებული ინფორმაციით, შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო (Central Intelligence Agency (CIA) ათწლეულების მანძილზე სხვადასხვა ქვეყნის ხელმძღვანელი პირების ფსიქოლოგიურ პორტრეტებს აგროვებდა.[22] ლიდერთა დახასიათებისას ამ ტიპოლოგიების გამოყენებამ შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვიოს. სტრუქტურული რეალისტები და ლიბერალთა გარკვეული ნაწილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ საერთაშორისო სისტემის მიერ ლიდერებისათვის დაწესებულ შეზღუდვებს. მარგარეტ ჰერმანისა და ინდივიდუალური ანალიზის დონის სხვა მხარდაჭერთა აზრით, პიროვნებაზე ან სიტუაციაზე გავლენას სწორედ ინდივიდები ახდენენ. მათი წარმატება კონკრეტულ სიტუაციაზეა დამოკიდებული. ლიდერის შეხედულებები და პიროვნება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შემდეგ გარემოებებზე: პირველი, კრიზისულ სიტუაციებში, როდესაც სწრაფი და გაბედული ნაბიჯები გადადგა არის საჭირო; მეორე, ახალ და ბუნდოვან სიტუაციებში, როდესაც არ არსებობს სტანდარტული პროცედურები; მესამე, იმ შემთხვევებში, როდესაც ლიდერები თავისუფლებით ტკბებიან (*მაგ. არჩევნების შემდეგ თაფლობის თვის პერიოდი*).[23]

ზემოთქმულის მიუხედავად, ყურადღების მიღმა არ უნდა დავტოვოთ არასახელმწიფოებრივი აქტორები. ჟურნალისტ თომას ფრიდმანის (Thomas Friedman) მტკიცებით, „ზემძლავრი ადამიანის“ ფენომენი გლობალიზაციამ შექმნა.[24] მისი თქმით, ზემძლავრ ადამიანთა რიგს ასევე მიეკუთვნებიან „ზემძლავრი გაგულისებული მამაკაცები“, რომლებსაც ცუდი საქმეების გაკეთების უნარი შესწევთ. 1998 წელს კენიისა და ტანზანიის დედაქალაქებში შეერთებული შტატების საელჩოები სწორედ ამ ადამიანებმა აფეთქეს. პასუხად კლინტონის ადმინისტრაციამ ავღანეთის ფრთოსანი რაკეტებით დაბომბვის ბრძანება გასცა. ეს გადაწყვეტილება ზემძლავრი მამაკაცის, ოსამა ბინ ლადენის, განადგურებამ განაპირობა.[25] მსოფლიოში ყველაზე ძლევამოსილი ზესახელმწიფოს ქმედება ნათლად მეტყველებს, რომ მსოფლიო პოლიტიკაში არამხოლოდ ამა თუ იმ სახელმწიფოს ლიდერებს, არამედ არასახელმწიფოებრივ აქტორებსაც სერიოზულად აღიქვამენ.

მეორე დაპირისპირება რაციონალიზმთან

სახელმწიფო ანალიზის დონის, განსაკუთრებით კი ბიუროკრატიული პოლიტიკის მოდელის განხილვისას მოულოდნელად შევეჩეხეთ ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას, რომელიც რეალისტურ ხედვას უკავშირდებოდა. რეალისტები სახელმწიფოებს უნიტარულ რაციონალურ აქტორებად მიიჩნევენ. ბიუროკრტიული პოლიტიკის თანახმად, არ არსებობს ერთიანი ეროვნული ინტერესი, თუმცა არსებობს მრავალი ვერსია ეროვნული ინტერესებისა, რომლებიც საგარეოპოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული აქტორების კონკურენტი სუბეროვნული ინტერესებით, ორგანიზაციული პროცესებითა და მნიშვნელობით არის ფორმირე-

ბული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბიუროკრტიული პოლიტიკა ჯერ კიდევ რაციონალური ვარაუდის თანაარსია. ცალკეული ან ბიუროკრატიული ინტერესების განხორციელებისას რაციონალიზმს ეყრდნობიან, რასაც ვერ ვიტყვით ეროვნულ ინტერესებზე.

რაციონალურ ვარაუდს ინდივიდუალური ანალიზის დონეც უპირისპირდება. **კოგნიტიური მოდელის (Cognitive Model)** თანახმად, რაციონალური აქტორის მოდელი ზედმეტად გამარტივებულ და იდეალიზებულ წარმოდგენას გვიქმნის გადაწყვეტილების მიმღები პირების ქმედებაზე. საგარეოპოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულ ადამიანებს არ შესწევთ უნარი და ვერ აღწევენ ყოვლისმომცველ რაციონალურ დონეს, რომელსაც გულისხმობს რაციონალური აქტორის მოდელი. კოგნიტიური მოდელის თვალსაზრისით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულ ნამდვილ და არა იდეალიზებულ პიროვნებას შემდეგი თვისებები ახასიათებს:

კოგნიტიური მოდელი – *საგარეოპოლიტიკური მოდელი, რომლის თანახმადაც ადამიანებს ინფორმაციის დამუშავების შეზღუდული შესაძლებლობა გააჩნიათ და გადაწყვეტილების მიღებისას ევრისტიკას მიმართავენ.*

1. *კმაყოფილება* – მიზნები და ინტერესები ხშირად ბუნდოვანია და არასწორად განსაზღვრული. რიგ შემთხვევებში ადამიანებს ურთიერთსაწინააღმდეგო ამოცანები აქვთ. ასევე, ადამიანებს ალტერნატიული პოლიტიკური შედეგების გაანალიზების, შეაფასებისა და წინასწარ განჭვრიტის უნარი არ შესწევთ. როგორც წესი, ინფორმაცია უსასრულოა, დრო ხშირად საკმარისი არ არის, ხელმისაწვდომი ინფორმაციის დასამუშავებლად კი ადამიანს ინტელექტუალური შესაძლებლობები არ ჰყოფნის. მიზნების მაქსიმალიზაციის ნაცვლად, საგარეო პოლიტიკის შემმუშავებლები ხშირად მინიმალური შედეგებით კმაყოფილდებიან.

კმაყოფილება – *მცირედი პოლიტიკური შედეგებით დამაყოფილება. მიზნების მაქსიმალიზაციის ნაცვლად, საგარეო პოლიტიკის შემმუშავებლები ხშირად მინიმალური შედეგებით კმაყოფილდებიან.*

2. *ევრისტიკის გამოყენება*. **ევრისტიკა (Heuristic)** ეს არის შემოკლებული გზა, რომელიც გადაწყვეტილების მიღებას ამარტივებს. მაგალითად, სადილისათვის წითელი მშრალი ღვინის შესაძენათ ღვინის მაღაზიაში შეხვედით. ასეთ დროს ევრისტიკას იყენებთ. ირჩევთ კალიფორნიულ ღვინოს, არ გსურთ ყველაზე იაფასიანი ღვინის (*რომელიც ათ აშშ დოლარზე ნაკლები ღირს*) შეძენა, თუმცა არც ძვირადღირებულს აქცევთ ყურადღებას (*რომელიც ოც აშშ დოლარზე მეტი ღირს*). მისი გამოყენებით მნიშვნელოვნად ზოგავთ დროს ღვინის მაღაზიაში, თუმცა შეიძლება საწადელს ვერ მიაღწიოთ. გამორიცხული არ არის მაღაზიაში წააწყდეთ რვადოლარიან ღვინოს, რომელიც ძვირადღირებულ ღვინოებზე უკეთესია ან ოცდაერთდოლარიან ღვინოს, რომელიც უფრო გემრიელია, ვიდრე ის ღვინო, რომელშიც თვრამეტი აშშ დოლარი გადაიხადეთ.

ევრისტიკა – *შემოკლებული გზა, რომელიც გადაწყვეტილების მიღებას ამარტივებს.*

საგარეო პოლიტიკაში ევრისტიკას პოლიტიკოსებიც მიმართავენ. ახლა კი ერთ მეცნიერს მოვუსმინოთ: „პოლიტიკოსები უპირატესობის მოსაპოვებლად საკუთარ წარუმატებლობას იყენებენ. ცდილობენ თავი აარიდონ მათ ხელში არსებული ინფორმაციის კლასიფიცირებას, რადგან ნულიდან გაანალიზების დრო არ აქვთ... უცნობს პრობლემებს ნაცნობი თვალსაზრისით განიხილავენ“.[26] ამგვარად, 1938 წლის შემდეგ ევროპელმა და ამერიკელმა პოლიტიკოსებმა არაერთხელ გაიმეორეს წარსულის შეცდომები (*მაგ*. 1938 *წლის მიუნხენის შეთანხმება*) დიქტატორების აგრესიული ქმედებების გამოსავლენად. ასევე, კრიტიკა იმასთან დაკავშირებით, რომ შეერთებული შტატები უცხო ქვეყნების პოლიტიკაში ერევა, 1970-იან წლებში დაიწყო. მაგალითისათვის მოვიყვან ვიეტნამის მაგალითს.[27] „ისტორიის გაკვეთილები“ ხშირად სარგებლის მომტანია, თუმცა შეიძლება შეცდომაშიც შეგვიყვანონ, რადგან ორი მსგავსი მოვლენის კონტექსტი და წვრილმანები ხშირად განსხვავდება.

3. *არასწორი წარმოდგენა.* რაციონალური აქტორის მოდელის ვარაუდით, გადაწყვეტილების მიმღები პირები ნათლად აცნობიერებენ როგორც საკუთარ, ისე მოწინააღმდეგის ინტერესებსა თუ მოტივებს, ასევე ზუსტად აღიქვამენ და აცნობიერებენ ობიექტურ ფაქტებსა და ინფორმაციას. ამის მიუხედავად, საგარეოპოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ხშირად ინტერესების, მოტივებისა და შედეგების არასწორი წარმოდგენით იღებენ. ამერიკელმა პოლიტოლოგმა რობერტ ჯერვისმა (Robert Jervis) 1968 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში შეიტანა ათზე მეტი არასწორი წარმოდგენა, რომელიც გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.[28] ესენია:

   - გადაწყვეტილების მიმღები პირები ახალ ინფორმაციას მანამდე არსებულ თეორიებსა და წარმოდგენებს უსადაგებენ, ნაცვლად იმისა, რომ ამ ახალი ინფორმაციით შეცვალონ ეს თეორიები და წარმოდგენები.

   - როგორც წესი, გადაწყვეტილების მიმღები პირები სხვა სახელმწიფოებს მტრებად მიიჩნევენ; ამავდროულად, ვერ იჯერებენ, რომ სხვები მათ საფრთხედ აღიქვამენ.

   - გადაწყვეტილების მიმღებ პირებს სხვების ქმედებები უფრო ცენტრალიზებულად, დისციპლინირებულად და შეთანხმებულიად მიაჩნიათ, ვიდრე სინამდვილეშია.

ამგვარი არასწორი წარმოდგენები მიუთითებს, რომ რთული სიტუაციებისას ადამიანის გონივრული შესაძლებლობები უსაზღვრო არ არის. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ არასწორ წარმოდგენებს ხშირად კოგნიტური შემოკლებული გზების გამოყენების მოთხოვნილება განაპირობებს, რათა გადაწყვეტილების მიღების პროცესი უფრო ეფექტური გახდეს. ამგვარად, გადაწყვეტილების მიღებისას ახალი ინფორმაციის მისადაგება მანამდე არსებულ თეორიებსა და წარმოდგენებზე არ საჭიროებს ყოველ ჯერზე ახალი ანალიზის დაწყებას. ასევე, ტენდენცია, რომელიც დაკავშირებულია **ყველაზე არახელსაყრელ ანალიზსა (Worst-Case Analysis)** და მოწინააღმდეგის მტრული განზრახვების გაზვიადებასთან კომპლექსური, არასრული ან ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციის მიუხედავად, ხშირად უფრო ადვილ და უსაფრთხო გზად აღიქმება.

ყველაზე არახელსაყრელი ანალიზი – *სტრატეგია, რომელსაც ყველაზე კრიტიკული კომპონენტების გამოსავლენად იყენებენ.*

4. *ჯგუფური აზროვნება.* **ჯგუფური აზროვნება** ზღუდავს გადაწყვეტილების მიმღები პირების შესაძლებლობას მაქსიმალურად განახორციელონ საკუთარი ინტერესები. მეცნიერთა მტკიცებით, ჯგუფურ აზროვნებას ხშირად მივყავართ მცდარ გადაწყვეტილებამდე, რომლებიც როგორც აუთსაიდერებს, ისე ამ ჯგუფის წევრთა ინტერესებს აზიანებს. ჯგუფურმა აზროვნებამ პოლიტიკური პროცესები შეიძლება არასწორი მიმართულებით წარმართოს. ამ პროცესების გაკრიტიკება ჯგუფის სოლიდარულობასა და კეთილგონიერებას დააყენებს ეჭვქვეშ. ჯგუფური აზროვნების ფენომენის აღმომჩენ ირვინგ ჯენისის (Irving Janis) თქმით, „წევრები ჯგუფსიდამი ერთგულებას ზნეობრიობის გამოვლინების უმაღლეს ფორმად მიიჩნევენ“.[29]

ჯგუფური აზროვნება – *ადამიანთა მცირერიცხოვან ჯგუფში შედეგების ან ალტერნატივების შესახებ კრიტიკული მსჯელობის ან შეფასების გარეშე მიღწეული კონსენსუსი.*

მიაქციეთ ყურადღება, ყველა ეს კოგნიტური შემოკლებული გზა, მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო სერიოზულ შეცდომებს ან მცდარ გადაწყვეტილებებს განაპირობებენ, არამხოლოდ პროგნოზირებადია, არამედ სასარგებლო, საჭირო და ხელსაყრელი.[30] გულმოდგინებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის პარალიზებას შორის უმნიშვნელო სხვაობა არსებობს.

თეორია პრაქტიკაში 3.3

კოლეჯის არჩევა: რაციონალური აქტორი, კოგნიტური და პოლიევრისტიკული მიდგომები

გაიხსენეთ ის დღეები, როდესაც კოლეჯში მისაღებად განცხადება დაწერეთ. შეერთებული შტატების განათლების სამინისტროს მონაცემებით, 2010-2011 წლებში ქვეყანაში ორი ათას რვაას სამოცდაათი ოთხწლიანი კოლეჯი და უნივერსიტეტი ფუნქციონირებდა. რაციონალური აქტორის მოდელის თანახმად, არჩევანის გაკეთებისას იმ ინსტიტუტით დაინტერესდებით, რომელშიც წერილის გაგზავნას გადაწყვეტთ. ანალიზისას გაითვალისწინებდით ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამათა დიაპაზონსა და ხარისხს, ასევე საცხოვრებელ, სპორტულ თუ კულტურულ პირობებს, სტუდენტური ორგანიზაციის რეპუტაციასა და მრავალფეროვნებას, სასწავლებელში ჩასარიცხად აუცილებელ მოთხოვნებს, ხარჯებსა და ფინანსურ დახმარებას, ასევე თქვენთვის საინტერესო სხვა საკითხებს. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების პლიუს-მინუსს ალბათ გულდასმით აწონ-დაწონიდით.

ამის მიუხედავად, ყოველივე ზემოთქმულის პრაქტიკაში განხორციელებად ნაკლებად წარმოსადგენია – სინამდვილეში კი შეუძლებელი. კოგნიტური მოდელის თანახმად, თქვენ, სავარაუდოდ, ევრისტიკა გამოიყენეთ. დააკვირდით თქვენი სახლიდან სამასი მილის რადიუსში მდებარე სკოლებს, დააკვირდით იმ სკოლებს, რომლებიც პირველ სპორტულ დივიზიონში მონაწილეობენ (*ან არ მონაწილეობენ*), დააკვირდით სკოლებს, რომლებსაც ახალ ამბებში ხშირად ახსენებენ (*ამ სკოლებში მოქმედი ინდივიდუალური პროგრამების ხარისხზე ფიქრით არც კი შეიწუხოთ თავი*), დააკვირდით სახელმწიფო სკოლებს (*ან კერძო სკოლებს*) და ა.შ. არასწორმა წარმოდგენებმა (*ალბათ ფიქრობით, რომ პენსილვანიის უნივერსიტეტი სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება იყო ან გეგონათ, რომ ლიბერალური ხელოვნება პოლიტიკურად „ლიბერალურს“ ნიშნავს*) და ჯგუფურმა აზროვნებამ (*როგორც ჩანს, ყველა თქვენს მეგობარს მიაჩნდა, რომ მხოლოდ კერძო კოლეჯში უნდა შეგეტანათ განაცხადი*) ალბათ თქვენს გადაწყვეტილებაზეც მოახდინა გავლენა.

პოლიევრისტიკული თეორიის თანახმად, კოლეჯის ძებნისას, სავარაუდოდ, ევრისტიკა რაციონალურ არჩევანთან გააერთიანეთ. განხილული სასწავლო დაწესებულებების თანდათანობით შესამცირებლად დიდი ალბათობით რამდენიმე შემოკლებული გზა გამოიყენეთ, შემდეგ კი დარჩენილი კოლეჯების დეტალური, რაციონალური ანალიზი ჩაატარეთ. რასაკვირველია, ევრისტიკის გამოყენებით სერიოზულად არასოდეს აღიქვამდით კოლეჯს, რომელიც თქვენთვის იდეალური იქნებოდა, თუმცა, მეორე მხრივ, იგი კვებისა და ძილის შესაძლებლობას მოგცემდათ.

- თქვენი აზრით, კოლეჯის მოძებნისას რა კონკრეტული დახმარება გაგიწიათ ევრისტიკამ?
- თქვენი აზრით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში რა როლი შეასრულა ევრისტიკამ?
- როგორ ფიქრობთ, კოლეჯში მოწყობა და საგარეოპოლიტიკური გადაწყვეტილებები, რომლებიც ომისა და მშვიდობის საკითხებს ეხება, განსხვავდება ერთმანეთისგან? მიესალმებით იმ ლიდერებს, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებისას ევრისტიკულ მეთოდებს იყენებენ?

რაციონალურ აქტორსა და გადაწყვეტილების მიმღებ კოგნიტურ მოდელებს (*გულმოდგინებასა და პარალიზს შორის*) შორის კავშირს უზრუნველყოფს **პოლიევრისტიკული თეორია (Poliheuristic Theory)**, რომელიც გადაწყვეტილების მიღების ორეტაპიან პროცესს გვთავაზობს. პირველ ეტაპზე, გადაწყვეტილების მიმღები პირები იღებენ სწრაფ გადაწყვეტილებას სხვადასხვა ევრისტიკული მეთოდებით და მხოლოდ ამის შემდეგ გადადიან მეორე ეტაპზე. ეს ორეტაპიანი პროცესი ზოგავს დროს და გადაწყვეტილების მიღების პროცესს უფრო მართვადს ხდის, თუმცა სერიოზული ანალიზის ჩატარებამდე შეიძლება საუკეთესო შეხედულება უარყონ (*იხ. თეორია პრაქტიკაში* 3.3).

ალექს მინცის (Alex Mintz) თქმით, ევრასტიკა, რომელსაც ყველაზე ხშირად იყენებენ პოლიტიკური ლიდერები გადაწყვეტილების მიღების

პოლიევრისტიკული თეორია – *გადაწყვეტილების მიღების პროცესთან დაკავშირებული თეორია. ერთგვარი ორეტაპიანი პროცესი, რომელშიც ცალკეული პირები შეხედულებათა დიაპაზონის შესამცირებლად ჯერ კოგნიტურ შემოკლებულ გზებს იყენებენ, შემდეგ კი დეტალურ, რაციონალურ ანალიზს ატარებენ.*

პროცესის პირველ ეტაპზე, უარყოფს ნებისმიერ შეხედულებას, რომელიც არასასურველი შიდა პოლიტიკური პრობლემების წარმოშობის წინაპირობას ქმნის, შემდეგ კი დარჩენილი ალტერნატივების დეტალური ანალიზი ტარდება.[31] მაგალითად, მინცი იმოწმებს 2003 წელს თურქეთის მთავრობის მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც თურქეთმა ერაყში შესაჭრელად გამზადებულ ამერიკელ სამხედროებს ბაზირების უფლება არ მისცა, მიუხედავად იმისა, რომ ამ გარიგების სანაცვლოდ შეერთებული შტატები თურქებს მნიშვნელოვან დახმარებას პირდებოდა. მინცის სიტყვით, ამ წინადადებამ თურქული საზოგადოების მოწონება ვერ დაიმსახურა, რადგან იგი ადგილობრივი ისტებლიშმენტისათვის პოლიტიკურად წამგებიანი აღმოჩნდებოდა. ამიტომ, ამერიკელების შემოთავაზება ბევრი ფიქრისა და ანალიზის გარეშე უარყვეს. თურქეთმა დარჩენილი ალტერნატივების საფუძვლიანად გაანალიზა და ამერიკულ თვითმფრინავებს საფრენი დერეფანი გაუხსნა.[32] ებრაელი პოლიტოლოგი პოლიევრისტიკულ თეორიას ტერორისტული ჯგუფების მისამართითაც იყენებს. „ალ-ქაიდას“ (al-Qaeda), „ჰამასისა“ (Hamas) და „ჰეზბოლას“ (Hezbollah) მიღებული ოცდასამი გადაწყვეტილების შესწავლის საფუძველზე მინცმა დაასკვნა, რომ ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მიერ გამოყენებული კოგნიტური შემოკლებული გზა გამორიცხავს ნებისმიერი გადაწყვეტილებას, რომელიც საფრთხეს შეუქმნის მათ პოლიტიკურ ან პირად უსაფრთხოებას. ეს უკანასკნელები დარჩენილ ალტერნატივებს მხოლოდ ამის შემდეგ იხილავენ.[33]

დასკვნა

წინამდებარე თავის განხილვისას დავრწმუნდით, რომ ყველაზე გამოცდილი ანალიტიკოსებიც კი აღიარებენ, რომ მსოფლიოს მართვის პრინციპებს ვერცერთი ანალიზის დონე ან გადაწყვეტილების მიმღები მოდელი ვერ ხსნის. ზოგიერთ შემთხვევაში მეცნიერები საგარეო პოლიტიკური ქმედებების ასახსნელად საპირისპირო დონეებსა და გადაწყვეტილების მიმღებ მოდელებს ეყრდნობიან. ერთი კონკრეტული სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკური ქმედების სრული სურათის მისაღებად კი მრავალ ანალიზის დონესა და გადაწყვეტილების მიმღებ მოდელს იყენებენ. როგორც „ისრაელის ლობთან“ დაკავშირებულმა დისკუსიამ გამოავლინა, საერთაშორისო სისტემის სტრუქტურასთან მიმართებით საერთაშორისო ურთიერთობების უპირატესობას დროდადრო ყველაზე უკომპრომისო სტრუქტურული რეალისტებიც კი აღიარებენ.

როგორც უნდა იყოს, კონკურენტული პარადიგმები გარკვეული განსხვავებებით გამოირჩევიან. რეალისტების შეხედულება, რომელიც მსოფლიო პოლიტიკასა და სახელმწიფოს ქმედებას უკავშირდება, მათი კრიტიკოსების მოსაზრებებისაგან მკვეთრად განსხვავდება: პირველი, რეალისტების რწმენით, სახელმწიფოები არიან რაციონალაური და უნიტარული აქტორები, რომლებსაც უპირატესი უფლებები და ინტერესები გააჩნიათ; მეორე, საერთაშორისო კონტექსტის პასუხად, სახელმწიფოები ამ ინტერესებსა და უფლებებს ყველა ხერხით იცავენ. სახელმწიფო და ინდივიდუალური ანალიზის დონეები, ბიუროკრატიული პოლიტიკა და კოგნიტური შემოკლებული გზები მხოლოდ მეორეხარისხოვანი ფაქტორებია. ერთი მეცნიერის თქმით, „დარჩენილი აზრთა სხვადასხვაობის განსამარტებლად რეალიზმის გამოყენებით ჯერ თეორიების სინთეზირებას ახდენენ, შემდეგ კი შიდა პოლიტიკასთან დაკავშირებულ კონკურენტულ თეორიებს განიხილავენ“.[34] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანი ანალიზის საწყის ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტების ასახსნელად რეალისტურ ვარაუდებს ეყრდნობა, შემდეგ კი დევიაციების განსამარტად რეალისტური ვარაუდების სახელმძღვანელოდან სხვა თეორიებს იყენებს.

რეალიზმის მრავალი კრიტიკოსის აზრით, ეს დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს. ლიბერალი ინტერნაციონალისტებისათვის, სახელმწიფოს ქმედების ასახსნელად დემოკრატია მეორეხარისხოვანი ფაქტორი არ არის. მათი აზრით, „ხალხის ხელისუფლება“

საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედია. მარქსისტების რწმენით, შიდა კაპიტალის ინტერესები ნათელს ჰფენს არამხოლოდ „დარჩენილ აზრთა სხვადასხვაობას“, არამედ კაპიტალისტური სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას. კონსტრუქტივისტების შეხედულებით, მეგობრებისა და მტრების განმასხვავებელი კონცეფციები აღემატება საერთაშორისო ანარქიის ან ძალთა ბალანსის დამაჯერებელ გავლენასთან დაკავშირებულ რეალისტურ ვარაუდებს. ბიუროკრატიული პოლიტიკის შესწავლით დაინტერესებული არაერთი მეცნიერის თქმით, რიგ შემთხვევებში ბიუროკრატიული ინტერესები და ფუნქციები ეროვნულ ინტერესებს უპირისპირდება.

მოკლედ რომ ვთქვათ, რეალისტური ხედვა მიმზიდველობითა და ანალიტიკური ეფექტურობით გამოირჩევა. ამის მიუხედავად, თავისთავად ჩნდება კითხვა, რეალისტური ანალიზი საერთაშორისო ურთიერთობების მოქმედების პრინციპებს განმარტავს თუ მათ შესახებ წარმოდგენას გვიმახინჯებს.

საკითხების მიმოხილვა

- გაიხსენეთ რომელიმე სახელმწიფოს მიერ ბოლო დროს მიღებულ საგარეოპოლიტიკური გადაწყვეტილება და ჩამოწერეთ ის ფაქტორები, რომლებმაც შესაძლო გავლენა მოახდინეს ამ გადაწყვეტილებაზე სამივე ანალიზის დონეზე. განმარტეთ ამ შემთხვევაში რომელი დონე ფიგურირებს და რატომ?
- რას გულისხმობენ რეალისტები „ეროვნული ინტერესის“ ქვეშ? შეგიძლიათ ჩამოთვალოთ თქვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესები, რომლებსაც თქვენივე თანამოქალაქეების უმეტესობა დაუჭერდა მხარს?
- კოლეჯი ან უნივერსიტეტი, რომელშიც განათლებას იღრმავებთ, სწავლების საფასურის მატებასთან დაკავშირებით ყოველ წელს გადაწყვეტილებას იღებს. რაციონალური აქტორის მოდელისა და ბიუროკრატიული პოლიტიკის მოდელის თანახმად, თქვენი სასწავლებელი როგორ გადაწყვეტილებას მიიღებდა? და რა როლს შეასრულებდა ამ პროცესის ნათელსაყოფად პოლიევრისტიკული თეორია?

საკვანძო ტერმინები

ანალიზის დონეები
ბილიარდის ბურთის მოდელი
რაციონალური აქტორის მოდელი
უნიტარული აქტორები
აუდიტორიის შეფასება
შიდა კონკურენცია
ბიუროკრატიული პოლიტიკური მოდელი
თამაში ორ დონეზე
ბიუროკრატიული როლი
ორგანიზაციული პროცესი
ისტორიაში დიდი ადამიანის თეორია
იდეოლოგია
ოპერატიული კოდი
კოგნიტიური მოდელი
კმაყოფილება
ევრისტიკა
ყველაზე არახელსაყრელი ანალიზი
ჯგუფური აზროვნება
პოლიევრისტიკული თეორია

ჩამოტანილი შენიშვნები

1. John Mearsheimer, “Why the Ukraine Crisis Is the West’s Fault: The Liberal Delusions that Provoked Putin,” *Foreign Affairs* 93:5 (September–October 2014): 77–89.
2. Valerie M. Hudson, with Christopher S. Vore, “Foreign Policy Analysis Yesterday, Today, and Tomorrow,” *Mershon International Studies Review* 39:2 (1995): 210.
3. Kenneth Waltz, *Man, The State, and War: A Theoretical Analysis,* 2nd ed. (Columbia University Press, 2001).
4. John W. Burton, *World Society* (Cambridge, 1972).
5. For a useful glimpse at some of these debates and interviews with some of the participants involved, see the video in the PBS Frontline series *The Gulf War, 1996*, http://www.pbs.org.

6. Graham Allison, *Essence of Decision: Explaining the Cuban Missile Crisis* (Little, Brown, 1971), 4.
7. Alexis de Tocqueville, *Democracy in America* (HarperCollins, 1835).
8. James Fearon, "Domestic Political Audiences and the Escalation of International Disputes," *American Political Science Review* 88:3 (1994): 577–592.
9. Kenneth N. Waltz, "Evaluating Theories," *American Political Science Review* 91:4 (December 1997): 915.
10. John F. Graham, *Space Exploration*, ch. 10, http://www.space.edu/projects/book/chapter10.html.
11. Allison, *Essence of Decision*, 176.
12. This concept is from Robert Putnam, "Diplomacy and Domestic Politics: The Logic of Two-Level Games," *International Organization* 42 (Summer 1988): 427–460.
13. The standard treatment of all these issues is Morton H. Halperin, *Bureaucratic Politics and Foreign Policy* (Brookings, 1974).
14. Andrew Knight, "The Conduct of American Foreign Policy: Ronald Reagan's Watershed Year," *Foreign Affairs: America and the World 1982*, http://www.foreignaffairs.org.
15. Allison, *Essence of Decision*, 131–132.
16. Alexander L. George, "The 'Operational Code': A Neglected Approach to the Study of Political Leaders and Decision-Making," *International Studies Quarterly* 13:2 (1969): 197.
17. Margaret G. Hermann, "Assessing Leadership Style: A Trait Analysis," *Social Science Automation*, 1999, 10, http://www.socialscience.net/Docs/LTA.pdf.
18. This simplified presentation is drawn from Margaret G. Hermann, Thomas Preston, Baghat Korany, and Timothy M. Shaw, "Who Leads Matters: The Effect of Powerful Individuals," *International Studies Review* 3:2 (Summer 2001): 90–97.
19. Hermann, Preston, Korany, and Shaw, "Who Leads Matters," 96.
20. Marc J. O'Reilly and Wesley B. Renfro, "Like Father, Like Son? A Comparison of the Foreign Policies of George H. W. Bush and George W. Bush," *Historia Actual Online* 10 (2006): 17–36, http://historia-actual.org/Publicaciones/index.php/haol/article/viewFile/148/136.
21. Margaret G. Hermann, "William Jefferson Clinton's Leadership Style," in Jerrold M. Post, ed., *The Psychological Assessment of Political Leaders* (University of Michigan, 2003), 313–323.
22. Benedict Carey, "Teasing Out Policy Insight from a Character Profile," March 28, 2011, http://www.nytimes.com/2011/03/29/science/29psych.html.
23. Margaret G. Hermann, "Effects of Personal Characteristics of Political Leaders on Foreign Policy," in *Why Nations Act*, Maurice A. East, Stephen A. Salmore, and Charles F. Hermann, eds. (SAGE, 1978), 49–68.
24. Thomas L. Friedman, *The Lexus and the Olive Tree* (Farrar, Straus and Giroux, 1999), 13.
25. Friedman, *The Lexus and the Olive Tree,* 12, 322–328.
26. A. F. Lowenthal, *The Dominican Intervention* (Harvard, 1972), 161.
27. Jeffrey Record, "The Use and Abuse of History: Munich, Vietnam, and Iraq," *Survival* 49:1 (Spring 2007).
28. Robert Jervis, "Hypotheses on Misperception," *World Politics* 20:3 (1968): 454–479.
29. Irving Janis, *Groupthink: Psychological Studies of Policy Decisions and Fiascos* (Houghton-Mifflin, 1982), 11.
30. Amos Tversky and Daniel Kahneman, "Judgment Under Uncertainty: Heuristics and Biases," Science 185:4157 (1974): 1124–1131.
31. Alex Mintz, "Applied Decision Analysis: Utilizing Poliheuristic Theory to Explain and Predict Foreign Policy and National Security Decisions," *International Studies Perspectives* 6:1 (2005): 94–98.
32. Alex Mintz, "How Do Leaders Make Decisions?: A Poliheuristic Perspective," *Journal of Conflict Resolution* 48:1 (2006): 8–9.
33. J. Tyson Chatagnier, Alex Mintz, and Yair Samban, "The Decision Calculus of Terrorist Leaders," *Perspectives on Terrorism* 6:4-5 (2012), http://www.terrorismanalysts.com/pt/index.php/pot/article/view/220/html.
34. Andrew Moravcsik, "Taking Preferences Seriously: A Liberal Theory of International Politics," *International Organization* 51.4 (1997): 542.

თავი 4

ომი და ძალმომრეობა მსოფლიო პოლიტიკაში

რეალისტური სამყარო

ქალაქი ჰიროსიმა, 1945 წელი. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბირთვულ ეპოქაში ფართომასშტაბიანი ომი საყოველთაო განადგურებას გამოიწვევდა, თქვენი აზრით, ომთან დაკავშირებული კლაუზევიცის ხედვა „ომი პოლიტიკის გაგრძელებაა“ დღესდღეობით რამდენად აქტუალურია?

სწავლების მიზნები

4-1 განიხილეთ მსოფლიო პოლიტიკაში ომის განმაპირობებელი მიზეზები და ზნეობრივი შედეგები.

4-2 იმსჯელეთ თანამედროვე ომის ევოლუციასა და ბირთვული იარაღის ზრდის ეფექტის შესახებ.

4-3 შეაფასეთ სახელმწიფოთაშორისო ომის შემცირების ფაქტები და ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებები.

4-4 განსაზღვრეთ ტენდენციები, რომლებიც მომავალი ომის არსს აყალიბებენ.

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ომი და ომის საფრთხე საერთაშორისო ცხოვრების შემადგენელი ნაწილი და მსოფლიოს მართვის არსში წვდომის მთავარი გასაღები გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ყველა პარადიგმა აღიარებს და უზრუნველყოფს ომის განმარტებას, რეალიზმი მათგან განსხვავებით ყველაზე პესიმისტურად აფასებს სამხედრო ძალადობის აღმოფხვრის შანსებს ან მისი სიხშირის რედუცირებას. რეალისტების რწმენით, ეფექტური და საიმედო ერთიანი ხელისუფლების არმქონე მსოფლიოში წესრიგის დასამყარებლად სახელმწიფოებმა დროდადრო თავიანთი სასიცოცხლო ინტერესები ფიზიკური ძალის გამოყენებით უნდა დაიცვან. რეალისტი ჯონ მირშაიმერის (John Mearsheimer) მტკიცებით, ომი, მათ შორის ფართომასშტაბიანი ომი, ჯერ კიდევ „არ აგიზგიზებულა სისტემის შიგნით“ და, შესაბამისად, „რეალური სამყარო რეალისტურ სამყაროდვე რჩება.“[1]

ამის მიუხედავად, ეს შეხედულება სულ უფრო და უფრო საფრთხის შემცველი ხდება. ბოლო ათწლეულებში სახელმწიფოთაშორისი ომების რაოდენობა შემცირდა. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ზესახელმწიფოები იარღით ხელში ერთმანეთს უშუალოდ აღარ დაპირისპირებულან. ამერიკელი პოლიტოლოგის, ჯონ მიულერის (John Mueller), თქმით, სახელმწიფოთა შორის ინტერესთა კონფილქტის წარმოშობა უცხო არ არის, თუმცა ზესახელმწიფოები დღითიდღე უარს ამბობენ ომზე, როგორც პრობლემების გადაჭრის ეფექტურ და ერთადერთ შესაძლებლობაზე.[2]

ამ თავში ომსა და მისი განვითარების ეტაპებზე ვისაუბრებთ. პირველი, გავეცნობით ომის როლსა და პეიროდულობას მსოფლიო პოლიტიკაში, ასევე მის გამომწვევ მიზეზებსა და მორალურ საკითხებს. ომმა დღემდე მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მეორე, ვისაუბრებთ მეოცე საუკუნის „ტოტალური ომის“ წარმოშობასა და ევოლუციაზე. გასულ ასწლეულში მომხდრი საყოველთაო ნგრევა/განადგურება კლაუზევიცის ცნობილი შეხედულების – „ომი პოლიტიკის გაგრძელებაა“ – რელევანტურობასთან დაკავშირებით მორალურ და ემპირიულ კითხვებს აჩენს. მესამე, გავეცნობით ბოლო ათწლეულებში ომის პერიოდულობის რედუცირების ფაქტებსა და მასთან დაკავშირებით სხვადასხვა პარადიგმის შემოთავაზებულ ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსიებს. და ბოლოს, წინამდებარე თავს ოცდამეერთე საუკუნეში არსებული ძალადობრივი ტენდენციების განხილვით დავასრულებთ.

ომის როლი მსოფლიო პოლიტიკაში

4-1 განიხილეთ მსოფლიო პოლიტიკაში ომის განმაპირობებელი მიზეზები და ზნეობრივი შედეგები.

მრავალი დამკვირვებლის აზრით, ომი სახელმწიფოთა შორის მშვიდობიან ურთიერთობებს არღვევს. მილიტარისტული ამბიციებისა თუ მიდრეკილების მქონე ლიდერები ხშირად გამოდიან ომის დაწყების წინააღმდეგ. გადით ქუჩაში და გამვლელებს მეორე მსოფლიო ომის დაწყების მთავარი მიზეზის შესახებ კითხვა დაუსვით. სავარაუდოდ, ყველა მათგანი მთავარ მიზეზად ადოლფ ჰიტლერს (Adolf Hitler) დაასახელებს. ასევე, 2003 წელს ერაყში შეჭრის გამო, სავარაუდოდ, სადამ ჰუსეინს (Saddam Hussein) ან ჯორჯ უ. ბუშს George (W. Bush) დადანაშაულებენ.

მეცნიერთა განცხადებით, როდესაც საკითხი ომს ეხება ამერიკელები დაბადებით რეალისტები არ გახლავან. ომთან დაკავშირებული მათი ხედვა ქვეყნის ისტორიისა და გეოგრაფიიდან გამომდინარე რთული აღსაქმელი ნამდვილად არ არის. დასავლეთ ნახევარსფეროში მოხერხებული

ადგილმდებარეობის გამო სამოქალაქო ომის შემდეგ ამერიკელებს საკუთარ მიწაზე აღარ უომიათ, თუ არ ჩავთვლით 1812 წლის ომს. ამერიკელებმა ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟზე საკუთარ თავზე გამოცადეს ტეორორიზმის სისასტიკე. 2001 წლის 11 სექტემბერს ტერორისტებმა მსოფლიოს სავაჭრო ცენტრსა და პენტაგონზე მიიტანეს იერიში. დღესდეობით ცოცხალ ამერიკელთა მამულში უცხო ქვეყნის ჯარისკაცებს მარშით არასოდეს გაუვლიათ, დაბომბვის შიშით არც სპეციალურ თავშესაფარში შეუფარებით თავი და არც მტრების მიერ საკუთარ მიწაზე შვილების დახოცვით გამოწვეული სიმწარე განუცდიათ. ამის მიუხედავად, კაცობრიობის განვლილი ისტორია მკვეთრად ეწინააღმდეგება მშვიდობასთან დაკავშირებულ შეხედულებას როგორც ნორმას.

ომი და ძალმომრეობა

შეერთებული შტატები ხანმოკლე ისტორიის განმავლობაში არაერთ ფართომასშტაბიან ომში მონაწილეობდა. ამერიკის რევოლუციიდან მოყოლებული ამერიკელთა ყველა თაობამ დაღვარა სისხლი. ამ ომებს ერთ მილიონზე მეტი ამერიკელის სიცოცლე შეეწირა, აღარაფერს ვამბობ დაჭრილებზე, რაც დაღუპულთა რაოდენობას გაცილებით აღემატება (*იხ. ტაბულა* 4.1).

მსოფლიო მასშტაბით დაღუპულთა რაოდენობა გაცილებით მასშტაბურია და თავზარდამცემი. ამერიკელი პოლიტოლოგი ჯეი. დევიდ სინგერი (J. David Singer) და მისი თანამოაზრეები პროექტის „ქორელეითს ოვ ვორ“ (Correlates of War) ფარგლებში 1970-იანი წლებიდან მოყოლებული აგროვებენ და აანალიზებენ მეცხრამეტე/მეოცე საუკუნეებში მომხდარ ომებთან დაკავშირებულ მონაცემებს.[3] ბოლო ორი საუკუნის მონაცემები ძალზე საყურადღებოა. Correlates of War-ის კვლევის თანახმად, 1816-1997 წლების შუალედში ოთხას ერთი ომი მოხდა. ეს ომები სამ ჯგუფად იყოფა.[4]

- *სახელმწიფოთაშორისი ომები*: როდესაც ერთმანეთს ორი ან მეტი სუვერენული სახელმწიფო უპირისპირდება. ასეთი ომის ნათელი მაგალითია პირველი და მეორე მსოფლიო ომი, ასევე 1991 წლის სპარსეთის ყურის ომი. 1816-1997 წლებში სახელმწიფოთაშორისი ომების სამოცდათექვსმეტი შემთხვევა დაფიქსირდა.
- *ექსტრასახელმწიფო ომები*: როდესაც სულ ცოტა ერთი მხარე არასახელმწიფო აქტორია. მთელ რიგ შემთხვევაში ამ ჯგუფს მიეკუთვნება დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად კოლონიებსა და მეტროპოლიას შორის წარმოებული ომები. ამგვარი ომების მკაფიო მაგალითებია 1954 წლის ალჟირის ომი (Franco-Algerian War) და 1975 წლის პორტუგალია-ანგოლას ომი (Portuguese-Angolan War). 1816-1997 წლების შუალედში ექსტრასახელმწიფო ომების ას რვა შემთხვევა დაფიქსირდა.
- *სამოქალაქო ომები*: სუვერენულ სახელმწიფოში სხვადასხვა ჯგუფს შორის დაწყებული ომი. 1992 წელს ბოსნიაში სერბების, ხორვატებისა და მუსლიმების ურთიერთდაპირისპირება, ასევე ჩეჩნეთის კონფლიქტი შიდა ომების ნათელი მაგალითებია. 1816-1997 წლებში სამოქალაქო ომების ორას თოთხმეტი შემთხვევა დაფიქსირდა.

ყოველ ხუთ წელიწადში საშუალოდ ორი ახალი ომი იწყება.[5] მათი უმეტესობა ერთ წელზე მეტხანს გრძელდება. მართლაც, ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში მთელი მსოფლიო ომსა და სისხლისღვრაშია ჩართული.

ტაბულა 4.1 ომები, რომლებშიც ამერიკა მონაწილეობდა

ომი	ხანგრძლივობა	მოკლული ამერიკელი ჯარისკაცების რაოდენობა
ამერიკის რევოლუცია	1775-1783	4,435
1812 წლის ომი	1812-1815	2,260
მექსიკის ომი	1846-1848	13,283
სამოქალაქო ომი	1861-1865	364,511 (*ჩრდილოეთი*), 198,524 (*სამხრეთი*)
ესპანეთ-ამერიკის ომი	1898	2,446
პირველი მსოფლიო ომი	1917-1918	116,516
მეორე მსოფლიო ომი	1941-1945	405,399
კორეის ომი	1950-1953	36,574
ვიეტნამის ომი	1964-1973	58,220
სპარსეთის ყურის ომი	1990-1991	383
ტერორიზის წინააღმდეგ მიმართული ომი*	2001 წლიდან დღემდე	2,131†
ერაყის ომი	2003 წლიდან დღემდე	4,409†
გარდაცვლილთა საერთო რაოდენობა	1775 წლიდან დღემდე	1,209,091

შენიშვნა: ცხრილში მოცემულია მხოლოდ ფართომასშტაბიანი ომები და არა შედარებით მცირემასშტაბიანი კონფლიქტები, ინტერვენციები ან სამშვიდობო მისიები. ეს მონაცემები ბრძოლებში დაღუპულთა რაოდენობას, თვითმკვლელობის ფაქტებს, დაავადებების შედეგად გარდაცვლილი ჯარისკაცების რაოდენობასა და უბედური შემთხვევებისას დაღუპულთა რაოდენობას ასახავს.

*მათ შორის ავღანეთი, ფილიპინები, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია და სხვ.

† 2012 წლის 22 ოქტომბრის ჩათვლით.

წყაროები: Anne Leland, "American War and Military Operation Casualties: Lists and Statistics," Congressional Research Service, November 15, 2012. Source for Confederate deaths in the Civil War is United States Civil War Center, "Statistical Summary: America's Major Wars," http://www.cwc.lsu.edu/cwc/other/stats/warcost.htm.

იძულების დიპლომატია – *მუქარა ან სამხედრო ძალის მცირემასშტაბიანი დემონსტრირება, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო სისტემის სხვა აქტორების ქმედებაზე გავლენის მოხდენას ან მათ გაფრთხილებას.*

სამხედრო ძალის გამოყენება საომარი მოქმედების გარდა სხვა ფორმებითაც არის შესაძლებელი. **იძულების დიპლომატია (Coercive Diplomacy)** მოიცავს მუქარას ან სხვების ქმედებაზე გავლენის მოსახდენად მცირემასშტაბიან სამხედრო ძალის დემონსტრირებას. პროექტი Correlates of War-ი დაკავშირებულია იძულების დიპლომატიასთან როგორც მილიტარიზებულ სახელმწიფოთაშორის დავებთან (MIDs). 1816 წლიდან მოყოლებული მილიტარიზებული სახელმწიფოთაშორისი დავების ამსახველი ათასობით ფაქტი დოკუმენტურად არის დადასტურებული, მათ შორის ორას ოთხმოცდათექვსმეტი ახალი შემთხვევა (*წელიწადში თითქმის ოცდაცამეტი შემთხვევა*), რომელიც 1993-2001 წლების შუალედში დაფიქსირდა.[6] ამგვარი დავები შეიძლება მოიცავდნენ იძულების დიპლომატიის ისეთ ფორმებს როგორებიცაა სამხედრო განგაშის დონეები, ჯარების მობილიზაცია, თვითმფრინავების გაგზავნა სხვა სახელმწიფოების საჰაერო სივრცის სიახლოვეს ან მის შიგნით, გამაფრთხილებელი გასროლები ან დაპირისპირებულ მხარეებს შორის მცირე შეტაკებები (*იხ. თეორია პრაქტიკაში* 4.1).

მილიტარიზებული დავების უმეტესობა არასოდეს გადაზრდილა ომში. ათწლეულების მანძილზე ომებსა და ძალმომრეობას მილიონობით ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. 1816-1997 წლების შუალედში მომხდარმა ოთხას თორმეტმა ომმა ორმოცდაცამეტ მილიონზე მეტ ადამიანს მოუსწრაფა სიცოცხლე.[7] დაღუპული სამოქალაქო პირების რაოდენობა მუდამ აღრიცხვის მიღმა რჩებოდა. მეორე მსოფლიო ომის

თეორია პრაქტიკაში 4.1
იძულების დიპლომატია ტაივანის სრუტეში



1949 წლის ჩინეთის რევოლუციის შემდეგ ტაივანის სრუტეში დაძაბულობამ დაისადგურა. ჩსრ ტაივანის დაბრუნებას ცდილობს, კუნძული ავტონომიის შენარჩუნებას ესწრაფვის, შეერთებული შტატები კი ტაივანის პეკინის ეკონომიკური და სამხედრო ძალმომრეობისაგან დაცვის ვალდებულებას იღებს. ზემოთქმულის მიუხედავად, ჩინეთი, ტაივანი და შეერთებული შტატები ფიგურალური საზღვრების გასავლებად და ერთმანეთის გასაფრთხილებლად იძულების დიპლომატიას იყენებენ. გაგაცნობთ ბოლო წლებში განვითარებული მოვლენების ქრონოლოგიას:

2001 წლის 1 აპრილი: ამერიკული სადაზვერვო თვითმფრინავი, რომელიც ჩინეთის სანაპიროს ახლოს დაფრინავდა, ჩინურ გამანადგურებელს გადაეყარა. ამერიკელი მფრინავები თერთმეტდღიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლებს, ამერიკული თვითმფრინავი კი სამი თვის თავზე დაუბრუნეს ამერიკელებს.

2001 წლის პრილი: 1974 წლის შემდეგ ბუშის ადმინისტრაციამ პირველად მიჰყიდა იარაღი ტაივანს.

2001 წლის ივნისი-ივლისი: ჩინურ სამხედრო კომპიუტერულ თამაშებში ტაივანს თავს ესხმიან.

2004 წლის იანვარი: ტაივანი ანტისარაკეტო იარაღის შესაძენად რეფერენდუმს აცხადებს. მიზეზად ტაივანზე დამიზნებული ჩინური რაკეტები სახელდება.

2004 წლის თებერვალი: ჩინეთი ტაივანის სანაპირო ზოლთან ახალ სამხედრო წვრთნებს იწყებს.

2004 წლის თებერვალი: შეერთებულმა შტატებმა გუამში ბომბდამშენები განალაგა.

2005 წლის 8 მარტი: ჩინეთის წარმომადგენელთა კრება იღებს კანონს, რომელიც ჩინეთს საჭიროების შემთხვევაში – აღკვეთოს ტაივანის ოფიციალური დამოუკიდებლობის გამოცხადების მცდელობა – ძალის გამოყენების უფლებას რთავს.

2008 წლის 22 მარტი: ტაივანში ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები და რეფერენდუმი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (*გაერო*) მიერ ტაივანის ხელახლა აღიარებას ითვალისწინებდა. ჩინეთმა ოპონენტები გააფრთხილა, რომ რეფერენდუმის ჩატარების ან არჩევნებში დამოუკიდებლობის მომხრე პარტიის გამარჯვების შემთხვევაში ძალის გამოყენებასაც არ მოერიდებოდა.

2008 წელი: შეერთებულმა შტატებმა ჩინეთში არჩევნების საპასუხოდ ტაივანის ტერიტორიული წყლების სიახლოვეს სამი ავიამზიდი განათავსა.

2009-2010 წლები: რეფერნდუმის კრახმა და დამოუკიდებლობის მომხრე პარტიის დამარცხებამ დაძაბულობის შემცირება განაპირობა. ამის მიუხედავად, ჩინეთმა ტაივანის სრუტის გასწვრივ განლაგებული რაკეტების რაოდენობა გაზარდა.

2011 წლის 29 ივნისი: სრუტეში ჩინეთის საბრძოლო თვითმფრინავებმა ხელთ იგდეს შეერთებული შტატების სადაზვერვო თვითმფრინავი.

2014 წლის 25 აგვისტო: თორმეტი საათის განმავლობაში ჩინეთის სადაზვერვო თვითმფრინავები ოთხჯერ შეიჭრნენ ტაივანის საჰაერო სივრცეში.

რაში მდგომარეობს იძულების დიპლომატიის საფრთხეები და ბენეფიტები და რამდენად ეფექტურია სხვა საშუალებებთან შედარებით?

რაში მდგომარეობს იძულების დიპლომატიის წარმატება? განმარტეთ მიზეზები.

ბოლო წლებში რუსეთმა დასავლეთთან მიმართებით იძულების დიპლომატია გაამწვავა. კერძოდ, შეერთებული შტატებისა და დასავლეთი ევროპის საზღვრების სიახლოვეს რუსული ბომბდამშენები გამოჩდნენ, რუსული წყალქვეშა ნავი მოულოდნელად შვედეთის ტერიტორიულ წყლებში შეიჭრა და სხვ. თქვენი აზრით, რაში მდგომარეობს ამ აქტიურობის მიზეზი?

წყაროები: *Map from* http://archives.cnn.com. Chronology from PBS Frontline, “Dangerous Straits: Chronology,” http://www.pbs.org; “Taiwan Confrontation: Introduction,” http://www.globalsecurity. org, *Washington Times*, April 17, 2008; Ted Galen Carpenter, “Taiwan Strait,” Cato Institute, January 7, 2010; *The Washington Times*, July 25, 2011; and J. Michael Cole, “Chinese Surveillance Aircraft Enter Taiwan’s Airspace,” *The Diplomat*, August 27, 2014, http://thediplomat.com/2014/08/chinese-surveillance-aircraft-enter-taiwans-airspace/.

დროს დაღუპულთა საერთო რაოდენობა (*როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პირები*) ოცდათხუთმეტიდან სამოც მილიონამდე მერყეობს. სხვა შეფასებით კი ამ სისხლიანმა კალომ ორმოცდაათი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.[8] ამგვარად, დაღუპული სამოქალაქო პირებისა და მეორე მსოფლიო ომში მოკლულთა საერთო რაოდენობა ბოლო ორი საუკუნის მანძილზე მომხდარი ოთხას თორმეტი ომის მსხვერპლთა საერთო რაოდენობას უთანაბრდება. მეოცე საუკუნის ომებში სერთო ჯამში ოთხმოცდაშვიდი მილიონი ადამიანი (*როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პირი*) დაიღუპა.[9]

ომის მიზეზები

ერთი ცნობილი პოლიტოლოგის თქმით, „ომთან დაკავშირებული მთავარი თავსატეხი“ იმაში მდგომარეობს, რომ დიდი ხარჯების მიუხედავად, ომები მაინც ხდება.[10] ამ თავსატეხის ასახსნელად მკვლევრები ომის რეალისტურ და კოგნიტურ განმარტებებს იყენებენ. გაიხსენეთ რაციონალური აქტორის მოდელსა და გადაწყვეტილების მიმღებ კოგნიტურ მოდელს შორის არსებული სხვაობა. მათ შესახებაც მესამე თავში უკვე ვისაუბრეთ. ეს განსხვავება შეიძლება კონკრეტულად ომთან დაკავშირებული საკითხისას გამოვიყენოთ.

ომის რაციონალური განმარტებები – ომის რაციონალური განმარტებები ეფუძნება ვარაუდს, რომლის თანახმადაც ომი სტრატეგიული საქმიანობაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ომი არის მიზეზი, რომელიც ამოძრავებს და ეფუძნება ხარჯებისა და ბენეფიტების რაციონალურ კალკულაციას. რეალისტები ომს რაციონალურ გამოვლინებად მიიჩნევენ.

ომის დაწყებამდე ყველა რეალისტი შესაძლო რისკებისა თუ შედეგების კალკულაციას ახდენს. ხარჯები მოიცავს როგორც ფინანსურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ, ასევე ადამიანურ დანაკარგებს. ზოგიერთ შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგები კალკულაცია ომის დაწყებას განაპირობებს. სხვა შემთხვევებში ეს ხარჯები გადამეტებულად შეიძლება შეფასდეს. მაგალითად, ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე გულწრფელი რეალისტი და თეორეტიკოსი ჯონ მირშაიმერი ერაყში სამხედრო კამპანიის დაწყებას ეწინააღმდეგებოდა, რადგან ალმაცერად უყურებდა ხარჯებისა და ბენეფიტების კალკულაციას, რომელსაც ამ ომისგან მოელოდნენ. მისი აზრით, იმ შემთხვევაში თუ ერაყი შექმნიდა და გამოიყენებდა მასობრივი განადგურების იარაღს შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ მისი განიარაღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (*გაერო*) დაწესებული სანქციებითა და ამერიკული სამხედრო საპასუხო დარტყმით შეიძლებოდა. მოკლედ რომ ვთქვათ, მირშაიმერს მიაჩნდა, რომ ერაყის შეკავება უფრო დაბალ ფასად შეიძლებოდა.[11] ამ ომისადმი მისი წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება იმით უფრო იყო ნაკარნახევი, რომ იგი შეერთებული შტატების ინტერესებზე დადებითად არ აისახებოდა.

ომის უზარმაზარი ხარჯებიდან გამომდინარე ზოგიერთი მეცნიერი სვამს კითხვას როგორ შეიძლება, რომ სახელმწიფოებმა რაციონალური მიზეზით დაიწყონ ომი. მირშაიმერის წინააღმდეგობის მიუხედავად, 2003 წელს ამერიკელები ერაყში შეიჭრნენ და, სავარაუდოდ, საკმაოდ დიდ ადამიანური და გეოპოლიტიკური ფასიც გადაიხადეს. რეციონალისტი მეცნიერების განცხადებით, პოლიტიკოსები ყოველთვის დიპლომატიურ გადაწყვეტილებებს ანიჭებენ უპირატესობას. თუ ეს ასეა, მაშინ რატომ ხდება ამდენი ომები? ამ საკითხთან დაკავშირებით გთავაზობთ ორ პასუხს.[12] პირველი, არსებობს ნდობის პრობლემა. სახელმწიფოები ხშირად ეჭვის თვალით უყურებენ მეორე მხარის მზაობას ან სურვილს, დაიცვას

ნაკისრი ვალდებულებები. თუ რომელიმე მხარე დარწმუნებული არ არის, ასეთ დროს უმჯობესია ომის დაწყება იმისათვის, რომ მეორე მხარემ უპირატესობა არ მოიპოვოს. მეორე, სახელმწიფოებმა საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში შეიძლება განგებ გაავრცელონ არასწორი ინფორმაცია საკუთარი შესაძლებლობებისა და საბრძოლო ხარჯების შესახებ. მოლაპარაკებების დროს ფაქტების ამგვარმა დამახინჯებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ბერკეტი მისცეთ მათ, თუმცა ამავდროულად შესაძლებელია ხელისშემშლელი ფაქტორიც აღმოჩნდეს და მხარეებმა პრობლემების გადასაჭრელად იარაღს მოჰკიდონ ხელი.

ეს რაციონალური დილემა 2015 წელს ირანის ბირთვული იარაღის თაობაზე გამართული მოლაპარაკებებისას გამოიკვეთა. შეერთებული შტატები ირანის ისლამურ რესპუბლიკას ბირთვული პროგრამის განვითარებაში ხელს უშლის, რადგან ამ იარაღით ზურგგამაგრებული ირანის ამბიციები აშშ-ის ინტერესებს საფრთხეს შეუქმნის და, ამავდროულად, ახლო აღმოსავლეთში ბირთვული იარაღის გავრცელების საშიშ პრეცენდენტს დაუდებს სათავეს. თავის მხრივ, ირანი ბირთვულ იარაღს საგარეო ინტერვენციის შემაკავებელ ფაქტორად მიიჩნევს და იმედოვნებს, რომ მისი დახმარებით რეგიონალური ზესახელმწიფოს სტატუსს მოიპოვებს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ამ განსხვავებული ინტერესების ომით დარეგულირება შეერთებულ შტატებს, ირანსა თუ ახლო აღმოსავლეთს უდიდეს მატერიალურ და ადამიანურ დანაკარგებს მოუტანს. 2015 წელს გამართული მოლაპარაკებებისას მხარეები სწორედ გამოსავლის ძიებით იყვნენ დაკავებული. ამის მიუხედავად, ამერიკელმა და ისრაელელმა კრიტიკოსებმა წინა პლანზე წამოსწიეს შემდეგი ნდობის საკითხები: იტყოდა თუ არა ირანი უარს ბირთვული პროგრამის განვითარების გაგრძელებაზე? დაარღვევდა თუ არა ხელშეკრულებას? რა შედეგს მოიტანდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (*გაერო*) საინსპექციო ჯგუფი? თუ ირანი პირობას არ შეასრულებდა იმჟამად ომის დაწყება უფრო ეფექტური აღმოჩნდებოდა თუ ათი წლის შემდეგ, როდესაც ირანი უკვე ბირთვული იარაღით იქნებოდა აღჭურვილი? ასევე, თუ ორივე მხარე საკუთარი შესაძლებლობებისა და მიზნების შესახებ განზრახ მოიტყუებოდა მოლაპარაკებები ჩიხში შევიდოდა. როგორც უნდა იყოს, ირანის მაგალითი რაციონალური განმატებებისა და დილემის თვალსაჩინო მაგალითია (*ამის წაკითხვისას ალბათ უფრო ნათელი გახდება, რომ ირანის საკითხი ან ომით ან მოლაპარაკებით მოგვარდება*).

ომის კოგნიტური განმარტებები რაციონალური განმარტებებისგან განსხვავებით, კოგნიტური განმარტებები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ადამიანის რაციონალურ შესაძლებლობებს. ასევე, ხაზს უსვამენ ომის დაწყების განმარტებასთან დაკავშირებული კოგნიტური მიდრეკილებებისა და არასწორი წარმოდგენების გავლენას. ეს მიდრეკილებები და არასწორი წარმოდგენებია:[13]

- არასწორად აფასებს მოწინააღმდეგის ბუნებასა და განზრახვებს.
- გადაჭარბებულად აფასებს რომელიმე მხარის გამარჯვების შესაძლებლობებსა და შანსებს.
- სათანადოდ ვერ აფასებს მოწინააღმდეგის შესაძლებლობებსა და ხარჯებს.
- სათანადოდ ვერ აფასებს მოწინააღმდეგის ბრძოლის სურვილს.
- არ შეუძლია ომის შედეგებისა და გამარჯვებული მხარის წინასწარი განჭვრეტა.

მსგავსი მაგალითები ყველა მსხვილმასშტაბიან ომშია დაფიქსირებული. პირველი მსოფლიო ომის მთავარი მონაწილე მხარეები ფიქრობდნენ,

რომ ომი მალე დასრულდებოდა და გამარჯვება მათ დარჩებოდათ. მეორე მსოფლიო ომში დასავლეთმა სათანადოდ ვერ შეაფასა ჰიტლერის ამბიციები. ზოგიერთი დასავლელი ლიდერის აზრით, ფიურერის დაშოშმინება დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. ვიეტნამის ომის მსვლელობისას შეერთებულ შტატებს ჩრდილოეთი ვიეტნამის ლიდერი ხო ში მინი (Ho Chi Minh) საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლაქიად მიაჩნდა. ამერიკელები ვერ აცნობიერებდნენ კომუნისტურ ბანაკში არსებული უთანხმოებისა და ეჭვიანობის არსს. 1979 წელს საბჭოთა კავშირი ავღანეთში შეიჭრა. საუკუნეების განმავლობაში ამ მთაგორიანი ქვეყანის დაპყრობას არაერთი ზესახელმწიფო ცდილობდა, თუმცა უშედეგოდ. რუსები კი ფიქრობდნენ, რომ წარმატებას მიაღწევდნენ იქ, სადაც სხვებმა სრული მარცხი განიცადეს. 2010 წელს გამოცემულ სტატიაში პოლიტოლოგი დევიდ ლეიკი (David Lake) ამტკიცებდა, რომ ბუშის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება, რომელიც ერაყში შეჭრას უკავშირდებოდა, არასწორ წარმოდგენებსა და კოგნიტურ მიდრეკილებებს ეფუძნებოდა. გაგაცნობთ რამდენიმე მათგანს: სადამ ჰუსეინისგან მომავალი საფრთხის გადაჭარბებული შეფასება, ხარჯების არასათანადო შეფასება, მცდარი წარმოდგენა იმასთან დაკავშირებით, რომ ერაყში ლიბერალური/დემოკრატიული რეჟიმი დამყარდებოდა და ერაყის მასობრივი განადგურების იარაღთან დაკავშირებული საკითხების არასწორი გაგება.[14] თავის მხრივ, შექმნილ ვითარებას ვერც სადამ ჰუსეინი აცნობიერებდა სათანადოდ: იგი გადაჭარბებულად აფასებდა თავისი სამხედრო მანქანის შესაძლებლობას, რომელიც წინ უნდა აღდგომოდა თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულ ამერიკელ სამხედროებს; ჰუსეინს მიაჩნდა, რომ მსოფლიოში დაწყებული ანტისაომარი რიტორიკა შეერთებულ შტატებს ერაყში შეჭრას გადააფიქრებინებდა; იგი სათანადოდ ვერ აფასებდა ბუშის ადმინისტრაციის მოქმედების შესაძლებლობებს. მართლაც, სადამ ჰუსეინს არ სურდა ბირთვულ ობიექტებზე გაეროს განიარაღების ინსპექტორთა ჯგუფის დაშვება იმის მიუხედავად, რომ 2003 წლამდე ერაყის ბირთვულ პროგრამას დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. შესაძლოა არსებობდა მცდარი აღქმა, რომლის თანახმადაც ერაყის მასობრივი განადგურების იარაღის შესახებ გავრცელებული ეჭვები შეერთებული შტატების ინტერვენციის შეკავებას ისახავდა მიზნად.

ომის გამომწვევი მიზეზების კოგნიტური განმარტებები არ უარყოფს რაციონალურ, სტრატეგიულ გაანგარიშებებს, როგორც განმარტების ნაწილს, რისთვისაც სახელმწიფოები იბრძვიან. ამ კალკულაციების მიხედვით, რაციონალური განმარტებები ნაწილობრივ საუკეთესოა. ომის დაწყების გადაწყვეტილებას იღებენ ინტელექტუალურ და კოგნიტური შეზღუდვებს დაქვემდებარებული ადამიანები. ეს შეზღუდვები გადაწყვეტილების მიღების პროცესში რაციონალურობის ან ამ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო ურთიერთობების ნებისმიერი ძირითადი სადავო საკითხის ლიმიტირებას ახდენენ.

ანალიზის დონეები და ომის მიზეზები მიუხედავად იმისა იზიარებთ თუ არა ომთან დაკავშირებულ რაციონალურ ან კოგნიტურ პერსპექტივას, ომის დაწყების ალბათობა დამოკიდებული იქნება იმ ფაქტორებზე, რომლებიც განსაზღვრულია სისტემური, სახელმწიფო და ინდივიდუალური ანალიზის დონეებზე. რეალისტები ყურადღებას ამახვილებენ სისტემური ანალიზის დონეზე და პირველ მიზეზად ყოველთვის ანარქიას ასახელებენ. შეიძლება ითქვას, რომ ანარქია ომების საწინდარია, თუმცა ომის დაწყების კონკრეტული მომენტის განსაზღვრაში ვერ გვეხმარება. ამიტომ რეალის-

ტები ყურადღებას ამახვილებენ საერთაშორისო სისტემის სხვა უფრო სპეციფიკურ თავისებურებაზე, რომელიც დროის მოცემულ მომენტში მსოფლიო საზოგადოებას ომის დაწყებისკენ უბიძგებს. მაგალითად, ზოგიერთი რეალისტი შეიარაღების რბოლას ომის ხელისშემწყობ ფაქტორად მიიჩნევს. სხვების აზრით კი **ძალაუფლების გადაცემის (Power Transition)** პერიოდებში, როდესაც პრევალირებულ გაბატონებულ ძალას უპირისპირდება ახალი მზარდი ძალა, რომელიც უკმაყოფილოა უკვე არსებული გადანაწილებით, ხშირია ომები. რეალისტთა შორის არ ცხრება დისკუსიები იმასთან დაკავშირებით თუ რომელი სისტემაა ომისათვის ყველაზე ხელსაყრელი – მულტიპოლარული, ბიპოლარული თუ უნიპოლარული.

მხოლოდ რეალისტები არ აღიქვამენ ომს სისტემური ანალიზის დონიდან. შეიძლება ლიბერალებმაც ჩათვალონ, რომ საერთაშორისო ინსტიტუტების განვითარების დონე ან გლობალური ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი მოცემულ მომენტში გავლენას ახდენენ საერთაშორისო სისტემის ბრძოლისუნარიანობაზე. ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული პრევალირებული გლობალური ნორმები შეიძლება კონსტრუქტივისტებისთვისაც მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდეს. მარქსისტები ომის გაჩაღებაში ზოგჯერ მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემას ადანაშაულებენ.

სხვები, განსაკუთრებით კი არარეალისტი მეცნიერები, ომის დაწყების მიზეზებს ქვეყნის შიგნით ეძებენ. მარქსისტი მეცნიერები ყურადღებას ამახვილებენ ეროვნული ეკონომიკური ელიტების მოთხოვნილებებსა და **სამხედრო ინდუსტრიულ კომპლექსზე (Military Industrial Complex)**. თავდაცვის ხარჯები ბიძგს აძლევენ ომის დაწყებას. ლიბერალი მეცნიერები დროდადრო კონცენტრირებას ახდენენ რეჟიმის ტიპზე. დემოკრატიული ქვეყნები ავტორიტარული რეჟიმებისგან განსხვავებით ომს პრობლემების გადაჭრის ერთადერთ საშუალებად არ მიიჩნევენ. ეს მეცნიერები ამავდროულად ამტკიცებდნენ, რომ დემოკრატიზაციის პერიოდებს, როდესაც რეჟიმები გარდამავალ ეტაპს გადიან, შეიძლება ძალისმიერი გამოვლინებებიც ახასიათებდეს, რადგან სუსტი რეჟიმები, ნაციონალისტური ძალები და შიდა ელიტები ომს ეროვნული ერთობის მიზეზად იყენებენ.[15] უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, პოლიტიკოსები შიდა საკითხებიდან ყურადღების გადასატანად დროდადრო არც ომის დაწყებაზე ამბობენ უარს.

ომის შესახებ ჩატარებული არაერთი კვლევა ინდივიდუალური ანალიზის დონეზე მიუთითებს. მრავალი ადამიანი მთავარ ფაქტორებად მიიჩნევს ზემდგომი ლიდერების შეხედულებებსა (*იდეოლოგიური ან რელიგიური*) და თავისებურებას, ასევე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიმღები ადამიანის კოგნიტურ შესაძლებლობებსა და შეზღუდვებს. ფემინისტ მეცნიერებს შეიძლება ლიდერების გენდერზე გაემახვილებინათ ყურადღება. ის მეცნიერებიც კი, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ სისტემური და სახელმწიფო დონის ფაქტორებს სრულიად უგულებელყოფენ ინდივიდის გავლენას. მეორე მსოფლიო ომი ძირითადად მულტიპოლარულობის ლოგიკით შეიძლება აიხსნას. 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია შეიძლება უსაფრთხოების დილემის კონტექსტში განვიხილოთ ან რუსული სამხედრო ინდუსტრიული კომპლექსის გავლენას „დავაბრალოთ“. ოცდამეერთე საუკუნეში შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის ომს შეიძლება ძალაუფლების გადაცემის თეორიის კონტექსტში შევხედოთ. ამავდროულად არავინ უარყოფს ჰიტლერის, პუტინისა თუ მომავალი ამერიკელი და ჩინელი პოლიტიკოსების გავლენას, რათა ნათელი მოჰფინოს და განჭვრიტოს სახელმწიფოთაშორისი ომის წყაროები – წარსულში, აწმყოსა თუ მომავალში. ომის დაწყებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას.

ძალაუფლების გადაცემა – *როდესაც ძალაუფლება (განსაკუთრებით სამხედრო უპირატესობა) ერთი ქვეყნიდან ან ქვეყნების ჯგუფიდან მეორე ქვეყანას გადაეცემა. ზოგიერთი ადამიანის აზრით, ამგვარი ცვლილებები არასტაბილურობას იწვევს და დროის ამ მომენტში ომის დაწყების ალბათობა მაღალია.*

სამხედრო ინდუსტრიული კომპლექსი – *იარაღისა და სამხედრო ტექნოლოგიების წარმოებაში ჩართული ინდივიდებისა და ინსტიტუტების ურთიერთდამაკავშირებელი ქსელი. სამხედრო ინდუსტრიული კომპლექსი, როგორც წესი, მთავრობის მხრიდან სამხედრო ხარჯების გასაზრდელად პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობს.*

ომი და ზნეობა

რეალისტების აზრით, ზემდგომი ძალის არარსებობა საერთაშორისო ზნეობრივი ნორმების ჩამოყალიბებისა და პრაქტიკაში დაცვის პროცესს ართულებს. გაიხსენეთ ჰობსის ციტატა: „სადაც არ არის საერთო ხელისუფლება, არ არის კანონიც; სადაც არ არის კანონი, ვერც უსამართლობა იქნება“. ამგვარად, რეალისტების შეხედულებით, ომი, რომელსაც უთანხმოებების მოსაგვარებლად ხშირად იწყებენ, პროგნოზირებადია, თუმცა ყოველთვის სასურველი არ არის. სწორედ ამას გულისხმობდა კლაუზევიცი თავის ცნობილ გამოთქმაში – „პოლიტიკის გაგრძელება“.

მრავალი ადამიანისათვის ომისადმი პრაქტიკული, ანგარებიანი და მატერიალური მიდგომა შეიძლება ზნეობრივად გამართლებული არ იყოს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სასწორის პინაზე მილიონობით ადამიანის სიცოცხლე დევს. თუმცა შეიძლება სადაოც კი გახდეს ამ მიდგომის განსაკუთრებულობა. მაგალითისათვის განვიხილოთ საავტომობილო შემთხვევა. 2003 წელს შეერთებულ შტატებში[16] მომხდარ ავტოკატასტროფებს ორმოცდაორი ათას ექვსას ორმოცდასამი ადამიანი ემსხვერპლა, ხოლო ავტომობილების ერის დასაწყისიდან დღემდე აშშ-ში დაახლოებით სამი მილიონი ადამიანი გარდაიცვალა ამ მიზეზით.[17] ამის საპირისპიროდ, გასული საუკუნის ყველა დიდ ომში დაახლოებით ექვსას ოცდაოთხი ათასი ამერიკელი სამხედრო დაიღუპა (*იხ. ცხრილი* 4.1), რაც ავტომობილების გამოისობით გარდაცვლილთა რიცხვის თითქმის ერთი მეხუთედია. ასევე, 2003 წელს ერაყის ომში მოკლულ ჯარისკაცთა რაოდენობა (*ოთხას ოთხმოცდაექვსი*) ამავე წელს შეერთებულ შტატებში ავტოკატასტროფების შედეგად დაღუპულთა დაახლოებით ერთ პროცენტს შეადგენდა.[18]

ასეთი ციფრების გაცნობისას შეიძლება ითქვას, რომ ავტოკატასტროფებში დაღუპულთა რაოდენობა კონკურენციას უწევს ან აღემატება ომში დაღუპულთა საერთო რიცხვს. რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის შემდეგ „ჯენერალ მოტორსის“ პიკეტირება და ავტომობილების წარმოების აკრძალვა სრული ნონსენსია. ავტომობილები საჭიროა; ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თანამედროვე ეკონომიკასა და პირად ცხოვრებაში. მათ ჩვენი სიცოცხლის გადარჩენაც შეუძლიათ. მაგალითად, სწრაფად მივიდეთ საავადმყოფოში ან შევიძინოთ საკვები პროდუქტები, მედიკამენტები და ა.შ. ხანდახან ომს შეიძლება დადებითი ახსნაც მოვუძებნოთ. მაგალითად, საკუთარი ტერიტორიების დაცვა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა ან აგრესორების განადგურება მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებითაა შესაძლებელი. შეიძლება ვინმემ განაცხადოს კიდეც, რომ საფრანგეთში ნაცისტებთან ბრძოლის დროს სიცოცხლის დაკარგვა უფრო კეთილშობილური და ნაკლებად ტრაგიკული მოვლენაა, ვიდრე პიცის ყიდვისას ავტოკატასტროფაში სიკვდილი.

რეალიზმის კრიტიკოსები არ ეთანხმებიან ომთან დაკავშირებულ იმ შეხედულებას, რომ ხარჯებისა და ბენეფიტების კალკულაცია მხოლოდ ეროვნულ ინტერესებზეა დაფუძნებული. რეალიზმის ანტიპოდი **პაციფიზმი (Pacifism)** ეს არის მდგომარეობა, როდესაც ნებისმიერი სახის ძალადობა – იქნება ეს წინასწარგანზრახვით ჩადენილი მკვლელობა თუ ადამიანის ფიზიკური დაზიანება – ზნეობრივი თვალსაზრისით მიუღებელია. ეს არის აბსოლუტური პერსპექტივა, რომელიც არანაირ გამონაკლის არ უშვებს. პაციფიზმის თანახმად, არცერთი დადებითი მიზეზი ან სასიცოცხლო ინტერესი არ ამართლებს მეორე ადამიანის წინსწარგანზრახულ მკვლელობას.

პაციფიზმი – *შეხედულება, რომლის თანახმადაც ომი და ფიზიკური ძალადობის ნებისმიერი ფორმა, რომელიც სხვა ადამიანების სიკვდილსა თუ ფიზიკურ დაზიანებას იწვევს, ზნეობრივი თვალსაზრისით მიუღებელია.*

რეალისტებისგან განსხვავებით, პაციფისტები პიროვნულ თუ ე.წ. სახელმწიფოებრივ მორალს შორის განსხვავებას ვერ ხედავენ. ისინი იუდეოქრისტიანულ ტრადიციებს მისდევენ. მცნება „არა კაც კლა“ პოლი-

ტიკოსებს ეროვნული ინტერესების მიუხედავად მკვლელობის უფლებას არ ანიჭებს.

ცნობილი რუსი მწერალი ავტორი წიგნისა – „ომი და მშვიდობა“ (War and Peace) – ლევ ტოლსტოი (Leo Tolstoy), რომელიც ოდესღაც რუსულ არმიაში მსახურობდა, მოგვიანებით მგზნებარე პაციფისტი გახდა. ოთხმოცი წლის რუსი მწერლის პაციფისტური დამოკიდებულება კარგად ჩანს მის სიტყვებში: „მრავალი ადამიანის რწმენით, ომი სიკეთის მომტანი და საქები საქმე არ არის, ყველა მკვლელობის დარად ისიც საშინელი და უკანონო საქმიანობაა. მათ, ვინც ნებაყოფლობით ირჩევს სამხედრო კარიერას, ვეტყოდი მკაფიოდ და გარკვევით, რომ გაუძლონ ყველა ბრწყინვალებასა და საყოველთაო აღტკინებას, რომელიც თან ახლავს მას, რადგან იგი უკანონო და სამარცხვინო საქმეა. რაც უფრო მაღალი თანამდებობა უჭირავს ადამიანს ამ პროფესიაში, მით უფრო უკანონო და სამარცხვინოა მისი საქმიანობა. მამაკაცებს, რომლებიც სამხედრო სამსახურში მოქრთამვით ან სასჯელის შიშით შევიდნენ, ვთავაზობ ხმამაღლა ისაუბრონ იმ საშინელი შეცდომის შესახებ, რომელსაც არმიაში ჩარიცხვით სჩადიან, რადგან უნებურად ისინი მკვლელთა რიგებში ირიცხებიან, რაც, თავის მხრივ, ღმერთის კანონს ეწინააღმდეგება“.[19]

ლევ ტოლსტოის სიტყვებმა ბევრს შეიძლება უხერხულობა შეუქმნას. შეერთებული შტატების სამხედრო ისტებლიშმენტი – თავდაცვის მდივნით დაწყებული და რეზერვისტებით დამთავრებული – ტოლსტოის შეხედულებით დამნაშავეები და მკვლელები არიან.

პაციფიზმის კრიტიკოსების მტკიცებით, ეს იდეოლოგიური მიმართულება ორი მიზეზის გამოა მიუღებელი: პირველი, პაციფიზმი უარყოფს თავდაცვის უფლებას და მას ძალადობის გამოვლინებად მიიჩნევს. რეალისტების თქმით, ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც ანარქიულ მსოფლიოში პაციფისტურ პოლიტიკას გაატარებს, მეორე სახელმწიფოს მსხვერპლი გახდება. მეორე, და ალბათ უფრო მნიშვნელოვანი. პაციფიზმი უარყოფს ფიზიკური ძალის გამოყენების უფლებას, მაშინაც კი, როდესაც უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე საფრთხის ქვეშაა. ამგვარად, პაციფიზმის კრიტიკოსებმა შეიძლება იკითხონ ვინმეს რომ ჰიტლერის მოკვლის შანსი გასჩენოდა, მაგრამ უარი ეთქვა მის შესრულებაზე, განა ამ ადამიანის სინდისზე არ იქნებოდა იმ უდანაშაულო ექვსი მილიონი ებრაელის სისხლი, რომლებმაც სიცოცხლე ნაცისტების საკონცენტრაციო ბანაკებში დაასრულეს?

როგორც ჩანს, პაციფიზმის ზნეობრიობა ბევრი ადამიანისათვის მიუღებელია, რადგან იგი თავდამსხმელებისა თუ აგრესორების მიმართ საკმაოდ ლოიალური მიდგომით გამოირჩევა. პაციფიზმი მსოფლიოში მაინცდამაინც დიდი მოწონებით არასოდეს სარგებლობდა. დროდადრო მსოფლიო პოლიტიკაში ფიზიკური ძალის გამოყენების საჭიროება ჩნდება (*იხ. თეორია პრაქტიკაში* 4.2).

სამართლიანი ომის დოქტრინა (Just War Doctrine), პერსპექტივა ომისა და ზნეობირობის შესახებ, პაციფიზმისგან განსხვავებით ომს ზოგჯერ აუცილებელ და სამართლიან მოვლენად მიიჩნევს, თუმცა ამორალური რეალიზმისგან განსხვავებით, ბრძოლის წესებს განსაზღვრავს. ომი რომ „სამართლიანად“ ჩაითვალოს აუცილებლად უნდა შეფასდეს ადამიანური დანაკარგები, რომლებიც სცილდება ვიწრო ინტერესებს და გავლენას ახდენს სამხედრო პერსონალსა და მათ საბრძოლო შესაძლებლობებზე. სამართლიანი ომის თანახმად, ადამიანის სიცოცხლე მნიშვნელოვანია.

სამართლიანი ომის დოქტრინა – *პერსპექტივა ომს აუცილებელ და სამართლიან მოვლენად მიიჩნევს, თუმცა რეალიზმისგან განსხვავებით, ბრძოლის წესებს განსაზღვრავს.*

სამართლიანი ომის დოქტრინის ვერსიები არაერთ საზოგადოებაში, კულტურასა თუ რელიგიურ ტრადიციაში არსებობს. იუდეოქრისტიანული ვერსია jus ad bellum-სა („*ომის სამართლიანობა*“) და jus in bello-ს

თეორია პრაქტიკაში 4.2

პაციფისტი ბრძანდებით?

მსოფლიოში მრავალი ადამიანი თავს პაციფისტად მიიჩნევს. თუმცა მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში უდანაშაულო ადამიანთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტა (*მაგ. დარფურის გენოციდი*) ზოგჯერ მდგომარეობას ართულებს და პაციფიზმის გადახედვისკენ გვიბიძგებს. გაიარეთ შემდეგი ტესტი დარწმუნდეთ ხართ თუ არა პაციფისტი:

- რუსეთი რომ პოლონეთში შეჭრილიყო ექნებოდათ კი პოლონელებს საკუთარი სუვერენიტეტისა და ტერიტორიის იარაღით დაცვის მორალური უფლება?
- თქვენი აზრით, სწორი გადაწყვეტილება მიიღეს მოკავშირეებმა, როდესაც ნაცისტური გერმანიის შესაკავებლად ომში ჩაერთვნენ?
- მოიწონებდით 1940-იანი წლების დასაწყისში ჰიტლერის წინააღმდეგ მოწყობილ საიდუმლო შეთქმულებს, თუ დარწმუნდებოდით, რომ მისი მკვლელობით მილიონობით უდანაშაულო ებრაელი გადაურჩებოდა საშინელ სიკვდილს?
- წინასწარ რომ გცოდნოდათ თუ რა ტრაგედია დატრიალდებოდა 2001 წლის 11 სექტემბერს, დაუჭერდით მხარს, რომ კლინტონის ადმინისტრაციას ავღანეთში განთავსებული „ალ-ქაიდას“ ბანაკებზე სარაკეტო იერიში განეხორციელებინა და ოსამა ბინ ლადენი გაენადგურებინა?
- დარფურში მომხდარი გენოციდის მსხვერპლთა გადასარჩენად დაუჭერდით მხარს სამხედრო ძალის გამოყენებას?

თუ ყველა კითხვას უარყოფით პასუხი გაეცით დიდი ალბათობით პაციფისტი ბრძანდებით. ერთ კითხვაზე მაინც დადებითი პასუხი რომ გაგეცათ, თავს პაციფისტად არ მოიხსენიებდით.

თქვენი აზრით, პაციფიზმი ზნეობრივად გამართლებულია?

რამდენად შესაძლებელია იყო პაციფისტი და ამავდროულად მსოფლიოს გაკეთილშობილებისათვის იბრძოდე?

რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ის გარემოება, რომ პაციფიზმი, როგორც ეს მოცემულია წინამდებარე თავსა და ტესტში, სრულყოფილია? განმარტეთ მიზეზები.

jus ad bellum (ლათ: *„ომის სამართლიანობა“*) – *გარემოება, როდესაც ომში ჩართვა გამართლებულია.*

(*„სამართლიანობა ომში“*) ერთმანეთისგან განასხვავებს. **jus ad bellum**-ი არის გარემოება, როდესაც ომში ჩართვა მორალურად გამართლებულია. არსებობს ექვსი კრიტერიუმი:

1. *სამართლიანი მიზეზი.* თავდაცვის ლეგიტიმაციის, თავდასხმის მოგერიების ან ჭკუის სწავლების მიზნით ომში ჩართვა სამართლიან მიზეზებად ითვლება. ადამიანის უფლებების დაცვა და წახალისებაც შეიძლება სამართლიან მიზეზთა კატეგორიას მივაკუთნოთ.
2. *სამართლიანი განზრახვა.* ომი უნდა აწარმოო მხოლოდ სამართლიანი მიზეზით და არა გაუგებარი მიზნებისა თუ პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად.
3. *უკანასკნელი იმედი.* ომის დაწყებამდე პრობლემის გადაჭრის ყველა საშუალება უნდა მოიძებნოს ან გონივრული დასკვნა უნდა გაკეთდეს, რათა სხვა საშუალებები უშედეგო აღმოჩნდეს.
4. *წარმატების ალბათობა.* მაშინაც კი, როდესაც ომს სამართლიანი მიზეზი უდევს საფუძვლად, გაღებული მსხვერპლი ამაო აღმოჩნდება, თუ ბრძოლის მიზნები შედეგს ვერ გამოიღებს. ამგვარად, უნდა არსებობდეს რამდენიმე გონივრული მოლოდინი, რომ ომის მიზნები წარმატებით განხორციელდება.
5. *შეზღუდული მიზნები.* სამართლიანი მიზეზის მიღწევისას საომარი მოქმედებები უნდა შეწყდეს. მოწინააღმდეგის სისუსტეზე უპირატესობის მოსაპოვებლად საბრძოლო მოქმედების გაგრძელება ან ჩადენილი დანაშაულებების გამო მისი დასჯის მოთხოვნა მუქარად და სიცოცხლის ხელყოფად ჩაითვლება.

6. *კანონიერი უფლება.* მსოფლიო პოლიტიკაში ფიზიკური ძალის გამოყენების კანონიერი უფლება მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოებსა და იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს აქვთ, რომლებსაც ამ პრივილეგიის გამოყენების უფლება მსოფლიო საზოგადოებამ მიანიჭა (*მაგ. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია*). არასახელმწიფო აქტორებს ომის წარმოების კანონიერი უფლება არ აქვთ, რადგან მათმა ქმედებამ შეიძლება ქაოსი გამოიწვიოს და ძალადობრივი ქმედება კიდევ ბევრჯერ გაიმეორონ.

jus in bello (*ლათ. „სამართლიანობა ომში“*) – *კრიტერიუმი, რომელიც ომის წარმართვისა და კანონის ფარგლებში დარჩენის წესებს განსაზღვრავს.*

Jus in bello განსაზღვრავს ომის წარმართვის წესებს. არსებობს მისი ორი კრიტერიუმი:

1. *განსხვავება.* მეომარმა მხარეებმა ჯარისკაცებისა და სამოქალაქო პირების გასარჩევად, ასევე ამ უკანასკნელთა სიცოცხლის დასაცავად ყველა გონივრული მცდელობა უნდა გამოიყენონ.
2. *პროპორციულობა.* გამოყენებული ძალა პროპორციული უნდა იყოს. მაგალითად, 1991 წელს ერაყის კუვეიტიდან განდევნის მიზნით ბაღდადში ატომური ბომბების ჩამოყრა არაპროპორციული პასუხი იქნებოდა.

ომი რომ სამართლიანად ჩაითვალოს, სამართლიანი ომის დოქტრინის ყველა კრიტერიუმი ერთმანეთთან თანხვედრაში უნდა მოდიოდეს. ნებისმიერი მათგანის მიმართ საეჭვო დამოკიდებულება საფრთხეს უქმნის ომის სამართლიანობას.

სამართლიანი ომის დოქტრინას, რომელიც ამორალურ რეალიზმსა და არაორაზროვან პაციფიზმს შორის შეიძლება მისაღებ კომპრომისულ ვარიანტს წარმოადგენდეს, კრიტიკა მაინც არ აკლია. მთავარი პრობლემა კრიტერიუმის გამოყენებისას კონსენსუსის მიღწევის სირთულეში მდგომარეობს. მაგალითად, კეთილი განზრახვის მქონე ადამიანები გულწრფელად არ ეთანხმებიან კონკრეტული მიზეზის სამართლიანობასა და კონკრეტულ შემთხვევაში ომის დაწყების აუცილებლობას, როგორც უკანასკნელ იმედს. და თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ „წარმატების ალბათობის“ კრიტერიუმი მოიცავს ვარაუდს მომავლის შესახებ, რამდენად შესაძლებელია, რომ სინამდვილე იყოს სავარაუდო? ამგვარად, პაციფისტები და ამორალური რეალისტები შეიძლება ეთანხმებიან იმ აზრს, რომ სამართლიანი ომის დოქტრინა ომის დაწყებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას არა მხოლოდ ლეგიტიმაციას მატებს, არამედ ზნეობრივადაც ფუთავს მას. მიუხედავად ამისა, სამართლიანი ომის დოქტრინის თეორეტიკოსები მხარს უჭერენ იმ აზრს, რომ კალკულაციისას გასათვალისწინებელია მორალური ფაქტორები. ომი თავისი არსით გაურკვეველი მოვლენაა.

უფრო მეტიც, რეალიზმის კონსტრუქტივისტმა და ლიბერალმა კრიტიკოსებმა შეიძლება განაცხადონ, რომ სამართლიანი ომის დოქტრინამ ომის წარმართვასთან დაკავშირებით სუვერენულ სახელმწიფოებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. კონსტრუქტივისტების აზრით, სამართლიანი ომის დოქტრინა ნათლად აჩვენებს თუ როგორ განსაზღვრავენ და ზღუდავენ საუკუნეების განმავლობაში განვითარებული და გავრცელებული ძლიერი ნორმები სახელმწიფოს ქმედებას. ლიბერალებისათვის სამართლიანი ომის ნორმების ოფიციალურ კანონებად გარდაქმნა და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ მათი მონიტორინგი და აღსრულება ძალზე მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ 1949 წლის ჟენევის კონვენციები ომის დროს სამოქალაქო პირების დაცვას ითვალისწინებს, სახელმწიფოები ხშირად არღვევენ ამ პრინციპს, რადგან მათ სამხედრო გეგმებს არ შეესაბამება.

ზემოთქმულის თვალსაჩინო მაგალითია ავღანეთის ომი. ზოგიერთი კრიტიკოსის განცხადებით, შეერთებული შტატები ამ ქვეყანაში „საბრძოლო წესების“ მიხედვით მოქმედებდა, რაც მეამბოხეებს ამერიკელ ჯარისკაცებთან მიმართებით უპირატესობას აძლევდა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სამხედრო ოპერაციების დამგეგმავები სამოქალაქო პირებს საზარბაზნე ხორცად არ აღიქვამდნენ. ამერიკელები ზედმეტ გართულებებს თავს არიდებდნენ, რადგან უაზრო მსხვერპლი ავღანური საზოგადოების აღშფოთებასა და ამერიკის რეპუტაციის დაკნინებას გამოიწვევდა. ასევე, მათი დარღვევა გლობალური მასშტაბით აშშ-ის სამხედრო ქმედებების დელეგიტიმაციას განაპირობებდა. ამ ნორმების სიმტკიცეზე ის ფაქტიც მიანიშნებს, რომ ამერიკელი სამხედროები მათი მოქმედების ჩარჩოდან არ გადიოდნენ.

თანამედროვე ომის ევოლუცია

4-2 იმსჯელეთ თანამედროვე ომის ევოლუციასა და ბირთვული იარაღის ზრდის ეფექტის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ომის წარმოება სამართლიანი ომის დოქტრინით შეზღუდულია, იგი ყოველთვის არაჰუმანურ მოვლენად ითვლებოდა. მეცხრამეტე საუკუნეში მომხდარმა ინდუსტრიულმა რევოლუციამ სამხედრო სფეროზეც ჰპოვა ასახვა. ტექნოლოგიების განვითარებამ ომს კიდევ უფრო მხეცური ელფერი შესძინა. ცნობილმა ისტორიკოსმა ნილ ფერგიუსონმა (Niall Ferguson) მეოცე საუკუნეს „ისტორიაში ყველაზე სისხლიანი ხანა“ უწოდა.[20] ეს იყო „ტოტალური ომის“ ეპოქა, როდესაც ადამიანებმა ბირთვული იარაღი შექმნეს.

ტოტალური ომის დასაბამი

ომი, რომელიც დღემდე მსოფლიო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, დროთა განმავლობაში კაცობრიობის სასაკლაოდ იქცა. რასაკვირველია, გასულ საუკუნეებში მომხდარი კონფლიქტებიც უზარმაზარი მსხვერპლით სრულდებოდა. მაგალითად, ოცდაათწლიანმა ომმა (1618–1648) ცენტრალური ევროპის გაჩანაგება და მილიონობით არაკომბატანტის სიკვდილი გამოიწვია. შეიარაღებული ფორმირებები ყოველ შემხვდურსა თუ წინაღობას უმოწყალოდ ანადგურებდნენ. ამერიკის სამოქალაქო ომმა კი მილიონნახევარზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ზემოთქმულის მიუხედავად, მეოცე საუკუნეში მკვლელობის ტემპი და ადამიანთა მოკვდინების ეფექტურობა მკვეთრად გაიზარდა.

ეს ცვლილებები გარკვეულწილად ტექნოლოგიების განვითარებამ განაპირობა. მეოცე საუკუნემდე ბრძოლის ველზე ჯარისკაცებს შორის სიკვდილი უშუალო კონტაქტით ხდებოდა. ხმალი, ხიშტი თუ უბრალო შაშხანა პირველ მსოფლიო ომში გამოყენებულ ტყვიამფრქვევს ეფექტურობით ვერც კი შეედრებოდა. ასევე, საბრძოლო მოქმედებებში თვითმფრინავის ჩართვამ ჯარისკაცებისა თუ მშვიდობიანი მოქალაქეების სიკვდილიანობა კიდევ უფრო გაზარდა. დიდ სიმაღლეზე მფრინავი საბრძოლო დანიშნულების თვითმფრინავები ჰაერიდან მოწინააღმდეგის პოზიციებს უმოწყალოდ ანადგურებდნენ. მოკლედ რომ ვთქვათ, მასობრივი დაზიანების იარაღი წამებში ასობით, ხანდახან ათასობით ადამიანსაც კი კლავდა.

ზემოთქმულის მიუხედავად, ყველაფერი ტექნოლოგიებს არ უნდა მივაწეროთ. ომის გასასტიკებაში ადამიანებსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით. პრემოდერნული ევროპაში ერთმანეთს ძირითადად სიმდიდრის მოხვეჭის დაუოკებელი ჟინით შეპყრობილი მონარქები ებრძოდნენ. ომებში უმეტესწილად სამოქალაქო პირები ზარალდებოდნენ, თუმცა პატრიო-

ტიზმით აღტკინებული დაბალი ფენები მონარქისათვის დაუფიქრებლად სწირავდნენ თავს. მათგან განსხვავებით, დაქირავებული ჯარისკაცები გარკვეული საფასურის გამო ირჯებოდნენ და არა დედოფალის ან სახელმწიფოს სიყვარულის გამო.

მეოცე საუკუნეში სამოქალაქო პირებს, სამხედროებსა და მთავრობის შორის დამოკიდებულება შეიცვალა. დღესდღეობით სამივეს ერთმანეთთან საერთო ღირებულება აკავშირებს. ჰანს მორგენტაუს (Hans Morgenthau) თქმით, გასული ასწლეული **ტოტალური ომის** (Total War) საუკუნეა. ჩვენი დროის ყველაზე გავლენიან რეალისტ მოაზროვნეს მიაჩნდა, რომ ეს ომი მთელი მოსახლეობის წინააღმდეგ იყო მიმართული.[21]

ტოტალური ომი – *ომი, რომლის მონაწილეებიც მოწინააღმდეგის დასამარცხებლად მათ ხელთ არსებულ ყველა რესურსსა და მეთოდს იყენებენ.*

„მთელი მოსახლეობის“ ომი მიანიშნებს, რომ ადამიანებს ომისადმი ემოციური მიჯაჭვულობა გააჩნიათ. ეს მიჯაჭვულობა პირველად პოსტ-ვესტფალიურ ევროპაში თანამედროვე ერი-სახელმწიფოს აღმოცენების პერიოდიდან გაჩნდა, რასაც თან ახლდა ნაციონალიზმის შეგრძნება. ეს მიჯაჭვულობა განსაკუთრებით დემოკრატიულ სახელმწიფოებში გაძლიერდა, რადგან მათმა მოქალაქეებმა საკუთარ მთავრობასა და მის მიერ წარმოებულ ომებთან უფრო მჭიდრო კავშირი დაინახეს.

ომი „მთელი მოსახლეობის მიერ“ გამოხატავს იმ ფაქტს, რომ მეოცე საუკუნის ომებში არა დაქირავებული ჯარისკაცები, არამედ რეკრუტები მონაწილეობდნენ. ეროვნული არმიები უმეტესწილად ქვეყნის მოსახლეობისგან შედგებოდა. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში შეერთებული შტატების სამხედრო ძალებში თხუთმეტ მილიონზე მეტი ამერიკელი (*ორივე სქესის წარმომადგენელი*) მსახურობდა.[22] გარდა ამისა, გასულ ასწლეულის მსოფლიო საზოგადოებაში მილიტარისტული განწყობები სუფევდა. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის მრავალი ქალი ქვეყნის მილიტარიზაციაში იყო ჩართული. მართლაც, მეორე მსოფლიო ომში აშშ-ის წარმატება ამერიკელი გმირებისა (G.I. Joe) და „მემოქლონე როზის“ (Rosie the Riveter) საბრძოლო ოსტატობამ და თავდადებამ განაპირობა.

დასასრულს შეიძლება ითქვას, რომ „მთელი მოსახლეობის“ და „მთელი მოსახლეობის მიერ“ ომი ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ მთელი მოსახლეობის „წინააღმდეგ“ არის მიმართული. იმ დროს, როცა თანამედროვე სახელმწიფოები ომში საკუთარი მოქალაქეების ემოციური მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობენ, ამ უკანასკნელებზე თავდასხმამ შეიძლება დაასუსტოს მათი სულიერ განწყობა და მხარდაჭერა ომის დროს. თუ ლონდონის დაბომბვა ბრიტანელებს ჰიტლერთან ომის აუცილებლობაში დაარწმუნებდა, მაშინ ფიურერს ამოცანა გაცილებით გაუადვილდებოდა. ამერიკელები და ბრიტანელები იმ გერმანულ ფაბრიკა-ქარხნებს ბომბავდნენ, რომლებშიც იარაღს, ტანკებსა და საბრძოლო თვითმფრინავებს ამზადებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათი დიდი ნაწილი დასახლებულ პუნქტებში მდებარეობა. გეოგრაფიულ ფაქტორებს თუ გავითვალისწინებთ, შეერთებული შტატების ფაბრიკა-ქარხნები დაცული იყო გერმანული სამხედრო-საზღვაო ძალების თავდასხმებისგან, რაც, თავის მხრივ, მოკავშირეებისათვის მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენდა. პირველ მსოფლიო ომში ოცდაორ მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა,[23] მეორე მსოფლიო ომს კი დაახლოებით ორმოცდაათი მილიონი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ორივე ომის მსხვერპლთა უმრავლესობას სამოქალაქო პირები შეადგენდნენ.

ბირთვული იარაღის გამოყენება

1945 წლის 6 აგვისტოს დაიწყო, როდესაც ამერიკულმა ბომბდამშენმა „ინოლა გეიმ“ (Enola Gay) იაპონიის ქალაქ ჰიროსიმაში ატომური ბომბი

„ლითლ ბოი“ (little boy) ჩამოაგდო, საერთაშორისო ურთიერთობებში ახალი ეპოქა დაიწყო. ბირთვული იარაღი ტოტალური ომის ლოგიკის ფარგლებს სცდებოდა. მოწინააღმდეგის გასანადგურებლად საჭირო აღარ არის მრავალრიცხოვანი არმია ან მთელი მოსახლეობის მობილიზაცია. ამ საქმის შესრულება ატომურმა ბომბებმა და სპეციალურ საცავებში მოთვსებულმა ბირთვული ქობინებით აღჭურვილმა რაკეტებმა ითავეს.

ბირთვული იარაღი ტოტალური ომის ლოგიკის კულმინაციას წარმოადგენდა. თავისი ბუნებიდან გამომდინარე იგი „მთელი მოსახლეობის წინააღმდეგ“ ომს შეეფერებოდა. 1946 წელს ამერიკაში გამოქვეყნებული ერთ-ერთი ინფორმაციის თანახმად, სამას ორმოცდაათათასიან ჰიროსიმაში დაბომბვის შედეგად სამოცდაათი/ოთხმოცი ათასი ადამიანი დაიღუპა.[24] ქალაქ მთავრობის შეგროვებული ბოლოდროინდელი მონაცემები მიუთითებენ, რომ 1945 წლის მიწურულს ჩამოგდებულ „ბიჭუნას“ (Little Boy) ას ორმოცი ათასი ადამიანი ემსხვერპლა. 1946-1951 წლების შუალედში მიყენებული ჭრილობებისა თუ ატომური ბომბით გამოწვეული გამოსხივებისგან კიდევ სამოცი ათასი ადამიანი გარდაიცვალა. მოკლედ რომ ვთქვათ, ერთი პატარა ატომური ბომბის მოქმედებაში მოყვანას ორასი ათასი ადამიანი შეეწირა.[25]

ამ ციფრების მიუხედავად, ატომურ ეპოქაში საერთაშორისო ურთიერთობებისა და ომის როლის შესახებ შეხედულებები იცვლება. ადამიანთა გარკვეული ნაწილისათვის ბევრი არაფერი შეცვლილა. მათი აზრით, ატომური ბომბი სამხედრო ტექნოლოგიების ინოვაციურ პროცესში უკანასკნელი ნაბიჯი იყო. ამერიკელმა პოლიტოლოგმა თომას შელინგმა (Thomas Schelling) წლების წინ განაცხადა: „1945 წელს იაპონია დაუცველი იყო. შეერთებულ შტატებს დაბომბვითა და ბლოკადით დაუძლურებული იაპონელების განადგურება, საჭიროების შემთხვევაში, დაავადების მიზანმიმართული გავრცელებით, ყოველგვარი ბირთვული იარაღის გარეშე, შეეძლო. დაუცველ ადამიანებს ყინულმჭრელითაც კი დაჯაბნი“.[26]

ბოლოდროინდელმა მოვლენებმა შელინგის მოსაზრება კიდევ უფრო გაამყარა. 1994 წელს რუანდაში ასდღიან გენოციდს დაახლოებით რვაასი ათასი ადამიანი (*ჰიროსიმაში გაცილებით ნაკლები ადამიანი დაიღუპა*) ემსხვერპლა. გენოციდის საწყის ეტაპზე ადამიანებს ცეცხლსასროლი იარაღით კლავდნენ, მოგვიანებით კი მოწინააღმდეგის გასანადგურებლად დანებს, მაჩეტებს, ლურსმნებიან ხელკეტებს, სახრახნისებს, ჩაქუჩებსა და ველოსიპედის საჭეებს იყენებდნენ[27] (1945 *წელს იაპონიაში მოკლულთა რაოდენობისა და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების მსხვერპლთა ამსახველი მონაცემებისათვის იხ. დიაგრამა* 4.1)

ზოგიერთ ადამიანს თავიდანვე მიაჩნდა, რომ ბირთვული იარაღი სამხედრო ტექნოლოგიურ სფეროში გადადგმული მორიგი ნაბიჯი არ იყო. მიზნის განადგურების სისწრაფემ და ეფექტურობამ ბირთვულ იარაღს უნიკალურობა შესძინა. რუანდაში დანითა და მაჩეტეთი უფრო ბევრ ადამიანს მოუსწრაფეს სიცოცხლე, ვიდრე ჰიროსიმაში, თუმცა აღმოსავლეთ აფრიკაში მდებარე სახელმწიფოში დაწყებული მასობრივი ხოცვა-ჟლეტა რამდენიმე თვე შეუწყვეტლად მიმდინარეობდა, ამომავალი მზის ქვეყანაში ჩამოგდებულ ერთ ბომბს კი ერთ წამში ათასობით ადამიანი შეეწირა. ამერიკელმა სამხედრო სტრატეგმა და მეცნიერმა ბერნარდ ბროდიმ (Bernard Brodie) ჯერ კიდევ 1946 წელს განაცხადა, რომ ბირთვული ეპოქაში კაცობრიობას ომისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიდგომისადმი გადახედვა მოუწევდა. „დღემდე ჩვენი სამხედრო ისტებლიშმენტის მთავარ მიზანს ომების მოგება წარმოადგენს. ამიერიდან მათ ომებს თავი უნდა აარიდონ. სამხედრო ისტებლიშმენტს სხვა უფრო მნიშვნელოვანი მიზანი არ უნდა ჰქონდეს.“[28] ბროდის აზრით, ბირთვულმა იარაღმა

დიაგრამა 4.1 სხვადასხვა საერთაშორისო მოვლენის დროს დაღუპულები

შენიშვნა: გარდაცვლილთა მაჩვენებელი წყაროს მიხედვით იცვლება. აქ მითითებული რიცხვები სრული სიზუსტით ვერ დაიკვეხნის. სრული ინფორმაციისათვის იხილეთ რუდოლფ რამელის (Rudolph Rummel) "Source List and Detailed Death Tolls for the Twentieth Century Hemoclysm," http://users.erols.com/mwhite28/warstat1.htm.



ომთან დაკავშირებულ კლაუზევიცის ცნობილ შეხედულებას აქტუალურობა დაუკარგა. რატომ? იმიტომ, რომ ვერცერთი პოლიტიკური ბენეფიტი ვერ გადაწონიდა ბირთვული ომით გამოწვეულ ზარალს.

ეს ხედვა **ორმხრივად გარანტირებული განადგურების (ოგგ.) Mutual Assured Destruction (MAD)** კონცეფციით იყო კოდიფიცირებული. ოგგ ეფუძნებოდა ვარაუდს, რომლის თანახმადაც სანამ თითოეული მხარე ინარჩუნებს **მეორე დარტყმის შესაძლებლობას (Second Strike Capability)** არც ერთ მხარეს პირველი იერიშის განხორციელების სურვილი არ გაუჩნდება. ორმხრივად გარანტირებული განადგურება მხოლოდ და მხოლოდ **შეკავებას (Deterrence)** ეყრდნობოდა. ვარაუდობდნენ, რომ საპასუხო დარტყმის საფრთხე ყველა მხარეს პირველი იერიშის განხორციელებაზე ხელს ააღებინებდა, თუმცა შეკავების წარუმტებლობის შემთხვევაში მეორე მხარის ბირთვული შეტევისაგან დაცვას არ უზრუნველყოფდა. ფაქტიურად, MAD-ის მხარდამჭერები ბირთვული თავდასხმისაგან თავდაცვის მცდელობასაც კი ეწინააღმდეგებოდნენ. ნაწილობრივ, მათ პოზიციას თავდაცვითი სისტემის ვარგისიანობის შესახებ არსებული ეჭვები განაპირობებდა. და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, ამ დოქტრინის (ოგგ) მხარდამჭერები შიშობდნენ, რომ ბირთვული თავდასხმისაგან დაცვის ილუზიას შეიძლება დაუცველობის გრძნობა გაეჩინა რაც, თავის მხრივ, ბირთვული იარაღის გამოყენების შესაძლებლობას კიდევ უფრო გაზრდიდა. მათი ვარაუდით, დაცვას შეიძლება შეკავებისათვის გამოეთხარა ძირი.

ამგვარად, მრავალი ადამიანი ბირთვულ იარაღს სტაბილური გლობალური მშვიდობის საფუძვლად მიიჩნევდა. თეორიის თანახმად, ბირთვული ომი ისეთი შემზარავი შედეგებით დასრულდებოდა, რომ მისი დაწყება წარმოუდგენელი გახდა. უფრო მეტიც, ორ ზესახელმწიფოს შორის დაწყებული ჩვეულებრივი ომი შეიძლება ბირთვულ ომშიც კი გადაზრდილიყო.

ორმხრივად გარანტირებული განადგურება – *ორმხრივი შეკავების მდგომარეობა, როდესაც თითოეულ მხარეს ბირთვული ომის დაწყების შემთხვევაში მოწინააღმდეგის მნიშვნელოვანი დაზარალება შეუძლია.*

მეორე დარტყმის შესაძლებლობა – *გაუძლო პირველ ბირთვულ დარტყმას იმისათვის, რომ მოწინააღმდეგე მხარეს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენო.*

შეკავება – *მდგომარეობა, როდესაც ერთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ არ მოქმედებს, იმის შიშით, რომ ამ უკანასკნელის საპასუხო ქმედებით ფინანსური, გეოპოლიტიკური ან ინფრასტრუქტურული ზარალი არ განიცადოს.*

ამგვარად, ცივი ომი, რომელიც, თავის მხრივ, ორ ზესახელმწიფოს შორის არსებული დაძაბულობით ხასიათდებოდა, თანამედროვე ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი მშვიდობიანი პერიოდი გახლდათ.

ზემოთქმულის მიუხედავად, კლაუზევიცის შეგონებანი ჯერ კიდევ აქტუალურია. ცივი ომის პერიოდში მხოლოდ მცირემასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებს ჰქონდა ადგილი. ზოგიერთი „ლოკალური ომი“ თავისი არსით ლოკალური სულაც არ იყო. ასეთ ომებში ხშირად ზესახელმწიფოებიც მონაწილეობდნენ და, შესაბამისად, ცოცხალი ძალის დანაკარგიც აშკარად თვალში საცემი იყო. კორეასა და ვიეტნამში კომუნისტების წინააღმდეგ გაჩაღებულ ლოკალურ ომებში დაახლოებით ასი ათასი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა. ამ ორივე კონფლიქტმა მილიონი ადამიანის (*როგორც ჯარისკაცების, ისე სამოქალაქო პირების*) სიცოცხლე შეიწირა. ანალოგიური რამ შეიძლება ითქვას საბჭოთა კავშირზეც. 1979 წელს ავღანეთში შეჭრით დაწყებულ ათწლიან კონფლიქტს დაახლოებით თხუთმეტი ათასი წითელარმიელი და მილიონი ავღანელი ემსხვერპლა.[29] ზოგიერთი მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს **სტაბილურობა-არასტაბილურობის პარადოქსზე (Stability-Instability Paradox).** ასეთ დროს სახელმწიფოები თავისუფლად ერთვებიან ჩვეულებრივ ომში, რადგან თავს უსაფრთხოდ გრძნობენ და იმედოვნებენ, რომ ეს ომი ზესახელმწიფოებს შორის ბირთვულ ომში არასოდეს გადაიზრდება.

სტაბილურობა-არასტაბილურობის პარადოქსი – *იდეა, რომლის თანახმადაც სახელმწიფოები ჩვეულებრივ ომში იმიტომ ჩაერთვებიან, რომ თავს უსაფრთხოდ იგრძნობენ და დაიმედებული იქნებიან, რომ ეს ომი ზესახელმწიფოებს შორის ბირთვულ ომში არასოდეს გადაიზრდება.*

ზესახელმწიფოთა შორის „წყალქვეშა საომარი დინებები“ არასოდეს შემწყდარა. მაგალითისათვის მოვიყვან ინდოეთ-პაკისტანის ომებს (1947, 1965, 1991 *წწ.*). მიუხედავად იმისა, რომ მათ არსენალში ბირთვული იარაღი ინახებოდა, 1999 წელს სადავო რეგიონის, ქაშმირის, გამო დაწყებული სამხედრო დაპირისპირება ორი თვე გაგრძელდა. ირან-ერყის ომში, რომელიც 1980-1988 წლებში მიმდინარეობდა, მილიონამდე ადამიანი დაიღუპა, ხოლო 1998 წელს ცენტრალურ აფრიკაში დაწყებულმა „აფრიკის პირველმა მსოფლიო ომმა“ მსოფლიო საზოგადოების დიდი ყურადღება ვერ მიიპყრო, მიუხედავად იმისა, რომ მასში ექვსი ქვეყანა მონაწილეობდა. მავანთა მტკიცებით, ამ სამხედრო დაპირისპირებას თითქმის ოთხი მილიონი ადამიანი ემსხვერპლა.[30]

თვით ბირთვულ დონეზე ზოგიერთი მეცნიერი კლაუზევიცის რეანიმირებასა და ომთან დაკავშირებული მისი შეხედულების აქტუალურობის აღდგენას ცდილობდა. მაგალითად, 1980-იან წლებში ორმხრივად გარანტირებული განადგურების მომხრეები და კრიტიკოსები ბირთვული სტრატეგიის თაობაზე ცხარედ კამათობდნენ. კრიტიკოსები შეშფოთებული იყვნენ MAD-ით, რადგან ეს დოქტრინა უშვებდა, რომ ყოველი ზესახელმწიფოს ბირთვული „ტერორის ბალანსი“ იყო რაციონალური აქტორი, რომელსაც იგივე მიდგომა ჰქონდა ეთიკასა და ცხოვრებისეული ღირებულებისადმი. ეს ვარაუდი მცდარი რომ ყოფილიყო ბირთვული სახელმწიფოს სათავეში მოსული უგუნური ან უსულგულო ლიდერი დიდი ალბათობით ბირთვულ იარაღს გამოიყენებდა.

ამ შეშფოთების გამო 1980-იან წლებში რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის შემუშავებული ბირთვული სტრატეგია აქცენტს აკეთებდა ბრძოლის, გადარჩენისა და თვით ბირთვულ ომში გამარჯვების საშუალებებზე. კრიტიკოსებმა შეერთებული შტატების მეორმოცე პრეზიდენტის სტრატეგიას **ბირთვული იარაღის უტილიზაციის თეორიები (Nuclear Utilization Theories (NUTS)** უწოდეს. ბირთვული კონფრონტაციის დაწყების შემთხვევაში მოსახლეობის უფრო უსაფრთხო ადგილზე გადაყვანითა და გაცილებით ზუსტი შეტევითი რაკეტების შექმნით, რომლებიც გასროლამდე გაანადგურებდა საბჭოთა რაკეტებს, რეიგანის სტრატეგია ბირთვული ომით მიყენებული ზარალის შემცირებას ისახავდა მიზნად, თუმცა მისი მიდგომის

ბირთვული იარაღის უტილიზაციის თეორიები – *წარუმატებელი შეკავების შემთხვევაში ბრძოლის, გადარჩენისა და ბირთვულ ომში გამარჯვების სტრატეგიები.*

მთავარი საყრდენი გახლდათ **სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა (Strategic Defense Initiative (SDI)**. ამ პროგრამას მისმა კრიტიკოსებმა იმ დროისათვის ცნობილი მეცნიერულ-ფანტასტიკური ფილმის პატივსაცემად „ვარსკვლავური ომები“ უწოდეს. ეს მრავალმილიარდიანი კვლევითი პროგრამა ბირთვული თავდასხმის შემთხვევაში შეერთებული შტატების დაცვისა და მტრის შეტევითი რაკეტების განადგურების მიზნით შეიქმნა, სანამ ეს უკანასკნელები თავიანთ სამიზნეზე მიიტანდნენ იერიშს.

სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა – *რეიგანის ადმინისტრაციის ინიციატივა, რომელიც ბირთვული თავდაცვითი სისტემის განვითარებასა და განლაგებას ისახავდა მიზნად. ეს სისტემა მოწინააღმდეგის რაკეტებს მათ ამოქმედებამდე გააუვნებელყოფდა.*

NUTS-ის მნიშვნელობის შესახებ დებატები არ წყდება. ისინი, ვინც MAD-ს წარმატებულ შემაკავებულ ფაქტორად მიიჩნევენ, ამბობენ „დიახს“. ვინც ფიქრობს, რომ ბირთვულ ომში გადარჩება ან გაიმარჯვებს დიდ შეცდომას უშვებს. გარდა ამისა, როდესაც ქვეყანა ბირთვული ლოკალური ომისათვის ემზადება, სხვა სახელმწიფოებმა მისი ქმედება შეიძლება ავისმომასწავებელ საფრთხედ ჩათვალონ და შეშინებულებმა მასზე იერიში მიიტანონ. ბირთვული იარაღის უტილიზაციის თეორიების მხარდამჭერები ამბობენ „არას“. ლოკალური ბირთვული ომიც კი საკმაოდ გამანადგურებელ შედეგებს მოიტანს. როდესაც ერთი ქვეყანა ბირთვული ომისათვის კარგად არის მომზადებული მეორე ქვეყანა ომის დაწყებას ვერ გაბედავს.

1991 წელს საბჭოთა კავშირის დანგრევისა და ცივი ომის დასრულების შემდეგ ბირთვული სტრატეგიებთან დაკავშირებული დებატები მიწყნარდა. ზოგიერთი მიმომხილველის შეხედულებით, ამ თემებზე აზრთა საჯაროდ გაცვლა-გამოცვლამ აზრი დაკარგა, რადგან პოსტკომუნისტური რუსეთი დასავლეთს დაუმეგობრდა, თუმცა მეორე ათასწლეულის მიწურულს დამოკიდებულება საგრძნობლად შეიცვალა. რუსულ-ამერიკული ურთიერთობები კვლავ გაცივდა. ჩინეთის აღზევებამ ადამიანთა გარკვეული ჯგუფი სერიოზულად შეაშფოთა. ამასთანავე, ბირთვული იარაღის გავრცელების ახალი ციკლი საერთაშორისო მშვიდობას მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიდა.

ბირთვული ირაღის გავრცელება – ბირთვული იარაღის გავრცელება იმ ქვეყნებში, რომლებიც ბირთვულ იარაღს არ ფლობენ. ბირთვული ეპოქის დასაწყისში ზოგიერთმა მიმომხილველმა ამ იარაღის სხვადასხვა ქვეყანაში სწრაფად გავრცელება იწინასწარმეტყველა. 1960-იან წლებში მხოლოდ ხუთი წამყვანი სახელმწიფო (*შეერთებული შტატები, საბჭოთა კავშირი, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი*) იყო ბირთვული კლუბის წევრი. 1968 წელს შეიმუშავეს **ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულება (Non-Proliferation Treaty (NPT)**, რომელსაც მრავალმა ქვეყანამ მოაწერა ხელი და რატიფიცირებაც მოახდინა. NPT არაბირთვულ ქვეყნებს ბირთვული იარაღის შექმნს, ბირთვულ ქვეყნებს კი ტექნოლოგიების არაბირთვული სახელმწიფოებისთვის გადაცემას ოფიციალურად უკრძალავდა. ეს ხელშეკრულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან (*გაერო*) ასოცირებულ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (International Atomic Energy Agency (IAEA) ინსპექტირებას უფლებას უტოვებდა იმისათვის, რომ მშვიდობიანი ბირთვული ტექნოლოგიები მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად არ გამოეყენებინათ.

ბირთვული იარაღის გავრცელება – *ბირთვული იარაღის გავცელება არაბირთვულ ქვეყნებში.*

ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულება – 1968 *წელს ხელმოწერილი ხელშეკრულება, რომელიც არაბირთვულ ქვეყნებში ბირთვული იარაღის გავრცელებას კრძალავდა.*

ისრაელს, პაკისტანსა და ინდოეთს თავდაპირველად ამ ხელეკრულებაზე ხელი არ მოუწერია. 1970-1980-იან წლებში ეს ქვეყნები ბირთვული იარაღის შექმნის მიზნით გამოცდებს ატარებდნენ. 1990-იან წლებში ცხადი შეიქნა, რომ ამ სამეულს ბირთვული იარაღის შექნის შესაძლებლობა ჰქონდა. 1998 წელს ინდოეთი და პაკისტანი თავიანთი პოტენციალის დემონსტრირების მიზნით ბირთვულ გამოცდებს ატარებდნენ. მსოფლიო მათ ქმედებებს შეშფოთებული ადევნებდა თვალყურს და შიშობდა, რომ

იარაღის გავრცელების ახალი ტალღა აზვირთდებოდა. ამ მხრივ, ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა ჩრდილოეთი კორეა (*რომელიც* 2003 *წელს NPT-ს რიგებიდან გავიდა*) და ირანი (*რომელიც დღემდე ამ ხელშეკრულების წევრად რჩება*). შეშფოთების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბირთვული ტექნოლოგიები შეიძლება მათ სამეზობლოშიც გავრცელდეს. ბირთვული იარაღით აღჭურვილმა ჩრდილოეთ კორეამ პოლიტიკური პროცესების პროვოცირებით შეიძლება იაპონიას ბირთვული პოლიტიკის გადახედვისაკენ უბიძგოს. გამორიცხული არ არის, რომ ამომავალი მზის ქვეყნის მაგალითმა სამხრეთ კორეასა და ტაივანზეც მოახდინოს გავლენა და ამ ქვეყნებმაც დაიწყონ ბირთვული იარაღის შექმნაზე ფიქრი. 2005 წელს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსა (IAEA) და შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) მოპოვებული მტკიცებულებების თანახმად, ეგვიპტეში არარეგისტრირებული ბირთვული გამოცდები ჩატარდა. იმ შემთხვევაში თუ დიპლომატიური მიდგომებით ირანს ბირთვული იარაღის შექმნას ვერ გადააფიქრებინებენ, საუდის არაბეთი მის შექმნაზე დაიწყებს მუშაობას.[31]

ზოგიერთი მიმომხილველის თქმით, ბირთვული იარაღის გავრცელება სტაბილიზაციის განმტკიცებასა და ათწლეულების მანძილზე არსებული კონფლიქტების დარეგულირებას შეუწყობს ხელს. ბირთვული იარაღის გავრცელებისადმი ოპტიმისტურად განწყობილი ადამიანები მიუთითებენ, რომ ორმხრივად გარანტირებული განადგურების საშიშროებამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში შეერთებული შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის მშვიდობის შენარჩუნება უზრუნველყო და, სავარაუდოდ, მომავალშიც უზრუნველყოფს.

სხვები ასეთი თავდაჯერებული არ არიან.[32] პესიმისტებს ბირთვული ქვეყნების რაოდენობის ზრდა აშფოთებთ. ბირთვული შეკავების მწყობრიდან გამოსვლის სტატისტიკური ალბათობა გაიზრდება. პროცესების არასწორი მიმართულებით განვითარებით შეიძლება ტერორისტებმა ან თაღლითმა აქტორებმა ისარგებლონ და ბირთვული იარაღი ჩაიგდონ ხელში.

დასრულდა კი ომი? პოსტცივიომისეული ეპოქა

4-3 შეაფასეთ სახელმწიფოთაშორისო ომის შემცირების ფაქტები და ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებები.

ბოლოდროინდელი ტენდენციები ფრთხილი ოპტიმიზმის მიზეზს იძლევა, რადგან პოსტცივიომისეულ ეპოქაში სახელმწიფოთაშორისი ომების შემცირება შეინიშნება. სხვადასხვა პარადიგმასთან დაკავშირებული მეცნიერები ამ ტენდენციის მიზეზსა და მის გრძელვადიან მნიშვნელობას განსხვავებულად აფასებენ. ამ ქვეთავში სახელმწიფოთაშორისი ომების შემცირების მიზეზებზე ვისაუბრებთ, შემდეგ კი რამდენიმე ალტერნატიულ განმარტებას შევადარებთ.

ომის სიხშირის შემცირება

ცივი ომის დასრულების მომდევნო წლებში მთელ მსოფლიოში ომების შემცირების ტენდენცია შეინიშნება. 1990-1991 წლებს თუ არ ჩავთვლით, როდესაც ცივი ომი დასასრულს უახლოვდებოდა და სხვადასხვა სახელმწიფოში შიდა ან სამოქალაქო ომებმა იფეთქა, 1991 წლის შემდეგ ამგვარი ომების რაოდენობამ იკლო. 1991-2003 წლების შუალედში ომების რაოდენობა ორმოცდაათი პროცენტით შემცირდა.[33] დიაგრამა 4.2-ის თანახმად, ცივი ომის ეპოქაში მსოფლიო სახელმწიფოები სხვადასხვა სა-

დიაგრამა 4.2 ომის ტენდენციები, 1946-2013 წწ.

წყარო: Graph, "States Experiencing Warfare, 1946–2013" from Center for Systemic Peace "Global Conflict Trends" online, http://www.systemicpeace.org/CTfigures/CTfig04.htm. Used by permission of Monty G. Marshall.



ხის კონფლიქტში იყვნენ ჩართული. წლების მანძილზე ომების სიხშირე ეტაპობრივად იზრდებოდა და პიკს 1991 წელს მიაღწია. ამ პერიოდში სახელმწიფოთა დაახლოებით ოცდაათი პროცენტი თავის ოპონენტებთან იარაღით არკვევდა ურთიერთობას. 1991 წლის შემდეგ ეს ტენდენცია თანდათანობით შეიცვალა და 2013 წლისათვის სხვადასხვა სახის საომარ მოქმედებებში სახელმწიფოთა მხოლოდ თხუთმეტი პროცენტი მონაწილეობდა.

დამანგრეველი ომებისათვის – ზესახელმწიფოთა შორის უშუალო შეჯახება – თავის არიდების ტენდენცია პოსტცივიომისეულ ეპოქაშიც გაგრძელდა. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ზესახელმწიფოები ერთმანეთს შუამავლების მეშვეობით ებრძოდნენ. ამგვარად, ამერიკელი ისტორიკოსი ჯონ ლუის გედისი (John Lewis Gaddis) შეიძლება ცდება, როდესაც პოსტომისეულ პერიოდს **ხანგრძლივ მშვიდობად (Long Peace)** მოიხსენიებს, თუმცა ამ დროების მნიშვნელოვან და დადებით მხარეებს ლაკონურად გადმოგვცემს.[34]

ბოლოს და ბოლოს ზოგიერთმა ქვეყანამ ომზე უარი თქვა და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობისას ცივილურ მეთოდებს მიანიჭა უპირატესობა. პოლიტოლოგ რობერტ ჯერვისის (Robert Jervis) თქმით, შეერთებულმა შტატებმა, კანადამ, იაპონიამ და დასავლეთი ევროპის ქვეყნებმა **უსაფრთხოების გაერთიანება (Security Community)** ჩამოაყალიბეს. ეს ქვეყნები მჭიდროდ თანამშრომლობენ და ერთმანეთთან ომით აღარ არკვევენ ურთიერთობას.[35] მაგალითად, საფრანგეთში არავის ეშინია დიდი ბრიტანეთის ბირთვული არსენალის, კანადელები კი სამხრეთით მდებარე უდიდეს სუპერსახელმწიფოს მტრად არ მიიჩნევენ. ჯერ კიდევ ცივი ომის პერიოდში მოქმედ ამ გაერთიანებას სხვა სახელმწიფოებიც შეუერთდნენ. კომუნისტურ ბლოკში შემავალი აღმოსავლეთი ევროპის რამდენიმე ქვეყანა ევროპის კავშირსა (European Union) და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (NATO) გაწევრიანდა. დღესდღეობით მათ შორის ომის დაწყება წარმოუდგენელია.

ხანგრძლივი მშვიდობა – *მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისამდე არსებული ეპოქა, როდესაც საყოველთაო ფართომასშტაბიანი ომი პასიურ ფაზაში გადავიდა.*

უსაფრთხოების გაერთიანება – *სახელმწიფოთა ჯგუფი, რომლის წევრები კონფლიქტების გადაჭრისას ძალადობრივ მეთოდებს არ მიმართავენ.*

მშვიდობის განმარტება

სახელმწიფოთაშორისი ომების შემცირებასთან დაკავშირებული ფაქტები, რომელთა შესახებ ზემოთ უკვე მოგახსენეთ, ზოგიერთ ადამიანს იმის საფუძველს აძლევს, რომ რეალისტური პარადიგმის შემცირების სარგებლიანობაზე გაამახვილოს ყურადღება და იმედი გამოთქვას, რომ ეპოქა, რომელშიც ომი „პოლიტიკის გაგრძელებაა“, დასასრულს მიუახლოვდება. ამის მიუხედავად, რეალისტების მტკიცებით, ომი პოლიტიკის ინსტრუმენტის ფუნქციას შეინარჩუნებს და სახელმწიფოთაშორისი ომების სიხშირის ბოლოდროინდელი შემცირება რეალისტური პარადიგმის პარამეტრებით შეიძლება აიხსნას.

მშვიდობის რეალისტური განმარტება ომისა და მშვიდობის რეალისტურ განმარტებაში მთავარი აქცენტი ძალაუფლების განაწილებაზე კეთდება. მაგალითად, ჯონ მირშაიმერის მტკიცებით, ცივი ომის პერიოდში ზესახელმწიფოებს შორის არსებული „ხანგრძლივი მშვიდობა“ შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ბიპოლარული ბალანსის შედეგით იყო განპირობებული.[36] მისი აზრით, ბიპოლარული სისტემა უფრო სტაბილურია და მულტიპოლარული სისტემისგან განსხვავებით ფართომასშტაბანი ომისაკენ ნაკლებად არის მიდრეკილი. იმის გამო, რომ მულტიპოლარულ სისტემა მრავალი მოთამაშისგან შედგება, კონფლიქტების დაწყების, ძალაუფლების დისბალანსისა და არასწორი გაანგარიშების მეტი შესაძლებლობა არსებობს.[37] ბიპოლარული სისტემები შედარებით მარტივია, რადგან არსებობს მხოლოდ ერთი სახელმწიფო, რომლის ძალაუფლება განსაზღვრული და დაბალანსებული უნდა იყოს.

ეს ტენდენცია ბირთვული იარაღის ეფექტმა კიდევ უფრო გააძლიერა. ორმხრივად გარანტირებული განადგურების რეალურობამ შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს მეტნაკლებად ზომიერი პოლიტიკის გატარებისკენ უბიძგა. კაპიტალისტური და სოციალისტური ბანაკების ლიდერები ცივი ომის პერიოდში მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში დაწყებული კონფლიქტების დიდ ომებში გადაზრდას ერიდებოდნენ. ბირთვული იარაღით სხვა ქვეყნებიც (*ჩინეთი, საფრანგეთი და გაერთიანებული სამეფო*) აღიჭურვნენ. თუმცა, ორ ზესახელმწიფოსა და სხვა უფრო პატარა ბირთვულ სახელმწიფოებს შორის ბირთვული მიმართულებით იმდენად დიდი სხვაობა არსებობდა, რომ საერთაშორისო სისტემა კვლავ ბიპოლარული დარჩა.

როგორც უნდა იყოს, პოსტცივიომისეულ პერიოდში ძალაუფლება წინადროინდელი ეპოქისგან განსხვავებით სხვაგვარად გადანაწილდა. საბჭოთა კავშირის დანგრევამ ბიპოლარულ სისტემას მოუღო ბოლო. ამის მიუხედავად, სისტემა მაშინვე მულტიპოლარული არ გამხდარა. ბიპოლარული სისტემა დროებით ჩაანაცვლა საერთაშორისო სისტემამ, რომელშიც წამყვან როლს შეერთებული შტატები ასრულებდა. კონკურენტის გარეშე დარჩენილმა ერთადერთმა ზესახელმწიფომ ჰეგემონის გვირგვინი მოირგო და მსოფლიო საქმეების ხელმძღვანელობა ითავა. მიმომხილველები „უნიპოლარული მომენტის“ შესახებ ალაპარაკდნენ. ცნობილმა მეცნიერებმა ამერიკული იმპერიის ახალი პერიოდის შედეგების შესახებ წიგნები გამოსცეს. მართლაც, 1990-იან წლების მსოფლიოში სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული თვალსაზრისით ამერიკელები დომინირებდნენ. პოსტცივიომისეულ ეპოქაში აშშ-ის ჰეგემონიის მრავალმხრივი ბუნების ბოლომდე გამოსახატათ, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, ახალი სიტყვის – „ჰიპერძალა“ – შექმნის აუცილებლობა დადგა დღის წესრიგში.[38]

1990-იან წლებში სახელმწიფოთაშორისი ომის შემცირება სწორედ შეერთებული შტატების ჰეგემონიამ განაპირობა. მრავალი რეალისტის განცხადებით, ჰეგემონია მშვიდობის საწინდარია, თუმცა, იგი მხოლოდ

ხანმოკლე დროით უზრუნველყოფს მშვიდობას. რეალისტების თქმით, ჰეგემონობა უსასრულო არ არის და ერთ დღესაც სხვა სახელმწიფოები ამ ძალის დაბალანსებას შეეცდებიან. ასეთმა გამოწვევებმა შეიძლება ფართომასშტაბიან ომსაც კი დაუდონ სათავე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძალაუფლების გადაცემის თეორიის თანახმად, საერთაშორისო სისტემა განსაკუთრებით მაშინ არის მიდრეკილი ფართომასშტაბიანი ომისაკენ, როდესაც წამყვან სახელმწიფოს არსებული გადანაწილებით უკმაყოფილო ახალი ამომავალი ძალა უპირისპირდება.

სწორედ ამგვარი გამოწვევა ელოდება შეერთებულ შტატებს ეკონომიკური თუ სამხედრო თვალსაზრისით მოძლიერებული ჩინეთისაგან. ზოგიერთი მიმომხილველის განცხადებით, დადგება დღე, როდესაც 1990-იანი წლების მშვიდობიანი პერიოდი გაგვახსენდება.[39] მიუხედავად იმისა, რომ აშშ-სა და ჩსრ-ს შორის კონფლიქტის დაწყების საშიშროება შორეული პერსპექტივაა, ზოგიერთი მიმომხილველი უკრაინის გარშემო შექმნილ დაძაბულობას ამერიკა-რუსეთის ომად მიიჩნევს. ბოლო წლებში გამოცოცხლებული რუსეთი, მეტად თავდაჯერებული გერმანია, მილიტარიზებული იაპონია, ბირთვული იარაღით აღჭურვილი ირანი და პოლიტიკურ სარბიელზე ახლახან გამოსული ინდოეთი მულტიპოლარულ ოცდამეერთე საუკუნეში, რომელიც მკვეთრად განსხვავდება 1990-იანი წლებისაგან, შეერთებულ შტატებსა და ჩინეთთან ერთად შეიძლება მსოფლიო პოლიტიკის წამყვანი მოთამაშეები გახდნენ.

მოკლედ რომ ვთქვათ, რეალისტებმა შეიძლება განაცხადონ კიდეც, რომ ცივი ომის დასრულებიდან გასული მეოთხედი საუკუნე ხანგრძლივობის თვალსაზრისით ისტორიისათვის უმნიშვნელო პერიოდია. 1946 წლიდან მოყოლებული დღემდე ზესახელმწიფოები მშვიდობიანად თანაარსებობენ, რაც ისტორიისათვის ასევე დროის ხანმოკლე მონაკვეთია. მართლაც, სხვადასხვა ეპოქაში მიაჩნდათ, რომ ომებს წინ უძღოდა მშვიდობიანი პერიოდები. მაგალითად, 1920-იანი წლების მსოფლიოში მშვიდობა სუფევდა, თუმცა მალევე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლიანი და დამანგრეველი ომი დაიწყო.

მშვიდობის ლიბერალური განმარტება როგორც პირველ თავში ვისაუბრეთ, კანტის სამკუთხედი მსოფლიო პოლიტიკაში მშვიდობის სამ შესაძლო წყაროს გვთავაზობს. საერთაშორისო ინსტიტუტების ჩამოყალიბება ამცირებს ანარქიის წარმოშობას. ამ ერთ-ერთი წყაროს შესახებ მეხუთე თავში ვისაუბრებთ. ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება სახელმწიფოთა შორის მშვიდობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. ამ თემას მეშვიდე თავში განვიხილავთ. ამ ქვეთავში კი ყურადღებას გავამახვილებთ კანტის სამკუთხედის მესამე საკითხი: შიდა მმართველობაში განხორციელებული ცვლილება რა გავლენას ახდენს მსოფლიოს მართვის მეთოდზე. კერძოდ, ლიბერალი ინტერნაციონალისტებისა და დემოკრტიული მშვიდობის თეორიის თანახმად, პრობლემების ცივილური მეთოდებით გადაჭრა დემოკრატიული მმართველობის ფორმის გავრცელებას უწყობს ხელს.

იდეა, რომელიც დემოკრატიას ომის ანტიდოტად მიიჩნევს, თანხვედრაში მოდის ემანუელ კანტის არგუმენტთან, რომლის თანახმადაც „მუდმივი მშვიდობის“ ზონა შეიძლება თავისუფალი სახელმწიფოების (*რესპუბლიკების*) „მშვიდობიანი კავშირიდან“ წარმოიქმნას. ბოლო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში კანტის შეხედულება კვლავ აქტუალური გახდა და ორი მნიშვნელოვანი ემპირიული ფაქტის გამო საყოველთაო განხილვისა და კამათის საგანი შეიქნა: პირველი, დემოკრატიულ რეჟიმებს აგრესიულობა და ომისადმი ტრფიალი არ ახასიათებთ; მეორე, მთელ მსოფლიოში დემოკრტიული რეჟიმების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

დემოკრატია – *პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა, პოლიტიკური კონკურენცია და არჩევნები და სამოქალაქო თავისუფლება დემოკრატიის შემადგენელი ნაწილია.*

განვიხილოთ პირველი საკითხი – „დემოკრატიული სახელმწიფოები ძალიან იშვიათად, თუ საერთოდ, ეომებიან ერთმანეთს“.[40] **დემოკრატიის (Democracy)** შესახებ გაჩაღებული დისკუსიებისას პოლიტიკური სისტემის სამ ძირითად ფაქტორზე ამახვილებენ ყურადღებას:

1. *მონაწილეობა*. ყველა ზრდასრულ ადამიანს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ პროცესებში, მათ შორის საჯარო მოხელეების არჩევნებში.
2. *კონტესტაცია*. პოლიტიკურ პარტიებსა და ცალკეულ პირებს შორის არსებული კონკურენცია საჯარო მოხელეების არჩევისას მნიშვნელოვანი არჩევანის საშუალებას იძლევა.
3. *სამოქალაქო თავისუფლება*. თავისუფლება (*მაგ. თავისუფალი პრესა, სიტყვის თავისუფლება, თავისუფალი საზოგადოება*) მონაწილეობისა და დემოკრატიული პროცესის მთლიანობის დაცვის შესახებ ინფორმირებულობას უზრუნველყოს.[41]

დემოკრატიის განმარტებისას ხშირად ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთს არ ეომებიან. გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს 1999 წელს ინდოეთსა და პაკისტანს შორის მომხდარი კონფლიქტი.[42] თუმცა ეს გამონაკლისიც სადავოა, რადგან ხსენებული ქვეყნები დიდი დემოკრატიულობით ვერ დაიკვეხნიან და მეორე, ეს კონფლიქტი დიდხანს არ გაგრძელებულა. სულ მცირე ათასი ადამიანი მაინც უნდა დაიღუპოს, რომ კონფლიქტს ომის კლასიფიკაცია მიეცეს.[43]

დემოკრატიული სახელმწიფოები, რომლებიც ერთმანეთში ცივილური ფორმებით აგვარებენ ურთიერთობებს, არადემოკრატიულ რეჟიმებთან ხშირად აწარმოებენ ომს.

ამის ნათელი მაგალითია 2003 წელს ერაყზე განხორციელებული პრევენციული თავდასხმა. მთელ მსოფლიოში დემოკრატიული მშვიდობის გავრცელება ხელს შეუწყობს დემოკრტიული სახელმწიფოების რაოდენობის ზრდას.

მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედში მსოფლიო საზოგადოების დიდი ნაწილი დემოკრატიზაციის შთამბეჭდავი ტალღის მოწმე შეიქნა. პოლიტოლოგ სამუელ ჰანტინგტონის (Samuel Huntington) თქმით, ეს იყო დემოკრატიზაციის მესამე ტალღა. პირველი დიდი ტალღა მეცხრამეტე საუკუნეში დაიძრა, მეორე ტალღა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ წლებში აგორდა, 1974 წელს ესპანეთსა და პორტუგალიაში დემოკრტიზაციის პროცესით დაწყებული **მესამე ტალღა (Third Wave)** კი სამხრეთი ამერიკის, პოსტკომუნისტური ევროპის, აზიისა და აფრიკის არაერთ ქვეყანას გადაედო. გლობალური დემოკრატიული ტენდენციებით მოხიბლულმა ცნობილმა პოლიტოლოგმა ფრენსის ფუკუიამამ (Francis Fukuyama) 1989 წელს განაცხადა, რომ კაცობრიობა **ისტორიის დასასრულს (End of History)** მიუახლოვდა.[45]

მესამე ტალღა – 1974 *წელს ესპანეთსა და პორტუგალიაში დაწყებული დემოკრტიზაციის პროცესი, რომელიც სამხრეთი ამერიკის, პოსტკომუნისტური ევროპის, აზიისა და სუბსაჰარული აფრიკის არაერთ ქვეყნას გადაედო.*

ისტორიის დასასრული – *ცივი ომის დასრულების შემდეგ ფრენისის ფუკუიამას პოპულარიზებული ფრაზა. მისი თქმით, საბჭოეთის დაშლის შემდეგ მთელ მსოფლიოში დემოკრატიის გამარჯვება კაცობრიობის პოლიტიკური განვითარების ლოგიკური დასასრულია.*

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში დემოკრტიული სახელმწიფოების რაოდენობამ უმაღლეს ნიშნულს მიაღწია. არასამთავრობო ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსის“ (Freedom House) ცნობით, რომელიც ყოველწლიურად აქვეყნებს მსოფლიო ქვეყნების დემოკრატიზაციისა და პოლიტიკური თავისუფლების შესახებ ჩატარებული კვლევის შედეგებს, მთელ მსოფლიოში რიცხვი „თავისუფალი ქვეყნებისა“ – რომლებიც მეტნაკლებად მიესადაგებიან დემოკრატიული მმართველობის ფორმას – გაიზარდა, „არათავისუფალი“ (*ან ავტორიტარული*) რეჟიმების რაოდენობა კი შემცირდა (*იხ. ტაბულა* 4.2).

როგორც უნდა იყოს, რეალისტები და დემოკრატიული მშვიდობის თეორიის სხვა კრიტიკოსები ჯერ კიდევ მზად არ არიან ამ არგუმენტის

ტაბულა 4.2 გლობალური ტენდენციები და თავისუფლება, 1984-2014

წლები	თავისუფალი ქვეყნები	ნაწილობრივ თავისუფალი ქვეყნები	არათავისუფალი ქვეყნები
1984	32%	35%	33%
1994	40%	32%	28%
2004	46%	28%	26%
2014	46%	28%	26%

შენიშვნა: „ფრიდომ ჰაუსის“ შეფასებული „თავისუფალი ქვეყნები“ უმეტეს შემთხვევაში დემოკრატიული სახელმწიფოები არიან; „ნაწილობრივ თავისუფალი ქვეყნები“ ძირითადად ნახევრად დემოკრატიულ რეჟიმთა რიცხვს მიეკუთვნებიან, „არათავისუფალი ქვეყნები“ კი ავტორიტარული რეჟიმები გახლავან.

წყარო: Freedom House, Freedom in the World 2015, https://freedomhouse.org/sites/default/files/01152015_FIW_2015_final.pdf

ასაღიარებლად. პირველი, მათი მტკიცებით, თუ ვინმე აღიარებს, რომ დემოკრატიული ქვეყნები ერთმანეთს არ ებრძვიან, მსოფლიოში ჯერ კიდევ არსებობენ არადემოკრატიული სახელმწიფოები. „მესამე ტალღის“ წარმატების მიუხედავად, ტაბულა 4.2-ში თავისუფალი ქვეყნების რაოდენობა არც ისე მაღალ ნიშნულზე დგას. მართლაც, 1970-1980-1990-იანი წლების შთამბეჭდავ დემოკრატიულ მიღწევებთან შედარებით, 2000 წლის შემდეგ დემოკრატიისაკენ სწრაფვა როგორც ჩანს შენელდა. დარჩენილ არადემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის რამდენიმე საკმაოდ მნიშვნელოვანი ქვეყანა ფიგურირებს, მათ შორის ჭარბმოსახლეობიანი ჩინეთი, რომელიც დინამიკური ეკონომიკითა და გაუმჯობესებული ძლიერი სამხედრო შესაძლებლობებით იწონებს თავს. ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში „არაბული გაზაფხულის“ (Arab Spring) შემდეგ გაჩენილი მოლოდინები, რომლის თანახმადაც ამ რეგიონებში დემოკრატია გავრცელებოდა, მალევე გაქარწყლდა. ეგვიპტეში ავტორიტარიზმის აღორძინებამ, სირასა და ლიბანში სამოქალაქო ომების დაწყებამ, იემენში შეჭრამ, ასევე ტერორისტული დაჯგუფებების (*მაგ. „ისლამური სახელმწიფო“, „ბოკო ჰარამი“*) აღმოცენებამ და ა.შ. უახლოეს მომავალში მსოფლიოს ამ მხარეში დემოკრატიული ტალღის აზვირთებასთან დაკავშირებულ იმედებს ბოლო მოუღო.

მეორე, რეალისტები ამჟამინდელ დემოკრატიულ სახელმწიფოთა შორის დათმობის პერსპექტივებზე მიუთითებენ. ჰანტინგტონის სიტყვით, დემოკრატიზაციის პირველი ორი ტალღის შემდეგ ზოგიერთი ახალი დემოკრატიული სახელმწიფო კვლავ ავტორიტარიზმის ჭაობში ჩაეფლო. იგივე მოხდა მესამე ტალღის შემდეგაც. 2004 წელს „ფრიდომ ჰაუსმა“ ვლადიმირ პუტინის რუსეთს „ნაწილობრივ თავისუფალი ქვეყნების“ კატეგორიიდან „არათავისუფალი ქვეყნების“ რიგში მიუჩინა ადგილი.[46] აგრესიული პოლიტიკის გატარებით ერთმა არადემოკრატიულმა სახელმწიფომაც კი შეიძლება დისონანსი შეიტანოს დემოკრატიულ სამყაროში. როგორც ჩანს, საერთაშორისო ურთიერთობებში ომი ჯერ კიდევ აქტუალურია.

მესამე, ზოგიერთი რეალისტი კრიტიკოსის მტკიცებით, აქტუალურობა მთავარი მოსაზრებისა, რომლის თანახმადაც დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთის წინააღმდეგ ძალას არ გამოიყენებენ, სიმართლე ითქმას ამ მომენტამდე მართლაც ასეა, ჯერ კიდევ არ დამდგარა დღის წესრიგში. ბოლოს და ბოლოს, თანამედროვე დემოკრატიას დიდი ხნის ისტორია არ აქვს. თუ შეერთებულ შტატებს პირველ დემოკრატიულ სახელმწიფოდ მივიჩნევთ, მაშინ თანამედროვე დემოკრატია არსებობის დაახლოებით ორას წელს ითვლის. დღევანდელი სტანდარტების

საქვეყნოდ ცნობილი სურათი, როდესაც ჩინეთის მოქალაქე 1989 წლის საპროტესტო აქციების დროს ტიანანმენის მოედანზე (Tiananmen Square) გამოსული ტანკების შეჩერებას ცდილობს. რაც შეეხება დემოკრატიის მომავალს, თქვენთვის რა უფრო შთამბეჭდავია ფოტოზე გამოსახული ადამიანის გამბედაობა თუ ის ფაქტი, რომ ჩინეთის მთავრობამ პეკინის მთავარ მოედანზე შეკრებილი საპროტესტო მასის წინააღმდეგ სამხედრო ძალა გამოიყენა?

გათვალისწინებით, იმდროინდელი ამერიკა და მეცხრამეტე საუკუნის სხვა ახალბედა დემოკრატიული სახელმწიფოები დიდი დემოკრატიულობით ვერ დაიკვეხნიდნენ. რეალისტების აზრით, დემოკრატიულ სახელმწიფოთა შორის ომის დაწყებას მმართველობის ფორმა არ განაპირობებს. ცივი ომის პერიოდში დემოკრატიული სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაცხოვრება შეიძლება საერთო მტრის, საბჭოთა კავშირის, არსებობამ განაპირობა. ამ ხანაში ყველაზე დემოკრატიული დასავლური სახელმწიფოები საერთო ევროპულ კულტურულ იდენტურობას იზიარებდნენ. ვინაიდან დემოკრატიული სახელმწიფოები კულტურული მრავალფეროვნებით იწონებენ თავს, გამორიცხული არ არის, რომ ამ ახალ დემოკრატიულ სახელმწიფოთა ურთიერთქმედებაშიც აღმოვაჩინოთ განმასხვავებელი ნიშნები.

მშვიდობის კონსტრუქტივისტული განმარტება იმ დროს, როცა მშვიდობის რეალისტური განმარტება ხაზს უსვამს ძალაუფლების განაწილებას, ხოლო ლიბერალური დემოკრატიული მშვიდობის თეორია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სტრუქტურული ცვლილებების გავლენას შიდა მმართველობაში, მშვიდობის კონსტრუქტივისტული განმარტება საერთაშორისო ნორმების ცვლილებას აქცევს ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ ათწლეულების მანძილზე მსოფლიო პოლიტიკაში გაბატონებული იყო ნორმა, რომელიც ომს „პოლიტიკის გაგრძელებად“ მიიჩნევდა, კონკურენტული ნორმები უპირისპირდებიან ამ შეხედულებას ან, სულ მცირე, მის შეზღუდვას ცდილობენ.

მიუხედავად იმისა, რომ ჯონ მიულერის (John Mueller) ერთ-ერთი ნაშრომი, რომელიც ომის შემცირების თემას ეძღვნება, წინ უძღვის 1990-იანი წლების კონსტრუქტივისტულ შემობრუნებას, იგი გვთვაზობს ხანგრძლივი მშვიდობისა და ომის სიხშირის შემცირების ანალიზს, რაც მეტნაკლებად თანხვედრაში მოდის კონსტრუქტივისტულ პარადიგმასთანაც. ერთი მხრივ, მიულერი უარყოფს რელისტურ ხედვას, რომლის თანახმადაც მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ პერიოდში არსებული ხანგრძლივი მშვიდობა მხოლოდ ძალთა ბალანსის დროებითი გამოხატულება იყო. მსოფლიოს მართვასთან დაკავშირებით მიულერის შეხედულება ახლოს დგას ლიბერალურ ხედვასთან.

როგორც უნდა იყოს, მიულერის აზრით, ბოლო პერიოდებში ფართომასშტაბიანი ომის აბსანსი და ყველა სახის სახელმწიფოთაშორისი ომების სიხშირის შემცირებას ბევრი არაფერი აქვს საერთო კანტის სამკუთხედთან, რომელსაც ლიბერალები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. რაც შეეხება ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებასა და საერთაშორისო ინსტიტუტებს, მისი თქმით, ტრადიციული ლიბერალური შეხედულება, სავარაუდოდ, არასწორად განმარტავს მიზეზსა და შედეგს. მიულერის რწმენით, მშვიდობა ვაჭრობის განვითარებისა და ინსტიტუტების რაოდენობრივი ზრდის მიზეზია და არა შედეგი. მიულერის სიტყვით, დემოკრატიული მშვიდობის თეორია ვერ ხსნის ხანგრძლივი მშვიდობის მთავარ ფაქტორს – ფართოშტაბიანი ომის აბსანსი ავტორიტარულ საბჭოთა კავშირსა და დემოკრატიულ ამერიკას შორის.[47]

ჯონ მიულერის თქმით, „დიდი ომის დასრულება“ სადავო საკითხების ცივილური ფორმებით გადაჭრამ განაპირობა. მართლაც, ადამიანები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ურთიერთობების გარკვევისას ტანკებისა და ბომბდამშენების გამოყენება წარსულს უნდა ჩაბარდეს. ომი, რომელიც ოდესღაც დიდ პატივად ითვლებოდა, დღესდღეობით ბოროტებას უთანაბრდება. ამ ცვლილებას სათავე დაუდო მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს აღმოცენებულმა მშვიდობისმყოფელმა მოძრაობამ და ცალკეული „იდეალისტების“ ძალისხმევამ, რომლებიც მთელ მსოფლიოში ომის საწინააღმდეგო მოსაზრების გავრცელებას უწყობდნენ ხელს.[48] მიულერის პროგნოზის თანახმად, ფსიქოლოგიურმა ტრავმამ და ადამიანურმა დანაკარგებმა, რომელიც თვალნათლივ გამოჩნდა პირველ და მეორე მსოფლიო ომებში, შეიძლება კაცობრიობას ძალადობრივი მეთოდების გამოყენებაზე უარი ათქმევინოს ისევე, როგორც თავის დროზე დუელსა და მონობაზე თქვა უარი. ეს ინსტიტუტები წარსულში ნორმად ითვლებოდა, თუმცა თანამედროვე ადამიანმა ამ ბარბაროსობას ზურგი აქცია.

კონსტრუქტივისტების აზრით, 1990-იან წლებში დემოკრატიის გავრცელების დროს დემოკრატიული ინსტიტუტების სტრუქტურაზე მნიშვნელოვანი ის ფაქტი იყო, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები თავად იყვნენ საერთო საზოგადოების ნაწილი.

ომის მომავალი

4-4 განსაზღვრეთ ტენდენციები, რომლებიც მომავალი ომის არსს აყალიბებენ.

მოდით, დავუშვათ, რომ რაღაც მომენტში, „ხანგრძლივი მშვიდობა“ და ფართომასშტაბიანი ომის აბსანსი განუსაზღვრელი დროით გრძელდება. ასევე დავუშვათ, რომ პოსტცივიომისეულ ეპოქაში სახელმწიფოთაშორისი ომების თავისებურებაც მცირდება. როგორც ჩანს, ეს ვარაუდები გაცილებით მშვიდობიან მომავალზე მიანიშნებს. სამხედრო ისტორიკოსი მარტინ ვან კრეველდი (Martin van Creveld) ეთანხმება იმ აზრს, რომ სახელმწიფოთაშორისი ომის ხანა დასრულდა, რადგან ბირთვული იარაღის მფლობელი სახელმწიფოების დაპირისპირება თვითგანადგურების საფრთხეს შეიცავს. ზემოთქმულის მიუხედავად, ომი სხვადასხვა ფორმით მაინც გაგრძელდება, თუმცა არა ოფიციალური შეიარაღებული დანაყოფების, „არამედ ტერორისტების, პარტიზანების, ყაჩაღებისა და მძარცველების მიერ“.[49] ახლა კი ვან კრეველდს მოვუსმინოთ:

> „ომის საშინელებას მოქალაქეთა უმეტესობა საკუთარ თავზე გამოცდის. თუმცა, თავად ტერმინი შეიძლება გაუქმდეს ან მისი მნიშვნელობა შეიცვალოს. ომი ყველა ასაკისა და სქესის ადამიანზე მოახდენს

გავლენას. ისინი დაზარალდებიან არა მხოლოდ შემთხვევით ან ანონიმურად, როგორც სტრატეგიული დაბომბვის დროს, არამედ უშუალოდ მიიღებენ მონაწილეობას, გახდებიან სამიზნეები და თვით მსხვერპლის როლშიც კი აღმოჩნდებიან. წესები, რომლებიც სამი საუკუნის განმავლობაში მიუღებლად მიიჩნეოდა, მაგალითად, სამოქალაქო პირების ან მთელი საზოგადოების მძევლად აყვანა გამოსასყიდის სანაცვლოდ, თითქმის კვლავ აქტუალური ხდება“.[50]

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ასიმეტრიული ომის ეპოქაში.

ასიმეტრიული ომი

ასიმეტრიული ომი – *ომი, რომელიც არსებითად განსხვავებულია (ან ასიმეტრია) მასში მონაწილე სუბიექტების ზნეჩვეულებით, ასევე მათი მიზნებით, შესაძლებლობებითა და ტაქტიკით.*

ასიმეტრიული ომი (Asymmetric War) მიეკუთვნება ომთა იმ კატეგორიას, რომლის დროსაც მთავარი განსხვავება (*ან ასიმეტრია*) მდგომარეობს მონაწილეების თავისებურებაში, ასევე მათ მიზნებში, შესაძლებლობებსა და ტაქტიკაში. ჩვეულებრივი (*ან სიმეტრიულ*) ომის მონაწილეები არიან სუვერენული სახელმწიფოები და მათ მიზანს ეროვნული ინტერესების დაცვა წარმოადგენს. იმ დროს, როცა ერთი მხარე აღემატება მეორეს სიძლიერით (*უფრო დიდი შესაძლებლობები აქვს*) და იმ დროს, როცა მათი სამხედრო ტაქტიკა განსხვავდება ხშირად, ისინი არსებითად თამაშობენ იგივე თამაშს სხვადასხვა მნიშვნელობით, რაც არსებითად იგივე ტიპის იარაღია. ისინი ასევე იბრძვიან (*სხვადასხვა სახის შეშფოთების მიუხედავად*) იმავე საერთაშორისო წესებით, რომლებიც არეგულირებენ ომის ეთიკას. სპორტის ენაზე რომ ვთქვათ, ორ საკალათბურთო გუნდს შეიძლება სხვადასხვა დონე ჰქონდეს და შეიძლება სხვადასხვა სათამაშო ტაქტიკა გამოიყენონ, თუმცა ორივე იგივე თამაშს თამაშობს იმავე ბურთით იმავე სათამაშო მოედანზე, რაც რეგულირდება წესების საერთო წესებით.

ასიმეტრიულ ომში ზოგიერთი ან ყველა სიმეტრია იკარგება. მონაწილეები არ არიან მხოლოდ სუვერენული სახელმწიფოები, არამედ არის სახელმწიფოების ნაზავი ან არასახელმწიფო აქტორები. ამრიგად, მიზნები, ეს არ არის უბრალოდ ეროვნული ინტერესები, რომლებიც განსაზღვრულია სუვერენული სახელმწიფოების მიერ, არამედ მიზნები შეიძლება იყოს ტომობრივი ინტერესები, რელიგიური შეხედულებების ხელშეწყობა ან შესაძლოა კერძო ფინანსური სარგებელი. მონაწილეთა შესაძლებლობები ასევე შეიძლება ძალზე განსხვავდებოდეს არა მარტო რაოდენობით, არამედ იარღის ტიპით. ერთმა მხარემ შეიძლება გამოიყენოს ძალიან რთული ტექნოლოგიები, იმ დროს, როცა მეორე მხარე აქვს პრიმიტიული იარაღი, რომელსაც საუკუნეების წინ იყენებდნენ. და ამ შესაძლებლობათა შორის არსებული განსხვავებები წარმოშობს განსხვავებულ ტაქტიკას, რომელიც რეგულირდება ძალიან განსხვავებული მორალური წესებით. კალაბურთის ანალოგიას რომ დავუბრუნდეთ, ეს არის თუ ერთი მხარე ვერ შეეჯიბრებოდა მეორის შესაძლებლობების დონეს, რომელიც იწყებს განსხვავებული თამაშის ტაქტიკით, რომელიც არღვევს თამაშის ტრადიციულ წესებს იმისთვის, რომ აანაზღაუროს საკუთარი სისუსტე.

შემოგთავაზებთ ასიმეტრიული ომის კონცეფციის სამ მაგალითს: 1999 წლის კოსოვოს ომი, 2008-2009 ზამთრისა და 2014 წლების ღაზას ომი, უკრაინის ომის ყირიმის გამო, რომელიც 2014 წელს დაიწყო.

კოსოვო 1999 წლის 24 მარტს პრეზიდენტმა ბილ კლინტონა (Bill Clinton) მოსახლეობას მიმართა და აცნობა, რომ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO) იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკის, სერბეთის, წინააღმდეგ ავიადარტყმებს განახორციელებდა.[51] კლინტონ-

მა ამის მიზეზად კოსოვოელი ალბანელების მიმართ სერბების ლიდერის, სლობოდან მილოშევიჩის (Slobodan Milošević), მხეცური მოპყრობა დაასახელა. მიუხედავად იმია, რომ NATO ომის მთავარ მიზეზად ადამიანის უფლებების დარღვევას ასახელებდა, კოსოვოს კონფლიქტი ომის ახალ სახეობას მიეკუთვნებოდა (*ომის ამ ასპექტს წიგნის მეექვსე თავში განვიხილავთ*).

ერთი მხრივ, კოსოვო ძალიან ჩვეულებრივი კონფლიქტი იყო, იმის გათვალისწინებით, რომ ეს იყო ომი სუვერენულ სახელმწიფოებს შორის. მეორე მხრივ, ასიმეტრიები თვალში საცემი იყო. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ასიმეტრია შესაძლებლობებში. სულ ცოტა ერთი მხარისთვის (NATO), ეს იყო მაღალტექნოლოგიური ომი დიდწილად „ჭკვიანი იარაღების“ გამოყენებით. ჭკვიანი იარაღი, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, **მაღალი სიზუსტის იარაღები (Precision-Guided Munitions (PGMs)** არის – რაკეტები, ბომბები, ან რთული ელექტრონული დამიზნების სისტემებით აღჭურვილი საარტილერიო ჭურვები, რომლებიც წინასწარ შერჩეულ სამიზნეებს ანადგურებს. მეორე მსოფლიო ომის წლებში წინასწარ განსაზღვრული სამიზნის გასანადგურებლად ექვსას ორმოცდარვა ბომბის ჩამოსაგდებად ას რვა ბომბდამშენი იყო საჭირო. დღესდღეობით, იმავე სამიზნეს რამდენიმე მაღალი სიზუსტის იარაღით გაანადგურებთ.[52]

მაღალი სიზუსტის იარაღები – *ცნობილია ასევე „ჭკვიანი იარაღების“ სახელით. რაკეტები, ბომბები ან რთული ელექტრონული დამიზნების სისტემებით აღჭურვილი საარტილერიო ჭურვები, რომლებიც სამიზნეს დიდი სიზუსტით აფეთქებენ.*

NATO-ს ძალების შედეგს ერთმა მიმომხილველმა უწოდა „ვირტუალური ომი“, რადგან პილოტის კაბინებში მჯდომი უყურებდნენ ვიდეოეკრანებს, იმყოფებოდნენ შორს მოქმედების რადიუსიდან და მათი სიკვდილის საშიშროება არ არსებობდა.[53] შეერთებული შტატებისთვისა და მისი „ნატოელი“ მოკავშირეებისთვის შედეგი იყო საუცხოო ბრძოლაში არცერთი ადამიანი არ დაღუპულა.[54] PGMs-ის სიზუსტის წყალობით NATO-ს ავიადარტყმებს არც თუ ისე ბევრი მშვიდობიანი მოქალაქე ემსხვერპლა. „ჰუმან რაითს ვოჩის“ (Human Rights Watch) განცხადებით, NATO-ს მიერ სერბეთში განხორციელებულ ავიადარტყმებს, რომელიც სამოცდათვრამეტი დღე გრძელდებოდა, ხუთასამდე სამოქალაქო პირი შეეწირა.[55]

ანალოგიურს ვერ ვიტყვით სერბეთის შესახებ. მათი „ნატოელი“ კოლეგებისგან განსხვავებით, სამხედრო დანაყოფები ვერ გაექცნენ ომს. დაიღუპა ასობით სერბი, სერბეთის ინფრასტრუქტურა და ეკონომიკა განადგურდა. სერბებმა შური იმით იძიეს, რომ მრავალი უდანაშაულო კოსოვოელი მოკლეს, ხოლო ასობით ათასი კოსოვოელი კი ქვეყნიდან განდევნეს.

ღაზა ღაზას სექტორი ეგვიპტესა და ისრაელს შორის განლაგებული პატარა, მჭიდროდასახლებული ტერიტორიაა, რომელიც დაახლოებით მილიონნახევრი პალესტინელის სამშობლოა 1948, 1956 და 1967 წლებში მომხდარი არაბეთ-ისრაელის ომების დროს იგი ხელიდან ხელში გადადიოდა. 1967 წლის ომის შემდეგ ისრაელმა ოფიციალურად დაამყარა ღაზას სექტორზე კონტროლი. 1980-იანი წლების მიწურულს მომხდარი ინტიფადას შედეგად (*პალესტინელთა ამბოხება ღაზას სექტორსა და მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე ისრაელის კონტროლის წინააღმდეგ*), ისრაელმა გადასცა პალესტინის ავტონომიას ღაზას სექტორის კონტროლის უფლება 1993 წელს ოსლოში ხელმოწერილი შეთანხმებების ძალით. ამის მიუხედავად, ისრაელმა 2005 წლადე ღაზას სექტორში სამხედროების ყოფნის უფლება შეინარჩუნა, თუმცა პალესტინის ავტონომიასთან დაძაბულობების განმუხტვის მიზნით სამხედრო ქვედანაყოფები გაიყვანა ღაზას სექტორიდან. 2007 წელს ღაზაში ორ მთავარ პალესტინურ დაჯგუფებას – „ფათჰისა“ (Fatah) და „ჰამასს“ (Hamas) – შორის გამართული ბრძოლა ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა. ისრაელის განადგურების წყურვილით შეპყრობილი „ჰამასი“, რომელიც ყოველთვის

განსაკუთრებული რადიკალიზმით გამოირჩეოდა, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ტერორისტულ ორგანიზაციათა ჩამონათვალში შეიყვანა.

2008-2009 წლის ზამთრის ომი მცირემასშტაბიანი შეტაკებებით დაიწყო. „ჰამასმა“ ისრაელის მიმართულებით რაკეტები ისროლა, ისრაელმა კი საპასუხოდ „ჰამასის“ ძალებსა და ინფრასტრუქტურაზე მიიტანა იერიში. როდესაც 2008 წლის ივნისში ეგვიპტის შუამავლობით მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება ექვსი თვის შედეგ დაირღვა, ისრაელმა ღაზას სექტორზე ამავე წლის 27 დეკემბერს საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო იერიში დაიწყო. ისრაელმა 2014 წლის ივლისში „ჰამასის“ სარაკეტო თავდასხმების საპასუხოდ კვლავ დაიწყო სამხედრო მოქმედებები.

მომდევნო კონფლიქტები ასიმეტრიული ომის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენდა. ამ საბრძოლო მოქმედებების არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ერთმა სახელმწიფომ (*ისრაელი*) არასახელმწიფო აქტორის („*ჰამასი*“) წინააღმდეგ გაილაშქრა. მიუხედავად იმისა, რომ „ჰამასის“ არსენლაში კონტრაბანდული გზით მოპოვებული რაკეტები და სხვა სახის იარაღებიც მოიძებნებოდა, მისი სამხედრო შესაძლებლობები ისრაელის მაღალტექნოლოგიურ სამხედრო მანქანას ვერც კი შეედრებოდა. 2008-2009 წლებში მომხდარი კონფლიქტების შედეგად დაახლოებით ათას ოთხასი პალესტინელი (*მათი უმეტესობა სამოქალაქო პირები იყვნენ*) და მხოლოდ ცამეტი ისრაელელი (*როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პირი*) დაიღუპა. 2014 წლის ომს ორი ათასზე მეტი პალესტინელის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო ოცი ათასი სახლი ნანგრევებად იქცა. ეს ომი ისრაელის სახელმწიფოს მხოლოდ სამოცდათერთმეტი (*მათ შორის სამოცდაოთხი ჯარისკაცი*) სამოქალაქო პირის სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

ცოცხალი ძალის დანაკარგებში შეუსაბამობისთვის ისრაელისა და პალესტინის მხარე ერთმანეთს აკისრებს პასუხისმგებლობას. ებრაელი სამხედროები „ჰამასს“ ომის წესების დარღვევაში ადანაშაულებდნენ, რადგან ამ ტერორისტული ორგანიზაციის წევრები სამოქალაქო პირებს ფარად იყენებდნენ და არც განმასხვავებელი ნიშნით აღჭურვილ ფორმებს ატარებდნენ, რათა სამოქალაქო პირებსა და მებრძოლებს შორის განსხვავება თვალსაჩინო ყოფილიყო. „ჰამასი“ ისრაელს კომპაქტურად დასახლებულ სამოქალაქო ლოკაციებზე უწესრიგო თავდასხმების გამო სდებდა ბრალს. მართლაც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (*გაერო*) ერთობ საკამათო მოხსენებში (Goldstone Report), რომელიც ღაზას სექტორს ეძღვნებოდა, ორივე მხარე იყო დადანაშაულებული. თავის მხრივ, გაერო ებრაელი და პალესტინელი მიმომხილველების კრიტიკის საგანი შეიქნა. თუ მორალურ მხარეს მხედველობაში არ მივიღებთ, ასიმეტრიული ომის მკვლევრების განცხადებით, შედეგები წინასწარ მოსალოდნელი იყო. ასიმეტრიულ ომში მონაწილე მხარეს, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიებით არის შეიარაღებული, თავის სამხედრო შენაერთების განადაგურებისაგან დაცვა შეუძლია. ამგვარად, უფრო სუსტი მხარე „ჰამასის“ ტაქტიკას გამოიყენებს და თავდასხმაზე (*როდესაც სიცოცხლეს მოუსწრაფებს უდანაშაულო სამოქალაქო პირებს*) პასუხისმგებლობას ძლიერ მხარეს დააკისრებს.

უკრაინა უკრაინის კრიზისი ასიმეტრიულ ომში მონაწილე მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა სამხედრო მანქანამ, რუსეთმა, გამოიწვია. უკრაინის სოციალისტური რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილი იყო. ასწლეულების მანძილზე უკრაინის დიდი ნაწილი რუსეთის იმპერიას ექვემდებარებოდა. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ

უკრაინა, რომელსაც 1954 წლიდან ყირიმის ნახევარკუნძული შეუერთეს, დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი უკრაინის დაკარგვით ყოველთვის უკმაყოფილებას გამოხატავდა. 2013 წლის მიწურულს და 2014 წლის დასაწყისში ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით უკრაინაში გამართული დებატების შემდეგ კიევში საპროტესტო აქციები დაიწყო. უკრაინის პრორუსი პრეზიდენტის, ვიქტორ იანუკოვიჩის (Viktor Yanukovich), გაძევებამ, რუსეთს ხელფეხი გაუხსნა. 2014 წლის დასაწყისში შეიარაღებულმა არაფორმიანებმა ან განმასხვავებელი სამხედრო ნიშნების არმქონე პირებმა ყირიმში სამთავრობო დაწესებულებები ჩაიგდეს ხელში. მათ არაპირდაპირი გზით ყირიმში დისლოცირებული რუსული სამხედრო დანაყოფები უჭერდნენ მხარს. მოგვიანებით, მსგავსი სურათი აღმოსავლეთ უკრაინაშიც განმეორდა, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსულად საუბრობს. დასავლური მედიის ცნობით, რუსეთ-უკრაინის საზღვარზე სამხედრო პერსონალის, იარაღისა და სხვადასხვა სახის მარაგების საიდუმლო გადაყვანა/გადაზიდვის ფაქტები შეინიშნებოდა. რასაკვირველია რუსეთი უარყოფდა ამ ინფორმაციას და ცდილობდა, რომ ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაში განვითარებული მოვლენები უკრაინის მთავრობასა და „აჯანყებულ“ რეგიონებში მცხოვრებ რუსულენოვან პირების შორის დაწყებულ განხეთქილებად წარმოეჩინა. ტრადიციული კონფლიქტებისგან განსხვავებით, უკრაინის საზღვრები სამხედრო ფორმებში გამოწყობილ უცხო ქვეყნის ჯარისკაცებს არ გადაუკვეთიათ და არც ფართომასშტაბიანი ომი გაუჩაღებიათ.

რუსი სამხედრო ანალიტიკოსები დაუფარავად განიხილავდნენ ასიმეტრიული ომის მეთოდებს, მათ შორის კიბერშეტევებს, შეიარაღებული მოქალაქეების მიერ პროქსიშეტევებს მიზანში ამოღებულ ქვეყნებში და დეზინფორმაციულ კამპანიებს. ეს ფაქტები დასავლეთის ქვეყნების მთავრობებისა და მათი სამხედრო თუ სადაზვერვო ორგანოების ყურადღების ცენტრში მოექცა.[58] რუსეთის მიერ შეისისხლხორცებული ასიმეტრიული ომის მეთოდები აძნელებდა უკრაინის კრიზისში მის დადანაშაულებას, რაც, თავის მხრივ, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას (NATO) სწრაფი საპასუხო ქმედების დაწყებას ურთულებდა. მართლაც, ყირიმის ნახევარკუნძულზე რუსეთის დაწყებული ასიმეტრიული ომის შედარებითმა წარმატებამ გააჩინა შიში, რომ მსგავსი მოვლენები შეიძლება აღმოსავლეთ ევროპასა და ბალტიისპირეთის ქვეყნებშიც (*ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანა* NATO-*ს წევრია*) განმეორებულიყო.

ტერორიზმი

თუ NATO მაღალტექნოლგიურ სამხედრო კამპანიებს ჩაატარებს კოსოვოსა და ისრაელი ღაზას სექტორში, ოცდამეერთე საუკუნის საომარი მოქმედებები ნამდვილად მკვეთრ ფერებში აღიწერებოდა. 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკში მომხდარმა ტერორისტულმა აქტებმა რადიკალურად განსხვავებული სურათი წარმოგვიდგინა. ერთ მხარეს არიან მებრძოლები, რომლებიც თხუთმეტი ათასი ფუტის სიმაღლიდან იბრძვიან; მეორე მხარეს კი არიან თვითმკვლელი ტერორისტები, რომელებიც თავს იკლავენ. ერთი მხრივ, არსებობს უაღრესად ზუსტი, თუმცა არც ისეთი სრულყოფილი, იარაღები რომელთა მიზანია მინიუმამდე შეამციროს სამოქალაქო პირთა სიკვდილიანობა; მეორე მხრივ, თავად ამ მისიის მიზანი არის, რომ მაქსიმალურად გაზარდოს სამოქალაქო პირთა სიკვდილიანობა. ერთი მხარე იყენებს მაღალტექნოლოგიურ, მრავალი მილიონი დოლარის ღირებულების მქონე იარაღებს; მეორე მხარე კი უპირატესობას ანიჭებს ერთდოლარიან ყუთის მჭრელ დანებს.

თეორია პრაქტიკაში 4.3

ტერორიზმი ან ომი?

მიზნების მისაღწევად თვითმკვლელი თვითმფრინავის გამოყენების იდეა „ალ-ქაიდას“ არ ეკუთვნის. მეორე მსოფლიო ომში იაპონელი თვითმკვლელ მფრინავებს ან „კამიკაძეებს“ წინასწარგანზრახული მიზნით პირდაპირ ამერიკულ გემებზე მიჰქონდათ იერიში. ჩაძირული ან დაზიანებული ამერიკული გემების რაოდენობამ ოცდაათს გადააჭარბა, დაღუპული ამერიკელების რიცხვი კი თხუთმეტი ათასს აღემატებოდა. იაპონელებს რეზერვში ჰყავდათ ათასობით სხვა „კამიკაძე“, რომლებსაც შეერთებული შტატების მიერ იაპონიის კუნძულებზე თავდასხმისას პასუხი უნდა გაეცათ მტრისათვის, თუმცა ისინი არასოდეს გამოუყენებიათ, რადგან პრეზიდენტ ჰარი ს. ტრუმენის (Harry S. Truman) გადაწყვეტილებით, მეორე მსოფლიო ომის მიწურულს ორ იაპონურ ქალაქში – ჰიროსიმა და ნაგასაკი – ატომური ბომბები ჩამოყარეს.

იაპონელი „კამიკაძეების“ განხორციელებული საჰაერო თავდასხმები ტერორიზმის განსაზღვრებას არ შეესაბამება, რადგან მათი სამიზნეები სამხედრო გემები გახლდათ და არა სამოქალაქო პირები. როგორც ჩანს, იაპონიამ სხვა ტაქტიკა აირჩია. ვარაუდობენ, რომ იაპონელებს შეერთებულ შტატებში მდებარე ოფისებსა თუ სხვა სამოქალაქო ობიექტებზე იერიშის მიტანით ასი ათასზე მეტი ამერიკელის მოკვდინება შეეძლოთ.

- თქვენი აზრით რა საერთო აქვს ასეთ ტაქტიკას ტერორიზმთან? განმარტეთ მიზეზები.
- ხედავთ განსხვავებას ასეთ ტაქტიკასა და ამერიკელების მიერ ჰიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვას შორის? განმარტეთ მიზეზები.
- რა განასხვავებს ამ ტაქტიკას 2001 წლის 11 სექტემბერს „ალ-ქაიდას“ განხორციელებული ქმედებისგან? განმარტეთ მიზეზები.

რა არის ტერორიზმი? „ტერორიზმი“ არის პოლიტიკური მოტივებით დატვირთული სიტყვა, რომელსაც ხშირად იყენებენ მოწინააღმდეგე მხარის ქმედებების აღსაწერად, ეს იმ დროს, როცა საკუთარი ან მოკავშირეების ქმედებების აღწერას თავს არიდებენ.

ტერორიზმის ცნების განსაზღვრების სირთულეზე მოწმობს შემდეგი გაცვეთილი ფრაზა: „ერთი ადამიანისთვის ტერორისტია, მეორე ადამიანისთვის კი თავისუფლებისათვის მებრძოლი“. ამიტომ ჩვენ უნდა განვმარტოთ ტერორიზმის დეფინიცია, რომელსაც გამოვიყენებთ ამა თუ იმ მოვლენის შეფასებისას. შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ასე განმარტავს **ტერორიზმს (Terrorism)**: წინასწარგანზრახული, პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობა, რომელიც არაკომბატანტების წინააღმდეგ სუბეროვნული ჯგუფების წევრებმა ან იატაკქვეშის წარმომადგენლებმა ჩაიდინეს. მათი ქმედება, როგორც წესი, მიზნად ისახავს საზოგადოებაზე გავლენის მოპოვებას“.[59]

ტერორიზმი – *პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობა, რომელიც მოქალაქეებში შიშის დათესვასა და განგაშის გამოწვევას ისახავს მიზნად.*

სახელმწიფო დეპარტამენტის განსაზღვრების დიდი ნაწილი უდავოა. მრავალი მიმომხილველის განცხადებით, ტერორიზმი დაკავშირებულია წინასწარგანზრახულ ძალადობასთან, რომელიც ჩვეულებრივი კრიმინალისგან განსხვავებით ადვილად შესამჩნევია მისი პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე. ასევე, მიმომხილველთა დიდი ნაწილი აცხადებს, რომ ტერორიზმის წინასწარგანზრახული სამიზნე არიან არაკომბატანტები, რათა შიშის დათესვისა და განგაშის (*ანუ ტერორის*) გამოწვევით გავლენა მოახდინონ საზოგადოებაზე. ტერორიზმი ასევე ადვილად გამოირჩევა ჩვეულებრივი ომისგან, სადაც არაკომბატანტებიც იღუპებიან, თუმცა ყოველთვის არა. მათ მიზანმიმართულად არ კლავენ. სახელმწიფო დეპარტამენტის დეფინიციის უფრო მეტად სადავო ნაწილი, რომელიც ტერორიზმს „სუბეროვნული ჯგუფებისა და იატაკქვეშეთის წარმომადგენლებით უკავ-

პრეზიდენტი ობამა და მისი ეროვნული უსაფრთხოების ჯგუფი თვალყურს ადევნებენ 2011 წელს „ზღვის ლომების“ ჩატარებულ სპეცოპერაციას, რომლის დროსაც ალყაში მოაქციეს და გაანადგურეს 9/11-ის ორგანიზატორი ოსამა ბინ ლადენი. თქვენი აზრით, შეერთებულ შტატებსა და ტერორისტებს შორის დაწყებული სამხედრო დაპირისპირება მსოფლიოს მართვასთან დაკავშირებულ რეალისტურ ხედავს მხარს უჭერს თუ ასუსტებს?

შირდება“, არის **„ალ-ქაიდა“ (al-Qaeda)**. სამოქალაქო პირებზე თავდასხმები მეორე მსოფლიო ომის დროსაც განხორციელდა, როდესაც ნაცისტებმა ლონდონი მოკავშირეებმა დრეზდენი, ამერიკელებმა კი ჰიროსიმა და ნაგასაკი დაბომბეს. მრავალი ადამიანის მტკიცებით, სახელმწიფოები საკუთარი ინტერესების გასატარებლად ტერორისტულ აქტებს ხშირად მიმართავენ (*იხ. თეორია პრაქტიკაში* 4.3).

„ალ-ქაიდა“ (არაბულად „ბაზისი“) – *მთელ მსოფლიოში მოქმედი რადიკალური სუნიტური ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც ნახევრად ავტონომიური ტერორისტული დაჯგუფებებისგან შედგება.*

რატომ ტერორიზმი? დასავლურ სამყაროში გავრცელებული შეხედულების თანახმად, ტერორიზმი ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ფანატიკოსების ხელობაა, რადგან ისინი საქმისადმი ფანატიკური თავდადებით გამოირჩევიან. ადამიანთა უმეტესობას ჯერ კიდევ უჭირს იმ ფაქტთან შეგუება, რომ წელზე ბომბებმობმული უცნობი ადამიანი მათ ხალხმრავალ რესტორანში ააფეთქებს ან ხალხით სავსე თვითმფრინავს, რომელშიც უდანაშაულო მგზავრები და თავად ტერორისტებიც იმყოფებიან, ცათამბჯენებს შეაჯახებს. მართლაც, ზოგიერთი ტერორისტი გაუწონასწორებელი და ირაციონალური ქცევით გამოირჩევა.

როგორც უნდა იყოს, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ტერორიზმი რაციონალურ, წინასწარგანზრახულ ქმედებას წარმოადგენს. მისი რაციონალურად მოხსენიება არ ნიშნავს ტერორის გამართლებას. ტერორს, რომელიც ასიმეტრიული ომის სახეობას წარმოადგენს, შორსმიმავალი სტრატეგიული მიზნებისათვის იყენებენ. როგორც წესი, უფრო სუსტი მხარე მასზე გაცილებით ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ ტერორისტულ აქტებს მიმართავს.

მაგალითისთვის მოვიყვან 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებულ ტერორისტულ აქტს. „ალ-ქაიდას“ ყოფილი ლიდერი ოსამა ბენ ლადენი, რომელიც 2011 წლის მაისში აშშ-ის სპეცდანიშნულების ძალებმა გაანადგურეს, წლების მანძილზე შეერთებულ შტატებს ზიანს აყენებდა. საუდის არაბეთში დაბადებულ ღვთისმოსავ მუსულმანს, როგორც თავად აცხადებდა, არ მოსწონდა ის ფაქტი, რომ 1991 წელს მომხდარი სპარსეთის ყურის ომის შემდეგ ამერიკელები საუდის არაბეთის წმინდა მიწაზე დარჩნენ. შეერთებული შტატების ისრაელისადმი დახმარება, პალესტინელთა უფლებებს უგულებელყოფა და 1990-იან წლებში ერაყის წინააღმდეგ

დაწესებული ეკონომიკური სანქციები, რამაც ერაყელთა შორის დიდი სიკვდილიანობა განაპირობა, ბენ-ლადენის მრისხანებას იწვევდა. მისი სტრატეგია საკმაოდ მარტივი იყო. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მას საუდის არაბეთიდან შეერთებული შტატების გაძევება ან ახლო აღმოსავლეთში ამერიკული პოლიტიკის შეცვლა არ შეეძლო ჩვეულებრივი სამხედრო ჩარევით, იგი შეერთებული შტატების მთავრობაზე ირიბად ახდენდა გავლენას. მსოფლიო სავაჭრო ცენტრსა და სხვა ობიექტებზე იერიშის მიტანით იგი იმედოვნებდა, რომ ამერიკელები საკუთარი ქვეყნის მთავრობას პოლიტიკური კურსის ცვლილებას აიძულებდნენ. თუ ამერიკელები სამსახურში და სავაჭრო ცენტრში საყიდლებზე წასვლის ან შვილების სკოლაში გაგზავნის გამო იდარდებდნენ, ჩათვლიდნენ, რომ არ ღირდა მსხვერპლის გაღება იმის ფასად, რომ მხარი დაეჭირათ იმ პოლიტიკისათვის, რომელსაც შეერთებული შტატები ატარებდა სხვა ქვეყნებში.

მართლაც, თვითმკვლელი ტერორიზმის მოტივაციის დაწვრილებითი შესწავლით პოლიტოლოგმა რობერტ პეიპმა (Robert Pape) აღმოაჩინა, რომ სამხედრო თვალსაზრისით გაცილებით სუსტი ჯგუფები საკუთარი მიწიდან უცხოელი ჯარისკაცების გასაძევებლად ტერორს მიმართავდნენ.[60] ასეთი ტაქტიკა გარანტიას არ იძლევა, რადგან მათმა ქმედებამ შეიძლება უარყოფითი შედეგი მოიტანოს ან უფრო ძლიერი მოწინააღმდეგის ინტერვენციის პროვოცირებას შეუწყონ ხელი.

ტერორის ზეგავლენა როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ტერორის მიზანი საყოველთაო განგაშისა და შიშის გავცელებაა, რათა გავლენა მოახდინოს მოწინააღმდეგეზე და მას პოლიტიკის კურსის შეცვლა აიძულოს. 2001 წლის 11 სექტემბერს ქალაქ ნიუ-იორკში განხორციელებულ ტერორისტულ აქტს თითქმის სამი ათასი ადამიანი ემსხვერპლა. 2004 წელს ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში ტერორისტული აქტი მოხდა. მატარებელში დამონტაჟებული ბომბის აფეთქებისას ას ოთხმოცდათერთმეტი მგზავრი დაიღუპა. 2002 წელს მოსკოვის ერთ-ერთ თეატრში ჩეჩენმა აჯანყებულებმა მძევლები აიყვანეს. ამ ტერორისტულ აქტს დაახლოებით ორასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა; 2004 წელს რუსეთის ქალაქ ბესლანში ტრაგედია დატრიალდა. ჩეჩენი აჯანყებულები ერთ-ერთ სკოლაში შეიჭრნენ. მძევლების გადარჩენის წარუმატებელ მცდელობას სამასი ადამიანი, მათ შორის მრავალი სკოლის მოსწავლე შეეწირა. 2015 წელს პარიზში „შარლი ებდოს“ (Charlie Hebdo) რედაქციაში განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტმა, რომელსაც თორმეტი ადამიანი ემსხვერპლა, მთელი მსოფლიო აღაშფოთა. ეს თავდასხმა პრესის თავისუფლების იდეაზე იერიშის მიტანად შეფასდა. ამავე წლის 2 აპრილს კენიის ერთ-ერთ უნივერსიტეტში განხორციელებული მხეცური თავდასხმისას ას ორმოცდაშვიდი ადამიანი დაიღუპა. ერთი ანალიტიკური ცენტრის ინფორმაციით, 1968-2009 წლების შუალედში ორმოცი ათასზე მეტი ტერორისტური აქტი დაფიქსირდა.[61]

ზემოთქმულის მიუხედავად, ტერორიზმის მსხვერპლთა რაოდენობა ჩვეულებრივ ომში დაღუპულთა რიცხვთან შედარებით საკმაოდ დაბალია. ერთი კვლევის თანახმად, 1994-2003 წლებში ოცდაცხრამეტ ყველაზე განვითარებულ ქვეყანაში საერთაშორისო ტერორიზმს სამი ათას ორას ოთხმოცდაცხრამეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. დაღუპულთა დიდი ნაწილი 9/11-ის მსხვერპლია.[62] ზოგიერთი ინფორმაციით, მას შემდეგ ტერორისტების მიერ მოკლულთა რაოდენობა გაიზარდა. მაგალითად, 2012 წელს შეერთებული შტატების შიდა უსაფრთხოების სამინისტროსათვის მომზადებული ერთი მოხსენების თანახმად, მთელ მსოფლიოში განხორციელებული ექვსი ათას შვიდას სამოცდათერთმეტი ტერორისტული აქტების დროს თერთმეტი ათას ოთხმოცდათვრამეტი ადამიანი დაიღუპა.[63] ამ ადამიანთა ნახევარი ერაყსა და ავღანეთში დაიღუპა, სადაც

ზღვარი ომსა და ტერორისტულ აქტებს შორის ხშირად გაურკვეველია. ყველაზე ინფორმირებული მიმომხილველების განცხადებით, საომარ ზონებს გარეთ მცხოვრები ადამიანების საცურაო აუზში დახრჩობის, ავიაკატასტროფაში, ასევე საფეხბურთო მოედანზე ან ბეისბოლის სათამაშო მოედანზე მიღებული დარტყმით გამოწვეული გარდაცვალების რისკი უფრო მაღალია, ვიდრე ის, რომ ისინი ტერორისტული თავდასხმის დროს დაიღუპებიან. ადამიანებს გვახასიათებს დრამატული მოვლენების გაზვიადება და სათანადოდ ვერ ვაფასებთ ყოველდღიური საქმიანობის დროს წარმოშობილ საფრთხეებს. ტერორისტები ზუსტად ამ გაზვიადებულ რეაქციაზე ამყარებენ იმედებს იმისათვის, რომ საზოგადოებაში შიში და საყოველთაო მღელვარება დათესონ.

ამის მიუხედავად, 11 სექტემბრის შემდეგ ტერორიზმის საფრთხეს ზომაგადასულად ვაფასებთ. კერძოდ, ოცდამეერთე საუკუნის ტერორიზმის ორი ასპექტი ერთმანეთში ირევა იმისათვის, რომ დაგვაფიქროს. პირველი – ცაკლეული პირები, ჯგუფები ან სახელმწიფოები საკუთარი მიზნების მისაღწევად ხშირად მიმართავენ ტერორისტულ მეთოდებს და ნებისმიერ ადამიანს ან ჯგუფს პოტენციურ სამიზნედ მიიჩნევენ.

ეს ყოველთვის ასე არ იყო. პოლიტიკური ფილოსოფოსი მაიკლ უოლცერი (Michael Walzer) შენიშნავს, რომ „ტერორისტები“ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ხშირად „პოლიტიკური კოდექსით“ ხელმძღვანელობდნენ. მათ სამიზნეს ძირითადად პოლიტიკური ლიდერები და ჩინოვნიკები წარმოადგენდნენ და არა რიგითი მოქალაქეები.[65] ოსამა ბინ ლადენის არგუმენტის თანახმად, ამერიკელები, რომლებიც გადასახადებს იხდიან, საკუთარი მთავრობის პოლიტიკურ კურს. 1998 წელს ბინ ლადენმა საჯაროდ განაცხადა: „ამერიკელებისა და მათი მოკავშირეების, სამხედროების ისევე, როგორც სამოქალაქო პირების, მკვლელობა ყოველი მუსულმანის პირადი მოვალეობაა. მან ეს უნდა განახორციელოს ნებისმიერ ქვეყანაში, რომელშიც ამის საშუალება მიეცემა“.[66] „ისლამური სახელმწიფოსა“ და „ბოკო ჰარამის“ ჩადენილი სისასტიკის ფონზე ბინ ლადენის ქმედებები ნამდვილად მოკრძალებულად გამოიყურება. მოკლედ რომ ვთქვათ, თანამედროვე ტერორიზმის პოლიტიკური მორალი მკაფიოდ უარყოფს როგორც „სამართლიანი ომის“ პრინციპებს განასხვაოს კომბატანტები არაკომბატანტებისგან, ისე პოლიტიკური მკვლელების წინა თაობის „პოლიტიკურ კოდექსს“.

თანამედროვე ტერორიზმის მეორე შემაშფოთებელი ასპექტი გახლავთ ის ფაქტი, რომ ტერორისტებმა შეიძლება ხელში ჩაიგდონ მასობრივი განადგურების იარაღი. ჩვეულებრივი ბომბით შეიარაღებულ ტერორისტს შეუძლია უდავოდ დიდი ზიანი მიაყენოს უდანაშაულო ადამიანებსა და მათ ოჯახებს, თუმცა მტრული ქვეყნების რეგულარული არმიებისგან განსხვავებით, ეს ტერორისტი სახელმწიფოს მნიშვნელოვან საფრთხეს ვერ შეუქმნის. ტერორიზმმა ამერიკულ საზოგადოებას შეიძლება უბრალოდ სიმშვიდე დაურღვიოს. ცივი ომის პერიოდში საბჭოთა კავშირიდან მომდინარე საფრთხე 11 სექტემბერის ტრაგიკულ მოვლენებს თავისი მასშტაბურობით არც კი შეედრებოდა.

ამის მიუხედავად, ტერორისტული დაჯგუფება, რომელიც შეიარაღებულია პატარა ბირთვული მექანიზმით, ბომბით, ციმბირის წყლულის სავსე სინჯარით ან ქიმიური იარაღით, უკვე სერიოზულ საფრთხეს ქმნის. სავარაუდოდ, უპილოტო საფრენი აპარატები ხელს შეუშლიან ტერორისტებს ტრადიციული და არატრადიციული იარაღის გადატანაში, რათა სუიციდური თავდასხმით ნაკლები ადამიანი გაანადგურონ (*იხ. თეორია პრაქტიკაში* 4.4). ყველაზე არახელსაყრელი სცენარის ალბათობა – ატომური მექანიზმის დეტონაცია, ინფექციური დაავადებების (*ჩუტყვავილა,*

თეორია პრაქტიკაში 4.4

უპილოტო საფრენი აპარატების რევოლუცია

დრონი მომავლის ომში თავის სიტყვას იტყვის და რევოლუციას მოახდენს. დრონებს, უპილოტო საფრენი აპარატები (UAVs), „ჯარისკაცები“ დედამიწაზე მდებარე სპეციალური საკონტროლო ოთახიდან ან კომპიუტერული პროგრამებით ავტომატურ რეჟიმში დისტანციურად მართავენ. დრონებს თავდაპირველად ძირითადად სათვალთვალოდ იყენებდნენ. ტერორისტების წინააღმდეგ გამართულ ომში უპილოტო საფრენმა აპარატებმა თავდასხმითი იარაღის ფუნქცია ჯერ ბუშის შემდეგ კი ობამას მმართველობის პერიოდში მოიპოვეს. სხვადასხვა ფორმისა და ზომის დრონები არსებობს. 2015 წლის იანვარში პარიზში ჟურნალ „შარლი ებდოს“ რედაქციაზე თავდასხმის შემდეგ მთავარი ტურისტული ობიექტების, მათ შორის ეიფელის კოშკისა და ლუვრის თავზე მრავალი პატარა უპილოტო საფრენი აპარატი გამოჩნდა. დრონები მომავლის ტრანსფორმაციული ტექნოლოგიაა. ყურადღება მიაქციეთ შემდეგ სტრიქონებს:

შეერთებული შტატები სამხედრო დრონების მთავარი მწარმოებელია, თუმცა გავრცელებული ინფორმაციით, სხვა ქვეყანებიც აწარმოებენ უპილოტო საფრენ აპარატებს.

დაბალი ღირებულების გამო მომცრო ზომის დრონები ყველაზე ღარიბი ქვეყნებისთვისათვის, ტერორისტული დაჯგუფებისა და მარტო მოქმედი ტერორისტებისთვისაც კი ხელმისაწვდომია.

დრონებს არა მხოლოდ სამხედროები, არამედ კერძო ბიზნესმენებიც იყენებენ. მაგალითად, კომპანია „ამაზონი“ (Amazon) მომავალში ადრესატამდე ნივთების მიტანას მისი მეშვეობით გეგმავს.

ერთი მხრივ, დრონების დამცველების თქმით, უპილოტოები თავიანთი სიზუსტის წყალობით ომისა ან უბედური შემთხვევის დროს სამოქალაქო პირების სიკვდილიანობას მინიმალურ დონემდე დაიყვანენ. თუმცა, კრიტიკოსები სხვა აზრზე დგანან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დრონები ჯარისკაცებს მოსალოდნელი საფრთხისაგან იცავენ.

- თქვენი აზრით, პაკისტანში ტერორისტების განადგურების მიზნით ობამას ადმინისტრაციის მიერ დრონების ფართოდ გამოყენება აკმაყოფილებს სამართლიანი ომის კრიტერიუმს?
- თქვენი აზრით, დრონები, რომლებიც მათი შესაძლებლობიდან გამომდინარე ტერორის იარაღადაც კი შეიძლება გამოიყენონ, უნდა დარეგულირდეს თუ უნდა აიკრძალოს კერძო კომპანიებისა და ცალკეული ადამიანებისთვის?
- თქვენი აზრით, მომავალ ომებში ადამიანებს დრონები ხომ არ ჩაანაცვლებენ? რამდენად მისაღებია ეს და რა შედეგები შეიძლება მოიტანოს ამ ყველაფერმა?

ციმბირის წყლულის შემცველი ფხვნილის ელექტრონული ფოსტით გაგზავნა და ა.შ.) თვითნებური გავრცელება – ფართო განხილვის საგანია. ამიტომ ნაკლებად სავარაუდო სცენარებსაც კი სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ.

უფრო მეტიც, ცივი ომის პერიოდისაგან განსხვავებით, ბირთვული ტერორიზმის აღმოფხვრა ნაკლებად სავარაუდოა. ლოს-ანჯელესის პორტში რომელიმე კონტეინერში ბირთვული ბომბის აღმოჩენა ადვილი საქმე არ არის. მსგავსი კვალის აღმოჩენის შემთხვევაშიც კი საპასუხო ზომები მიღება გაძნელდებდა. ტერორისტები ქვეყნის მოსახლეობას შეერევიან და შეიძლება შეერთებული შტატებისადმი კეთილი დამოკიდებულებაც კი გამოამჟღავნონ.

ამგვარად, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ტერორისტები ოცდამეერთე საუკუნის მსოფლიოსთვის დიდ თავის ტკივილს წარმოადგენენ. თავის დროზე მთელ მსოფლიოში მასობრივი მკლელობების განხორციელება მხოლოდ ზესახელმწიფოებს შეეძლოთ. დღესდღეობით ხიფათებით აღსავსე მსოფლიოში ვცხოვრობთ. ნებისმიერი ტიპის იარაღი, ციმბირის წყლულის შემცველი ფხვნილი თუ ბირთვული მექანიზმი ყოველდღიური გამოწვევაა. ყველაზე პესიმისტურად განწყობილი მიმომხილველებს ვეტყოდი, რომ ეს მხოლოდ დროის საკითხია.

რეალიზმის მნიშვნელობა

ასიმეტრიული ომების პროლიფერაცია და, განსაკუთრებით, 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ გაჩენილი შიშები ტერორის საფრთხის შესახებ აჩენს სერიოზულ თეორიულ კითხვებს, რომლებიც უკავშირდება რეალისტებსა და მათ კრიტიკოსებს შორის გამართულ დებატებს. პირველი, რეალიზმის კრიტიკოსების მტკიცებით, ტერორიზმი და ასიმეტრიული ომის სხვა ფორმები უპირისპირდებიან რეალისტების ვარაუდს, რომლის თანახმადაც სახელმწიფოები მსოფლიო პოლიტიკაში ძალის გამოყენების მონოპოლიას ისაკუთრებენ. სინამდვილეში, მზარდი ძალადობა, რომელსაც მსოფლიო პოლიტიკაში ყოველდღიურად ვაწყდებით, როგორც ჩანს, იღებს ასიმეტრიული ომის ფორმას, რომელიც სახელმწიფოებს პოლიტიკური, კულტურული თუ ეკონომიკური თვალსაზრისით განსხვავებული არასახელმწიფო აქტორების წინააღმდეგ განაწყობს.

მეორე, რეალიზმის კრიტიკოსების თქმით, სახელმწიფოების სტატუსი როგორც მთავარი აქტორისა ომის არსის ცვლილების გამო საფრთხის წინაშე დგას. როდესაც ძლიერი სახელმწიფოები კბილებამდე არიან შეიარაღებული სიმეტრიულ საფრთხესთან საბრძოლველად, რომელიც სხვა მსგავსი სახელმწიფოების მხრიდან მომდინარეობს, მათი ტრადიციული იარაღები ნაკლებად გამოსადეგია, რადგან მას უწევს მუყაოს ყუთების მჭრელი დანებით შეიარაღებულ თვითმფრინავების გამტაცებლებთან ან მასობრივი განადგურების იარაღით აღჭურვილ ტერორისტებთან გამკლავება, რომლებიც დაუფიქრებლად მიდიან სიკვდილზე. ამგვარად, ასეთ შეთმხვევაში წამყვანი სახელმწიფოები ერთმანეთს აღარ დაუპირისპირდებიან, რადგან ბირთვულ ეპოქაში ომი კატასტროფული შედეგებით დასრულდება.[67]

რეალისტების ორი პასუხი აქვთ. პირველი ის, რომ სახელმწიფოები სამხედრო აქტივების გამოყენებას შეამცირებენ გადაჭარბებულია. თანამდეროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილმა NATO-ს ჯარისკაცებმა კოსოვოში გამარჯვებას მიაღწიეს. თუმცა ეს უფრო გაურკვეველი შემთხვევაა. ზოგიერთმა ადამიანმა შეიძლება ისიც კი განაცხადოს, რომ ებრაელი სამხედროები ღაზას სექტორში ასიმეტრიული მტრის წინააღმდეგ ეფექტურად მოქმედებდნენ. უფრო მეტიც, 2001 წლის შემდეგ განმეორებადი ტერორისტული თავდასხმების შიშების მიუხედავად, შეერთებულ შტატებსა და მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში – მიუხედავად იმისა, რომ ბევრი შემზარავი ტერორისტული აქტი მართლაც მოხდა – თავდასხმებისას მასობრივი განადგურების იარაღი არ გამოუყენებიათ. ხოლო განვითარებულ ქვეყნებში ეგზისტენციალისტური შიში არ გამეფებულა.

მეორე, გაცილებით პრინციპული რეალისტები პასუხობენ, რომ ძირითადი პრობლემები არის ანარქიისა და ომის პერსისტირება. ამ დროს აქტორების ბუნება ნაკლებად მნიშვნელოვანია. ამგვარად, რეალისტურ პარადიგმას სახელმწიფო სისტემის დასასრულის გადარჩენა შეუძლია. ჯონ მირშაიმერის თქმით, თანამედროვე რეალიზმის ორი დიდი ფუძემდებელი თუკიდიდე და მაკიაველი 1648 წელს ვესტფალიური სახელმწიფო სისტემის წარმოშობამდე დიდი ხნით ადრე წერდნენ. და იქვე ამატებს: „რეალიზმი უბრალოდ მოითხოვს ანარქიას. მნიშვნელობა არ აქვს რომელი პოლიტიკური ერთეულები ქმნიან სისტემას. ისინი შეიძლება იყვნენ სახელმწიფოები, ქალაქი-სახელმწიფოები, რელიგიური სექტები, იმპერიები, ტომები, კრიმინალური დაჯგუფებები, ფეოდალური სამთავროები და ა.შ.“[68] მოკლედ რომ ვთქვათ, რეალისტებისთვის მომავალი ომი, რომელიც მარტინ ვან კრეველდმა (Martin van Creveld) აღწერა, სრულიად ეთავსება რეალისტების თვალით დანახულ მსოფლიოს.

დასკვნა

ბოლო ათწლეულებში სახელმწიფოთაშორისი ომის სიხშირის შემცირების მიუხედავად, რამდენიმე მეცნიერის განცხადებით, უახლოეს მომავალში ომი, სავარაუდოდ, სრულიად გაქრება მსოფლიო პოლიტიკის ლანდშაფტიდან. როგორც ჩანს, ქვეყნების გარკვეულმა რაოდენობამ პრობლემების გადასაჭრელად საბრძოლო მოქმედებების ადგილიდან მოლაპარაკების მაგიდასთან გადაინაცვლა. საბოლოოდ, საერთაშორისო სისტემაში ომი და ომის საფრთხე როგორც საშუალება დაიცვა საკუთარი ინტერესები მთავარ საკითხად რჩება, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია მსოფლიოს მართვასთან.

ამასთანავე, მომავალში ძალადობის ტრაექტორიას და ხარისხთან დაკავშირებით მეცნიერებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. ზოგიერთი მეცნიერის შეხედულებით, ომის იდეა აქტუალურიობას კარგავს. ისინი ზნეობაზე ამყარებენ იმედს და მიაჩნიათ, რომ ადამიანის შინაგანი კულტურა ძალადობას საბოლოოდ დაამარცხებს. სხვების აზრით კი პოლიტიკური ცვლილებები, განსაკუთრებით კი დემოკრატიის გავრცელება, ახალი, ნაკლებად ძალადობრივი მსოფლიო წესრიგის წარმოშობას შეუწყობს ხელს. არიან ისეთებიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ საერთაშორისო ინსტიტუტები და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება მშვიდობიანი მსოფლიოს საწინდარია (*ამ თემებზე მეხუთე და მეშვიდე თავში ვისაუბრებთ*). ოპტიმისტებს მიაჩნიათ, რომ ამ ტენდენციების ერთობლიობამ შეიძლება ფართომასშტაბიანი ომების თავიდან აცილების საშუალება მოგვცეს. ამგვარი ომები ბირთვულ ეპოქაში ძალზე საშიშია.

ამის მიუხედავად, რეალისტების მტკიცებით, თუკი დიდესა და პელეპონესის ომებიდან მოყოლებული ბევრ ფუნდამენტურ საკითხთან მიმართებით ბევრი არაფერი შეცვლილა. ანარქიულ სამყაროში ომი და ძალადობა სახელმწიფოებისა და სხვა აქტორების ინტერესების დაცვის უკანასკნელ საშუალებად მიიჩნევა. მათი აზრით, ომების სიხშირის დროებითი შემცირება არ უნდა ავურიოთ მუდმივ ცვლილებაში იმის შესახებ თუ როგორ იმართება მსოფლიო. მრავალსაუკუნოვანი ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ აქტორების ცვლილების, მმართველობის ახალი ფორმების წარმოშობისა და ახალი უფრო გამანადგურებელი იარაღის შექმნის მიუხედავად, საბოლოოდ ამ იარაღებს მაინც იყენებენ.

ამ თავში განხილული საკითხები მილიონობით ადამიანისა და ცივილიზაციის ბედისწერას უკავშირდება. სავარაუდოდ, ოცდამეერთე საუკუნეში არც გლობალური აპოკალიფსი დადგება და არც ომები დასრულდება. აზრთა სხვადასხვაობა რეალისტებსა მათ კრიტიკოსებს შორის იმაში არ გამოიხატებოდა ომი გაიმარჯვებს თუ მშვიდობა, არამედ იმაში, თუ რამდენი და რა სახის ომები მოხდება ოცდამეერთე საუკუნეში.

საკითხების მიმოხილვა

- რომელი განმარტება არის ყველაზე დამაჯერებელი, რომელიც ნათელს ჰფენს ბოლო პერიოდებში სახელმწიფოთაშორისი ომის სიხშირის დაცემის საკითხს? თქვენი აზრით, ეს დასასრული პერმანენტულ სახეს მიიღებს?
- როგორ შეცვალეს ტექნოლოგიურმა ინოვაციებმა ომის ბუნება? ამ ტექნოლოგიურმა სიახლეებმა როგორი დოზით გამოიწვია ან გაამყარა კალუზევიცის შეხედულება, იმასთან დაკავშირებით, რომ ომი პოლიტიკის გაგრძელებაა?
- თქვენი აზრით, ოცდამეერთე საუკუნეში რამდენად შესაძლებელია ფართომასშტაბიანი ომის დაწყება? და ასეთ შემთხვევაში როგორ განვითარდება მოვლენები?

საკვანძო ტერმინები

იძულების დიპლომატია
ძალაუფლების გადაცემა
სამხედრო ინდუსტრიული კომპლექსი
პაციფიზმი
სამართლიანი ომის დოქტრინა
jus ad bellum
Jus in bello
ტოტალური ომი
ორმხრივად გარანტირებული განადგურება
მეორე დარტყმის შესაძლებლობა
შეკავება
სტაბილურობა-არასტაბილურობის პარადოქსი
ბირთვული იარაღის უტილიზაციის თეორიები
სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა
ბირთვული იარაღის გავრცელება
ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულება
ხანგრძლივი მშვიდობა
უსაფრთხოების გაერთიანება
დემოკრატია
მესამე ტალღა
ისტორიის დასასრული
ასიმეტრიული ომი
მაღალი სიზუსტის იარაღები
ტერორიზმი
ალ-ქაიდა

ჩამოტანილი შენიშვნები

1. John Mearsheimer, *The Tragedy of Great Power Politics* (Norton, 2001), 361.
2. John Mueller, *Retreat from Doomsday: The Obsolescence of Major War* (Basic Books, 1989), ix.
3. Much of the data collected by Singer and his associates is available online at the Correlates of War homepage, http://www.correlatesofwar.org.
4. The terminology and counts are adopted from Meredith Sarkees, Frank Wayman, and J. David Singer, "Inter-State, Intra-State, and Extra-State Wars: A Comprehensive Look at Their Distribution over Time, 1816–1997," *International Studies Quarterly* 47 (2003): 49–70.
5. A useful recent summary of some of the Correlates of War data on the frequency of war may be found in Sarkees, Wayman, and Singer, "Inter-State, Intra-State, and Extra-State Wars," 49–70.
6. See Faten Ghosn, Glenn Palmer, and Stuart A. Bremer, "The MID3 Data Set: Procedures, Coding Rules, and Description," *Conflict Management and Peace Science* 21 (2004): 133–154.
7. Sarkees, Wayman, and Singer, "Inter-State, Intra-State, and Extra-State Wars," 65.
8. "World War II," *Encyclopedia Britannica*, http://search.eb.com.
9. Zbigniew Brzezinski, *Out of Control* (Touchstone, 1995), 10.
10. James Fearon, "Rationalist Explanations for War," *International Organization* 49:3 (Summer 1995): 379.
11. John Mearsheimer and Stephen Walt, "An Unnecessary War," *Foreign Policy*, January/February 2003, 50–59.
12. For more detail on both explanations, see Fearon, "Rationalist Explanations for War," 379–414.
13. Robert Jervis, "War and Misperception," *Journal of Interdisciplinary History*, 18:4 (Spring 1988): 675–700.
14. David A. Lake, "Two Cheers for Bargaining Theory: Assessing Rationalist Explanations of the Iraq War," *International Security* 35:3 (Winter 2010/11): 7–52.
15. Edward Mansfield and Jack Snyder, *Foreign Affairs* 74:3 (May/June 1995): 79–97.
16. National Highway Traffic Safety Information, "Traffic Safety Facts 2003: 2003 National Statistics," http://www-nrd.nhtsa.dot.gov.
17. Others have previously made and developed the comparison between war and the automobile. See Mueller, *Retreat from Doomsday*, 267–269.
18. Number of soldiers killed in Iraq in 2003 calculated from data at the US Department of Defense, Directorate for Information Operation and Reports, Statistical Information Analysis Division, "Military Casualty Information," http://web1.whs.osd.mil/mmid/casualty/castop.htm.
19. Leo Tolstoy, "Last Message to Mankind," Address to the Swedish Peace Congress, Stockholm, 1909, http://www.wagingpeace.org.
20. Niall Ferguson, "The Next War of the World," *Foreign Affairs*, September/October 2006, 61–74.
21. Hans J. Morgenthau and Kenneth W. Thompson, *Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace*, 6th ed. (Knopf, 1985), 392–413.
22. "United States," *Encyclopedia Britannica*, http://search.eb.com.
23. "World War I," *Encyclopedia Britannica*, http://search.eb.com.
24. United States Strategic Bombing Survey, "The Effects of Atomic Bombs on Hiroshima and Nagasaki," 1946, http://www.ibiblio.org.
25. A Bomb WWW Museum, "Introduction: About the A Bomb," http://www.csi.ad.jp/ABOMB/data.html.
26. Thomas Schelling, *Arms and Influence* (Yale University Press, 1966), 191.

27. Samantha Power, *A Problem from Hell: America and the Age of Genocide* (Perennial, 2003), 334.
28. Bernard Brodie, *The Absolute Weapon: Atomic Power and World Order* (Harcourt, Brace, 1946), 76.
29. Soviet casualty numbers are still debated. See Rafael Reuveny and Aseem Prakash, "The Afghanistan War and the Breakdown of the Soviet Union," *Review of International Studies* 25 (1999): 696–697. For the number of Afghanis killed, see Human Rights Watch, "Backgrounder on Afghanistan: History of the War," October 2001, http://www.hrw.org.
30. International Rescue Committee, "IRC Study Reveals 31,000 Die Monthly in Congo Conflict," December 9, 2004, http://www.theirc.org.
31. Robert Windrem, "Is Egypt Ready to Go Nuclear," *MSNBS Online*, March 15, 2005.
32. See the debate on this question in Scott D. Sagan and Kenneth N. Waltz, *The Spread of Nuclear Weapons: A Debate Renewed* (Norton, 2002).
33. Monty G. Marshall, Center for Systemic Peace, "Global Conflict Trends," http://www.systemicpeace.org/conflicttrends.html.
34. John Lewis Gaddis, *The Long Peace: Inquiries into the History of the Cold War* (Oxford University Press, 1989).
35. Robert Jervis, "Theories of War in an Era of Leading-Power Peace," *American Political Science Review* 96:1 (2002): 1–14.
36. John Mearsheimer, "Back to the Future: Instability in Europe After the Cold War," *International Security* 15:4 (1990): 5–56.
37. Mearsheimer, *The Tragedy of Great Power Politics*, 338.
38. *International Herald Tribune*, February 5, 1999, http://www.iht.com.
39. Mearsheimer, *The Tragedy of Great Power Politics*, see especially ch. 10.
40. Bruce Russett and John Oneal, *Triangulating Peace: Democracy, Interdependence, and International Organizations* (Norton, 2001), 43.
41. See, for example, Larry Diamond, Juan J. Linz, and Seymour Martin Lipset, *Politics in Developing Countries*, 2nd ed. (Lynne Rienner, 1995), 6–7.
42. James Lee Ray, *Democracy and International Politics: An Evaluation of the Democratic Peace Proposition* (University of South Carolina Press, 1995), 125. Discussed in Russett and Oneal, *Triangulating Peace,* 47–48.
43. See Russett and Oneal, *Triangulating Peace*, 48.
44. Samuel Huntington, *The Third Wave: Democratization in the Late Twentieth Century* (University of Oklahoma Press, 1993).
45. Francis Fukuyama, "The End of History?" *National Interest* (Summer 1989): 3–18.
46. Freedom House, "Russia Downgraded to Not Free," December 20, 2004, http://www.freedomhouse.org.
47. John Mueller, *The Remnants of War* (Cornell University Press, 2004), 167–171.
48. Mueller, *Retreat from Doomsday*; Mueller, *The Remnants of War*, 2.
49. Martin van Creveld, *The Transformation of War* (Free Press, 1991), 197.
50. van Creveld, *The Transformation of War*, 203.
51. "President Clinton's March 25, 1999, Address to the Nation," *Teaching Human Rights Online*, Urban Morgan Institute for Human Rights, http://homepages.uc.edu.
52. "What's New with Smart Weapons," February 7, 2005, http://www.globalsecurity.org.
53. Michael Ignatieff, *Virtual War: Kosovo and Beyond* (Metropolitan Books, 2000).
54. Nick Cook, "War of Extremes," *Jane's Defense Weekly*, July 7, 1999, http://www.janes.com.
55. "Civilian Deaths in the NATO Air Campaign," Human Rights Watch, February 2000, http://www.hrw.org.
56. Reuters, July 21, 2010.
57. *The Independent*, August 27, 2014.
58. House of Commons Defence Committee, "Toward the Next Defence and Security Review: Part Two—NATO," Jul 31, 2014, see especially pp. 12–15, http://www.publications.parliament.uk/pa/cm201415/cmselect/cmdfence/358/358.pdf.
59. US Department of State, "Patterns of Global Terrorism 2003," April 29, 2004, http://www.state.gov.
60. Robert Pape, "The Strategic Logic of Suicide Terror," *American Political Science Review* 97:3 (August 2003): 343–361.
61. *Rand Database of Worldwide terrorist Incidents*, http://www.rand.org/nsrd/projects/terrorism-incidents.html.
62. Nick Wilson and George Thomson, "The Epidemiology of International Terrorism Involving Fatal Outcomes in Developed Countries (1994–2003)," *European Journal of Epidemiology* 20:5 (2005): 375–381.
63. National Consortium for the Study of Terrorism and Responses to Terrorism, "Annex of Statistical Information: Country Reports on Terrorism 2012," May 2013, pp. 3–4, http://www.state.gov/documents/organization/210288.pdf.
64. Jessica Stern, *The Ultimate Terrorists* (Harvard University Press, 1999), 32–36.
65. Michael Walzer, *Just and Unjust Wars*, 3rd ed. (Basic Books, 2000), 197–200.
66. "Text of Fatwah Urging Jihad Against Americans," originally published in *Al-Quds Al-Arabi* on February 23, 1998. English translation available online at the International Policy Institute for Counter-Terrorism website, http://www.ict.org.il.
67. van Creveld, *The Transformation of War*, 192–205.
68. Mearsheimer, *The Tragedy of Great Power Politics*, 365.

თავი 5

საერთაშორისო სამართალი და ორგანიზაცია

ლიბერალური ინსტიტუციონალიზმის პერსპექტივა

2014 წელი, ბარაკ ობამა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (*გაერო*) ასამბლეას სიტყვით მიმართავს. ლიბერალების თქმით, გლობალური პრობლემების გადასაჭრელად გაერო ქვეყნებს შორის თანამშრომლობას უზრუნველყოფს. რეალისტებს კი მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოები ამ საერთაშორისო ორგანიზაციას საკუთარი ინტერესების გასატარებლად იყენებენ. თქვენი აზრით, ვინ არის მართალი?

სწავლების მიზნები

5-1 განსაზღვრეთ საერთაშორისო სამართლის ძირითადი წყაროები.

5-2 განმარტეთ გაეროს საერთაშორისო სასამართლოს როლი საერთაშორისო სამართლის განხილვისას და შეაფასეთ მისი ეფექტურობა.

5-3 განსაზღვრეთ სხვადასხვა მიდგომა საერთაშორისო სამართლის იძულებითი აღსრულების დროს.

5-4 განმარტეთ და შეაფასეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (*გაერო*) როლი საერთაშორისო ურთიერთობებში სამართლის, წესრიგისა და უსაფრთხოების მხარდაჭერის კუთხით.

როგორც პირველ თავში უკვე ვისაუბრეთ, რეალისტები გლობალურ პრობლემებთან დაკავშირებულ ერთობლივ გადაწყვეტილებებს რთულად აღიქვამენ, რადგან საერთაშორისო სისტემის ანარქიულობა შედარებითი მოგების შესახებ შეშფოთების საფუძველს იძლევა. კონსტრუქტივისტები და ლიბერალები არ ეთანხმებიან ამ შეხედულებას და ამტკიცებენ, რომ რეალისტები სათანადოდ ვერ აფასებენ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის შესაძლებლობასა და რეალობას.

კონსტრუქტივისტების აზრით, თანამშრომლობა დავების ერთობლივი და მშვიდობიანი გზით გადაჭრის საწინდარია, რასაც მსოფლიოში გავრცელებული ეფექტური საერთაშორისო ნორმები განაპირობებენ. ისინი ყველაზე მკაფიოდ ვლინდება სახელმწიფოებისგან შემდგარ კონკრეტულ ჯგუფებს შორის, იმ სახელმწიფოებისა, რომლებმაც საერთო იდენტურობა ჩამოაყალიბეს. თუმცა ეს ნორმები გლობალური მასშტაბით გაცილებით არათანაბრად ვლინდება. იმ დროს, როცა ამ ნორმებმა შეიძლება კანონის სახე მიიღონ და ინსტიტუტებმა მათი იძულებითი განხორციელება დაიწყონ, კონსტრუქტივისტების რწმენით, ეს არის თავად ამ ნორმების უფლებამოსილება და ლეგიტიმურობა, რომლებიც სახელმწიფოთა ქმედებას განაპირობებენ.

ლიბერალების შეხედულებით, ამ ნორმების ინსტიტუციონალიზაცია ერთობლივი ქცევის გასაღებია. ეს ლიბერალი ინსტიტუციონალისტები იზიარებენ რეალისტურ ცნებას იმასთან დაკავშირებით, რომ მსოფლიო პოლიტიკაში ომსა და ძალადობას საერთაშორისო სისტემის ანარქიულობა წარმოშობს, თუმცა არ ეთანხმებიან რეალისტების შეფასებას, რომლის თანახმადაც ანარქიის დაძლევა საერთაშორისო სამართლის სისტემისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩამოყალიბებით არის შესაძლებელი, და, რომლებიც, თავის მხრივ, წესრიგს უზრუნველყოფენ. მათი აზრით, წესების ჩამოყალიბებით სახელმწიფოები სადავო საკითხებს სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ჩარჩოს ფარგლებში მშვიდობიანი გზით გადაჭრან.

რეალისტები სკეპტიკურად არიან განწყობილი. ისინი საერთაშორისო კანონებისა და ორგანიზაციების ეფექტურობას ეჭვის თვალით უყურებენ და ალბათ დაეთანხმებოდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში (*გაერო*) ისრაელის პირველ წარმომადგენელ აბა ევენს (Abba Eban), რომელმაც ერთხელ განაცხადა: „საერთაშორისო სამართალი ეს არის კანონი, რომელსაც ბოროტი არ ემორჩილება და მართალი არ ასრულებს“.[1] კანონების არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ ან უნდა დაემორჩილო ან იძულებით უნდა შეასრულო. ყველაზე კეთილშობილური საერთაშორისო ორგანიზაციის დაარსებაც კი არ იძლევა იმის გარანტიას, რომ მასზე დაკისრებულ მისიას წარმატებით შეასრულებს.

ამ თავში თანამედროვე საერთაშორისო სამართლისა და ორგანიზაციების შესახებ ვისაუბრებთ. სამართლებრივი წესრიგი სამ საყრდენზე დგას: საკანონმდებლო საქმიანობა, სასამართლო გადაწყვეტილება და სამართალაღსრულების სისტემა, რომელიც კანონის დამრღვევთა მიმართ სანქციებსა და სასჯელის ზომებს იყენებს. წინამდებარე თავში ამ სამ აუცილებელ პირობას განვიხილავთ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა (*გაერო*) და მის მთავარ ორგანოებს – უშიშროების საბჭო, გენერალური ასამბლეა და მსოფლიო სასამართლო – რადგან მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ პერიოდში გაერთიანებული ერები წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაცია და საერთაშორისო სამართლის თანამედროვე სისტემის ინსტიტუციონალური ბურჯია. ამ ინსტიტუტების როლისა თუ ეფექტურობის შესახებ ლიბერალებისა და რეალისტების შეხედულებებსაც გაეცნობით.

საერთაშორისო კანონმდებლობა

5-1 განსაზღვრეთ საერთაშორისო სამართლის ძირითადი წყაროები.

საერთაშორისო სამართლის თანამედროვე სისტემას ჰუგო გროოტმა (Hugo Grotius (1583–1645) ჩაუყარა საფუძველი. ჰოლანდიელ იურისტს ძალიან აშფოთებდა ის ფაქტი, რომ საზღვაო ზესახელმწიფოებს – ინგლისი, ესპანეთი და პორტუგალია – შეიძლება საფრთხე შეექმნათ ჰოლანდიის საზღვაო ინტერესებისათვის და მნიშვნელოვანი საზღვაო სავაჭრო მარშრუტები ჩაეგდოთ ხელში. მისი მტკიცებით, ყველა ქვეყანას უნდა ჰქონოდა ზღვით სარგებლობის უფლება და ძლევამოსილ სახელმწიფოებს სხვებისთვის ეს უფლებები არ უნდა შეეზღუდათ.

„ოკეანის შესახებ გროოტისეული ცნება“[2] საერთაშორისო სამართლის ყოვლისმომცველი სისტემისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო. თავის ტრაქტატში „ომისა და მშვიდობის უფლების შესახებ“ (On the Law of War and Peace, 1625) გროოტი ეთანხმება სუვერენული სახელმწიფოს კონცეფციას, თუმცა მიაჩნია, რომ სახელმწიფოები ყოვლისმომცველი საერთაშორისო საზოგადოების შემადგენელი ნაწილი უნდა იყვნენ და მათი ურთიერთობები წესებით უნდა რეგულირდებოდეს. და ვინ უნდა იღებდეს ასეთ წესებს? თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში ასეთ წესებს საკანონმდებლო ორგანოები ადგენენ. მაგალითად, აშშ-ში მთავარი ფედერალური საკანონმდებლო ორგანო გახლავთ შეერთებული შტატების კონგრესი. შტატის ლეგისლატურებსა და მათ ადგილობრივ ეკვივალენტებს (*მაგ. ოლქის ლეგისლატურები, ქალაქის საბჭოები*) განსაზღვრულ ტერიტორიებზე მოქმედი კანონების შედგენა/დამტკიცების პასუხისმგებლობა აკისრიათ.

როგორც უნდა იყოს, ამგვარ საკანონმდებლო ორგანოებს საერთაშორისო კანონების მიღების უფლება არ აქვთ. თუმცა, ამ მხრივ, ყველაზე თვალში საცემია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (*გაერო*) გენერალური ასამბლეა. ზოგიერთი მიმომხილველი მოუთმენლად ელის იმ დღეს, როდესაც გენერალური ასამბლეა ან სხვა საერთაშორისო ორგანო კანონის მიღების უფლებამოსილებით აღიჭურვება. 1947 წელს გენერალური ასამბლეის თაოსნობით შექმნილი გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიის (International Law Commission (ILC) ვებგვერდზე ვკითხულობთ: „გაერთიანებული ერების ქარტიის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფოები მისთვის საკანონმდებლო უფლებამოსილების მინიჭებას ეწინააღმდეგებოდნენ, რაც საერთაშორისო სამართლის სავალდებულო კანონების მიღებას ითვალისწინებდა“.[3]

ამგვარად, გაეროს გენერალური ასამბლეის საკანონმდებლო უფლებამოსილება შეზღუდულია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის მეცამეტე მუხლის თანახმად, „საერთაშორისო სამართლისა და მისი კოდიფიკაციის პროგრესული განვითარების ხელსშესაწყობად გენერალურმა ასამბლეამ უნდა დაიწყოს კვლევები და გასცეს რეკომენდაციები“. გენერალურ ასამბლეას საერთაშორისო სამართალის საკითხების განსახილველად შეუძლია ფორუმის ჩატარება. ასევე, საერთაშორისო სამართლის კომისიის მეშვეობით ძალუძს ხელშეკრულებებისა და დოკუმენტების შემუშავება, თუმცა მისი რეზოლუციები და დეკლარაციები სახელმწიფოებისათვის იურიდიულად სავალდებულო არ არის. ამიტომ საერთაშორისო სამართლის წყაროები სხვაგან უნდა ვეძიოთ. ესენია: ხელშეკრულებები და კონვენციები, საერთაშორისო ჩვეულება, ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ აღიარებული სამართლის საერთო პრინციპები, სასამართლო გადაწყვეტილებები და კვალიფიციური იურისტების სწავლებანი.

ხელშეკრულებები

საერთაშორისო ხელშეკრულებები საერთაშორისო სამართლის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა. სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები საერთაშორისო ხელშეკრულებებით რეგულირდება. მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობას ერთმანეთთან **მრავალმხრივი ხელშეკრულებები (Multilateral Treaties)** აკავშირებს. მაგალითად, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას (Treaty on the Non-Proliferation of Nuclear Weapons, 1968), რომელიც 1995 წელს უსასრულოდ გააგრძელეს, ას ოთხმოცდაათი სახელმწიფო აწერს ხელს. ეს ხელშეკრულება „ბირთვული კლუბის" ("Nuclear Club") არაწევრ სახელმწიფოებს ბირთვული იარაღის შექმნას უკრძალავს. მრავალმხრივი ხელშეკრულებები ხშირად მიზნათ ისახავენ ნორმების ჩამოყალიბებას, რომლებიც, თავის მხრივ, საერთაშორისო სტანდარტების შექმნას უწყობენ ხელს. ორ სახელმწიფოს შორის გაფორმებული **ორმხრივი ხელშეკრულებები (Bilateral Treaties)**, რომლებიც მრავალმხრივი ხელშერულებებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებებიან, სახელმწიფოებს შორის დადებული შეთანხმებაა, რომელიც საერთაშორისო სისტემაში ნორმების დადგენას არ ისახავს მიზნად. მაგალითად, ცივი ომის პერიოდში შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა ბილატერული შეიარაღების რბოლის დასარეგულირებლათ არაერთ შესაბამის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი.

პაქტა სუნტე სერვანტა (***pacta sunt servanda*** – *„ხელშეკრულებები უნდა შესრულდეს"*) – საერთაშორისო სამართალში ხელშეკრულებისადმი ერთგულების პრინციპი, რომელიც სახელმწიფოებს ხელშეკრულების პირობების შესრულებასა და მათ რატიფიცირებას ავალდებულებს. მსოფლიო სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობის მიერ ხელმოწერილმა და რატიფიცირებულმა ხელშეკრულებამ შეიძლება არასიგნატორ ქვეყნებს ხელშეკრულებით დადგენილი წესების შესრულებაც კი აიძულოს. როგორც უნდა იყოს, საერთაშორისო სამართლის თანახმად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება იურიდიულად სავალდებულოა მხოლოდ მისი ხელმომწერი და რატიფიკატორი ქვეყნებისათვის. გლობალურ დათბობასთან დაკავშირებული კიოტოს პროტოკოლის (Kyoto Protocol) რატიფიცირებაზე უარის თქმის გამო შეერთებული შტატები დიდი პოლიტიკური გაუგებრობის წინაშე აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ იურიდიული თვალსაზრისით, შესრულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესებისა, რომლებიც სათბურის აირების (Greenhouse Gases (GHGs) გამოყოფის საკითხს ეხებოდა, საჭირო არ იყო. მაგალითად, ინდოეთმა, პაკისტანმა და ისრაელმა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერეს და შესაბამისად არც მისი რატიფიცირება მოახდინეს. მის გაუვრცელებლობასთან დაკავშირებით მიღწეული საყოველთაო კონსენსუსის მიუხედავად, მათ იურიდიულად შეეძლოთ ბირთვული იარაღის შეძენა.

სკეპტიკურად განწყობილი მიმომხილველები ხშირად აღნიშნავენ, რომ ხელშეკრულებების შესრულება სახელმწიფოთა ნებაზეა დამოკიდებული. მათი თქმით, სწორედ ამაში ვლინდება საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის მთავარი სისუსტე. მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფოები ხელს აწერენ ხელშეკრულებებს და მათ რატიფიცირებას ახდენენ, ამას ხშირად აკეთებენ მხოლოდ **დამატებითი შენიშვნების**, **შეთანხმებებისა და განცხადებების (Reservations, Understandings, Declarations (RUDs)** დართვის შემდეგ. უფრო მეტიც, თუ სახელმწიფოები დარწმუნდებიან, რომ სამართლებრივი ნორმების დაცვა მათ ეროვნულ ინტერესებთან თანხვედრაში აღარ მოდის, ისინი ხელშეკრულებიდან ოფიციალურად გასვლის უფლებას გამოიყენებენ, თუმცა ცალმხრივი გასვლა ყოველთვის შესაძლებელი არ არის. მრავალი ხელშეკრულება განსაკუთრებით ითვალისწინებს

მრავალმხრივი ხელშეკრულებები – *ასევე ცნობილია „ნორმების დამწესებელი ხელშეკრულებების" სახელით. ასეთ ხელშეკრულებებს მრავალმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი და მათი რატიფიცირებაც მოახდინა.*

ორმხრივი ხელშეკრულებები – *ორ სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც მათი ურთიერთობების ზოგიერთი ასპექტის დარეგულირებას ითვალისწინებს; იურიდიულად სავალდებულოა ხელშეკრულების დამდები მხარეებისათვის.*

პაქტა სუნტე სერვანტა (***pacta sunt servanda*** – *„ხელშეკრულებები უნდა შესრულდეს")* – *საერთაშორისო სამართალში ხელშეკრულებისადმი ერთგულების პრინციპი, რომელიც სახელმწიფოებს ხელშეკრულების პირობების შესრულებასა და მათ რატიფიცირებას ავალდებულებს.*

ოფიციალური დამატებითი შენიშვნები, შეთანხმებები და ოფიციალური განცხადებები – *რომლებიც თან ერთვის სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების რატიფიკაციას, რათა არ დაუშვას ან შეცვალოს ხელშეკრულების კონკრეტული პირობების გამოყენება.*

გაუსვლელობის მექანიზმებს. მაგალითად, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების თანახმად, სახელმწიფოებმა, რომლებიც ხელშეკრულებიდან გასვლას გადაწყვეტენ, სამი თვით ადრე უნდა გააცხადონ ამის შესახებ თუ „საგანგებო ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია ამ ხელშეკრულების შინაარსთან, საფრთხის ქვეშ დააყენებს თავისი ქვეყნის უზენაეს ინტერესებს".[4] 2003 წელს ზუსტად ასე მოიქცა ჩრდილოეთი კორეა. ფხენიანის განცხადებით, შეერთებული შტატები მათ უსაფრთხოებას ემუქრებოდა. კორეელებს მეტი დამაჯერებლობისათვის მტკიცებულებად მოჰყავდათ ჯორჯ უ. ბუშის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კსდრ (*ერაყსა და ირანთან ერთად*) „ბოროტების ღერძის" ერთ-ერთ წევრად გამოაცხადა.

საერთაშორისო ჩვეულება

იმ დროს, როცა ხელშეკრულებები საერთაშორისო სამართლის ყველაზე მნიშვნელოვან და ოფიციალურ წყაროს წარმოდგენენ, სახელმწიფოთა შორის ქცევის ტრადიციული ნორმები შეიძლება **საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის (Customary International Law)** ნაწილი გახდეს. ჩვეულებითი სამართალი ეფუძნება სახელმწიფოს წეს-ჩვეულებებს ან ქცევებს, რომლებიც დროთა განმავლობაში წესის დაცვის თანმიმდევრულ კანონზომიერებას დემონსტრირებენ ან სუბიექტურ აღქმას, რომლის თანახმადაც სახელმწიფოები ასრულებენ წესებს, რადგან მათი დაცვა სავლდებულოდ მიაჩნიათ. მაგალითად, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, საომარი მოქმედებებისას შეუიარაღებელი თევზმჭერი გემის დაკავება არ შეიძლება. ბოლო წლებში ამტკიცებდნენ, რომ საერთაშორისო ჩვეულებითმა სამართალმა, რომელმაც დიდი ხანია აღიარა სახელმწიფოთა უფლება მუქარის დროს დაიცვან საკუთარი თავი, ტერორიზმის საფრთხის თავიდან ასარიდებლად შეიძლება თავდაცვის უფლებები გააფართოვოს, მათ შორის არის ტერორისტების შემფარებელი სახელმწიფოების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებში ჩართვის უფლება.[5]

საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი – *სახელმწიფოთა შორის ქცევის ტრადიციული ნორმები, რომლებსაც რეგულარულად იცავენ, გარკვეული დროის შემდეგ კი მათი შესრულება სავალდებულოდ ითვლება. ეს ნორმები ხელშეკრულებით არ არის დაკანონებული.*

ხშირად ჩვეულებითი სამართალი ხელშეკრულებით ფორმდება. მაგალითად, ოდესღაც არსებული ჩვეულების თანახმად, სახელმწიფოს ტერიტორიული წყლების გამმიჯვნელ ხაზს „ზარბაზნის სროლის სიშორე" განსაზღვრავდა. ეს წესი ზღვისპირა ქვეყნებს ნაპირიდან სამი საზღვაო მილის დაშორებით მდებარე ტერიტორიულ წყლებზე პრეტენზიის გამოხატვის უფლებას უტოვებდა. ეს სწორედ ის მანძილია, რომელსაც ყუმბარები ფარავდნენ. ხსენებული წესი პირველად მეჩვიდმეტე საუკუნეში დაამტკიცეს. ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა სახელმწიფოებს ამ წესის გადახედვისკენ უბიძგა. დღის წესრიგში დადგა ოფიციალური დოკუმენტის არსებობა. მართლაც, 1982 წელს ხელი მოაწერეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (*გაერო*) კონვენციას საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ (United Nations Convention on the Law of the Sea (UNCLOS), რომელიც 1994 წელს შევიდა ძალაში. ამ ხელშეკრულების ძალით, ყველა სახელმწიფოს ტერიტორიული წყლების სიგანე თორმეტ საზღვაო მილით, ეკონომიკური ზონები კი ორასი მილით განისაზღვრა. ზღვისპირა ქვეყნები თევზჭერისა და სხვა რესურსების ექსპლუატაციის განსაკუთრებულ უფლებებს იტოვებენ.

საერთაშორისო სამართლის სხვა წყაროები

საერთაშორისო სამართლის მესამე წყარო ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ აღიარებული სამართლის საყოველთაო პრინციპებია. ისინი მიეკუთვნებიან იმ კონკრეტულ პრინციპებს, რომლებიც ყველა ქვეყნის შიდა სამართლებრივი სისტემის ფუნდამენტის როლს ასრულებენ. მათ ხანდახან „გეპ-ფილერსის" ("Gap-Fillers") სახელითაც მოიხსენიებენ, რადგან

მათ შეუძლიათ უზრუნველყონ გადაწყვეტილებების სამართლებრივი საფუძველი იმ შეთხვევებში, როდესაც ხელშეკრულებები და წეს-ჩვეულებები გადამწყვეტ მითითებებს ვერ გვთავაზობენ. ეს საყოველთაო პრინციპები ხშირად უკავშირდება სამართლებრივ პროცედურებს, მაგალითად მტკიცებულებათა წესებს, თუმცა ისინი ადამიანის უფლებებთანაც არიან დაკავშირებული. მაგალითად, 1966 წელს ხელმოწერილ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტში (International Covenant on Civil and Political Rights), რომელშიც ადამიანის უფლებებათა გრძელი სიაა მოცემული, მკაფიოდ არის აღნიშნული, რომ „საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული სამართლის საყოველთაო პრინციპები“ დაცული უნდა იყოს.[6] ამგვარად, თუ ცალკეული პირი დაარღვევდა ადამიანის უფლებებს, რომლებიც ზემოხსენებულ პაქტში მოხსენებული არ იყო, მას საერთაშორისო სამართლის მიხედვით გაასამართლებდნენ, თუ დამტკიცდებოდა, რომ ამ პიროვნებამ ცივილიზებული სახელმწიფოების დიდი ნაწილის შიდა სამართლებრივი სისტემით გათვალისწინებული საყოველთაო პრინციპი დაარღვია.

და, ბოლოს, საერთაშორისო სამართლის მეორეხარისხოვან წყაროებად სასამართლო გადაწყვეტილებები და ყველაზე კვალიფიციური იურისტების სწავლებანი ითვლება. გაეროს საერთაშორისო სასამართლოსა და სხვა სასამართლო ორგანოების დადგენილებებმა შეიძლება ხელი შეუწყონ ამ კანონის გაუმჯობესებას შიდა სასამართლოს დადგენილებების მსგავსად. იგივე შეიძლება ითქვას იურისტებისა და ამ სფეროში მოაზროვნე ადამიანების მეცნიერულ შეხედულებებზე, რომელთა საქმიანობაც (*იგულისხმება ხელშეკრულებებისა და წესების ინტერპრეტაცია*) სამართლებრივი ნორმების განვითარებას უწყობს ხელს.

საერთაშორისო სამართლის ეს წყაროები უზრუნველყოფენ წესებს, პროცედურებს, ვალდებულებებსა და აკრძალვებს, რომლებიც, თავის მხრივ, სახელმწიფოთა ქცევას განსაზღვრავენ. საერთაშორისო საკანონმდებლო ორგანოს არარსებობის მიუხედავად, რთულია იმის მტკიცება, რომ მსოფლიო წესების ნაკლებობას განიცდის, რომელთა შესრულება ანარქიის შემცირებასა და საერთაშორისო სისტემაში წესრიგის ზრდას შეუწყობდა ხელს. ფაქტობრივად, საერთაშორისო ურთიერთობების ყველა ასპექტი, იქნება ეს ომის წარმოება, იარაღის გავრცელება, ადამიანის უფლებები, ვაჭრობა და ინვესტიცია, გარემოსდაცვითი საკითხები თუ სხვა, ხელშეკრულებით ან ჩვეულებით რეგულირდება.

საერთაშორისო სამართლის განაჩენი

5-2 განმარტეთ გაეროს საერთაშორისო სასამართლოს როლი საერთაშორისო სამართლის განხილვისას და შეაფასეთ მისი ეფექტურობა.

სამართლებრივი სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭიროა არა მხოლოდ წინასწარ მიღებული კანონები, არამედ სასამართლო სისტემაც, რომელიც ამ კანონებით იხელმძღვანელებს. სასამართლოებმა უნდა შეისწავლონ საქმის გარემოებები, გამოავლინონ კანონის დარღვევის შემთხვევები და საქმის მასალებიდან გამომდინარე დაადგინონ კანონის დამღვევი პირი. საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაში ზოგიერთ საქმეს სპეციალური ინსტიტუტები განიხილავენ. მეოცე საუკუნის მიწურულს დაარსებული სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (International Criminal Court (ICC) ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ საქმეებს განიხილავს (ICC-ზე *მეტი ინფორმაციის მისაღებად იხ. თავი მეექვსე*). მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (World Trade Organization (WTO), რომელიც სასამართლო ორგანოთა რიცხვს არ მიეკუთვნება, საერთაშორისო სავაჭრო სამართალთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტისას კვაზისასამართლოს ფუნქციას ითავსებს (WTO-ზე

მეტი ინფორმაციის მისაღებად იხ. თავი მეშვიდე). საერთაშორისო სამართლის ფარგლებში სახელმწიფოთა შორის დავების გადაწყვეტის პასუხისმგებლობა მხოლოდ მსოფლიო სასამართლოს სახელით ცნობილ **გაეროს საერთაშორისო სასამართლოს (International Court of Justice (ICJ)** აკისრია.

გაეროს საერთაშორისო სასამართლო – *მსოფლიო სასამართლოს სახელით ცნობილი სასამართლო ორგანო, რომელსაც საერთაშორისო სამართლის ფარგლებში სახელმწიფოთა შორის დავების გადაწყვეტის პასუხისმგებლობა აკისრია.*

გაეროს საერთაშორისო სასამართლოს სტრუქტურა და ფუნქციები

ნიდერლანდების ქალაქ ჰააგაში განთავსებული მსოფლიო სასამართლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (*გაერო*) ერთ-ერთი მთავარი ორგანოა. გაეროს ყველა წევრი ქვეყანა ავტომატურად მისი წევრიცაა. სასამართლო შედგება თხუთმეტი მოსამართლისგან, რომლებსაც ირჩევს გაეროს გენერალური ასამბლეა და უშიშროების საბჭო ცხრა წლით. მოსამართლეთა წარმომავლობით ცდილობენ აჩვენონ წევრი სახელმწიფოების გლობალური მრავალფეროვნება იმ დროს, როცა საერთაშორისო სისტემაში ძალაუფლება არათანაბრად არის განაწილებული. სასამართლოში ყველა სახელმწიფოს მხოლოდ ერთი წევრი ჰყავს. გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი (*შეერთებული შტატები, რუსეთი, საფრანგეთი დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი*), როგორც წესი, სასამართლოში ერთი მოსამართლით არის წარმოდგენილი თუ არ ჩავთვლით ერთ გამონაკლისს – 1967-1984 წლებში ჩსრ-ს სასამართლოში მოსამართლე არ ჰყოლია. მსოფლიოს სასამართლოს თხუთმეტივე მოსამართლე საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპებით ხელმძღვანელობს და არა საკუთარი ქვეყნების ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

მსოფლიო სასამართლოს ორი ძირითადი ფუნქცია აკისრია. პირველი, სასამართლოს, გაეროს უშიშროების საბჭოს, გაეროს გენერალური ასამბლეის ან გაეროს სხვა სპეციალიზებული დაწესებულებების მოთხოვნით საერთაშორისო სამართლის საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივი რჩევების მიცემა შეუძლია. ეს უფლება გსს-ს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიანიჭა. ხოლო სახელმწიფოებს, ცალკეულ პირებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზციებს, რომლებიც გაეროს სისტემაში არ შედიან, ამგვარი რჩევების მოთხოვნა არ შეუძლიათ. მიაქციეთ ყურადღება, ICJ-ის სამართლებრივი რჩევები იურიდიულად სავალდებულო არ არის. ამ რჩევებით ცდილობენ ნათელი მოჰფინონ კანონს და მსოფლიო საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოსახდენად სასამართლოს სამართლებრივი და პოლიტიკური პრესტიჟი გამოიყენონ.

ერთ-ერთი ასეთი სამართლებრივი რჩევა უკავშირდებოდა ისრაელის მთავრობის მიერ პალესტინელთა შესაჩერებლად აშენებულ უსაფრთხოების კედელს. 2003 წლის ოქტომბერში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მსოფლიო სასამართლოს შემდეგი კითხვით მიმართა: „რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება ისრაელის მიერ კედლის მშენებლობას, ასევე ძალაუფლების ხელში ჩაგდებას პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმსა და მის შემოგარენში“.[7] სასამართლომ თოთხმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ, განსხვავებული აზრი მხოლოდ ამერიკელმა მოსამართლემ დააფიქსირა, დაადგინა, რომ კედელი საერთაშორისო სამართლის ნორმებს ეწინააღმდეგებოდა და ისრაელს მისი მშენებლობა უნდა შეეჩერებინა. ამასთანავე, უნდა მოეხდინა უკვე აშენებულის დემონტაჟი და გამოწვეული ზარალის ასანაზაურებლად კომპესაცია გადაეხადა. ასევე, გენერალურ ასამბლეასა და უშიშროების საბჭოს უნდა განეხილათ შემდგომი ქმედება, რათა ბოლო მოეღოთ ამ უკანონო ქმედებისათვის.[8] კიდევ ერთი საკამათო სამართლებრივი რჩევა. 2010 წელს გსს-მ კოსოვოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია (2008 Kosovo declaration of independence) ლეგიტიმურად ცნო. ზოგიერი მიმომხილველი შეშფოთებას გამოთქვამდა, რომ სასამართლოს ეს გადაწყვეტილება მთელ

მსოფლიოში სეპარატისტული მოძრაობების წისქვილზე დაასხავდა წყალს, თუმცა სასამართლომ მკაფიოდ განაცხადა, რომ საერთაშორისო სამართალის მიხედვით, დამოუკიდებლობის გამოცხადება არ იკრძალებოდა.

გაეროს საერთაშორისო სასამართლოს მეორე ფუნქცია გახლავთ სახელმწიფოებს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების მოსმენა და გადაწყვეტა. მსოფლიო სასამართლო მხოლოდ სუვერენული სახელმწიფოების საქმეებს განიხილავს, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ ცალკეულ პირებს მომჩივნ-მოპასუხის როლში ყოფნა არ შეუძლიათ. სამართლებრივი რჩევებისგან განსხვავებით, სადავო საკითხის განხილვის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება იურიდიულად სავალდებულოა. სასამართლომ პირველ რიგში წარმოებაში უნდა მიიღოს საქმე და მონაწილე მხარეებს პროცესებზე დაელოდოს, რადგან მათი წინასწარი თანხმობის გარეშე საქმეს ვერ დაიწყებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსოფლიო სასამართლოს არ გააჩნია **სავალდებულო იურისდიქცია (Compulsory Jurisdiction)**, რომლითაც, როგორც წესი, შიდა სასამართლოები არიან აღჭურვილი, რაც მათ უფლებას აძლევს, რომ საქმის მონაწილე მხარეებს სასამართლოში გამოცხადება ან სამართლებრივ სანქციებთან შეგუება მოსთხოვონ. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, იურისდიქცია ყოველთვის თანხმობით ხორციელდება და მსოფლიო სასამართლოს ამ თანხმობის მიღება სამი გზით შეუძლია:

სავალდებულო იურისდიქცია – *სასამართლოს უფლებამოსილება, რომლის მეშვეობითაც შეუძლია, რომ დაპირისპირებულ მხარეებს პროცესებში მონაწილეობა და მისი გადაწყვეტილებების მიღება მოსთხოვოს.*

1. *სპეციალური შეთანხმება*: კონფლიქტში ჩართული ორივე სახელმწიფო თანხმობას გამოთქვამს, რომ საქმე გაეროს საერთაშორისო სასამართლომ განიხილოს.
2. *იურისდიქციული კლაუზულა ხელშეკრულებაში*: სამასამდე ხელშეკრულება შეიცავს კლაუზულას, რომელიც სასამართლოს დავების დროს ხელშეკრულების ინტერპრეტაციის იურისდიქციას ანიჭებს. მაგალითისთვის მოვიყვან 1948 წელს ხელმოწერილ გენოციდის კონვენციას (Convention on Genocide), 1992 წელს ხელმოწერილ კონვენციას კლიმატის ცვლილების შესახებ (Convention on Climate Change) და 1993 წელს ხელმოწერილ კონვენციას ქიმიური იარაღის აკრძალვის შესახებ (Chemical Weapons Convention).
3. *გაეროს საერთაშორისო სასამართლოს წესდების მუხლი* 36: **არასავალდებულო კლაუზულას (Optional Clause)** სახელით ცნობილი მუხლი 36 გამიზნული იყო როგორც კომპრომისი მათ შორის, რომლებსაც სურდათ, რომ მსოფლიო სასამართლო აღჭურვილიყო სავალდებულო იურისდიქციით და მათ შორის, რომლებმაც უარყვეს იურისდიქციის ასეთი დიდი საჩუქარი სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის სახელით. სახელმწიფო, რომელიც ნებაყოფლობით ეთანხმება არასავალდებულო კლაუზულას, ეთანხმება გაეროს საერთაშორისო სასამართლოს სავალდებულო იურისდიქციას ნებისმიერ საქმეში, რომელიც ეხება სხვა ქვეყანას და, რომელმაც ამის შესახებ საჯაროდ განაცხადა. 2015 წლის მდგომარეობით, სამოცდათერთმეტმა სახელმწიფომ განაცხადა თანხმობა სავალდებულო იურისდიქციაზე.

არასავალდებულო კლაუზულა – *გაეროს საერთაშორისო სასამართლოს წესდების მუხლი 36; სახელმწიფოებს აძლევს შესაძლებლობას წინასწარ დათანხმდნენ გსს-ს იურისდიქციას ნებისმიერ საქმეში, რომლის მონაწილე მხარეებიც შეიძლება თავად იყვნენ და მასში ჩართული სხვა მხარეებიც დათანხმდნენ სასამართლოს იურისდიქციას.*

გაეროს საერთაშორისო სასამართლოს გავლენა

იურისდიქციასთან დაკავშირებით მსოფლიო სასამართლოს დამოკიდებულება სახელმწიფოთა ნებაყოფლობით თანხმობაზე მიანიშნებს სისუსტეზე, რომელსაც ყველაზე გულმხურვალე მხარდამჭერებიც კი აღიარებენ. გსს-ს იურისდიქციაზე სახელმწიფოს მიერ გაცემული თანხმობა სპეციალური შეთანხმებებით, ხელშეკრულებებითა თუ არასავალდებულო კლაუზულათი ხშირად იმაზე ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს, რადგან ასეთ თანხმობას საკმაოდ ხშირად

პალესტინელელი ტერორისტების თავდასხმებისგან თავდაცვის მიზნით ისრაელის მთავრობის აშენებული კედლის ან ზღუდის ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ 2004 წელს გაეროს საერთაშორისო სასამართლომ კედლის მშენებელობა უკანონოდ ცნო, იგი დღემდე არ დაუნგრევიათ. ლიბერალებმა და კონსტრუქტივისტებმა შეიძლება გაანაცხადონ, რომ გსს-ს ეს გადაწყვეტილება არარელევანტური იყო. თქვენი აზრით, ისინი მართლები არიან?

თან ერთვის ოფიციალური დამატებითი შენიშვნები, შეთანხმებები და განცხადებები (RUDs).[9] მაგალითად, პოლონეთი უარს ამბობს დავებზე, რომლებიც უკავშირდება ტერიტორიას, სახელმწიფო საზღვრებსა და გარემოს დაცვას, ხოლო გაერთიანებული სამეფო უარს ამბობს დავებზე, რომლებიც ეხება ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის ამჟამინდელ ან ყოფილ წევრებს.

შეერთებული შტატები გაეროს საერთაშორისო სასამართლოსადმი ამბივალენტური დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. ერთი მხრივ, აშშ-ის ხელისუფლება საერთშორისო სისტემის წესრიგითა და სტაბილურობით იყო დაინტერესებული. ამ მოცემულობაში წესრიგის შენარჩუნებას, დავების მშვიდობიანი გადაჭრის უზრუნველყოფით, სწორედ რომ გაეროს საერთაშორისო სასამართლო და საერთაშორისო სამართლის ყოვლისმომცველი სისტემა უწყობს ხელს. ეს კი შეერთებული შტატებისათვის შეიძლება სარგებლის მომტანიც კი აღმოჩნდეს. მეორე მხრივ, მართლმსაჯულებისა და სასამართლოს ძირითადი გავლენა იმაში მდგომარეობას, რომ შეზღუდოს ძალაუფლების უხეში გამოვლინება. ასეთი მიდგომა შეერთებული შტატების თვალში მსოფლიო სასამართლოს დროდადრო ერთობ მომთხოვნადაც კი წარმოაჩენს. გაეროს საერთაშორისო სასამართლოსადმი საყოველთაო მხარდაჭერის მიუხედავად, შეერთებული შტატები უხალისოდ დაეთანხმა მის იურისდიქციას.

მსოფლიო სასამართლოს დაახლოებით სამოცდაათწლიანი ისტორიის განმავლობაში შეერთებულმა შტატებმა, სპეციალური შეთანხმების საფუძველზე, მხოლოდ ერთხელ გადასცა მას საქმე განსახილველად. ეს მოხდა 1981 წელს, როდესაც შეერთებული შტატები და კანადა შეთანხმდნენ, რომ მენის ყურეში (Gulf of Maine) საზღვაო საზღვრის დადგენასთან დაკავშირებულ შედარებით მეორეხარისხოვან საკითხზე გადაწყვეტილებას მიაღწევდნენ. აშშ იმ სახელმწიფოთა შორის მოიაზრება, რომლებიც ოფიციალურად პირველები დაეთანხმნენ გსს-ს სავალდებულო იურისდიქციას არასავალდებულო კლაუზულას მეშვეობით. შენიშვნა, რომელიც თან ერთვის ამ თანხმობას, „კონალის შესწორების“ (Connally Amendment) სახელით არის ცნობილი. ამ შესწორებით განისაზღვრა რომ „მსოფლიო სასამართლოს იურისდიქცია არ გავრცელდებოდა იმ საკითხებზე, რომლებიც შეერთებული შტატების შიდა იურისდიქციას ექვემდებარებოდა

როგორც განსაზღვრულია შეერთებული შტატების მიერ.“ ბოლო სიტყვებმა *განსაზღვრულია შეერთებული შტატების მიერ* აზრი დაუკარგა ყველა იმ არსებით მნიშვნელობას, რომლის თანახმადაც აშშ სავალდებულო იურისდიქციას დაეთანხმა.

შეერთებული შტატების ამბივალენტობა მსოფლიო სასამართლოსადმი კარგად ჩანს ორ შემთხვევაში: *შეერთებული შტატები ირანის წინააღმდეგ* (1979–1981 *წწ.*) და *ნიკარაგუა შეერთებული შტატების წინააღმდეგ* (1984–1991 *წწ.*).[10] პირველი საქმე, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაეროს საერთაშორისო სასამართლოში წარადგინა, ირანის დედაქალაქ თეირანში მდებარე აშშ-ის საელჩოში მძევლების აყვანის საკითხს ეხებოდა. მართლაც, 1979 წლის ნოემბერში, ახალგაზრდა მებრძოლებმა იერიში მიიტანეს შეერთებული შტატების საელჩოზე და დაახლოებით სამოცდაათი ამერიკელი მძევლად აიყვანეს. შეერთებული შტატები პროცესში გსს-ს ჩარევას ითხოვდა და ირანს დიპლომატიური ხელშეუხებლობის პრინციპების დარღვევაში ადანაშაულებდა. სასამართლო განხილვებში მონაწილეობაზე უარის თქმის მიუხედავად, 1980 წლის მაისში გაეროს საერთაშორისო სასამართლომ ირანი საერთაშორისო სამართალის დარღვევაში დაადანაშაულა, თეირანს მძევლების დაუყოვნებლივი გათავისუფლება და შეერთებული შტატებისათვის კომპენსაციის გადახდა დაეკისრა. სასამართლო გადაწყვეტილების მიუხედავად, მძევლები 1981 წლის 20 იანვრამდე ტყვეობაში რჩებოდნენ. ინაუგურაციის მსვლელობისას, როდესაც ახლად არჩეული პრეზიდენტი რონალდ რეიგანი (Ronald Reagan) საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოდიოდა, ამერიკელი ტყვეები გაათავისუფლეს. კრიზისმა, რომელიც ოთხას ორმოცდაოთხი დღე გაგრძელდა, 1980 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში დემოკრატი ჯიმი კარტერის (Jimmy Carter) დამარცხებასა და რესპუბიკელების კანდიდატის, რეიგანის, გამარჯვებას შეუწყო ხელი.

რამდენიმე წლის შემდეგ გამართულ *ნიკარაგუა შეერთებული შტატების წინააღმდეგ* სასამართლო პროცესებში მონაწილეობაზე აშშ-მა უარი განაცხადა. ამ შემთხვევაში ნიკარაგუას მემარცხენე სანდინისტურმა მთავრობამ შეერთებულ შტატებს სხვადასხვა უკანონო სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობის ბრალდება წაუყენა. მათი თქმით, ამერიკელთა საქმიანობა (*პორტების მისადგომების დანაღმვა და ა.შ.*) ნიკარაგუას სახელმწიფოს დესტაბილიზაციას ითვალისწინებდა. მიუხედავად იმისა, რომ 1946 წელს შეერთებული შტატები დათანხმდა არასავალდებულო კლაუზულას, ამერიკელებმა სასამართლოს იურისდიქციის აღიარებაზე უარი თქვეს. 1984 წლის აპრილში შეერთებული შტატების მიერ განსახილველად წარმოდგენილი ნოტიფიკაცია 1946 წელს არასავალდებულო კლაუზულას მიღებას ეხებოდა: „ზემოთქმული ოფიციალური განცხადება მიზნად არ ისახავს ცენტრალური ამერიკის რომელიმე სახელმწიფოსთან უთანხმოებას. ნებისმიერი გაუგებრობა მოგვარდება მაშინ, როდესაც მისი მონაწილე მხარეები საერთო ენას გამონახავენ“.[11] გაეროს საერთაშორისო სასამართლომ არ გაითვალისწინა შეერთებული შტატების არგუმენტები და 1986 წელს ამ საკითხთან დაკავშირებით ნიკარაგუას სასარგებლო გადაწყვეტილება გამოიტანა. საპასუხოდ, აშშ-მა გააუქმა არასავალდებულო კლაუზულაზე თანხმობა და მსოფლიო სასამართლოს გადაწყვეტილებებზეც უარი განაცხადა.

ამ შემთხვევებში შეერთებული შტატების დამოკიდებულება გაეროს საერთაშორისო სასამართლოსადმი მიუთითებს იმაზე, რომ გსს ეს არის ადგილი, სადაც შეგიძლიათ მიხვიდეთ, თუმცა ვერ გაგასამართლებენ. მართლაც, რეალისტებმა შეიძლება განაცხადონ კიდეც, რომ ეს სასამართლო მსოფლიო პოლიტიკაში დიდ როლს ვერ ასრულებს. ასევე, გაეროს საერთაშორისო სასამართლო სახელმწიფოებს თავისი „იურიდიულად სავალდებულო გადაწყვეტილებების“ შესრულებას ვერ აიძულებს. მას ასევე

არ ძალუძს, რომ სახელმწიფოს სასამართლო პროცესებში მონაწილეობის მიღება აიძულოს.

ზემოხსენებული სისუსტეების მიუხედავად, სახელმწიფოები მსოფლიო სასამართლოს ხშირად მიმართავენ. ცივი ომის ეპოქაში (1947–1989 *წწ.*) გსს-მ ოთხმოცდაერთი საქმე განიხილა. 1990 წლის შემდეგ მსოფლიო სასამართლოს სამოცდაცხრამეტი საქმე გადაეცა განსახილველად, რომელთა შორის ექვსი საკამათო იყო.[12] სხვადასხვა დროში სხვადასხვა ტიპის სასამართლოები იქმნებოდა. გენოციდში, სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში ბრალდებული ფიზიკური პირების გასასამართლებლად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (International Criminal Court (ICC) შეიქმნა, ყოფილ იუგოსლავიასა და რუანდაში დაფიქსირებული ადამიანის უფლებათა დარღვევების გამოსაძიებლად სპეციალური ტრიბუნალები ჩამოყალიბდა, ხოლო მეოცე საუკუნის მიწურულს დაარსებული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (*იხ. თავი მეექვე და შვიდი*), რომელიც დე ფაქტო სასამართლოს ფუნქციებით არის აღჭურვილი, წევრ სახელმწიფოებს შორის წარმოქმნილ სავაჭრო დავებსაც აგვარებს.[13]

ცხადია, სახელმწიფოებს, რომლებიც დახმარებისათვის მსოფლიო სასამართლოს მიმართავენ, კონკრეტული მიზნები ამოძრავებთ. როგორც უნდა იყოს, გაეროს საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებები გარკვეულ გავლენას ახდენს სხვა სასამართლოზე, ასევე ზეწოლას ახორციელებს საერთაშორისო სამართლის დამრღვევ სახელმწიფოებზე, მაშინაც კი თუ ეს უკანასკნელები მსოფლიო სასამართლოს იურისდიქციას არ ეთანხმებიან. უფრო მეტიც, გაეროს საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებებმა შეიძლება სხვა საერთაშორისო ორგანიზციების, განსაკუთრებით კი გაეროს უშიშროების საბჭოს მოქმედების პრიორიტეტები განსაზღვრონ. ამგვარად, საერთაშორისო სამართლის ეფექტურობა მჭიდროდაა დაკავშირებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის ეფექტურობასთან.

კრიტიკულად განწყობილი აქტორების გარეშე არც შიდასახელმწიფოებრივი და არც საერთაშორისო სამართლებრივი სისტემა არ იარსებებს, რადგან ისინი კანონს პატივს სცემენ და რეპრესალიების შიშით არც კანონს არღვევენ. კრიტიკული მასის გარეშე ნებისმიერი სამართლებრივი სისტემა ჩამოიშლებოდა, ვინაიდან პოლიცია და სხვა სახელისუფლო ორგანოები განადგურდებოდა. რა თქმა უნდა, არის შემთხვევები, როდესაც ვიღაცას არც რეპუტაციის შელახვა ადარდებს და არც რეპრესალიების ეშინია. ძლიერი აქტორი ლახავს რეპრესალიების შიშს და არაფრად აგდებს კანონს.

ასეთ შემთხვევებში „შერიფის“ არსებობა ან არარსებობა ძალიან თვალშისაცემი იქნება. მისი მეშვეობით კანონის იძულებითი აღსრულება და კანონდამრღვევი პირების დასჯა ერთობ მნიშვნელოვანია, რადგან მრავალი ადამიანი კანონმორჩილი გახდება. როგორც რეალისტები იტყოდნენ საერთაშორისო სისტემას არ ჰყავს უნივერსალური ძალაუფლებით აღჭურვილი შერიფი. მსოფლიო სასამართლომ შეიძლება გამოავლინოს კანონდამრღვევი სახელმწიფო, თუმცა უკანონო ქმედების აღსაკვეთად შეიარაღებული ძალები არ ჰყავს.

საერთაშორისო სისტემის კონტროლი და საერთაშორისო სამართლის იძულებითი აღსრულება უნდა ითავოს ერთმა ძლიერმა სახელმწიფომ, რომელიც სამი ძირითადი ატრიბუტით უნდა იყოს აღჭურვილი: პირველი, უნდა გამოირჩეოდეს ეკონომიური და სამხედრო ძლიერებით; მეორე, ვალდებულება აიღოს ამ წესებისადმი და სწამდეს, რომ ისინი სახელმწიფოს ინტერესებს მოემსახურება; მესამე, საჭიროების შემთხვევაში მოქმედების სურვილი უნდა გააჩნდეს. მართლაც, ზემოჩამოთვლილი კრიტერიუმების დამაკმაყოფილებელ სახელმწიფოს თავისუფლად შეუძლია

საერთაშორისო სისტემის ჰეგემონი ან დომინანტი გახდეს. ჰეგემონური სტაბილურობის თეორიის (*იხ. თავი პირველი*) მხარდამჭერთა მტკიცებით, სტაბილურობა და წესრიგი საერთაშორისო სისტემაში იზრდება მაშინ, როდესაც ასეთ სახელმწიფოს ან ჰეგემონს მასზე დაკისრებული ფუნქციის შესრულება ძალუძს.

ცივი ომის დასრულების შემდგომ პერიოდში ფიქრობდნენ, რომ მსოფლიოს შეერთებული შტატები ჩაუდგებოდა სათავეში. 1990 წელს კუვეიტში ერაყის შეჭრის შემდეგ აშშ-ის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ჰ.უ. ბუშმა (GHWB) განაცხადა: „ამერიკამ და მსოფლიომ მხარი უნდა დაუჭიროს კანონის უზენაესობას. ჩვენ ამის გარანტიას ვიძლევით". ბუშის შეტყობინებაში ის აზრი ფიგურირებდა, რომ საერთაშორისო სამართლის უგულებელმყოფელი სახელმწიფოები შეერთებული შტატების მართული საერთაშორისო საზოგადოების რისხვას წააწყდებოდნენ.[14]

დღესდღეობით ძნელია იმის მტკიცება თუ რა შედეგს მოიტანს ჰეგემონი გრძელვადიან პერსპექტივაში – გააძლიერებს თუ დაასუსტებს საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგის ეფექტურ ევოლუციას. ზოგიერთი მეცნიერის თქმით, ქმედითი საერთაშორისო ინსტიტუტების არარსებობის პირობებში ჰეგემონის მიერ სამართლის იძულებითი აღსრულება ძალზე მნიშვნელოვანია. თუმცა, ზოგიერთი მეცნიერის განცხადებით, კანონი და სახელმწიფო ინტერესები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ძლიერი სახელმწიფო საერთაშორისო სამართალს თავისი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე აღასრულებს. ამგვარად, ლიბერალი ინსტიტუციონალისტების აზრით, საერთაშორისო მასშტაბით სამართლის იძულებითი აღსრულება საბოლოოდ დამოკიდებულია საერთაშორისო ორგანიზაციების განვითარებაზე, რომლებსაც შეუძლიათ აიღონ პასუხისმგებლობა სამართლის იძულებით აღსრულებაზე, როდესაც საკუთარი ძალებით იძულებითი აღსრულება კონკრეტულ ზღვარს აღწევს.

საერთაშორისო ორგანიზაციების როლი

საერთაშორისო ორგანიზაციები საერთო მიზნის განსახორციელებლად შექნილი ნებაყოფლობითი გაერთიანებები არიან. საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორც წესი, ორ ქვეჯგუფად იყოფიან: სამთავრობათაშორისო ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია – *სუვერენული სახელმწიფოების ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც საერთო მიზნის განსახორციელებლად ოფიციალურად შეიქმნა.*

სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის (Intergovernmental Organization (IGO) წევრთა რაოდენობას განსაზღვრავენ სახელმწიფოები. სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის სამი ძირითადი ტიპი არსებობს:

1. *საერთაშორისო, უნივერსალური სამთავრობათაშორისო ორგანიზაციები*: IGO-ის ყველაზე ნათელი მაგალითია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (*გაერო*), რომლის რიგებში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაა გაწევრიანებული. მისი ორგანოები და სპეციალიზებული დაწესებულებები გლობალურ საკითხებს განიხილავენ.

2. *რეგიონალური სამთავრობათაშორისო ორგანიზაციები*: ასეთი ორგანიზაციების რიცხვს მიეკუთვნებიან ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია (Organization of American States (OAS) და აფრიკის კავშირი (African Union (AU). რეგიონალური სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის განსაკუთრებული მაგალითია ევროპის კავშირი (European Union (EU), რომელსაც უფრო დაწვრილებით მეშვიდე თავში განვიხილავთ. ევროკავშირი იმით გახლავთ უნიკალური გაერთიანება, რომ მისმა წევრებმა სახელმწიფოებმა თავისი სუვერენული ძალაუფლება EU-ის ინსტიტუტებს დაუთმეს. ასეთ ორგანიზაციებში მხოლოდ კონკრეტული რეგიონის ქვეყნები არიან გაერთიანებული.

3. *ფუნქციონალური სამთავრობათაშორისო ორგანიზაციები*: ეს ფუნქციონალური ან სპეციალური დანიშნულების ორგანიზაციები გარკვეული მიზნების იმპლემენტაციას უწყობენ ხელს. ასეთი ორგანიზაციების რიცხვს მიეკუთვნებიან ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია (Organization of Petroleum Exporting Countries (OPEC), რომელიც ნავთობის ფასების გასაკონტროლებლად დაარსდა; ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (Organization for Economic Cooperation and Development (OECD), რომელშიც ოცდათოთხმეტი ყველაზე განვითარებული და დემოკრატიული სახელმწიფოა გაწევრიანებული და ვეშაპებზე ნადირობის საერთაშორისო კომისია (International Whaling Commission (IWC), რომელიც მონიტორინგს უწევს ვეშაპებზე ნადირობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ეს სამთავრობათაშორისო ორგანიზაციები წევრთა შორის თანამშრომლობის განმტკიცებისკენ მიისწრაფვიან, რაც, თავის მხრივ, გლობალური ანარქიის შესუსტებას ან აღმოფხვრას უწყობს ხელს. სადავო თუ სხვა საკითხების მოსაგვარებლად დროდადრო ფორუმის ორგანიზებასაც უზრუნველყოფენ. მათი წევრები კონკრეტული სამხედრო ან ეკონომიკური გამოწვევების წინააღმდეგ ხშირად ერთიანდებიან. ასეთ ორგანიზაციებში გაწევრიანებული სახელმწიფოები გარკვეულ საკითხებს საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით უჭერენ მხარს.

სამთავრობათაშორისო ორგანიზაციები თავიანთი სტრუქტურითა და მიზნებით ხელს უწყობენ საერთაშორისო სამართლის განვითარებას. პირველი, ამგვარი ორგანიზაციები წევრ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე ყალიბდებიან, მათ ერთმანეთთან ვალდებულებები აკავშირებთ. მეორე, ზოგიერთ შემთხვევაში სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებს კონკრეტული ხელშეკრულების დაცვის მონიტორინგის მიზნით აფუძნებენ. მესამე, მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ახალი ხელშეკრულებების გასაფორებლად ფორუმის ჩატარებაც შეუძლიათ. სამთავრობათაშორისო ორგანიზაციები, ზოგიერთ შემთხვევაში, საერთაშორისო სამართლის საპოლიციო სამსახურის როლსაც ასრულებენ. ისინი კანონის დამრღვევთა დასასჯელად სპეციალური უფლებამოსილებითა და სათანადო შესაძლებლობებით არიან აღჭურვილი.

სამთავრობათაშორისო ორგანიზაციისგან განსხვავებით, **არასამთავრობო ორგანიზაცია (Nongovernmental Organization (NGO)**, რომლის წევრები რიგითი ადამიანები არიან და არა სუვერენული სახელმწიფოები, მთავრობისგან დამოუკიდებლად ოპერირებს. მაგალითად, „ემნესთი ინთერნეშენალის“ (Amnesty International) ან „გრინფისის“ (Greenpeace) რიგებში ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია ონლაინ რეგისტრაციით გაწევრიანება და საწევროს გადახდა, თუმცა რიგით მოქალაქეს სამთავრობათაშორისო ორგანიზაციაში (*მაგ. გაერო*) გაწევრიანების უფლება არ აქვს. სამთავრობათაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების დაფუძნების არსი თანამედროვე საზოგადოების წინაშე მდგარი არაერთი საჭირბოროტო საკითხის (*ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა, გლობალური ჯანდაცვა და სხვ.*) გადაწყვეტაში მდგომარეობს. სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციებისგან განსხვავებით, არასამთავრობოებისათვის კონკრეტული სახელმწიფოების ინტერესები არარელევანტურია.

არასამთავრობო ორგანიზაცია – *მისი წევრები რიგითი ადამიანები არიან, თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციები მრავალ სახელმწიფოში ფუნქციონირებს.*

ბოლო ათწლეულებში არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. მსოფლიოში მოქმედი ათი ათასობით NGO-ის შეფასებები ერთმანეთისგან არ განსხვავდება. თავიანთი მისიის – ადამიანის უფლებების მხარდაჭერა, ეკონომიური განვითარების ხელშეწყობა თუ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლა – შესასრულებლად ისინი სხვადასხვა სტრატეგიას ახორციელებენ. საჭიროების შემთხვევაში არასამთავრობო ორგანიზაციები დახმარებას უწევენ ცალკეულ პირებსა

თუ გაერთიანებებს, აკონტროლებენ და აშუქებენ მთავრობათა საქმიანობას, სასურველი პოლიტიკური ინიციტივების მისაღებად და ასამოქმედებლად ლობირებენ სახელმწიფოებს. ლიბერალი, კონსტრუქტივისტი და ფემინისტი მეცნიერები მიუთითებენ არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობრივ ზრდაზე, როგორც მტკიცებულებაზე, რომლის თანახმადაც მსოფლიოს მართვასთან დაკავშირებული რეალისტური, სახელმწიფოზე ორიენტირებული შეხედულება დღითიდღე კარგავს აქტუალობას.

ბოლო ათწლეულებში სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ზრდის საინტერესო ტენდენცია შეინიშნება. ბევრ არასამთავრობო ორგანიზაციას მჭიდრო კავშირი აქვს სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მაგალითად, მათ შეუძლიათ მიმართონ გაეროს და სათანადო შეთანხმების საფუძველზე მიენიჭებათ საკონსულტაციო სტატუსი. ამის პრეცედენტი 1948 წელს შეიქმნა, როდესაც ორმოც NGO-ს საკონსულტაციო სტატუსი მიანიჭეს, 1968 წლისათვის მათი რაოდენობა ას ოთხმოცამდე გაიზარდა, 1992 წელს კი მათი რიცხვი უკვე შვიდას ოცდაოთხს შეადგენდა.[15] პოსტცივიომისეულ პერიოდში ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა. 2014 წელს ოთხი ათასზე მეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამ მოიპოვა ეს სტატუსი, რომელიც, თავის მხრივ, NGO-ების გავლენიან სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებთან კავშირს უზრუნველყოფს. IGO- ებთან მჭიდრო სიახლოვე არასამთავრობო ორგანიზაციების საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას უწყობს ხელს. არასამთავრობოები სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებს კონკრეტული მისიის შესასრულებლად ხშირად ეხმარებიან[17] (*იხ. თეორია პრაქტიკაში* 5.1).

საერთაშორისო რეჟიმი – *პრინციპების, ნორმების, წესებისა და პროცედურების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოთა ქმედებას კონკრეტულ პრობლემატურ რეგიონში.*

სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები **საერთაშორისო რეჟიმების (International Regimes)** გამოვლენასა და შენარჩუნებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. რეჟიმი ეს არის პრინციპების, ნორმების, წესებისა და პროცედურების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოთა ქმედებას კონკრეტულ პრობლემატურ რეგიონში. მაგალითად, რეჟიმი, რომელიც არ ავრცელებს ბირთვულ იარაღს, კონცენტრირებულია პრინციპზე, რომლის თანახმადაც ბირთვული იარაღის გავრცელება დესტაბილიზაციას გამოიწვევს. ეს პრინციპი მოიცავს განვითარების, შეძენის ან ბირთვული ტექნოლოგიის გავრცელების საწინააღმდეგო ნორმებს; ასევე კონკრეტულ წესებს, რომლებიც ოფიციალურად გათვალისწინებულია ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებითა (Nuclear Non-Proliferation Treaty) და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით და პროცედურებს, რომლებიც მონიტორინგს უწევენ მის არგავრცელებას, მშვიდობიანი მიზნებისათვის ბირთვული ტექნოლოგიის შეძენის პროცესსა და კავშირს იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც ამ წესებსა და ნორმებს უგულებელყოფენ. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (International Atomic Energy Agency (IAEA), რომელიც სამთავრობათაშორისო ორგანიზაციათა რიგს მიეკუთვნება, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად არგავრცელების რეჟიმის მონიტორინგს ეწევა.

საერთაშორისო სამართლის იძულებითი აღსრულება

5-3 განსაზღვრეთ სხვადასხვა მიდგომა საერთაშორისო სამართლის იძულებითი აღსრულების დროს.

საერთაშორისო სამართლებრივ სისტემას სამართლებრივი ნორმების არაეფექტური განხორციელების გამო ხშირად აკრიტიკებენ. შიდასახელმწიფოებრივი სისტემა დანაშაულში ბრალდებულ პირებს სასამართლო

თეორია პრაქტიკაში 5.1

ავღანეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები

ავღანეთში არსებული მდგომარეობა ნათლად წარმოაჩენს არასამთავრობო ორგანიზაციების როლს, პერსპექტივებსა და საფრთხეებს. 2001 წელს ავღანეთში შეერთებული შტატების შეჭრისა და „თალიბანის“ (Taliban) რეჟიმის დამხობის კვალდაკვალ ქვეყანაში არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. 2009 წლისთვის ავღანეთში მოქმედი დაახლოებით ორი ათასი არასამთავრობო ორგანიზაცია სხვადასხვა სფეროში – განათლება, ადამიანის უფლებები, სამართლებრივი ინსტიტუტების დაფუძნება და ეკონომიური განვითარება – მოღვაწეობდა. მათი უმეტესობა ავღანურია. მსხვილი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები დიდი თანხებით ფინანსდებიან.

არასამთავრობო ორგანიზაციები სიღარიბის, ომისა და სამოქალაქო არეულობის წინააღმდეგ მებრძოლ ნებისმიერ სახელმწიფოს ეხმარებიან. მათ კი, თავის მხრივ, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (*გაერო*), შეერთებული შტატები და სხვა ქვეყნები უმაგრებენ ზურგს. NGO-ების წარმომადგენლები ავღანეთში თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობენ. 2008 წელს ოპოზიციურად განწყობილმა შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა არასამთავრობო სექტორში მომუშავე ოცდათვრამეტი ადამიანი (*ძირითადად ავღანელები*) გამოასალმეს სიცოცხლეს. თითქოს ეს არ იკმარა, 2010 წლის მაისში ავღანეთის მთავრობამ ას სამოცდათორმეტ არასამთავრობო ორგანიზაციას (*მათ შორის ოც საერთაშორისო ორგანიზაციას*) ლიცენზია გაუუქმა. მათ დისციპლინის დარღვევაში დასდეს ბრალი.

რატომ ამოიღო მიზანში ავღანეთის მთავრობამ ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებას ცდილობდნენ? ზოგიერთ სამთავრობო წრეში გაჩნდა იმის შეგრძნება, რომ ავღანეთის სუსტი მთავრობა ძალიან იყო დამოკიდებული არასამთავრობო ორგანიზაციებზე. მათმა საქმიანობამ ავღანელებში საყოველთაო იმედგაცრუება გამოიწვია. ერთი მხრივ, არასამთავრობო და სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებსა და, მეორე მხრივ, NGO-ებსა ეროვნულ სახელმწიფოებს შორის ბოლო წლებში ჩამოყალიბებულმა ურთიერთობებმა წამოჭრა საკითხები, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციების თვითმმართველობას უკავშირდებოდა. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ გამოვლინდა ავღანეთში, სადაც უცხოური სამხედრო შენაერთები არიან დისლოცირებული. გარდა ამისა, ავღანეთში მიაჩნიათ, რომ მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია ვერ ერკვევა ადგილობრივი საზოგადოების წინაშე მდგარ ამოცანებასა და გამოწვევებში. ამიტომ, მრავალი ავღანელი NGO-ებს „სპორტულ-უტილიტარული ავტომობილების გაერთიანებად“ აღიქვამს.

- თქვენი აზრით, არასათავრობო ორგანიზაციებმა თვითმმართველობის შესანარჩუნებლად უარი უნდა თქვან იმ ტენდენციაზე, რომელიც სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებსა და ეროვნულ სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობასა და ოფიციალურ კონსულტაციას ითავლისწინებს?
- თქვენი აზრით, რა ფაქტორები განაპირობებს ბოლო ათწლეულებში არასათავრობო ორგანიზაციათა რაოდენობის ზრდას?
- არასამთავრობო ორგანიზაციების აღმოცენება ძირს ხომ არ უთხრის მსოფლიოს მართვასთან დაკავშირებულ რეალისტურ, სახელმწიფოზე ორიენტირებულ შეხედულებას? თქვენი აზრით, როგორი იქნება რეალისტების პასუხი ამ განცხადებაზე?

წყაროები: Human Security Report Project, “Afghanistan Conflict Monitor,” July 2010, http://www.afghanconflictmonitor.org/ access.html and Nipa Banerjee, “Role of NGOs in Post-Taliban Afghanistan,” Asia Policy Briefs, March 2009, http://exed.maxwell.syr.edu/exed/sites/policy/node/26.

წესით სჯის – ზოგიერთ მათგანს ჯარიმას აკისრებენ, ზოგი კი თავისუფლების აღკვეთით იხდის სასჯელს. საერთაშორისო სისტემის თანახმად, სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო სამართლის დარღვევას მსოფლიო სასამართლო ადგენს. თუმცა შეწყვეტს თუ არა ეს სახელმწიფო უკანონო ქმედებებს და გადაიხდის კომპენსაციას საკითხი კვლავ ღია რჩება. მაგალითად, მსოფლიო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებიდან რამდენიმე თვის განმავლობაში ამერიკელი დიპლომატები კვლავინდებურად ირანელთა ტყვეობაში რჩებოდნენ, ხოლო ნიკარაგუას საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება შეერთებულმა შტატებმა არაფრად ჩააგდო. როგორც უნდა იყოს, შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო სამართალს შორის რეალური და მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს.

იძულებითი აღსრულება საკუთარი ძალებით

სახელმწიფო ორგანოები ქვეყნის შიგნით სამართალს ხშირად იძულების წესით აღასრულებენ. ჩემს მანქანას მეზობლის გაზონზე არ ვაჩერებ არ იმიტომ, რომ დამაჯარიმებენ ან დამაკავებენ, არამედ იმიტომ, რომ კანონით ასეთი ქმედება, რომელიც შევისისხლხორცე და პატივს ვცემ, აკრძალულია. გარდა ამისა, ჩემს რეპუტაციას როგორც პატიოსანი ადამიანისა და კარგი მეზობლისა, ჩრდილი მიადგება. სწორედ ასეთი რეაქცია ექნებოდათ კონსტრუქტივისტებს. ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები არაკეთილმეზობლური დამოკიდებულების საშუალებას არ მაძლევს. თუ ასე არ მოვიქცევი ჩემი მეზობელი კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამს. მაგალითად, არ დამპატიჟებს წვეულებაზე ან თავის მანქანას ჩემს გაზონზე გააჩერებს. მოკლედ რომ ვთქვათ, ვითარება, როდესაც პოლიცია და სასამართლო კანონით მინიჭებული მანდატით და უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის იძულებითი აღსრულების ნათელ მაგალითს წარმოადგენს.

საერთაშორისო სამართალშიც ანალოგიური სისტემა მუშაობს. მაგალითად, ხელმოწერილ ხელშეკრულებას სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს ქცევის საერთაშორისო ნორების გათვალისწინებით. ხელშეკრულების შემთხვევითი დარღვევა ამ სახელმწიფოს რეპუტაციას შელახავს. ერთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოს არასათანადო ქმედებების საპასუხოდ ხშირად იძულებით ზომებს – **რეპრესალიები (Reprisals)** – მიმართავს. ხშირად რეპრესალიები ისეთი მოქმედებებით გამოიხატება როგორებიცაა: ელჩის გაწვევა, სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობაზე უარის თქმა, კულტურული გაცვლითი პროგრამის გაუქმება და ა.შ. სხვა დროს რეპრესალიებს, რომელებსაც სხვაგვარად უწოდებენ – იძულებითი აღსრულება საკუთარი ძალებით, შეიძლება უკანონო ან პროვოკაციული ელფერიც კი დაკრავდეს, თუმცა ამ შემთხვევაში გამართლებულია. სახელმწიფო, რომელიც არღვევს საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებებს და შეზღუდვებს უწესებს სხვა ქვეყნის იმპორტულ საქონლს, უნდა მოელოდოს, რომ არაკანონიერი ქმედების საპასუხოდ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის თანხმობით მის საექსპორტო საქონელსაც დაბლოკავენ.

რეპრესალიები – *საერთაშორისო სამართალში იძულებითი ზომა, რომელსაც მიმართავს ერთი სახელმწიფო მეორის არაკანონიერი მოქმედების საპასუხოდ. რეპრესალიებს სხვა დროს შეიძლება უკანონობის ელფერიც კი დაკრავდეს, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში, იმ დროს, როცა სახელმწიფო არღვევს კანონს, იურიდიულად გამართლებულია.*

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

5-4 განმარტეთ და შეაფასეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) როლი საერთაშორისო ურთიერთობებში სამართლის, წესრიგისა და უსაფრთხოების მხარდაჭერის კუთხით.

პოსტომისეულ ეპოქაში გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) ყველაზე გავლენიანი საერთაშორისო ინსტიტუტია, რომლის განსაკუთრებული მნიშვნელობა რამდენიმე ფაქტორით აიხსნება. მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო მისი წევრობით იწონებს თავს. 1945 წელს გაეროს

რიგებში ორმოცდათერთმეტი სუვერენული სახელმწიფო გაწევრიანდა, დღესდღეობით კი ეს რიცხვი ას ოთხმოცდაცამეტს აღწევს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ აღიარებული სუვერენული სახელმწიფოებიდან მხოლოდ ვატიკანი და პალესტინა არ არიან მისი წევრები. ეს უკანასკნელები არაწევრი დამკვირვებელი სახელმწიფოს სტატუსით სარგებლობენ. მათ ხმის მიცემის უფლება არ აქვთ. შეერთებული შტატებისა და ისრაელის პროტესტის მიუხედავად, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2012 წლის ნოემბერში ეს სტატუსი პალესტინას მაინც მიანიჭა. გაერო დღემდე არ აღიარებს სუვერენიტეტის დეფაქტო ატრიბუტებით აღჭურვილ ჩინეთის რესპუბლიკას (*ტაივანი*). შესაბამისად, ეს უკანასკნელი არც მისი წევრია.

გარდა ამისა, მსოფლიოში დღესდღეობით მოქმედ ორგანიზაციებს შორის გაერო ერთადერთი გლობალური, უნივერსალური ორგანიზაციაა. სპეციალიზებული დაწესებულებებისა თუ სააგენტოების მეშვეობით გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მსოფლიოში მიმდინარე ყველა საერთაშორისო მნიშვნელობის საქმის კურსშია, იქნება ეს სამხედრო თუ სამშვიდობო საკითხები, მსოფლიო ეკონომიკა, ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა, საერთაშორისო ჯანდაცვა საკითხები და ა.შ. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ პერიოდში დაარსებული არაერთი წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაცია: საერთაშორისო სავალუტო ფონდი (International Monetary Fund (IMF), მსოფლიო ბანკი (World Bank), ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (World Health Organization (WHO) და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (International Atomic Energy Agency (IAEA) – გაეროს სისტემაში შემავალი სპეციალიზებული დაწესებულებები არიან.

დასასრულს, გაერო ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელსაც გლობალური უსაფრთხოებისა და საერთაშორისო სამართალის უზრუნველსაყოფად სამხედრო ძალის გამოყენების უფლებამოსილება გააჩნია. იმ დროს, როცა რეგიონალური სამხედრო გაერთიანება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO) თავისი წევრების ინტერესთა დასაცავად სამხედრო ძალას იყენებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ერთადერთი საერთაშორისო დაწესებულებაა, რომელსაც მსოფლიო საზოგადოების სახელით სამხედრო ძალის მასშტაბური გამოყენების კანონიერი უფლება აქვს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურა

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ექვსი მთავარი დაწესებულების მეშვეობით ფუნქციონირებს (*იხ. დიაგრამა* 5.1):

1. **უშიშროების საბჭო (Security Council)** გაეროს მთავარი პასუხისმგებელი ორგანოა, რომელსაც საერთაშორისო უსაფრთხოებისა და მშვიდობის შენარჩუნება ევალება. იგი ხუთი მუდმივი (*მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნები: შეერთებული შტატები, რუსეთი, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი*) და ათი დროებითი წევრისგან შედგება. ამ უკანასკნელებს ორი წლის ვადით, გეოგრაფიული პრინციპის გათვალისწინებით, გენერალური ასამბლეა ირჩევს. უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები ერთპიროვნული ვეტოს უფლებით სარგებლობენ. გადაწყვეტილების მიღებისას ერთ-ერთი მათგანის უარი საკითხის ჩავარდნას ნიშნავს. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა საბჭოს ცხრა წევრის თანხმობა, თანაც ისე, რომ არც ერთი მუდმივი წევრი საკითხის წინააღმდეგი არ უნდა იყოს. ვეტო ნაწილობრივ დაკავშირებულია პოსტომისეულ საერთაშორისო ასპარეზზე გამოსული

უშიშროების საბჭო – *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი პასუხისმგებელი ორგანო, რომელსაც საერთაშორისო უსაფრთხოებისა და მშვიდობის შეინარჩუნება ევალება.*

დიაგრამა 5.1 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) სტრუქტურა

წყარო: Adapted from http://en.wikipedia.org/wiki/United_Nations_System



ზესახელმწიფოების ინტერესებთან. წამყვან მოთამაშეებს აკრძალვის უფლების გამოყენებით საკუთარი სუვერენიტეტის დაცვის სურვილი ამოძრავებდათ. ეს ნაბიჯი ასევე გამოხატავს **ზესახელმწიფოს ერთსულოვნების პრინციპს (Great Power Unanimity Principle)**.

ზესახელმწიფოების ერთსულოვნების პრინციპი – *ლოგიკა, რომელიც საფუძვლად უდევს უშიშროების საბჭოს ვეტოს: მეტი ეფექტურობისათვის უშიშროების საბჭოში ყველა ზესახელმწიფო უნდა იყოს წარმოდგენილი.*

2. **გენერალური ასამბლეა (General Assembly)** გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კვაზი საკანონმდებლო ორგანოა. მას არასავალდებულო რეზოლუციებისა და დეკლარაციების გამოცემის უფლებამოსილება აქვს. ასამბლეა საერთაშორისო სადავო საკითხების განხილვისას ფორუმის როლსაც ასრულებს. მის რიგებში გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოა წარმოდგენილი. უშიშროების საბჭოსგან განსხვავებით, გენერალურ ასამბლეაში ვეტოს უფლება არ მოქმედებს. იგი ყველა სახელმწიფოს სუვერენული თანასწორობის პრინციპზეა დაფუძნებული. ასამბლეის ყველა წევრ სახელმწიფოს სიდიდის, მოსახლეობის რაოდენობის ან ძალის განურჩევლად ხმის მიცემის თანაბარი უფლება აქვს (*ერთი ხმა*). გადაწყვეტილებებს უმეტეს შემთხვევაში ხმათა უმრავლესობით იღებენ. თუმცა, გაეროს წესდების თანახმად, გენერალურ ასამბლეას გადაწყვეტილებების იმპლემენტაციის უფლებამოსილება არ აქვს. ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით დეკლარაციებისა და რეზოლუციების მიღების მიუხედავად, ასამბლეა საკუთარი რეზოლუციების სისრულეში მოსაყვანად იძულებით ბერკეტებს – ეკონომიკურ სანქციებს ან სამხედრო ძალას ვერ გამოიყენებს

გენერალური ასამბლეა – *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კვაზი საკანონმდებლო ორგანო, რომელსაც არასავალდებულო რეზოლუციებისა და დეკლარაციების გამოცემის უფლებამოსილება აქვს. ასამბლეა საერთაშორისო სადავო საკითხების განხილვისას ფორუმის როლსაც ასრულებს. მის რიგებში გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოა წარმოდგენილი.*

3. **სეკრეტარიატი (Secretariat)** სრულ განაკვეთზე მომუშავე დაახლოებით ცხრა ათასი თანამშრომლისგან დაკომპლექტებული ბიუროკრატიული ორგანოა, რომლის პირადი შემადგენლობა ყოველდღიურ საქმიანობას

ასრულებს და გაეროს სხვა სპეციალიზებულ დაწესებულებებს ადმინისტრაციულ დახმარებას უწევს. სეკრეტარიატს სათავეში უდგას გაეროს გენერალური მდივანი, რომელსაც ხშირად „გაეროს სახედ“ (“face of the UN”) მიიჩნევენ. მას უფლება აქვს უშიშროების საბჭოს აცნობოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც, მისი აზრით, საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობას. სეკრეტარიატის თანამშრომლები, რომლებიც საერთაშორისო საჯარო მოხელეებად ითვლებიან, მხოლოდ გაეროსა და მისი მისიის წინაშე არიან ანგარიშვალდებული.

სეკრეტარიატი – *სრულ განაკვეთზე მომუშავე დაახლოებით ცხრა ათასი თანამშრომლისგან დაკომპლექტებული ბიუროკრატიული ორგანო, რომელსაც გაეროს გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს. სეკრეტარიატის პერსონალი, რომელიც ყოველდღიური საქმიანობით არის დაკავებული, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა სპეციალიზებულ დაწესებულებებს ადმინისტრაციულ დახმარება უწევს.*

4. **ეკონომიკური და სოციალური საბჭო (Economic and Social Council (ECOSOC)** კოორდინაციას უწევს და მეთვალყურეობს გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ პროგრამებს, ასევე არაერთი სპეციალიზებული სააგენტოების – ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, საერთაორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი – საქმიანობას. ECOSOC-ისადმი ანგარიშვალდებულების მიუხედავად, ისინი დამოუკიდებელი დაწესებულებები არიან. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სწორედ ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მეშვეობით ებრძვის სიღარიბეს, ასევე მისი დახმარებით ცდილობს ეკონომიკური განვითარების წახალისებასა და დაავადებათა კონტროლს. საბჭო თავის რიგებში ორმოცდათოთხმეტ წევრს ითვლის, მათ (*სახელმწიფოებს*) სამი წლის ვადით ირჩევენ. ECOSOC-ი ერთი სახელმწიფო ერთი ხმის პრინციპით ოპერირებს. გადაწყვეტილებებს უბრალო უმრავლესობით იღებენ.

ეკონომიკური და სოციალური საბჭო – *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი ორგანო, რომელიც კოორდინაციას უწევს და მეთვალყურეობს გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ პროგრამებს, მათ შორის სხვადასხვა სპეციალიზებული და ავტონომიური სააგენტოების საქმიანობას.*

5. **გაეროს საერთაშორისო სასამართლო (International Court of Justice (ICJ) ან მსოფლიო სასამართლო (World Court)** როგორც უკვე აღვნიშნეთ საერთაშორისო სამართლის მთავარი სასამართლოა.

6. **სამეურვეო საბჭო (Trusteeship Council)** თავდაპირველად გაეროს სამანდატო (*სამეურვეო*) ტერიტორიებისა და მათი დამოუკიდებლობისადმი სწრაფვის პროცესის მეთვალყურეობის მიზნით დაარსდა. 1994 წელს ამ ორგანომ დროებით შეაჩერა ფუნქციონირება, რადგან ამავე წლის პირველ ოქტომბერს გაეროს უკანასკნელმა სამეურვეო ტერიტორიამ, პალაუმ (Palau), დამოუკიდებლობა გამოცხადა.

სამეურვეო საბჭო – *გაეროს ექვსიდან ერთ-ერთი მთავარი ორგანო, რომელიც თავდაპირველად გაეროს სამანდატო (სამეურვეო) ტერიტორიებისა და მათი დამოუკიდებლობისადმი სწრაფვის პროცესის მეთვალყურეობის მიზნით დაარსდა. 1994 წელს სამეურვეო საბჭომ დროებით შეაჩერა ფუნქციონირება.*

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მსოფლიო საზოგადოების წინაშე მდგარ ეკონომიკურ თუ სოციალურ გამოწვევებს სწორედ ამ მთავარი ორგანოების, სააგენტოებისა და პროგრამების მეშვეობით უმკლავდება. გაერო ადამიანის უფლებათა განვითარების, მონიტორინგის, დაცვის (*იხ. თავი მეექვსე*), ასევე ეკონომიკური აღორძინებისა თუ სიღარიბის დაძლევის (*იხ. თავი მეშვიდე*) კუთხითაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს. გაერთიანებული ერები ბოლო წლებში კლიმატის ცვლილებისა და ეიჩ-1-ენ-1 (H1N1) ვირუსის გავრცელებით გამოწვეული პრობლემების აღმოსაფხვრელად აქტიურად მუშაობს (*იხ.თავი მერვე*).

ამ თავში გლობალური უსაფრთხოების, საერთაშორისო სამართლისა და წესრიგის შესახებ ვისაუბრებთ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ სამართლისა და წესრიგის უზრუნველყოფა

წესდების თანახმად, გაერო უფლებას იტოვებს ნებისმიერი მეთოდით დაიცვას საერთაშორისო სამართალი და წესრიგი. მას შეუძლია სისრულეში მოიყვანოს მსოფლიო სასამართლოს გადაწყვეტილებები და მშვიდობის დასამყარებლად მონაწილეობა მიიღოს კოლექტიური უსაფრთხოების ოპერაციებში. საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაზე, როგორც წესი, პასუხისმგებლობა უშიშროების საბჭოს ეკისრება, თუმცა ხანდახან თავისი სიტყვა გენერალურ ასამბლეაც ეთქმის.

მსოფლიო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება – ახლა კი გაეროს მეთოთხმეტე თავის ოთხმოცდამეთოთხმეტე მუხლში ჩავიხედოთ:

> თუ საქმის რომელიმე მხარე სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებულ ვალდებულებებს ვერ შეასრულებს, მეორე მხარეს შეუძლია დახმარების თხოვნით მიმართოს უშიშროების საბჭოს, რომელიც საჭიროების შეთხვევაში გასცემს რეკომენდაციებს ან მიიღებს გადამწყვეტ ზომებს, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად.[18]

უშიშროების საბჭოსათვის მინიჭებული ეს უფლებამოსილება როგორც ჩანს სრულდება. ხელშეკრულებებითა თუ ჩვეულებებით განსაზღვრულ კანონებს მსოფლიო სასამართლო პრაქტიკაში იყენებს. მისი გადაწყვეტილება სავალდებულოა მხარეებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში გაეროს უშიშროების საბჭოს უფლება აქვს ურჩ მხარეს გადაწყვეტილების შესრულება აიძულოს.

ამის მიუხედავად, მეთოთხმეტე თავს პრაქტიკაში იშვიათად იყენებენ. ყურადღება მიაქციეთ ფორმულირებას, ოთხმოცდამეთოთხმეტე მუხლი უშიშროების საბჭოს მოქმედების თავისუფლებას აძლევს – ეს უკანასკნელი სასამართლოს გადაწყვეტილებებს მხოლოდ „საჭიროების შემთხვევაში“ აღასრულებს. ამგვარად, უშიშროების საბჭოს მიერ მსოფლიო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება შეიძლება პოლიტიკური განსჯის საგანი უფრო იყოს, ვიდრე იურიდიულის. უშიშროების საბჭომ, ოთხმოცდამეთოთხმეტე მუხლის ფარგლებში, მსოფლიო სასამართლოს აღმასრულებელი ორგანოს ფუნქცია მხოლოდ რამდენიმე საქმეზე იტვირთა.

ამის მიუხედავად, მსოფლიო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებისას უშიშროების საბჭოს, როგორც სამართალდამცავი ორგანოს როლი შეზღუდული არ არის. ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში სამართალდამცავი ორგანო ბოროტმოქმედთა დასასჯელად შეზღუდული არ არის, მას შემდეგ რაც სასამართლო მათ დამნაშავეებად გამოაცხადებს. ამის საპირისპიროდ, პოლიციამ დროული რეაგირება უნდა მოახდინოს, სანამ უდანაშაულო ადამიანები დაზარალდებიან. იგივე ფუნქციას ასრულებს უშიშროების საბჭოც, რომელმც არსებული საფრთხეების თავიდან ასაცილებლად საპასუხო ზომები უნდა მიიღოს. ნებისმიერი პატიოსანი შერიფის მსგავსად, უშიშროების საბჭოსაც აკისრია სამართლის აღმსრულებლის ფუნქცია, რომელიც წინ უსწრებს სასამართლო სარჩელს.

კოლექტიური უსაფრთხოება გაეროს წესდების მეშვიდე თავი „მშვიდობისათვის დამუქრება, მშვიდობის დაღრვევა და აგრესიის აქტები“ უშიშროების საბჭოს საპასუხო ზომების მიღების უფლებას უტოვებს. უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ იგი ეყრდნობა ე.წ. **მეშვიდე თავის უფლებამოსილებას (Chapter VII Authority)**: პირველი, გასაზღვროს ასეთი საფრთხეების აღმოცენების წინაპირობა; მეორე, მხარეებს მოუწოდოს მდგომარეობის ესკალაციისგან თავი შეიკავონ; მესამე, საჭიროების შემთხვევაში მიმართოს არასამხედრო ღონისძიებებს; მეოთხე, თუ ეს ღონისძიებები შედეგს ვერ გამოიღებს, მშვიდობისა და სტაბილურობის აღსადგენად გამოიყენოს სამხედრო ძალა, როგორც აუცილებელი პირობა. მილიტარისტული ღონისძიებების იმპლემენტირებისას უშიშროების საბჭო საჭირო ძალებით გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ. ამგვარად, მეშვიდე თავი კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის საწინდარია.

მეშვიდე თავის უფლებამოსილება – *უფლებამოსილება, რომელიც უშიშროების საბჭოს გაეროს წესდების მეშვიდე თავის საფუძველზე მიენიჭა. როდესაც მსოფლიო მასშტაბით მშვიდობასა და სტაბილურობას საფრთხე ემუქრება უშიშროების საბჭოს საჭიროებიდან გამომდინარე როგორც არასამხედრო, ისე სამხედრო ძალის გამოყენების უფლება აქვს.*

მიუხედავად იმისა, რომ კოლექტიური უსაფრთხოების კუთხით უშიშროების საბჭოს მნიშვნელოვანი უფლებამოსილებით არის აღჭურვილი, მთავარ პრობლემად დღემდე ვეტო რჩება. 1946-2014 წლების შუალედში უშიშროების საბჭოში ვეტოს გამოყენების ორას სამოცდათოთხმეტი შემთხვევა დაფიქსირდა. ამ წლებში აკრძალვის უფლებით ძირითადად შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი/რუსეთი სარგებლობდა. ეს

ფაქტი ბიპოლარული ცივი ომის ეპოქისათვის დამახასიათებელ გამოწვევებზე მიუთითებს, როდესაც კაპიტალისტური და სოციალისტური ბანაკების მეხამრიდები პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვან საკითხთან მიმართებით განსხვავებულ შეხედულებებს აფიქსირებდნენ.

დროთა განმავლობაში ზოგიერთმა ქვეყანამ ვეტოს გამოყენებისადმი მიდგომა შეცვალა. დიაგრამა 5.2-ში ნაჩვენებია ვეტოთი სარგებლობის სამი პერიოდი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არსებობის პირველი ორი ათწლეულის განმავლობაში აკრძალვის უფლებას ერთეული გამონაკლისების გარდა მხოლოდ საბჭოთა კავშირი (*ას ექვსი შემთხვევა*) იყენებდა, რასაც ვერ ვიტყვით მის მეტოქე შეერთებულ შტატებზე, რომელსაც ამ პერიოდში ვეტოთი არ უსარგებლია. ხოლო უშიშროების საბჭოს დანარჩენმა სამმა მუდმივმა წევრმა იგი მხოლოდ რამდენჯერმე გამოიყენა. ამ სტრიქონების წაკითხვისას ნათელი ხდება, რომ ამ წლების გაეროში დომინირიებდნენ შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები, რომლებსაც უშიშროების საბჭოს დღის წესრიგზე დაწესებული კონტროლით საბჭოთა კავშირი ჩიხში ჰყავდათ მოქცეული. გაეროში სსრკ-ის პირველ ელჩს, ანდრეი გრომიკოს (Andrei Gromyko), ვეტოს ხშირი გამოყენების გამო დასავლეთში ზოგჯერ „მისტერ ნეტის“ (“Mr. Nyet”, *ქართ.* „*ბატონი არა*“) სახელით მოიხსენიებდნენ. დროთა განმავლობაში ვითარება რადიკალურად შეიცვალა. საბჭოთა ვეტოების შემცირების პარალელურად იზრდებოდა ამერიკული ვეტოები. ეს ცვლილება გაეროს წევრებსა და ზოგადად საერთაშორისო ურთიერთობებში მომხდარი გადასხვაფერებით იყო განპირობებული. 1970-იან წლებში კომუნისტური ბლოკის ქვეყნები და ევროპული კოლონიალიზმისგან გათავისუფლებული ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები შეერთებულ შტატებს გაეროს დღის წესრიგის კონტროლში ხელს უშლიდნენ. ამგვარად, აშშ თავისი და მოკავშირე ისრაელის ინტერესების დასაცავად სულ უფრო ხშირად იყენებდა ვეტოს უფლებას.

ვეტოს დადების მიუხედავად, მეშვიდე თავის უფლებამოსილების ფარგლებში, საერთაშორისო სამართალისა და წესრიგის დასამყარებლად მხოლოდ ორი კოლექტიური უსაფრთხოების ოპერაცია ჩატარდა. პირველი

დიაგრამა 5.2 უშიშროების საბჭოს ვეტო (*პერიოდის მიხედვით, თითოეული ქვეყნის მიერ გამოყენებული ვეტოები*)

წყაროები: Adapted from Global Policy Forum, “Changing Patterns in the Use of the Veto in the Security Council,” http://www.globalpolicy.org and from “Veto List,” Dag Hammarskjold Library Research Guides, United Nations, http://research.un.org/en/docs/sc/quick/veto.



ოპერაციის ჩატარება 1950 წელს კომუნისტური ჩრდილოეთი კორეის სამხრეთ კორეაში შეჭრამ განაპირობა. სამხრეთელებს შეერთებული შტატები უმაგრებდა ზურგს. რეზოლუცია, რომელსაც ამერიკელები უჭერდნენ მხარს და რომელიც ჩრდილოელთა სამხედრო შენაერთების სამხრეთი კორეის ტერიტორიიდან გასვლას მოითხოვდა, ვეტოს გამოყენების მიუხედავად დაამტკიცეს. შედეგად გაეროს სამშვიდობო ძალები ამერიკელი გენერლის, დუგლას მაკარტურის (Douglas MacArthur), ხელმძღვანელობით კორეის ომში ჩაერთნენ. ფიქრობდნენ, რომ საბჭოელები ვეტოს უფლებას გამოიყენებდნენ, თუმცა სსრკ-მა ბოიკოტი გამოუცხადა უშიშროების საბჭოს სხდომებს. საბჭოთა კავშირი დაჟინებით მოითხოვდა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოში ჩინეთის წარმომადგენლობა და მუდმივი წევრის სტატუსი ახალი კომუნისტური სახელმწიფოსათვის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის, გადაეცათ, თუმცა რუსების მოთხოვნას გაერთიანებულმა ერებმა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები უმაგრებდა ზურგს, უარით უპასუხა. კორეის ნახევარკუნძულზე უშიშროების საბჭოს მოულოდნელი წარმატება საბჭოთა კავშირის ტაქტიკურმა შეცდომამ გამოიწვია.

მეოცე საუკუნის მიწურულს კიდევ ერთი ოპერაცია განხორციელდა. 1990 წლის აგვისტოში ერაყის კუვეიტის შეჭრის საპასუხოდ უშიშროების საბჭომ კოლექტიური უსაფრთხოების მეორე ოპერაციის ჩატარება გადაწყვიტა. მსოფლიო საზოგადოების აზრით, ერაყმა უხეშად დაარღვია საერთაშორისო სამართალი და ფეხქვეშ გათელა კუვეიტის პოლიტიკური სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. როდესაც დარწმუნდნენ, რომ დიპლომატია და ეკონომიკური სანქციები ერაყს საკუთარ განზრახვაზე ხელს ვერ ააღებინებდა, საერთაშორისო თანამეგობრობამ კონტრზომების მიღება გადაწყვიტა. ბუშის ადმინისტრაციამ მოიწონა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 678 (United Nations Security Council Resolution 678), რომელიც ამერიკელებს კუვეიტიდან ერაყის გასაძევებლად „ყველა საჭირო საშუალების“ გამოყენების უფლებამოსილებას ანიჭებდა. შეიძლება ითქვას, რომ „ყველა საჭირო საშუალება“ სამხედრო ძალის გამოყენების აღმნიშვნელი ერთგვარი დიპლომატიური ევფემიზმია. შეერთებულ შტატებში შიშობდნენ, რომ ჩინეთი და საბჭოთა კავშირი რეზოლუციას ვეტოს დაადებდნენ, თუმცა სიტუაცია სხვაგვარად განვითარდა. ჩსრ-მ თავი შეიკავა, სსრკ-მა კი, რომელსაც შიდა პოლიტიკური თუ ეკონომიკური კრიზისის გამო დასავლეთის დახმარება ძალიან ესაჭიროებოდა, რეზოლუციას მხარი დაუჭირა.

ზოგიერთი მეცნიერი იმედოვნებდა, რომ კუვეიტის საკითხთან დაკავშირებით უშიშროების საბჭოს წევრების შეხმატკბილებული თანამშრომლობა პოსტცივიომისეული კოლექტიური უსაფრთხოების ახალ ეპოქას დაუდებდა სათავეს, თუმცა მათი იმედები ახალმა გეოპოლიტიკურმა რეალობამ გააქარწყლა. 1990-იან წლებში კომუნისტურ წყობას თავდაღწეულმა რუსეთმა დამოუკიდებელი თამაში წამოიწყო და საკუთარი ინტერესების შესახებ საჯაროდ განაცხადა, ხოლო აღმოსავლეთ აზიაში კი ახალი ეკონომიკური, პოლიტიკური და, სავარაუდოდ, სამხედრო გიგანტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა აღმოცენდა. 2003 წლის ერაყის კამპანიამ კი საბოლოოდ მოუღო ბოლო გაეროს კოლექტიური უსაფრთხოების განახლების იმედს. გაეროს უშიშროების საბჭომ ერაყის წინააღმდეგ დაწყებული სამხედრო მოქმედებები ვერ შეაჩერა, მიუხედავად იმისა, რომ მისი მუდმივი წევრები რუსეთი, ჩინეთი და საფრანგეთი ანტისაომარი რიტორიკით გამოირჩეოდნენ. შეერთებულმა შტატებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გვერდის ავლით სადამ ჰუსეინის (Saddam Hussein) წინააღმდეგ ომის დასაწყებად სპეციალური „ნებაყოფლობითი კოალიცია“ ჩამოაყალიბა.

2003 წელი, შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი (Colin Powell) სიტყვით მიმართავს გაეროს უშიშროების საბჭოს. მისი თქმით, ერაყი, სავარაუდოდ, მასობრივი განადგურების იარაღს ფლობდა. უშიშროების საბჭოს რეალისტი კრიტიკოსების განცხადებით, ამერიკელთა ერაყში შეჭრამ ცივი ომის დასრულების შემდგომ პერიოდში უსაფრთხოების საბჭოს განახლებასთან დაკავშირებულ ილუზიებს საბოლოოდ მოუღო ბოლო. თქვენი აზრით, ისინი მართლები არიან?

სამშვიდობო მისია კოლექტიური უსაფრთხოების ოპერაციებისგან განსხვავებით, გაერო სამშვიდობო ოპერაციებს ხშირად ატარებდა. **სამშვიდობო (Peacekeeping)** ოპერაციები კოლექტიური უსაფრთხოების ოპერაციებისგან (*ხშირად **იძულებით სამშვიდობო მოქმედებებს** უწოდებენ*) განსხვავდება. კორეასა და კუვეიტში ჩატარებული სამხედრო ოპერაციების დროს გაერო ფაქტობრივად საერთაშორისო სამართალის დამრღვევი სახელმწიფოების წინააღმდეგ აწარმოებდა ომს, რადგან მათი ქმედება საერთაშორისო მშვიდობასა და სტაბილურობას უქმნიდა საფრთხეს და, ამავდროულად, მეორე სახელმწიფოს პოლიტიკურ სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას კითხვის ქვეშ აყენებდა. შედეგად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალები მრავალრიცხოვანი და კარგად შეიარაღებული უნდა ყოფილიყვნენ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო ოპერაცია მიზნად ისახავს შეინარჩუნოს უკვე არსებული მშვიდობა, რომელიც მოლაპარაკების მონაწილე ან გამოუვალ სამხედრო მდგომარეობაში აღმოჩენილმა მხარეებმა დაამყარეს. როგორც წესი, შესაბამის რეგიონში გაეროს შეიარაღებული ძალები ყველა მხარის წინასწარი თანხმობით იკავებენ პოზიციებს. კოლექტიური უსაფრთხოების ძალებისგან განსხვავებით, მიუკერძოებელი სამშვიდობო ძალები, რომლებიც ბუფერის როლს ასრულებენ, უფრო მსუბუქად არიან შეიარაღებული და არც მრავალრიცხოვნობით გამოირჩევიან. 1948-2014 წლებში გაერთიანებულმა ერებმა სამოცდაცხრა სამშვიდობო მისია განახორციელა. ზოგიერთი მათგანი, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, გაეროს გენერალური ასამბლეის თაოსნობით დაიწყო, თუმცა მათი უმეტესობა გაეროს უშიშროების საბჭოს თანხმობით განხორციელდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც მრავალწლიანი ცივი ომი ისტორიის კუთვნილება გახდა, უშიშროების

სამშვიდობო მისია – *გაეროს სამხედრო ინტერვენცია, რომელიც მიზნად ისახავს შეინარჩუნოს უკვე არსებული მშვიდობა, რომელიც მოლაპარაკების მონაწილე ან გამოუვალ სამხედრო მდგომარეობაში აღმოჩენილმა მხარეებმა დაამყარეს. ასევე ცნობილია „პირველი თაობის სამშვიდობო მისიის“ სახელით.*

იძულებითი სამშვიდობო მოქმედებები – *მეზობელი ქვეყნის პოლიტიკური სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უგულებელმყოფელი სახელმწიფოების წინააღმდეგ გაეროს მიერ განხორციელებული სამხედრო ინტერვენციები.*

დიაგრამა 5.3 გაეროს სამშვიდობო მისიები 2015 წლის აპრილის მდგომარეობით

შენიშვნა: მოცემული თარიღი მიუთითებს მიმდინარე მისიის დაწყებას.
წყარო: United Nations, "List of Missions," http://www.un.org.



UNTSO—*UN Truce Supervision Organization,* 1948
UNMOGIP—*UN Military Observer Group in India and Pakistan,* 1949
UNFICYP—*UN Peacekeeping Force in Cyprus,* 1964
UNDOF—*UN Disengagement Force,* 1974
UNIFIL—*UN Interim Force in Lebanon,* 1978
MINURSO—*UN Mission for the Referendum in Western Sahara,* 1991
UNMIK—*UN Interim Administration Mission in Kosovo,*1999
UNMIL—*UN Mission in Liberia,* 2003
UNOCI—*UN Operation in Côte d'Ivoire,* 2004
MINUSTAH—*UN Stabilization Mission in Haiti,* 2004
UNMIS—*UN Mission in the Sudan,* 2005
UNAMID—*African Union/UN Hybrid Operation in Darfur,* 2007
MONUSCO—*UN Organization Stabilization Mission in the Democratic Republic of Congo,* 2010
UNISFA—*UN Interim Security Force for Abyei (Sudan),* 2011
MINUSMA—*UN Multidimensional Integrated Stabilization Mission in Mali,* 2013
MINUSCA—*UN Multidimensional Integrated Stabilization Mission in Central African Republic,* 2014

საბჭოს მრავალი თავსატეხი გაუჩნდა. კერძოდ, 1990 წლიდან მოყოლებული დღემდე გაერომ ორმოცდათერთმეტი სამშვიდობო მისია განახორციელა. დიაგრამა 5.3-ის თანახმად, 2015 წლის მდგომარეობით მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაეროს ეგიდით თექვსმეტი სამშვიდობო მისია (*მათ შორის ცხრა აფრიკაში*) განხორციელდა.

სამოქალაქო ომებითა და ეთნიკური კონფლიქტებით გამოწვეული ჰუმანიტარული კატასტროფების თავიდან ასაცილებლად გაეროს შეიარაღებული ძალები, რომლებსაც ხშირად „გაეროს ცისფერჩაფხუტიანების" ("UN blue helmets") სახელითაც მოიხსენიებენ, ბოსნიასა და სომალიში გააგზავნეს. ამგვარად, ტრადიციული ან პირველი თაობის სამშვიდობო მისიისგან განსხვავებით, მეორე თაობის სამშვიდობო მისიის გაეროს შეიარაღებულ ძალები ცეცხლის შეწყვეტამდეც ერევიან კონფლიქტში. მეორე თაობის სამშვიდობო მისიას ზოგჯერ **„მშვიდობისმყოფელის" (Peacemaking)** სახელით მოიხენიებენ, რადგან მათ კონფლიქტის მონაწილე მხარეების თანხმობით ან თანხმობის გარეშეც ევალებათ მშვიდობის დამყარება (*იხ. ტაბულა* 5.1). პირველი თაობისაგან განსხვავებით, მეორე თაობის სამშვიდობო ძალები გაცილებით მრავალრიცხოვანი არიან და მძიმედ შეიარაღებული.

გაეროს მშვიდობისმყოფელების ძალისხმევამ მთელ რიგ შემთხვევაში მარცხი განიცადა. მათ შორის აღსანიშნავია 1994 წელს რუანდაში მომხდარი საყოველთაოდ ცნობილი გენოციდი, რომელიც მშვიდობისმყოფე-

მშვიდობისმყოფელი – *გაეროს შეიარაღებული ძალების თაოსნობით განხორციელებული ინტერვენცია, რომელიც კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის მშვიდობის დამყარებას ითვალისწინებს. მშვიდობისმყოფელები თავდაპირველად შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტების დროს გამოიყენეს. ასევე ცნობილია „მეორე თაობის სამშვიდობო მისიის" სახელით.*

ტაბულა 5.1 გაეროს განხორციელებული სამხედრო ინტერვენციის სამი ტიპი

	იძულებითი სამშვიდობო მოქმედებები	სამშვიდობო მისია (*პირველი თაობის სამშვიდობო მისია*)	სამშვიდობო მისია (*მეორე თაობის სამშვიდობო მისია*)
მიზანი	საზღვრის უკანონო გადაკვეთა	ცეცხლის შეწყვეტის შენარჩუნება	ცეცხლის შეწყვეტის დაკისრება
კონფლიქტის მონაწილე მხარეები	სახელმწიფოები	სახელმწიფოები ან სუბეროვნული ჯგუფები	სუბეროვნული ჯგუფები
ყველა მხარის თანხმობა	არა	დიახ	სასურველია, თუმცა სავალდებული არ არის
გაეროს შეიარაღებული ძალების მიუკერძოებლობა	არა	დიახ	სასურველია, თუმცა სავალდებული არ არის
გაეროს შეიარაღებული ძალების აუცილებლობა	ინტენსიური	უმნიშვნელო	ზომიერი

ლებმა ვერ შეაჩერეს (*იხ. თეორია პრაქტიკაში* 5.2). ასევე, 1995 წლის ზაფხულში იუგოსლავიის ყოფილ რესპუბლიკაში, ბოსნიაში, ექვსასი ცუდად შეიარაღებული ჰოლანდიელი მშვიდობისმყოფელი უმოქმედოდ იდგა, როდესაც სერბეთის შეიარაღებული ძალები ბოსნიის ქალაქ სრებრენიცას (Srebrenica) არტილერიით ბომბავდნენ. ინციდენტამდე ცოტა ხნით ადრე ქალაქი „უსაფრთხო თავშესაფრად“ ითვლებოდა, სადაც საბრძოლო მოქმედებებს გამოქცეული ლტოლვილები აფარებდნენ თავს. ამის მიუხედავად, გაეროს შეიარაღებული ძალები არც მაშინ ჩარეულან, როდესაც სერბებმა ერთად თავმოყრილი ბოსნიელი მუსულმანები სიკვდილით დასაჯეს. სრებრენიცაში დისლოცირებული გაეროს ჰოლანდიური სამხედრო შენაერთის მეთაური დამატებითი ძალების გაგზავნასა და საჰაერო მხარდაჭერას უშედეგოდ ითხოვდა. მისი სიტყვები ყურად არ იღეს. საბოლოო ჯამში, შვიდი ათასი მუსულმანი გამოასალმეს სიცოცხლეს. გაეროს დამცავი ძალები (UN Protection Force (UNPROFOR) გაეროს საკუთარი თავის დამცავი ძალების (UN Self-Protection Force) სახელით გახდა ცნობილი.[19] ზემოთქმულის მიუხედავად, იყო წარმატებული მისიებიც. მაგალითად, დასავლეთი აფრიკის კიდეში მდებარე სიერა ლეონაში (UNAMSIL) მთავრობასა და გაერთიანებულ რევოლუციურ ფრონტს (Revolutionary United Front (RUF) შორის მიმდინარე თერთმეტწლიანი სამოქალაქო ომი 2001 წელს გაეროს უშუალო ჩარევით დასრულდა.

შედარებით დიდმა კონტიგენტმა, რომელშიც ჩვიდმეტი ათასზე მეტი გაეროს მშვიდობისდამცველი იყო თავმოყრილი, ცეცხლის შეწყვეტა უზრუნველყო. 2002 წელს ქვეყანაში შედარებით თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ჩატარდა. სიერა ლეონეში გაეროს მისია 2005 წელს დასრულდა. ათი ათასობით მებრძოლს იარაღი ჩამოართვეს და სახლში გაუშვეს. სამშობლოში დაბრუნდა დაახლოებით სამასი ათასი ლტოლვილი, რომლებიც ომის გამო თავის დროზე ქვეყნიდან გაიქცნენ.[20] გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ლიბერიასა და აღმოსავლეთ ტიმორშიც წარმატებით განახორციელა სამშვიდობო მისიები.

გარდა ამისა, გაეროს სამშვიდობო მისიების მხარდამჭერთა განცხადებით, 2015 წლისთვის, ზემოხსენებული თექვსმეტი მისიის განახორციელებლად საერთო ჯამში რვა მილიარდ ოთხას სამოცდაათი მილიონი აშშ დოლარი დაიხარჯა.[21] 2013 წელს გლობალური თავდაცვითი ხარჯები 1.9 პროცენტით, მილიარდ შვიდასი მილიონი აშშ დოლარით შემცირდა.[22]

თეორია პრაქტიკაში 5.2

მშვიდობის შენარჩუნება და მშვიდობის დამყარება

ფილმში „სასტუმრო „რუანდა“ (Hotel Rwanda) არის ერთი სცენა, რომელშიც რეპორტიორი 1994 წელს რუანდაში განხორციელებული გენოციდის დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეაგირების გამო ამ ორგანიზაციის ერთ-ერთ წარმომადგენელს უპირისპირდება. აფრიკის ამ ქვეყანაში მოწყობილ მასობრივ ხოცვა-ჟლეტას რვაასი ათასზე მეტი ეთნიკურად ტუტსი და ზომიერად განწყობილი ჰუტუს ტომის წარმომადგენლები ემსხვერპლნენ. გენოციდის დაწყებისას რუანდაში უკვე იმყოფეოდნენ გაეროს სამშვიდობო ძალები, თუმცა სასაკლაოს შესაჩერებლად, როგორც ჩანს, არაფერი იღონეს.

რეპორტიორი: „ჩვენამდე მოაღწია ინფორმაციამ მასობრივი ხოცვა-ჟლეტის შესახებ. ამ სისხლისღვრის შესაჩერებლად მიიღებს თუ არა გაერო შესაბამის ზომებს?“

გაეროს წარმომადგენელი: „ჩვენ აქ მშვიდობას ვიცავთ და არ გვევალება მშვიდობის დამყარება. მიბრძანეს არ ჩავერიო“.

გაერთიანებული ერების წარმომადგენელი ტექნიკური თვალსაზრისით მართალი იყო, რადგან რუანდაში გაეროს სადამხმარებლო მისია (UNAMIR) სამშვიდობო მისიის ნათელი მაგალითი გახლდათ. ეს სადამხმარებლო მისია არუშას სამშვიდობო შეთანხმების (Arusha Peace Agreement) დაცვის უზრუნველსაყოფად შეიქმნა. 1993 წელს რუანდის მთავრობა (*ჰუტუ*) და „რუანდის პატრიოტული ფრონტი“ (Rwandan Patriotic Front (RPF) – *ტუტსი*), რომლებიც ერთმანეთს 1990 წლიდან ებრძოდნენ, დაზავდნენ. რუანდაში გაეროს სადამხმარებლო მისია შედგებოდა მცირერიცხოვანი, მსუბუქად შეიარაღებული ჯარისკაცებისგან, რომლებსაც ამ სისხლიანი კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარეს მშვიდობის შენარჩუნებაში უნდა დახმარებოდნენ.

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, უკომპრომისო ჰუტუები არუშას სამშვიდობო შეთანხმების შესრულებას არ აპირებდნენ. ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე მშვიდობის დამყარება გახდა საჭირო და არა მშვიდობის შენარჩუნება. შექმნილმა ვითარებამ კარგად აღჭურვილი მშვიდობისმყოფელთა რაოდენობის გაზრდა მოითხოვა. რუანდაში გაეროს მისიის მეთაური რომეო დალერი (Romeo Dallaire) დახმარებას დაჟინებით ითხოვდა. როდესაც ჰუტუებმა ათი ბელგიელი მშვიდობისდამცველი სიცოცხლეს გამოასალმეს, გაერომ ჯერ დასავლელების ევაკუაცია მოახდინა, შემდეგ კი სადამხმარებლო მისია შეამცირა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ტუტსები ბედის ანაბარა მიატოვა. რეალისტების აზრით, ამ შემთხვევამ გაეროს სისუსტე და უმოქმედობა გამოავლინა; ლიბერალი ინსტიტუციონალისტებისათვის ეს იმის მანიშნებელია, რომ მსგავსი შემთხვევების განმეორების თავიდან ასარიდებლად საერთაშორისო ინსტიტუტები უნდა გაძლიერდეს; კონსტრუქტივისტების შეხედულებით კი რუანდის მაგალითი იმის ნათელი დადასტურებაა, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ სისხლისღვრის შესაჩერებლად შესაბამისი ზომები უნდა მიიღოს.

- თქვენი აზრით, გონივრული გადაწყვეტილება იქნებოდა, რომ გაეროს რუანდაში უფრო მრავალრიცხოვანი და კარგად შეიარაღებული სამშვიდობო ძალები განელაგებინა? განმარტეთ თქვენი შეხედულებები.
- როგორ ფიქრობ, გაერომ შიდა კონფლიქტების დარეგულირებაზე უნდა მოახდინოს კონცენტრირება თუ სახელმწიფოთაშორისო ომებზე?
- რეალისტების მტკიცებით, რუანდაში გაეროს მისიის წარუმატებლობამ საერთაშორისო ინსტიტუტების სისუსტესთან დაკავშირებით მათი შეხედულება დაადასტურა. ეთანხმებით ამ მოსაზრებას? და თუ ეთანხებით რატომ?

მართლაც, ბოლო წლებში შეერთებული შტატების ყოველწლიური თავდაცვითი ხარჯები დაახლოებით ექვსას მილიარდ აშშ დოლარს აღწევს, რაც, თავის მხრივ, გაეროს სამშვიდობო მისიის ყოველწლიურ ბიუჯეტს დაახლოებით სამოცდაათჯერ აღემატება. ამ მცირე ხარჯების მიუხედავად, ცივი ომის დასრულების შემდგომ პერიოდში გაეროს სამშვიდობო ძალებს მოვალეობის შესრულება არ შეუწყვეტიათ. 2015 წლის თებერვლის მონაცემებით, სამშვიდობო ძალების დავალიანება დაახლოებით ორ მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა.[23]

ფინანსური პრობლემები 1990-იანი წლების მიწურულს მას შემდეგ დაიწყო, როდესაც შეერთებულმა შტატებმა (*რომელიც გაეროს სამშვიდობო მისიის ბიუჯეტის ერთ მეოთხედს ავსებდა*) გადასახადების გადახდაზე უარი განაცხადა. ამერიკელთა უარი ამ ორგანიზაციის კაპიტალის არასწორი განაწილებით იყო განპირობებული. 2008 წლის მდგომარეობით, შეერთებულ შტატებს სამ მილიარდამდე აშშ დოლარი ჰქონდა გადასახდელი. ამ თანხით გაეროს სამშვიდობო მისიები უნდა დაეფინანსებინათ.[24] გაეროს იმჟამინდელმა გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა (Ban Ki-moon) შეერთებულ შტატებს „არაგადამხდელი დონორი“ უწოდა.[25] არსებული დავალიანება ობამას ადმინისტრაციამ დაფარა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეფორმირება

მათ ვისაც სურთ, რომ გაერო კოლექტიური უსაფრთხოების მიმართულებით უფრო აქტიურ როლს ასრულებდეს უნდა ესმოდეთ, რომ მთავარი პრობლემა მის სტრუქტურაში მდგომარეობს: კერძოდ, იძულების უფლებით აღჭურვილი უშიშროების საბჭო ვეტოს გამო ხშირად ჩიხში ექცევა. ეს იმ დროს, როდესაც გაეროს მეორე ორგანოს, გენერალურ ასამბლეას, რომელსაც ვეტოს ფუნქცია არ გააჩნია, უშიშროების საბჭოს მსგავსი იძულების უფლებამოსილება არ გააჩნია. ამასთანავე, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც მთელ რიგ შემთხვევაში კომპრომისული ნაბიჯებით გამოირჩევა, სუვერენული სახელმწიფოს პრინციპისადმი ერთგულებას ინარჩუნებს.

1950 წლის კორეის კონფლიქტმა ამ კომპრომისის შეზღუდვები გამოავლინა. რომ არა_საბჭოთა კავშირის ბოიკოტის მოულოდნელი წარმატება, კორეის ნახევარკუნძულზე გაეროს კოლექტიური უსაფრთხოების ოპერაციებს ვეტოს დაადებდნენ. 1950 წელს შეერთებულმა შტატებმა წარადგინა **რეზოლუცია გავერთიანდეთ მშვიდობისათვის (Uniting for Peace Resolution)**, რომლის თანახმადაც თუ უშიშროების საბჭო ვეტოს გამო გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, მსოფლიო მშვიდობასა და უსაფრთხოებას გენერალური ასამბლეა უზრუნველყოფდა. რეზოლუცია ორმოცდათორმეტი ხმით ხუთის წინააღმდეგ მიიღეს (*ორმა სახელმწიფომ თავი შეიკავა*). მას მხარი არ დაუჭირა საბჭოთა კავშირმა და მისმა რამდენიმე მოკავშირემ. თეორიული თვალსაზრისით შესაძლებელი იყო, რომ ეს რეზოლუცია შეერთებული შტატების ვეტოს დასაძლევად გამოეყენებინათ. თუმცა, აშშ-მა ყველაფერი იღონა, რომ თავისი ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო საკითხები უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში არ მოხვედრილიყო. პრინციპში, ამ რეზოლუციის ძალით, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ საკუთარ თავზე აიღო კოლექტიური უსაფრთხოების ფუნქცია. Uniting for Peace Resolution-ის ფარგლებში ჩატარებული ოპერაციები ზღუდავდა სამშვიდობო მისიებს, რადგან გენერალური ასამბლეა, უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით ზესახელმწიფოებთან დაპირისპირებას თავს არიდებდა.

რეზოლუცია გავერთიანდეთ მშვიდობისათვის – *შეერთებული შტატების წარდგენილი რეზოლუცია, რომელიც* 1950 *წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა. რეზოლუციის თანახმად, თუ უშიშროების საბჭო ვეტოს გამო გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, მსოფლიო მშვიდობასა და უსაფრთხოებას გენერალური ასამბლეა უზრუნველყოფდა.*

1990-იანი წლების დასაწყისში იმედოვნებდნენ, რომ გაერო კოლექტიური უსაფრთხოების მიმართულებით უფრო ეფექტურ და საერთაშორისო სამართლისა და წესრიგის დამცველ ინსტიტუტად ჩამოყალიბდებოდა. 1991 წელს სპარსეთის ყურის ომში (1991 Persian Gulf War) მისი ეგიდით ჩატარებულმა კოლექტიურმა უსაფრთხოების წარმატებულმა ოპერაციამ დაპირებული ახალი ეპოქის დაწყების მოლოდინი გააჩინა. სსრკ-ის დაშლისა და ცივი ომის დასრულების შემდეგ შეერთებულ შტატებსა და პოსტკომუნისტურ რუსეთს შორის აღმოცენებულმა პოზიტიურმა ურთიერთობებმა გააძლიერა შეგრძნება, რომ უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს შორის ერთსულოვნება დაისადგურებდა. მართლაც, 1990-იან წლებში აქტიურად მოქმედმა უშიშროების საბჭომ მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში არაერთი სამხედრო ინტერვენციის დაწყებაზე გასცა თანხმობა. მშვიდობის შენარჩუნებისა თუ მშვიდობის დამყარების მიზნით წამოწყებული მისიების შედეგებზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

2003 წლის მოვლენების დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გამოვლენილმა უუნარობამ ცივი ომის დასრულების შემდგომ პერიოდში აღმოცენებულ ოპტიმისტურ აღტკინებას საბოლოოდ მოუღო ბოლო. გაერომ ვერც სადამ ჰუსეინთან გამონახა საერთო ენა და ვერც აშშ შეაჩერა, რომელიც მისი გვერდის ავლით ერაყში ომის დასაწყებად ემზადებოდა.[26] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგრამის – „ნავთობი საკვების სანაცვლოდ“ (Oil-for-Food Programme) – ირგვლივ აგორებულმა კორუფციულმა სკანდალმა გაეროს რეპუტაციას კიდევ ერთი დარტყმა მიაყენა. გაერთიანებული ერების მკაცრი ეკონომიური სანქციების ქვეშ მოქცეულ ერაყს 1995 წლის დასაწყისიდან საკვებისა და სხვა ჰუმანიტარული საგნების სანაცვლოდ ნავთობის გარკვეული რაოდენობის გაყიდვის ნება დართეს. გავრცელებული ინფორმაციით, პროგრამის მოქმედებისას კორუფციის ნიშნები გამოიკვეთა. სადამ ჰუსეინის ჯიბეში მილიარდობით აშშ დოლარი უკანონოდ მიედინებოდა. ბრალდებულთა შორის გაეროს ჩინოვნიკები და უცხოელი პოლიტიკოსებიც აღმოჩნდნენ.

რეალისტების აზრით, გაეროსა და კოლექტიური უსაფრთხოების კონცეფციას მსგავსი ნაკლოვანებები ახასიათებს. მათი შეხედულებით, კოლექტიური უსაფრთხოების მოდელი მაშინ არის წარმატებული, როდესაც ყველა ზესახელმწიფო ერთი კონკრეტული სადავო საკითხის გარშემო ერთიანდება. როდესაც ისინი სასიცოცხლო ინტერესებთან დაკავშირებით საერთო ენას ვერ პოულობენ, კოლექტიური უსაფრთხოების არსი თავის მნიშვნელობას კარგავს, რაც ნათლად გამოჩნდა 2003 წლის ერაყის კამპანიისას.

გაეროს ლიბერალი მხარდამჭერების მტკიცებით, პრობლემა არა კონცეფციაში, არამედ მის აღსრულებაში მდგომარეობს. ბოლო წლებში ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტურობის ასამაღლებლად სხვადასხვა სტრუქტურული რეფორმის განხორციელება დაისახეს მიზნად. ეს რეფორმები გაერთიანებული ერების მოდერნიზირებას ითვალისწინებს. რეფორმატორები იმედოვნებენ, რომ სამოცდაათი წლის წინ დაარსებული ეს უნივერსალური ორგანიზაცია თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის წინაშე მდგარ გამოწვევებს ადეკვატურ პასუხს გასცემს. რეფორმები უკავშირდება გაეროს უშიშროების საბჭოს ვეტოს, უშიშროების საბჭოს გაფართოებისა და გაეროს რეგულარული შეიარაღებული ძალების შექმნის საკითხებს.

ვეტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გაძლიერების მომხრეები უშიშროების საბჭოს ვეტოს შესახებ ხშირად მსჯელობენ. არაერთმა მიმომხილველმა, მათ შორის იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა, რომლებიც მისი გამოყენების უფლებით აღჭურვილ პრივილეგირებულ ხუთეულთა რიცხვს არ მიეკუთვნებიან, წინადადება წამოაყენეს თანდათანობით გააუქმონ ან შეზღუდონ ის საკითხები, რომლებიც შეიძლება

ვეტოთი დაბლოკოს. 2004 წლის დეკემბერში იმჟამინდელი გენერალური მდივნისთვის, კოფი ანანისათვის (Kofi Annan), მომზადებულ საანგარიშო მოხსენებაში ვკითხულობთ: „ვეტო თავისი ანაქრონისტული ბუნებიდან გამომდინარე არ შეეფერება იმ ინსტიტუტს, რომელიც მზარდ დემოკრატიულ ეპოქაში ფუნქციონირებს“.[27]

დროთა განმავლობაში ვეტოს გამოყენების პრაქტიკამ იკლო (*იხ. დიაგრამა* 5.2). ამის მიუხედავად, „მუდმივი ხუთეული“ მას დღემდე კონკრეტული საკითხების გადაჭრის პროცესში ეფექტურ ინსტრუმენტად მიიჩნევს. დახურულ კარს მიღმა გამართული თათბირებისას უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები საკუთარი ინტერესების დასაცავად ხშირად იმუქრებიან ვეტოს გამოყენებით. ამ ფენომენს **ფარული ვეტოს (Closet Veto)** სახელით მოიხსენიებენ. 2004 წლის გაეროს საანგარიშო მოხსენებაში, რომლის შესახებ ზემოთ უკვე მოგახსენეთ, შავით თეთრზე წერია: „ვეტოს გამოყენების უფლებით აღჭურვილი წევრების შეცვლის რეალური საშუალება არ არსებობს“.[28] ამ საანგარიშო მოხსენებაში განისაზღვრა, რომ „მუდმივი ხუთეული“ მხოლოდ მაშინ გამოიყენებდა ვეტოს თუ მათ სასიცოცხლო ინტერესებს საფრთხე დაემუქრებოდა, ხოლო როდესაც საქმე გენოციდს ან ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს შეეხებოდა ვეტოთი სარგებლობაზე უარს იტყოდნენ. 2015 წელს „ემნესთი ინთერნეშენალის“ (Amnesty International) განცხადებით, უშიშროების საბჭომ სირიაში, ნიგერიასა და უკრაინაში უდანაშაულო სამოქალაქო პირები ვერ დაიცვა. მან მხოლოდ ის მოახერხა, რომ „მუდმივი ხუთეულისათვის“ შეეხსენებინა მიცემული დაპირებები, რომლებიც მასობრივი ხოცვა-ჟლეტის შემთხვევებზე ვეტოს არგამოყენებას უკავშირდებოდა.[29]

ფარული ვეტო – *დახურულ კარს მიღმა გამართული თათბირებისას უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები საკუთარი ინტერესების დასაცავად ხშირად იმუქრებიან ვეტოს გამოყენებით. ამ ფენომენს ფარული ვეტოს სახელით მოიხსენიებენ.*

უსაფრთხოების საბჭოს გაფართოება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეფორმირებასთან დაკავშირებული დისკუსიისას ხშირად განიხილავენ უშიშროების საბჭოს გაფართოების საკითხსაც, რომელიც მუდმივი წევრების რაოდენობის ზრდას ეხება. გაფართოების მომხრეების განცხადებით, 1946 წლის შემდეგ მსოფლიო მნიშვნელოვნად შეიცვალა. ხოლო აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნა კი ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამხედრო თვალსაზრისით წამყვან მოთამაშედ ჩამოყალიბდა. უშიშროების საბჭოს დღეს რომ ნულიდან ვაკომპლექტებდეთ საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ნაცვლად ალბათ იაპონიას ან ინდოეთს მივანიჭებდით უპირატესობას, რადგან ამომავალი მზის ქვეყანას მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ეკონომიკა აქვს, ინდოელების შემთხვევაში კი ქვეყნის სიდიდეს, მოსახლეობის რაოდენობას, ბირთვულ იარაღსა და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს გავითვალისწინებდით. უშიშროების საბჭოს ევროპელი წევრი სახელმწიფოები მიმდინარე გეოპოლიტიკურ რეალიებსა თუ თანამედროვე მსოფლიო ტენდენციებს განსხვავებულად უყურებენ.

2004 წელს კოფი ანანმა გაეროს წევრ სახელმწიფოებს ამ საკითხით დაინტერესება ურჩია. ყოფილმა გენერალურმა მდივანმა უშიშროების საბჭოს გაფართოების ორი სავარაუდო მოდელი (*იხ. ცხრილი* 5.2) წარადგინა. მოდელი A ითვალისწინებდა ექვს ახალ მუდმივ და სამ ახალ დროებით ადგილს. ხოლო მოდელი B-ს მიხედვით, მუდმივი წევრების რაოდენობა უცვლელი რჩებოდა, თუმცა ემატებოდა რვა ადგილი ოთხი წლის ვადით და ერთი ადგილი ორი წლის ვადით. ორივე მოდელი უშიშროების საბჭოს წევრთა რაოდენობის თხუთმეტიდან ოცდაოთხამდე გაზრდას ითვალისწინებდა. ახალ ადგილებს რეგიონების მიხედვით ამატებდნენ. ამასთანავე, ორივე მოდელი ვეტოსთან დაკავშირებულ პრობლემას თავს არიდებდა და „მუდმივ ხუთეულს“ ვეტოს გამოყენების უფლებას უზღუდავდა.

ტაბულა 5.2 გაეროს უშიშროების საბჭოს გაფართოებასთან დაკავშირებული მოდელები

მოდელი A რეგიონი	სახელმწიფოების რაოდენობა	მუდმივი ადგილები (ამჟამინდელი)	შემოთავაზებული ახალი მუდმივი ადგილები	შემოთავაზებული ახალი მუდმივი ადგილები	ჯამი
აფრიკა	53	0	2	4	6
აზია/წყნარი ოკეანის რეგიონი	56	1	2	3	6
ევროპა	47	3	1	2	6
ამერიკა	35	1	1	4	6
შედეგები	191	5	6	13	24
მოდელი B **რეგიონი**	**სახელმწიფოების რაოდენობა**	**მუდმივი ადგილები (ამჟამინდელი)**	**შემოთავაზებული ახალი მუდმივი ადგილები**	**შემოთავაზებული ახალი მუდმივი ადგილები**	**ჯამი**
აფრიკა	53	0	2	4	6
აზია/წყნარი ოკეანის რეგიონი	56	1	2	3	6
ევროპა	47	3	2	1	6
ამერიკა	35	1	2	3	6
შედეგები	191	5	8	11	24

წყარო: "In Larger Freedom: Toward Development, Security, and Human Rights for All," Report of UN Secretary-General, March 21, 2005, para. 170, http://www.un.org/largerfreedom/contents.htm.

ამ მოდელების შედგენა ადვილია, რასაც ვერ ვიტყვით ქვეყნებს შორის ადგილების განაწილებაზე. მოდელი A თავისი არსით რთულია, რადგან ექვსი ახალი მუდმივი წევრის დამატებას ითვალისწინებს. მაგალითად, თუ ინდოეთი უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი გახდებოდა, მისი რეგიონალური მოწინააღმდეგე პაკისტანიც ამავე სტატუსზე განაცხადებდა პრეტენზიას. თუ აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონისათვის განკუთვნილ ორ ადგილს ეს სახელმწიფოები დაიკავებდნენ, იაპონია თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. თუ უშიშროების საბჭოს გაფართოება ამომავალი მზის ქვეყანას არ შეეხებოდა, ეკონომიკურ ნიადაგზე გერმანიისათვის მუდმივი წევრის სტატუსის მინიჭება კითხვებს გააჩენდა. ასევე საინტერესოა თუ ვინ დაიკავებდა ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკისათვის განკუთვნილ ადგილებს? ბრაზილია მუდმივი წევრის სტატუსის მოსაპოვებლად იბრძვის და სავსებით შესაძლებელია, რომ ტერიტორიული განფენილობის გამო ეს ადგილი მიიღოს კიდეც. ამის მიუხედავად, მექსიკას, არგენტინასა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება განსხვავებული მოსაზრება ჰქონდეთ, თუმცა ესპანურენოვან კონტინენტზე პორტუგალიურად მოსუბრე ქვეყნისათვის ამ სტატუსის მინიჭებამ შეიძლება პრობლემები გამოიწვიოს.

მოდელი B-ს თანახმად, უნდა შეიქმნას რვა ახალი დამატებითი ადგილი, რომელიც კვაზი-პერმანენტულ ხასიათს ატარებს, რადგან წამყვან ქვეყნებს ხელმეორედ არჩევის შესაძლებლობა აქვთ. ამავდროულად ეს მოდელი თავისი შინაარსით საკმაოდ მოქნილია და „მუდმივ ხუთეულსა" და უშიშროების საბჭოს სხვა წევრებს შორის განსხვავებულობას უსმევს ხაზს. მუდმივი წევრები ინარჩუნებენ ვეტოს გამოყენების განსაკუთრე-

ბულ პრივილეგიას და ახალწვეულებისგან განსხვავებით უშიშროების საბჭოში ადგილების დაკარგვის საფრთხე არ ემუქრებათ. უშიშროების საბჭოს გაფართოებასთან დაკავშირებული დისკუსიების მიუხედავად, საყოველთაო შეთანხმებისათვის ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ.

გაეროს რეგულარული არმია უშიშროების საბჭოს რეფორმირება გაერთიანებული ერების რეგულარული არმიის შექმნასაც ითვალისწინებს. როდესაც დღის წესრიგში სწრაფი ინტერვენციის საკითხი დგებოდა, უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სამხედრო შენაერთების თავმოყრის პროცესი სამიდან ექვს თვემდე იწელებოდა. ჰუმანიტარული საგანგებო შემთხვევებისას, როგორც წესი, ყოველი წუთი ძალიან მნიშვნელოვანია. გაეროს „სწრაფმოქმედი არმია“ გადაწყვეტილების მიღებიდან მალევე შეძლებს მოქმედების დაწყებას. შემოთავაზებული ინიციატივის თანახმად, უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, გენერალური მდივნის ბრძანებით, ხუთი ათასიდან თხუთმეტ ათასამდე მშვიდობისდამცველს მსოფლიოს ნებისმიერ მხარეში გადაისვრიან.

ცივი ომის დასრულების შემდგომ პერიოდში ეს იდეა გაეროს იმჟამინდელმა გენერალურმა მდივნმა ბუტროს ბუტროს გალმა (Boutros Boutros-Ghali) გააჟღერა. 2000 წელს მისმა მემკვიდრე კოფი ანანმა გაეროს სამშვიდობო ოპერაციების განსახილველად სპეციალური კომისია მოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ წევრი სახელმწიფოები გაეროს რეგულარული არმიის შექმნის იდეას ეწინააღმდეგებოდნენ, კომისიის შემაჯამებელ მოხსენებაში ვკითხულობთ, რომ მის გარეშე თანამედროვე გამოწვევებთან გამკლავება დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება.[30] 2014 წელს ახალმა გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა, პირველად 2000 წლის შემდეგ, სამშვიდობო ოპერაციების განსახილველად კიდევ ერთი მაღალი დონის დამოუკიდებელი კომისია მოიწვია.[31]

სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მისაღებად საგანგებოდ მომზადებული დაახლოებით ხუთი ათასი სამხედრო პირით დაკომპლექტებული საერთაშორისო „მაღალი საბრძოლო მზადყოფის სარეზერვო ბრიგადა“ (Standby High Readiness Brigade (SHIRBRIG) გაეროს მომავალი რეგულარული არმიის მოდელი გახლდათ. SHIRBRIG-ის ჩამოყალიბებაში ძირითადად თექვსმეტი ევროპული სახელმწიფო მონაწილეობდა. ზემოთქმულის მიუხედავად, კონცეფციას კონკრეტული შეზღუდვებიც ჰქონდა. ეს გახლდათ შედარებით მცირერიცხოვანი არმია, რომელიც სწრაფმზარდ სამშვიდობო მისიებში უნდა ჩართულიყო. სამხედროები თავიანთ ქვეყნებში რჩებოდნენ, თუმცა კრიზისის დაწყებისთანავე შეიკრიბებოდნენ და შესაბამის მომზადებას გაივლიდნენ. და ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი – კონკრეტულ შემთხვევაში ჯარისკაცების დისლოცირება მონაწილე ქვეყნების თანხმობით უნდა მომხდარიყო.[32] 1996 წელს ჩამოყალიბებული SHIRBRIG-ი, რომელმაც გაეროს ეგიდით ჩატარებულ რამდენიმე მისიაში მიიღო მონაწილეობა, 2009 წელს დაიშალა.

იმ დროს, როცა გაეროს რეგულარული არმიის შექმნის იდეის მომხრეები საკუთარი გეგმის იმპლემენტაციისათვის დღემდე აქტიურად იბრძვიან, სახელმწიფოთა უმრავლესობას თავისი ჯარისკაცების სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების პერსპექტივა ნამდვილად არ ხიბლავს. ამ იდეის ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, კონფლიქტურ სიტუაციებში საკუთარი მოქალაქეების გაგზავნა კონსტიტუციურ პროცედურებს ეწინააღმდეგება. ბოლო წლებში რეგიონალურმა ორგანიზაციებმა აფრიკის კავშირმა და ევროკავშირმა საკუთარი სამშვიდობო ძალები ჩამოაყალიბეს, თუმცა კონკრეტული ოპერაციის განახორციელება მხოლოდ მონაწილე სახელმწიფოების თანხმობით შეუძლიათ.

დასკვნა

საერთაშორისო სამართლისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტორიაში არის რამდენიმე ძირითადი საკითხი, რომელთა შესახებ მიმომხილველთა უმეტესობა ერთსულოვანია. ცხადია, საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის გაერთიანებული ერები, მსოფლიო პოლიტიკის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ეს ინსტიტუტები პრობლემების გადაჭრისა და თანამშრომლობის მექანიზმებს უზრუნველყოფენ. მიმომხილველთა უმეტესობა ამ საკითხების გადაწყვეტის პროცესში სახელმწიფოთა მონაწილეობას დადებითად აღიქვამს. გაერთიანებული ერების რიგებში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის გაერთიანება, ბოლო ათწლეულებში საერთაშორისო ორგანიზაციების დაარსების მაღალი მაჩვენებელი და მოლაპარაკებების გასამართად სახელმწიფოების მიერ დახარჯული დრო და ძალისხმევა მიუთითებს, რომ ეს უკანასკნელები ამგვარ ჩართულობასა თუ აქტივობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. ამის მიუხედავად, მსოფლიოს მართვასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მოსაზრებები მუსირებს. საერთაშორისო სამართლისა და ინსტიტუტების ქმედითობა, ასევე მათი როლი კონკრეტული საკითხების გადაჭრისას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საფრთხე ემუქრება სახელმწიფოების, განსაკუთრებით კი ზესახელმწიფოების სასიცოცხლო ინტერესებს, დღემდე დებატების მთავარ თემად რჩება.

ცნობილი რეალისტის, ჯონ მირშაიმერის, თქმით, იდეოლოგიური განსხვავებულობის მიუხედავად, ამერიკელი მემარცხენე ლიბერალი ინსტიტუციონალისტები საერთაშორისო სამართლსა და ინსტიტუტებთან დაკავშირებით მემარჯვენე ნეოკონსერვატების შეხედულებას იზიარებენ. მათი ვარაუდით, საერთაშორისო ინსტიტუტებს „სახელმწიფოთა დაშინება“ და თვით ზესახელმწიფოთა მოქმედების შეზღუდვაც კი ძალუძთ. ლიბერალთა რწმენით, ეს შეზღუდვები დადებით როლს ასრულებს, რადგან სახელმწიფოებს წესების დაცვას ავალდებულებს, მათი შესრულება კი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის რისკს ამცირებს. ხოლო ნეოკონსერვატორების აზრით, ამ შეზღუდვებმა შეიძლება უარყოფითი შედეგი მოიტანოს, რადგან ისინი ზესახელმწიფოებს, მათ შორის შეერთებულ შტატებს საკუთარი ინტერესების დაცვის შესაძლებლობას უზღუდავს. რეალისტები კი ამ ორივე შეხედულებას უგულებელყოფენ. ამასთან დაკავშირებით მირშაიმერი შენიშნავს:

> „რეალისტების რწმენით, ეს ინსტიტუტები ზესახელმწიფოებს ვერ დააშინებენ. თუ რომელიმე მათგანი შეერთებულ შტატებს კონკრეტული ქმედების შესრულებისკენ მოუწოდებს, ხოლო ამ ქვეყნის ელიტები ჩათვლიან, რომ ეს ქმედება აშშ-ის ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება, შეერთებული შტატები ან უგულებელყოფს მათ მოთხოვნას ან ამ წესებს გადაწერს. ამერიკა საკუთარი ინტერესების წინააღმდეგ არ წავა. ასე მოიქცევა ნებისმიერი ზესახელმწიფო“.[33]

მოკლედ რომ ვთქვათ, რეალისტების შეხედულებით, სახელმწიფოები საერთაშორისო ინსტიტუტებს საკუთარი ამოცანების განსახორციელებლად იყენებენ. ამგვარად, მირშაიმერის თქმით, საერთაშორისო სამართალი და ინსტიტუტები მსოფლიოს მართვასთან დაკავშირებულ რეალისტურ შეხედულებას არ უპირისპირდებიან. მსოფლიო სასამართლოსა და გაერთიანებული ერებისადმი შეერთებული შტატების დამოკიდებულებამ, ასევე გაეროს რეფორმების მიმართ ზესახელმწიფოების საყოველთაო უხალისობამ გაამყარა რეალისტების შეხედულება, რომლის თანახმადაც ინსტიტუციონალური შეზღუდვები სახელმწიფოებზე დიდად არ მოქმედებს.

ლიბერალი ინსტიტუციონალისტების განცხადებით, რეალისტები საერთაშორისო სამართლისა და გაეროს როლს სათანადოდ ვერ აფასებენ. იმ დროს, როდესაც სახელმწიფოები საკუთარი მიზნების მისაღწევად საერთაშორისო ინსტიტუტებს იყენებენ, ხოლო ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე წესებს უგულებელყოფენ, ამის გამო ხშირად დიდ საფასურს იხდიან. 1991 წლის სპარსეთის ყურის ომში შეერთებულ შტატებს მთელი საერთაშორისო საზოგადოება, მათ შორის გაერთიანებული ერები უჭერდა მხარს. ამ კონფლიქტმა ამერიკის პრესტიჟზე დადებითად იმოქმედა, რასაც ვერ ვიტყვით ერაყის მეორე კამპანიაზე. 2003 წელს გაეროს გვერდის ავლით დაწყებულმა სამხედრო მოქმედებებმა აშშ-ის პრესტიჟსა და ლეგიტიმურობაზე მთელ მსოფლიოში უარყოფითად იმოქმედა.

ლიბერლები საერთაშორისო ინსტიტუტების გაძლიერებას უჭერენ მხარს. ბევრი ადამიანი თანხმდება, რომ საერთაშორისო სამართალი „პრიმიტიული სამართლებრივი სისტემაა“, რომელიც ყველაზე ეფექტური ეროვნული სამართლებრივი სისტემების დადგენილ სტანდარტებს არ შეესაბამება. ამის მიუხედავად, ლიბერალები ინსტიტუტებისა და კანონის გაძლიერებას ემხრობიან და არა მათ უარყოფას. რეალისტები საშიშ, ანარქიულ სამყაროში არსებობისათვის სუვერენული ძალაუფლების გაძლიერებას უჭერენ მხარს, ლიბერალები კი გლობალური თანამშრომლობის წინაპირობად საერთაშორისო ინსტიტუტების განვითარებას მიიჩნევენ. ფაქტი ერთია, კაცობრიობამ ყველა ღონე უნდა იხმაროს თვითგანადგურების თავიდან ასაცილებლად.

საკითხების მიმოხილვა

- თქვენი აზრით, რამდენად ეფექტურად და საიმედოდ მიმდინარეობს საკანონმდებლო, სასამართლო თუ სამართლის იძულებითი აღსრულების პროცესები? განსაზღვრეთ ამ სფეროებში მიღწეული წარმატები და წარუმატებლობები?
- თქვენი აზრით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შეასრულა მასზე დაკისრებული ამოცანა, რომელიც საერთაშორისო სამართალში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას ითვალისწინებდა?
- რა სახის რეფორმები უნდა გატარდეს, რათა გაეროს ამ მიმართულებით კიდევ უფრო ეფექტური ნაბიჯები გადადგას?

საკვანძო ტერმინები

მრავალმხრივი ხელშეკრულებები
ორმხრივი ხელშეკრულებები
პაქტა სუნტე სერვანტა
ოფიციალური დამატებითი შენიშვნები, შეთანხმებები და განცხადებები
საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი
გაეროს საერთაშორისო სასამართლო
სავალდებულო იურისდიქცია
არასავალდებულო კლაუზულა
რეპრესალიები
სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია
არასამთავრობო ორგანიზაცია
საერთაშორისო რეჟიმები
უშიშროების საბჭო
ზესახელმწიფოს ერთსულოვნების პრინციპი
გენერალური ასამბლეა
სეკრეტარიატი
ეკონომიკური და სოციალური საბჭო
სამეურვეო საბჭო
მეშვიდე თავის უფლებამოსილება
სამშვიდობო მისია
იძულებითი სამშვიდობო მოქმედებები
მშვიდობისმყოფელი
რეზოლუცია გავერთიანდეთ მშვიდობისათვის
ფარული ვეტო

ჩამოტანილი შენიშვნები

1. Widely attributed to Abba Eban, for example, in Robert J. Bunker in "Non-Lethal Weapons: A British View," *Military Review* 78 (July/August 1998): 86–87.
2. For this phrase, I am indebted to Professor Anthony C. Arend, Georgetown University.
3. UN International Law Commission, "Introduction," http://www.un.org/law/ilc/introfra.htm.
4. Nuclear Non-Proliferation Treaty, Article 10, http://www.state.gov/t/np/trty/16281.htm#treaty.
5. Shirley V. Scott, *International War in World Politics: An Introduction* (Lynne Rienner, 2004), 8–9.
6. International Covenant on Civil and Political Rights, Article 15, http://www.hrweb.org/legal/undocs.html.
7. "Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory," ICJ Advisory Opinion, July 9, 2004, http://www.icj-cij.org/icjwww/idocket/imwp/imwpframe.htm.
8. "Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory," ICJ Advisory Opinion.
9. For the text of all of the state acceptances of compulsory jurisdiction (optional clause), including any attached reservations, see ICJ, "Declarations Recognizing as Compulsory the Jurisdiction of the Court," http://www.icj-cij.org/jurisdiction/?p1=5&p2=1&p3=3.
10. The documents related to the two cases can be found on the ICJ website, http://www.icj-cij.org.
11. See the ICJ Judgment of November 26, 1984, regarding the jurisdiction of the court in this case, http://www.icj-cij.org.
12. See ICJ, "Cases," http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&p2=2.
13. This general point is also made in Douglass Cassel, "Is There a New World Court?" *Northwestern University Journal of International Human Rights* 1 (Fall 2004), http://www.law.northwestern.edu/journals/jihr/v1/1/cassel.pdf.
14. George H. W. Bush, "Toward a New World Order," speech to joint session of Congress, September 11, 1990.

15. United Nations Department of Economic and Social Affairs, "Consultative Status with ECOSOC," http://csonet.org/content/documents/E-2014-INF-5%20Issued.pdf.
16. United Nations Department of Economic and Social Affairs, "Consultative Status with ECOSOC."
17. Jens Steffek, "Explaining Cooperation between IGOs and NGOs—Push Factors, Pull Factors and the Policy Cycle," Paper presented at the ISA's 49th Annual Convention, San Francisco, March 26, 2008, http://www.allacademic.com/meta/p252320_index.html.
18. Charter of the United Nations, http://www.un.org/aboutun/charter/index.html.
19. Samantha Power, *A Problem from Hell: America and the Age of Genocide* (Basic Books, 2002), ch. 11.
20. For the UN's own view of this success, see its UNAMSIL "End of Mission Press Kit," http://www.un.org.
21. "Fact Sheet: United Nations Peacekeeping Operations," February 28, 2015, http://www.un.org/en/peacekeeping/documents/bnote0215.pdf.
22. Stockholm International Peace Research Institute, April 14, 2014, http://www.sipri.org/media/pressreleases/2014/Milex_April_2014.
23. "Fact Sheet: United Nations Peacekeeping Operations," February 28, 2015, http://www.un.org/en/peacekeeping/documents/bnote0215.pdf.
24. "State Department and UN Officials Brief Congress on UN Funding, Peacekeeping," United Nations Association of the USA, April 3, 2008, http://www.unausa.org.
25. *Washington Times,* March 12, 2009, http://www.washingtontimes.com/news/2009/mar/12/un-chief-calls-us-deadbeat-donor/.
26. Michael Glennon, "Why the Security Council Failed," *Foreign Affair*, May/June 2003, 16–35.
27. "Report of the Secretary-General's High Level Panel on Threats, Challenges, and Change," para. 256, http://www.un.org.
28. "Report of the Secretary-General's High Level Panel," para. 256.
29. "Amnesty Urges UN Powers to Waive Vetoes on Genocide," France 24 International News, February 25, 2015, http://www.france24.com/en/20150225-amnesty-urges-un-security-council-drop-veto-genocide-conflict-2014-report/.
30. "Report of the Panel on United Nations Peacekeeping Operations," August 21, 2000, http://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=A/55/305.
31. "Secretary-General's Statement on Appointment of High-Level Independent Panel on Peacekeeping Operations," October 31, 2014, http://www.un.org/sg/statements/index.asp?nid=8151.
32. H. Peter Langille, "SHIRBRIG: A Promising Step Toward a United Nations That Can Prevent Deadly Conflict," Global Policy Forum, Spring 2000, http://www.globalpolicy.org.
33. John Mearsheimer, "The World in 2020," presentation at Foreign Affairs Canada, April 2004, http://www.dfait-maeci.gc.ca/.

თავი 6

რევოლუცია ადამიანის უფლებათა სფეროში

საერთაშორისო ნორმების ჩამოყალიბება

გენოციდი რუანდაში, 1994 წელი. თქვენი აზრით, უნდა ჩაერიოს თუ არა საერთაშორისო საზოგადოება გენოციდისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში?

სწავლების მიზნები

6-1 განსაზღვრეთ და შეაფასეთ მთავარი უარყოფითი თვისებები, რომლებიც ადამიანის უფლებათა სფეროში მომხდარ რევოლუციას ახასიათებს.

6-2 განმარტეთ ადამიანის უფლებათა ნორმების ჩამოყალიბების ევოლუცია და თანმიმდევრობა.

6-3 აღწერეთ და შეაფასეთ ადამიანის უფლებათა ნორმების დაცვის მონიტორინგის მექანიზმები.

6-4 გააანალიზეთ ადამიანის უფლებათა ნორმების იძულებითი განხორციელების ფაქტები.

6-5 შეადარეთ და განასხვავეთ ადამიანის უფლებათა კუთხით ჩადენილ არაერთ დანაშაულში ბრალდებული ცალკეული პირების დამახასიათებელი ნიშნების ძლიერი და სუსტი მხარეები.

რა ადგილი უჭირავს ადამიანის უფლებებს საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში? რეალისტების მტკიცებით, საგარეო პოლიტიკის უმთავრეს მიზანს ეროვნული ინტერესების წახალისება წარმოადგენს. სამართლიანობა, ზნეობა და ადამიანის უფლებები საერთაშორისო ურთიერთობებში უმნიშვნელო ადგილს იკავებენ, რასაც ვერ ვიტყვით ქვეყნის შიდა პოლიტიკაზე. რეალისტების შეხედულებით, ადამიანის უფლებები როგორც მთავრობისათვის, ისე მისი მოქალაქეებისათვის ერთობ მნიშვნელოვანია. საერთაშორისო საზოგადოება უმნიშვნელო როლს ასრულებს. ადამიანის უფლებების ერთმა კრიტიკოსმა შენიშნა: საგარეო პოლიტიკა საზოგადოების ინტერესის სფეროს არ წარმოადგენს.[1]

ამის მიუხედავად, ადამიანის უფლებათა აქტივისტებისა და სხვა არაერთი მეცნიერის აზრით, რეალისტური ხედვა მორალურ პასუხისმგებლობაზე უხეში ფორმით თავის არიდების მცდელობაა, რომელიც ყოველდღიურად კარგავს აქტუალურობასა და მნიშვნელობას. შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა, რომლის ადმინისტრაციაც საგარეო პოლიტიკაში ადამიანის უფლებებათა დაცვას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, საჯაროდ განაცხადა: „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) წესდების ხელმომწერმა სახელმწიფოებმა ადამიანის უფლებების ძირითადი საფუძვლების დაცვისა და პატივისცემის ვალდებულება აიღეს. ამგვარად, მისი წევრები ვერ იტყვიან, რომ საკუთარი მოქალაქეებისადმი გამოვლენილი ძალადობა მხოლოდ მათი შიდა საქმეა“.[2] მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ პერიოდში ადამიანის უფლებები საერთაშორისო საზოგადოების საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. კონსტრუქტივისტებისა და ლიბერალების მტკიცებით, ეროვნული ინტერესებისადმი, სახელმწიფო სუვერენიტეტისა და თვითდახმარებისადმი რეალისტური მიდგომა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ტენდენციას ნათელს ვერ ჰფენს.

წინამდებარე თავში ადამიანების უფლებებსა და მსოფლიოს მართვის მექანიზმებზე ვისაუბრებთ. თუ სიტყვები და სურვილები განუხორციელებელი დარჩება, მაშინ ადამიანის უფლებათა სფეროში მომხდარი რევოლუცია თავის მნიშვნელობას დაკარგავს. ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ ისტორიაზე თვალის გადავლებისას შეიძლება ვინმემ გაიცხადოს კიდეც, რომ ადამიანის უფლებები სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპს უპირისპირდება. კონსტრუქტივისტი მეცნიერის, კეტრინ სიკინკის (Kathryn Sikkink), თქმით, ადამიანის უფლებათა ნორმები იმაზე გაცილებით მეტია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. „ადამიანის უფლებები სუვერენულ სახელმწიფოთა სისტემის ძირითად ლოგიკას მკვეთრად უპირისპირდება“.[3]

ადამიანის უფლებათა სფეროში მომხდარი რევოლუცია – *მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დაწყებული მოძრაობა, რომლის მიზანს წარმოადგენდა ქვეყნის შიგნით დაწყებული ადამიანის უფლებების დაცვის პროცესი, საერთაშორისო რეგულაციებს, მონიტორინგსა და აღსრულებას დაქვემდებარებოდა. ეს რევოლუციური მოძრაობა სახელმწიფო სუვერენიტეტს უპირისპირდება.*

ყოყმანის მიზეზები

6-1 განსაზღვრეთ და შეაფასეთ მთავარი უარყოფითი თვისებები, რომლებიც ადამიანის უფლებათა სფეროში მომხდარ რევოლუციას ახასიათებს.

როგორც აღმოჩნდა ადამიანის უფლებების დაცვა დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. თუ არ ჩავთვლით სასტიკ დიქტატორებს, რომლებიც საკუთარ მოქალაქეებს ცუდად ეპყრობიან. ვინ შეეწინააღმდეგება მათ? რეალისტების უმეტესობა ისეთ მსოფლიოს ანიჭებს უპირატესობას, რომელშიც ყველა მმართველი საკუთარ ხელქვეითებსა და მოქალაქეებს ჰუმანურად ეპყრობა. ხოლო ისეთი მსოფლიო, რომელშიც ადამიანის უფლებებს სცემენ პატივს და საერთაშორისო ურთიერთობების ქვაკუთხედად მიიჩნევენ, ერთი და იგივე არ გახლავთ. ქვემოთ ჩამოთვლილი სამი პრობლემატური საკითხის გამო ზოგიერთი მიმომხილველი **ადამიანის უფლებათა სფეროში მომხდარი რევოლუციის** (Human Rights Revolution) იდეას ვერ ითავისებს,

რომლის ფარგლებშიც ადამიანის უფლებები საერთაშორისო საზოგადოების განხილვის თემა გახდებოდა. ესენია: საერთაშორისო წესრიგთან, ეროვნული ინტერესების უპირატესობასა და კულტურული იმპერიალიზმის საფრთხეებთან დაკავშირებული პრობლემები.

საერთაშორისო წესრიგის არგუმენტი

საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგში ადამიანის უფლებების წინ წამოსაწევად საერთაშორისო წესრიგზე უნდა მოხდეს გავლენა. სახლმწიფოთაშორისი ომის დასაწყებად მრავალი მიზეზი არსებობს. იქნება ეს ტერიტორიების ხელში ჩაგდების სურვილი, სასიცოცხლო რესურსები თუ ძალთა ბალანსი. ჩვენ რომ მთავრობასა და მოქალაქეებს შორის არსებული შიდა ურთიერთობა საერთშორისო განხილვის თემად გვექცია, მაშინ კონფლიქტისა და ომის დაწყების მიზეზები მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა. ზოგიერთმა სახელმწიფომ ადამიანის უფლებები შეიძლება ინტერვენციისა და ომის დაწყების საბაბად გამოიყენოს, რაც ტერიტორიების მიტაცებითა და პოლიტიკური ექსპანსიონიზმით სრულდება.

ომი ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ საფუძვლებს უქმნის საფრთხეს, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სიცოცხლის უფლება. ომი ან სამხედრო ძალადობის ნებისმიერი გამოვლინება ადამიანის უფლებებს უხეშად თელავს ფეხქვეშ. მაგალითად, 1999 წელს კოსოვოში ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) თაოსნობით განხორციელებული ჰუმანიტარული ინტერვენცია სერბებისგან დაჩაგრული ალბანელების დაცვას ემსახურებოდა. სამხედრო კონფლიქტსა და სერბების რისხვას გაქცეულმა თითქმის ერთმა მილიონმა ალბანელმა მეზობელ სახელმწიფოებში მდებარე ბანაკებს შეაფარა თავი. ინტერვენციისა და სერბეთის არმიის დამარცხების გამო კოსოვო ორასი ათასზე მეტმა სერბმა და სხვა ეროვნების წარმომადგენლებმაც დატოვეს.[4]

ცხადია, განზე გადგომისა და გულგრილობის გამო უდანაშაულო ადამიანები ძალადობრივი რეჟიმების მსხვერპლი ხდებიან. ადამიანის უფლებების დამრღვევი სერბი დიქტატორი სლობოდან მილოშევიჩი (Slobodan Milošević) სასამართლოს წინაშე წარდგა. კოსოვოს შემთხვევის უნებლიე შედეგები სუვერენიტეტის პრინციპებისა და ჩაურევლობის მორალურ დასაბუთებას გვაჩვენებს.

ეროვნული ინტერესების არგუმენტი

ყოყმანის მეორე მიზეზი, ადამიანის უფლებების ინტერნაციონალიზაციისას, საგარეო პოლიტიკაში ეროვნული ინტერესების პრიორიტეტების განსაზღვრასთან არის დაკავშირებული. რეალისტების მტკიცებით, რესურსები შეზღუდულია და განსაკუთრებულ მოფრთხილებას საჭიროებენ. ეს რესურსები ეკონომიკურ და სამხედრო აქტივებს მოიცავენ. დემოკრატიული ქვეყნების მოქალაქეები ბრძოლებში თავიანთი ჯარისკაცების გარდაცვალების ფაქტებისადმი დაბალი შემწყნარებლობით გამოირჩევიან. საშიშ, ანარქიულ მსოფლიოში, სადაც სიცოცხლის შესანარჩუნებლად მხოლოდ საკუთარ ძალებს უნდა ენდო, ადამიანის უფლებების დასაცავად წამოწყებული „შერჩევითი“ ომებისათვის გაღებულმა სამხედრო, ეკონომიკურმა თუ პოლიტიკურმა დანახარჯებმა სასიცოცხლო ინტერესებთან დაკავშირებული საფრთხის წარმოშობის შემთხვევაში სახელმწიფო შეიძლება მოუმზადებელიც კი დატოვოს. გარდა ამისა, ძალთა ბალანსის სისტემის ლოგიკის გათვალისწინებით, რომლის თანახმადაც შენი მტრის მტერი შეიძლება შენი მეგობარი გახდეს, სავსებით შესაძლებელია წარმოიშვას გარემოებები, როდესაც ეროვნუ-

ლი ინტერესები ადამიანის უფლებების უგულებელმყოფელ რეჟიმებთან თანამშრომლობისაკენ გიბიძგებს.

ცივი ომის პერიოდში შეერთებული შტატები ხშირად უჭერდა მხარს ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გამთელავ დიქტატორულ რეჟიმებს, რომლებიც კაპიტალისტური სამყაროს ბურჯს კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ემხარებოდნენ. გეოპოლიტიკური უსაფრთხოების საკითხებზე გამართული საუბრებისას პრეზიდენტი ჯიმი კარტერი ადამიანის უფლებებს ხანდახან მეორეხარისხოვნად მიიჩნევდა. ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დასამყარებლად და ეგვიპტის პროდასავლურ ბანაკში დასატოვებლად კარტერმა ეგვიპტელ დიქტატორსა და საბჭოთა კავშირის ყოფილ მოკავშირე ანვარ სადათს (Anwar Sadat) სოლიდური ფინანსური დახმარება აღმოუჩინა. ნავთობის სტრატეგიული ფასეულობა მკაფიოდ განსაზღვრავს ამერიკის გრძელვადიან ურთიერთობას საუდის არაბეთთან, ქვეყანასთან, რომელიც „ფრიდომ ჰაუსის“ (Freedom House) ნუსხაში პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლების დარღვევის კუთხით მუდამ მოწინავე პოზიციებს იკავებს.[5]

მოკლევადიან ეროვნულ ინტერესებზე გულწრფელმა კონცენტრირებამ ყველა ჩვენთაგანს შეიძლება გარკვეული პრობლემები შეუქმნას, ასევე უგულებელყოს პოტენციური გრძელვადიანი ეროვნული უსაფრთხოების საკითხები, რომლებიც სავსებით შესაძლებელია, რომ ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისგან წარმოიშვას. ცივი ომის პერიოდში შეერთებული შტატები აღმოსავლეთ ევროპასთან განსაკუთრებულ პოლიტიკას აწარმოებდა. ადამიანის უფლებების დეკლარირებამ „საბჭოთა ევროპელები“ ამ ქვეყნისადმი უაღრესად დადებითად განაწყო. წლების მანძილზე შეერთებული შტატები ადამიანის უფლებების უგულებელმყოფელ ახლოაღმოსავლელ დიქტატორებს მხარდაჭერას უცხადებდა, თუმცა ვითარება ბოლო წლებში რადიკალურად შეიცვალა და ეს უკანასკნელები ამერიკელებისადმი მტრულად განეწყვნენ. დღესდღეობით მთელ რეგიონში ანტიამერიკული განწყობა სუფევს.

ადამიანის უფლებების დამრღვევ (*მაგ. ჩრდილოეთი კორეა*) სახელმწიფოებს ავტორიტარული და არადემოკრატიული ნიშან-თვისებები ახასიათებთ. ამ თვალსაზრისით ადამიანის უფლებებზე აქცენტირება ეჭვქვეშ აყენებს მათ კანონიერებასა და ხელს უწყობს ამ რეჟიმების ჩანაცვლებას გაცილებით თავისუფალი და ნაკლებად აგრესიული დემოკრტიული რეჟიმებით. ადამიანის უფლებებების დაცვა შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს მეგობარი დემოკრატიული სახელმწიფოების ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უსაფრთხოებისათვის. მაგალითად, საკუთარი მოქალაქეების უფლებების დამცველი ჩრდილოეთი კორეა ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენს როგორც სამხრეთი კორეისთვის, ისე აღმოსავლეთი აზიის სხვა სახელმწიფოებისთვის, მათ შორის შეერთებული შტატების ინტერესებისთვის.

კულტურული რელატივიზმი – *არგუმენტი, რომლის თანახმადაც სხვადასხვა კულტურულ ჯგუფს, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, სხვადასხვა სახის სტანდარტები გააჩნია. ამგვარად, ნებისმიერი მცდელობა, რომელიც ადამიანის უფლებათა საყოველთაო ცნებების დადგენისკენ არის მიმართული, ადგილობრივ კულტურულ ღირებულებებზე უცხო ნორმების გაბატონების საფრთხეს ზრდის.*

კულტურული რელატივიზმის არგუმენტი

ადამიანის უფლებათა სფეროში მომხდარი რევოლუციის იდეა შეიძლება **კულტურული რელატივიზმის** (Cultural Relativism) საფუძველებს დაუპირისპირდეს. არსებული არგუმენტის თანახმად, სხვადასხვა კულტურას სხვადასხვა პერსპექტივა გააჩნია, რომლებზეც დაფუძნებულია ადამიანის უფლებები. ამგვარად, ნებისმიერი მცდელობა, რომელიც ადამიანის უფლებათა საყოველთაო ცნებების დადგენისკენ არის მიმართული, უცხო ნორმების გაბატონების საფრთხეს ზრდის. ადამიანის უფლებათა ზოგიერთი ცნება შირმის როლს ასრულებს და სხვადასხვა კულტურულ ჯგუფზე დასავლური ნორმების თავსმოსახვევად გამოიყენება. 1990-იან წლებში კულტურული რელატივიზმის პერსპექტივა მკაფიოდ ჩამოაყალიბეს „აზიის

ფასეულობათა“ შესახებ გამართული დებატების დროს. სინგაპურის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ლი კუან იუს (Lee Kuan Yew), განცხადებით, ცალეკული ადამიანების უფლებებზე კონცენტრირება, რომელიც მკვეთრად უპირისპირდება აზიურ წეს-ჩვეულებებს, უფრო დიდ საზოგადოებას საჭიროებს. დასავლელებმა და აზიელებმა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მათი შეხედულებები ერთმანეთს თავზე არ უნდა მოახვიონ.

ქალებისა და გენდერის როლის საკითხებთან ასოცირებული უფლებები ხშირად საერთაშორისო უთანხმოებას იწვევს. ისინი ადამიანის საყოველთაო უფლებებსა და კულტურულ სხვაობას შორის არსებულ დაძაბულობაზე მიუთითებენ. ყველაზე უცნაურ წეს-ჩვეულებათა შორის ქალთა გენიტალიების დასახიჩრებაც მოიაზრება. ეს ჩვეულება, რომელიც ზოგჯერ იდენტობის კულტურულ მოტივებს ეფუძნება, დღემდე ფართოდ არის გავრცელებული სუბსაჰარული აფრიკის დიდ ნაწილში, ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ რეგიონსა და განვითარებულ ქვეყნებში მოქმედ იმიგრანტულ თემებში. ამ წეს-ჩვეულების თანახმად, ქალებს გენიტალიებს აჭრიან მთლიანად ან ნაწილობრივ. „ემნესთი ინთერნეშენალის“ (Amnesty International (AI) ინფორმაციით, ამ პროცედურას, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ასოცდათხუთმეტი მილიონი გოგონა და ქალი ემსხვერპლა. ყოველდღიურად, დაახლოებით, ექვსი ათას გოგონას კვეთენ სასქესო ჯირკვლებს.[6] იმ დროს, როცა AI-ისა და დასავლელი მიმომხილველების უმეტესობისათვის ეს ჩვეულება ბარბაროსულ ქმედებად და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევად მიიჩნევა. სხვების აზრით, ეს კულტურული რიტუალია, რომელსაც მოფრთხილება და დაცვა სჭირდება. კენიის ყოფილი პრეზიდენტის მტკიცებით, ეს პროცედურა ტომში გაწევრიანების მნიშვნელოვანი რიტუალია და „მასზე უარის თქმა ტომობრივი სისტემის განადგურებას გამოიწვევს“.[7] ერთმა ეგვიპტელმა ქალბატონმა თავის ქალიშვილებზე საუბრისას განაცხადა: „რასაკვირველია, მშობლების, ბებია-ბაბუებისა და დების მსგავსად, ჩემს გოგონებსაც ჩავუტარებ წინდაცვეთის პროცედურებს. ეს ჩვენი ტრადიციაა“.[8] ადამიანის საყოველთაო უფლებებისა და მრავალფეროვანი კულტურული შემწყნარებლობის დაზავების მიზნით ერთმა მეცნიერმა მათ შორის განმასხვავებელი ნიშნები აღმოაჩინა: პირველი, კულტურული რელატივიზმის უკიდურესი, რადიკალური მიმართულებისას ადამიანის უფლებები კულტურასთან ვალდებულებებით არის მიბმული; მეორე, გაცილებით სუსტი კულტურული რელატივიზმი ეთანხება ადამიანის უფლებათა გარკვეული ბაზისის უნივერსალურობას იმ დროს, როცა აღიარებს კულტურულ სხვაობათა შორის არსებულ ინტერვალს.[9] თქვენი აზრით, სუსტი სქესის წარმომადგენელთა გენიტალიების დაზიანების უძველესი ადათი საყოველთაო გაკიცხვის საგნად უნდა იქცეს თუ დაცული კულტურული წეს-ჩვეულებების კატეგორიაში უნდა მოხვდეს? რას იტყვით შეთანხმებული ქორწინების, სიკვდილით დასჯის ან პატარა ბავშვების ექსპლუატაციაზე?

პირველი ნაბიჯები: ადამიანის უფლებათა ნორმების ჩამოყალიბება

6-2 განმარტეთ ადამიანის უფლებათა ნორმების ჩამოყალიბების ევოლუცია და თანმიმდევრობა.

სამივე არგუმენტი, რომელიც ადამიანის უფლებების ინტერნაციონალიზაციასთან არის დაკავშირებული, სამართლიან შეშფოთებას იწვევს. ის ფაქტი, რომლის თანახმადაც დიქტატორებმა და ადამიანის უფლებათა სხვა

დამრღვევმა პირებმა შეიძლება პოლიტიკურ და ზნეობრივ საფარველად აზიურ ფასეულობებთან ან საერთაშორისო წესრიგთან ასოცირებული არგუმენტები მოიშველიონ, არ გვანთავისუფლებს ვალდებულებისგან, რომ საჭიროების შემთხვევაში დავუპირისპირდეთ ან საჯარო განხილვის საგნად ვაქციოთ ეს არგუმენტები. ამის მიუხედავად, ადამიანის უფლებათა დარღვევის ზოგიერთი ფაქტი იმდენად უკიდურესი და ამაზრზენია, რომ არანაირი გამართლება არ მოეძებნება.

ჩემი სიტყვების ყველაზე თვალნათლივი მაგალითია ჰოლოკოსტი. ექვსი მილიონი ებრაელი მხოლოდ იმიტომ მოკლეს, რომ ისინი ებრაელები იყვნენ. ინტერესები ან კულტურული სხვაობა აქ არაფერ შუაშია. საერთაშორისო წესრიგის დარღვევის რომელი ფაქტი შეედრება ნაცისტების ჩადენილ სასტიკ ქმედებებს? მართლაც, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ადამიანის უფლებათა სფეროში მომხდარი რევოლუცია სულ მცირე, ნაწილობრივ, ევროპელ ებრაელებს თავს დამტყდარმა საშინელმა ტრაგედიამ და საერთაშორისო დანაშაულის ერთობლივმა შეგრძნებამ დააჩქარა. ინდიფერენტულმა საერთშორისო საზოგადოებამ შუაგულ ევროპაში დატრიალებული სისხლიანი კალო ვერ შეაჩერა.

ადამიანის უფლებათა სფეროში დატრილებული ტრაგედიის, ჰოლოკოსტის, საპასუხოდ განვითარდა transnational advocacy networks-ი (*იხ. თავი პირველი*) – ცალკეული პირებისა და ტრანსნაციონალური ორგანიზაციების წარმომადგენელთა ნაზავი, „რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საერთო ფასეულობებით, დისკურსიით, ასევე ინფორმაციისა და მომსახურების ხშირი გაცვლით".[10] კონსტრუქტივისტი მეცნიერების შეხედულებით, ასეთი ქსელები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ადამიანის უფლებათა ნორმების გავრცელებისა და განვითარების საქმეში. ეს ქსელები, რომლებიც ცალკეული პირებისა (*მაგ. ცნობილი მკვლევრები, ყოფილი ჩინოვნიკები, საყოველთაოდ ცნობილი კინოვარსკვლავები და პოპმომღერლები*) და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან (*მაგ. რელიგიური ორგანიზაციები, მედია, არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორებიცაა: „ემნესთი ინთერნეშენალი" და „ჰუმან რაით ვოჩი"*) შედგება, საკუთარი გეგმების განსახორციელებლად სამთავრობო სტრუქტურებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში მომუშავე ადვილად დამყოლ ადამიანებთან თანამშრომლობენ. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს ქსელები სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მოქმედებებზე, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებში ადამიანის უფლებათა ნორმების დაკანონებაზე გავლენის მოხდენას ცდილობენ.

ამ მიმართულებით პირველ მერყევ ნაბიჯს პოსტომისეულ ეპოქაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (*გაერო*) წესდებაში აღმოაჩენთ. ეს წესდება, ისევე როგორც ეს ორგანიზაცია, ძირითადად სახელმწიფოს სუვერენიტეტზე ამახვილებს ყურადღებას. წესდების მუხლი 2.7-ში სუვერენიტეტის პრინციპთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „ამჟამინდელ წესდებაში ისეთი არაფერი წერია, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას სახელმწიფოების შიდა საქმეებში ჩარევას დაავალდებულებს".[11] 1965 წლის გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 2131 ხაზს უსვამს შემდეგ საკითხს: „არცერთ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს სხვა სახელმწიფოების შიდა და საგარეო ურთიერთობებში ჩარევის უფლება არ აქვს".[12] როგორც ვხედავთ, სახელმწიფო სუვერენიტეტის იდეა ადამიანის უფლებების სახელით განხორციელებულ ინტერვენციას გამორიცხავს.

ამავდროულად, ხსენებული წესდება ადამიანის უფლებებს გვერდს არ უვლის. პრეამბულაში ვკითხულობთ რომ გაერთიანებული ერების ხალხები გამოირჩევიან შეუპოვრობით „რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ადამიანის უფლებების ძირითადი პრინციპებისადმი გამოვლენილ რწმენას".

„უკანასკნელი ებრაელი ვინიცაში“ – მეორე მსოფლიო ომის დროს უკრაინის ქალაქ ვინიცას ძმათა სასაფლაოსთან გერმანელი ჯარისკაცი კლავს ებრაელ მამაკაცს. ჰოლოკოსტის შემდეგ მსოფლიომ ერთხმად განაცხადა – „აღარასოდეს განმეორდება“. თქვენი აზრით, ვასრულებთ კი ამ პირობას?

პირველ მუხლში შავით თეთრზე წერია, რომ გაეროს ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს „ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემას“, ხოლო სამოცდამერვე მუხლში მითითებულია, რომ გაეროს ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ (UN Economic and Social Council (ECOSOC) „ადამიანის უფლებების მხარდასაჭერად“ ოფიციალური კომისია უნდა ჩამოაყალიბოს.[13] გაეროს წესდებაში ადამიანის უფლებების ჩართვის კუთხით მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს „ამერიკელ ებრაელთა კომიტეტმა“ (American Jewish Committee), ასევე საქმიანი წრეების, პროფკავშირებისა და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლებმა, რომლებსაც სურდათ, რომ ახლად დაარსებულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას (გაერო) ადამიანის უფლებების დაცვასა და პატივისცემაზე გაემახვილებინა ყურადღება. ერთ-ერთი მკვლევრის სიტყვით, transnational advocacy network-მა „ადამიანის უფლებების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა“.[14]

1948 წლიდან ადამიანის უფლებათა სფეროში რევოლუციური ძვრები დაიწყო. ამავე წელს საერთაშორისო საზოგადოებამ ამასთან დაკავშირებით ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი მიიღო; ერთ-ერთი მათგანი გახლდათ „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ (Universal Decla-

ration of Human Rights (UDHR). ახლად ჩამოყალიბებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (*გაერო*) ადამიანის უფლებათა კომისიის (UN Commission on Human Rights (UNCHR) თაოსნობით შემუშავებულ „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას“ მრავალმა ტრანსნაციონალურმა არასამთავრობო ორგანიზაციამ დაუჭირა მხარი. კომისიას ელეონორა რუზველტი (Eleanor Roosevelt) თავმჯდომარეობდა. დოკუმენტი გაეროს გენერალურმა ასამბლეამ (UN General Assembly) მიიღო. დეკლარაციაში ჩამოთვლილია ყველა ის უფლება, რომლითაც ნებისმიერი ჩვენგანი სარგებლობს. ეს უფლებები მოიცავს როგორც **ნეგატიურ**, ისე **პოზიტიურ უფლებებს** (Negative Rights, Positive Rights). ნეგატიური უფლებების (*რომლებიც მთავრობის გარკვეულ მოქმედებას კრძალავს*) კატეგორიაში შედის: არა წამებას, თავისუფალი გადაადგილების უფლება, რელიგიის თავისუფლება და აზრის გამოხატვის თავისუფლება, ხოლო პოზიტიური უფლებების (*რომელთა შესრულებასაც მთავრობა უზრუნველყოფს*) რიცხვს მიეკუთვნება: განათლების მიღებისა და ცხოვრების ნორმალური პირობების ქონის უფლება.

ნეგატიური უფლებები – *ადამიანის უფლებები, რომლებიც მთავრობას ისეთი უკანონო ქმედებების განხორციელებას უკრძალავს როგორებიცაა: სიტყვისა თუ რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა, ასევე ადამიანთა წამება და სხვ.*

პოზიტიური უფლებები – *ადამიანის უფლებები, რომელთა იმპლემენტირება მთავრობამ უნდა უზრუნველყოს. მათ რიცხვს მიეკუთვნება: განათლების მიღებისა და ცხოვრების ნორმალური პირობების ქონის უფლება.*

თავდაპირველი იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ საყოველთაო დეკლარაცია დაკანონებულიყო ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სამართლებრივად სავალდებულო ხელშეკრულებაში, რომელსაც ხელს მოაწერდნენ და რატიფიცირებას გაუკეთებდნენ ცალკეული სახელმწიფოები (*დაიმახსოვრეთ, გენერალური ასამბლეის რეზოლუციას იურიდიული ძალა არ გააჩნია*), თუმცა ეს პროცესი ორი ათეული წლის განმავლობაში ცივმა ომმა გააჭიანურა. აშშ-ს ისეთი ხელშეკრულების მიღება სურდა, რომელშიც ყურადღება გამახვილებოდა ნეგატიურ უფლებებზე (*მაგ. სიტყვისა და პრესის თავისუფლება*), რადგან ისინი შეერთებული შტატების უფლებათა ბილში (United States Bill of Rights) ჩამოთვლილი უფლებების რიცხვს მიეკუთვნებოდნენ. ამ მხრივ, ამერიკას მართლაც რომ მდიდარი წარსული ჰქონდა, რასაც ვერ ვიტყვით საბჭოთა კავშირზე, რომელიც ხაზს უსვამდა პოზიტიურ უფლებებს, განსაკუთრებით კი ეკონომიკურ უფლებებს (*მაგ. დასაქმების უფლება*), რადგან ამ სფეროში გაცილებით მყარი პოზიციები ეკავა.

ყინული 1966 წელს დაიძრა, როდესაც ორ ხელშეკრულებას – სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტი (International Covenant on Civil and Political Rights (CCPR) და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი (International Covenant on Economic, Social and Cultural Rights (CESCR) – მოეწერა ხელი.[15] პირველი ხელშეკრულება ძირითადად ნეგატიურ უფლებებს ეხებოდა, მეორე კი პოზიტიურ უფლებებზე აკეთებდა აქცენტს. 2015 წლის მდგომარეობით, CCPR-ის წევრი სახელმწიფოების რიცხვი ას სამოცდარვას აღწევდა, ას სამოცდაოთხი კი CESCR-ს აწერდა ხელს. 1977 წელს შეერთებულმა შტატებმა ორივე ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, 1992 წელს კი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის რატიფიცირება მოახდინა, რასაც ვერ ვიტყვით ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის შესახებ. ამერიკელთა მიერ ამ ხელშეკრულებებზე ხელის მოწერასა და რატიფიცირებასთან დაკავშირებული ყოყმანი, სახელმწიფო სუვერენიტეტის დაკარგვასთან ასოცირებული საყოველთაო შეშფოთებით იყო ნაკარნახევი.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის გარდა, ადამიანის უფლებათა სფეროში მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ 1948 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიღებული კონვენცია გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ (Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide). ამ ხელშეკრულების

ოფიციალური ფორმულირების თანახმად, **გენოციდი** (Genocide) ეს არის „წინასწარ განზრახული ქმედება, რომელიც ეროვნულ, ეთნიკურ, რასობრივ ან რელიგიურ ნიადაგზე ადამიანთა გარკვეული ჯგუფის სრულ ან ნაწილობრივ განადგურებას ითვალისწინებს“.[16] ამ ხელშეკრულების მიხედვით, გენოციდი საერთაშორისო სამართლის ნორმებით, უმძიმეს დანაშაულად ითვლება (*თავი პირველი*); გენოციდის მოწყობაში ბრალდებულ პირებს გაასამართლებს და დასჯის შესაბამისი საერთაშორისო ტრიბუნალი (*თავი მეექვსე*); ამ ხელშეკრულებაზე ხელმომწერმა სახელმწიფოებმა უნდა აღკვეთონ გენოციდის ნებისმიერი გამოვლინება (*თავი პირველი*); ასევე, მოუწოდონ გაეროს სპეციალიზებულ დაწესებულებებს არ დაუშვან და აღკვეთონ გენოციდის გამოვლინების ნებისმიერი შემთხვევა (*თავი მერვე*).

გენოციდი – 1948 წლის კონვენციის თანახმად, გენოციდი ეს არის წინასწარ განზრახული ქმედება, რომელიც ეროვნულ, ეთნიკურ, რასობრივ ან რელიგიურ ნიადაგზე ადამიანთა გარკვეული ჯგუფის სრულ ან ნაწილობრივ განადგურებას ისახავს მიზნად.

კონვენცია გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ გახლდათ ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების უფრო დაწვრილებით განხილვას ისახავდა მიზნად. მომდევნო ცხრილში მოცემული ხელშეკრულებები წამების, რასობრივი დისკრიმინაციის, ქალებისა და ბავშვების უფლებათა საკითხებს ეხება (*ტაბულა* 6.1).

ამ ხელშეკრულებათა დიდი ნაწილის მიღებაში Transnational advocacy networks-ებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს. მაგალითად, თუ 1984 წლის მიწურულს შედგენილი კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ (Convention against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment (UNCAT) დიდწილად „ემნესთი ინთერნეშენალის“ 1973 წლის „კამპანია წამების წინააღმდეგს“ (Campaign Against Torture) უნდა უმადლოდეს, გენოციდის კონვენცია (Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide) ძირითადად ერთი „პოლონელი“ ებრაელის, რაფაელ ლემკინის (Raphael Lemkin), ინიციატივით შეიქმნა. ლემკინი, რომელმაც სიტყვა „გენოციდი“ პრაქტიკაში დანერგა, ნაცისტებს გაექცა და შეერთებულ შტატებში დასახლდა.[17] მისი ბრძოლის არსი იმაში მდგო-

ტაბულა 6.1 ადამიანის უფლებათა ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებები: აშშ-ის მიერ მათი რატიფიცირება და გლობალური სტატუსი

ხელშეკრულება	მიღების თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი	თარიღი, როდესაც აშშ-მა მოაწერა ხელი	თარიღი, როდესაც აშშ-მა მოახდინა რატიფიკაცია	მონაწილე სახელმწიფოების რაოდენობა
კონვენცია გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ	1948	1951	1948	1988	146
ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ	1966	1976	1977	No	164
სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტი	1966	1976	1977	1992	168
საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ	1965	1969	1966	1994	177
კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ	1979	1981	1980	No	189
წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ	1984	1987	1988	1994	158
კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ	1989	1990	1995	No	196
კონვენცია მიგრანტებისა და მათი ოჯახების უფლებების დაცვის შესახებ	1990	2003	No	No	48
კონვენცია ინვალიდთა უფლებების დაცვის შესახებ	2006	2008	2009	No	159

წყარო: United Nations Treaty Collection, Chapter IV: Human Rights, as of October 2015, https://treaties.un.org/pages/Treaties.

დიაგრამა 6.1 ადამიანის უფლებების სფეროში მომხდარი რევოლუცია



მარეობდა, რომ შეერთებულ შტატებს ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია მოეხდინა. ამ პერიოდში „ემნესთი ინთერნეშენალი“ და „ჰუმან რაით ვოჩი“ ჯერ კიდევ არ არსებობდნენ. ამის მიუხედავად, პოლონელ ებრაელს დახმარების ხელი გაუწოდეს „ამერიკელ ებრაელთა კომიტეტმა“ (American Jewish Committee (AJC), „ქრისტეს ეკლესიათა ფედერალურმა საბჭომ“ (Federal Council of Churches of Christ), პროფესიულმა კავშირებმა და „ქალთა ეროვნულმა საბჭომ“ (National Council of Women).[18] საბოლოოდ, სიმართლის მაძიებლებს უილიამ პროქსმაირი (William Proxmire) მოევლინა მხსნელად. უისკონსინელი სენატორი 1967 წლის იანვრის დასაწყისიდან მოყოლებული ყოველ დღე სენატში სიტყვით გამოდიოდა და ხელშეკრულების რატიფიცირების მხარდამჭერ განცხადებებს აკეთებდა. ცხრამეტი წლისა და სამი ათას ორას თერთმეტი სიტყვით გამოსვლის შემდეგ, ამერიკელებმა გენოციდის კონვენციის რატიფიკაცია მოახდინეს.

ყველა დამოუკიდებელმა, სუვერენულმა სახელმწიფომ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით მიღებული, სულ მცირე, ერთი ხელშეკრულების რატიფიცირება მაინც მოახდინა. მსგავს ხელშეკრულებებზე ხელმომწერ სახელმწიფოთა უმეტესობას არც რატიფიცირებაზე უთქვამს უარი. მაგალითად, შეერთებული შტატების გარდა ას ოთხმოცდათექვსმეტმა ქვეყანამ მოაწერა ხელი კონვენციას ბავშვთა უფლებების შესახებ (Convention on the Rights of the Child). ამ სახელმწიფოებმა ნებაყოფლობით დათმეს საკუთარ ტერიტორიაზე ბავშვების მოპყრობასთან დაკავშირებული სუვერენული უფლებები, რაც, თავის მხრივ, ხელშეკრულების პირობებს არღვევს. მათ მიერ ამ ხელშეკრულების რატიფიცირება, როგორც ჩანს, აღიარებს კულტურულ რელატივიზმთან დაკავშირებულ არგუმენტებს.

ამის მიუხედავად, რეალისტებმა და ადამიანის უფლებებისადმი სკეპტიკურად განწყობილმა ადამიანებმა შეიძლება განაცხადონ, რომ ერთია ხელმოწერილი ხელშეკრულებები, ხოლო იძულების წესით მათი განხორციელება და ხელშეკრულების პირობების დაცვა კი სრულიად სხვა. როგორც უნდა იყოს, ჩრდილოეთი კორეა, რომელიც მუდმივად არღვევს

ადამიანის უფლებებს, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის წევრი ქვეყანაა. საუდის არაბეთმა, სადაც ქუჩაში თანმხლები პირის გარეშე მოსიარულე ქალებს მორალური წესების დარღვევის გამო დაპატიმრების საფრთხე ემუქრებათ, ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენციის (Convention on the Elimination of All Forms of Discrimination Against Women) რატიფიცირება მოახდინა. მიუხედავად იმისა, რომ ერაყი გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ კონვენციის წევრი ქვეყანა იყო, 1988 წელს სადამ ჰუსეინმა იპრიტითა (*ე.წ. „მდოგვის გაზი“*) სხვა ქიმიური ნივთიერებებით ერაყში მცხოვრებ ქურთებს სიცოცხლე მოუსწრაფა. ასეთი შეუსაბამო ქმედებები წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებათა სფეროში მომხდარი რევოლუციის შესახებ გაკეთებულ განცხადებებთან.

დიაგრამა 6.1-ის თანახმად, ადამიანის უფლებათა სფეროში დაწყებული რევოლუციის წარმატებით დასრულებისთვის საჭიროა: ადამიანის უფლებების ეფექტური მონიტორინგი, ადამიანის უფლებების ეფექტური განხორციელება და ადამიანის უფლებათა დამრღვევი პირების სისხლის სამართლებრივი დევნა.

ადამიანის უფლებათა მონიტორინგი

6-3 აღწერეთ და შეაფასეთ ადამიანის უფლებათა ნორმების დაცვის მონიტორინგის მექანიზმები.

ადამიანის უფლებების მონიტორინგი მათი დაცვის წინაპირობაა. დღევანდელ მსოფლიოში მონიტორინგის ფუნქციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (*გაერო*) დამფუძნებული დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ეროვნული და რეგიონალური ჯგუფები ასრულებენ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონიტორინგი

ადამიანის უფლებათა მონიტორინგის მიზნით გაეროს დაარსებულ დაწესებულებებს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ. ეს ორგანიზაციები, რომლებიც არაერთხელ გახდა კრიტიკის ობიექტი, წარმოადგენენ ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო რეჟიმის რეალურ ბირთვს, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მისი წევრი სახელმწიფოების მანდატით მოქმედებს. მათ მოქმედების ოფიციალური ლეგიტიმაცია გააჩნიათ. როგორც აღვნიშნეთ, ამ ორგანიზაციებს ხშირად აკრიტიკებენ, რადგან არაერთი ადამიანის რწმენით, ისინი მათზე დაკისრებულ მოვალეობას საკმარისად კარგად ვერ ართმევენ თავს.

1946 წელს დაარსებული გაეროს ადამიანის უფლებათა დამცველი პირველი ინსტიტუტისა და გაეროს ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ცენტრალური ორგანოს ფუნქციას სამოცი წლის განმავლობაში **გაეროს ადამიანის უფლებათა დამცველი კომისია (United Nations Commission on Human Rights (UNCHR)** ასრულებდა. მის თავდაპირველ მიზანს ადამიანის უფლებათა ნორმების განვითარება წარმოადგენდა. კომისიის წევრები პირველად 1947 წლის იანვარში შეიკრიბნენ და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის სარედაქციო კომიტეტი დააფუძნეს. კომისია შედგებოდა გაეროს ორმოცდაცამეტი წევრი სახელმწიფოსგან, რომლებსაც გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) წევრები ირჩევდნენ. UNCHR-ი მონიტორინგის ფუნქციით მხოლოდ 1967 წელს აღიჭურვა და ადამიანის უფლებების უხეში და სისტემური დარღვევების შესახებ გაკეთებული განცხადების შესწავლის უფლება მიენიჭა. კომისიას

გაეროს ადამიანის უფლებათა დამცველი კომისია - 1946 წელს დაფუძნებული გაეროს ადამიანის უფლებათა დამცველი პირველი ორგანიზაცია, რომელსაც ადამიანის უფლებათა ნორმების განვითარება, მოგვიანებით კი მონიტორინგი ევალებოდა. 2005 წელს იგი გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ (United Nations Human Rights Council (UNHRC) ჩაანაცვლა.

საქმის შესასწავლად კერძო ექსპერტის („*სპეციალური მომხსენებელი*“) ან ექსპერტთა ჯგუფის („*სამუშაო ჯგუფი*“) დანიშვნაც შეეძლო. ზემოთქმულის მიუხედავად, გაეროს ადამიანის უფლებათა დამცველი კომისიის ეფექტურობას რამდენიმე ფაქტორი ასუსტებდა.

პირველი, იმ სახელმწიფოებზე საჯაროდ საუბრობდნენ, რომელთა ტერიტორიებზეც ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ჯერ კიდევ შესწავლის პროცესში იყო. სახელმწიფოთა დიდი ნაწილი ყველაფერს აკეთებდა, რომ „შავ სიაში“ არ მოხვედრილიყო. საქმის მსვლელობას გამჭვირვალობა აკლდა. მეორე, კომისიის წევრები არა საქმის მცოდნე დამოუკიდებელი ექსპერტები ან აქტივისტები, არამედ სუვერენული სახელმწიფოები იყვნენ, რომლებსაც საკუთარი ინტერესების დაცვის სურვილი ამოძრავებდათ. მართლაც, მის ზოგიერთ წევრ სახელმწიფოს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არასახარბიელო მდგომარეობა ჰქონდა. მაგალითად, 2005 წელს სუდანი, რომელიც კომისიის წევრად ირიცხებოდა, დარფურის რეგიონში მცხოვრები არაარაბი მოსახლეობის წინააღმდეგ მოწყობილ გენოციდში დაადანაშაულეს. სამწუხაროდ, კომისია მშვიდობის შენარჩუნებას ხშირად ვერ უზრუნველყოფდა. მაგალითისთვის მოვიყვან 1994 წელს რუანდში ერთი ეთნიკური ჯგუფის წინააღმდეგ განხორციელებულ გენოციდს, რომელიც დაახლოებით ასი დღე გაგრძელდა, მილიონამდე ადამიანი ემსხვერპლა. ადამიანთა ფიზიკური მოსპობის ნიშნები დიდი ხნის მანძილზე წინ უძღოდა ამ ტრაგიკულ მოვლენებს. მომხსენებელი, რომელსაც ვითარების შესწავლა და კომისიისათვის სპეციალური ანგარიშის მომზადება დაევალა, ხოცვა-ჟლეტის დაწყებიდან მხოლოდ შვიდი კვირის შემდეგ, 1994 წლის 25 მაისს, დანიშნეს.[19]

ადამიანის უფლებათა საბჭო – 2005 *წელს დაფუძნებულ ამ საერთაშორისო უფლებადამცველ ორგანოს სხვადასხვა სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მონიტორინგი ევალება. ადამიანის უფლებათა საბჭო გაეროს ადამიანის უფლებათა დამცველი კომისიის მემკვიდრეა.*

2005 წლის სექტემბერში გამართულ გაეროს მსოფლიო სამიტზე **ადამიანის უფლებათა საბჭოს (United Nations Human Rights Council (UNHRC)** ჩამოყალიბება გადაწყვიტეს. ეს საერთაშორისო უფლებათადამცველი ორგანო ადამიანის უფლებების დაცვასა და ხელშეწყობას უზრუნველყოფს.[20] 2006 წელს UNHRC-მა გაეროს ადამიანის უფლებათა დამცველი კომისია (UNCHR) ჩაანაცვლა. ადამიანის უფლებათა საბჭო გაეროს გენერალური ასამბლეის დამხმარე ორგანოა.[21] უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა (Universal Periodic Review (UPR), რომელიც საბჭოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, გაეროს წევრ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას სხვადასხვა წყაროს, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებს ეყრდნობა. 2011 წელს UPR-ს პირველი ციკლის ფარგლებში გაეროს ყველა წევრი სახელმწიფო შეაფასეს. მისი დასრულებიდან მალევე მეორე ციკლი (2012-2016 *წწ.*) დაიწყო.[22]

ადამიანის უფლებათა დამრღვევი სახელმწიფოების UNHRC-ის რიგებში გაწევრიანებას „ჰუმან რაითს ვოჩი“ აქტიურად ეწინააღმდეგება (*მაგ.* 2007 *წელს ბელორუსია უშედეგოდ ცდილობდა ადამიანის უფლებათა საბჭოში მოხვედრას. მოგვიანებით, 2008 წელს, იგივე ბედი გაიზიარა შრი-ლანკამაც*).[23] ამ სფეროში მიღწეული წარმატებით არც საბჭოს სხვა წევრები გამოირჩევიან. 2015 წლისათვის ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრები იყვნენ: რუსეთი, ჩინეთი, საუდის არაბეთი და ყაზახეთი. ამ ქვეყნებში ადამიანის უფლებები ხშირად ირღვევა. საბჭოსადმი სკეპტიკური დამოკიდებულების გამო, შეერთებულმა შტატებმა საწყის ეტაპზე მის წევრობაზე უარი განაცხადა. მდგომარეობა წლების შემდეგ შეიცვალა, როდესაც ობამამ თავისი წინამორბედის პოლიტიკური კურსი მთლიანად შეცვალა. 2009 წელს აშშ ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრი გახდა.

დღესდღეობით ფუნქციონირებს შვიდი ორგანიზაცია, რომლებიც ადამიანის უფლებათა მონიტორინგულ საქმიანობას ეწევიან. მათ შორის

მოიაზრებიან: ადამიანის უფლებათა კომიტეტი (Human Rights Committee – *მონიტორინგს უწევს* 1966 *წელს ხელმოწერილ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტს*), წამების საწინააღმდეგო კომიტეტი (Committee Against Torture) და ბავშვის უფლებათა კომიტეტი (Committee on the Rights of the Child). გარდა ამისა, 1993 წლის მიწურულს გაეროს გენერალური ასამბლეის თაოსნობით დაარსდა გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (Office of the United Nations High Commissioner for Human Rights (OHCHR). ახალი სააგენტოს დაფუძნებითა და **ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის (High Commissioner For Human Rights)** დანიშვნით უნდოდათ, რომ საზოგადოების ყურადღება გაეროს ადამიანის უფლებათა მონიტორინგზე, გამოვლენილ დარღვევებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გაემახვილებინათ, რაც საერთაშორისო საზოგადოების კიდევ უფრო გამოცოცხლებას შეუწყობდა ხელს. 2014 წლის პირველ სექტემბერს უმაღლესი კომისრის თანამდებობა ზეიდ რაად ალ ჰუსეინმა (Zeid Raad Al Hussein) დაიკავა. ყოფილი იორდანიელი დიპლომატი პირველი აზიელი, მუსულმანი არაბია, რომელიც ამ პოზიციაზე დაინიშნა.[24]

ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი – *გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოღვაწე უმაღლესი რანგის მოხელე, რომელიც საჯაროდ აშუქებს გაეროს ადამიანის უფლებათა მონიტორინგის საკითხებს, ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ პრობლემებსა და სხვა კონკრეტულ დარღვევებზე.*

არასამთავრობო ორგანიზაციის მონიტორინგი

გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორინგული სისტემა ნაკლებად ეფექტურია და მოუხერხებელი. მისი წარმატებული ფუნქციონირება დამოკიდებულია იმ სახელმწიფოებზე, რომელთა ინტერესებსაც საფრთხე ემუქრება, ასევე ადამიანის უფლებათა სფეროში გამოვლენილ საეჭვო ფაქტებზე და ა.შ. როგორც უნდა იყოს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (*გაერო*) სისტემა არ წარმოადგენს ინფორმაციის ერთადერთ წყაროს, რომელიც მთელ მსოფლიოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებას ეწევა. ადამიანის უფლებათა ნორმების განვითარებაში არასამთავრობო ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი, თუმცა მათ ოდესღაც დადგენილი ამ ნორმების შესრულების პროცესის მეთვალყურეებად უფრო იცნობენ.

„ემნესთი ინთერნეშენალის“ შტაბ-ბინა ლონდონში მდებარეობს, „ჰუმან რაითს ვოჩის“ (Human Rights Watch (HRW) კი ნიუ-იორკში. ამ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ოფისებს, ფილიალებსა და წევრებს მთელ მსოფლიოში შეხვდებით. ადამიანის უფლებათა მდგომარეობის ამსახველი ფაქტები და გამოვლენილი დარღვევები მათ ანგარიშებში ხშირად ფიგურირებს. ისინი ძალადობის ცალკეულ შემთხვევებსა და სახელმწიფოს ქმედებებზეც ამახვილებენ ყურადღებას.

„ემნესთი ინთერნეშენალისა“ და „ჰუმან რაითს ვოჩის“ ყოველწლიურ საანგარიშო მოხსენებებში გლობალური მასშტაბით ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციაა თავმოყრილი. ამ მოხსენებებს მსოფლიოს თითქმის ყველა სუვერენულ სახელმწიფოში განიხილავენ.[25] მათში ჩამოთვლილ კონკრეტულ შემთხვევებზე სახელმწიფოები ხშირად სწრაფად და მძაფრად რეაგირებენ. მაგალითად, გუანტანამოს ციხეში ტერორისტებთან თანამრომლობის ბრალდებით მოთავსებული პატიმრების მიმართ დამამცირებელი მოპყრობის გამო, 2005 წელს „ემნესთი ინთერნეშენალმა“ შეერთებული შტატები მკაცრად გააკრიტიკა. AI-ის კრიტიკას უმალვე გამოეხმაურნენ აშშ-ის მთავრობის მაღალჩინოსნები და მომხდარი ფაქტი საჯაროდ დაგმეს. არასამთავრობო ორგანიზაციის მოხსენებას თეთრ სახლში ბრიფინგით უპასუხეს. პრეზიდენტმა ჯორჯ უ. ბუშმა ამ ინციდენტს „აბსურდი“ უწოდა.[26] „ემნესთი ინთერნეშენალის“ საერთაშორისო ავტორიტეტს ვერცერთი

ხელმძღვანელი პირი, განსაკუთრებით კი სახელმწიფოს ლიდერი, რომლის საერთაშორისო გავლენა, ნაწილობრივ, ადამიანის უფლებათა პატივისცემას ემყარება, ვერ უგულველყოფს.

მსოფლიო მედია აქტიურად აშუქებს ადამიანის უფლებათა სფეროში გამოვლენილ დარღვევებს. მედიასაშუალებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ორი მიმართულებით: პირველი, ისინი ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების მოხსენებებს მსოფლიოს აცნობენ. „ემნესთი ინთერნეშენალი“ ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ საკითხებს საკუთარ ვებგვერდსა და პუბლიკაციებშიც აქვეყნებს, თუმცა ადამიანთა უმეტესობა მათ შესახებ მხოლოდ მედიასაშუალებებით იგებს. მეორე, მედია ხშირად საგამოძიებო საქმიანობასაც ეწევა და საზოგადოებას ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ მოუთხრობს.

ხანდახან საერთაშორისო საზოგადოების გამოსაფხიზლებლად გაზეთში გამოქვეყნებული ერთი ფოტოსურათიც საკმარისია. მაგალითად, 1999 წელს „ნიუ-იორქ თაიმსის“ (The New York Times) წინა გვერდზე გამოაქვეყნეს კოსოვოს ეთნიკური კონფლიქტის ერთ-ერთი მსხვერპლის ფერადი ფოტოსურათი, რომელმაც დაპირისპირების კიდევ უფრო გამწვავებაში კატალიზატორის როლი შეასრულა. რამდენიმე თვის შემდეგ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციია (NATO) ბალკანეთის კონფლიქტში ჩაერთო. თუ ერთი ფოტოსურათი ათას სიტყვას უდრის, გლობალური სატელევიზიო ქსელით ნაჩვენები ერთი ვიდეოკლიპი გაცილებით მრავლისმეტყველია. ე.წ. **სიენნის ეფექტს (CNN Effect)**, რაც გენოციდის, ეთნიკური წმენდის ან წამების ნაწილობრივ ჩვენებას უკავშირდება, შეუძლია მსოფლიო საზოგადოება მჩაგვრელთა წინააღმდეგ განაწყოს.

სიენნის ეფექტი – *სხვადასხვა მედიასაშუალებით ნაჩვენები კონკრეტული კადრები, რომლებიც ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებთან ასოცირდება, საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრისა და შეხედულებების ფორმირებას უწყობს ხელს. ნანახით აღშფოთებული ადამიანები თავიანთი ქვეყნის მთავრობებს ამ ძალადობრივი ქმედებების აღსაკვეთად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდებენ.*

ეროვნული და რეგიონალური მონიტორინგი

გაეროს დაწესებულებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გარდა, ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორინგს რეგიონალური ორგა-

ერაყის დედაქალაქ ბაღდადიდან რამდენიმე ათეული კილომენტრის მოშორებით მდებარე „აბუ გრეიბის“ (Abu Ghraib) ციხეში ამერიკელი ჯარისკაცების მიერ ერაყელი პატიმრების წამებისა და შეურაცხყოფის ამსახველი ერთ-ერთი ფოტოსურათი. რა გავლენა მოახდინა ამ ფოტოსურათების გამოქვეყნებამ ომის მსვლელობაზე, როგორ გამოხატავენ ისინი „სიენნის ეფექტს“ (CNN Effect) და როგორ აყალიბებენ საზოგადოებრივ აზრს საგარეო პოლიტიკის შესახებ?

ნიზაციები და ცალკეული ქვეყნის მთავრობებიც აწარმოებენ. „ემნესთი ინთერნეშენელისა“ და „ჰუმან რაით ვოჩის“ ყოველწლიური საანგარიშო მოხსენებების პარალელურად, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი წელიწადში ერთხელ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ სისტემურ ანგარიშს აქვეყნებს.[27] ამასთანავე არიან სახელმწიფოები, რომლებიც ანგარიშებს არ აქვეყნებენ, თუმცა პროცესების მონიტორინგს ეწევენ და საზოგადოების ყურადღებას გამოვლენილი დარღვევებისკენ წარმართავენ.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო დეპატამენტის ანგარიში ხშირად არ ემთხვევა „ემნესთი ინთერნეშენალისა“ და „ჰუმან რაით ვოჩის“ საანგარიშო მოხსენებებს, მასში ხშირად გაკრიტიკებულია ის სახელმწიფოები, რომელთა მიმართ შეერთებულ შტატებს სტრატეგიული ინტერესები გააჩნია და მათ ისტებლიშმენტთან კარგი ურთიერთობა აქვს. მაგალითად, 2013 წელს სახელმწიფო დეპარტამენტის გამოქვეყნებული ანგარიშის (Human Rights Report) თანახმად, საუდის არაბეთში (*საუდელთა ნავთობისადმი შეერთებული შტატების სტრატეგიული ინტერესების მიუხედავად*), პაკისტანში, უზბეკეთსა (*მიუხედავად იმისა, რომ ეს ფრონტის ხაზს მოსაზღვრე ქვეყნები ტერორისტების წინააღმდეგ წარმოებულ ომში ამერიკისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებენ*) და ისრაელში (*მიუხედავად იმისა, რომ ებრაული სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის უახლოესი მოკავშირეა*) ადამიანის უფლებები ხშირად ირღვეოდა.

ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანის უფლებების დამცველ სხვადასხვა რეგიონალურ მონიტორინგულ ჯგუფსა და საანგარიშო მოხსენებებს. ამ მხრივ ყველაზე კარგი მდგომარეობაა ევროპაში. ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია (European Commission on Human Rights) ცალკეული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ სუვერენული სახელმწიფოების საჩივრებებს განიხილავს და შესაბამის მოხსენებას აკეთებს. იგივე შეიძლება ითქვას ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულ კომისიასა (Inter-American Commission on Human Right) და ადამიანის უფლებათა აფრიკულ კომისიაზეც (African Commission on Human and Peoples' Rights). აქვე დავამატებდი, რომ ევროპელებისგან განსხვავებით, ამერიკული და აფრიკული კომისიები თავიანთ ფუნქციას ჯეროვნად ვერ ასრულებენ.

ცალ-ცალკე თუ განვიხილავთ, ადამიანის უფლებათა მონიტორინგული და საანგარიშო მოხსენებათა მექანიზმი ხარვეზების გარეშე ვერ მუშაობს, მათ საქმიანობას, მთელ რიგ შემთხვევაში, ტენდენციურობის ელფერიც დაკრავს. ამის მიუხედავად, ადამიანის უფლებათა გლობალური მონიტორინგული სისტემის წარმატება ემყარება სახელმწიფოების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საერთაშორისო და რეგიონალურ დონეზე გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებებს. როგორც უნდა იყოს, კონკრეტულმა ნაბიჯებმა ადამიანის უფლებათა დამრღვევ პირებსა თუ სახელმწიფოებს მოქმედების არეალი შეუმცირა. სამწუხაროდ, არ გვაქვს იმის ბევრი მტკიცებულება, რომ განვითარებული სამყაროს ძალისხმევამ მათ თავიანთ საქციელზე ხელი ააღებინა. ადამიანის უფლებათა სფეროში მომხდარი რევოლუცია იძულებას უნდა ეფუძნებოდეს. საერთაშორისო საზოგადოებამ მკაცრად უნდა დაიცვას დადგენილი ნორმები თუ გვინდა რომ ამ სფეროში ურთიერთობათა ძირფესვიანმა გარდაქმნამ მნიშვნელოვანი შედეგი მოიტანოს.

ადამიანის უფლებების იძულებითი დაცვა

6-4 გააანალიზეთ ადამიანის უფლებათა ნორმების იძულებითი განხორციელების ფაქტები.

ადამიანის უფლებათა დარღვევის ამსახველი საანგარიშო მოხსენებები და მტკიცებულებები სახელმწიფოებს არა იძულებითი დიპლომატიის განხორციელებისკენ უბიძგებს. სახელმწიფოებს შორის არსებული საჯარო და კონფიდენციალური კავშირები, დიპლომატიური გამონათქვამები ან სიმბოლური ჟესტები; მაგალითად, ელჩის გამოწვევა, სამთავრობოთაშორისი შეხვედრების გაუქმება ან კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობაში უარის თქმა, გარკვეულ შემთხვევებში, სახელმწიფოებს არასასიამოვნო მდგომარეობაში აგდებს. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი დიპლომატიური წნეხი ამართლებს. დროდადრო სახელმწიფოების წინააღმდეგ ეკონომიკურ სანქციებს იყენებენ ან სამხედრო ინტერვენციას მიმართავენ.

ეკონომიკური სანქციები

ეკონომიკური სანქციები – სავაჭრო ურთიერთობებზე, ინვესტიციებსა თუ საგარეო დახმარებაზე დაწესებული შეზღუდვები (*ან აკრძალვა*), რაც კონკრეტულ ქვეყანას არსებული პოლიტიკური კურსის შეცვლას აიძულებს.

ეკონომიკური სანქციები (Economic Sanctions) გულისხმობს შეზღუდვების დაწესებას (*ან აკრძალვას*) სავაჭრო ურთიერთობებზე, ინვესტიციებზე, საგარეო დახმარებაზე და ა.შ., რათა კონკრეტულ ქვეყანას არსებული პოლიტიკური კურსის შეცვლა აიძულო. სანქციები იძულებითი დიპლომატიის (Coercive Diplomacy) ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მექანიზმია. პოსტომისეულ ეპოქაში შეერთებული შტატები საგარეო პოლიტიკაში კონკრეტული მიზნების მისაღწევად ეკონომიკურ სანქციებს ხშირად იყენებდა. ყოფილმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა (Bill Clinton), რომელმაც არაერთ ქვეყანას დაუწესა სანქციები, სინანულით აღნიშნა, რომ „სანქციები შეერთებულ შტატებს ბედნიერებას ანიჭებდა“.[28]

შეერთებული შტატების ან სხვა სახელმწიფოების დაწესებული სანქციები ყოველთვის როდი ეფუძნებოდა ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს. სინამდვილეში მიზეზები მრავალფეროვანია: ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, იარაღის პროლიფერაცია, სახელმწიფოთაშორისი აგრესიის გამოვლინება, ნარკოტიკებით ვაჭრობა და სხვ.

ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო შემოღებული ეკონომიკური სანქციების თვალსაჩინო მაგალითია სამხრეთი აფრიკა. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ამ ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მოსულმა ნაციონალურმა პარტიამ (National Party (NP) **აპართეიდის (Apartheid)** სახელით ცნობილი რასისტული, სეგრეგაციული და სეპარატისტული სისტემა ჩამოაყალიბა. სისტემამ შავკანიანებს, რომლებიც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ, ჩამოართვა პოლიტიკურ-ეკონომიკური უფლებები და პრივილეგიები, რომლითაც, როგორც წესი, თეთრკანიანი უმცირესობა სარგებლობდა. 1960-იან წლებში აპარტეიდის დასრულების შესახებ გაკეთებულ საერთაშორისო მოწოდებებს ეკონომიკური სანქციები უმაგრებდა ზურგს. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ წევრ სახელმწიფოებს სამხრეთ აფრიკასთან ვაჭრობის შეწყვეტისკენ მოუწოდა, უშიშროების საბჭომ კი იარაღის მიწოდებაზე ემბარგო დააწესა. გაეროს სახელმძღვანელო იდეას მრავალმა ქვეყანამ დაუჭირა მხარი. გარკვეული შეზღუდვები სამხრეთ აფრიკაში კაპიტალის დაბანდების მსურველ კერძო ბიზნესმენებსაც დაუწესდათ.

აპართეიდი – *მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ სამხრეთი აფრიკის ხელისუფლების სათავეში მოსული ნაციონალური პარტიის მიერ ჩამოყალიბებული რასისტულ-სეგრეგაციული სისტემა.*

1990-იან წლებში აპართეიდის სისტემა ჩამოიშალა. 1994 წელს სამხრეთი აფრიკის პრეზიდენტის სავარძელი დაიკავა ყოფილმა პოლიტიკურმა პატიმარმა და ანტი-აპართეიდული აფრიკის ეროვნული კონგრესის (African National Congress) მეთაურმა ნელსონ მანდელამ (Nelson Mandela), რომელიც ამ ქვეყნის პირველი შავკანიანი ხელმძღვანელი გახდა. სანქციებმა

სამხრეთ აფრიკაში პოლიტიკური მდგომარეობა რადიკალურად შეცვალა. ფართო საერთაშორისო მხარდაჭერამ დადებითი შედეგი გამოიღო. ანტი-აპართეიდული მოძრაობა საყოველთაო აღფრთოვანებას როდი იწვევდა. მაგალითად, შეერთებული შტატები სანქციებს მაშინვე არ შეურთდა. ზოგიერთი ამერიკელი მაღალჩინოსნის მტკიცებით, სამხრეთ აფრიკასა და სხვა ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით მდგომარეობის გაუმჯობესება **კონსტრუქციული ვალდებულებით (Constructive Engagement)** იყო შესაძლებელი. ამ ადამიანთა განცხადებით, შეერთებული შტატები ეკონომიკური ურთიერთობების მხარდაჭერით ადამიანის უფლებებზე უკეთეს გავლენას მოახდენდა. ეს ურთიერთობები სამხრეთ აფრიკაში მოქმედ ამერიკულ კომპანიებს შავკანიანი სამხრეთაფრიკელებისადმი თანასწორი მოპყრობის საშუალებას მისცემდა, რაც ყველასათვის მისაბაძი მაგალითი იქნებოდა. უფრო მეტიც, ასეთი ჩართულობა ეკონომიკური განვითარების წინაპირობა გახდებოდა, რაც მავანთა აზრით, საგანმანათლებლო წესრიგის აღმოცენებას შეუწყობდა ხელს. როგორც უნდა იყოს, აშშ-ის ყოყმანის მიუხედავად, სამხრეთი აფრიკისათვის დაწესებულმა სანქციებმა უფრო დიდი საერთაშორისო მხარდაჭერა პოვა, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ პერიოდში შემოღებულმა სხვა სანქციებმა.

კონსტრუქციული ვალდებულება – *შეხედულება, რომლის თანახმადაც ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესების ყველაზე საუკეთესო საშუალება გახლავთ ამ უფლებების უგულვებელმყოფელ ქვეყნებში ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების წახალისება, რათა გავლენა მოახდინო ამ ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაზე.*

ერთი კვლევის თანახმად, ოცდაცხრამეტი შემთხვევიდან, რომელიც 1970-1990 წლების შუალედში ცალმხრივ ამერიკულ სანქციებს უკავშირდებოდა, მხოლოდ ხუთმა მათგანმა (13 *პროცენტი*) მოიტანა სასურველი შედეგი.[29] მრავალმხრივი სანქციები მეტნაკლებად შედეგიანია. 1970-1999 წლებში შეერთებული შტატების დაწესებული სანქციების (*როგორც ცალმხრივი, ისე მრავალმხრივი*) მხოლოდ ოცმა პროცენტმა მიაღწია ნაწილობრივ შედეგს.[30] ამგვარად, სანქციების შემოღება კონკრეტული ამოცანის გადაჭრის ან პრობლემის ბოლომდე აღმოფხვრის საწინდარი არ გახლავთ.

ალბათ კიდევ უფრო შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ეკონომიკური სანქციები ადამიანთა ყოველდღიურობასთან არის დაკავშირებული. სანქციების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მიზანში ამოღებულ ქვეყანას ეკონომიკური სირთულეები შეუქმნას და მთავრობას რაციონალური ნაბიჯების გადადგმა აიძულოს, შემდეგ კი მიახვედროს, რომ მისთვის უმჯობესი იქნებოდა არსებული პოლიტიკური კურსის შეცვლა, ვიდრე სანქციებით მიყენებული ზარალის დათვლა. ამ სანქციების გამო რიგითი მოქალაქეებს, პირდაპირი თუ ირიბი გზით, ეკონომიკური კრიზისით გამოწვეულ სიდუხჭირესთან უწევთ გამკლავება. ეს კი, თავის მხრივ, წარმოშობს ეთნიკურ პრობლემებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სანქციების მიზანს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა სფეროში გამოვლენილ დარღვევებთან ბრძოლა. იმ დროს, როცა აპართეიდის მრავალი კრიტიკოსი (*განსაკუთრებით, შავკანიანი სამხრეთაფრიკელი არქიეპისკოპოსი დეზმონდ ტუტუ*) მხარს უჭერდა ეკონომიკურ სანქციებს, ანტი-აპართეიდული მოძრაობის სხვა ლიდერები მათ დაწესებას ეწინააღმდეგებოდნენ.

ეკონომიკური სანქციების მორალური ორაზროვნობის თვალსაჩინო მაგალითია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (*გაერო*) თაოსნობით 1990 წლის 6 აგვისტოს ერაყისათვის დაწესებული ყოვლისმომცველი ეკონომიური სანქციები. მათი შემოღება სადამ ჰუსეინის (Saddam Hussein) კუვეიტში შეჭრამ განაპირობა, თუმცა მეზობელი ქვეყნიდან გაძევების მიუხედავად, ისინი ძალაში დარჩა. სანქციების შენარჩუნებით, საერთაშორისო საზოგადოება ერაყელ დიქტატორს მასობრივი განადგურების იარაღის განადგურებასა და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულებას აიძულებდა. ერაყული სანქციების თაობაზე გამართული დებატები სავსეა ჰიპერბოლებით. ერთი

მხარის მტკიცებით, ამ სანქციებს 1990-იან წლებში ხუთ წლამდე ასაკის ნახევარ მილიონზე მეტი ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო ისინი, ვინ ამ ციფრებს ურყოფდა ან მათ სიკვდილში სადამ ჰუსეინს ადანაშაულებდა, მთელ პასუხისმგებლობას აკისრებდნენ ამ უკანასკნელს, რომელიც პირობების შესრულებაზე უარს აცხადებდა.

სიმართლე ადვილი მოსასმენი არ არის. ერთ-ერთი ცნობილი კვლევის თანახმად, 1991-1998 წლებში ერაყში ასი ათასიდან ორას ოცდაშვითი ათასამდე ბავშვი დაიღუპა. კვლევის ავტორის, რიჩარდ გარფილდის (Richard Garfield), თქმით, ბავშვების ერთი მეოთხედი 1991 წლის სპარსეთის ყურის ომის (Persian Gulf War) დროს დაიღუპა, დანარჩენები კი ეკონომიკური სანქციებით გამოწვეულ სიდუხჭირეს ემსხვრეპლნენ.[31]

ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გაეროს პოლიტიკამ შეიწირა სამოცდათხუთმეტი ათასი ბავშვი, რომელთა ასაკი ხუთ წელს არ აღემატებოდა. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერში, ნაწილობრივ, სადამ ჰუსეინიც ბრალეულობაც იკვეთება. იმ დროს, როცა საკმარისი საკვების, სამკურნალო საშუალებებისა თუ სანიტარული პირობების უქონლობის გამო რიგითი ერაყელები ყოველდღიურად იღუპებოდნენ, ერაყის დიქტატორი საკუთარ უსაფრთხოებასა და კომფორტზე დიდძალ ფულს ხარჯავდა. სხვა „სიკეთეებთან“ ერთად, ჰუსეინმა, რომელიც ადამიანის უფლებებს არად დაგიდევდათ, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ქიმიური იარაღიც გამოიყენა. ყოფილ დიქტატორს ეკონომიკური სანქციების გამო გაჭირვებაში ჩავარდნილი რიგითი ერაყელების ბედი და მათი სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი საერთოდ არ ანაღვლებდა.

ეს პრობლემა გარკვეულწილად მოგვარდა, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (*გაერო*) პროგრამამ – „ნავთობი საკვების სანაცვლოდ“ (Oil-for-Food Programme (OIP) – ერაყს ნავთობის შეზღუდული რაოდენობის გაყიდვის ნება დართო. გაეროს გადაწყვეტილებამ მას სურსათისა და სამკურნალო საშუალებების განსაზღვრული მარაგების იმპორტიის საშუალება მისცა. ე.წ. **ჭკვიანი სანქციები (Smart Sanctions)** გაეროს უშიშროების საბჭომ შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის დაჟინებული თხოვნით 2002 წლის მაისში დაამტკიცა. სანქციებმა სამოქალაქო დანიშნულების პროდუქციის იმპორტზე დაწესებული ოფიციალური აკრძალვა შეასუსტა, თუმცა ჰუსეინის რეჟიმისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სხვა სახის პროდუქციის იმპორტზე კვლავინდებურად მკაცრი შეზღუდვები მოქმედებდა. 2003 წელს დაწყებულმა ახალმა ომმა ამ პროგრამას ბოლო მოუღო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ერაყელი და გაეროში მომუშავე მაღალჩინოსნები, რომლებიც Oil-for-Food Programme-ში მონაწილეობდნენ, კორუფციაში იყვნენ ჩართული.

ჭკვიანი სანქციები – *ითვალისწინებს სამოქალაქო დანიშნულების პროდუქციის იმპორტზე დაწესებული აკრძალვების შესუსტებასა და ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებას, თუმცა რეჟიმისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სხვა სახის პროდუქციის (მაგ. იარაღი და ა.შ.) იმპორტზე წინანდებურად მკაცრი შეზღუდვები მოქმედებს.*

სამხედრო ინტერვენცია

ადამიანის უფლებათა დარღვევის საპასუხოდ სამხედრო ძალის გამოყენებას ხშირად **ჰუმანიტარულ ინტერვენციის (Humanitarian Intervention)** სახელით მოიხსენიებენ. ეს ფაქტები ხშირად საერთაშორისო დანაშაულის წინაპირობას ქმნიან. სახელმწიფოები თავიან კარისკაცებს საფრთხეში აგდებენ, მაშინაც კი თუ ეროვნული ინტერესები ბუნდოვანია. არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც, რისი ნათელი დადასტურებაა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) ინტერვენცია კოსოვოსა (1999 *წ.*) და ლიბიაში (2011 *წ.*).

ჰუმანიტარული ინტერვენცია – *საერთაშორისო საზოგადოების მიერ სუვერენულ სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა დარღვევების აღმოსაფხვრელად დაწყებული სამხედრო ოპერაცია.*

კოსოვო 1990-იანი წლების დასაწყისში კომუნისტური იუგოსლავია ხუთ ახალ სუვერენულ სახელმწიფოდ – სლოვენია, ხორვატია, მაკედონია, ბოსნია და სერბეთი და მონტენეგრო – დაიშალა (*მოგვიანებით, სერბეთი და მონტენეგროც ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დაიშალა; იხ.*

დიაგრამა 6.2 ყოფილი იუგოსლავია

წყარო: United Nations, http://www.un.org.

ტაბულა 6.2). ბალკანეთზე დაწყებული პოლიტიკური მოვლენები სისხლისღვრასა და სიძულვილში გადაიზარდა. ეთნიკურმა და რელიგიურმა ანტაგონიზმმა ფართო გასაქანი პოვა. სერბების ლიდერმა სლობოდან მილოშევიჩმა მიზანმიმართულად მოახდინა კონფლიქტის ესკალაცია და პოლიტიკური სარგებლის მიღების მიზნით მოვლენების პროვოცირებას შეუწყო ხელი. 1990-იან წლებში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე უდანაშაულო ადამიანების სისხლი იღვრებოდა.

ყველაზე სისხლიანი კალო ბოსნიაში დატრიალდა. ამ ქვეყანაში მცხოვრები არცერთი ეთნიკური ჯგუფი უმრავლესობას არ წარმოადგენდა. ათწლეულების განმავლობაში მათ შორის მშვიდობა სუფევდა. ურთიერთქორწინებამ და სიახლოვემ ეთნიკური მოზაიკის წარმოშობას შეუწყო ხელი. შიდაეთნიკური მშვიდობასა და თანამშრომლობას ბოლო მოეღო. 1990-იან წლებში ეთნიკური ინტეგრაცია **ეთნიკურმა წმენდამ (Ethnic Cleansing)** ჩაანაცვლა. არასასურველი ეთნიკური ჯგუფებისგან რეგიონის „გაწმენდა“ სასკოლო ავტობუსებზე, ბაზრებსა და სხვა მშვიდობიან დაწესებულებებზე თავდასხმებით დაიწყო. 1994 წელს დაახლოებით ორას ორმოცდაათი ათასი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს, ორი მილიონი კი უსახლკაროდ დარჩა.

ორმილიონიანი კოსოვოს მოსახლეობის ოთხმოცდაათ პროცენტს შეადგენდნენ ალბანელები და მუსულმანები (*სერბები მართლმადიდებლები არიან*), რომლებიც მასობრივი წინააღმდეგობის დასაწყებად მზადყოფნას გამოთქვამდნენ. მოსახლეობის არათანაბარი რაოდენობის მიუხედავად, ნაციონალისტი სერბები კოსოვოს სერბული კულტურის აკვნად მიიჩნევდნენ. ეს რეგიონი, რომელიც დიდი სერბეთის შემადგენლობაში

ეთნიკური წმენდა – *ძალადობრივი მეთოდებით რომელიმე კონკრეტული რეგიონიდან არასასურველი ეთნიკური ჯგუფის გაძევება. გაუსაძლის მდგომარეობას გაქცეული პირებისგან „იწმინდება“ რეგიონი და ეთნიკური თვალსაზრისით კვლავ სუფთა ხდება.*

მოიაზრებოდა, ადამიანთა გარკვეული ჯგუფის აზრით, არასერბული ელემენტებისგან უნდა გაწმენდილიყო.

ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შექმნილმა დაძაბულმა ვითარებამ 1999 წელს კლინტონის ადმინისტრაციას საომარი მოქმედებების დაწყებისკენ უბიძგა. ბოსნიაში ჩადენილი საშინელებებისადმი საერთაშორისო საზოგადოებამ ძალიან გვიან მოახდინა რეაგირება. კლინტონი კოსოვოში **ნატოს** სამშვიდობო ძალების განთავსებასთან დაკავშირებით მილოშევიჩის დაყოლიებას უშედეგოდ ცდილობდა. იუგოსლავიის პრეზიდენტმა ამერიკელთა წინადადებაზე უარი განაცხადა. 1999 წლის 24 მარტს, აშშ-ის ორმოცდამეორე პრეზიდენტმა საჯაროდ განაცხადა, რომ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO) გაეროს ნებართვის გარეშე სერბეთის დაბომბვას იწყებდა. კლინტონის სიტყვით, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე დაწყებული სისხლიანი კონფლიქტის დასრულება და ფართო მასშტაბიანი ომის შესაძლო გავრცელების თავიდან აცილება ამერიკის ეროვნულ ინტერესებში შედიოდა. აშშ-ის პირველი პირი კოსოვოში დაწყებულ ოპერაციას ადამიანის უფლებების დაცვით ხსნიდა. ბალკანეთის კონფლიქტთან დაკავშირებით ბილ კლინტონმა შემდეგი განაცხადა: „ამ ტრაგედიის დასასრული ზნეობრივი თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია“.[32]

1999 წლის 10 ივნისს კლინტონმა კოსოვოში გამარჯვების შესახებ განაცხადა. სერბეთი კოსოვოდან ჯარების გაყვანაზე დათანხმდა. მათი ადგილი დაიკავეს გაეროს სამშვიდობო ძალებმა, რომელთა შორის ამერიკელი სამხედროებიც ერივნენ. სლობოდან მილოშევიჩმა ძალაუფლება შეინარჩუნა, თუმცა განცდილმა მარცხმა მისი ავტორიტეტი საფუძვლიანად შეარყია. 2000 წელს ოპოზიციამ მილოშევიჩი პოლიტიკურ მოუსავლეთში გაისტუმრა. 2001 წელს სერბეთის ახალმა ხელისუფლებამ იგი ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალს (International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia) გადასცა, სადაც ბოსნიასა და კოსოვოში სიძულვილით ჩადენილი არაერთი დანაშაულისათვის გაასამართლეს. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა, კოსოვო ადამიანის უფლებათა დაცვის იძულებითი უზრუნველყოფის თვალსაჩინო მაგალითია. ამ კონფლიქტმა ადამიანის უფლებათა დაცვის საბაბით სუვერენულ სახელმწიფოში ინტერვენციის პრეცენდენტი შექმნა. კოსოვოს შემთხვევა მსოფლიოს მართვასთან დაკავშირებით „რეალისტურ“ შეხედულებას უპირისპირდება. ძალაუფლებას ჩაბღაუჯებული ადამიანები სამართლიანობამ დაამარცხა, სახელმწიფოს სუვერენიტეტმა კი მეორე პლანზე გადაინაცვლა. დიდი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა (Tony Blair) განაცხადა: „ჩაურევლობა დიდი ხნის მანძილზე საერთაშორისო წესრიგის მნიშვნელოვან პრინციპად მიიჩნეოდა, თუმცა განსაკუთრებული ურთიერთობებისას ჩაურევლობის პრინციპი უნდა შეიზღუდოს. გენოციდის შემთხვევები მთელი მსოფლიოს განსჯის საგანი უნდა იყოს“.[33]

ლიბია ტუნისში (2010 *წლის დეკემბერი*) დაწყებული სახალხო მღელვარება („*არაბული გაზაფხული*“) ეგვიპტესა (2011 *წლის იანვარი*) და სხვა არაბულ სახელმწიფოებსაც გადასწვდა. 2011 წლის თებერვალში ლიბიაში აჯანყებამ იფეთქა. საწყის ეტაპზე მუამარ კადაფის (Muammar Qaddafi) მოწინააღმდეგეები ფიქრობდნენ, რომ მთელ ქვეყანაზე დაამყარებდნენ კონტროლს. ლიბიის დიქტატორმა აჯანყებულებს სამხედრო წინააღმდეგობა გაუწია და მარტის შუა რიცხვებში რეჟიმმა ქალაქ ბენღაზის გარშემო ადამიანთა დიდი რაოდენობისა და ჯავშანსატრანსპორტო საშუალებების სრული მობილიზაცია მოახერხა. ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე სიდიდით მეორე ქალაქში კადაფისთან დაპირისპირებული ძალები იყვნენ გამაგრებული. ბენღაზის გარშემო თავმოყრილმა სამხედრო ტექნიკამ, კადაფის სიტყვებმა, როდესაც მან თავის მოწინააღმდეგეებს „ვირთხები“ და „ტარაკნები“ უწოდა, და მუქარებმა, რომ „ლიბიაში ყველა სახლს გაწმენდდა“, მსოფლიო ლიდერები მოახლოებული სისხლისღვრის შესახებ შეაფიქრიანა.[34]

17 მარტს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ათი ხმით ნულის წინააღმდეგ, ხუთმა სახელმწიფომ (*ბრაზილია, ჩინეთი, გერმანია, ინდოეთი, რუსეთი*) თავი შეიკავა, ლიბია არასაფრენ ზონად გამოაცხადა, რათა სამოქალაქო მოსახლეობა ამ ქვეყნის მთავრობისგან დაეცვათ.[35] შეერთებულმა შტატებმა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციამ ლიბიის სამთავრობო ძალებზე ავიადარტყმები განახორციელეს. NATO-ს სამხედრო ოპერაცია 2011 წლის ოქტომბრის მიწურულს ტყვედ ჩავარდნილი მუამარ კადაფის მოკვდინებითა და მისი არმიის დამარცხებით დასრულდა.

NATO-ს მხარდაჭერებმა ლიბიის ოპერაცია „სამაგალითო ინტერვენციისა“ და „სახელმღვანელო მაგალითის“ ეპითეტით შეამკეს. მათი თქმით, ამ სამხედრო ოპერაციამ „დაცვის პასუხისმგებლობის“ სრული მაგალითი აჩვენა. კრიტიკოსები კი მათ შეხედულებებს არ იზიარებდნენ. ინტერვენციის მიზეზად ამ ჯერზეც ადამიანის უფლებები დასახელდა. კრიტიკოსთა განცხადებით, მასშტაბურმა საბრძოლო მოქმედებებმა მრავალი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ლიბია კი გაკოტრებულ სახელმწიფოდ და რადიკალი ისლამისტების ინკუბატორად აქცია.[36]

დაცვის პასუხიმსგებლობის (Responsibility to Protect (R2P) კონცეფციას, რომელზეც წლების განმავლობაში მსჯელობდნენ, ოფიციალურად ხელი მოაწერეს 2005 წლის გაეროს მსოფლიო სამიტზე (2005 UN World Summit), რომელსაც მსოფლიოს ლიდერები ესწრებოდნენ. დოკუმენტის თანახმად, ყველა სახელმწიფოს საკუთარი მოსახლეობის გენოციდისგან, სხვადასხვა ტიპის სამხედრო დანაშაულისგან, ეთნიკური წმენდისა თუ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისგან დაცვის სრული პასუხისმგებლობა ეკისრება. თუმცა, როდესაც სახელმწიფოები ხსენებული დოკუმენტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ვერ ან არ ასრულებენ, დაცვის პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს გაეროს თანხმობით მოქმედი საერთაშორისო საზოგადოება.[37] ამგვარად, R2P ახალი საერთაშორისო ნორმის დამკვიდრებას ითვალისწინებს. საგარეო ინტერვენციის დროს სუვერენიტეტის დარღვევის შესახებ სახელმწიფოს მიერ გამოთქმული პრეტენზიები არ მიიღება, თუ მის ტერიტორიაზე ირღვევა ადამიანის უფლებები ან არ ხდება სათანადო რეაგირება მათ დასაცავად.

დაცვის პასუხისმგებლობა – *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ინიციატივა, რომლის თანახმადაც სახელმწიფოები სხვადასხვა მძიმე დანაშაულისგან საკუთარი მოქალაქეების დაცვის პასუხისმგებლობას იღებენ. მათი უგულებელყოფის შემთხვევაში საერთაშორისო საზოგადოება ინტერვენციის უფლებას იტოვებს.*

R2P-ის აღმოცენება ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით საერთაშორისო საზოგადოების გადადგმულმა არათანმიმდევრულმა ნაბიჯებმა განაპირობა. 1994 წლის გაზაფხულზე რუანდაში საშინელება დატრიალდა. ას დღეში ჰუტუს ტომმა (Hutus) რვაასი ათასი ტუტსი (Tutsis) მაჩეტებითა და სხვა იარაღით დაჩეხა. როგორც აღმოჩნდა, შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების მთავარ საზრუნავს რუანდიდან საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხო გაყვანა წარმოადგენდა. ამერიკელი მაღალჩინოსნები რუანდის მოვლენების შეფასებისას სიტყვა „გენოციდის“ გამოთქმისგან თავს იკავებდნენ, რადგან გენოციდის კონვენციის ერთ-ერთი მუხლის ამოქმედების ვალდებულება არ დამდგარიყო დღის წესრიგში (*იხ. თეორია პრაქტიკაში* 6.1).

არანაკლები სისხლისღვრა მოხდა სუდანში. 2003 წლის დასაწყისში რეჟიმით ზურგგამაგრებულმა არაბებმა დარფურის რეგიონში ასობით ათასი ადგილობრივი მცხოვრები გამოასალმეს სიცოცხლეს, ორ მილიონზე მეტი ადამიანი კი საკუთარი სახლ-კარიდან გააძევეს. მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოება მხოლოდ დაგვიანებული და მოკრძალებული განცხადებებით შემოიფარგლა. 2004 წლიდან სუდანში აფრიკის კავშირის (African Union (AU) მცირერიცხოვანი სამხედრო კონტინგენტია განთავსებული, დარფურიდან გამოქცეულ ლტოლვილებთან საბრძოლველად კი სუდანის მეზობელ ქვეყნებში ევროკავშირის შეიარაღებული ძალები გააგზავნეს. 2007 წლის ივლისში გაეროს უშიშროების საბჭომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და აფრიკის კავშირის

თეორია პრაქტიკაში 6.1

„სიტყვა გ“ (The “G-Word”)

1948 წელს ხელმოწერილი კონვენცია „გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ“ გენოციდის დაწყების შემთხვევაში საერთაშორისო საზოგადოებას კონკრეტული ზომების მიღების უფლებას უტოვებს. ამ მიზეზით შეერთებული შტატებისა და სხვა სახელმწიფოთა ლიდერები თუ მაღალჩინოსნები „სიტყვა გ“-ს (G-Word) გამოთქმისგან თავს იკავებდნენ, რადგან საკუთარ თავზე არ აელოთ ინტერვენციის პასუხისმგებლობა, რომელსაც ისინი და მათი მოქალაქეები გაურბოდნენ. მაგალითისათვის განვიხილოთ სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერ ქრისტინ შელისა (Christine Shelly) და ჟურნალისტს შორის 1994 წლის 10 ივნისს გამართული ორმხრივი კომუნიკაცია. ამ დროს რუანდაში უკვე ასობით ათასი ადამიანი იყო მოკლული. ასეთ დროს რეალისტები იტყოდნენ, რომ ეს ორმხრივი კომუნიკაცია ადასტურებს იმას, რომ სახელმწიფოებს ადამიანის უფლებათა ძალისმიერი მეთოდებით დაცვის სურვილი არ აქვთ, ხოლო კონსტრუქტივისტი მეცნიერები კი ამ სიტყვებისა და იდეების უკან მსოფლიო პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობას დაინახავდნენ.

კითხვა: როგორ შეაფასებდით რუანდაში მიმდინარე მოვლენებს?

ქ-ნი შელი: ჩვენს ხელთ არსებული მტკიცებულებები მიუთითებენ, რომ რუანდაში გენოციდური ქმედებები განხორციელდა.

კითხვა: რა განსხვავებაა „გენოციდურ ქმედებებსა“ და „გენოციდს“ შორის?

ქ-ნი შელი: როგორც იცით, არსებობს ამის იურიდიული განსაზღვრება. 1948 წლის კონვენციაში ჩაწერილი სიტყვა „გენოციდის“ განსაზღვრასთან დაკავშირებით არაერთი დისკუსია გაიმართა... რაც დღემდე ვნახეთ, ვფიქრობთ, რომ აფრიკის ამ ქვეყანაში გენოციდურ ქმედებებს ჰქონდა ადგილი.

კითხვა: რამდენი გენოციდური ქმედება უნდა დაფიქსირდეს, რომ მას გენოციდი ეწოდოს?

ქ-ნი შელი: ალან, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ შემიძლია.

კითხვა: კეთილი, მართალია, რომ სპეციალური მითითება გაქვთ იმასთან დაკავშირებით, რომ სიტყვა „გენოციდი“ ცალკე არ გამოიყენოთ და მას ყოველთვის დაურთოთ სიტყვა „ქმედებები“?

ქ-ნი შელი: მე მაქვს მითითება, რომლის შესასრულებლად ძალ-ღონეს არ ვიშურებ. არსებობს ფორმულირებები, რომლებსაც ვიყენებთ და ამგვარად ვცდილობთ, რომ ჩვენს ქმედებებში თანმიმდევრულობა შევინარჩუნოთ. რომელიმე საკითხთან მიმართებით კატეგორიული მითითება არ მოუციათ, თუმცა რაღაც დეფინიციებიც არსებობს. ჩემი ფრაზეოლოგიით მოვლენების ზუსტ შეფასებას ვცდილობ.

კითხვა: კეთილი. კრისტინ, რას ნიშნავს გენოციდური ქმედება?

ქ-ნი შელი: 1948 წლის კონვენციაში ჩაწერილი განსაზღვრების მიხედვით, გენოციდი არის ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის წინააღმდეგ განხორციელებული კონკრეტული ქმედება, რაც მათ სრულ ან ნაწილობრივ განადგურებას ისახავს მიზნად.

კითხვა: თქვენ ამბობთ, რომ გენოციდი მაშინ ხდება, როდესაც კონკრეტულ ქმედებებს აქვს ადგილი. თქვენი სიტყვით, რუანდაში სწორედ ასეთი ქმედებები დაფიქსირდა. თუ ასეა, რატომ არ აღიარებთ, რომ ამ ქვეყანაში გენოციდი მოხდა?

ქ-ნი შელი: იმიტომ, რომ სიტყვების ასარჩევად მიზეზი არსებობს. მე იურისტი არ ვარ.

- „გენოციდს“ ადამიანურ კატასტროფას უწოდებდე, ხოლო მის შესაჩერებლად არაფერს აკეთებდე (*დარფურის მოვლენებისადმი აშშ-ის დამოკიდებულება*) – საკითხისადმი ასეთი მიდგომა უფრო საშინელებაა თუ ამ სიტყვის არგამოყენება, როდესაც შექმნილი ვითარება ამას მოითხოვს (*რუანდის მოვლენებისადმი აშშ-ის დამოკიდებულება*)? განმარტეთ მიზეზები.
- თქვენი აზრით, რა სამართლებრივმა მიზეზებმა შეიძლება განაპირობონ ის ფაქტი, რომ კეთილგანმზრახველმა ადამიანებმა ან სახელმწიფოებმა რუანდაში, კოსოვოში ან დარფურში განვითარებულ მოვლენებს გენოციდის კვალიფიკაცია არ მიანიჭონ?
- ზოგიერთი ადამიანის რწმენით, აფრიკაში განხორციელებული გენოციდისადმი საერთაშორისო საზოგადოება დიდ დაინტერესებას არ გამოხატავს. რამდენად შეეფერება ეს სიმართლეს? განმარტეთ მიზეზები.

წყარო: US Department of State Daily Press Briefing, June 10, 1994, http://dosfan.lib.uic.edu/ERC/briefing/daily_briefings/1994/ 9406/940610db.html.

შერეული მისია (UNAMID) ჩამოაყალიბა და მშვიდობისმყოფელთა რიცხობრივი შემადგენლობა ოცდაექვსი ათასი კაცით განსაზღვრა. 2008 წლის გაზაფხულზე გაეროს სამშვიდობო ძალების მხოლოდ მესამედი იყო დისლოცირებული. გაეროს გენერალური მდივანის განცხადებით, დარფურში შექმნილი ვითარება უარესდებოდა.[38] 2015 წლის გაზაფხულის მდგომარეობით, დარფურში უსაფრთხოების კუთხით მდგომარეობა კვლავ საგანგაშო იყო. ადგილობრივი სამოქალაქო პირები თავს დაუცველად გრძნობდნენ და უსაფრთხო თავშესაფარს ეძებდნენ.

ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები ერაყსა და სირიაშიც ფიქსირდებოდა. 2011 წელს ბაშარ ალ-ასადის (Bashar al-Assad) რეჟიმის მიერ საპროტესტო გამოსვლების ჩახშობით დაწყებული დაპირისპირება „ისლამური სახელმწიფოს“ (Islamic State of Iraq and Syria (ISIS) მებრძოლთა ბარბაროსობით გაგრძელდა. სისხლიან კონფრონტაციას ორასი ათასი სირიელის სიცოცხლე ემსხვერპლა. 2014 წლის მიწურულს უსახლკაროდ დარჩენილმა რამდენიმე მილიონმა სირიელმა ქვეყნიდან გაქცევით უშველა თავს. 2015 წლის მარტში, გაეროს ადამიანის უფლებათა გამომძიებლებმა „ისლამური სახელმწიფო“ სამხედრო დანაშაულებებისა და გენოციდის მოწყობაში დაადანაშაულეს. რადიკალმა ისლამისტებმა (ISIS), რომლებიც იეზიდებს (Yazidis) მასობრივად ესხმოდნენ თავს, ამ რელიგიური უმცირესობის „ბოლომდე განადგურების“ პირობა დადეს.[39] მართლაც, მუამარ კადაფის უკანონო ქმედებები თავისი „სისასტიკით“ ახლოსაც კი ვერ მივა სირიასა და ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ ჩადენილ მხეცობებთან (*მასობრივი გაუპატიურებები, ეგ ზეკუციები, თავის მოკვეთა, ადამიანთა გატაცება და ა.შ.*). ერთ-ერთი კრიტიკოსის, ალან კუპერმანის (Alan Kuperman), მტკიცებით, ლიბიის კამპანია კონტრპროდუქტიული აღმოჩნდა, რადგან მასობრივი მკვლელობების დაწყებასთან დაკავშირებული შიშები გაზვიადებული იყო და რომ არა საგარეო ინტერვენცია ურთიერთდაპირისპირებისას დაახლოებით ათას ასი ლიბიელი (*ძირითადად კომბატანტები*) დაიღუპებოდა.[40] 2014 წელს, საომარი მოქმედებების დაწყებიდან სამი წლის თავზე, ობამას ადმინისტრაციამ „ისლამური სახელმწიფოს“ დაბომბვა დაიწყო. 2015 წლის შუა პერიოდამდე არცერთი რეზოლუცია არ იყო მიღებული, რომელიც ერაყსა და სირიაში ISIS-ს წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებას მწვანე შუქს აუნთებდა.

ჰუმანიტარული ინტერვენციისადმი სკეპტიკურად განწყობილი ადამიანების განცხადებით, ეს არათანმიმდევრული პოლიტიკა ადვილად პროგნოზირებადი იყო. მაგალითად, ჩარლზ კრაუტჰემერს (Charles Krauthammer) მიაჩნია, რომ ადამიანის უფლებების დასაცავად გაჩაღებული ომი მარცხისთვისაა განწირული. იგი „ჰუმანიტარული ომის რკინის კანონს“ განსაზღვრავს როგორც ცნებას, რომლის თანახმადაც „ჰუმანიტრული ომი მოითხოვს დიდ თანხებს, რომელიც საკმარისი არ არის მის დასასრულებლად“.[41] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფოებსა და მათ მოქალაქეებს დიდი მსხვერპლის გაღების პერსპექტივა არ ხიბლავთ. საკუთარი ჯარისკაცების სიცოცხლეს კი განსაკუთრებით მაშინ უფრთხილდებიან თუ დღის წესრიგში მკაფიოდ განსაზღვრული ეროვნული ინტერესები არ დგას. კოსოვოს შემთხვევა ჰუმანიტარული ომის პრინციპში ჯდება, რადგან ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციამ (NATO) მოწინააღმდეგე მხოლოდ ავიადარტყმებით გაანადგურა და ამ შემთხვევაში ადამიანური ზარალი არ განუცდია. ანალოგიური რამ შეიძლება ითქვას ლიბიაზეც, სადაც NATO-მ კადაფის სამხედრო შენაერთებზე მხოლოდ ავიადარტყმები განახორციელა, სახმელეთო ბრძოლები კი ადგილობრივ აჯანყებულებს მიანდო. რაც შეეხება რუანდას, დარფურსა და სირიას ჰუმანიტარული ინტერვენციები ამ ქვეყნებში ნაკლებად მოსალოდნელია.

ადამიანის უფლებათა დამრღვევი პირების სისხლის სამართლებრივი დევნა

6-5 შეადარეთ და განასხვავეთ ადამიანის უფლებათა კუთხით ჩადენილ არაერთ დანაშაულში ბრალდებული ცალკეული პირების დამახასიათებელი ნიშნების ძლიერი და სუსტი მხარეები.

ადამიანის უფლებათა სფეროში მიღწეული წარმატება იმაზეც არის დამოკიდებული, რომ დამნაშავეებმა პასუხი აგონ. იმ ქვეყნებშიც კი, რომლებშიც ჰუმანიტარული ინტერვენცია წარმატებით განხორციელდა, სამართლიანობა სრულყოფილად ვერ აღდგებოდა თუ დანაშაულის ჩამდენი პირები კვლავ ხელისუფლების სათავეში დარჩებოდნენ ან თანამდებობის დატოვების შემდეგ ზღვისპირა ზღაპრულ დაჩაზე განმატოვდებოდნენ.

ზოგიერთ შემთხვევაში მართლმსაჯულება აღსრულდება იმ ქვეყანაში, რომელშიც ადამიანის უფლებები დაირღვა. იმ ქვეყანაში, რომლებშიც ადამიანის უფლებები სასტიკად ირღვეოდა, **სიმართლის დამდგენი კომისიები (Truth Commissions)** შეიქმნა, თუმცა მათი მოქმედების არეალი და უფლებამოსილება საგრძნობლად განსხვავდება. სამწუხაროდ, შიდა სასამართლოები მათზე დაკისრებულ მოვალეობას ხშირად სათანადოდ ვერ ართმევდნენ თავს, ხოლო დამნაშავეები ადამიანის უფლებების შესახებ ხელმოწერილ საერთაშორისო ხელშეკრულებებს ცინიკურად თელავდნენ ფეხქვეშ. საერთაშორისო მასშტაბით სისხლის სამართლებრივი დევნის სამი გზა არსებობს: პირველი, უნივერსალური იურისდიქცია; მეორე, სპეციალური ტრიბუნალები; მესამე, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო.

სამართლიანობის დამდგენი კომისიები – *ადგილობრივი ორგანოები, რომლებსაც ავტორიტარულ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებათა დამრღვევი პირების საქმიანობის გამოძიება, მათი უკანონო ქმედებების გახმაურება და მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ევალებათ.*

უნივერსალური იურისდიქცია

1998 წლის 16 ოტომბერს, ლონდონის ერთ-ერთ ჰოსპიტალში მწოლიარე ოთხმოცდაორი წლის აუგუსტო პინოჩეტი (Augusto Pinochet) დააპატიმრეს. დიდ ბრიტანეთში სამკურნალოდ ჩასული ჩილეს ყოფილი დიქტატორი, მალთა შუა დისკის თიაქარზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ რეაბილიტაციის პერიოდს გადიოდა. პინოჩეტმა ქვეყნის მართვის სადავეები 1973 წლის სამხედრო გადატრიალების დროს ჩაიგდო ხელში, როდესაც დემოკრატიულად არჩეული სოციალისტი პრეზიდენტი სალვადორე ალიენდე (Salvador Allende) დაამხო. მიუხედავად იმისა, რომ გენერალმა პინოჩეტმა ლათინურ ამერიკაში ყველაზე წარმატებული ეკონიმიკური სისტემა შექმნა, მისი ჩვიდმეტწლიანი მმართველობის პერიოდში ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არასახარბიელო მდგომარეობა სუფევდა. 1991 წელს „რეთიგ რეპორტმა“ (The Rettig Report) გამოაქვეყნა სიმართლის დამდგენი და შერიგების კომისიის (Truth and Reconciliation Commission) დოკუმენტური მასალები, რომლის თანახმადაც პინოჩეტის ზეობის ხანაში ჩილეში ორი ათასაზე მეტი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს, ათასზე მეტი კი გაურკვეველ ვითარებაში „გაუჩინარდა“. 2003 წელს პოლიტიკური პატიმრებისა და წამების წინააღმდეგ ეროვნული კომისიის (National Commission for Political Imprisonment and Torture) გამოქვეყნებული მოხსენებიდან ცნობილი გახდა, რომ დიქტატორის მმართველობისას ადამიანთა წამებას სისტემური ხასიათი ჰქონდა და სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი. დოკუმენტურად, წამების ოცდარვაათასზე მეტი შემთხვევა დადასტურდა.[42]

ზემოთქმულის მიუხედავად, აუგუსტო პინოჩეტმა შიდა მართლმსაჯულებას თავი აარიდა. სიმართლის დამდგენმა და შერიგების კომისიამ მხოლოდ ადამიანის უფლებათა სფეროში გამოვლენილი დარღვევების სააშ-

კარაოზე გამოტანა განიზრახა. ყოფილი დიქტატორის გასამართლება მათ მიზანს არ წარმოადგენდა. გარდა ამისა, 1978 წლის ჩილეში მიღებული კანონი ამნისტიის შესახებ ადამიანის უფლებების დამრღვევ პირებს სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისგან იცავდა. 1990 წელს აუგუსტო პინოჩეტმა თანამდებობა დატოვა, თუმცა მისი შემუშავებული კონსტიტუციის თანახმად, მუდმივი სენატორის წოდება მიიღო, რაც სამუდამო ხელშეუხებლობის გარანტიას უზრუნველყოფდა.

1998 წელს პინოჩეტი ბრიტანეთის დედაქალაქში არა ჩილეს ხელისუფლების, არამედ ესპანელი მოსამართლის გამოტანილი საბრალდებო აქტის საფუძველზე დააპატიმრეს. ჩილელ დიქტატორს ადამიანის უფლებების დარღვევაში, გენოციდის მოწყობაში, ტერორიზმსა და ადამიანთა წამებაში ადანაშაულებდნენ. მოსამართლემ დიდი ბრიტანეთის მთავრობას აუგუსტო პინოჩეტის ესპანეთში ექსტრადიციის მოთხოვნით მიმართა. ერთ წელზე მეტხანს გაგრძელებული სამართლებრივი განხილვების შედეგად გადაწყდა, რომ ყოფილი დიქტატორი ნისლიან ალბიონზე შიდა პატიმრობაში დარჩებოდა. საბოლოოდ, დიდი ბრიტანეთის ლორდთა პალატამ ექსტრადაციის პროცესი დაიწყო, თუმცა ჯანმრთელობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო პინოჩეტის ჩილეში დაბრუნებასთან დაკავშირებით უარი განაცხადა.

2006 წელს გარდაცვლილ აუგუსტო პინოჩეტს წლების განმავლობაში ჩადენილი დანაშაულებების გამო პასუხი არ უგია. თუმცა, 1998 წლის საბრალდებო აქტმა, დაპატიმრებამ და პრინციპებზე შეთანხმებამ, რომელიც პინოჩეტის ესპანეთში ექსტადიციას უკავშირდებოდა, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საკითხებში **უნივერსალური იურისდიქციის (Universal Jurisdiction)** პრეცედენტი შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ საბრალდებო აქტში ესპანეთის მოქალაქეების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები იყო ჩამოთვლილი, ესპანელი მოსამართლის წაყენებული ბრალდების საფუძველზე დიდი ბრიტანეთის პოლიციამ დააკავა ჩილეს მოქალაქე და ყოფილი პრეზიდენტი, რომელსაც ჩილეს ტერიტორიაზე ჩილელების წინააღმდეგ ჩადენილ არაერთ დანაშაულში ედებოდა ბრალი.

უნივერსალური იურისდიქცია – *პრინციპი, რომლის თანახმადაც ადამიანის უფლებების სასტიკი ფორმებით დარღვევის შემთხვევაში სუვერენული სახელმწიფოს სასამართლო ორგანოებს უფლება აქვთ განახორციელონ მართლმსაჯულება იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელზეც დანაშაულის ჩადენის ფაქტი დაფიქსირდა. ასეთ დროს არც დამნაშავეებისა და არც მსხვერპლთა მოქალაქეობას მნიშვნელობა არ აქვს.*

უნივერსალური იურისდიქცია საკმაოდ წინააღმდეგობრივია, რადგან იგი პირდაპირ უპირისპირდება სახელმწიფო სუვერენიტეტს. 1949 წლის ჟენევის ოთხივე კონვენცია (Geneva Conventions) მათი „სერიოზული დარღვევების“ შემთხვევაში უნივერსალური იურისდიქციის იდეას ემყარება.[43] ასევე, 1984 წლის კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ (Convention against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment) სახელმწიფოების მიერ ჩადენილ წამების ფაქტებზე პირველ რიგში იურისდიქციის დადგენას უზრუნველყოფს. ახლა კი კონვენციის პირველი ნაწილის მეხუთე მუხლს გაგაცნობთ:

> ყოველი მონაწილე სახელმწიფო ანალოგიურად იღებს ისეთ ზომებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს, რათა დაადგინოს თავისი იურისდიქცია ასეთ დანაშაულთა მიმართ, იმ შემთხვევებში, როცა სავარაუდო დამნაშავე იმყოფება მის იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე და იგი მერვე მუხლის შესაბამისად არ გადასცემს მას ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს.[44]

1998 წელს ხელმოწერილი ტერორისტული დაბომბვის წინააღმდეგ კონვენციის (International Convention for the Suppression of Terrorist Bombings ან Terrorist Bombings Convention) მეოთხე ნაწილის მეექვსე მუხლში ზემოხსენებული კონვენციიდან თითქმის სიტყვასიტყვითა გადმოღებული უნივერსალურ იურისდიქციასთან დაკავშირებული განმარტება.[45]

უნივერსალური იურისდიქციის მხარდამჭერები მიესალმებიან ამ ტენდენციას, რომელიც ადამიანის უფლებათა დამრღვევი პირების სისხლის სამართლებრივ დევნას ითვალისწინებს. კრიტიკოსები კი შეშფოთებას გამოთქვამენ იმასთან დაკავშირებით, რომ საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფოებმა ან ცალკეულმა მოსამართლეებმა უნივერსალური იურისდიქცია შეიძლება პოლიტიკური და იდეოლოგიური მიზნების განსახორციელებლად გამოიყენონ. აღიარებს რა ამ დილემას, ადამიანის უფლებათა ზოგიერთი დამცველი მართლმსაჯულების აღსასრულებლად და დამნაშავეთა დასასჯელად საერთშორისო ტრიბუნალების არსებობის აუცილებლობაზე აკეთებს აქცენტს.

სპეციალური ტრიბუნალები

ადამიანის უფლებათა დამრღვევი პირების წინააღმდეგ დროებითი ან **სპეციალური ტრიბუნალების (Ad Hoc Tribunals)** შექმნის პრეცედენტს სათავე დაუდო **ნიურნბერგის ტრიბუნალმა (Nuremberg Tribunal)**, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან რამდენიმე თვეში ომში გამარჯვებულმა მოკავშირეებმა დააარსეს. ნიურნბერგის ტრიბუნალის წესდებამ სამხედრო დანაშაულის, მშვიდობისა და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებების გამო ნაცისტი მაღალჩინოსნების სისხლის სამართლებრივი დევნა დაამტკიცა. იურისდიქციის თვალსაზრისით, ეს ბოლო სამი საკითხი ყველაზე საკამათო იყო. ტრიბუნალის წესდებამ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებები შემდეგნაირად განსაზღვრა:

სპეციალური ტრიბუნალები – *ადამიანის უფლებათა დამრღვევი პირების გასასამართლებლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) თაოსნობით დაარსებული დროებითი სასამართლოები.*

ნიურნბერგის ტრიბუნალი – *მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ უკანონო და სასტიკ ქმედებებში ბრალდებული ნაცისტი მაღალჩინოსნების გასასამართლებლად დაარსებული ტრიბუნალი.*

> „ომამდე ან ომის შემდეგ უდანაშაულო სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული: წინასწარ განზრახული მკვლელობა, განადგურება, დამონება, დეპორტაცია და სხვა არაჰუმანური ქმედებები. პოლიტიკური, რასობრივი ან რელიგიური ნიშნით ადამიანთა დევნა-შევიწროვება ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის სისხლის სამართლის დანაშაული ტრიბუნალის იურისდიქციის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს იმ ქვეყნის შიდა კანონის დარღვევა, რომელ ქვეყანაშიც ეს დანაშაული მოხდა“.[46]

ამგვარად, სახელმწიფო სუვერენიტეტისადმი უშუალო დაპირისპირებით დაიწყო გასამართლება იმ ადამიანებისა, რომლებმაც საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ სხვადასხვა დანაშაული ჩაიდინეს. სახელმწიფოს შიდა კანონები უგულებელყვეს.

ნიურნბერგის პრეცედენტმა 1990-იან წლებში პოვა გამოძახილი. 1993 წელს ყოფილი იუგოსლავიის საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ტრიბუნალი (International Criminal Tribunal for the former Yugoslavia (ICTY), მომდევნო წელს კი რუანდის საერთაშორისო ტრიბუნალი (International Criminal Tribunal for Rwanda (ICTR) შეიქმნა. ეს ტრიბუნალები, რომლებიც მოქმედების ეფექტურობით გაცილებით აღემტებოდნენ მოკავშირეთა დაარსებულ ტრიბუნალს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) სტრუქტურაში მოიაზრებოდნენ, რასაც ვერ ვიტყვით ნიურნბერგის ტრიბუნალზე, რომლის მთავარი დირიჟორები მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნები გახლდნენ.

ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის საქმეებზე შექმნილმა საერთაშორისო ტრიბუნალებმა ათობით ადამიანს წაუყენა ბრალი, მრავალი მათგანი სასამართლოს წინაშე წარდგა და გაასამართლეს, არიან ისეთები, რომლებიც დღემდე იხდიან სასჯელს. მათგან ყველაზე ცნობილი ბრალდებული სერბეთის პირველი პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი იყო. პირველი ბრალდება 1999 წელს სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებების გამო წაუყენეს, მეორე ბრალდება კი ბოსნიაში ეთნიკური წმენდის განხოციელებას უკავშირდებოდა. 2001 წელს სერ-

ბეთის ახალმა ხელისუფლებამ მილოშევიჩი ქვეყნის შიგნით კორუფციაში მონაწილეობის ბრალდებით დააპატიმრა და ICTY-ს გადასცა. 2002 წლის 12 თებერვალს სერბეთის ყოფილი ლიდერის წინააღმდეგ დაწყებული სასამართლო პროცესი 2006 წლის 11 მარტს მისი გარდაცვალებით დასრულდა. 14 მარტს მილოშევიჩის წინააღმდეგ აღძრული საქმე დახურეს.

ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის საქმეებზე შექმნილი ტრიბუნალების დაარსება ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით წინგადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. ჩადენილი საზარელი დანაშაულებების გამო კონკრეტული ადამიანები პასუხისმგებლობაში მიეცნენ. ეს იყო სიგნალი, რომ მომავალში ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვის შემთხვევები დაუსჯელი არ დარჩებოდა, ხოლო მათ დარღვევაში შემჩნეული პირები კი მართლმსაჯულებას ვერ გაექცეოდნენ. როგორც უნდა იყოს, ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის შემთხვევებმა გარკვეულ საკითხებთან მიმართებით სპეციალური ტრიბუნალების ხარვეზები გამოავლინა.

პირველი, ორივე ტრიბუნალის ოქმები კომპლექსურია. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი საბრალდებო დასკვნა გამოიცა, ბრალდებულთა დიდი ნაწილი არც დაუკავებიათ და არც გაუსამართლებიათ. ორივე შემთხვევაში, განსაკუთრებით კი რუანდის, თავდაპირველად პროცესები ძალიან ნელა მიმდინარეობდა. რუანდის ტრიბუნალმა (ICTR) პირველი შვიდი წლის განმავლობაში მხოლოდ ცხრა გამამტყუნებელი ვერდიქტი მიიღო. სწორედ ამიტომ არის, რომ მრავალი მოპასუხე უშფოთველად ცხოვრობს მსოფლიო სხვადასხვა ქვეყანაში. გარდა ამისა, ტრიბუნალის საქმიანობაში დიდი ადამიანური და ფინანსური რესურსებიც ჩაიდო. თანამშრომელთა რიცხვი რვაასი ადამიანით განისაზღვრა, ბიუჯეტი კი ას მილიონ აშშ დოლარს აღწევდა.[47] დროთა განმავლობაში ხარვეზები გამოსწორდა. ტრიბუნალმა ოთხმოცდათერთმეტ ადამიანს წაუყენა ბრალი, სამოცდაერთი მათგანი დამნაშავედ ცნეს და პატიმრობა მიუსაჯეს.[48] რუანდის ტრიბუნალმა 2015 წლის მიწურულს დაასრულა მუშაობა. ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალმა, რომელმაც ბოლო საქმე 2017 წელს დაასრულა, ას სამოცდაერთ პირს წაუყენა ბრალი, ოთხმოცი მათგანი გისოსებს მიღმა აღმოჩნდა.[49]

მეორე და გაცილებით მნიშვნელოვანი. სპეციალური ტრიბუნალის საქმიანობის მეთოდები სრულყოფილი არ არის. 1990-იანი წლების დასაწყისში შექმნილ ტრიბუნალებს მსოფლიოს მასშტაბით დაფიქსირებული ადამიანის უფლებათა დარღვევის საშინელი ფაქტების გამოძიების უფლებამოსილება არ ჰქონდათ. დამატებითი ტრიბუნალების შექმნასთან დაკავშირებით დიდი ინტერესი არ არსებობს, რადგან გაღებულმა ხარჯებმა და გაჭიანურებულმა სასამართლო პროცესებმა „ტრიბუნალის გადაღლა“ გამოიწვია.

ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის ტრიბუნალების საქმიანობისას გამოვლენილი შეზღუდვებისა და დანაპირების კომბინაციამ ადამიანის უფლებათა დამრღვევი პირების წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების ინტერესი გააღვივა. ამგვარად, დღის წესრიგში დადგა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დაარსების იდეა.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო

ადამიანის უფლებათ საერთაშორისო სასამართლოს დაარსების პერმანენტული იდეა არა მხოლოდ სპეციალური ტრიბუნალების სხდომების, არამედ რეგიონალურ დონეზე მოქმედი ადამიანის უფლებათა სასამართლოების დოკუმენტებშიც ფიგურირებდა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია 1950 წელს ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო – 1998 *წელს რომის სტატუტით დაარსებული სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო გენოციდში, სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში ბრალდებულ ფიზიკურ პირებს (და არა სახელმწიფოებს) ასამართლებს.*

(European Convention on Human Rights) დაფუძნებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (European Court of Human Rights (ECHR), რომელმაც საქმეების მოსმენა 1959 წელს დაიწყო. ECHR-ი ბოლო წლებში ძალიან დატვირთული რეჟიმით მუშაობს. 2014 წლის 30 დეკემბრის მდგომარეობით, სასამართლომ სამოცდაცხრა ათას ცხრაასი საქმე მოისმინა და თითქმის ყველა მათგანის ავტორი ფიზიკური პირი გახლდათ. ამასთან ერთად, საჩივართა უმეტესობა უკრაინის, იტალიის, რუსეთისა და თურქეთის წინაღმდეგ იყო მიმართული.[50]

რომის სტატუტით (Rome Statute) დაარსებულ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (International Criminal Court (ICC) საერთაშორისო სამართლებრივი ინსტიტუტის ფუნქცია უნდა ეტვირთა.[51] რომის სტატუტი 1998 წლის 17 ივლისს ასოცი ხმით – შვიდის წინააღმდეგ (*ორმოცდაერთმა ქვეყანამ თავი შეიკავა*) მიიღეს. ამ საერთაშორისო შეთანხმების წინააღმდეგ ხმა მისცეს: ერაყმა, ყატარმა, იემენმა, ლიბიამ, ისრაელმა, ჩინეთმა და ამერიკის შეერთებული შტატებმა. სტატუტის თანახმად, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო საქმიანობას მას შემდეგ შეუდგებოდა, როდესაც ხელშეკრულების რატიფიკაციას სამოცი ქვეყანა მოახდენდა. მართლაც, 2002 წლის 1 ივლისს ხელშეკრულება ძალაში შევიდა. 2015 წლის ივლისის მდგომარეობით, სასამართლოს ას ოცდასამი წევრი ჰყავდა (*იხ. თეორია პრაქტიკაში* 6.2).

გაეროს საერთაშორისო სასამართლოსგან (International Court of Justice (ICJ) განსხვავებით, სადაც ერთმანეთს სუვერენული სახელმწიფოები უპირისპირდებიან, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო მხოლოდ ფიზიკური პირების საქმეებს განიხილავს. რომის სტატუტის მიხედვით, მის კომპეტენციაში შედის გენოციდში, სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში ბრალდებული პირების გასამართლება. მსჯელობდნენ იმაზეც, რომ სასამართლოს აგრესიული დანაშაულებებიც გამოეძიებინა, თუმცა აგრესიის განსაზღვრებასთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევამდე საკითხის განხილვა რამდენიმე წლით გადაიდო. 2010 წელს მონაწილე სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ სასამართლოს 2017 წლიდან თავდასხმებთან დაკავშირებული საქმეებიც განეხილა.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება ხელშეკრულების რატიფიკატორი ქვეყნების მოქალაქეთა ჩადენილ დანაშაულებებზე და ასევე იმ დანაშაულებებზე, რომლებიც კონკრეტულმა პირმა (*მიუხედავად იმისა, არის თუ არა მისი ქვეყანა* ICC-*ის წევრი*) რატიფიკატორი ქვეყნის ტერიტორიაზე ჩაიდინა. გარდა ამისა, გაეროს გენერალურ ასამბლეას შეუძლია უფლება დართოს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიებასა და იურისდიქციას იმ შემთხვევაში თუ არც დანაშაულის ჩამდენი პირები და არც ტერიტორია, სადაც დანაშაული ჩაიდინეს, არ მიეკუთვნება ხელშეკრულების რატიფიკატორ ქვეყანას. უშიშროების საბჭოს ასევე შეუძლია მოულოდნელად შეაჩეროს ICC-ის სასამართლო პროცესები, თუ ისინი მშვიდობის დამყარების პროცესს უქმნიან საფრთხეს. უშიშროების საბჭოს ასეთი ქმედებების განსახორციელებლად კვალიფიცირებული უმრავლესობის ცხრა ხმა, მათ შორის მუდმივმოქმედი ხუთივე წევრის ხმა სჭირდება. ამდენად, მხოლოდ უშიშროების საბჭოში მიღწეულ მნიშვნელოვან კონსენსუსს შეუძლია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროცესების მოულოდნელად შეჩერება.

2015 წლის მდგომარეობით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ ცხრა ოფიციალური გამოძიება ჩაატარა (*ყველა აფრიკაში*), ხოლო ოცდაორ საქმეზე კი მოკვლევას აწარმოებდა. ბრალი ოცდათექვსმეტ ადამიანს წაუყენეს. სასამართლო პროცესები თორმეტი თვე

თეორია პრაქტიკაში 6.2

პალესტინა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო

ისრაელისა და შეერთებული შტატების დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, 2015 წლის 1 აპრილს, პალესტინა ICC-ის ას ოცდამესამე წევრი გახდა. პალესტინის ხელისუფლება წლების მანძილზე უშედეგოდ ცდილობდა მის რიგებში გაწევრიანებას. სიტუაცია მას შემდეგ შეიცვალა, როდესაც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2012 წლის ნოემბერში ას ოცდაცამეტი ხმით ცხრის წინააღმდეგ (*ორმოცდაერთმა სახელმწიფომ თავი შეიკავა*) პალესტინას გაეროს „არაწევრი სახელმწიფოს“ სტატუსი მიანიჭა. სიტყვა „სახელმწიფოს“ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი პალესტინას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების უფლებას უტოვებს.

პალესტინას ახლა უკვე შეუძლია მოითხოვოს, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ გამოიძიოს 2014 წელს ღაზას სექტორში მიმდინარე ომის დროს ისრაელის ჩადენილი სამხედრო დანაშაულებები და მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე ებრაული დასახლებების მშენებლობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელი ICC-ის წევრი არ არის ეს შესაძლებელია, რადგან სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს უფლება აქვს გამოიძიოს ნებისმიერი პირის (*თვით წევრობის არმქონე სახელმწიფოს*) ჩადენილი დანაშაული წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ როგორც კი გამოძიება იწყება სასამართლოს ყველა მონაწილე მხარის წინააღმდეგ გამოძიების დაწყების, ბრალის წაყენებისა და გასამართლების უფლება აქვს. ბრალდების წაყენებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების მიზეზი ICC-ის უფროსმა პროკურორმა უნდა დაადგინოს. ამგვარად, სავსებთ შესაძლებელია, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო არა მხოლოდ ისრაელის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს გამოიძიებს, არამედ ისრაელის ბრალდებებსაც, რომლის თანახმადაც „ჰამასი“ (Hamas) პალესტინელებს საფრთხეს უქმნის, იმ დროს, როცა უდანაშაულო სამოქალაქო პირებს ცოცხალ ფარად იყენებს და თავის მებრძოლებს სამხედრო მოსამსახურეების განმასხვავებელი ნიშნებით არ წარმოაჩენს. ომის კანონების თანახმად, ჯარისკაცებისთვის განმასხვავებელი ნიშნები სავალდებულოა, რათა კომბატანტები მშვიდობიანი მოსახლეობისგან განასხვაონ.

- თქვენი აზრით, უნდა ადარდებდეს შეერთებულ შტატებსა და ისრაელს ის ფაქტი, რომ პალესტინა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წევრი გახდა? გამოთქვით თქვენი აზრი.
- შეერთებული შტატები რამდენიმე სხვა სახელმწიფოსთან ერთად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წევრი არ არის. თქვენი აზრით, გახდება აშშ ICC-ის წევრი?
- რეალისტები, ლიბერალები და კონსტრუქტივისტები როგორ განასხვავებდნენ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მნიშვნელობასთან დაკავშირებულ თავიანთ შეხედულებებს?

გაგრძელდა. ორი ადამიანი დამნაშავედ ცნეს, ერთი პირის მიმართ კი გამამართლებელი განაჩენი გამოიტანეს (*სხვებს ან ბრალდება მოუხსნეს ან გარდაიცვალნენ*).[52] უნდა აღინიშნოს სუდანის პრეზიდენტის, ომარ ალ-ბაშირის (Omar al-Bashir), საქმე. მიუხედავად იმისა, რომ სუდანი ICC-ის წევრი არ არის, 2005 წელს გაეროს უშიშროების საბჭომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორს დარფურში არსებული მდგომარეობის გამოძიების ნება დართო. 2009 და 2010 წლებში ICC-მა ალ-ბაშირის დაპატიმრების ორდერები გასცა. სუდანის პრეზიდენტს გენოციდის მოწყობაში, სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში დასდეს ბრალი. ჩამოთვლილი ბრალდებების მიუხედავად, ომარ ალ-ბაშირმა 2019 წლის აპრილამდე შეინარჩუნა თანამდებობა.

რომის სტატუტის რატიფიცირებაზე უარის თქმა შეერთებულმა შტატებმა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის დამახასიათებელი ხარვეზებით ახსნა. ამერიკელი კრიტიკოსების მტკიცებით, ICC-ი გამოძიებისა და ბრალის წაყენებისას (*რომელიც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორებს მიანიჭეს*) ფართო უფლებამოსილების გამო ანგარიშვალდებულებით არ გამოირჩევა. ასევე, გაეროს უშიშროების საბჭოს მის საქმიანობაზე ნებისმიერ დროს შეუძლია გავლენის მოახდენა. სპეციალური ტრიბუნალის სისტემის ფარგლებში სისხლის სამართლებრივი დევნა, ბრალის წაყენება და სასამართლო პროცესი მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოს წევრთა უმრავლესობის თანხმობით (*ვეტოს გარეშე*) იწყება. იგივე პრინციპი მოქმედებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სისტემის ფარგლებშიც. სასამართლო პროცესის მოულოდნელი შეჩერებისათვის უშიშროების საბჭოს წევრთა უმრავლესობის თანხმობა (*ვეტოს გარეშე*) არის საჭირო. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ შეერთებული შტატები უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი წევრია ვეტოს გამოყენების უფლებით, იგი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დიდ გავლენას ვერ მოახდენდა.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ზოგიერთი კრიტიკოსი შეშფოთებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ მთელ მსოფლიოში აშშ-ის წარმოებულმა პოლიტიკამ ამერიკელები შეიძლება ICC-ის სამიზნედ აქციოს. მაგალითად, ზოგიერთი კრიტიკოსი შიშობს, რომ ერაყში (*და არა მარტო*) ჩადენილი დანაშაულებების გამო გამორიცხული არ არის, რომ ამერიკელ ჯარისკაცებსა და მაღალჩინოსნებს ბრალი წაუყენონ. ანალოგიური რამ შეიძლება ითქვას პალესტინელებთან დაპირისპირებულ ისრაელზეც, რომელიც კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებების გამო შეიძლება დამნაშავედ ცნონ. დანაშაულთა ბუნდოვანი დეფინიციები, რომლებიც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოიძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების ნებას რთავს, სასამართლოს პოლიტიზაციასთან დაკავშირებულ შიშებს კიდევ უფრო აძლიერებს.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და ამ პროცესში შეერთებული შტატების ჩართვის მხარდამჭერები ეწინააღმდეგებიან იმ აზრს, რომ შეერთებული შტატები დაცული არის **კომპლემენტარულობის** პრინციპით, რომლის თანახმადაც ICC-ი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყებს მოქმედებას თუ ეროვნული მართლმსაჯულების სისტემას გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება არ შეუძლია ან სურვილი არ აქვს. შეიძლება ვინმემ ჩათვალოს კიდეც, რომ კომპლემენტარულობის პრინციპი არ საჭიროებს დანაშაულის დადგენას ან ადამიანის უფლებათა დარღვევაში ეჭვმიტანილთა წინააღმდეგ ბრალდების წაყენებას. სანამ ამერიკული სასამართლოები კეთილსინდისიერად იძიებენ ადამიანის უფლებების დარღვევაში ეჭვმიტანილ პირთა საქმეებს, მანამდე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო თავის იურისდიქციას ვერ გაავრცელებს

კომპლემენტარულობა – *პრინციპი, რომლის თანახმადაც* ICC-*ი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყებს მოქმედებას თუ ეროვნული მართლმსაჯულების სისტემას გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება არ შეუძლია ან სურვილი არ აქვს.*

მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წევრი არ არის, მისი მოქალაქეები იმ შემთხვევაში გასამართლდებიან თუ დანაშაულს ICC-ის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ჩაიდენენ. მხარდამჭერთა მტკიცებით, პროკურორებისა და მოსამართლეების შერჩევისა და თანამდებობიდან გადაყენების პროცესში მონაწილეობა სინამდვილეში ამერიკელთა ინტერესებში შედის, რათა სასამართლოს მომავალი როლის განსაზღვრაში თავიანთი წვლილი შეიტანონ. ამ შემთხვევაში შეერთებულ შტატებს ხელშეკრულების რატიფიცირება მოუწევს. გარდა ამისა, მხარდამჭერები იმასაც ამტკიცე-

ბენ, რომ შეერთებული შტატები, რომელმაც მთელ მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვის მედროშეობა ითავა, მოწინავე პოზიციებზე უნდა დარჩეს და მოვლენებს არ უნდა ჩამორჩეს, რათა ადამიანის უფლებათა დამრღვევ პირებს დაუსჯელობის სინდრომი მოუსპოს.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსადმი სიმპათიის მიუხედავად, კლინტონის ადმინისტრაციამ პრობლემების მოგვარებამდე უარი განაცხადა, რომ ეს ხელშეკრულება, მისი რატიფიცირების მიზნით, სენატისათვის წარედგინა განსახილველად. ბუშის ადმინისტრაცია უფრო შორს წავიდა და 2002 წლის 6 მაისს გამართული მოლაპარაკებებისას გადაწყდა, რომ შეერთებული შტატები მონაწილეობას აღარ მიიღებდა ICC-ის საქმიანობაში. ამერიკელებმა სასამართლოს სხვა არაწევრ სახელმწიფოებთან – რუსეთი, ჩინეთი, ისრაელი – ერთად დამკვირვებელი სახელმწიფოს სტატუსით მონაწილეობაზეც უარი განაცხადეს. ობამას ადმინისტრაციამ მმართველობის პირველ წლებში ICC-ისთან თანამშრომლობის პოლიტიკა შეცვალა. 2009 წლის იანვარში სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა (Hillary Clinton) განაცხადა: „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან მტრულ დამოკიდებულებას ბოლოს მოვუღებთ და შევეცდებით ყველანაირად ხელი შევუწყოთ მის ეფექტურ მოქმედებას იმგვარად, რომ სამხედრო დამნაშავეების გასამართლებით წინა პლანზე წამოვწიოთ შეერთებული შტატების ინტერესები“.[53] 2010 წელს უგანდის დედაქალაქ კამპალაში გამართულ კონფერენციაში, რომელიც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს უკავშირდებოდა, შეერთებულმა შტატებმა დამკვირვებლის სტატუსით მიიღო მონაწილეობა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აშშ-ის ICC-ში გაწევრიანება სენატის (*რომელიც იდეოლოგიურად ძალიან პოლარიზებულია*) მიერ რომის სტატუტის რატიფიცირებას მოითხოვს, უახლოეს მომავალში შეერთებული შტატების სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რიგებში გაწევრიანებას არ უნდა ველოდოთ.

დასკვნა

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს თაობაზე გამართული დისკუსია ადამიანის უფლებათა სფეროში მომხდარ რევოლუციას უკავშირდება. ერთი მხრივ, არსებული მტიცებულებების თანახმად, ადამიანის უფლებათა იდეამ დაახლოებით ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიოს მართვის მეთოდებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. 2015 წლისათვის, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რიგებში ას ოცდასამი სახელმწიფო იყო გაწევრიანებული. ICC-ის პირველი საქმე 2005 წელს უგანდაში მომხდარ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს უკავშირდება. წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ჩადენილი არაერთი დანაშაულის გამო ბრალი ფიზიკურ პირებს წაუყენეს. 1999 წელს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციამ (NATO) ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო სერბეთი დაბომბა, მოგვიანებით კი მისი ლიდერი სლობოდან მილოშევიჩი გენოციდის, სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებების ბრალდებით ჰააგის ტრიბუნალს გადასცეს. ადამიანის უფლებათა სფეროში მომხდარი რევოლუციის სუსხი ლონდონის ერთ-ერთ საავადმყოფოში მწოლიარე აუგუსტო პინოჩეტსაც შეეხო. სავსებით შესაძლებელია, რომ წარსულში ჩადენილი უკანონო და არაჰუმანური ქმედებების გამო სხვა ლიდერებმაც აგონ პასუხი.

მეორე მხრივ, ამ რევოლუციას ხარვეზებიც ახასიათებს. რამდენიმე ზესახელმწიფომ – შეერთებული შტატები, რუსეთი, ჩინეთი – უარი განაცხადა რომის სტატუტის რატიფიცირებაზე. ICC-ი სწორედ ამ საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზეც შეიქმნა. ჩეჩნეთში, სუდანსა და სირიაში განხორციელებულ ეთნიკური წმენდასა და გენოციდს დიდი საერთაშორისო გამოხმაურება არ მოჰყოლია. 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით წამოწყებული

ანტიტერორისტული კამპანია ახალ გამოწვევად იქცა. 2005 წელს „ემნესთი ინთერნეშენალის“ გენერალურმა მდივანმა განაცხადა: „ადამიანის უფლებათა დღევანდელ ლანდშაფტს თან სდევს გულგრილობა, ეროზია და დაუსჯელობა. ადამიანის უფლებები შეუსრულებელი და ფუჭი დაპირებაა... სამოცი წლის წინ დასრულებული მეორე მსოფლიო ომის ფერფლიდან ახალი მსოფლიო წესრიგი აღდგა. ადამიანის უფლებების, მშვიდობის, უსაფრთხოებისა და განვითარების მიმართ პატივისცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი საზრუნავია. დღესდღეობით, გაეროს თავის წევრი სახელმწიფოების არც პასუხისგებაში მიცემა ძალუძს და არც ამის სურვილი გააჩნია“.[54] 2002 წელს სწორედ ამ ტენდენციებმა ათქმევინა ადამიანის უფლებათა დამცველ მაიკლ იგნატიევს (Michael Ignatieff) შემდეგი სიტყვები: „ხომ არ სრულდება ადამიანის უფლებათა არსებობის ხანა“?[55]

მოკლედ რომ ვთქვათ, ადამიანის უფლებათა სფეროში მომხდარმა ძირფესვიანმა გარდაქმნამ ბოლომდე ვერ ამოშანთა ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები. როგორც უნდა იყოს, სახელმწიფო სუვერენიტეტსა და ადამიანის უფლებათა შორის არსებული ბალანსის ცვლილება თვალშისაცემია. ამგვარად, ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით გადადგმული წარმატებული თუ წარუმატებელი ნაბიჯების გაანალიზება რეალისტების ან მათი კრიტიკოსების მოსაზრებათა მხარდაჭერისკენ გვიბიძგებს. რეალისტების შეხედულებით, მსოფლიო ჩვეული რეჟიმით განაგრძობს ფუნქციონირებას, რადგან წინა პლანზე ჯერ კიდევ სუვერენიტეტი და ეროვნული ინტერესები დგას. ხოლო კონსტრუქტივისტი და ლიბერალი მეცნიერები, ასევე ადამიანის უფლებათა დამცველი აქტივისტები მიუთითებენ, რომ ადამიანის უფლებათა ნორმების, ხელშეკრულებებისა და ინსტიტუტების ძალა ხელს უწყობს მსოფლიოს მართვასთან დაკავშირებით ჩვენი წარმოდგენის ჩამოყალიბებას და ასევე გვაჩვენებს თუ როგორ იმართება იგი სინამდვილეში.

საკითხების მიმოხილვა

- სხვა ზნეობრივი და ეთიკური უნარების მქონე პირმა რატომ უნდა დააყენოს ეჭვქვეშ „ადამიანის უფლებათა სფეროში მომხდარი რევოლუციის“ შესაძლებლობები? რამდენად გამართლებულია ეს ეჭვები?
- რამდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირებაზე თავის შეკავება, ასევე, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოსგან თავის შორს დაჭერა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რიგებში გაწევრიანებაზე უარის თქმა ზოგიერთ ადამიანს აფიქრებინებს, რომ შეერთებულ შტატებს ადამიანის უფლებების მხარდაჭერა არ შეუძლია, თუმცა მეორენი კი გვარწმუნებენ, რომ ამ ინსტიტუტებთან თანამშრომლობაზე უარის თქმით, აშშ ადამიანის უფლებათა მნიშვნელობის გაძლიერებას ცდილობს. ვინ არის მართალი და რატომ?
- როგორ გაიგეს რეალისტებმა „ადამიანის უფლებათა სფეროში მომხდარი რევოლუცია“? თქვენი აზრით, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო საზოგადოების მიერ მიღებული ოფიციალური დოკუმენტები აძლიერებს თუ ასუსტებს მსოფლიოს მართვასთან დაკავშირებით რეალისტურ შეხედულებას?

საკვანძო ტერმინები

ადამიანის უფლებათა სფეროში მომხდარი რევოლუცია
კულტურული რელატივიზმი
ნეგატიური უფლებები
პოზიტიური უფლებები
გენოციდი
გაეროს ადამიანის უფლებათა დამცველი კომისია
ადამიანის უფლებათა საბჭო
ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი
სიენენის ეფექტი
ეკონომიკური სანქციები
აპარტეიდი
კონსტრუქციული ვალდებულება
ჭკვიანი სანქციები
ჰუმანიტარული ინტერვენცია
ეთნიკური წმენდა
დაცვის პასუხისმგებლობა
სამართლიანობის დამდგენი კომისიები
უნივერსალური იურისდიქცია
სპეციალური ტრიბუნალები
ნიურნბერგის ტრიბუნალი
სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო
კომპლემენტარულობა

ჩამოტანილი შენიშვნები

1. Charles Krauthammer, "Liberal Democrats' Perverse Foreign Policy," Washington Post, July 11, 2003, http://www.washingtonpost.com.
2. Jimmy Carter, "Address Before the General Assembly, March 17, 1977," The American Presidency Project, http://www.presidency.ucsb.edu.
3. Kathryn Sikkink, "Transnational Politics, International Relations Theory, and Human Rights," PS: Political Science and Politics 31:3 (1998): 517.
4. "Kosovo/Serbia and Montenegro: Joint Statement on the Status of Internally Displaced and Refugee Minorities from Kosovo," Human Rights Watch, June 16, 2004, http://hrw.org.
5. "The Worst of the Worst 2012: The World's Most Repressive Societies," Freedom House, https://freedomhouse.org/report/special-reports/worst-worst-2012-worlds
-most-repressive-societies#.VSdyzROUdXY.
6. Amnesty International, "Female Genital Mutilation," http://www.amnesty.org.
7. Amnesty International, "Female Genital Mutilation."
8. Amnesty International, "Female Genital Mutilation."
9. Jack Donnelly, Universal Human Rights: In Theory and Practice, 2nd ed. (Cornell University Press, 2003), 89–90.
10. The term and definition are adopted from Margaret E. Keck and Kathryn Sikkink, Activists Beyond Borders: Advocacy Networks in International Politics (Cornell University Press, 1998).
11. Charter of the United Nations, http://www.un.org.
12. General Assembly Resolution 2131: Declaration on the Inadmissibility of Intervention in the Domestic Affairs of States and the Protection of Their Independence and Sovereignty, December 21, 1965, http://jurist.law.pitt.edu/2131.htm.
13. Charter of the United Nations, http://www.un.org.
14. William Korey, NGOs and the Universal Declaration of Human Rights: "A Curious Grapevine" (Palgrave Macmillan, 2001), 39.
15. The full text of these two treaties (and other major human rights treaties) can be found online at http://www.hrweb.org/legal/undocs.html.
16. Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide, http://www.hrweb.org/legal/genocide.html.
17. Sikkink, "Transnational Politics, International Relations Theory, and Human Rights," 519.
18. Samantha Power, A Problem from Hell: America and the Age of Genocide (Perennial Books, 2003), 72.
19. Donnelly, Universal Human Rights, 133.
20. UN General Assembly Resolution 60/1, "2005 World Summit Outcome," September 16, 2005, http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N05/487/60/PDF/N0548760.pdf?OpenElement.
21. UN General Assembly Resolution 60/251, "Human Rights Council," March 15, 2006, http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N05/502/66/PDF/N0550266.pdf?OpenElement.
22. UN Office of the High Commissioner for Human Rights, "Universal Periodic Review," http://www.ohchr.org/EN/HRBodies/UPR/Pages/UPRmain.aspx.
23. See "NGOs Campaign on the 2008 HRC Elections," http://www.hrw.org.
24. UN Office of the High Commissioner for Human Rights, http://www.ohchr.org/EN/AboutUs/Pages/HighCommissioner.aspx.
25. Amnesty International, https://www.amnesty.org/en/countries and Human Rights Watch, World Report 2014, http://www.hrw.org/world-report/2014.
26. BBC News, "Bush Says Amnesty Report Absurd," May 31, 2005, http://news.bbc.co.uk/2/hi/americas/4598109.stm.
27. The annual US Department of State Human Rights Report is available at http://www.state.gov/g/drl/rls/hrrpt/.
28. Gary Clyde Hufbauer, "Sanctions-Happy USA," Institute for International Economics Policy Brief 98-4, July 1998, http://www.iie.com.
29. Kimberly Ann Elliott, "Evidence on the Costs and Benefits of Economic Sanctions," speech given before the Subcommittee on Trade Committee on Ways and Means, US House of Representatives, Washington, DC, October 23, 1997; available online at Institute for International Economics, http://www.iie.com.
30. Gary Hufbauer and Barbara Oegg, "A Short Survey of Economic Sanctions," Institute for International Economics, CIAO Case Studies, http://www.ciaonet.org/casestudy/hug01/.
31. Richard Garfield, "Morbidity and Mortality Among Iraqi Children from 1990 through 1998: Assessing the Impact of the Gulf War and Economic Sanctions," 1999, http://www.casi.org.uk.
32. William J. Clinton, Address to the Nation on Airstrikes against Serbian Targets in the Federal Republic of Yugoslavia (Serbia and Montenegro) March 24, 1999, Weekly Compilation of Presidential Documents, March 29, 1999, 516–518.
33. Tony Blair, "The Blair Doctrine," speech before the Chicago Economic Club, April 22, 1999; available online at Global Policy Forum, http://www.globalpolicy.org.

34. "Libya Protests: Defiant Gaddafi Refuses to Quit," BBC News, February 22, 2011, http://www.bbc.com/news/world-middle-east-12544624.
35. United Nations Security Council Resolution 1973, March 17, 2011, http://www.nato.int/nato_static/assets/pdf/pdf_2011_03/20110927_110311-UNSCR-1973.pdf.
36. Supporters of the Libyan intervention include Ivo H. Daalder and James G. Stavridis, "NATO's Victory in Libya: The Right Way to Run an Intervention," Foreign Affairs 91:2 (March–April 2012); Gareth Evans, "R2P Is Breaking New Ground in the Development of Global Governance," YaleGlobal, April 15, 2011, http://yaleglobal.yale.edu/content/gareth-evans-responsibility-protect-transcript. A harsh critic of the Libya intervention is Alan Kuperman, "A Model Humanitarian Intervention? Reassessing NATO's Libya Campaign," International Security 38:1 (Summer 2013).
37. 2005 World Summit Outcome Document, para. 138–139, http://www.un.org/summit2005/documents.html.
38. Christian Science Monitor, April 9, 2008, http://www.csmonitor.com.
39. "United Nations Investigators Accuse ISIS of Genocide Over Attacks on Yazidis," New York Times, March 19, 2015, http://www.nytimes.com/2015/03/20/world/middleeast/isis-genocide-yazidis-iraq-un-panel.html?_r=0.
40. Kuperman, "A Model Humanitarian Intervention?, 118–119.
41. Charles Krauthammer, "The Short, Unhappy Life of Humanitarian War," National Interest, Fall 1999, http://nationalinterest.org/article/the-short-unhappy-life-of-humanitarian-war-835.
42. Amnesty International Press Release, November 30, 2004, http://web.amnesty.org.
43. Geneva Conventions for the Amelioration of the Condition of the Wounded and Sick in Armed Forces in the Field, for the Amelioration of the Condition of Wounded, Sick and Shipwrecked Members of Armed Forces at Sea, Relative to the Treatment of Prisoners of War, and Relative to the Protection of Civilian Persons in Time of War. This language is contained in all four of the Geneva Conventions on war. See, for example, Article 146 of the fourth convention. Available online at http://www.globalissuesgroup.com/geneva/convention4.html.
44. Convention Against Torture, http://www.hrweb.org.
45. International Convention for the Suppression of Terrorist Bombings, United Nations Office on Drugs and Crime, http://www.unodc.org.
46. Charter of the International Military Tribunal, Article 6; available at Avalon Project, Yale Law School, http://www.yale.edu.
47. International Crisis Group, "International Criminal Tribunal for Rwanda: Justice Delayed," Africa Report No. 30, June 7, 2001, http://www.crisisgroup.org.
48. "The ICTR in Brief," http://www.unictr.org/en/tribunal.
49. UN ICTY, "Key Figures of the Cases," http://www.icty.org/sid/24.
50. "The ECHR in Fact and Figures 2014," http://www.echr.coe.int/Documents/Facts_Figures_2014_ENG.pdf.
51. The Rome Statute of the International Criminal Court, http://www.un.org.
52. See the webpage of the ICC at http://www.icc-cpi.int/en_menus/icc/situations%20and%20cases/Pages/situations%20and%20cases.aspx.
53. Briefing on the International Criminal Court Conference in Kampala, Uganda, US Department of State, June 2, 2010, http://www.state.gov/s/wci/us_releases/remarks/142585.htm.
54. Irene Khan, Amnesty International Report 2005: Foreword, http://web.amnesty.org.
55. Michael Ignatieff, "Is the Human Rights Era Ending," New York Times, February 5, 2002.

თავი 7

ეკონომიკური გლობალიზაცია

ლიბერალური კომერციალიზმის შედეგები

შანხაი, პუდუნის რაიონი: 1989 წელს ... და დღეს. როგორ განასხვავებდნენ რეალისტები და ლიბერალები ჩინეთის სწრაფ ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული საკუთარი გეოპოლიტიკური შედეგების შეფასებებს? ვინ არის მართალი?

სწავლების მიზნები

7-1 შეადარეთ და განასხვავეთ რეალისტების, ლიბერალებისა და ნეო-მარქსისტების შეხედულებები ეკონომიკური გლობალიზაციის შესახებ.

7-2 განმარტეთ ბრეტონ ვუდსის სისტემის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები და მიღწევები ვაჭრობის, მონეტარული სისტემის, განვითარებისა და რეგიონალური ინტეგრაციის სფეროებში.

7-3 განმარტეთ გლობალიზაციის ფენომენი და განიხილეთ მისი მხარდამჭერებისა და კრიტიკოსების არგუმენტები.

7-4 განსაზღვრეთ და შეაფასეთ ფაქტორები, რომლებსაც გლობალიზაციის ცვლილება ძალუძთ.

როგორც წესი, საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრები „მაღალ პოლიტიკასა“ და „დაბალ პოლიტიკას“ ერთმანეთისგან განასხვავებენ. მაღალი პოლიტიკა ეს არის სფერო, რომელშიც სახელმწიფოები ძალაუფლებისა და გეოპოლიტიკური გავლენის მოსაპოვებლად ერთმანეთს ექიშპებიან, ხოლო დაბალი პოლიტიკა მოიცავს გლობალურ ეკონომიკას, ეკოლოგიას, დემოგრაფიასა და სხვა არასამხედრო საკითხებს, რომლებიც სახელმწიფოებსა და არასახელმწიფოებრივ აქტორებს შორის ურთიერთქმედებაში ვლინდება. ეს ტერმინები გამოხატავენ რეალისტურ მიდგომას, რომელთა თანახმადაც საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ საზრუნავს წარმოადგენს სამხედრო და პოლიტიკური ძალაუფლებისათვის გაჩაღებული ბრძოლა, ხოლო ისეთი სადავო საკითხები როგორებიცაა საერთაშორისო ვაჭრობა, ფინანსები და მიგრაცია მათი მნიშვნელობის მიუხედავად, ეროვნული თუ სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესების უმნიშვნელოვანეს პრობლემას არ წარმოადგენს.

ამის მიუხედავად, 1990-იან წლებში, როდესაც ცივი ომი და მასთან ერთად სამხედრო კონკურენციაც დასასრულს მიუახლოვდა, დაბალ პოლიტიკაში გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციისადმი ახალი ინტერესები გაჩნდა. ლიბერალური კომერციული პარადიგმის (*იხ. თავი პირველი*) ოპტიმისტი მხარდაჭერების განცხადებით, გლობალიზაცია დიდი პოლიტიკის მოძველებული გამოხატულებაა. მათი მტკიცებით, გლობალური ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებით მიღებული სარგებელი და მისი განადგურების მცდელობა ომის დაწყების საწინდარია. ერთი მიმომხილველის თქმით, გლობალური პროცესების შეჩერება ისევე გარდაუვალია, როგორც მზის ამოსვლა.[1] აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მსოფლიოს მართვასთან დაკავშირებული რეალისტური შეხედულება თავისი არსით უკვე მოძველებულია.

როგორც უნდა იყოს, რეალისტების აზრით, გლობალიზაციით აღტყინება და მისი გადაუვალობა, რომელიც 1990-იან წლებში კარგ ტონად მიიჩნეოდა, შორსმჭვრეტელობას იყო მოკლებული.[2] სახელმწიფოებს შეუძლიათ შეანელონ ან მკვეთრად შეცვალონ ეკონომიკური გლობალური პროცესები, თუ მათ ინტერესებს საფრთხე დაემუქრება. გლობალიზაცია როგორც მშვიდობის, ისევე სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტის მიზეზიც შეიძლება გახდეს. ეკონომიკურ გლობალიზაციასთან დაკავშირებულ ლიბერალურ შეხედულებებს ნეომარქსისტებიც უპირისპირდებიან. რეალისტების მსგავსად, მათაც მიაჩნიათ, რომ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში არიან როგორც გამარჯვებულები, ისევე წაგებულები და რომ ამგვარი ურთიერთობები სახელმწიფოთა შორის კონფლიქტსა და თანამშრომლობას განაპირობებენ.

წინამდებარე თავი იწყება გლობალურ ეკონომიკასთან დაკავშირებით რეალისტური, ლიბერალური და ნეომარქსისტული პერსპექტივების შედარებით. შემდეგ ვიმსჯელებთ ძირითადი საკითხებისა და საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის განმახორციელებელი ინსტიტუტების შესახებ, ასევე მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან დღემდე მათი განვითარების ეტაპებზე და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულებში მსოფლიო ეკონომიკა მნიშვნელოვნად შეიცვალა, საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის არაერთი დამახასიათებელი თვისება, რომლებიც 1940-იან წლებში ჩამოყალიბდა, დღემდე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ. ამ თავის დასასრულს გლობალიზაციის თემასაც შევეხებით. სტრიქონების კითხვისას თავად დარწმუნდებით, რომ გლობალიზაცია ლიბერალური პარადიგმის ლოგიკური გაგრძელებაა, რომელიც მსოფლიოს მართვასთან დაკავშირებით რეალისტურ შეხედულებას მკვეთრად უპირისპირდება. საბოლოო შეფასებები კი მკითხველისთვის მიგვინდია.

პერსპექტივები გლობალური ეკონომიკის შესახებ

7-1 შეადარეთ და განასხვავეთ რეალისტების, ლიბერალებისა და ნეომარქსისტების შეხედულებები ეკონომიკური გლობალიზაციის შესახებ.

გლობალიზაციასთან ყველაზე მეტად შემდეგი სამი პარადიგმა – რეალიზმი, ლიბერალიზმი და ნეომარქსიზმი – არის დაკავშირებული. თითოეულ მათგანზე ზოგადად უკვე ვისაუბრეთ პირველ თავში. ამ თავში კი ყურადღებას გავამახვილებთ ამ პარადიგმების საფუძვლებზე, რომლებიც უშუალოდ ეხება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ოპერირებასთან დაკავშირებულ შეხედულებას.

რეალიზმი

დღესდღეობით გლობალიზაციის ფენომენის გარშემო არსებული დაპირისპირება მნიშვნელოვანწილად პროტექციონიზმის მერკანტილისტი მხარდამჭერებისა და თავისუფალი ვაჭრობის მომხრე ლიბერალების შორის დაწყებული გაცილებით ძველი დებატების ვარიაციაა. მეთექვსმეტე საუკუნის კლასიკურ კონცეფციაში, მერკანტილიზმი იყო პოლიტიკა, რომელიც ოქროსა და ვერცხლის დაგროვებით ეროვნული სიმდიდრის გაზრდას ითვალისწინებდა. თანამედროვე მერკანტილიზმი, ან **ნეომერკანტილიზმი (Neomercantilism)**, ეროვნული სიმდიდრის დაგროვებას სავაჭრო სალდოთი ცდილობს. როდესაც სახელმწიფოს სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდო გააჩნია, იგი აგროვებს ფინანსურ რეზერვებს და, ამავდროულად, ხელს უწყობს შიდა მრეწველობის განვითარებას.

მრავალი მეცნიერი მიიჩნევს მერკანტილიზმს რეალისტურ პარადიგმად, რომელსაც საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში იყენებენ. რეალისტთა დიდი ნაწილისათვის მერკანტილური პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს სახელმწიფოს ეკონომიკურ სიმდიდრისა და ძალაუფლებას აკუმულირებას, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან სამხედრო ძალაუფლება საბოლოო ჯამში სწორედ ძლიერ ეკონომიკურ ფუნდამენტს ეყრდნობა. როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, რეალისტები „შედარებით მოგებას“ (relative gain) დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. მაშინაც კი, თუ სახელმწიფოები საერთაშორისო ვაჭრობის (*აბსოლუტური მოგება*) შედეგად ეკონომიკურად კიდევ უფრო გაძლიერდებიან, ის სახელმწიფოები, რომლებიც სასაქონლო ბრუნვას ერთიორად გაზრდიან (*შედარებითი მოგება*), საერთაშორისო ძალთა ბალანსში უპირატესობას მოიპოვებენ. რეალისტებისთვის, მსოფლიო ეკონომიკა არის **თამაში ნულოვანი ჯამით (Zero Sum Game)**, როდესაც ერთი სახელმწიფოს ეკონომიკურ წარმატებას, მეორე სახელმწიფოს დანაკარგები განაპირობებს.

მსოფლიო ეკონომიკისადმი რეალისტური ან ნეომერკანტილური მიდგომის თანახმად, სახელმწიფოებმა საგარეო კონკურენციისგან ეროვნული მრეწველობის დასაცავად და მხარდასაჭერად აქტიური ნაბიჯები უნდა გადადგან. **პროტექციონიზმის (Protectionism)** ასეთმა პოლიტიკამ შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიიღოს. ყველაზე ადვილი გზა გახლავთ ტარიფების დაწესება. **ტარიფი (Tariff)** ეს არის გადასახადი, რომლითაც ბეგრავს იმპორტირებულ პროდუქციას. იმ შემთხვევაში თუ ასეთი საქონლის შემომტანები ამ გადასახადის ღირებულებას მომხმარებელს გადასცემენ, ეს იმპორტული საქონელის ღირებულების ზრდას გამოიწვევს და ქვეყანაში წარმოებულ საქონელს, ღირებულების თვალსაზრისით, უფრო კონკურენტულსა და მომხმარებლებისათვის მიმზიდველს გახდის.

ნეომერკანტილიზმი – *მიდგომა საერთაშორისო ეკონომიკაში, როდესაც ეროვნულ სიმდიდრეს სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდოთი აგროვებენ.*

თამაში ნულოვანი ჯამით – *ტერმინი თამაშთა თეორიასა და ეკონომიკურ თეორიაში. ეს გახლავთ პროცესში, რომელშიც ორი მხრე მონწილეობს. შესაბამისად, არიან მოგებულები და წაგებულები. ამ ურთიერთქმედებისას ერთი მხარის ეკონომიკური წარმატების მიზეზები მეორე მხარის დანაკარგებში უნდა ვეძიოთ. ამგვარად, სუფთა მოგება და წაგება ნულის ტოლია.*

პროტექციონიზმი – *შიდა მრეწველობის საგარეო კონკურენციისგან დაცვის მიზნით მთავრობის მიერ განხორციელებული პოლიტიკა.*

ტარიფი – *საზღვარგარეთიდან შემოტანილ საქონელზე დაწესებული გადასახადი, რაც, თავის მხრივ, შიდა მომხმარებლებისათვის მის ფასს კიდევ უფრო ზრდის. ასეთი პოლიტიკა ქვეყანაში წარმოებულ საქონელს, ღირებულების თვალსაზრისით, გაცილებით კონკურენტულსა და მიმზიდველს ხდის.*

არატარიფული ბარიერები – *სახელმწიფოს მიერ დაწესებული ზღვარი, რომელიც, თავის მხრივ, უცხოეთიდან პროდუქციის შემოტანას ართულებს და მის ღირებულებას ერთიორად ზრდის. მაგალითისთვის იხილეთ დაწესებული კვოტები და მკაცრი სანიტარული თუ უსაფრთხოების ნორმები.*

კვოტა – *მოცემულ პერიოდში კონკრეტული იმპორტული საქონლის რაოდენობაზე დაწესებული ლიმიტი.*

სუბსიდიები – *ქვეყნის ფარგლებს შიგნით წარმოებული პროდუქციის ფასის შესამცირებლად და, ამავდროულად, უცხოელ კონკურენტებთან მიმართებაში შიდა მრეწველობის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად გამოყოფილი ფულადი დახმარება ან სხვა ღირებული აქტივები.*

მეზობლის გაკოტრება – *ეკონომიკური პოლიტიკური პროცესი, როდესაც ერთი ქვეყანა პარტნიორი ქვეყნის ხარჯზე ცდილობს საკუთარი ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას.*

შედარებითი უპირატესობა – *მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ბრიტანელი ეკონომისტის, დევიდ რიკარდოს, შექმნილი ეკონომიკური თეორია, რომლის თანახმადაც სახელმწიფოებმა უნდა აწარმოონ ის საქონელი, რომლის წარმოებაც სხვა საქონელთან შედარებით უფრო ეფექტურად აწარმოებენ.*

ანალოგიური მოქმედების დროს ასევე იყენებენ **არატარიფულ ბარიერებს (Nontariff Barriers (NTBs)**, რომლებიც პროტექციონისტური ბარიერების ნიშნებს შეიცავენ და არაფერი აქვს საერთო ტარიფებთან. ყველაზე გავრცელებული არატარიფული ბარიერი გახლავთ **კვოტა (Quota)** ან მოცემულ პერიოდში კონკრეტული იმპორტული საქონლის რაოდენობაზე დაწესებული ლიმიტი. ამ პროდუქტის მიწოდებაზე დაწესებული შეზღუდვები ზრდის შემოტანილი საქონლის ფასს და ქვეყნის ფარგლებს შიგნით წარმოებულ პროდუქტს გაცილებით კონკურენტუნარიანს ხდის. სახელმწიფოები ხანდახან ძალიან უცნაურ არატარიფულ ბარიერებს იგონებენ. მაგალითად, შიდა მრეწველობის დასაცავად იმპორტიორებს ხშირად სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების პირობების დარღვევას ედავებიან. ასევე, სახელმწიფოები იმპორტული საქონლისათვის კონკურენციის გაწევის მიზნით შიდა მრეწველობას დროდადრო **სუბსიდიებით (Subsidies)** უზრუნველყოფენ, რათა ქვეყანაში წარმოებული პროდუქტი მომხმარებლებისთვის უფრო სასურველი გახადონ.

პროტექციონისტული პოლიტიკა ხშირად პოპულისტური მიმზიდველობით სარგებლობს. პრეზიდენტმა აბრაამ ლინკოლმა ოდესღაც განაცხადა: „ბევრი არაფერი ვიცი ტარიფის შესახებ, თუმცა ბევრი ვიცი. როდესაც უცხოეთში წარმოებულ საქონელს ვყიდულობთ, ჩვენ მათი საქონელი მოგვაქვს, ფულს კი უცხოელები იჯიბავენ, ხოლო როდესაც საქონელს ქვეყნის ფარგლებს შიგნით ვყიდულობთ, ორივე ჩვენ გვრჩება“.[3]

ეკონომიკური რეცესიის ან დეპრესიის პერიოდში, როდესაც ქვეყანაში უმუშევრობის დონე მაღალია, პროტექციონისტული შეხედულებები განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. ასეთ ვითარებაში იმპორტულ საქონელზე დაწესებული შეზღუდვები უმუშევრობის პრობლემის გადაჭრის უსწრაფეს გზად შეიძლება ჩაითვალოს. ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის **მეზობლის გაკოტრების (Beggar Thy Neighbor)** პოლიტიკა განსაკუთრებით ძლიერი იყო გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში დიდი დეპრესიის პერიოდში.

ლიბერალიზმი

ეკონომიკური ლიბერალიზმი ნეომერკანტილიზმისა და რეალიზმისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ამ იდეოლოგიის მიმდევრებს, რომლებიც მეთვრამეტე საუკუნეში მოღვაწე ადამ სმითის (Adam Smith) შეხედულებებს ეყრდნობიან, მიაჩნიათ, რომ მთავრობა ნაკლებად უნდა ჩაერიოს თავისუფალი ბაზრის მუშაობაში. ლიბერალი ეკონომისტების შეხედულებით, სახელმწიფოებმა თავისუფალ ვაჭრობაში ჩარევისგან თავი მაქსიმალურად უნდა შეიკავონ.

ეს ლიბერალური მოსაზრება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ბრიტანელი ეკონომისტის, დევიდ რიკარდოს (David Ricardo), შექმნილ **შეფარდებითი უპირატესობის (Comparative Advantage)** თეორიას ეფუძნება. ამ თეორიის თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა აწარმოონ ის საქონელი, რომელსაც სხვა საქონელთან შედარებით უფრო ეფექტურად ამზადებენ. რიკარდოს მსოფლმხედველობის ძირითადი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფოს საქონლის წარმოებისას **აბსოლუტური უპირატესობა (Absolute Advantage)** გააჩნია, იგი მაინც მიიღებს სარგებელს იმ საქონლისგან, რომელსაც სხვა საქონელთან შედარებით უფრო ეფექტურად აწარმოებს. სინამდვილეში, შეფარდებითი უპირატესობა დაკავშირებულია **ალტერნატიულ დანახარჯებთან (Opportunity Cost)**. მაგალითად, ამ სახელმძღვანელოს წაკითხვის ალტერნატიული დანახარჯები სხვა მიმართულებით გამოცდისთვის მომზადებას ემსახურება, ხოლო ფოლადის საწარმოებლად საჭირო მწირი რესურსების მოხმარების

ალტერნატიული დანახარჯები კი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი კომპიუტერების დასამზადებლად შეიძლება გამოიყენონ.

ჯორჯ უოკერ ბუშის ადმინისტრაციაში ეკონომიკური მრჩევლების საბჭოს ყოფილი ხელმძღვანელი და ბესტსელერად ქცეული რამდენიმე ეკონომიკური სახელმძღვანელოს ავტორი ნიკოლას გრეგორი მენქიუ (Nicholas Gregory Mankiw) მკაფიოდ წარმოაჩენს ალტერნატიული დანახარჯების, შედარებითი უპირატესობისა და აბსოლუტური უპირატესობის კონცეფციებს, როდესაც კითხულობს „უნდა გათიბოს კი მაიკლ ჯორდანმა თავისი გაზონი?“[4] იგი თავისი დროის ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო სპორტსმენად მიიჩნეოდა (*დღესდღეობით ეს შეიძლება იყოს ლებრონ ჯეიმსი*). ფიზიკურად ძლიერმა და ათლეტური აღნაგობის ჯორდანმა კალათბურთში დიდ წარმატებას მიაღწია. რასაკვირველია, ასეთი შესაძლებლობების მქონე მაიკლი საკუთარ გაზონს უფრო კარგად გათიბავდა, ვიდრე ამ საქმის შესასრულებლად დაქირავებული ადამიანი. შესაძლოა იგი წარმატებით ართმევდა თავს ორივე საქმეს. როგორც უნდა იყოს, გაზონის გათიბვასთან დაკავშირებით ჯორდანის ალტერნატიული დანახარჯები, შეიძლება გავლენას ახდენდეს მის მიერ ნახტომში ბურთის სროლაზე ან სატელევიზიო რეკლამაზე, ხოლო დამატებითი ფული, რომელსაც კალათბურთის თამაშით ამ სატელევიზიო კომერციული რეკლამით იღებს, საკმარისზე მეტი იქნებოდა, რათა გაზონის გასათიბად ამ საქმეზე მომუშავე პირი ან ცამეტი წლის ბავშვი დაექირავებინა. ამგვარად, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ჯორდანს აბსოლუტური უპირატესობა ჰქონდა როგორც საკალათბურთო კარიერაში, ისევე გაზონის მოთიბვაში, მისი შეფარდებითი უპირატესობა კალათბურთი გახლდათ. ხოლო ჯორდანი და ადგილობრივი გამწვანების სამუშაოების შემსრულებელი კომპანია სარგებელს იღებენ, როდესაც იგი ამ საქმიანობაზეა კონცენტრირებული.

აბსოლუტური უპირატესობა – *მდგომარეობა ეკონომიკურ თეორიაში, როდესაც ერთი სახელმწიფო უფრო იაფად აწარმოებს პროდუქციას, ვიდრე მეორე სახელმწიფო. ადამ სმითის შექმნილი აბსოლუტური უპირატესობის თეორია რიკარდოს შეფარდებითი უპირატესობის თეორიამ შეცვალა.*

ალტერნატიული დანახარჯები – *მომავალში უფრო დიდი სარგებელის მისაღებად ამჟამინდელზე უარის თქმა.*

იგივე არგუმენტი შეიძლება მოვიყვანოთ ეროვნული ეკონომიკის შესახებ. ამ სამყაროში, რომელიც თითოეული ქვეყანა **ავტარკიის (Autarky)** ან ეკონომიკური დამოუკიდებლობის პოლიტიკას ატარებს, შეფარდებითი უპირატესობის თეორიის თანახმად, სპეციალიზაცია და კომერციული საქმიანობა ამცირებს წარმოების ხარჯებს ამცირებს და აუმჯობესებს ცხოვრების პირობებს იმ ქვეყნებში, რომლებიც ვაჭრობაში არიან ჩართული. ლიბერალთა რწმენით, ვაჭრობას ყველა სახელმწიფოსთვის აბსოლუტური სარგებელი მოაქვს და ამიტომ მიიჩნევენ საერთაშორისო ურთიერთობებს **წაუგებელ თამაშად (Positive Sum Game *ან თამაში დადებითი თანხით*)**, რადგან ყველა მონაწილე მხარე ფინანსურად მოგებული რჩება.

ავტარკია – *ეკონომიკური რეჟიმი, რომელიც ეკონომიკური დამოუკიდებლობის სასარგებლოდ მსოფლიო ეკონომიკაში მონაწილეობას გამორიცხავს. ე.წ. კარჩაკეტილი მეურნეობის შექმნა.*

წაუგებელი თამაში – *თამაშთა თეორია, რომლის ყველა მონაწილე მოგებული რჩება.*

ზოგიერთ შემთხვევაში, ლიბერალური არგუმენტი კომერციულ საქმიანობასა და ანტაგონისტურ პროტექციონიზმში თვალნათლივ გამოსჭვივის. მაგალითად, თუ მკაცრი კლიმატის ჩრდილოეთ მინესოტაში სპეციალურად აშენებულ უზარმაზარ სათბურებში ბანანს მოიყვან, შემდეგ კი ამ ძვირადღირებულ ადგილობრივ პროდუქტს ცენტრალური ამერიკიდან იმპორტირებული ბანანისგან მაღალი ტარიფებით დაიცავ, ალტერნატიული დანახარჯები ძალიან მაღალი იქნება. ძვირადღირებული ბანანების მუდმივი მყიდველები ცხოვრების დონის გაუარესებას იგრძნობენ, რადგან სხვა საქონლის საყიდლად საჭირო შემოსავალები შემცირდება. გარდა ამისა, მინესოტაში მოქმედ სხვა საწარმოებში დასაქმებულმა ადამიანებმა შეიძლება სამსახურიც კი დაკარგონ, რადგან ძვირადღირებულ ბანანებში დახარჯული თანხების გამო მომხმარებელს მათი წარმოებული საქონლის შესყიდვისთვის საჭირო თანხები აღარ დარჩება. ბანანის მოსაყვანად გაღებული სახსრები უკეთესი იქნებოდა თუ მრეწველობის სხვა დარგებზე გადანაწილდებოდა, სადაც შედარებითი უპირატესობა არსებობს – მაგალითად ბიოტექნოლოგიაზე.

ლიბერალური მოსაზრება, რომელიც ფოლადით, ტექსტილით ან სხვა წარმოებული საქონლით თავისუფალ ვაჭრობას ეხება, არსებითად არ განსხვავდება ბანანებით თავისუფალი ვაჭრობის შემთხვევისაგან. ასეთი სიტუაციებში შედარებითი უპირატესობის არმქონე ადგილობრივ მრეწველობას უცხოური კონკურენციისგან ტარიფები ან არატარიფული ბარიერები იცავენ. ყველაფრის მიუხედავად, მრავალი ადამიანი უჭერს მხარს იმპორტული საქონლისგან შიდა მრეწველობის (*ფოლადი, ტექსტილი, ავტომობილები და სხვ.*) დასაცავად დაწესებულ შედარებით ტარიფებს. შეიძლება ვინმემ ისიც კი თქვას, რომ განსხვავება არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის ჩრდილოეთში ბანანის მოყვანა არ შეიძლება, რასაც ვერ ვიტყვით ფოლადის წარმოებაზე. როგორც უნდა იყოს, მინესოტაში აშენებულ სათბურებში ბანანების მოყვნა სირთულეს არ წარმოადგენს, თუმცა საკითხი იმაში კი არ მდგომარეობს მოიყვან თუ არა ბანანს ამ შტატში, არამედ იმაში თუ რა თანხებთან იქნება ეს ყველაფერი დაკავშირებული.

ნეო-მარქსიზმი

ნეო-მარქსისტული პერსპექტივა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ მეცხრამეტე საუკუნეში მოღვაწე გერმანელი ფილოსოფოსის, კარლ მარქსისა (*იხ. თავი პირველი*), და 1917 წლის რუსეთის რევოლუციის ლიდერის, ვლადიმირ ლენინის (Vladimir Lenin), ნაშრომებიდან იღებს სათავეს. სამრეწველო რევოლუციის ეპოქაში მოღვაწე მარქსმა ყურადღება გაამახვილა ევროპის მუშათა კლასის ცუდ საცხოვრებელ და სამუშაო პირობებზე. მას არც ის ფაქტი გამოპარვია, რომ მსხვილი მრეწველობის განვითარება მნიშვნელოვნად აისახა კაპიტალისტთა ჯიბეზე, რადგან ინდუსტრიალიზაციის შედეგად მიღებული დოვლათი და მოგება ექსპლუატატორებთან რჩებოდა, ხოლო დაქირავებული მუშები, მათ შორის ბავშვები თითქმის მთელი დღის განმავლობაში ბინძურ და ჯანმრთელობისთვის საშიშ პირობებში გროშებზე მუშაობდნენ. მარქსმა წინდაწინ იწინასწარმეტყველა, რომ ექსპლუატირებული მუშათა კლასი კაპიტალიზმის დასამხობად ერთ მუშტად შეიკვრებოდა და მთელ ევროპაში კომუნისტურ რევოლუციას მოაწყობდა.

იმპერიალიზმი – *ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით სხვა სახელმწიფოებსა და ხალხებზე საკუთარი ძალაუფლების დამყარება.*

ამის მიუხედავად, მარქსის წინასწარმეტყველება არ ახდა. ლენინმა მისი აუხდენელი წინასწარმეტყველება ახსნა **იმპერიალიზმის (Imperialism)** ციტირებით, რომელიც მარქსისტებს სხვა სახელმწიფოებსა და ხალხებზე ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით საკუთარი ძალაუფლების გაგრძელების პოლიტიკად მიაჩნიათ. ლენინის თქმით, დასავლეთი ევროპის მდიდარი კაპიტალისტური ქვეყნები აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში დაარსებულ კოლონიებში მუშახელისა და რესურსების ექსპლუატაციას ეწეოდნენ. კაპიტალისტები კომერციული საწარმოებიდან მიღებული სახსრების გარკვეულ ნაწილს მუშათა საცხოვრებელი პირობების მეტ-ნაკლებ გაუმჯობესებას ახმარდნენ, რადგან დროებით თავიდან აეცილებინათ შიდა კლასობრივი დაპირისპირება, რომელიც შეიძლება რევოლუციაში გადაზრდილიყო. მართლაც ქვეყანაში დაწყებული კლასობრივი დაპირისპირება დროებით შეჩერდა, თუმცა იმპერიალიზმის წიაღიდან ორი ტიპის კონფლიქტი აღმოცენდა: პირველი, კონფლიქტი მდიდარ კაპიტალისტურ ქვეყნებსა და მათ მორჩილებაში მყოფ კოლონიებს შორის; მეორე, ამ კოლონიების ხელში ჩასაგდებად დაწყებული კონფლიქტი მდიდარ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის.

თანამედროვე ნეო-მარქსისტების უმეტესობა მუშათა რევოლუციის შესახებ კრინტს აღარ ძრავს. ისინი არც მეოცე საუკუნის პირველ ნა-

ხევარში მარქსისა და ლენინის იდეების საფუძველზე ჩამოყალიბებულ რეჟიმებს (*რუსეთი, ჩინეთი*) აღიარებენ. თუმცა, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების აღქმასთან დაკავშირებით, მათ იდეებს კვლავინდებურად იზიარებენ.

პირველი, ნეო-მარქსისტების აზრით, მსოფლიო ეკონომიკაში განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის მუდმივი კონკურენცია არსებობს. წარსულში ევროპული სახელმწიფოები ერთმანეთს კოლონიებისთვის ებრძოდნენ, პოსტკოლონიურ ეპოქაში კი ირიბი გზებით ცდილობენ რესურსებზე, ბაზრებსა და საინვესტიციო ადგილებზე კონტროლის დამყარებას. ამგვარად, ნეო-მარქსისტები კაპიტალისტურ სახელმწიფოებს – შეერთებული შტატები, დასავლეთი ევროპა და იაპონია – შორის ეკონომიკურ და სავაჭრო თემებზე გამართულ დისკუსიებს საერთაშორისო კაპიტალიზმის თვისებად მიიჩნევენ. იმ დროს, როცა ზოგიერთი მიმომხილველი მიესალმება ჩინეთის ლტოლვას საბაზრო კაპიტალიზმისაკენ, როგორც იმედის მომცემ პერსპექტივას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მისი ურთიერთობების განმტკიცებას განვითარებულ დასავლურ ქვეყნებთან, ნეო-მარქსისტები ორ პოლუსს შორის დაძაბულობის ზრდას ელიან. მათი თქმით, გლობალურ შიდაკაპიტალისტურ დაპირისპირებაში გამოჩენილი ახალი მოთამაშე კომუნისტური ჩინეთი სწორედ დასავლური ქვეყნების ეკონომიკურ პოზიციებს უქმნის საფრთხეს.

მეორე, ნეო-მარქსისტები განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ ღარიბი ქვეყნების ექსპლუატაციის შესახებ საუბარს არ წყვეტენ. იმ დროს, როცა ლიბერალები არსებულ სიღარიბესა და ეკონომიკური განვითარების დაბალ დონეს არასწორ შიდა პოლიტიკას აბრალებენ, ნეო-მარქსისტები ამ ყველაფერს საგარეო ფაქტორებს მიაწერენ – განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მდიდარი ქვეყნები ღარიბ ქვეყნებს მიზანმიმართულად ძარცვავენ. ამ არგუმენტის ვერსია, რომელიც **დამოკიდებულების თეორიის (Dependency Theory)** სახელითაა ცნობილი, 1960-1970-იან წლებში იყო პოპულარული. ამ თეორიის თანახმად, ღარიბი ქვეყნები, რომლებიც კოლონისტების პირველი მსხვერპლი შეიქნენ, თავიანთ სიღარიბეს სწორედ კოლონიურ მმართველობას უნდა „უმადლოდნენ“. დამპყრობლები კოლონიურ ქვეყნებს ინვესტიციების, ვაჭრობის და ა.შ. მეშვეობით აკონტროლებდნენ. განვითარებულმა ქვეყნებმა სწორედ ღარიბი ქვეყნების ხარჯზე მოიპოვეს უპირატესობა. ეს უკანასკნელები მათზე დამოკიდებული გახდნენ.

დამოკიდებულების თეორია – *ამ თეორიის თანახმად, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ჩამორჩენილობა და პოლიტიკური არასტაბილურობა მსოფლიო ეკონომიკაში მათმა ინტეგრაციამ და განვითარებული ქვეყნების სისტემატურმა წნეხმა გამოიწვია.*

მესამე, ნეო-მარქსისტები განცხადებით, შიდაკაპიტალისტურ დაპირსპირებაში წარმატების მიღწევის ან ღარიბი ქვეყნების ძარცვის მიუხედავად, კაპიტალისტურ ქვეყნებში დასაქმებული პირები ბენეფიტებით მაინც ვერ ისარგებლებენ. ნეო-მარქსისტების რწმენით, მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაცია განვითარებულ ქვეყნებში მომუშავეებს გარკვეული სახის პრობლემებს უქადის, რადგან შორეული ღარიბი ქვეყნებიდან ჩამოსული იაფი მუშახელი მათ სამუშაო ადგილებში ეცილება.

მოკლედ რომ ვთქვათ, ნეო-მარქსისტები და რეალისტები არ იზიარებენ ლიბერალთა შეხედულებას იმასთან დაკავშირებით, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები წაუგებელი თამაშია (*ან თამაში დადებითი ჯამით*) და მისი ყველა მონაწილე მოგებულია. რეალისტების მსგავსად მსოფლიო ეკონომიკას ნეო-მარქსისტებიც კონკურენტულ გარემოდ აღიქვამენ, სადაც მოგებულები და წაგებულები ერთმანეთს ენაცვლებიან, თუმცა მათ შეხედულებებს შორის გარკვეული სხვობა მაინც შეინიშნება.

ბრეტონ ვუდსის სისტემა

7-2 განმარტეთ ბრეტონ ვუდსის სისტემის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები და მიღწევები ვაჭრობის, მონეტარული სისტემის, განვითარებისა და რეგიონალური ინტეგრაციის სფეროებში.

ბრეტონ ვუდსის სისტემა – *ლიბერალური ეკონომიკური წესრიგის განვითარების მხარდასაჭერად მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ პერიოდში შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების თაოსნობით ჩამოყალიბებული საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა.*

ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება – *1947 წელს ხელმოწერილი ეს საერთაშორისო ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ლიბერალური იდეას უჭერდა მხარს. GATT-ის ორგანიზებულ ფორუმზე სახელმწიფოები პროტექციონისტული ბარიერების შემცირების შესახებ მსჯელობდნენ.*

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია – *ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების მემკვიდრე. მსო-ის ორგანიზებულ საერთაშორისო ფორუმზე წევრი სახელმწიფოები მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებების შესახებ მართავენ მოლაპარაკებებს. დე ფაქტო სასამართლოს ფუნქციებით აღჭურვილი მსო წევრ სახელმწიფოებს შორის წარმოქმნილ სავაჭრო დავებსაც აგვარებს. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია 1995 წელს დაარსდა.*

არადისკრიმინაცია – *სავაჭრო პრინციპი, რომლის თანახმადაც GATT-ისა და WTO-ის წევრმა სახელმწიფოებმა თავიანთი შიდა ბაზარი ყველა წევრისათვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა გახადონ.*

1930-იან წლების დიდი დეპრესიის პერიოდში მთელ მსოფლიოში ძლიერი ნეომერკანტილური წნეხი მას შემდეგ გაძლიერდა, როდესაც სახელმწიფოები მათ წინაშე მდგარი ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას მეზობელი ქვეყნების ხარჯზე ცდილობდნენ. ამ ყველაფერმა ტარიფებისა და სხვა პროტექციონისტული ზომების გაზრდა, საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის სწრაფი შემცირება და პოლიტიკური დაძაბულობა გამოიწვია. ეკონომიკურმა უძრაობამ, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შედეგად წარმოქმნილ ეკონომიკურ დევასტაციას უკავშირდებოდა, დასავლეთი ევროპის მრავალ ქვეყანაში მარქსისტული და კომუნისტური პარტიების მნიშვნელოვანი პოპულარობა განაპირობა. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ პერიოდში ლიბერალური ეკონომიკა მრავალ ქვეყანაში გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა.

მეზობლის გაკოტრების პოლიტიკის მორიგი მცდელობის თავითან არიდების მიზნით შეერთებულმა შტატებმა – პოსტომისეულ ეპოქაში სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით მსოფლიოში უძლიერესი სახელმწიფო – თავისუფალი ვაჭრობის ლიბერალურ პრინციპებზე დაფუძნებული პოსტომისეული ეკონომიკური წესრიგის შექმნას დიდწილად შეუწყო ხელი. 1944 წლის ივლისში შეერთებული შტატებისა და ორმოცდასამი მოკავშირე ქვეყნის წარმომადგენლები ნიუ-ჰემპშირის შტატში მდებარე საკურორტო ქალაქ ბრეტონ ვუდსის სასტუმრო „მაუნთ ვაშინგთონში“ (Mount Washington Hotel) შეიკრიბნენ. შეხვედრის მონაწილეებმა პოსტომისეული საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დასარეგულირებლად შესაბამისი ინსტიტუტების და წესდების ჩამოყალიბება დაისახეს მიზნად. **ბრეტონ ვუდსის სისტემად (Bretton Woods SyStem)** წოდებულ ამ წესებსა და ინსტიტუტებს მსოფლიო ეკონომიკა თვითგამანადგურებელი ნეომერკანტილური პოლიტიკისგან უნდა გაეთავისუფლებინა. მიუხედავად იმისა, რომ ბრეტონ ვუდსის სისტემის არაერთი დამახასიათებელი ნიშანი დროთა განმავლობაში შეიცვალა ან ჩანაცვლდა, 1940-იან წლებში შექმნილი მრავალი ინსტიტუტი თუ მიღებული გადაწყვეტილება დღემდე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებზე.

საერთაშორისო სავაჭრო რეჟიმი

რეჟიმი – როგორც უკვე ვისაუბრეთ მეხუთე თავში – ეს არის ერთობლიობა პრინციპების, ნორმების, წესებისა და პროცედურებისა, რომლებიც თან ახლავს საერთაშორისო აქტივობას კონკრეტულ პრობლემატურ სფეროში. 1947 წელს ხელმოწერილი **ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების (General Agreement on Tariffs and Trade (GATT)** ძირითად მიზანს საერთაშორისო ვაჭრობაში არსებული პროტექციონისტული ბარიერების შემცირება წარმოადგენდა. ეს საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც, თავის მხრივ, ვაჭრობის ლიბერალური წესების გასახორციელებლად შეიქმნა, 1995 წელს დაარსებულმა **მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ (World Trade Organization (WTO)** ჩაანაცვლა.

GATT-ი და WTO-ი იზიარებენ **არადისკრიმინაციის (Nondiscrimination)** ნორმას რათა უზრუნველყონ მათი წევრების თანაბარი წვდომა რომელიმე ქვეყნის შიდა ბაზარზე. ამ ნორმის თანახმად, GATT/WTO-ის ყველა წევრი სახელმწიფო გადასცემს სხვა წევრებს **ყველაზე სასურველი სახელმწიფოს (Most Favored Nation (MFN)** სტატუსს (*რომელსაც დღესდღეობით*

„*მუდმივი ნორმალური სავაჭრო ურთიერთობების*“ (Permanent Normal Trade Relations (PNTR) *სახელით მოიხსენიებენ*). მაგალითად, თუ კანადა იტალიიდან იმპორტირებულ ფეხსაცმელზე ათპროცენტიან ტარიფს დააწესებს, მან GATT-ის ყველა სხვა წევრი ქვეყნიდან შემოტანილ ფეხსაცმელზეც იგივე ტარიფი უნდა დააწესოს. კანადა იტალიურ ფეხსაცმელს ვერც უპირატესობას მიანიჭებს და ვერც უგულებელყოფს. ამ დადგენილი წესის მიზანი გახლავთ წევრ სახელმწიფოებს შორის გაჩაღებული ორმხრივი სავაჭრო ომების შეჩერება.

რასაკვირველია, ამ ყველაფრის მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფოთა შორის არა მხოლოდ თანაბარი სატარიფო ბარიერების, არამედ უფრო დაბალი სატარიფო ბარიერების დაწესება. ამრიგად, GATT/WTO-ის პროცესი ეფუძნება დისკუსიების ან „რაუნდების“ სერიას, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციას უწყობს ხელს. ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების მოქმედების პერიოდში რვა რაუნდი გაიმართა. ბოლო მათგანი გახლდათ „ურუგვაის რაუნდი“, რომელიც 1986 წელს ამ ქვეყანაში დაიწყო და შვიდნახევარი წელი გაგრძელდა. „ურუგვაის რაუნდის“ დასასრულს ვაჭრობისა და ტარიფების გენერალურმა შეთანხმებამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. GATT-ის თავდაპირველი წევრი სახელმწიფოების რაოდენობა ოცდასამიდან (*დამფუძნებლები*) ასოცდასამამდე გაიზარდა, მთელ მსოფლიოში სამრეწველო საქონელზე დაწესებული ტარიფები საშუალოდ ერთნიშნა რიცხვამდე შემცირდა, ხოლო საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა კი გაიზარდა.

ამავდროულად, ვაჭრობისა და ტარიფების გენერალურმა შეთანხმებამ ვერ შეძლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე დაწესებული შეზღუდვების ბოლომდე მოხსნა. ქვეყნის შიგნით მოქმედი ლობისტური ჯგუფები, განსაკუთრებით ფერმერები, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე დაცული იყვნენ უცხოური კონკურენციისგან, საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამდნენ და ეწეოდნენ ვაჭრობის ლიბერალიზაციას ისეთ სფეროებში, რომლებიც პოლიტიკური თვალსაზრისით საშიში იყო ქვეყნის ხელმძღვანელი პირებისათვის. სანიტარიის, უსაფრთხოების ან გარემოს დაცვის მიზნით დაწესებული არასატარიფო ბარიერების იდენტიფიცირება და დარეგულირება ხშირად სირთულეს წარმოადგენდა. 1970-იან წლებში ნავთობის მაღალმა ფასებმა და ეკონომიკური ზრდის შემცირებამ მრავალ ქვეყანა-

ყველაზე სასურველი სახელმწიფო – *სახელმწიფო, რომლის პროდუქცია ყველაზე „ხელსაყრელი“ პირობებით სარგებლობს. აქედან გამომდინარე, მათთვის ყველაზე დაბალი ტარიფებია დაწესებული და, შესაბამისად, არც სატარიფო ბარიერებს აწყდებიან. დღესდღეობით MFN „მუდმივი ნორმალური სავაჭრო ურთიერთობების“ (Permanent Normal Trade Relations (PNTR) სახელითაა ცნობილი.*

ინდოეთში მოქმედი ერთ-ერთი „ქოლცენტრი“, რომელიც ამერიკელ მომხმარებლებს ემსახურება. თქვენი აზრით, მერკანტილისტები, ლიბერალები და მარქსისტები როგორ შეაფასებდნენ ამერიკული კომპანიების მიერ „ქოლცენტრების“ საზღვარგარეთ, მაგალითად, ინდოეთში გადატანის ტენდენციას?

ში უმუშევრობის დონე მკვეთრად გაზარდა. ეს არასატარიფო ბარიერები ხშირად პროტექციონიზმის ინსტრუმენტის როლს ასრულებდნენ, რადგან ისინი GATT-ის წესდების (*რომლებიც ტარიფებს არეგულირებდნენ*) დარღვევის გარეშე შიდა ეკონომიკას იცავდნენ.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის არსებობის პერიოდში საერთაშორისო სავაჭრო მოლაპარაკებების პირველი რაუნდი „დოჰას რაუნდი" (Doha Development Round), 2001 წელს დაიწყო და 2015 წლამდე გაგრძელდა. გარდა ამისა, დღემდე გრძელდება სავაჭრო მომსახურების გათავისუფლებასა და არასატარიფო ბარიერების შემდგომ რეგულაციასთან დაკავშირებული GATT-ის ეპოქის დროინდელი ძალისხმევები. „დოჰას რაუნდის" მთავარ ამოცანას ღარიბი ქვეყნების განვითარება წარმოადგენდა. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა განვითარებულ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო პროტექციონიზმის შემცირება რათა განვითარებადმა ქვეყნებმა კონკურენციის გაწევა შეძლონ. ეს ნაბიჯი იაპონიასა და ევროკავშირში მაღალი აგრიკულტურული ტარიფების შემცირებასა და ევროპელი/ამერიკელი ფერმერებისათვის მასშტაბური დაფინანსების შეწყვეტას ითვალისწინებს. როგორც უნდა იყოს, 2015 წლის მდგომარეობით, დოჰას რაუნდის ფარგლებში გამართული მოლაპარაკებები ჩიხში მოექცა, რადგან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ას სამოცმა წევრმა სახელმწიფომ ამ სადავო საკითხების შესახებ დღემდე კონსესუსს ვერ მიაღწია.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმებისგან განსხვავებით „დავების მოგვარების უფლებამოსილებით" არის აღჭურვილი. GATT-ი სახელმწიფოებს შორის წარმოქმნილი დავებს არ აგვარებდა. ერთი სახელმწიფოს მიერ გატარებული პროტექციონისტული პოლიტიკისა და GATT-ის შეთანხმებების უგულვებელყოფით დაზარალებული მეორე სახელმწიფო კომპენსაციის მოსათხოვად ვერავის მიმართავდა. ეს ხარვეზი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზციამ აღმოფხვრა. წევრ სახელმწიფოებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ სავაჭრო პარტნიორი საერთშორისო სავაჭრო შეთანხმებებს არღვევს, შეუძლიათ საქმის მოსასმენად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას მიმართონ. თუ დავის გადამწყვეტი კომისია, რომელიც სავაჭრო ექსპერტებისგან შედგება და საქმის მოსმენისას უფრო მსხვილი ორგანოს მიერაა უფლებამოსილი, მოსარჩელე მხარის სასარგებლოდ მიიღებს გადაწყვეტილებას, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას შეუძლია აღკვეთოს უკანონო სავაჭრო საქმიანობა და, საჭიროებიდან გამომდინარე, დაზარალებულ მხარეებს საპასუხო სანქციების დაწესების უფლება მისცეს (*იხ. თეორია პრაქტიკაში* 7.1). მოკლედ რომ თქვათ, სანქციების გამოყენების უფლებამოსილებითა და საერთაშორისო სავაჭრო სამართლის სასამართლოს ფუნქციებით აღჭურვილი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია 1945 წელს დაფუძნებულ გაეროს საერთაშორისო სასამართლოსგან (International Court of Justice) განსხვავებით უფრო გავლენიანი ორგანოა.

საერთაშორისო სავალუტო რეჟიმი

მსოფლიოში, სადაც მრავალვალუტიანი სისტემა მოქმედებს, მთავარ საკითხად მათი ერთმანეთთან დამოკიდებულება რჩება. მაგალითად, ამერიკელ სტუდენტს, რომელიც ევროპაში ეუფლება განათლებას, ადგილობრივი პროდუქციის შესაძენად ევრო სჭირდება. ევროპაში ჩასული სტუდენტი, სავარაუდოდ, აეროპორტში განთავსებულ ვალუტის გადამცვლელ პუნქტში ამერიკული დოლარებით ევროებს იყიდის. ევროს ღირებულება დოლართან მიმართებაში და პირიქით ნაწილობრივ გაცვლითი კურსის სისტემის ნიშან-თვისებაზეა დამოკიდებული. რეალურად არსებობს ორი არჩევანი: მოტივტივე ან მუდმივი/მყარი გაცვლითი კურსის სისტემა.

თეორია პრაქტიკაში 7.1

ბანანის ომი და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია

ერთ-ერთი პირველი საკითხი, რომელიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ განიხილა, გახლდათ შეერთებული შტატებსა და ევროკავშირის შორის დაწყებული ბანანის ომი. 1993 წელს ევროკავშირმა ბანანის იმპორტზე კვოტები დააწესა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტროპიკული ხილი შეერთებულ შტატები არ ხარობს, ცენტრალურ ამერიკაში მოქმედმა ამერიკულმა ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა „ჩიკვიტა ბრენდს ინთერნეშენალმა“ (Chiquita Brands International) და „დოლ ფუდ კომპანიმ“ (Dole Food Company) გარკვეული სახის ზარალი განიცადეს. ეკ-ის მოქმედებით აღშფოთებულმა შეერთებულმა შტატებმა ევროპელებს მსო-ში უჩივლა. აშშ-ის საჩივარს მექსიკა, ჰონდურასი და ეკვადორიც შეუერთდნენ.

ამ საქმის მოსასმენად 1996 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელობით დავის გადამწყვეტი კომისია შეიქმნა. ერთი წლის შემდეგ, 1997 წელს, კომისიამ შეერთებული შტატები გაამართლა. ევროკავშირმა ამ გადაწყვეტილების გასასაჩივრებლად აპელაცია შეიტანა, თუმცა უარი უთხრეს და ბანანის იმპორტზე დაწესებული კვოტების შეცვლა აიძულეს. შეერთებული შტატების რწმენით, ეს ცვლილებები კოსმეტიკურ ხასიათს ატარებდა. ამიტომ, 1999 წლის აპრილში მსოფლიო მსო-მ ევროკავშირი კიდევ ერთხელ გაამტყუნა და ზოგიერთი ევროპული ნაწარმის (*ბრენდული ფეხსაცმელები, შებოლილი ორაგული, ძვირადღირებული ყავის მოსამზადებელი აპარატურა და ა.შ.*) წინააღმდეგ საპასუხო სავაჭრო სანქციების უფლება გასცა. ეს სანქციები 2001 წლის აპრილს გაუქმდა, როდესაც ევროკავშირი საბოლოოდ დანებდა და მოთხოვნების შესრულებაზე თანხმობა განაცხადა.

ეს საქმე ამ დავის დარეგულირების პროცესის სუსტსა და ძლიერ მხარეებს ააშკარავებს და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის თაობაზე ლიბერალებისა და რეალისტების ინტერპრეტირებას უზრუნველყოფს. ერთი მხრივ, ევროკავშირმა ამ პროცესისა და საზოგადოების მხრიდან წამოსული უარყოფითი რეაქციისგან თავის არიდება ვერ შეძლო. საბოლოოდ, ევროპელებმა „ბანანის პოლიტიკა“ შეცვალეს და საერთაშორისო სავაჭრო სამართალი ძალაში დარჩა. GATT-ის პერიოდში ევროკავშირის პოლიტიკა, სავარაუდოდ, არ შეიცვლებოდა. ამგვარად, ლიბერალების განცხადებით, ეს საქმე მიუთითებს, რომ გარკვეული უფლებამოსილებით აღჭურვილი ინსტიტუტები (*ამ შემთხვევაში მსო*), საერთო ჯამში, მსოფლიო ეკონომიკის სასარგებლოდ არეგულირებენ და განსაზღვრულ ჩარჩოებში აქცევენ სახელმწიფოთა ქმედებებს.

მეორე მხრივ, ეს პროცესი დიდი ხანი გაგრძელდა – დავის გადამწყვეტი კომისიის შექმნიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ხუთი წელი გავიდა. საინტერესოა, რომ არა შეერთებული შტატების რეაქცია, შეცვლიდა კი ევროკავშირი თავის პოლიტიკას, ან როგორ განვითარდებოდა მოვლენები თუ შეერთებული შტატები სანქცირებულ ევროპულ საქონელს საკუთარი მომგებიანი ბაზრის კარს მიუხურავდა. ამგვარად, რეალისტებმა შეიძლება განაცხადონ, რომ ეს გადაწყვეტილება განპირობებული იყო შეერთებული შტატების ხელისუფლებისა და ინტერესებიდან გამომდინარე. მეტიც, იქნებოდა კი მხოლოდ ჰონდურასის სანქციები, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გადაწყვეტილების სამართლებრივ სტატუსთან ერთად, საკმარისი.

- ეთანხმებით იმ აზრს, რომ „ბანანის საქმემ“ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პრესტიჟზე დადებითად იმოქმედა?
- თქვენი აზრით, რამდენად მიზანშეწონილია, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია დავების გადაწყვეტის უფლებამოსილებითაა აღჭურვილი? განმარტეთ მიზეზები.
- თქვენი აზრით, „ბანანის საქმე“ ასუსტებს თუ აძლიერებს საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებულ რეალისტურ შეხედულებას? განმარტეთ მიზეზები.

მოტივტივე გაცვლითი კურსის სისტემაში (Floating Exchange Rate System) მსოფლიო ვალუტების შედარებითი ღირებულება მარაგისა და მოთხოვნის მიხედვით მერყეობს. მაგალითად, ამერიკელების მიერ დიდი ოდენობით ევროპული პროდუქციის შეძენა, თავის მხრივ, შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ბალანსის დეფიციტს გამოიწვევს, ევროზე მოთხოვნა კი გაიზრდება. ამგვარად, ევროს შეფარდებითი

მოტივტივე გაცვლითი კურსის სისტემა – *სისტემა, რომელშიც სხვადასხვა ეროვნული ვალუტის შეფარდებითი ღირებულება მარაგისა და მოთხოვნის შესაბამისად მერყეობს.*

ღირებულება დოლართან მიმართებაში გაიზრდება და ამერიკელებს ევროპულ საქონელში კიდევ უფრო მეტის გადახდა მოუწვეთ. რასაც ვერ ვიტყვით ევროპელებზე, რომელთათვისაც ამერიკული საქონელი გაცილებით გაიაფდება. რაც შეეხება **მუდმივი/მყარი გაცვლითი კურსის სისტემას (Fixed Exchange Rate System)** აქ ყველაფერი სხვაგვარადაა. სხვადასხვა ეროვნული ვალუტის შეფარდებითი ღირებულება წინასწარ არის დადგენილი ერთმანეთთან მიმართებაში ან ისეთ ძვირფას ლითონთან როგორიცაა ოქრო და მარაგისა და მოთხოვნის მიუხედავად არ მერყეობს.

მუდმივი/მყარი გაცვლითი კურსის სისტემა – *სისტემა, რომელშიც სხვადასხვა ეროვნული ვალუტის შედარებითი ღირებულება წინასწარ არის დადგენილი ერთმანეთთან მიმართებაში ან ისეთ ძვირფას ლითონთან როგორიცაა ოქრო და მარაგისა და მოთხოვნის მიუხედავად არ მერყეობს.*

ბრეტონ ვუდსის მონეტარული რეჟიმი თავდაპირველად მუდმივი/მყარი გაცვლითი კურსის სისტემას ეფუძნებოდა. თუმცა 1970-იან წლებში ამ სისტემამ კრახი განიცადა, როდესაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელიც მზარდი საგადამხდელო ბალანსის ზეგავლენის პირისპირ აღმოჩნდა, სხვა ვალუტებთან მიმართებით ამერიკული დოლარის დევალვაციის შესახებ განაცხადა და თავისი მრავალწლიანი ვალდებულება – ოქროსათან მიმართებით დოლარის კონვერტაცია – შეაჩერა. თანდათანობით აღმოცენდა მოტივტივე გაცვლითი კურსის სისტემა და დღესდღეობით სახელმწიფოთა უმეტესობა საკუთარ ვალუტას ტივტივის საშუალებას აძლევს.

გაცვლითი კურსის სისტემის არჩევა მნიშვნელოვანია, რადგან იგი გავლენას ახდენს საგადამხდელო ბალანსის პრობლემების საპასუხო ქმედებებზე. **საგადამხდელო ბალანსი (Balance of Payments)** დაკავშირებულია ფულის თავისუფალ მიმოქცევასთან როგორც ქვეყნის შიგნით, ისევე ქვეყნის გარეთ, ასევე ისეთ ქმედებებთან როგორიცაა ვაჭრობა, ინვესტიციები და უცხოური დახმარება. როდესაც ქვეყანაში უფრო მეტი ფული შემოედინება, ვიდრე გაედინება, ქვეყანა, როგორც ამბობენ, ახორციელებს სიჭარბეს თავის საგადამხდელო ბალანსში. ხოლო როდესაც პირიქით ხდება, ანუ მეტი ფული გაედინება, ვიდრე შემოედინება, ეს ქვეყანა განიცდის დეფიციტს თავის საგადამხდელო ბალანსში. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია დროებით გაუძლო საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის სესხის მიღებით, გრძელვადიან პერსპექტივაში უზარმაზარი დეფიციტები ქვეყანათა უმეტესობას არასტაბილურობის განცდას უჩენს. უზარმაზარი დეფიციტის წინაშე მდგარი ქვეყნები საბოლოოდ დარწმუნდებიან, რომ უცხოური პროდუქციის იმპორტის დასაფინანსებლად დამატებით სესხს ვეღარ აიღებენ.

საგადამხდელო ბალანსი – *გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვაჭრობის, ინვესტიციების, უცხოური დახმარებისა თუ სხვა ტრანსაქციების შედეგად ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ ფულის თავისუფალი მოძრაობა.*

მოტივტივე გაცვლითი კურსის სისტემაში საგადამხდელო ბალანსის დეფიციტები, ნაწილობრივ, თავად კორექტირდება. ქვეყანა, რომელიც დიდ დეფიციტს განიცდის, სხვა ვალუტებთან მიმართებით საკუთარი ვალუტის ღირებულების დაცემის მოწმე გახდება. ეს კი, თავის მხრივ, დეფიციტის კორექტირებას გამოიწვევდა, რადგან უცხოური პროდუქცია კიდევ უფრო გაძვირდებოდა და, შესაბამისად, უცხოური საქონლის იმპორტიც შემცირდებოდა. მუდმივი/მყარი გაცვლითი კურსის სისტემაში ამ პრობლემების კორექტირება ისეთი მტკივნეული ზომების მიღებას საჭიროებს როგორიცაა სამთავრობო და სამომხმარებლო ხარჯების შემცირება.

საგადამხდელო ბალანსში სერიოზული პრობლემების მქონე სახელმწიფოების დასახმარებლად ბრეტონ ვუდსის კონფერენციაზე **საერთაშორისო სავალუტო ფონდი (International Monetary Fund (IMF)** დააფუძნეს. სსფ, რომლის შტაბ-ბინა აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონშია განთავსებული, საგადამხდელო ბალანსის კუთხით სერიოზული და მუდმივი სირთულეების წინაშე მდგომ ქვეყნებს კრედიტებით უზრუნველყოფს. კრედიტებითვის საჭირო ფულს ორგანიზაციის წევრი ქვეყნებისგან აგროვებენ. თითოეულმა მათგანმა დაწესებული „კვოტა“ საკუთარი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით უნდა შეავსოს. საერთო ფულადი ფონდი ხელ-

საერთაშორისო სავალუტო ფონდი – *ბრეტონ ვუდსის კონფერენციაზე დაარსებული საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც საგადამხდელო ბალანსის კუთხით მუდმივი სირთულეების წინაშე მდგომ ქვეყნებს კრედიტებით უზრუნველყოფს იმ შეთხვევაში თუ სესხის მიმღები ქვეყნები სსფ-ის ნაკარნახევ ეკონომიკურ პოლიტიკას გაატარებენ.*

მისაწვდომია კრედიტირებისათვის. მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკური გიგანტი შეერთებული შტატები საერთაშორისო სავალუტო ფონდში ყოველთვის უზარმაზარ თანხებს რიცხავს. მხოლოდ 2015 წელს ამ ორგანიზაციისთვის შეწირული თანხის საერთო რაოდენობის 17.69 პროცენტი შეერთებულ შტატებზე მოდიოდა.[5] თავის მხრივ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის აწონილი ხმების სისტემა წევრ სახელმწიფოებს დაახლოებით მათი კვოტის პროპორციულად ხმის მიცემის უფლებას უტოვებს. ამგვარად, 2015 წელს, შეერთებული შტატების ხმის მიცემის უფლება 17.69 პროცენტით განისაზღვრებოდა.[6]

საერთაშორისო სავალუტო ფონდი სესხის აღების მსურველ სახელმწიფოებს, როგორც წესი, გარკვეულ პირობებს უყენებს. **სტრუქტურული რეგულირების პროგრამების (Structural Adjustment Programs (SAPs)** განხორციელება განსაკუთრებით კრედიტების მიმღებ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ. ეს პროგრამები ეკონომიკურ პოლიტიკაში ცვლილებების შეტანასა და ქვეყნის ფინანსური სირთულეების გამომწვევი წყაროს აღმოფხვრას ითვალისწინებს. 1990-იან წლებში სსფ-ის მიერ რეკომენდირებული რეფორმები **ვაშინგტონის კონსენსუსის (Washington Consensus)** საერთო სახელწოდებით იყო ცნობილი. ეს რეკომენდაციები, რომლებსაც შეერთებული შტატები აქტიურად უჭერდა მხარს, გულისხმობდა ეკონომიკური რეგულირების შემცირებას, სახელმწიფო მრეწველობის პრივატიზაციას, პროტექციონისტული სავაჭრო ბარიერების აღმოფხვრას, ასევე უცხოურ ინვესტიციებზე დაწესებული შეზღუდვებისა და სახელმწიფო ხარჯების შემცირებას. მოკლედ რომ ვთქვათ, სახელმწიფოს ინტერვენცია თავისუფალ ბაზარს უნდა ჩაენაცვლებინა.

სტრუქტურული რეგულირების პროგრამები – *საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან სესხის აღების მსურველ სახელმწიფოებს ამ ორგანიზაციის წამოყენებულ პირობებზე დათანხმებას ავალდებულებს.*

ვაშინგტონის კონსენსუსი – *ერთობლივი ტერმინი ეკონომიკური რეფორმებისა, რომლებიც აქცენტს აკეთებენ სახელმწიფოს ინტერვენციის შემცირებაზე და მხარს უჭერენ თავისუფალ ბაზარს. საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და შეერთებული შტატები ღარიბ ქვეყნებს მათ განხორციელებას ურჩევენ.*

საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მისი პოლიტიკა გარკვეულ მიზეზთა გამო ხშირად გამხდარა კრიტიკის ობიექტი. თვით სსფ-ის მხარდამჭერებიც აღიარებენ, რომ დანიშნული ეკონომიკური წამალი შეიძლება მწარე იყოს გრძელვადიან პერსპექტივაში, რომელსაც წინ უძღოდა დროებითი ტკივილი. უფრო მეტიც, კრიტიკოსტთა მტკიცებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რჩევები ხშირად უგულებელყოფს ეკონომიკურ კრიზისში მყოფი სახელმწიფოების კონკრეტულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტს.

მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი 1997 წელს აღმოსავლეთ აზიაში დაწყებული ფინანსური კრიზისის დროს გადადგმული ნაბიჯების გამო მკაცრად გააკრიტიკეს. წლების წინ სახელმწიფოებმა კაპიტალის მიმოქცევაზე დაწესებული შეზღუდვები მოხსნეს. შედეგად, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში „აღმოცენებულმა საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელმა ქვეყნებმა“ დასავლელი ინვესტორებისგან, რომლებსაც საკუთრი შემოსავლების გაზრდის სურვილი ამოძრავებდათ, მილიარდობით აშშ დოლარი მიიღეს. ნაღდი ფულის ინფუზიამ სარგებელი მოუტანა სესხის მიმღებ სახელმწიფოებს და დააჩქარა მათი ეკონომიკური აქტივობის ზრდა, რაც ინფრასტრუქტურულ პროექტებში, უძრავი ქონების ბიზნესსა და მშენებლობაში ინვესტიციების მოზიდვაში გამოიხატა.

ზემოთქმულის მიუხედავად, 1997 წლის ზაფხულში ასეთი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მომავალ განვთარებაში ეჭვი შეიტანეს, რასაც რეგიონიდან ფულის სწრაფი გადინება მოჰყვა. მოულოდნელად მოზღვავებული დიდძალი კაპიტალი უკანვე სწრაფად გაფრინდა. განვითარებულმა მოვლენებმა ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. განვითარების შეფერხებამ, ინფრასტრუქტურული პროექტები შეჩერებამ და სამუშაო ადგილების შემცირებამ ადგილობრივი ქვეყნების ვალუტები მნიშვნელოვნად გააუფასურა. ზოგიერთი ადამიანის თქმით, 1997 წლის კრიზისი დაურეგულირებელმა მსოფლიო ბაზარმა გამოიწვია, რაც 1990-იანი წლების

მსოფლიო ეკონომიკას ახასიათებდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში განვითარებული მოვლენები დიდწილად შიდა ფაქტორებს (*მაგ. კორუფცია*) დააბრალა. ორგანიზაციამ რეგიონის ქვეყნებს დახმარება იმ პირობით აღუთქვა, თუკი ისინი ვაშინგტონის კონსენსუსის პირობებს შეასრულებდნენ. კრიტიკოსთა თქმით, ეკონომიკური კრიზისის წინაშე მდგარი ქვეყნებისადმი საერთაშორისო სავალუტო ფონდის დამოკიდებულება არასწორი იყო. ნეო-მარქსისტების განცხადებით, ეს კრიზისი იმის ნათელი გამოვლინება გახლდათ, რომ სსფ და დასავლეთი სხვა ქვეყნების ფეხზე დაყენებით საკუთარი იმიჯის გაუმჯობესებასა და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე კონტროლის დაწესებას ცდილობდნენ. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ ნაკლებად რადიკალურად განწყობილი ადამიანებიც კი შენიშნავდნენ, რომ ასეთი საქციელი ამ ორგანიზაციის რეპუტაციას ჩრდილს აყენებდა.

განვითარების პრობლემა

ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვალდაკვალ ბრეტონ ვუდსის კონფერენციაზე კიდევ ერთი, რიგით მესამე, მნიშვნელოვანი ინსტიტუტი **მსოფლიო ბანკი (World Bank)** დაარსდა. „ბანკი“ (The Bank), როგორც მას ხშირად უწოდებენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (*გაერო*) ყოვლისმომცველ სისტემაში შემავალი დამოუკიდებელი ინსტიტუტია. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მსგავსად მსოფლიო ბანკიც დახმარების მომლოდინე სახელმწიფოებს ფინანსურად უზრუნველყოფს. იმ დროს, როცა საერთაშორისო სავალუტო ფონდი საგადამხდელო ბალანსის კრიზისის წინაშე მდგარი ქვეყნებისათვის ტრადიციულად მოკლევადიან სესხებს გასცემს, მსოფლიო ბანკი ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან პროექტებს აფინანსებს. მსოფლიო ბანკი 1945 წელს დაფუძნებული რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკისა (Bank for Reconstruction and Development (IBRD) და 1960 წელს დაარსებული განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (International Development Association (IDA) შედგება. IBRD-ი პოსტომისეული მსოფლიოს რეკონსტრუქციის მიზნით შეიქმნა, IDA-ს კი მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნებისათვის უპროცენტეო სესხებისა და საჭიროების შემხვევაში გრანტების გამოყოფა დაევალა.[7] მსოფლიო ბანკის აწონილი ხმების სისტემა გადაწყვეტილებების მიღებისას განვითარებულ ქვეყნებს ანიჭებს უპირატესობას.

მსოფლიო ბანკი – *მეორე მსოფლიო ომი დასრულების შემდეგ ჩამოყალიბებული საერთაშორისო ინსტიტუტი, რომელიც სახელმწიფოებს ეკონომიკური განვითარების პროექტების დასაფინანსებლად დაბალპროცენტიანი სესხებით უზრუნველყოფს.*

საწყის ეტაპზე „ბანკის“ მთავარ საზრუნავს პოსტომისეული ევროპის რეკონსტრუქცია წარმოადგენდა. ბებერი კონტინენტის აღდგენის შემდეგ მისი ინტერესების სფეროში სამხრეთის ქვეყნები (*აფრიკის, აზიისა და სამხრეთი ამერიკის უღარიბესი ქვეყნები*) მოხვდნენ. თავდაპირველად კაშხლების, გზების მშენებლობისა და სხვა მსხვილმასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება დაიწყეს. ბოლო წლებში მსოფლიო ბანკმა სიღარიბის შემცირება და ადამიანური ინიციტივების განვითარების ხელშეწყობა დაისახა მიზნად. 2000 წელს „ბანკმა“ გაეროს **ათასწლეულის განვითარების მიზნები (Millennium Development Goals (MDGs)** გაიზიარა:

ათასწლეულის განვითარების მიზნები – *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შედგენილი რვა მიზანი, რომელიც კონცენტრირებულია სიღარიბის შემცირებაზე, დაწყებით განათლებაზე, გენდერულ თანასწორობაზე, ბავშვთა სიკვდილიანობაზე, დედათა ჯანმრთელობაზე, დაავადებებზე, გარემოს მდგრადობასა და ეკონომიკის განვითარებაზე.*

1. უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა.
2. დაწყებითი განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა.
3. გენდერის თანასწორუფლებიანობისა და ქალთა უფლებების მხარდაჭერა.
4. ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება.
5. დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება.

6. აივ ინფექციასთან (*შიდსი*), მალარიასა და სხვა დაავადებებთან ბრძოლა.
7. გარემოს მდგრადობის უზრუნველყოფა.
8. გლობალური პარტნიორობის განვითარების ხელშეწყობა.

2002 წელს გაეროს იმჟამინდელმა გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა (Kofi Annan) ზემოთ ჩამოთვლილი რვა მიზნის განსახორციელებელი კონკრეტული გეგმის შესაქმნელად მილენიუმის პროექტი (The Millennium Project) დაამტკიცა. მის ხელმძღვანელად დაინიშნა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი და ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი ჯეფრი დევიდ საქსი (Jeffrey David Sachs), რომელსაც მიაჩნდა, რომ განვითარებულ ქვეყნებს 2005-2015 წლები შუალედში ყოველწლიურად ას ოთხმოცდათხუთმეტი მილიარდი აშშ დოლარი რომ გამოეყოთ, 2025 წლისათვის „სიღარიბეს ბოლო მოეღებოდა“.[8] 2005 წელს ჯეფრი დ. საქსის გამოცემული წიგნის – „სიღარიბის დასასრული“ (The End of Poverty) – წინასიწყვაობაში ირლანდიელი როკვარსვლავი ბონო წიგნის ავტორს „ჩემი პროფესორის“ სახელით მოიხსენიებს. სიღარიბესთან საბრძოლველად წამოწყებული ომის მხარდასაჭერად ამერიკელმა პროფესორმა და ირლანდიელმა როკვარსკვლავმა საკუთარი ძალისხმევა გააერთიანეს. ისინი ერთად მოგზაურობდნენ მთელ მსოფლიოში, სიტყვით გამოდიოდნენ საზოგადოების წინაშე და სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს სიღარიბის დასაძლევად მილენიუმის პროექტის ფარგლებში აღებული ვალდებულების შესრულებისკენ მოუწოდებდნენ. თითოეული მიზნის განსახორციელებლად სამოქმედო გეგმა გაიწერა, რათა 2015 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (*გაერო*) სამიტზე შეეფასებინათ კონკრეტული მიღწევები და, ამავდროულად, შემდგომი პერიოდის დღის წესრიგიც შეემუშავებინათ.

ყველა როდი იზიარებს ათასწლეულის განვითარების მიზნებს. ეკონომისტისა და მსოფლიო ბანკის მთავარი ეკონომიკური მრჩევლის, უილიამ ისტერლის (William Easterly), მტკიცებით, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალური მონაცემები ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის შესახებ ბუნდოვანია. 1960-2000 წლების შუალედში აფრიკის დასახმარებლად ხუთასს მილიარდ აშშ დოლარზე მეტი დაიხარჯა, რასაც ვერ ვიტყვით მსოფლიო სხვა რეგიონებზე, თუმცა ამ კონტინენტზე კვლავ სიღარიბე სუფევს.[9] ტაბულა 7.1-ის თანახმად, სუბსაჰარული აფრიკის თითქმის ნახევარი მოსახლეობა „უკიდურეს სიღარიბეში“ ცხოვრობს. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ამ ქვეყნებში მცხოვრებთა ყოველდღიური შემოსავალი 1.25 აშშ დოლარს არ აღემატება. სიღარიბის დონის მაჩვენებელი სამხრეთ აზიაშიც მაღალია. ისტერლი ათასწლეულის განვითარების მიზნებისადმი ერთობ კრიტიკულად არის განწყობილი. მისი თქმით, ეს „უტოპიური გეგმა“ მდიდარი დასავლური ქვეყნების მოთხოვნილებების – „რაღაც ხომ კეთდება“ – დაკმაყოფილებას უფრო ემსახურება, ვიდრე ღარიბი ქვეყნების სიღარიბიდან ამოსვლას.[10]

მსოფლიო ბანკის მონაცემებისა და ათასწლეულის განვითარების მიზნების პოტენციალის შესახებ გამართული დისკუსია სამხრეთის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სიღარიბისა და ეკონომიკური ჩამორჩენის აღმოხვრის მიზეზების განხილვის შესაძლებლობას იძლევა. ლიბერალებს, მერკანტილისტებსა და ნეო-მარქსისტებს ამ პრობლემატური საკითხების თაობაზე მკვეთრად განსხვავებული შეხედულებები გააჩნიათ.

ლიბერალების აზრით, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნებს შორის არსებული ეკონომიკური სხვაობის აღმოსაფხვრელად და გლობალური სიღარიბის შესამცირებლად, ღარიბმა ქვეყნებმა პოლიტიკური ცვლილებები უნდა განახორციელონ. 1950-1960-იან წლებში ეკონომიკურად

ტაბულა 7.1 საყოველთაო სიღარიბის გავრცელება რეგიონების მიხედვით (2005 *წ. მსყიდველობითი უნარის პარიტეტი*)

	მოსახლეობა დღეში 1.25 აშშ დოლარს ან ნაკლებს (*მსყიდველობითი უნარის პარიტეტი*) გამოიმუშავებდა 1990 წ.	მოსახლეობა დღეში 1.25 აშშ დოლარს ან ნაკლებს (*მსყიდველობითი უნარის პარიტეტი*) გამოიმუშავებდა 2011 წ.
ევროპა და ცენტრალური აზია	1.5	0.5
ახლო აღმოავლეთი და ჩრდილოეთი აფრიკა	5.8	1.7
სამხრეთი ამერიკა და კარიბები	12.0	4.6
აღმოსავლეთი აზია და წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნები	58.2	7.9
სამხრეთი აზია	53.2	24.5
სუბსაჰარული აფრიკა	56.6	46.8
მსოფლიო	36.4	14.5

შენიშვნა: მსყიდველობითი უნარის პარიტეტი (PPP) ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ღარიბ ქვეყნებში ერთ აშშ დოლარად უფრო მეტ საქონელს იყიდი, ვიდრე შეერთებულ შტატებში.

წყარო: The World Bank, "Global Monitoring Report 2014/2015: Ending Poverty and Sharing Prosperity," 2015,http://www.worldbank.org/content/dam/Worldbank/gmr/gmr2014/GMR_2014_Full_Report.pdf.

იმპორტის ჩამნაცვლებელი ინდუსტრიალიზაცია – *განვითარების სპეციალური სტრატეგია, რომელიც იმპორტული საქონლისათვის ხელოვნური ბარიერების შექმნით ინდუსტრიალიზაციის წახალისებასა და შიდა ბაზრის ადგილობრივი პროდუქციით უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად.*

ნაკლებად განვითარებულმა მრავალმა სახელმწიფომ შეიმუშავა **იმპორტის ჩამნაცვლებელი ინდუსტრიალიზაციის (Import Substitution Industrialization (ISI)** სახელით ცნობილი განვითარების სპეციალური სტრატეგია, რომელიც იმპორტული საქონლისათვის ხელოვნული ბარიერების შექმნით ინდუსტრიალიზაციის წახალისებასა და შიდა ბაზრის ადგილობრივი პროდუქციით უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად. ლიბერალების განცხადებით, იმ ქვეყნებმა, რომლებმაც ISI-ზე უარი განაცხადეს, მრეწველობის შრომატევად დარგებში თავიანთი შეფარდებითი უპირატესობით ისარგებლეს და ზრდა ექსპორტის ხარჯზე მიიღეს. შედეგიც შესაბამისი დადგა – უდიდესი ფინანსური მოგება. 1990 წელს სამხრეთი და აღმოსავლეთი აზია (*იხ. ტაბულა* 7.1) სიღარიბის დონით სუბსაჰარულ აფრიკას დიდად არ ჩამორჩებოდა, თუმცა 2011 წლისათვის ამ რეგიონების სახელმწიფოებმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადეს (*განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აღმოსავლეთი აზია*) იმ მეთოდის მეშვეობით, რომელიც ლიბერალების მტკიცებით, აქცენტს აკეთებდა „ვაჭრობაზე და არა დახმარებაზე" (trade not aid). ახლა კი უილიამ ისტერლის მოვუსმინოთ: „როდესაც მინისტრები და როკვარსკვლავები აფრიკული ქვეყნების დახმარების მოწოდებით გამოდიოდნენ, ინდოეთისა და ჩინეთის (*ამ ქვეყნებს უცხოეთიდან დახმარებას თითქმის არ უწევენ*) მოქალაქეებმა 2005 წლისათვის თავიანთი შემოსავლები შვიდას თხუთმეტი მილიარდი აშშ დოლარით გაზარდეს".[11]

ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია – *კეთილსინდისიერი სახელმწიფოების დასახმარებლად 2004 წელს ჯორჯ უ. ბუშის ადმინისტრაციის ინიციატივით შემუშავებული საგარეო დახმარების პროგრამა.*

ლიბერალების მტკიცებით, მსოფლიო ეკონომიკაში კიდევ უფრო ინტეგრაციისათვის საჭიროა, რომ სახელმწიფოები კეთილსინდისიერმა ადამიანებმა მართონ. ამის ნათელი მაგალითია 2004 წელს ბუშის ადმინისტრაციის დაფუძნებული **ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია (Millennium Challenge Corporation (MCC)**, რომელიც უცხოური ქვეყნების დასახმარებლად შეიქმნა. დახმარების მიღების მსურველ ქვეყნებს ჩვიდმეტი კრიტერიუმი უნდა დაეკმაყოფილებინათ. ერთ-ერთი მოთხოვნა გახლდათ სავაჭრო პოლიტიკა – უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, საჯაროობა საერთაშორისო ვაჭრობაში. შერჩევის სხვა კრიტერიუმები გახლდათ: კანონის უზენაესობა, ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ, მთავრობის ეფექტიანობა, სამოქალაქო თავისუფლება, პოლიტიკური უფლებები, ჯანდაცვის პროგრამების დასაფინანსებლად გაღებული სახელმწიფო ხარჯები და

ბუნებრივი რესურსების მართვა.[12] ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია გლობალური სიღარიბის აღმოსაფხვრელად დახმარების აუცილებლობას არ უარყოფდა. პირიქით, trade not aid-ისგან განსხვავებით მისი სტრატეგია გახლავთ „ვაჭრობა პლიუს დახმარება და პლიუს კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობა“ (trade plus aid plus good governance).

ლიბერალები განვითარების მთავარ ფაქტორად საერთაშორისო ეკონომიკაში ინტეგრაციასა და შიდა მმართველობაში დასავლური პოლიტიკისათვის დამახასიათებელი თავისებურებების შესისხლხორცებას მიიჩნევენ, რასაც ვერ ვიტყვით ნეო-მარქსისტებზე. საქმეში ჩახედული არაერთი ადამიანის მტკიცებით, სიმდიდრისა და ძალაუფლების დისპროპორცია, რომელიც სამხრეთის ღარიბ და ჩრდილოეთის მდიდარ ქვეყნებსა და კერძო სექტორის აქტორებს შორის არსებობს, ხელს უწყობს მათი ურთიერთკავშირების გაღრმავებას, ვიდრე განსხვავებების აღმოფხვრას. განვიხილოთ შემდეგი საკითხები:

- საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის აწონილი ხმების სისტემის მეშვეობით განვითარებული ქვეყნები ამ ინსტიტუტებს ეფექტურად აკონტროლებენ. 2010 წელს „განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს“ მსოფლიო ბანკში ხმის მიცემის უფლებები 47.19 პროცენტამდე გაუზარდეს, თუმცა უმრავლესობის კონტროლის მექანიზმები დღემდე განვითარებული ქვეყნების ხელშია.[13] გარდა ამისა, ხმის მიცემის შესახებ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანალოგიური რეფორმა, რომელიც შეესატყვისებოდა ამ პრინციპს 2010 წელს, ჯერ კიდევ არ იყო იმპლემენტირებული შეერთებული შტატების წინააღმდეგობის გამო.[14]

- იმ დროს, როცა ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმებისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პროცედურებმა 1940-იანი წლების შემდეგ მნიშვნელოვნად შეამცირა წარმოებულ საქონელზე დაწესებული სავაჭრო ბარიერები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა თუ სხვა ძირითადი პროდუქტის მაჩვენებლები, რომელთა დიდი ნაწილი ღარიბი ქვეყნებისათვის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა, არც ისე დამაიმედებლად გამოიყურება. დოჰაში გამართული მოლაპარაკებები დიდწილად სწორედ იმიტომ მოექცა ჩიხში, რომ ევროპა და შეერთებული შტატები სოფლის მეურნეობაში სუბსიდიების შემცირებაზე ვერ შეთანხმდნენ.

- განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც ხშირად საჭიროებენ საზღვარგარეთ ინვესტიციების დაბანდების მსურველი დასავლური კომპანიების დახმარებას, ამ კომპანიების მოსაზიდად ხშირად დათმობებზე უნდა წავიდნენ. მთელ რიგ საკითხებში სამხრეთული ქვეყნები თანამშრომლობენ უმსხვილეს მრავალნაციონალურ კორპორაციებთან, რომელთა წლიური გაყიდვების მოცულობა გაცილებით აღემატება ცალკე აღებული ამ რომელიმე ქვეყნის მთლიან ეროვნულ პროდუქტს.

- 2002 წლის მონტერეის კონფერენციაზე (Monterrey Conference) განვითარებული ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ მთლიანი ეროვნული პროდუქტის (GNP) 0.7 პროცენტს საგარეოეკონომიკური დახმარებისთვის გაიღებდნენ. **მონტერეის კონსენსუსის (Monterrey Consensus)** ეს გადაწყვეტილება მდიდარი ქვეყნების უმეტესობას ჯერ კიდევ არ განუხორციელებია. რამდენიმე გამონაკლისის გარდა (*ნიდერლანდები, ლუქსემბურგი და სკანდინავიის ქვეყნები*) განვითარებულ ქვეყნებს კონკრეტული ნაბიჯები არ გადაუდგავთ. 2014 წელს აშშ-მა (*ზემოთ განხილული „ათასწლეულის გამოწვევის“ ინიციატივის მიუხედავად*)

მონტერეის კონსენსუსი – 2002 *წელს მდიდარ ქვეყნებს შორის მიღწეული არაოფიციალური შეთანხმება, რომლის თანახმადაც მათი მთლიანი ეროვნული პროდუქტის დაახლოებით* 0.7 *პროცენტი ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს უნდა მოხმარდეს.*

საგარეო ეკონომიკური დახმარების მიზნით მთლიანი ეროვნული პროდუქტის დაახლოებით 0.2 პროცენტი გაიღო.[15]

მრავალი წამყვანი ეკონომისტი და მეინსტრიმული პოლიტიკის მომხრე უცხოური ქვეყნებისათვის დახმარების გაზრდის, საერთაშორისო ინსტიტუტების რეფორმირებისა და განვითარებადი ქვეყნის საექსპორტო საქონლისათვის განვითარებული სახელმწიფოს ბაზრების გახსნით იდეით გამოდის. განსხვავება იმაში მდგომარეობას, რომ მეინსტრიმული კურსის მიმდევარები ეთანხმებიან ასეთი რეფორმირების შესაძლებლობას. მათი რადიკალი ნეო-მარქსისტი კოლეგების თანახმად, ეს სისტემა რეფორმირებას არ ექვემდებარება და მდიდრების მიერ ღარიბების ექსპლოატაცია მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის დამახასიათებელი ნიშანია.

განვითარების შესახებ მერკანტილისტების შეხედულება ლიბერალებისა და ნეო-მარქსისტების მსოფლმხედველობისგან გარკვეულწილად განსხვავდება. ნეო-მარქსისტებისგან განსხვავებით, მერკანტილისტებს არ მიაჩნიათ, რომ მსოფლიო ეკონომიკაში მდიდარსა და ღარიბს შორის ექსპლოატირებულ ურთიერთობა სუფევს. თუმცა ლიბერალებისგან განსხვავებით, განვითარებასთან დაკავშირებული მათი სტრატეგია არ ითვალისწინებს არც საზღვრების გახსნას და არც საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა თუ შეერთებული შტატების მთავრობის მხარდაჭერილი ვაშინგტონის კონსენსუსის პოლიტიკის შესისხლხორცებას. იმ დროს, როდესაც ლიბერალები დროდადრო ლიბერალური განვითარების სტრატეგიის წარმატების მტკიცებულებად აღმოსავლეთი აზიის (*მაგ. იაპონია, სამხრეთი კორეა, ტაივანი და ჩინეთი*) ეფექტურ განვითარებას იმოწმებენ, მერკანტილისტებს აზრით, მათ შემთხვევაში ექსპორტის ზრდას ხელს უწყობდა პროტექციონისტული პოლიტიკა, რომელიც მოიცავდა ტარიფებს, არატარიფულ ბარიერებსა და მრეწველობის ახალი დარგებისადმი გამოყოფილ სამთავრობო სუბსიდიებს. მართლაც, მათი მტკიცებით, შეერთებული შტატებსა და დიდი ბრიტანეთს მერკანტილიზმის დიდი ხნის ისტორია გააჩნიათ. ამ ეკონომიკურმა თეორიამ ლიბერალიზმს უპირატესობა მხოლოდ ამ ქვეყნების ეფექტურის განვითარების შემდეგ დაუთმო.

ახლად აღმოცენებული მრეწველობის პროტექციონიზმი – *პროტექციონისტული პოლიტიკა, რომელიც ახლად ჩამოყალიბებულ მრეწველობას იცავს, ვიდრე მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებულ კომპანიებს კონკურენციას გაუწევს.*

მერკანტილისტური განვითარების სტრატეგია, ნაწილობრივ, **ახლად აღმოცენებული მრეწველობის პროტექციონიზმის (Infant Industry Protectionism)** კონცეფციას ეფუძნება. ამ იდეის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ახლად აღმოცენებული მრეწველობა საწყის ეტაპზე განაკუთრებულ მოფრთხილებასა და დაცვას საჭიროებს, ვიდრე მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებულ კომპანიებს კონკურენციას გაუწევს. ზოგიერთი მიმომხილველის აზრით, ჩინეთმაც სწორედ ეს გზა გაიარა. მაგალითად, 2010 წელს ჩინეთის მთავრობამ გამოაცხადა ახალი წესების შესახებ, რომელიც განვითარებადი ელექტრონული წიგნების მკითხველთა ბაზარზე გავლენას მოახდენდა. ზოგიერთი მიმომხილველის აზრით, ეს წესები ამ ახალი ტექნოლოგიის მწარმოებელი ჩინური კომპანიების უცხოელი კონკურენტებისგან დაცვას ითვალისწინებდა.[16] მართლაც, შეიძლება ვინმემ განაცხადოს კიდეც, რომ ჩინური იუანის (RMB) ღირებულების ხელოვნურად დაწევა ამერიკულ დოლართან მიმართებით საერთო ჯამში ჩრის ეკონომიკის საყოველთაო დაცვას უზრუნველყოფს. RMB-ს დაბალი ღირებულება ამერიკელი მომხმარებლებისათვის ჩინურ პროდუქციას ფასიდან გამომდინარე შედარებით ხელმისაწვდომს ხდის და ამგვარად სტიმულს აძლევს ჩინურ მრეწველობას და ზრდის აშშ-ის სავაჭრო დეფიციტს ამ ქვეყანასთან მიმართებით.

რეგიონალური ინტეგრაცია

საერთაშორისო ვაჭრობის, მონეტარული ურთიერთობებისა და ეკონომიკური განვითარებების მეთოდებზე კონცენტრირების მოსახდენად ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზე ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმებას, საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკს ჩაეყარა საფუძველი. ბრეტონ-ვუდსის სისტემამ რეგიონალური ორგანიზაციების ჩამოყალიბებაც უზრუნველყო. მათ კი, თავის მხრივ, პატარა ქვეყნებს შორის სავაჭრო ლიბერალიზაციისა და ეკონომიკური ინტეგრაციის წახალისება დაევალათ. რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციის არსი და ხარისხი მნიშვნელოვნად განსხვავდება და ვლინდება შეთანხებების სამ მთავარ სახეობაში:

1. **თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (Free Trade Agreement):** შეთანხმება, რომელიც სახელმწიფოთა შორს სავაჭრო ბარიერების გაუქმებას ითვალიწინებს.
2. **საბაჟო კავშირი (Customs Union):** შეთანხმება, რომელიც წევრ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო ბარიერებს აუქმებს, თუმცა არაწევრი სახელმწიფოებისათვის საერთო ტარიფებს ერთობლივად ადგენენ.
3. **ეკონომიკური კავშირი (Economic Union):** სახელმწოფოთა შორის ინტეგრაციის უმაღლესი ფორმა, რომლის თანახმადაც წევრი სახელმწიფოები აუქმებენ შიდა სავაჭრო ბარიერებს; ადგენენ ერთობლივ საგარეო ტარიფებს; აბალანსებენ ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ წესებსა თუ პოლიტიკას; წევრ სახელმწიფოებში თავისუფლად გადააქვთ საქონელი, მოძრაობს კაპიტალი და გადაადგილდება მუშახელი; ასევე, ადგენენ საერთო ვალუტასა და ატარებენ ერთობლივ მონეტარულ და ფისკალურ პოლიტიკას.

ტექნიკური თვალსაზრისით რომ ვთქვათ, სამივე ფორმა არღვევს ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმებისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისათვის დამახასიათებელ არადისკრიმინაციულ პრინციპს, რადგან რეგიონალური ორგანიზაციების წევრთა იმპორტული საქონელი გაცილებთ მეტი შეღავათებით სარგებლობს, ვიდრე არაწევრი ქვეყნების. ამის მიუხედავად, GATT-ის თავდაპირველმა შეთანხმებამ გაანთავისუფლა ასეთი რეგიონალური ორგანიზაციები დისკრიმინაციული წესისგან, რადგან, საერთო ჯამში, ამ ორგანიზაციებმა ვაჭრობაზე დაწესებული შეზღუდვები მოხსნეს და მისი ლიბერალიზაცია მოახდინეს. ამ რეგიონალური მეთოდის წარმატებებისა და შეზღუდვების ნათელი მაგალითია ევროპის კავშირი (European Union) და ჩრდილო-ამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ზონა (North American Free Trade Agreement).

ევროპის კავშირი 1957 წელს რომის ხელშეკრულების (Treaty of Rome) საფუძველზე ჩამოყალიბებულმა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობამ (European Economic Community (EEC) ევროპის კავშირს (European Union (EU) ჩაუყარა საფუძველი. EEC-ი თავდაპირველად ექვსი სახელმწიფოსაგან: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (გფრ), იტალია, საფრანგეთი, ბელგია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები – შედგებოდა. ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის წევრ სახელწიფოებს შორის სავაჭრო ბარიერების გაუქმებით და არაწევრი სახელმწიფოებისათვის ერთობლივი საგარეო ტარიფების დაწესებით ეს გაერთიანება საბაჟო კავშირის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენდა. EEC-ს დამფუძნებლებს ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდათ. ეკონომიკური თვალსაზრისით, ევროპული ინტეგრაცია სწრაფი ეკონომიკური კეთილდღეობის პირობას იძლეოდა,

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება: *შეთანხმება, რომელიც წევრ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო ბარიერების გაუქმებას ან მნიშვნელოვან შემცირებას ითვალიწინებს.*

საბაჟო კავშირი – *კონკრეტული სახელმწიფოები, რომლებმაც ერთმანეთს სავაჭრო ბარიერები გაუუქმეს და არაწევრი ქვეყნებისათვის საერთო ტარიფები დაადგინეს.*

ეკონომიკური კავშირი – *კონკრეტული სახელმწიფოები, რომლებიც აუქმებენ შიდა სავაჭრო ბარიერებს; ადგენენ ერთობლივ საგარეო ტარიფებს; ჰარონიაში მოჰყავთ ეკონომიკური, სოციალური და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული წესები თუ პოლიტიკა; წევრ სახელმწიფოებს შორის თავისუფლად მოძრაობს მუშახელი და კაპიტალი; ასევე, ადგენენ საერთო ვალუტასა და ატარებენ ერთობლივ მონეტარულ და ფისკალურ პოლიტიკას.*

რადგან მან შეფარდებითი უპირატესობის თეორიით განსაზღვრული სპეციალიზაციისა და ვაჭრობის ეფექტურობა გამოიყენა. პოლიტიკური თვალსაზრისით, ევროპული ქვეყნების გაერთიანება მშვიდობის წინაპირობას ქმნიდა, რადგან წევრ სახელმწიფოებს შორის გაბმული ეკონომიკური ურთიერთკავშირები მშვიდობის დამყარებისა და სტაბილურობის გარანტიას იძლეოდა.

1992 წელს მაასტრიხტის ხელშეკრულებას (Treaty of Maastricht) ოფიციალურად ევროპის კავშირი ეწოდა. სახელის ცვლილება სიმბოლურად გამოხატავდა ევროპული ინტეგრაციის გაფართოებასა და გაღრმავებას. 2013 წლისათვის ევროკავშირის რიგებში უკვე ოცდარვა სახელმწიფო ირიცხებოდა, მათ შორის იყო დასავლეთი და ჩრდილოეთი ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა, ასევე ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის რამდენიმე პოსტკომუნისტური ქვეყანა (*იხ. დიაგრამა* 7.1). ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები მჭიდროდ თანამშრომლობენ. უფრო მეტიც, მათ შორის ინტეგრაციის დონე კიდევ უფრო გაღრმავდა. წლების განმავლობაში საბაჟო კავშირი ეკონომიკურმა კავშირმა ჩაანაცვლა. ამის ნათელი მაგალითია საერთო ვალუტა – ევრო, რომელმაც 2015 წლისათვის ევროპის კავშირის ცხრამეტ ქვეყანაში მიმოქცევიდან განდევნა ტრადიციული ეროვნული ფულის ერთეული.

ევროპის ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგები აშკარად თვალში საცემია. მიუხედავად იმისა, რომ ბებერ კონტინენტზე მსოფლიო მოსახლეო-

დიაგრამა 7.1 ევროპის კავშირი



ბის მხოლოდ შვიდი პროცენტი ცხოვრობს, ევროკავშირი საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ევროპის ქვეყნების მძიმე სავაჭრო ორიენტაციას, დიდ ნაწილად, წევრ სახელმწიფოებს შორის პროტექციონისტული ბარიერების არარსებობა განაპირობებს, რაზედაც ის ფაქტიც მიუთითებს, რომ ევროკავშირის ქვეყნების მიერ წარმოებული სავაჭრო საქმიანობის დაახლოებით ორი მესამედი ევროკავშირის სხვა წევრებთან მოდის.[18] ეკონომიკურმა ინტეგრაციამ ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ აღმავლობას ნაწილობრივ შეუწყო ხელი. ევროკავშირი საერთო მთლიანი ეროვნული პროდუქტის მაჩვენებლით შეერთებულ შტატებს საგრძნობლად უსწრებს. ცხოვრების მაღალი დონისა და ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი ეროვნული პროდუქტის მაჩვენებელის გამო ევროკავშირი ყველაზე მიმზიდველ საცხოვრებელ ადგილად ითვლება.

ეკონომიკური აღმავლობის გარდა, ევროკავშირი წევრ სახელმწიფოებს სუვერენიტეტის დათმობისკენ უბიძგებს. ევროპის კავშირი დიდი ხანია რაც საერთაშორისო ორგანიზაციათა რიგებს აღარ მიეკუთვნება. მის საზღვრებში შემავალი სუვერენული სახელმწიფოები თანამშრომლობენ და საკუთარი ინტერესებს ატარებენ. შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირი **ზეეროვნული ორგანიზაციაა (Supranational Organization)**, რომელსაც საკმაოდ დიდი უფლებამოსილება და მართვის რთული სტრუქტურა გააჩნია. ამ სტრუქტურაში შემავალი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი ევროკომისია (European Commission) აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციებით არის აღჭურვილი; ევროპის კავშირის საკანონმდებლო ორგანოს ევროპის კავშირის საბჭო (Council of European Union) და ევროპის პარლამენტი (European Parliament) წარმოადგენენ, ევროკავშირის უზენაესი სასამართლოს როლს კი ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო (European Court of Justice) ითავსებს.

ზეეროვნული ორგანიზაცია – *საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის წევრი სახელმწიფოები უფრო მსხვილი ორგანიზაციის სასარგებლოდ უარს ამბობენ საკუთარ სუვერენიტეტსა და ძალაუფლებაზე.*

ევროკავშირის ყველაზე დიდ მიღწევად შეიძლება ის ფაქტი მივიჩნიოთ, რომ ბოლო ორმოცდაათი წლის მანძილზე მისი წევრი სახლემწიფოები ერთმანეთს იარაღის ჟღარუნით აღარ ესაუბრებიან და არსებულ გამოწვევებს მშვიდობიანი მეთოდებით აგვარებენ. რეალისტებმა ეს მშვიდობა შეიძლება ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატების გაბატონებულ მდგომარეობას ან საბჭოთა კავშირიდან მომდინარე საფრთხეს მიაწერონ. ლიბერალები კი პირიქით, ამტკიცებენ, რომ ევროკავშირი კანტისეული სამკუთხედის (*იხ. თავი პირველი*) ყველაზე ნათელი გამოვლინებაა. წარმატებებისა თუ წინსვლის მიუხედავად, ევროკაშირი რამდენიმე რეალურ პრობლემის წინაშე დგას:

- **პოლიტიკური ინტეგრაციის შეფერხება:** ეკონომიკური ინტეგრაცია წარმატებული აღმოჩნდა, რასაც ვერ ვიტყვით პოლიტიკურ ინტეგრაციაზე. შიდა საკანონმდებლო ორგანოებისგან განსხვავებით, ევროპის პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენა არ შეუძლია. ევროკომისია შედგება ოცდარვა წევრისგან, რომლებსაც წევრი სახელმწიფოები ხუთი წლის ვადით ნიშნავენ. ევროპის კავშირის დე ფაქტო დედაქალაქ ბრიუსელში მომუშავე ევროპელი ჩინოვნიკების მიღებულ გადაწყვეტილებებს აკლია საკანონმდებლო და საყოველთაო კონტროლის ხარისხი, რაც, თავის მხრივ, დემოკრტიული სახელმწიფოების საშინაო პოლიტიკას ახასიათებს.
- **დაძაბული ურთიერთობა უცხოელ სავაჭრო პარტნიორებთან:** ევროკავშირის უცხოელი სავაჭრო პარტნიორების შეხედულებით, ამ გაერთიანების წარმატებას მის საზღვრებში ვაჭრობის განვითარება განაპირობებს. მაგალითად, როდესაც ამერიკული საქონელი

მსოფლიო ეკონომიკაში სერიოზულ კონკურენტულ გამოწვევებს აწყდება, ამერიკელ მრეწველებსა და პოლიტიკოსებს ძალიან აშფოთებთ ევროკავშირის სავაჭრო წესების დისკრიმინაციული ზეგავლენა.

- **გლობალიზაციის გამოწვევა:** ევროკავშირი დასაქმებულთა უფლებების დაცვასა და სახელმწიფო სოციალური პროგრამების იმპლემენტაციას უზრუნველყოფს. ამ სისტემამ განსაზღვრა კონტინენტური დასავლეთი ევროპის „მესამე გზა“ – აღმოსავლეთი ევროპის კომუნისტური სახელმწიფოებისა და ბაზრებზე ორიენტირებული ანგლო-ამერიკული სახელმწიფოების ეკონომიკური სისტემების დაახლოება. აზიელ მწარმოებლებთან (*რომლებიც იაფასიან პროდუქციას აწარმოებენ*) დაპირისპირებული ევროპული მოდელი, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში თავდაცვისუნარიანობას დაკარგავს, დასაქმებულთა უფლებებისა და სოციალური პროგრამების შემცირების მცდელობები კი შიდა პოლიტიკურ ბატალიებს იწვევს.

- **გაფართოება გაღრმავების წინააღმდეგ:** ევროკავშირის გაფართოების (*ოცდარვა წევრი სახელმწიფო*) მიუხედავად, წევრ სახელმწიფოებს შორის გაუცხოება მაინც შეინიშნება, რასაც, ნაწილობრივ, სხვადასხვა სახის პოლიტიკური გამოწვევები განაპირობებენ. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ხშირად საერთო ენას ვერ პოულობენ, რაც, თავის მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფი სახელმწიფოების ეკონომიკური ინტეგრაცია ხანგრძლივი და რთული პროცესია.

2008 წელს დაწყებულმა მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ამ გამოწვევებს ფარდა ახადა. შეერთებულ შტატებში დაწყებული კრიზისის სუსხი ევროპასაც შეეხო. საბანკო სესხების გაცემის შემცირებამ ღრმა რეცესიულ პროცესების დაწყებას ჩაუყარა საფუძველი. 2009 წელს ევროკავშირის მასშტაბით მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) მაჩვენებელი 4.4 პროცენტით დაეცა. ამ აპატარა უკუქცევის მიუხედავად, 2014 წელს ეკონომიკური ზრდა მხოლოდ 1.3 პროცენტს შეადგენდა. მდგომარეობა ევროზონის ცხრამეტ წევრ სახელმწიფოში გაუარესდა. 2014 წელს მათ მხოლოდ 0.9 პროცენტიანი ზრდა განიცადეს[19]. 2014 წლისათვის ევროკავშირში უმუშევართა რაოდენობა ათ პროცენტს აღემატებოდა. საბერძნეთსა და ესპანეთში უმუშევარობამ დაახლოებით ოცდახუთ პროცენტს მიაღწია.[20]

ევროზონის ზოგიერთი ქვეყანა, განსაკუთრებით კი საბერძნეთი, ვალებში ჩაეფლო. გლობალური რეცესიით დასუსტებული 2010 წელს საბიჯეტო კრიზისისა დეფოლტის წინაშე აღმოჩნდა. ზოგიერთი მიმომხილველი ვარაუდობდა, რომ საბერძნეთს ევროზონას დაატოვებინებდნენ. 2010 წლის გაზაფხულზე ევროკავშირმა და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საბერძნეთს დახმარების სახით ას ათი მილიარდი ევრო (*ას ორმოცდახუთი მილიარდი აშშ დოლარი*) გამოუყო, რამაც ყველაზე არახელსაყრელი სცენარის განვითარების შესაძლებლობა დროებით შეაჩერა. სანაცვლოდ ბერძნებმა მკაცრი ეკონომიკური პოლიტიკის დაწყების პირობა დადეს. პროგრამა სახელმწიფო ხარჯების, მათ შორის სამთავრობო პენსიებისა და ხელფასების მკვეთრ შემცირებას ითვალისწინებდა. ეკონომიკურმა ასკეტიზმმა საბერძნეთის მოქალაქეებზე მტკივნეულად იმოქმედა. 2015 წელს ქვეყნის სათავეში მოსული მემარცხენე პარტია „სირიზას“ (Syriza) ლიდერი ალექსის ციპრასი (Alexis Tsipras) საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას ამგვარი პოლიტიკის განხორციელებაზე უარს აცხადებდა.

პრემიერ-მინისტრის რანგში ციპრასი 2015 წლის პირველ თვეებში გერმანიასთან დაბალანსების სახიფათო პოლიტიკას აწარმოებდა. გერმანელები ბერძნებს დახმარების შეწყვეტით ემუქრებოდნენ, თუ ეს უკანასკნელები ფისკალურ აქტს არ მიიღებდნენ. საბერძნეთი ევროზონიდან გასვლის ზღურბლზე იდგა. „გრექსიტი“ (Grexit) ერთიანი სავალუტო სისტემის რღევის დაწყების წინაპირობას შექმნიდა. ამ პროცესს, თავის მხრივ, იტალიელები და ესპანელებიც აუბავდნენ მხარს. ჩრდილოევროპული ქვეყნებით ზურგგამაგრებული გერმანელები პოზიციას არ იცვლიდნენ. 2015 წლის ზაფხულში საბერძნეთის მემარცხენე მთავრობამ ევროკავშირისგან კიდევ ერთი ფინანსური დახმარება მიიღო. ამჯერად ბერძნებს უმკაცრესი პირობები წაუყენეს. კერძოდ, სესხის დაბრუნების გარანტირების მიზნით, საბერძნეთის მთავრობას სახელმწიფო აქტივები ფასდაკლებით უნდა გაეყიდა

ევროზონაში დაწყებულმა კრიზისმა წინა პლანზე წამოსწია საფრთხეები, რომლებიც დაკავშირებული იყო საერთო ვალუტასა და მონეტარულ პოლიტიკასთან რეგიონში, სადაც ადგილობრივი მთავრობები ჯერ კიდევ აკონტროლებენ ფისკალურ პოლიტიკას (*ანუ სახელმწიფო ხარჯებსა და საგადასახადო პოლიტიკას*) და სადაც ადგილობრივი პოლიტიკოსები ჯერ თავიანთ ამომრჩევლებთან არიან ვალში, შემდეგ კი ევროკავშირთან. ამ დაძაბული ვითარებიდან ორი საპირისპირო დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ: 1 – ევროკავშირმა ინტეგრაციის პროცესი ევროპის შეერთებული შტატების შექმნით უნდა დაასრულოს, სადაც ერთიანი ევროპული პოლიტიკა თანხვედრაში იქნება ერთიან ევროპულ ეკონომიკასთან (*რაც უახლოეს მომავალში ნაკლებად მოსალოდნელია*), 2 – ევროკავშირმა უნდა შეცვალოს ევროზონის მეტის-მეტად ამბიციური იდეა *(საოცრად წარმატებული ექსპერიმენტი, რომელმაც ევროპაში რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მშვიდობა და ეკონომიკური კეთილდღეობა უზრუნველყო*).

ჩრდილოეთი ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ჩრდილოეთი ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება **(The North American Free Trade Agreement (NAFTA)** 1994 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში. NAFTA თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების კლასიკური მაგალითია. შეერთებულმა შტატებმა, კანადამ და მექსიკამ, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას, ტარიფებისა და სხვა სავაჭრო ბარიერების გაუქმების თაობაზე შეთანხმებას მიაღწიეს. ევროკაშირისგან განსხვავებით იგი საბაჟო კავშირი არ არის, რომელსაც საერთო შიდა ტარიფები აქვს დაწესებული. თავის მხრივ, არც NAFTA ცდილობს, რომ ეკონომიკურ კავშირად ჩამოყალიბდეს.

შეერთებულ შტატებში NAFTA-ის შექმნის აუცილებლობასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობდა, აქედან გამომდინარე, 1992 წლის საპრეზიდენტო კამპანიისას მნიშვნელოვან საკითხთა ჩამონათვალშიც კი მოხვდა. საპრეზიდენტო არჩევნებზე დამოუკიდებელმა კანდიდატმა როს პერომ (Ross Perot) ამომრჩეველთა ხმების თითქმის ცხრამეტი პროცენტი მიიღო. 1912 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც პროგრესული პარტიის (Progressive Party) საპრეზიდენტო კანდიდატმა თეოდორ რუზველტმა (Theodore Roosevelt) ხმების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიღო, იგი ყველაზე წარმატებული დამოუკიდებელი კანდიდატი გახდა. პეროს წარმატება ამ შეთანხმებისადმი მისმა წინააღმდეგობრივმა დამოკიდებულებამ განაპირობა. ბიზნესმენის მტკიცებით, NAFTA სამუშაო ადგილებთან დაკავშირებით უარყოფით შედეგს გამოიწვევდა და ადამიანები სამუშაოს საძებნელად აშშ-დან მექსიკაში გაიქცეოდნენ. NAFTA-ისთან დაკავშირებით მის შეხედულებას იზიარებდნენ სხვადასხვა

პოლიტიკური თუ იდეოლოგიური შეხედულების მქონე პირები: ადვოკატი რალფ ნეიდერი (Ralph Nader), შრომის ამერიკული ფედერაცია-სამრეწველო პროფკავშირების კონგრესი (AFL-CIO), პროფკავშირების მხარდამჭერი დემოკრატები კონგრესში და რესპუბლიკელი პოლიტიკური მიმომხილველი პატ ბიუკენენი (Pat Buchanan). ამ ადამიანთა შეშფოთებისა და წუხილის საგანს ის ფაქტი წარმოადგენდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველობა კონკურენციას ვერ გაუწევდა დაბალ მექსიკურ ხელფასებს და ვერც ეკოლოგიურ პრობლემებს აღუდგებოდა წინ. მათი თქმით, ასეთი პოლიტიკა აშშ-ის სუვერენიტეტს საფრთხეს შეუქმნიდა.

მეორე მხრივ, ჩრდილოეთი ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას მხარს უჭერდნენ იმჟამინდელი რესპუბლიკელი პრეზიდენტი ჯორჯ ჰ.უ. ბუში, მისი დემოკრატი მოწინააღმდეგე ბილ კლინტონი და შეერთებული შტატების საქმიანი წრეების გავლენიანი წარმომადგენლები. NAFTA-ის შესახებ მიმდინარე დისკუსიების მონაწილეები თავისუფალი ვაჭრობის ხარჯებსა და ბენეფიტებთან დაკავშირებულ ძველ არგუმენტებს იშველიებდნენ. იმ დროს, როცა კრიტიკოსები ყურადღებას ამახვილებდნენ შიდა სამუშაო ადგილებსა თუ მრეწველობასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე, ამ შეთანხმების მხარდამჭერები მომხმარებლებისადმი შესაძლო ბენეფიტების თაობაზე მიუთითებდნენ. მათი მტკიცებით, NAFTA ამერიკულ კომპანიებს მექსიკაში კაპიტალის დაბანდების საშუალებას მისცემდა, ეს უკანასკნელები კი ხარჯების შემცირებით უფრო მედგარ კონკურენციას გაუწევდნენ აზიურ პროდუქციას. გარდა ამისა, თავისუფალი ვაჭრობისათვის საჭირო ღია საზღვრები ხელს შეუწყობდა მექსიკის ეკონომიკურ განვითარებას, რაც სარგებელს მოუტანდა როგორც მას, ისე შეერთებულ შტატებს. არაერთი ადამიანის თქმით, მექსიკაში სამუშაო ადგილების გაჩენა ამ ქვეყნიდან არალეგალურ იმიგრაციას შეამცირებდა.

NAFTA-ის შესახებ ორი ათწეულის შემდეგაც არ წყდება კამათი. ამ შეთანხმებამ შიდაამერიკული ვაჭრობის ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, როგორც ამას მისი მხარდამჭერები იმედოვნებდნენ. მისი ძალაში შესვლის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებს, კანადასა და მექსიკის შორის ვაჭრობის საერთო მოცულობა გასამმაგდა. კერძოდ, ორას ოთხმოცდაშვიდი მილიარდი აშშ დოლარიდან (1993 *წლის მონაცემებით*) ერთ ტრილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა (2011 *წლის მონაცემებით*).[21] 1993-2013 წლების შუალედში შეერთებული შტატების მექსიკასთან ვაჭრობის მოცულობა ხუთას ოცდაორი პროცენტით გაიზარდა. ამავე პერიოდში აშშ-ის NAFTA-ის არაწევრ ქვეყნებთან ვაჭრობის მაჩვენებელი კი მხოლოდ ორას სამოცდაცხრამეტი პროცენტით.[22] ამის მიუხედავად, ზოგიერთი ამერიკელი კრიტიკოსი შიშობდა, რომ მექსიკური საექსპორტო საქონელი კანადისა და შეერთებული შტატების ბაზრებს წალეკავდა. 1993 წელს შეერთებულ შტატებს მექსიკასთან მილიარდ შვიდასი მილიონი აშშ დოლარის ღირებულების სალდო ჰქონდა, 2013 წლისათვის კი ორმოცდათოთხმეტ მილიარდზე მეტი ღირებულების სავაჭრო დეფიციტი.[23]

ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობა – *თორმეტ სახელმწიფოს შორის (აშშ-ის ჩათვლით) თავისუფალი ვაჭრობის შესახებ გაფორმებული შეთანხმება, რომელიც სავაჭრო ბარიერების შემცირებასა და ინვესტიციების განხორციელებას ისახავს მიზნად.*

ამავდროულად, შეერთებული შტატები, კანადა და მექსიკა (*ავსტრალიასთან, ბრუნეისთან, ჩილესთან, იაპონიასთან, მალაიზიასთან, ახალ ზელანდიასთან, პერუსთან, სინგაპურსა და ვიეტნამთან ერთად*) **ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის (Trans-Pacific Partnership (TPP)** შესამუშავებლად მოლაპარაკებებს მართავდნენ. ეს ახალი სავაჭრო შეთანხმება ზემოხსენებულ სახელმწიფოებს შორის თავისუფალი ვაჭრობის განვითარებასა და ინვესტიციების მოზიდვა/განხორციელებას ითვალისწინებდა. ზოგიერთმა სპეციალისტმა TPP-ს წევრი სახელმწიფოების რაოდენობისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების გამო „სტეროიდებით გაძლიერებული NAFTA“ უწოდა. ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნი-

ორობის მხადამჭერები და კრიტიკოსები მის წევრ სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის გაფართოების შესახებ განსხვავებულ შეხედულებებს აფიქსირებდნენ.

დებატები გლობალიზაციის თემაზე

7-3 განმარტეთ გლობალიზაციის ფენომენი და განიხილეთ მისი მხარდამჭერებისა და კრიტიკოსების არგუმენტები.

ჩრდილოეთი ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობა და ევროკავშირი თავისი არსით მნიშვნელოვანია, თუმცა ჯერ კიდევ გლობალიზაციის ნაწილობრივი კომპონენტები გახლავან. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში სიტყვა „გლობალიზაციის“ გამოყენება მკეთრად გაიზარდა. „გუგლში“ ამ ტერმინის ჩაწერის შემდეგ აღმოაჩენთ, რომ მას ძალიან ხშირად იყენებენ, ინტერნეტმაღაზია „ამაზონის“ (Amazon.com) ვებგვერდის საძიებო სისტემაში ამ სიტყვის მითითებით ათასობით წიგნი იძებნება. მისი ხშირი გამოყენება ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს აფიქრებინებს, რომ ეს ტერმინი „ოცდამეერთე საუკუნის ყველაზე შეურაცხმყოფელი სიტყვა“.[24] ზემოთქმულის მიუხედავად, სიტყვა „გლობალიზაცია“ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში რაღაც მნიშვნელოვანი ეტაპის დაწყების მანიშნებელია.

რა არის გლობალიზაცია?

მსოფლიოს მასშტაბით ეკონომიკურ სისტემების, საზოგადოებებისა თუ კულტურული ჯგუფების ინტეგრაციის გაღრმავების პროცესს **გლობალიზაცია (Globalization)** ეწოდება. გლობალიზაცია სუვერენიტეტის საწინააღმდეგო ცნებაა. სუვერენიტეტი აღიარებს ეროვნულ საზღვრებს, რომლის შიგნით მოქმედ ეროვნულ საზოგადოებებს, ეკონომიკურ სისტემებსა და კულტურულ ჯგუფებს ეროვნული პოლიტიკური ინსტიტუტები მართავენ. გლობალიზაცია ყველა ასპექტში უპირისპირდება სუვერენიტეტს, რადგან იგი ეროვნულ თუ ადგილობრივ ეკონომიკურ სისტემებს, საზოგადოებებსა და კულტურულ ჯგუფებს აბავს ქსელში, რომლის კონტროლიც ეროვნულ სახელმწიფოებს სულ უფრო და უფრო უჭირთ. გლობალიზაციის მიერ სუვერენიტეტზე მიტანილი შტურმის არსში იმაში მდგომარეობს, რომ კრიტიკოსები რეალისტურ პარადიგმასა და სახელმწიფო სუვერენიტეტის პრივილეგირებულობას წარსულის გადმონაშთად მიიჩნევენ.

გლობალიზაცია – *ეკონომიკურ სისტემებს, საზოგადოებებსა და კულტურულ ჯგუფებს შორის ინტეგრაციის გაღრმავების პროცესი.*

საერთაშორისო ვაჭრობის, წარმოებისა და ფინანსების ექსპანსიის ერთობლიობაას გლობალიზაცია ეწოდება. ინდივიდუალური ან ჯგუფური თვალსაზრისით თუ შევხედავთ, არცერთი მათგანი სიახლეს არ წარმოადგენს, რადგან სახელმწიფოებს საუკუნეების მანძილზე ერთმანეთში აღებმიცემობა ჰქონდათ გაჩაღებული. **მრავალეროვნული კორპორაციები (Multinational corporations (MNCs)** – კორპორაციები, რომლებიც ბაზირებული არიან ერთ სახელმწიფოში, თუმცა მათი ფაბრიკა-ქარხნები სხვა ქვეყანებში მდებარეობს – უკვე რამდენიმე ათწლეულია რაც ფუნქციონირებენ. ცნობილი ბრენდები: „კოკა-კოლა“, „ფორდი“ და „ჯენეალ მოტორსი“ – ამჟამინდელი გლობალიზაციის ეპოქის დადგომამდე მთელ მსოფლიოში იყიდებოდა და იწარმოებდა. უფრო მეტიც, საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების დაბანდების დაწყებამდე რეალური საქონლის გადაადგილების მხარდასაჭერად საერთაშორისო საფინანსო სისტემა უკვე არსებობდა. ამის მიუხედავად, თანამედროვე გლობალურ ეპოქა წარსული ეპოქების საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთკავშირისაგან სამი მაჩვენებლით განსხვავდება.

მრავალეროვნული კორპორაცია – *კორპორაცია, რომელიც ბაზირებულია ერთ სახელმწიფოში, თუმცა მისი პროდუქცია მეორე სახელმწიფოში იწარმოება.*

პირველი, ეს არის ხარისხობრივი გასხვავება. მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა და საზღვარგარეთიდან შემოსული ინვესტიციები უჩვეულოდ მაღალ დონეზეა. ერთადერთი მსგავსი პერიოდი გახლავთ „გლობალიზაციის პირველი ეტაპი“ (*დაახლოებით* 1880-1914 *წწ.*), როდესაც საერთაშორისო ვაჭრობა და ინვესტიციები საგრძნობლად გაიზარდა. თუმცა, ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟზე აღმოცენებული გლობალიზაცია შეიძლება ჩაითვალოს გრძელვადიანი გლობალური ტენდენციის ნაწილად, რომლის განვითარებაც მეოცე საუკუნეში მომხდარი ორი მსოფლიო ომის გამო რამდენიმე ათწლეულით შეფერხდა. ამ გადასახედიდან შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო უკვე რამდენიმე ათეული წელია რაც მსოფლიო გლობალისაზიისაკენ მიისწრაფვის.

მეორე, განსხვავება სიჩქარეშია. თანამედროვე სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები ადამიანებს სწრაფად აკავშირებს. ეს სიჩქარე მკაფიოდ გამოიხატება ფინანსური ოპერაციების შესრულებისას. მაგალითად, აქციების, ეროვნული ვალუტების, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისა თუ სხვა აქტივების შესაძენად ან გასაყიდად კომპიუტერის თაგუნიაზე ერთი დაწკაპუნებით მსოფლიოს ნებისმიერ მხარეში მილიონობით დოლარის გადაგზავნა დღესდღეობით სირთულეს აღარ წარმოადგენს. თომას ფრიდმანი (Thomas Friedman) ამ ფულების გადამტან ადამიანებს „ელექტრონული ჯოგის“ სახელით მოიხსენიებს.[25] მისი თქმით, კომპიუტერის ეკრანზე წამიერად გაელვებულმა ფინანსურმა ნაკადებმა შეიძლება უზარმაზარი რეალური შედეგები მოიტანონ. თუმცა, თუ ნახირი პრობლემებს იგრძნობს დაუყოვნებლივ დაიწყებს თავისი ფულის უკან გატანას

მესამე და ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება გახლავთ მასშტაბი. წარსული ეპოქებისგან განსხვავებით დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკა ნამდვილად „გლობალურია“. პირველ მსოფლიო ომამდე „მსოფლიო“ ეკონომიკა ძირითადად ევროპასა და ევროპელებით დასახლებულ ქვეყნებს (*მაგ. აშშ*) მოიცავდა. როდესაც აზიისა და აფრიკის სახელმწიფოები მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირდნენ, მათი უმეტესობა მეტროპოლიებზე ეკონომიკურად იყო დამოკიდებული. აზიური გიგანტები ჩინეთი და ინდოეთი დღესდღეობით მსოფლიო ეკონომიკაში ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. უფრო მეტიც, ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის პოსტკომუნისტური ქვეყნები, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში იზოლირებული იყვნენ მსოფლიო ეკონომიკისაგან, თანდათანობით უერთდებიან მას. გლობალიზაციის სხივი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იჭრება.

რატომ გლობალიზაცია?

გლობალიზაცია ტექნოლოგიური ცვლილებებისა და პოლიტიკური არჩევანის ნაყოფია. ტექნოლოგიურმა პროგრესმა პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების გლობალურად წარმართვას შეუწყო ხელი. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე გლობალიზაციის განვითარების გარკვეული ეტაპის დაწყება განაპირობა სარკინიგზო მაგისტრალებმა და ორთქლის ძრავაზე მომუშავე გემებმა, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა პროდუქციის შორეულ მანძილზე იაფად და სწრაფად გადატანა. ამავდროულად, სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა გლობალური ვაჭრობა და წარმოება. ავიაციის განვითარებამ მსოფლიო კიდევ უფრო დააპატარავა და შეაკავშირა. ბოლო წლებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სფეროში მომხდარმა რევოლუციამ გლობალური პროცესების ექსპანსია კიდევ უფრო დააჩქარა. თანამედროვე კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა კი მყიდველსა და გამყიდველს, ასევე დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის მუდმივი კავშირის შენარჩუნება უზრუნველყო.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ შეერთებულმა შტატებმა ლიბერალური საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის განსახორციელებლად ბრეტონ ვუდსის კონფერენციაზე დააარსა სხვადასხვა ფუნქციით აღჭურვილი საერთაშორისო ინსტიტუტები, რომლებსაც ათწლეულების განმავლობაში შეჩერებული გლობალური პროცესების აღორძინება დაევალათ. ამ გლობალურ პოლიტიკურ ვალდებულებას ზურგს უმაგრებდა ამერიკული სამხედრო მანქანა, რომელსაც საზღვაო გადაზიდვების დაცვა და იმ რეჟიმების გაუვნებელება დაევალა, რომლებიც აშშ-ში ბაზირებული მრავალეროვნული კორპორაციების ქონების ნაციონალიზაციას შეეცდებოდნენ.

რეალისტი რობერტ გილპინის (Robert Gilpin) აზრით, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ პერიოდში გლობალური ტენდენციების განსაზღვრაში მნიშვნელოვან როლს ამერიკის შეერთებული შტატები ასრულებს.[26] მისი შეხედულებით, საბჭოთა კომუნიზმის შესაჩერებლად აშშ-ის ისტებლიშმენტის განხორციელებულმა მცდელობებმა ამერიკელი პოლიტიკოსები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ შეერთებული შტატების, დასავლეთი ევროპისა და იაპონიის გამაერთიანებელი დინამიკური, ერთიანი საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა ამერიკის ეროვნულ ინტერესებს ემსახურებოდა. ამავდროულად, შეერთებული შტატები ერთიანი დასავლური მსოფლიო ეკონომიკის წესების ჩამოყალიბებისაკენ მიისწრაფვოდა.

1980-1990-იან წლებში ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების მეშვეობით მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში მრავალი ქვეყანა იყო ჩართული. ამავდროულად, გლობალიზაციის მოწინააღმდეგეთა რაოდენობაც (*მაგ. ჩრდილოეთი კორეა*) მცირდებოდა. ბევრ განვითარებად ქვეყანაში იმპორტის ჩამნაცვლებელი ინდუსტრიალიზაციის შიდა სტრატეგიაზე უარი თქვეს, რადგანაც სახელმწიფოები საერთაშორისო ვაჭრობით სარგებელის მიღებას ცდილობდნენ. ბაზრებითა და ეკონომიკური ლიბერალიზაციით კომუნისტურ სამყაროშიც (*ჩინეთი, რუსეთი, აღმოსავლეთი ევროპა*) მოიხიბლნენ. სახელმწიფოებმა ვაჭრობისა და ტარიფების გენერალურ შეთანხმებაში (*მოგვიანებით მსო*) გაწევრიანება საერთო მიზნად დაისახეს. შეერთებულმა შტატებმა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის თანადგომით ამ ტენდენციებს სავალდებულო მრავალმხრივი დახმარებით შეუწყო ხელი, რაც ვაშინგტონის კონსენსუსის ლიბერალიზაციის მხარდაჭერას ითვალისწინებდა.

ზეიმის მიზეზი?

მრავალი მიმომხილველის აზრით, გლობალიზაცია ზეიმის საფუძველს იძლევა. მხარდამჭერთა მტკიცებით, ეკონომიკური ეფექტურობა, პროდუქტიულობა და განვითარება გლობალიზაციის დამსახურებაა, რამაც, თავის მხრივ, მთელ მსოფლიოში მაღალი ცხოვრების სტანდარტები უზრუნველყო. ლიბერალი ეკონომისტების აზრით, გლობალიზაციის „საიდუმლო“ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ათავისუფლებს შეფარდებითი უპირატესობის ძალას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. სავაჭრო ბარიერების გაუქმებისა და ინვესტიციების შემცირების პარალელურად, რაც მეტი სახელმწიფო ერთვება მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში, ეფექტურობა და პროდუქტიულობა იზრდება.

შეერთებული შტატების მოქალაქეებისათვის ეკონომიკური გლობალიზაციით მიღებული სარგებელი ნათლად გამოიხატება იმპორტულ საქონელზე, განსაკუთრებით კი ჩინეთისა და აღმოსავლეთი აზიის სხვა ქვეყნებიდან შემოტანილ ნაწარმზე, დაწესებული დაბალი ფასებით. აზიურ პროდუქციას „უოლმარტის“ (Walmart) თაროებზე თუ საცალო მოვაჭრეებთან ხშირად მოკრავთ თვალს (*იხ. თეორია პრაქტიკაში* 7.2).

თეორია პრაქტიკაში 7.2

„უოლმარტის“ ფენომენი: გლობალიზაციის წარმატების ისტორია?

„უოლმარტის“ (Walmart) საყოველთაო წარმატება 1962 წელს ერთი მაღაზიით დაიწყო. დღესდღეობით, მსოფლიოს ოცდაშვიდ ქვეყანაში მისი თერთმეტი ათასზე მეტი მაღაზია ფუნქციონიებს. 2015 წლის მონაცემებით, წლიურმა გაყიდვებმა ოთხას ოთხმოცდაორი მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. მსოფლიოს უმსხვილეს საცალო მოვაჭრეს მთელ მსოფლიოში ორი მილიონ ორასი ათასი ადამიანი ჰყავს დასაქმებული. „უოლმარტი“, რომელმაც მილიონ სამასი ათასი ამერიკელი დაასაქმა, აშშ-ში უმსხვილესს კერძო დამქირავებელად ითვლება.

„უოლმარტის ფენომენი“ პირდაპირ დაკავშირებულია გლობალიზაციასთან. 1980-იანი წლებიდან მოყოლებული მის თაროებზე სხვადასხვა სახის საკმაოდ დაბალფასიანი იმპორტული საქონელია განთავსებული. „უოლმარტის“ მონაცემებით, 2003 წელს ჩინური იმპორტული საქონლიდან მიღებული წილი დაახლოებით თხუთმეტ მილიარდი აშშ დოლარს შეადგენდა. ანუ, შეერთებული შტატების ჩინეთთან ვაჭრობის დეფიციტის დაახლოებით ათი პროცენტი. 2006 წელს ჩატარებულმა კიდევ ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ჩინურმა იმპორტულმა საქონელმა ოცდაშვიდ მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. „უოლმარტი“ მჭიდროდ თანამშრომლობს ჩინურ კომპანიებთან და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად კონსულტაციებსაც უწევს. „უოლმარტი“ ჩინელებს თავისი სპეციფიკაციის გათვალსწინებით ამა თუ იმ საქონლის დამზადების მეთოდებსაც ასწავლის.

ლიბერალების აზრით, ეკონომიკური წარმატების საზომი გავლენას ახდენს მომხმარებლების ეკონომიკურ აქტივობაზე. ამ თვალსაზისით, „უოლმარტისა“ და ჩინეთის ურთიერთკავშირი სარგებელს აძლევს რიგით მომხმარებლებს, რომლებიც იაფფასიან საქონელს ყიდულობენ. სწორედ ამიტომ, ამერიკაში, ყოველ კვირა ასი მილიონი ადამიანი სტუმრობს „უოლმარტის“ მაღაზიებს. მართლაც, ავტომობილებისა და ნავთობის გაყიდვებს ან რესტორნების ნავაჭრს თუ გამოვრიცხავთ, „უოლმარტის“ საცალო გაყიდვების მაჩვენებელი თერთმეტ პროცენტზე მეტს შეადგენს. რეალისტების შეხედულებით, რომლებიც მსოფლიოს მერკანტილიზმის პრიზმაში ხედავენ, ეკონომიკური წარმატება დამოკიდებულია ადამიანურ რესურსზე. ამ კუთხით, „უოლმარტი“/ჩინეთის დაახლოება ამერიკელ მეწარმეებს წარმოების საზღვარგარეთ გატანისაკენ ან საქმიანობის მიტოვებისაკენ უბიძგებს, რადგან „ჩინურ ფასებს“ კონკურენციას ვერ გაუწევენ. რეალისტი და ნეო-მარქსისტი კრიტიკოსების თქმით, რიგითი მომხმარებლებისათვის ბევრი არაფერი იცვლება.

- თქვენი აზრით, „უოლმარტის“ პოლიტიკა ამერიკისათვის უფრო მომგებიანია თუ ჩინეთისათვის? განმარტეთ თქვენი შეხედულებები.
- თქვენი აზრით, რა ფაქტორებმა განაპირობა ეკონომიკური წარმატება: მოხმარების დონემ თუ წარმოების დონემ? და რატომ?

წყაროები: PBS Frontline, “Is Wal-Mart Good for America?”; Wal-Mart website, http://news.walmart.com/wal-mart-facts/; Robert E. Scott, “The Wal-Mart Effect,”Economic Policy Institute, June 25, 2007, http://www.epi.org/publication/ib235/; Supply Chain Digest,July 26,2013, http://www.scdigest.com/assets/newsviews/13-07-26-1.php?cid=7260.

მართლაც, 1990-იან წლებსა და ოცდამეერთე საუკუნის პირველ ორ დეკადაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ინფლაციის დაბალი მაჩვენებელი, სულ ცოტა, ნაწილობრივ, ძვირადღირებულმა იმპორტულმა პროდუქციამ განაპირობა.

ცნობილ ეკონიმისტსა და გლობალიზაციის დამცველს, ჯაგდიშ ბჰაგვატის (Jagdish Bhagwati), ლაკონური არგუმენტი მოჰყავს: „ვაჭრობა განვითარებასთან ასოცირდება, რაც, თავის მხრივ, სიღარიბის შემცირებას იწვევს. აქედან გამომდინარე, განვითარება სიღარიბეს ამცირებს“.[27] 1990-2003 წლების შუალედში განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ტემპის შედეგად მთლიანი შიდა პროდუქტი (GDP) ერთ სულ მოსახლეზე ყოველწლიურად, საშუალოდ, 2.9 პროცენტით იზრდებოდა.[28] მსოფლიო ბანკის ინფორმაციით, ეს ზრდა კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა სფეროში მუდმივი პროგრესის საწინდარია.[29]

- *სიღარიბე.* მთელ მსოფლიოში უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის (*რომლებსაც დღეში მხოლოდ* 1.25 *აშშ დოლარის შემოსავალი აქვთ*) პროცენტული მაჩვენებელი 43.4 პროცენტიდან (1990 *წ.*) 17 პროცენტამდე (2011 *წ.*) შემცირდა.
- *ბავშვთა სიკვდილიანობა.* განვითარებად ქვეყნებში ბავშვთა სიკვდილიანობის დონე ოთხმოცდაცხრამეტიდან ყოველ ათას ბავშვზე (1990 *წ.*), ორმოცდაათამდე ყოველ ათას ბავშვზე (2013 *წ.*) შემცირდა.
- *დაწყებითი სკოლის დამთავრება.* განვითარებად ქვეყნებში მცხოვრები ბავშვების პროცენტულმა მაჩვენებელმა, რომლებმაც დაწყებითი სკოლა დაამთავრეს, 1990-2012 წლების შუალედში 77 პროცენტიდან 91 პროცენტამდე გაიზარდა.
- *ბავშვთა შიმშილიანობა.* ბავშთა შიმშილიანობის დონე 1990-2013 წლების შუალედში 28 პროცენტიდან 17 პროცენტამდე დაეცა.

განვითარებად ქვეყნებს კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი. სხვადასხვა სფეროში მიღწეული წარმატებების მიუხედავად, ისინი საგრძნობლად ჩამორჩებიან განვითარებულ ქვეყნებს. მილიონობით ადამიანი ჯერ კიდევ ვერ იღებს სათანადო განათლებას, ვერ სარგებლობს ჯანდაცვის სიკეთეებით და ვერც შესაბამისი შემოსავლებით დაიკვეხნის. ადამიანები, რომლებმაც „უკიდურეს სიღარიბეს“ თავი დააღწიეს და მათ დღიური შემოსავალი 1.25 აშშ დოლარს უმნიშვნელოდ აღემატება, განვითარებული ქვეყნების სტანდარტების გათვალისწინებით, კვლავინდებურად ღარიბთა რიგებს მიეკუთვნებიან. ამის მიუხედავად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (*გაერო*) საანგარიშო მოხსენებაში ვკითხულობთ: „დღესდღეობით განვითარებად ქვეყნებში დაბადებული ადამიანები თავიანთი მშობლებისაგან განსხვავებით უკეთესი საგანმანათლებლო და ჯანდაცვის პირობებით სარგებლობენ“.[30]

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დამფუძნებლისა და 1949 წლის კომუნისტური რევოლუციის ხელმძღვანელის, მაო ძედუნის (Mao Zedong), მმართველობის წლებში ჩინეთი მსოფლიო ეკონომიკური სისტემისგან იზოლირებული, საკუთარ საზღვრებში ჩაკეტილი სახელმწიფო იყო. სავაჭრო და საინვესტიციო კავშირები დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებთან შეზღუდული იყო. ქვეყნის შიდა ეკონომიკას ძირითადად სახელმწიფო აკონტროლებდა. თუმცა, 1970-იანი წლების მიწურულს დენ სიაოპინის (Deng Xiaoping) ხელმძღვანელობით ჩინეთში ეკონომიკური რეფორმების გატარება დაიწყეს. ქვეყნის შიგნით სახელმწიფოს როლის თანდათანობითმა შესუსტებამ ბაზრებისა და კერძო საკუთრების წარმოშობას შეუწყო ხელი. მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის მიზნით კომუნისტურმა ჩინეთმა საერთაშორისო ასპარეზზე კონკრეტული პოლიტიკის გატარება დაიწყო. ჩსრ მსოფლიო ეკონომიკას ინვესტიციების წყაროდ და ჩინური საქონლის გასაღების ადგილად მიიჩნევდა. პრაგმატულად მოაზროვნე დენ სიაოპინმა კაპიტილიზმისადმი სკეპტიკურად განწყობილ ადამიანებს შემდეგი პასუხი გასცა: „გამდიდრდე, ეს დიდებული გრძნობაა“, „კატა შავია თუ თეთრი მნიშვნელობა არ აქვს. სანამ თაგვებს იჭერს, ესეიგი კარგი კატაა“.

ჩინეთმა განსაცვიფრებელ შედეგებს მიაღწია. რეფორმების დაწყებისა და ეკონომიკური სისტემის გარდაქმნის შედეგად მისი ეკონომიკა მსოფლიოში ყველაზე სწრაფად იზრდებოდა. ქვეყნის ეკონომიკის ყოველწლიურმა ზრდამ (*დაახლოებით* 10 *პროცენტი*) ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი დაახლოებით 900 პროცენტით გაზარდა.[31] ბოლო წლებში ზრდის ტემპის შენელების მიუხედავად, სიღარიბის შემცირებისა და ჩინეთის მოქალაქეების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების

1999 წელი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (*მსო*) წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქცია ქალაქ სიეტლში. რატომ გამოიწვია მსო-მ ასეთი უკმაყოფილება? მერკანტილისტები, ლიბერალები და ნეო-მარქსისტები ამ ორგანიზაციისადმი გამოთქმული პრეტენზიების კანონიერებას თავიანთ შეფასებებში როგორც განასხვავებდნენ? თქვენი აზრით, ვინ არის მართალი?

კუთხით, როგორც ჯაგდიშ ბჰაგვატიმ იწინასწარმეტყველა, ჩინეთმა შთამბეჭდავ წარმატებას მიაღწია. 1981-2000 წლების შუალედში ჩინეთის მოსახლეობის რიცხვი, რომელიც ყოველ დღიურად 1.25 აშშ დოლარს ან ნაკლებს გამოიმუშავებდა, 84 პროცენტიდან 10 პროცენტამდე შემცირდა.[32] გლობალიზაციის მხარდამჭერთა თქმით, ეს წარმატება დიდწილად ჩინეთის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციამ განაპირობა.

ზემოთქმულის მიუხედავად, ჩინეთი ჯერ კიდევ განვითარებადი ქვეყანაა, თუმცა ეკონომიკურმა წინსვლამ მილიონობით ჩინელს ცხოვრების პირობები მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. უფრო მეტიც, ჩინეთი გლობალიზაციის ერთადერთი წარმატებული მონაპოვარი არ გახლავთ. მავანთა მტკიცებით, ინდოეთს, რომელიც დემოკრატიული პოლიტიკური სისტემით, მძლავრი და მზარდი მაღალტექნოლოგიური სექტორით, ასევე უმაღლესი განათლებისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშახელით იწონებს თავს, ჩინეთისაგან განსხვავებით ეკონომიკური ზრდის უფრო დიდი პოტენციალი გააჩნია.

უარყოფითი დამოკიდებულება გლობალიზაციის მიმართ?

წარმატებების მიუხედავად, გლობალიზაცია დაპირისპირების მიზეზიც გახდა. მაგალითად, 1999 წელს ქალაქ სიეტლში გამართული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კონფერენციის (WTO Ministerial Conference of 1999) გასაპროტესტებლად ქუჩაში ათასობით ადამიანი გამოვიდა. პროტესტანტები, რომელთა შორის მოძალადეებიც ერივნენ, ცერემონიის გახსნის გაუქმებას მოითხოვდნენ. საპროტესტო აქციებმა დიდწილად ქალაქში მიმდინარე საქმიანი შეხვედრებიც კი დაჩრდილა. საპროტეტო აქციების წამყვან ბირთვს შეადგენდნენ აშშ-ის პროფკავშირების წარმოადგენლები, გარემოსა და ცხოველთა უფლებების დამცველები, ადამიანის უფლებათა დამცველები, ფერმერები, მრეწველები, სამოქალაქო და ქალთა უფლებების დამცველი ჯგუფები. პროტესტანტთა შორის მოიძებნებოდნენ როგორც ანარქისტები და მემარცხენე ანტიკაპიტალისტები, ისე ის ადამიანები, რომლებიც კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით დემოკრატებისა და რესპუბლიკელების პოლიტიკურ შეხედულებებს იზიარებდნენ. 1999

წლიდან მოყოლებული მსო გლობალიზაციის მთავარ ინსტიტუციონალურ სიმბოლოდ იქცა. ასეთი საპროტესტო აქციები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შემდგომი შეხვედრების დროსაც გაიმართა, როგორც შეერთებულ შტატებში, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

გლობალიზაციის მომხრე თომას ფრიდმანმა სიეტლის ქუჩებში გამოსულ პროტესტანტებს „სულელები სიეტლში“[33] უწოდა. სხვა მიმომხილველთა თქმით კი, გლობალიზაციის წინააღმდეგ სიეტლში გამოხატულ უარყოფით რეაქციასა და მომდევნო წლებში გამართულ სხვა საპროტესტო აქციებს საფუძვლად ედო კანონიერი პრეტენზიები, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მათი უმეტესობა სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: უთანასწორობა; ეკონომიკური ეფექტურობის უპირატესობა სხვა ფასეულობებთან მიმართებით; კორუფცია და პოლიტიკური პროცესების არასწორი მიმართულებით წარმართვა.

1. *უთანასწორობა.* კრიტიკოსები აღიარებენ გლობალიზაციის შედეგად მიღწეული ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებსა და ამ ზრდით მიღებულ ბენეფიტებს, თუმცა იქვე მიუთითებენ, რომ ისინი არათანაბრადაა განაწილებული. მაგალითად, 1980-1990-იან წლებში, როდესაც ჩინეთის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები ორნიშნა რიცხვით გამოიხატებოდა, სუბსაჰარული აფრიკა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ეკონომიკურ სტაგნაციას განიცდიდა. ბჰაგვატის პროგნოზის თანახმად, ასეთმა სხვაობამ სიღარიბის შემცირების კუთხით ძალიან განსხვავებული შედეგები მოიტანა. როგორც დიაგრამა 7.1-ში უკვე ვნახეთ, აღმოსავლეთ აზიაში უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ ადამიანთა პროცენტული რაოდენობა, რომელთა დღიური შემოსავალი 1.25 აშშ დოლარს არ აღემატებოდა ან პირიქით, ნაკლები იყო, 1990-2011 წლების შუალედში 58.2 პროცენტიდან 7.9 პროცენტამდე დაეცა, ხოლო მაჩვენებელი სუბსაჰარული აფრიკის მოსახლეობისა, რომელიც სიღარიბის უკიდურეს ზღვარზე იმყოფებოდა, ამავე პერიოდში, უმნიშვნელოდ, 56.6 პროცენტიდან 46.8 პროცენტამდე შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ 1990-იანი წლების დასასრულიდან მოყოლებული სუბსაჰარული აფრიკის ეკონომიკური ზრდის ტემპები არსებითად გაუმჯობესდა და სიღარიბის შემცირების თვალსაზრისით გარკვეული პროგრესიც შეინიშნება, აფრიკა ჯერ კიდევ განვითარების დაბალ საფეხურზეა.[34] კრიტიკოსების აზრით, გლობალიზაციამ საყოველთაო უთანასწორობის ზრდა განაპირობა. ნეო-მარქსისტებს, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკას კლასობრივი ინტერესების დაპირისპირების წყაროდ მიიჩნევენ, ეს შედეგი არ გააოცებს. 1980-იანი წლების შემდეგ შეერთებულ შტატებში საშუალო ხელფასი (*ინფლაციის გათვალისწინებით*) ერთ წერტილზე გაიყინა, რასაც ვერ ვიტყვით აშშ-ის მოსახლეობის უმდიდრესი ფენის (*ერთი პროცენტი*) შესახებ. გლობალიზაციის ეპოქაში მათი შემოსავალი მრავალმნიშვნელოვნად გაიზარდა. ეს საზოგადოებრივი კლასი ამჟამად ამერიკის შემოსავლების ოც პროცენტს გამოიმუშავებს, რაც 1920-იანი წლებიდან მოყოლებული შემოსავლების უთანასწორობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.[35] ამ ტენდენციის მნიშვნელოვანი ნაწილი დამახასიათებელია გლობალიზაციისათვის რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ერთიან შრომის ბაზარს, სადაც მუშები მაღალი შემოსავლების მქონე განვითარებულ ქვეყნებში სამუშაო ადგილებისათვის ერთმანეთს კონკურენციას უწევენ. ამ დაბალ უცხოურ შრომით ხარჯებზე უპირატესობის მოსაპოვებლად კომპანიები **აუთსორსინგით** არიან დაკავებული. ამ მოქმედების შიდა აუთსორსინგისაგან განსასხვავებლად ახალი ტერმინი, „ოფშორული აუთსორსინგსი“ ან **ოფშორინგი** შეიქმნა.

აუთსორსინგი – *კომპანიის ბიზნესქტივობის გადაცემა გარე მიმწოდებლებისათვის.*

ოფშორინგი – *ოფშორული აუთსორსინგი; კომპანიის ბიზნესაქტივობის გადაცემა მიმწოდებლებისათვის იმ ქვეყნის გარეთ, სადაც ეს კომპანიაა ბაზირებული.*

გაზრდილი უთანასწორობა შეერთებული შტატებისთვისაც არ არის უცხო. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთისა და ინდოეთის ეკონომიკა დინამიკურად იზრდება, ამ ქვეყნების მოსახლეობა ეკონომიკური სიკეთეებით თანაბრად ვერ სარგებლობს. ჩინეთში სიცოცხლით სავსე სანაპირო რეგიონებსა და სასოფლო-სამეურნეო და ღარიბ რეგიონებს შორის შემოსავლების, ეკონომიკური განვითარებისა თუ ცხოვრების დონის მხრივ კვლავინდებურად უზარმაზარი განსხვავება არსებობს. რაც შეეხება ინდოეთს, ეს ქვეყანაც მსგავსი გამოწვევების წინაშე დგას. მისი მთავარი ეკონომიკური და საგანმანათლებლო ბირთვი ქვეყნის სამხრეთ ნაწილშია თავმოყრილი. ინდოეთი მაღალტექნოლოგიური ქოლცენტრებით, მზარდი საშუალო ფენითა და მაღალი განათლების მქონე მოქალაქეებით, რომლებიც ტექნიკური მიმართულებით საკმაოდ დიდ გამოცდილებას ფლობენ, ამერიკელ კოლეგებს ტოლს არაფერში უდებენ. ქვეყნის ჩრდილოეთით კი სულ სხვა ვითარებაა. უკიდურესი სიღარიბე, ბავშვთა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი და გაუნათლებლობა დღემდე დაუძლეველ პრობლემად რჩება.[36]

2. *ეკონომიკური ეფექტურობის უპირატესობა.* კრიტიკოსთა რწმენით, გლობალიზაციასთან ერთად ნეოეკონომიკური ფასეულობები ეკონომიკურ ეფექტურობას მსხვერპლად ეწირება. გარემოს დაცვა, ადამიანის (*ასევე ცხოველთა*) უფლებები და ადგილობრივი კულტურული ტრადიციები უკანა პლანზე გადადის, იმ მიზნით, რათა თავისუფალი ვაჭრობის მეშვეობით ეკონომიკური ეფექტურობა გაიზარდოს. ავსტრალიელი ფილოსოფოსის, პიტერ სინგერის (Peter Singer) სიტყვებს თუ ვერწმუნებით, დღევანდელი გლობალიზაციის ეპოქაში ეკონომიკა ყველა ამ ფაქტორს „აღემატება“.[37] მაგალითად, შეერთებულ შტატებსა და კანადაში ძროხის ხორცის მწარმოებელთა დიდი ნაწილი მსხვილფეხა რქიანი საქონლის რაციონში ზრდის ჰორმონებს (*სომატოტროპინებს*) უმატებს. თუ თქვენ ჩრდილოეთ ამერიკაში ცხოვრობთ დიდი ალბათობით ჰორმონებით გაჯერებულ საქონლის ხორცს მიირთმევთ. აშშ-ის მთავრობისა და საქონლის ხორცის მწარმოებელთა განცხადებით, ზრდის ჰორმონები სრულიად უსაფრთხოა. ხოლო მსხვილფეხა საქონელი, რომელიც ჰორმონალური დანამატებით იკვებება, უფრო სწრაფად იზრდება და ნაკლები ქონიანობით გამოირჩევა. ასეთი ხორცი გაცილებით იაფია და სასარგებლო. თუმცა ევროპელი ჩინოვნიკების განცხადებით, არ არსებობს იმის საკმარისი მტკიცებულება, რომ ჰორმონებით გაჯერებული საქონლის ხორცი წლების შემდეგ ადამიანების, განსაკუთრებით კი პატარების, ფეხმძიმე ქალების ან მოხუცებულთა ჯანმრთელობას საფრთხეს არ შეუქმნის. სწორედ ამიტომ, 1980-იანი წლების დასაწყისში ევროკავშირმა ჰორმონებით ნაკვები საქონლის ხორცზე უარი განაცხადა და მისი იმპორტი აკრძალა.

შეერთებულმა შტატებმა საჩივრით მიმართა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას, რომელმაც 1990-იანი წლების მიწურულს ევროპელთა გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა და მწვანე შუქი აუნთო საპასუხო სანქციების დაწესებას, რადგან ევროკავშირის გადაწყვეტილება პროტექციონისტული პოლიტიკის ნიშნებს შეიცავდა, რაც, თავის მხრივ, საერთაშორისო სავაჭრო სამართალს არღვევდა. სინამდვილეში GATT-ის თავდაპირველი შეთანხმების მეოცე მუხლი ნებას რთავს მსო-ს მხარი დაუჭიროს ვაჭრობაზე დაწესებულ შეზღუდვებს, რომლებიც ეფუძნება ისეთ ფაქტორებს როგორებიცაა ცხოველთა უფლებები, ადამიანის ჯანმრთელობა და გარემოს დაცვა. ამის

მიუხედავად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ უხალისოდ, მაგრამ მაინც გადადგა ეს ნაბიჯი, რადგან შიშობდა, რომ განსხვავებულ ფასულობებზე დაფუძნებული სავაჭრო დისკრიმინაცია შეიძლებოდა, რომ სახელმწიფოებს სავაჭრო პროტექციონიზმის გასატარებლად გამოეყენებინათ. მსო-ის კრიტიკოსთა თქმით, ამის შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ გლობალიზაცია და მისი მიზანი, რომელიც თავისუფალ ვაჭრობას უკავშირდება, სახელმწიფოებსა და კულტურებს შორის ღირებულებათა თვალსაზრისით არსებულ რეალურ განსხვავებებს უგულებელყოფს.

3. *პოლიტიკური პროცესების არასწორი მიმართულებით წარმართვა*. მხარდამჭერთა მტკიცებით, გლობალიზაცია დემოკრატიასა და კეთილსინდისიერ მმართველობას უკავშირდება. როგორც წესი, მსოფლიო ეკონომიკაში ყველაზე მეტად ინტეგრირებული სახელმწიფოები დემოკრატიულობის მაღალი ხარისხითა და კორუფციისადმი ნაკლები ლტოლვით გამოირჩევიან. რასაც ვერ ვიტყვით ეკონომიკურად ჩაკეტილ და იზოლირებულ ქვეყნებზე, სადაც კორუფციული და ავტორიტარული ვნებები სჭარბობს.[38] დემოკრატია და კეთილსინდისიერი მმართველობა ინტეგრაციის საწინდარია. გლობალიზაცია და დემოკრატია შეიძლება მესამე ცვლადმა გამოიწვიოს.

კრიტიკოსთა აზრით, გაცილებით სიღრმისეული პრობლემა დემოკრატიასა და გლობალიზაციას შორის არსებულ ურთიერთობაში ძევს. მაშინაც კი, როდესაც გლობალიზაცია დემოკრატიული მმართველობის ოფიციალურ ინსტიტუტებთან ასოცირდება, იგი ასუსტებს ამ სახელმწიფოების მიერ პოლიტიკურ პროცესებზე დაწესებულ სრულუფლებიან კონტროლს, რადგან მათი გატარებული პოლიტიკა საკუთარი მოქალაქეების მატერიალურ კეთილდღეობასა და ფასეულობებზე ზრუნვას ითვალისწინებს. ეს პრობლემა თავს იჩენს იმ შემთხვევებში, როდესაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია უგულვებელყოფს სახელმწიფო კანონებს, რომლებიც იცავენ გარემოს, ცხოველთა უფლებებს ან თავისუფალ სავაჭრო ინტერესებს. 2005-2013 წლებში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი პასკალ ლამი (Pascal Lamy), რომელიც გლობალიზაციის „ჰუმანიზაციას“ უჭერდა მხარს, თავისუფალ ვაჭრობასა და ბაზრებზე ორიენტირებული ვაშინგტონის კონსენსუსის ჟენევის კონსენსუსით (Geneva Consensus – *მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შტაბ-ბინა ქ. ჟენევაში მდებარეობს*) ჩანაცვლების იდეით გამოდიოდა, რადგან ეს უკანასკნელი მხედველობაში იღებს იმ ხარჯებს, რომელსაც თავისუფალი ვაჭრობა უწესებს მუშახელსა და გარემოს. ამ ადამიანური დღის წესრიგის განსახორციელებლად იგი მსოფლიო მმართველობისა და საყოველთაო რეგულაციების მისამართით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას გვთავაზობდა, რადგან მისი რწმენით, ეკონომიკური გლობალიზაციის ხარჯების ადეკვატურად წარმართვა მხოლოდ საერთაშორისო დონეზეა შესაძლებელი.[40] ლამის პოზიციას ნაწილობრივ აკრიტიკებდნენ სიეტლის ქუჩებში გამოსული პროტესტანტები. ჟენევის კონსესუსს წინააღმდეგობას უწევენ როგორც საერთაშორისო კორპორაციები, ასევე განვითარებადი სახელმწიფოები. ამგვარად, საერთაშორისო რეგულაციებით გლობალიზაციის „ჰუმანიზირებისაკენ“ სწარფვას ხშირად მივყავართ ადამიანის უფლებათა დამცველების, პროფკავშირებისა და ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის უცნაური ალიანსისკენ, რომელიც საერთაშორისო კორპორაციებისა და არაერთი განვითარებადი ქვეყნის უცნაურ ალიანსს ეწინააღმდეგება.

გეოპოლიტიკა და გლობალიზაციის მომავალი

7-4 განსაზღვრეთ და შეაფასეთ ფაქტორები, რომლებსაც გლობალიზაციის ცვლილება ძალუძთ.

გლობალიზაციის შესახებ გამართული დებატები მისი ეკონომიკური და სოციალური შედეგებით არ განისაზღვრება. გლობალიზაციასა და გეოპოლიტიკას შორის საკმაოდ დიდი შეუსაბამობაა. მართლაც, გლობალიზაციის გეოპოლიტკური შედეგები პირდაპირ ეწინააღმდეგება რეალისტურ პარადიგმას. ლიბერალი კომერციალისტების თანახმად, ეკონომიკური გლობალიზაციის პოლიტიკურ გავლენას შეუძლია შეცვალოს რეალისტების ცნობიერებაში არსებული საერთაშორისო ურთიერთობები და მსოფლიო პოლიტიკა. ლიბერალების მტკიცებით, **ურთიერკავშირის** საბოლოო ქსელის დარღვევამ შეიძლება უარყოფითი შედეგები მოიტანოს. იგი ისე შეაკავშირებს სახელმწიფოებსა და საზოგადოებებს, რომ მათ სამხედრო კონფლიქტსა თუ ომში მონაწილეობის სურვილს გაუქრობს

ურთიერთკავშირი – *ორმხრივად მომგებიანი ურთიერთობების ქსელი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს სახელმწიფოებსა და საზოგადოებებს. მისმა უგულვებელყოფამ შეიძლება უარყოფითი შედეგები მოიტანოს.*

ლიბერალთა თქმით, მშვიდობის თეორიამ ყველაზე დამაჯერებლად დასავლეთ ევროპაში პოვა განხორციელება. დღესდღეობით ეს მშვიდობიანი და ეკონომიკურად განვითარებული კონტინენტი ოდესღაც, მრავალი წლის წინ, დედამიწაზე ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი ადგილად ითვლებოდა. ორი მსოფლიო ომი, რომელმაც ათეულობითი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, უმთავრესად ევროპაში მიმდინარეობდა.

დღესდღეობით საფრანგეთსა და გერმანიას შორის, რომლებიც ისტორიულად დაპირისპირებულ მხარეებს წარმოადგენდნენ, ომის დაწყება თითქმის წარმოუდგენელია. რამდენიმე ათეული წლის წინ დაწყებულმა ეკონომიკურმა ინტეგრაციამ ამ ორ სახელმწიფოს სხვა ოცდაექვს სახელმწიფოსთან ერთად ერთ ეკონომიკურ კავშირში მოუყარა თავი. მრავალი მათგანი საერთო ვალუტითაც სარგებლობს. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ევროპაში დაწყებული ეკონომიკური ინტეგრაციის არქიტექტორებს მშვიდობის დამყარების სურვილი ამოძრავებდათ. ფრანგმა ეკონომისტმა და ევროინტეგრაციის მხარდამჭერმა ჟან მონემ (Jean Monnet) განაცხადა: „ევროპის შექმნა მშვიდობის საწინდარია“.[41]

ლიბერალების განცხადებით, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთკავშირის გავლენა ევროკავშირის საზღვრებს მიღმა ვრცელდება. პოლიტოლოგ რობერტ ჯერვისი (Robert Jervis) მიიჩნევს, რომ „უსაფრთხო გაერთიანების“ წევრები: დასავლეთი ევროპა, შეერთებული შტატები და იაპონია – წარმოქმნილ უთანხმოებებს ცივილიზებული ფორმებით აგვარებენ (*იხ. თავი მეოთხე*).

როგორც უნდა იყოს, ნეო-მარქსისტებისა და რეალისტების აზრით ლიბერალური ოპტიმიზმი გულუბრყვილოდ გამოიყურება. იმ დროს, როცა ისინი საერთო ენას ვერ ნახულობენ მსოფლიო პოლიტიკის არსთან დაკავშირებით, თანხმდებიან, რომ ეკონომიკური ურთიერთკავშირი და გლობალიზაცია საერთაშორისო მშვიდობასა და სტაბილურობას ვერ უზრუნველყოფს, პირიქით, შეიძლება პოლიტიკური დაძაბულობებისა და ომის დაწყების მიზეზიც კი გახდნენ. ნეო-მარქსისტების აზრით, ასეთი კონფლიქტები საყოველთაო უთანასწორობისა და განვითარებულ ქვეყნებში მოღვაწე კაპიტალისტებს შორის არსებული კონკურენციის შედეგია. მსოფლიო ბაზრებსა და ბუნებრივ რესურსებს სწორედ ეს განვითრებული კაპიტალიტური ქვეყნები აკონტროლებენ. რეალისტთა შეხედულებით კი ეროვნულ ინტერესებს შორის არსებულ ფუნდამენტურ განსხვავებებს ეკონომიკური გლობალიზაცია უწყობს ხელს.

ამ განმასხვავებელ ნიშნებს ჩინეთის ბოლოდროინდელ სწრაფ ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებულ ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებებში აღმოაჩენთ. ლიბერალების აზრით, ეკონომიკური განვითარება და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას საერთაშორისო სტაბილურობაში წვლილის შეტანისა და სავაჭრო პარტნიორებთან, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებთან კეთილსინდისიერი ურთიერთობების დამყარებისკენ უბიძგებს. აშშ-სთან დაძაბულმა ურთიერთობამ ჩინეთს შეიძლება დააკარგვინოს ამ ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარი, რომელზეც დიდწილად არის დამოკიდებული.

როგორც ლიბერალები მიიჩნევენ, გლობალიზაციის ეპოქაში წლების მანძილზე მსოფლიოს ცხელ წერტილად (*იხ. თავი მეოთხე*) მიჩნეული ტაივანის სრუტეც კი ნაკლებად საშიშია. თომას ფრიდმანის აზრით, თუ ჩინეთი ტაივანს თავს დაესხმება, ამ ქვეყანაში განხორციელებული ასი მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ტაივანური ინვესტიციები და ჩინეთის ახლად ფეხადგმულ მაღალტექნოლგიურ სექტორში მოწინავე პოზიციებზე მყოფი ტაივანელი სპეციალისტები საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან. ასევე, მოიშლება საერთაშორისო მომმარაგებელი ქსელი სამრეწველო დარგებისა, რომლებიც ჩინეთის ეკონომიკურ ზრდა/განვითარებას უზრუნველყოფენ.[42] უფრო მეტიც, შეერთებული შტატები, იაპონია და ევროკავშირი ჩინეთს, სავარაუდოდ, ეკონომიკურ სანქციებს დაუწესებენ. თქვენი აზრით, ზემოხსენებული ფაქტორები უბიძგებს კი ჩსრ-ს ტაივანის წინააღმდეგ რადიკალური სამხედრო ქმედებების განხორციელებისკენ? გარისკავს კი მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირებული ნებისმიერი სახელმწიფო ასეთი ნაბიჯის გადადგმას?

სკეპტიკოსები იტყვიან, რომ სახელმწიფოებმა უკვე გადადგეს მსგავსი ნაბიჯი. მეოცე საუკუნის მიჯნაზე სახელმწიფოებს შორის არსებულმა ეკონომიკურმა ურთიერთკავშირმა პირველი მსოფლიო ომის დაწყებას ხელი ვერ შეუშალა. ნეო-მარქსისტების მტკიცებით, პირველ მსოფლიო ომს სწორედ გლობალური სიკეთეების ხელში ჩაგდების მსურველ კაპიტალისტებს შორის გაჩაღებულმა კონკურენციამ დაუდო სათავე. რეალისტები კი განაცხადებენ, რომ გერმანიას ომის დაწყებისაკენ ეკონომიკურმა განვითარებამ უბიძგა, რადგან ეს ქვეყანა თავის ეკონომიკურ სიძლიერესთან თანაზომიერი პოლიტიკური მდგომარეობისაკენ მიისწრაფვოდა, რაც მეზობელი ქვეყნებისათვის გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენდა.

ზოგიერთი რეალისტის ვარაუდით, სავსებით შესაძლებელია, რომ ჩინეთმა თანამედროვე გერმანიის როლი შეითავსოს, აზია კი ოცდამეერთე საუკუნეში გეოპოლიტიკური ინტერესების დაპირისპირების ადგილად იქცეს. ამ ფუნქციას მეოცე საუკუნეში ევროპა ასრულებდა. მართლაც, სწრაფი ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ ჩინეთის სამხედრო პოტენციალის მნიშვნელოვანმა მოდერნიზაციამ არა მარტო შეერთებული შტატები, არამედ იაპონია, სამხრეთი კორეა, ვიეტნამი და სხვა აზიური სახელმწიფოები შეაშფოთა. ასევე, ეკონომიკურმა ბუმმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში „შავ ოქროზე“ დიდი მოთხოვნა გააჩინა. სწრაფმა აღმავლობამ აზიურ გიგანტს ნავთობის იმპორტის მკვეთრი გაზრდისაკენაც უბიძგა. ენერგომომარაგება ოცდამეერთე საუკუნის მსოფლიოში კონფლიქტის წარმოშობის კიდევ ერთი პოტენციური წყაროა. იმ დროს, როცა ლიბერალები ჩინეთის ეკონომიკურ აღმასვლას დადებით მოვლენად აფასებენ, რეალისტების აზრით, მკვეთრი ეკონომიკური წინსვლა პოლიტიკურ სარბიელზე ახალი ზესახელმწიფოს გამოსვლას განაპირობებს, რომელიც მეზობელი ქვეყნების ინტერესებსა და ამერიკის შეერთებული შტატების გეოპოლიტიკურ ჰეგემონიას მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში აღუდგება წინ. ტაივანის წინააღმდეგ დაწყებული ლოკალური

ომი უარყოფით შთაბეჭდილებას მოახდენდა ლიბერალებზე, რომლებიც გლობალიზაციას მშვიდობის გარანტორად მიიჩნევენ. მეოცე საუკუნის დასაწყისში გაჩაღებულმა პირველმა მსოფლიო ომმა გლობალური ტენდენციების გავრცელება რამდენიმე ათწლეულით გადაავადა.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფართომასშტაბიან ომს, შეიძლება წარმოვიდგინოთ ის სხვა გარემოებები რამაც შეიძლება გლობალიზაციის შესუსტება ან მისი სრული კრახი გამოიწვიოს. ეს გარემოებები შეიძლება უკავშირდებოდეს უსაფრთხოების საკითხებს, წამყვან განვითარებულ ქვეყნებში გლობალიზაციის მხარდამჭერთა თანდათანობით შემცირებას ან ბოლოდროინდელი გლობალური ეკონომიკური კრიზისის გამწვავებას.

1. *უსაფრთხოების ფაქტორები.* 2001 წლის 11 სექტემბერის ტერორისტული აქტის შემდეგ საზღვრების უსაფრთხოებას ახალი პრიორიტეტი მიანიჭეს. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევდა შეერთებული შტატების პორტებში შემოტანილი ტვირთი. ყოველწლიურად ჩვენი ქვეყნის პორტებში დაახლოებით შვიდი ათას ხუთასი გემი შედის, რომელთა ანგარიშზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში წარმოებული საქონლით დატვირთული ექვს მილიონზე მეტი კონტეინერი მოდის.[43] ზოგიერთის თქმით, სავსებით შესაძლებელია, რომ ერთ მშვენიერ დღეს რომელიმე მათგანში მასობრივი განადგურების იარაღი აღმოჩნდეს. ამ ეტაპზე კონტეინერების შემოწმების პროცენტული მაჩვენებელი ძალიან დაბალია. ყურადღების მოდუნებისათვის მაღალი ფასის გადახდა მოგვიწევს. საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და საერთაშორისო ვაჭრობის შორის, რომელიც გარკვეული სენსიტიურობით გამოირჩევა, ბალანსი უნდა დავიცვათ. ზემოთქმულის მიუხედავად, თუ კიდევ ერთი სანახაობრივი ტერორისტული თავდასხმა განხორციელდება აშშ-ში საიდუმლოდ შემოტანილი ბირთვული იარაღით, უკვე ადვილი წარმოსადგენი იქნება უსაფრთხოების რეკალიბრაცია, რომელიც ეწინააღმდეგება სავაჭრო კომპრომის, რომელსაც გლობალიზაციის პროცესის შემცირებაც კი ძალუძს.

   ასეთმა კომპრომისმა ჩვენ თვალწინ 2006 წელს გაიელვა, როდესაც არაბთა გაერთიანებული საამიროების მთავრობის კუთვნილმა ერთ-ერთმა უმსხვილესმა საპორტო ოპერატორმა „დუბაი ფორთს ვორლდმა“ (Dubai Ports World (DPW) ამერიკის შეერთებული შტატების რამდენიმე მთავარი საპორტო ობიექტის მმართველი ბრიტანული კომპანია შეიძინა. იმ დროს, როცა ამ გარიგების მომხრეები, მათ შორის ბუშის ადმინისტრაცია DPW-ის საქმიანობის ამსახველ გრძელ ნუსხაზე მიუთითებდა, კრიტიკოსების განსაკუთრებულ შეშფოთებას ის ფაქტი იწვევდა, რომ პორტის მენეჯმენტს „დუბაი ფორთს ვორლდი“ განახორციელებდა. კონგრესმენთა კრიტიკის ქარცეცხლში მოქცეულმა DPW-მა აშშ-ის პორტების საკონტროლი პაკეტი ერთ ამერიკულ კომპანიას მიყიდა. ხსენებული გარიგების მხარდამჭერთა მტკიცებით, ამ ეპიზოდმა ცუდი სიგნალი გაუგზავნა მთელ მსოფლიოს. მომხდარმა ფაქტმა შეერთებული შტატების ინტერესებზე უარყოფითად იმოქმედა და უცხოელი ინვესტორების თვალში არასანდო პარტნიორად წარმოაჩინა.

2. *ცვალებადი ურთიერთობები.* ტერორისტული აქტით გამოწვეული გლობალური პროცესების მკვეთრი ცვლილების კვალდაკვალ, არანაკლებ საფრთხედ წამყვან ქვეყნებში გლობალიზაციის მომხრეთა შემცირებას მიიჩნევენ. აზიიდან მომდინარე ახალმა გამოწვევამ, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების ფაქტორებს უკავშირდება, გლობალიზაციის წინააღმდეგ ამერიკისა და ევროპის შიდა პოლიტიკურ

ძალებში შეიძლება გადაჯგუფება გამოიწვიოს. წლების მანძილზე მრავალი კრიტიკოსი ფიქრობდა, რომ გლობალიზაცია წარმოადგენდა პოლიტიკური და ეკონომიკური წესრიგის ერთობლიობას, რომელიც დანარჩენი მსოფლიოს ხარჯზე განვითარებული ქვეყნების ინტერესებს ემსახურებოდა. მართლაც, მსოფლიო ყველაზე მდიდარი და ძლევამოსილი სახელმწიფო ამერიკის შეერთებული შტატები წლების განმავლობაში გლობალიზაციის პროპაგანდას ეწეოდა.

ბოლო წლების შეერთებულ შტატებში გლობალიზაციის შესახებ საზოგადოებრივი განწყობა სარძნობლად შეიცვალა. 1999-2004 წლების შუალედში გლობალიზაციით მოხიბლული ამერიკელების რიცხვი 53 პროცენტიდან 40 პროცენტამდე დაეცა.[44] გლობალიზაციისადმი ამერიკელთა ასეთი დამოკიდებულება უზარმაზარმა სავაჭრო დეფიციტმა, სამუშაო ადგილების შემცირებამ, გაზრდილმა არალეგალურმა ემიგრაციულმა ტალღამ და ტერორიზმისადმი შიშმა განაპირობა. 2014 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეფიციტი საქონელში შვიდას ოცდაჩვიდმეტ მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა. აქედან სამას ორმოცდასამი მილიარდი აშშ დოლარი (*ან 46 პროცენტი*) ჩინეთთან ორმხრივი ვაჭრობის დეფიციტით იყო გამოწვეული.[45] ამიტომ გასაკვირი არ არის, როდესაც ჩინელთა 89 პროცენტი ფიქრობდა, რომ საერთაშორისო ვაჭრობა და საქმიანი კავშირები მათ ქვეყანას სარგებელს აძლევდა, 67 პროცენტი კი თვლიდა, რომ ვაჭრობამ სამუშაო ადგილების შექმნაში მნშივნელოვანი როლი შეასრულა. ამერიკელი რესპოდენტების მხოლოდ 68 პროცენტს მიაჩნდა, რომ საქონლის ბრუნვასა და ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობა შეერთებულ შტატებს სარგებელს მოუტანადა, 20 პროცენტი კი სამუშაო ადგილების შექნის წინაპირობად ვაჭრობას ასახელებდა. ვაჭრობის სარგებლიანობის თაობაზე ამერიკელთა სკეპტიციზმს სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნების – იაპონია, იტალია და საფრანგეთი – მოქალაქეებიც იზიარებენ.[46]

როდესაც ამერიკელებს მსოფლიოში ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული სახელმწიფოს დასახელება თხოვეს, 41 პროცენტმა ჩინეთისაკენ გაიშვირა ხელი, 38 პროცენტი კი ეკონომიკურ მეხამრიდად კვლავ შეერთებულ შტატებს მიიჩნევდა.[47] ამის თვალსაჩინო მაგალითია 2015 წელს ჩინეთის კონტროლირებული აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის (Asian Infrastructure Investment Bank (AIIB) გახსნა. ფიქრობდნენ, რომ AIIB-ი შეერთებული შტატების მართულ მსოფლიო ბანკს კონკურენციას გაუწევდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, ის ფაქტი, რომ აშშ-ის მოკავშირე გერმანიამ და დიდმა ბრიტანეთმა, ამერიკელთა წინააღმდეგობის მიუხედავად, აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს გაწევრიანების სურვილით მიმართეს. ყოველივე ზემთქმულის მიუხედავად, ჩინეთი კვლავინდებურად ღარიბი ქვეყანაა. 2013 წელს მისი მთლიანი შიდა პროდუქტი (GDP) ერთ სულ მოსახლეზე 6,807 აშშ დოლარით განისაზღვრებოდა (*იმ დროს, როცა შეერთებულ შტატებში ეს მაჩვენებელი 53,042 აშშ დოლარს უტოლდებოდა*). როგორც უნდა იყოს, ჩსრ-ის დომინირებულ მდგომარეობაზე გავრცელებული შეხედულებები მეტისმეტად გაზვიადებულია და ნაადრევი.[48] შეერთებულ შტატებსა და მთელ მსოფლიოში ჩინეთის სიძლიერის შესახებ არსებული წარმოდგენები, ასევე აშშ-ის შედარებითი დასუსტება, თავის მხრივ, ძირს უთხრის ამერიკის გლობალიზაციისადმი მხარდაჭერას.

3. *მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი.* გლობალიზაციის შესახებ გავრცელებული შეხედულების ცვლას მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა

დაუდო სათავე. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დაწყებული სწრაფი ეკონომიკური განვითარების შეჩერებამ 1929 წლის საბირჟო კრახი გამოიწვია, რასაც გლობალური ეკონომიკური დეპრესია მოჰყვა. მთავრობებმა პროტექციონისტული ღონისძიებების გატარება დაიწყეს. 1930 წელს ხელმოწერილმა სმუტ-ჰოულის სატარიფო კანონმა (Smoot–Hawley Tariff Act) წარმოებულ საქონელზე ამერიკული ტარიფები თითქმის 60 პროცენტით გაზარდა, რამაც იმპორტის მკვეთრი შემცირება განაპირობა. ვალში არც სავაჭრო პარტნიორები დარჩენენ, რომლებმაც საპასუხო ზომები მიიღეს.

2008 წელს დაწყებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში აღმოცენებული მსოფლიო ეკონომიკის მდგრადობას უდიდესი საფრთხე შეუქმნა. პრობლემას სათავე დაუდო აშშ-ის საფინანსო ინსტიტუტების მიერ მაღალი რისკის მქონე მსესხებლებისათვის გაცემულმა იპოთეკურმა სესხებმა. ამ უკანასკნელებმა უძრავ ქონებაზე ფასის დაცემისა და რეგულირებადი იპოთეკური სესხების საზღაურის ზრდის გამო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის პირობები ვეღარ შეასრულეს. დეფოლტმა ამერიკის შეერთებული შტატების მთელ ეკონომიკაზე პოვა გამოძახილი, რადგან ბანკებმა სესხების გაცემა შეამცირეს. ქვეყნის ბევრ მხარეში უძრავ ქონებაზე ფასების დაცემამ სახლების მეპატრონეთა ჯიბეზე უარყოფითად იმოქმედა. ელექტროენერგიაზე მკვეთრად გაიზარდა ფასები, მეპატრონეებს კი ხარჯების შემცირება მოუწიათ. ეს პრობლემები მხოლოდ აშშ-ის ეკონომიკას არ შეხებია. საზღვარგარეთული ბანკები ამერიკელი მსესხებლებისათვის მიცემული სუბსტანდარტული სესხების დიდ ნაწილს ფლობდნენ. უფრო მეტიც, შეერთებულ შტატებში მომხდარ ნებისმიერ რეცესიას გავლენა უნდა მოეხდინა სხვა ქვეყნების ეკონომიკებზე, რომლებიც ამერიკელ მომხმარებლებზე იყო დამოკიდებული.

ეკონომიური კრიზისის აღმოსაფხვრელად კონკრეტული ნაბიჯები გადიდგა. პირველი, შეერთებულმა შტატებმა და სხვა ქვეყნებმა კრიზისში მყოფი საფინანსო ინსტიტუტების გადასარჩენად ტრილიონობით დოლარი გაიღეს. მეორე, აშშ-ის მეთაურობით მრავალმა ქვეყანამ ეკონომიკური აქტივობის წასახალისებლად მასშტაბური პროგრამები განახორციელა. ბარაკ ობამას სტიმულირების გეგმას, ოფიციალურად ამერიკის განახლებისა და რეინვესტიციის აქტი (American Recovery and Reinvestment Act of 2009), აშშ-ის ეკონომიკა თითქმის რვაასი მილიარდი აშშ დოლარით უნდა წაეხალისებინა.[49] მესამე, ზოგიერთი სახელმწიფო, მათ შორის შეერთებული შტატები საფინანსო ინსტიტუტებთან დაკავშირებით განიხილავდა ახალ რეგულაციებს, რომლებიც მომავალში მსგავსი კრიზისების პრევენციას შეუწყობდა ხელს.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, 2015 წლის დასაწყისის მდგომარეობით, მსოფლიო ეკონომიკას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ჭრილობები მოშუშებული. სუსტი ეკონომიკური ზრდა, უმუშევრობის მაღალი დონე, დეფლაციის შიში და მრავალ ქვეყანაში სახელმწიფო ვალის არამდგრადი რაოდენობა იმაზე მიუთითებდნენ, რომ ევროკავშირში კვლავ ეკონომიკური არასტაბილურობა სუფევდა. მიმდინარე მოვლენებმა ევროპის მრავალ ქვეყანაში მოქმედი მემარჯვენე თუ მემარცხენე პოლიტიკური მოძრაობები გლობალიზაციის, განსაკუთრებით კი ევროკავშირის პროექტისადმი უნდობლად განაწყო. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უმუშევრობის შემცირების კუთხით გარკვეულ წარმატებას მიაღწია. შესაბამისად, 2013 და 2014 წლებში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 3.1 და 2.4 პროცენტი შეადგინა.[50] აღმასვლის

ფონზე ხელფასები არ გაზრდილა, საშემოსავლო უთანასწორობა კი კვლავინდებურად რეკორდულ ნიშნულს აღწევდა. 2015 წლისათვის ჩინეთის ეკონომიკაც სუსტი ტემპებით ვითარდებოდა. დეფლაციამ და ვაჭრობის მოცულობის შემცირებამ ჩინელთა შეშფოთება გამოიწვია იმასთან დაკავშირებით თუ როგორ გაუმკლავდებოდა ქვეყანა მსოფლიოში შექმნილ ახალ მდგომარეობასა და შესაძლო ტალღოვან შედეგებს მსოფლიო ეკონომიკასთან მიმართებით.[51]

2008 წლის კრიზისის დროს გამოვლენილი რამდენიმე პროტექციონისტული ქმედების მიუხედავად, სავაჭრო ომები, რაც 1930-იან წლებს მოგაგონებდათ, არ დაწყებულა.

დღესდღეობით მსოფლიოში საერთაშორისო ვაჭრობის წესების გაცილებით რთული სისტემა მოქმედებს. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას პროტექციონისტული პოლიტიკის აღკვეთა ევალება, უკანონო პროტექციონიზმის წინააღმდეგ მის მიერ გადადგმული ნაბიჯები დიდი ეფექტურობითა და მოქნილობით ვერ დაიკვეხნის (*იხ. თეორია პრაქტიკაში* 7.1). 1930-იანი წლების მსოფლიო კრიზისის დროს მსო გლობალურ პროტექციონისტულ პოლიტიკას ალბათ ვერ გამკლავებოდა.

მართლაც, გლობალიზაციის ზოგიერთი მხარდამჭერის მტკიცებით, „გლობალიზაცია ძალიან შორს წავიდა“. მათი შეხედულებით, მსოფლიო ეკონომიკის მეტისმეტი დერეგულირება საერთაშორისო უთანასწორობის ზრდასა და კიდევ ერთი ფინანსური კრიზისის აღმოცენებას შეუწყობს ხელს.[52] 2015 წელს გამოთქმული არაერთი შემაშფოთებელი მოსაზრების თანახმად, ჩვენ კვლავ 2008 წლის კრიზისის – სუსტი რეგულაციები, გადაჭარბებული ფინანსური სპეკულაცია, მზარდი ვალები – გამომწვევ შეცდომებს ვიმეორებთ, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება კიდევ უფრო უარეს შედეგებამდე მიგვიყვანოს, ვიდრე ეს იყო 2008 წელს.

დასკვნა

1960 წელს „აი ბი ემ კორპორეიშენის“ (IBM Corporation) წარმომადგენელმა განაცხადა: „ბიზნესშედეგების საზღვრები, რომელიც ერთ სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოსგან ანცალკევებს, ნაკლებად რეალურია, ვიდრე ეკვატორი... ისინი არც საქმიან მოთხოვნებს და არც მომხმარებლების ტენდენციებს არ განსაზღვრავენ... მსოფლიო დიდი ხანია რაც იზოლირებულ მომხმარებელთა ჯგუფს აღარ წარმოადგენს... ის ერთიანი ბაზარია. მსოფლიო პოლიტიკური სტრუქტურები აბსოლუტურად მოძველებულია. მათ, სულ ცოტა, ბოლო ასი წლის განმავლობაში ცვლილება არ განუცდიათ. სამწუხაროდ, ვერც თანამედროვე ტექნოლოგიებს უწყობენ ფეხს. დღესდღეობით მნიშვნელოვანი საკითხი გახლავთ რესურსების საყოველთაო ოპტიმიზაციასა და ეროვნულ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის შორის ძიების კონცეფტუალური კონფლიქტი“.[53]

ნახევარი საუკუნის წინ წარმოთქმული ეს სიტყვები გამართლდა. მათ წინასწარ განჭვრიტეს, რომ გვიანი მეოცე საუკუნის გლობალური ტენდენციები ძირითადად 1648 წლის ვესტფალიის ზავის დადებისა და ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბების დღიდან წარმოშობილ საერთაშორისო პოლიტიკურ წესრიგს დაუპირისპირდებოდნენ.

ლიბერალებმა, რეალისტებმა და ნეო-მარქსისტებმა „აი ბი ემის“ წარმომადგენელის სიტყვებს თავისებური ახსნა მოუძებნეს. ყველაზე ოპტიმისტურად განწყობილი თანამედროვე ლიბერალი კომერსანტების პროგნოზით, ეკონომიკა და ტექნოლოგიები მოწინავე პოზიციებს დაიკავებენ. ამ უკანასკნელთა შეხედულებით, სუვერენული სახელმწიფოები, მათი ვიწრო ინტერესები, მათი სწრაფვა ხელი შეუშალონ ბაზრების ეფექტურ ფუნქციონირებასა და საკუთარი ინტერესების დასაცავად ომის წამოწყების

სურვილი წარსულს ჩაბარდება. მოკლედ რომ ვთქვათ, ლიბერალების წარმოდგენაში გლობალიზაცია მსოფლიო პროცესების განვითარების შესაბამისად იცვლება.

ლიბერალებისგან განსხვავებით, რეალისტები იტყვიან, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები ყოველთვის სახელმწიფო ინტერესებს ემსახურება. ვაჭრობა და გლობალიზაცია მაშინ გაშლიან ფრთებს, როდესაც წამყვანი სახელმწიფოები მათში საკუთარ ინტერესებს დაინახავენ. წინააღმდეგ შეთხვევაში, გლობალიზაცია მთლიანად შეიცვლება. რეალისტების რწმენით, უსაფრთხოება ეკონომიკურ კეთილდღეობაზე მაღლა დგას, ეროვნული ეკონომიკის განვითარება უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე მსოფლიო ეკონომიკის. სამხედრო ძლიერება კი ყველა დანარჩენ სფეროს აღემატება. ნეო-მარქსისტების თქმით, „აი ბი ემის“ წარმომადგენლის სიტყვები კაპიტალისტების კლასობრივ ინტერესებს გამოხატავს, განსაკუთრებით კი მათ დაუოკებელ სწრაფვას, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს მუშახელისა და სარგებლის მიღების მიზნით მისი რესურსების ექსპლუატაციაზე დაწესებული პოლიტიკური შეზღუდვების მოხსნასთან.

არაერთი მიმომხილველის თქმით, რეალობა ამ ხედვების ნაზავს წარმოდგენს. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაცია და ურთიერთკავშირები ბოლო ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ასევე, კონკრეტული გამოწვევების მიუხედავად, გლობალიზაციას სუვერენული სახელმწიფოები და სამხედრო ძალა არ ჩაუნაცვლებია, ხოლო ეროვნული, კლასობრივი და ცალკეული ინტერესები მსოფლიო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ტენდენციების გავლენის ქვეშაა. ის, რაზეც მიმომხილველები ვერ თანხდებიან გახლავთ ამ გლობალური ძალების ტრაექტორია და განფენილობა, სადაც მუდმივად ტრანსფორმირდებიან იმისდა მიხედვით თუ როგორ ოპერირებს მსოფლიო.

საკითხების მიმოხილვა

- არაერთი ადამიანის აზრით, ბრეტონ ვუდსის სისტემამ მსოფლიო ეკონომიკას ლიბერალური ელფერი შესძინა. ლიბერალებისგან განსხვავებით რა ახსნას მოუძებნიდნენ რეალისტები და ნეო-მარქსისტები ბრეტონ ვუდსის კონფერენციაზე დაარსებული ინსტიტუტების არსსა და მიზნებს?
- რა გავლენას ახდენს გლობალიზაცია გეოპოლიტიკურ პროცესებზე? თქვენი აზრით, გლობალიზაცია რეალისტური პარადიგმის ვარაუდებს ხომ არ ასუსტებს?
- თქვენი აზრით, გლობალიზაცია დადებითი თუ უარყოფითი მოვლენაა? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

საკვანძო ტერმინები

ნეომერკანტილიზმი
თამაში ნულოვანი ჯამით
პროტექციონიზმი
ტარიფი
არატარიფული ბარიერები
კვოტა
სუბსიდიები
მეზობლის გაკოტრება
შეფარდებითი უპირატესობა
აბსოლუტური უპირატესობა
ალტერნატიული დანახარჯები
ავტრკია
წაუგებელი თამაში (*ან თამაში დადებითი ჯამით*)
იმპერიალიზმი
დამოკიდებულების თეორია
ბრეტონ ვუდსის სისტემა
ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება
მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია
არადისკრიმინაცია
ყველაზე სასურველი სახელმწიფო
მოტივტივე გაცვლითი კურსის სისტემა
მუდმივი/მყარი გაცვლითი კურსის სისტემა
საგადამხდელო ბალანსი
საერთაშორისო სავალუტო ფონდი
სტრუქტურული რეგულირების პროგრამები
ვაშინგტონის კონსენსუსი
მსოფლიო ბანკი
ათასწლეულის განვითარების მიზნები
იმპორტის ჩამნაცვლებელი ინდუსტრიალიზაცია
ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია
მონტერეის კონსენსუსი
ახლად აღმოცენებული მრეწველობის პროტექციონიზმი
თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება
საბაჟო კავშირი
ეკონომიკური კავშირი
ზეეროვნული ორგანიზაცია
ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობა
გლობალიზაცია
მრავალნაციონალური კორპორაცია
აუთსორსინგი
ოფშორინგი
ურთიერთკავშირი

ჩამოტანილი შენიშვნები

1. Thomas Friedman, *The Lexus and the Olive Tree* (Farrar, Straus and Giroux, 1999), xviii.
2. See, for example, David Rieff, "Globalization 2.0," *New York Times Magazine*, March 26, 2006.
3. Cited in Dani Rodrik, "Symposium on Globalization in Perspective: An Introduction," *Journal of Economic Perspectives* 12:4 (1998): 3.
4. N. Gregory Mankiw, *Principles of Economics*, 3rd ed. (South-Western, 2003), ch. 3.
5. International Monetary Fund, "IMF Members' Quotas and Voting Power, and IMF Board of Governors," April 17, 2015, https://www.imf.org/external/np/sec/memdir/members.aspx#C.
6. International Monetary Fund, "IMF Members' Quotas and Voting Power."
7. Note that three additional institutions—the International Finance Corporation (IFC), the Multilateral Investment Guarantee Agency (MIGA), and the International Centre for Settlement of Investment Disputes (ICSID)—are also closely associated with the bank and constitute the larger "World Bank Group."
8. Jeffrey D. Sachs, *The End of Poverty: Economic Possibilities for Our Time* (Penguin, 2005).
9. William Easterly, "The Utopian Nightmare," *Foreign Policy*, September/October 2005, 58–64.
10. William Easterly, "The Utopian Nightmare."
11. William Easterly, "The West Can't Save Africa," *Washington Post*, February 13, 2006, http://www.washingtonpost.com. Also see William Easterly, *The White Man's Burden* (Penguin, 2006).
12. For the full list of selection indicators, see Millennium Challenge Corporation, "Selection Indicators," http://www.mcc.gov/mcc/selection/indicators/index.shtml.
13. World Bank, "World Bank Reforms Voting Power, Gets $86 Billion Boost," April 25, 2010, http://web.worldbank.org.
14. Edwin M. Truman, "IMF Governance Reform: Unfinished Business for the 113th Congress," Peterson Institute for International Economics, November 12, 2014, http://blogs.piie.com/realtime/?p=4607.
15. "ODA from Major Economies Stable at $135 Billion," *UN Tribune*, April 8, 2015, http://untribune.com/oda-from-major-economies-stable-at-135-billion/.
16. Stan Abrams, "Ebook Readers and China's Infant Industry Argument," http://www.chinahearsay.com/ebook-readers-china-infant-industry-argument/.
17. Europa (official EU website), "Facts and Figures: The Economy," http://europa.eu/about-eu/facts-figures/economy/index_en.htm.
18. Europa, "Facts and Figures: The Economy."
19. Eurostat, "Real GDP Growth Rate," http://ec.europa.eu/eurostat/tgm/table.do?tab=table&init=1&language=en&pcode=tec00115&plugin=1.
20. IMF, *World Economic Outlook 2015*, p. 51, http://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2015/01/.
21. Office of the US Trade Representative, "Trade Facts," March 2006,; M. Angeles Villarreal and Ian F. Fergusson, "NAFTA at 20: Overview and Trade Effects," *Congressional Research Service*, April 28, 2014 https://fas.org/sgp/crs/row/R42965.pdf, p. 10
22. Villarreal and Fergusson, "NAFTA at 20," p. 10.
23. Villarreal and Fergusson, "NAFTA at 20," p. 14.
24. Quote attributed to the *Economist* magazine by Nayan Chanda, "What Is Globalization?" *Yale Global Online*, November 19, 2002, http://yaleglobal.yale.edu.
25. Friedman, *The Lexus and the Olive Tree,* ch. 7.
26. See Robert Gilpin, *US Power and the Multinational Corporation* (Basic Books, 1975).
27. Jagdish Bhagwati, *In Defense of Globalization* (Oxford University Press, 2004), 64.
28. *Human Development Report 2005*, UN Development Programme, http://hdr.undp.org.
29. World Bank, *World Development Indicators 2015*, http://data.worldbank.org/products/wdi.
30. *Human Development Report 2005*, 19.
31. Data on China in this paragraph are from C. Fred Bergsten et al., *China: The Balance Sheet* (Public Affairs, 2006), 18.
32. "Towards the End of Poverty," *The Economist,* June 1, 2013, http://www.economist.com/news/leaders/21578665-nearly-1-billion-people-have-been-taken-out-extreme-poverty-20-years-world-should-aim.
33. Thomas Friedman, "Senseless in Seattle," *New York Times*, December 1, 1999, http://www.nytimes.com.
34. *Africa's Pulse,* April 2013, World Bank, pp. 14–15, http://www.worldbank.org/content/dam/Worldbank/document/Africa/Report/Africas-Pulse-brochure_Vol7.pdf.
35. Colin Gordon, "Income Share of Top 1 Percent: 1912–2012," Center for Economic and Policy

Research, September 30, 2013, http://www.cepr.net/index.php/graphic-economics/graphic-economics/income-share-of-the-top-1-percent-1913-2012-annotated.
36. *Human Development Report 2005*, 30–31.
37. Peter Singer, *One World: The Ethics of Globalization* (Yale University Press, 2002), 57.
38. "Measuring Globalization," *Foreign Policy*, May/June 2005, 59.
39. Pascal Lamy, "Humanizing Globalization," speech given in Santiago, Chile, January 30, 2006, http://www.wto.org.
40. Pascal Lamy, "Toward Global Governance," Master of Public Affairs inaugural lecture at the Institut d'Etudes Politiques de Paris, October 21, 2005, http://www.wto.org.
41. Jeremy N. Smith, "The Father of Europe," *Great Moments in World Trade*, http://www.worldtrademag-digital.com.
42. Thomas Friedman, *The World Is Flat* (Farrar, Straus and Giroux, 2005), 423.
43. David Eberhart, "Container Ships: The Next Terrorist Weapon," *Newsmax*, April 15, 2002, http://www.newsmax.com.
44. Public Opinion on International Affairs, "America and the World: Globalization," http://www.americans-world.org.
45. US Census Bureau, https://www.census.gov/foreign-trade/statistics/historical/gands.pdf.
46. "Faith and Skepticism about Trade, Foreign Investment." Pew Research Center, September 16, 2014, http://www.pewglobal.org/files/2014/09/Pew-Research-Center-Trade-Report-FINAL-September-16-2014.pdf.
47. Pew Research Center, "22-Nation Global Attitudes Survey," June 17, 2010, p. 41, http://pewglobal.org/.
48. The World Bank, http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD.
49. See the US government's official website "Recovery.gov" to track stimulus spending at http://www.recovery.gov/Pages/home.aspx.
50. US Department of Commerce, Bureau of Economic Analysis, https://www.bea.gov/newsreleases/national/gdp/gdpnewsrelease.htm.
51. "China Walks a Tightrope as Its Growth Rate Declines," *Wall Street Journal*, January 20, 2015, http://www.wsj.com/articles/china-walks-a-tightrope-as-its-growth-rate-declines-1421776903.
52. See for example, Dani Rodrik, *The Globalization Paradox* (Oxford University Press, 2012). Also see his earlier book, *Has Globalization Gone Too Far?* (Institute for International Economics, 1997).
53. Cited in Richard J. Barnet and Ronald E. Muller, *Global Reach: The Power of the Multinational Corporations* (Simon & Schuster, 1975), 14, 19.

თავი 8

ტრანსნაციონალური გამოწვევები

სახელმწიფო სისტემა წნეხის ქვეშ

კანადური ყინულმჭრელი ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში. კლიმატის ცვლილების გამო არქტიკის ოკეანე მიმზიდველი ხდება იმ კონკურენტი სახელმწიფოების სატვირთო და სამხედრო გემებისთვის, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ ამ რეგიონში არსებულ რესურსებზე. თქვენი აზრით, დაინტერესებული მხარეები მიაღწევენ კლიმატის ცვლილებისა და არქტიკის მართვის თაობაზე ერთობლივ გადაწყვეტილებებს თუ ამ პრობლემების გამო წარმოშობილი დაძაბულობა და კონფლიქტური სიტუაცია სხვა ფორმებით გაგრძელდება? როგორ პროგნოზს შემოგვთავაზებდა საერთაშორისო ურთიერთობის სხვადასხვა პარადიგმა?

სწავლების მიზნები

8-1 შეადარეთ და განასხვავეთ ეროვნული უსაფრთხოებისა და ადამიანის უსაფრთხოების კონცეფციები.

8-2 განმარტეთ რა სახის გამოწვევის წინაშე აყენებენ ტრანსნაციონალური ეკოლოგიური პრობლემები სუვერენულ სახელმწიფოებს და შეაფასეთ როგორ უმკლავდებიან სახელმწიფოები ამ გამოწვევას სამი საპასუხო ღონისძიებით, რომლებიც წინამდებარე თავშია განხილული.

8-3 განმარტეთ რა სახის საფრთხეს უქმნიან ინფექციური დაავადებები სახელმწიფო სისტემის არსებობას და იმსჯელეთ რა როლი მიუძღვის გლობალიზაციას ამ პრობლემის მასშტაბურობაში.

8-4 განმარტეთ რა საფრთხეს უქმნის ინტერნეტი სახელმწიფოს სუვერენიტეტს და როგორ რეაგირებენ სახელმწიფოები ამ საფრთხეებზე.

ცივი ომის ეპოქაში, ისევე როგორც ბოლო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, მსოფლიო პოლიტიკური ველი სახელმწიფოთა სისხლიანი დაპირისპირების ადგილს წარმოადგენდა. ტერიტორიების, ხალხების, სიმდიდრისა თუ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად განსაკუთრებულ მონდომებას წამყვანი სახელმწიფოები იჩენდნენ. უსაფრთხოებისა და ადამიანთა სიცოცხლის შენარჩუნება ძირითადად გამარჯვებული მხარის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. ფასეული ქონების მიტაცების ყველაზე ეფექტურ საშუალებად სამხედრო გზა მიიჩნეოდა. ამის მიუხედავად, მრავალი მეცნიერი ოცდამეერთე საუკუნის ძირითად გამოწვევებად არა მეზობელი სახელმწიფოების საჯარისო შეანერთებს, არამედ ტრანსნაციონალური (*ან რასაც მერიან კუზიმანო* (Maryann Cusimano) *მოსწრებულად უწოდებს „ტრანს-სუვერენულს“*) პრობლემების – გარემოს დაბინძურება, არალეგალური იმიგრაცია, ინფექციური დაავადებები, ნარკოტიკების კონტრაბანდა და ტერორიზმი – ერთობლიობას ასახელებს.[1] ეს გამოწვევები ძირს უთხრიან სახელმწიფო სუვერენიტეტის იდეასა და მსოფლიოს მართვასთან დაკავშირებულ რეალისტურ შეხედულებებს. ამ აზრს ლიბერალები, კონსტრუქტივისტები, ფემინისტები და ნეომარქსისტებიც გაიზიარებენ.

თუმცა, რეალისტი სტივენ კრასნერის (Stephen Krasner) თქმით, ეს პრობლემები არც სახელმწიფოს სუვერენიტეტს უქმნიან საფრთხეს და არც მსოფლიოს მართვასთან დაკავშირებულ ტრადიციულ რეალისტურ შეხედულებებს. მისი აზრით, ზემოაღნიშნულ გლობალურ პრობლემებზე სახელმწიფოები მოხერხებულად რეაგირებენ. კრასნერი შენიშნავს, რომ „სახელმწიფოებს გადარჩენის ძლიერი ინსტინქტი გააჩნიათ. ხოლო ისინი, ვინც ხმამაღლა საუბრობენ სუვერენიტეტის სიკვდილზე არასწორად აღიქვამენ ისტორიას“.[2] როგორც უნდა იყოს, ეროვნული უსაფრთხოებისა და სახელმწიფოს შეფარდებითი ძალისადმი გამოვლენილი ინტერესი საერთაშორისო ურთიერთობების მამოძრავებელ ძალად დარჩება.

გლობალური გამოწვევების სპექტრი საკმაოდ ფართოა. წინამდებარე თავში სამი პრობლემის შესახებ ვისაუბრებთ. ესენია – მსოფლიო ეკოლოგიური საკითხები, ჯანდაცვა და ინფექციური დაავადებები და ინტერნეტში თავმოყრილი ინფორმაცია. თითოეული საკითხის აღწერისას, პირველ რიგში შევეხებით არსებულ პრობლემას, შემდეგ კი შევაფასებთ თუ როგორ, რა მეთოდებით უმკლავდებიან სუვერენული სახელმწიფოები ამ პრობლემებს. ეს ანალიზი ამ თითოეული პრობლემის არსში გაგარკვევთ და მსოფლიოს მართვასთან დაკავშირებით გამართული დებატების დროს თქვენი შეხედულებების აღქმის საშუალებას მოგცემთ. თუმცა, ჯერ უნდა გავეცნოთ თეორიულ საკითხებს, რომელთა შესახებაც მიდის საუბარი.

ეროვნული უსაფრთხოებიდან ადამიანის უსაფრთხოებამდე

8-1 შეადარეთ და განასხვავეთ ეროვნული უსაფრთხოებისა და ადამიანის უსაფრთხოების კონცეფციები.

ყველაზე გამოუსწორებელი რეალისტიც კი აღიარებს საერთაშორისო პრობლემების – გარემოს დაბინძურება, ინფექციური დაავადებები ან საერთაშორისო დანაშაულებრივი ორგანიზაციები – არსებობას. იყო რეალისტი არ ნიშნავს იმას, რომ გლობალური დათბობისადმი ან ერთერთი გავრცელებული დაავადებისადმი – შეძენილი იმუნური დეფიციტის სინდრომი (*შიდსი*) – ინდიფერენტული დამოკიდებულებას ავლენდე. მსოფლიოს მართვასთან დაკავშირებული რამდენიმე ფუნდამენტური შეხედულების გადახედვასთან დაკავშირებით, რეალისტებსა და მათ კრიტიკოსებს შორის გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

პირველი, რეალისტთა რწმენით, სახელმწიფოთა წინაშე მდგარი საფრთხეები და გამოწვევები, რომლებიც სხვა სახელმწიფოებისგან მომდინარეობს, ძირითადად სამხედრო ხასიათს ატარებენ. ამის მიუხედავად, არაერთი მეცნიერი, მათ შორის კუზიმანო, ამტკიცებს, რომ ახალ გლობალურ გამოწვევებს როგორებიცაა: გარემოს დაბინძურება და შიდსი – არაფერი აქვს საერთო სახელმწიფოსა თუ სამხედრო აგრესიასთან. ამ პრობლემების წყარო არიან არასახელმწიფოებრივი აქტორები, რომლებიც მხოლოდ საკუთარი ინტერესების დაცვაზე ზრუნავენ. ეს ახალი ტრანსნაციონალური ძალები სახელმწიფოთა ინტერესებსა და საზღვრებს არაფრად აგდებენ. თუ ბოლოდროინდელი მსოფლიო ტენდენციების გათვალისწინებით ვიმსჯელებთ, სახელმწიფოები მათი სუვერენიტეტის დამრღვევ უცხოურ არმიებს უფრო გაუმკლავდებიან, ვიდრე ამ გამოწვევებს.

მეორე, ეროვნული ინტერესების დაცვასთან დაკავშირებული ტრადიციული რეალისტური მიდგომის თანახმად, სახელმწიფო მხოლოდ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების იმედად უნდა იყოს და განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა უთმობდეს სამხედრო ძლიერების ზრდას. კრიტიკოსების აზრით კი, მარტო მოქმედი სახელმწიფოები ამ საფრთხეებზე ადეკვატურ რეაგირებას ვერ მოახდენენ, რადგან ისინი უგულებელყოფენ სუვერენული საზღვრის ცნებას და მათ აღმოსაფხვრელად ერთობლივი ნაბიჯებია გადასადგმელი. რაც შეეხება სამხედრო ძლიერებას, ერთი რამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეკოლოგიური დაბინძურებისა თუ ინფექციური დაავადებების წინაშე ტანკები და ქვემეხები უძლური არიან.

მესამე, სახელმწიფოს მართვის ხელოვნებისა თუ საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვა და ეროვნული უსაფრთხოებისთვის ხელის შეწყობა. თუმცა, რეალიზმის კრიტიკოსთა რწმენით, ეს ახალი ტრანსნაციონალური გამოწვევები არა მხოლოდ ეროვნული სუვერენიტეტის გაუქმების აუცილებლობაზე მიუთითებენ, არამედ ყურადღებას ამახვილებენ როგორც ეროვნული უსაფრთხოების, ასევე **ადამიანის უსაფრთხოების (Human Security)** ცნებაზე. ეს ახალი კონცეფცია კონცენტრირებულია პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიური და ეკოლოგიური საფრთხეების წინაშე მდგარი ადამიანების უსაფრთხოებაზე (*იხ. დიაგრამა* 8.1).

ადამიანის უსაფრთხოება – *შეხედულება, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიური თუ ეკოლოგიური საფრთხეების წინაშე მდგარი ადამიანების უსაფრთხოების დაცვას. იგი უპირისპირდება სახელმწიფოზე ორიენტირებული „ეროვნული უსაფრთხოების“ იდეას.*

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (*გაერო*) 1994 წლის ჰუმანური განვითარების ანგარიშში (Human Development Report) ადამიანის უსაფრთხოების იდეას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა. ამ მოხსენებაში ნათქვამია, რომ უსაფრთხოების ტრადიციული ცნება, რომელიც განმარტებულია როგორც „საზღვრებს გარედან მომდინარე აგრესიის დროს ტერიტორიების უსაფრთხოება ან საგარეო პოლიტიკაში ეროვნული ინტერესების დაცვა“, ძალიან შეზღუდულია, რადგან იგი უგულებელყოფს „კანონიერ ინტერესებს რიგითი ადამიანებისა, რომლებიც ყოველდღიურობაში უსაფრთხო გარემოს შექმნას ცდილობდნენ“ და გაურბოდნენ დანაშაულებრივ ქმედებებს, შიმშილს, ავადმყოფობასა თუ ეკოლოგიურ საფრთხეებს.[3]

სკეპტიკოსების რწმენით, ადამიანის უსაფრთხოების იდეა ძალიან ბუნდოვანია იმისთვის, რათა საერთაშორისო ურთიერთობების თეორეტიკოსებისა და პოლიტიკოსებისთვის სასარგებლო იარაღის ფუნქცია შეიძინოს. როგორც უნდა იყოს, „ადამიანის უსაფრთხოების“ ცნება მიეკუთვნება არა მხოლოდ გლობალური პრობლემების ჩამონათვალს, არამედ მსოფლიო პოლიტიკის მამოძრავებელი ძალის ახლებური გააზრებისკენაც გვიბიძგებს. ამ ცნებამ, რომელიც რეალიზმის თეორიულ გამოწვევად იქცა, მსოფლიოს მართვასთან დაკავშირებული ახალი პერსპექტივის ფუნქციაც შეითავსა. ეკოლოგიური დაბინძურების, ინფექციური დაავადებებისა და ინტერნეტის შესახებ დაწვრილებით მომდევნო გვერდებზე ვისაუბრებთ.

დიაგრამა 8.1 ორი მიდგომა უსაფრთხოებისადმი



საერთაშორისო გარემო

8-2 განმარტეთ რა სახის გამოწვევის წინაშე აყენებენ ტრანსნაციონალური ეკოლოგიური პრობლემები სუვერენულ სახელმწიფოებს და შეაფასეთ როგორ უმკლავდებიან სახელმწიფოები ამ გამოწვევას სამი საპასუხო ღონისძიებით, რომლებიც წინამდებარე თავშია განხილული.

1798 წელს თომას მალთუსმა გამოაქვეყნა თავისი ცნობილი წიგნი „ცდა ხალხთმოსახლეობის ზრდის კანონის შესახებ“ (Malthus, Thomas. An Essay on the Principle of Population). ინგლისელი მეცნიერის თქმით, მოსახლეობის ზრდის ტემპებს მხოლოდ ომი, ავადმყოფობა, შიმშილი და ზნეობრივი შეზღუდვები თუ შეაჩერებდა. დღესდღეობით **მალთუსიანელის (Malthusian)** იარლიყი შეიძლება მიაწებონ ნებისმიერ ადამიანს, რომელიც მიაჩნია, რომ მსოფლიოში არსებული შეზღუდული რესურსები არასაკმარისია მსოფლიო მოსახელობისთვის. თანამედროვე მალთუსიანელები ანვითარებენ ორ ურთიერთდაკავშირებულ შეხედულებას: პირველი, მზარდი მოთხოვნილება შეზღუდულ რესურსებზე – ენერგია, მინერალები და მტკნარი წყალი – ბადებს სერიოზულ კითხვებს მომავალში მათ მოპოვებასთან დაკავშირებით. მეორე, ამ რესურსების ყოველდღიური ექსპლუატაცია ამცირებს დედამიწის ხარისხიანობას.

მალთუსიანელი – *თომას მალთუსის იდეების მიმდევარი ადამიანი. თანამედროვე მალთუსიანელების მტკიცებით, ჩვენ შეზღუდული რესურსების მქონე მსოფლიოში ვცხოვრობთ.*

მალთუსიანელთა პრობლემებში გასარკვევად უმჯობესია გამოვყოთ საქონლის ოთხი განსხვავებული ტიპი, რომლებსაც ადამიანები რეგულარულად მოიხმარენ. ესენია: ინდივიდუალური მოხმარების საქონელი, საზოგადოებრივი საქონელი, საერთო რესურსები და ბუნებრივი მონოპოლიები. ისინი ერთმანეთისგან ორი პარამეტრით განსხვავდებიან. პირველი, არიან კი ისინი გამორიცხვადი – მოკლედ რომ ვთქვათ, რამდენად შესაძლებელია აუკრძალო ადამიანებს მათი მოიხმარება? მეორე, არიან კი ისინი ერთმანეთის კონკურენტები – მოკლედ რომ ვთქვათ, ხომ არ ზღუდავს ერთი ადამიანის მიერ ამ საქონლის მოხმარება სხვების უფლებას მათ სარგებლობაზე?

დიაგრამა 8.2 საქონლის ოთხი ტიპი

	გამორიცხვადი	არა გამორიცხვადი
კონკურენტული	**ინდივიდუალური მოხმარების საქონელი** (*საკვები, ტანსაცმელი, ავტომობილები*)	**საერთო რესურსები** (*მეთევზეობა, ჭის წყალი*)
არაკონკურენტული	**ბუნებრივი მონოპოლიები** (*საკაბელო ტელევიზია*)	საზოგადოებრივი საქონელი (*ვიკიპედია, საზოგადოებრივი რადიო*)

ინდივიდუალური მოხმარების საქონელი (*მაგ. პიცა*) შეიძლება იყოს როგორც გამორიცხვადი ასევე კონკურენტული. ადამიანებს, რომლებსაც ჯიბეზე ხელის გაკვრა არ სურთ პიცას ვერ შეჭამენ, ასეთ შემთხვევაში იგი კონკურენტულია. როდესაც მე პიცის თხელ ნაჭერს გეახლებით ეს იმაზე მიუთითებს, რომ იგი მხოლოდ ჩემთვისაა ხელმისაწვდომი. ინდივიდუალური მოხმარების საქონლის საპირისპირო ცნებაა **საზოგადოებრივი საქონელი (Public good)**, რომელიც არის როგორც არაგამორიცხვადი, ასევე არაკონკურენტული. ამის ნათელი მაგალითია „ვიკიპედია“. მიუხედავად იმისა, აფინანსებთ თუ არა „ვიკიპედიას“ პერიოდულ ფანდრაიზინგულ კამპანიებს, თქვენ მას მაინც მოიხმართ. ხოლო თქვენ მიერ ამ ვებგვერდით სარგებლობა სხვა მომხმარებელებს შეზღუდვებს არ უწესებს. რასაც ვერ ვიტყვით **ფრი რაიდერის პრობლემაზე (free-rider problem ან *უბილეთო მგზავრის ეფექტი*)**. ფრი რაიდერი გახლავთ ადამიანი, რომელიც სარგებლობს კონკრეტული პროდუქტით ან საზოგადოებრივი მომსახურებით, თუმცა თავს არიდებს მათი გამოყენებისათვის დაწესებული საფასურის გადახდას. საქონლის შემდეგი ორი ტიპი გახლავთ ბუნებრივი მონოპოლიები, რომელიც არის გამორიცხვადი, მაგრამ არაკონკურენტული (*მაგ. საკაბელო ტელევიზია*) და **საერთო რესურსები (Common pool resource)**, რომელიც კონკურენტულია, მაგრამ არაგამორიცხვადია (*მაგ. საოკეანო თევზჭერა*). საერთო რესურსების ინტენსიური ექსპლუატაცია პირდაპირ დაკავშირებულია **საერთო რესურების ტრაგედიასთან (Tragedy of the commons)**. ამ ტერმინის ავტორობა ამერიკელ ეკოლოგისტ გერიტ ჰარდინს (Garrett Hardin) მიეწერება. საერთო რესურსებს (*მაგ. მეთევზეობა*) ბოროტად იყენებენ, უხეშად არღვევენ მათი მოპოვება/მოხმარების წესებსა და ნორმებს, რომელთა დაცვაზე არავინაა პასუხისმგებელი.[4]

საერთაშორისო ეკოლოგიური პოლიტიკა საერთო რესურსებსა და საზოგადოებრივ საქონელთანაა დაკავშირებული. მაგალითად, საერთაშორისო წყლებში გაჩაღებული საოკეანო თევზჭერა ან არსებული ნავთობსაბადოები საერთო რესურსების (*არაგამორიცხვადი, თუმცა კონკურენტული*) ნათელი მაგალითია. ამ მოცემულობაში ბუნებრივი რესურსების უდიდესი ნაწილი შეზღუდული და კონკურენტულია. შეიძლება ვინმე ისინი საერთო რესურსებათაც კი მიიჩნიოს. „გლობალური საზოგადოებრივი საქონლის“ კონცეფცია ინტენსიურად გამოიყენებოდა გასულ ათწლეულებში. ეს კონცეფცია სუფთა გარემოს ან ინფექციური დაავადებების ერადიკაციის შესახებ გამართული საუბრების დროსაც ფიგურირებდა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის თანახმად, „საზოგადოებრივი საქონელის მოხმარებამ გლობალური სახე მიიღო და ამ ბენეფიტებს ქვეყნები ეფექტურად იყენებენ“.[5] ადამიანების მსგავსად შეიძლება ქვეყნებიც იყვნენ ფრი რაიდერები. ამგვარად, მთავარი გლობალური ეკოლოგიური გამოწვევის

საზოგადოებრივი საქონელი – *საქონელი ან მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება, რომელთა ბენეფიტები თავისუფლად ხელმისაწვდომია ყველასათვის გამონაკლისის გარდა.*

ფრი რაიდერის პრობლემა – *ადამიანი, რომელიც სარგებლობს კონკრეტული პროდუქტით ან საზოგადოებრივი მომსახურებით, თუმცა თავს არიდებს მათი გამოყენებისათვის დაწესებული საფასურის გადახდას.*

საერთო რესურსები – *საქონელი ან მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება, რომელიც გამორიცხვადი არ გახლავთ, თუმცა მისი მიწოდება შეზღუდულია. ამგვარად, კონკრეტული ადამიანის მიერ რესურსების მოხმარება, სხვა ადამიანებს სარგებლობის შესაძლებლობას უზღუდავს.*

საერთო რესურების ტრაგედია – *გერიტ ჰარდინის პოპულარიზებული კონცეფცია, რომლის თანახმადაც საერთო რესურსებს ბოროტად იყენებენ, ხოლო მათ დაცვაზე არავინაა პასუხისმგებელი.*

არსი მდგომარეობს შემდეგში: საერთო რესურების ტრაგედიისა თუ ფრი რაიდერის პრობლემის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ახასიათებს საერთო რესურსებსა და გლობალურ საზოგადოებრივ საქონელს, კონკრეტული საშუალებები უნდა გამოინახოს. ამ გამოწვევის ნათელსაყოფად ყურადღებას გავამახვილებთ ორ ძირითად და ურთიერთდაკავშირებულ საკითხზე – ენერგია და კლიმატის ცვლილება.

ენერგეტიკული გამოწვევა

ეკონომიკური ზრდისა და ადამიანის მატერიალური კეთილდღეობისთვის ენერგია ყველა სხვა რესურსთან შედარებით გაცილებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ადამიანის საქმიანობის ყველა ასპექტი, მათ შორის საკვების წარმოება, მრეწველობა, ტრანსპორტირება და კომუნიკაციები ენერგიის საიმედო წყაროებზეა დამოკიდებული. ინდუსტრიული ეპოქის დაწყების დღიდანვე ქვანახშირი, ბუნებრივი გაზი და ნავთობი ეკონომიკური აღორძინების საქმეში მთავარ როლს ასრულებენ. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ქვანახშირს მოიხმარდნენ, სახელმწიფოები და სამრეწველო გიგანტები მეოცე საუკუნეში ძირითადად ნავთობს ანიჭებდნენ უპირატესობას. ქვანახშირთან შედარებით ნავთობის ტრანსპორტირება ნაკლებ ძალისხმევას მოითხოვდა, იყო შედარებით იაფი და წვის ხარისხითაც გამოირჩეოდა. ყველაფერთან ერთად ატმოსფეროც ნაკლებად ბინძურდებოდა. ბენზინზე მომუშავე ავტომობილებისა და შიდაწვის ძრავების რაოდენობის ზრდამ, მსოფლიო საზოგადოების ნავთობზე დამოკიდებულება კიდევ უფრო დააჩქარა. მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულებში ნავთობმა ეკონომიკური განვითარების კუთხით ლოკომოტივის ფუნქცია იტვირთა.

მსოფლიოს ენერგიით დაკმაყოფილება ოცდამეერთე საუკუნის ერთ-ერთი მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. შეერთებული შტატების მთავრობის მონაცემებით, 1980-2012 წლების შუალედში მსოფლიოში ენერგიის მოხმარება თითქმის გაორმაგდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ შეერთებულ შტატებს, კანადას, ევროპასა და იაპონიას, იმავე პერიოდში დანარჩენი მსოფლიოს მიერ ენერგიის მოხმარების მაჩვენებელი ოთხას ორმოცდაათი პროცენტით გაიზარდა.[6] ჩინეთსა და სხვა განვითარებად ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკური ბუმი დიდი რაოდენობით ენერგიას საჭიროებს. 1980-2012 წლებში ჩინეთმა ენერგიის მოხმარება ექვსასი პროცენტით გაზარდა. 2012 წლისათვის ჩინეთი მსოფლიო ენერგორესურსების ოც პროცენტს მოიხმარდა.[7]

იმ დროს, როცა მასზე მოთხოვნილება იზრდება, ზოგიერთი თანამედროვე მალთუსიანელი შეშფოთებას გამოხატავს ენერგორესურსების, განსაკუთრებით კი ნავთობის სამომავლო მარაგებზე. ზოგიერთი ექსპერტით განცხადებით, მსოფლიო უახლოვდება **ნავთობის პიკს (Peak Oil)** – ამ დროს მთელ მსოფლიოში ნავთობის მოპოვება/წარმოება თავის პიკს აღწევს, შემდეგ კი შემცირება იწყება. ნავთობის თანდათანობითი შემცირება მსოფლიო ენერგოეკონომიკაში სპეკულაციური პანიკის პროვოცირებასა და ნავთობის ფასების ზრდას გამოიწვევს. რამდენიმე ადამიანის პროგნოზს თუ ვერწმუნებით, ნავთობის მოპოვება თავის პიკის რამდენიმე წელში მიაღწევს. შეერთებული შტატების გეოლოგიური სამსახურის (United States Geological Survey (USGS) – ამერიკული სამეცნიერო-კვლევითი სამთავრობო ორგანიზაცია – თაოსნობით მსოფლიო ენერგორესურსების შესახებ ჩატარებული ერთ-ერთი კვლევის თანახმად, ნავთობის პიკს ამ საუკუნის შუა პერიოდამდე არ უნდა ველოდოთ.[8]

ნავთობის პიკი – *ამ დროს მთელ მსოფლიოში ნავთობის მოპოვება/წარმოება თავის პიკს აღწევს, შემდეგ კი შემცირება იწყება.*

2014 წელს მთელ მსოფლიოში ნავთობის ფასების შემცირებამ ნავთობის პიკის ირგვლივ განვითარებული უსიამოვნებები მეტნაკლებად

ჩააცხრო, რადგან მრავალი მიმომხილველი მალთუსიანელთა პესიმიზმის ანტიდოტად სწორედ ახალ ტექნოლოგიებს (*მაგ. ფრეკინგი*) მიიჩნევს. გაცილებით ოპტიმისტური გეგმების განვითარების შემთხვევაშიც კი შეშფოთების საგანს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მსოფლიოს ყველაზე ნაყოფიერი ნავთობსაბადოების დიდი ნაწილი პოლიტიკურად არასტაბილურ რეგიონებში მდებარეობს. 2014 წელს ენერგეტიკის საინფორმაციო ადმინისტრაციის (Energy Information Administration (EIA) საანგარიშო მოხსენების თანახმად, ნავთობის მსოფლიო მარაგები სულ მცირე მომდევნო ოცდახუთი წლის განმავლობაში საკმარისი იქნება. ამ ანგარიშში ასევე მითითებულია, რომ ასეთი პროგნოზები არასაიმედოა და გეოპოლიტიკური მოვლენების აბსანსის შემთხვევაში შეიძლება მიწოდება შემცირდეს.[9] ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში პოლიტიკურად არასტაბილურ რვა სახელმწიფოში (*საუდის არაბეთი, კუვეიტი, არაბთა გაერთიანებული ემირატები, კატარი, ირანი, ერაყი, ლიბია, ნიგერია*) დამტკიცებული მსოფლიო ნავთობმარაგების დაახლოებით სამოცდაცხრა პროცენტი იყო თავმოყრილი. ამის გარდა, რუსეთსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რამდენიმე ქვეყანაში არსებული დამტკიცებული მსოფლიო ნავთობმარაგების შვიდი მთელი ოთხი მეათედი პროცენტი, ასევე ვენესუელას ნავთობრეზერვების კიდევ ერთი შვიდი მთელი ოთხი მეათედი პროცენტი მიუთითებს, რომ გლობალური ნავთობრესურსების ოთხმოც პროცენტზე მეტი სწორედ პოლიტიკურად არასტაბილურ ქვეყნებშია თავმოყრილი.[10]

ბოლო წლებში ნავთობის მარაგებისა და ფასების არასტაბილურობის მიზეზები პოლიტიკურ ჭრილში უნდა განვიხილოთ. 1970-იანი წლებში პირველი უდიდესი ნავთობკრიზისი, რომელმაც მსოფლიო ეკონომიკაზე უარყოფითად იმოქმედა, **ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაციის (Organization of Petroleum Exporting Countries (OPEC)** მიერ ხელოვნურად გაზრდილმა ნავთობის ფასებმა გამოიწვია. ოპეკმა, რომლის რიგებში ძირითადად ახლო აღმოსავლეთსა და სპარსეთის ყურეში მდებარე ნავთობმომპოვებელი ქვეყნები არიან გაერთიანებული, თავის წევრ-სახელმწიფოებს საწარმოო კვოტები დაუწესა. მათ მიერ ნავთობის წარმოებისა და ექსპორტის შემცირებამ ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების შემოსავლებისა და მთელ მსოფლიოში ნავთობის ფასის ზრდას შეუწყო ხელი. 1979 წელს საბჭოთა კავშირის ავღანეთში შეჭრამ და ირანის ისლამურმა რევოლუციამ პოლიტიკური მოტივებით ინსპირირებული მეორე ნავთობკრიზისი გამოიწვია. ამ ათწლეულის დასასრულს სპარსეთის ყურეში მოპოვებული ერთი ბარელი ნავთობის ფასმა, რომლის შეძენა 1970-იანი წლების დასაწყისში მხოლოდ რამდენიმე აშშ დოლარად თუ იყო შესაძლებელი, ორმოც აშშ დოლარამდე მიაღწია.

ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია – *ძირითადად ახლო აღმოსავლეთსა და სპარსეთის ყურეში მდებარე ნავთობის მომპოვებელი/მწარმოებელი ქვეყნებისგან შემდგარი კარტელი, რომელიც წევრი-სახელმწიფოებისთვის დაწესებული საწარმოო კვოტების მეშვეობით მსოფლიო ნავთობის ფასისა და მიწოდების გაკონტროლებას ცდილობს.*

ოცდამეერთე საუკუნის საწყის ეტაპზე ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და გეოლოგიურმა ფაქტორებმა ნავთობის ექსპორტსა და ფასებთან მიმართებაში კვლავ მიიპყრო მსოფლიოს ყურადღება. ჩინეთში ნავთობზე მოთხოვნილებამ მთელი მსოფლიოს მასშტაბით „შავი ოქროს“ მარაგებსა და ფასებზე ხანგრძლივი ზეწოლა გამოიწვია. 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებმა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბუშის ადმინისტრაციის თაოსნობით დაწყებულმა ომმა და ერაყში შეჭრამ მსოფლიოს კიდევ ერთხელ შეახსენა თუ რამდენად იყო იგი დამოკიდებული ნავთობის მხრივ პოლიტიკურად არასტაბილურ ახლო აღმოსავლეთსა და სპარსეთის ყურის რეგიონზე. 2010 წელს „ბრითიშ ფეთროლიემის“ (British Petroleum (BP) საკუთრებაში არსებულ წყალქვეშა ნავთობპლატფორმაზე, „დიფვოთარ ჰორაიზონზე“ (Deepwater Horizon), მომხდარმა აფეთქებამ და მოვლენების კოშმარულმა განვითარებამ – დიდი რაოდენობით ნავთობის ჩაღვრამ მექსიკის ყურეში – ნათლად აჩვენა, რომ დღევანდელი საზოგადოება

„სანავთობო კრიზისის“ ეპოქის ნაცვლად „საშინელი ნავთობის“ ეპოქაში ცხოვრობს, რადგან ნავთობის ახალი მარაგების მოსაპოვებლად ძნელად მისადგომი და ეკოლოგიურად სენსიტიური ადგილების გაბურღვა დგას დღის წესრიგში.

კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პრობლემა

1995 წელს ბილ კლინტონმა ჩინელ კოლეგასთან, ცზიან ცემინთან (Jiang Zemin), საინტერესო მოლაპარაკება გამართა. „ნიუ-იორკ თაიმსის“ (New York Times) მიმომხილველ თომას ფრიდმანთან ინტერვიუში თეთრი სახლის მთავარმა ბინადარმა ამ მოლაპარაკების შესახებ საინტერესო დეტალები გააჟღერა. კერძოდ, ჩსრ-ის ხელმძღვანელი ჩინეთთან მიმართებაში აშშ-ის დამოკიდებულებითა და მიზნებით დაინტერესდა. კლინტონის პასუხმა ცზიან ცემინი განაცვიფრა, რადგან აშშ-ის ორმოცდამეორე პრეზიდენტმა ჩინეთიდან მომდინარე ყველაზე მთავარ პრობლემად ამ ქვეყნის სამხედრო ძლიერება ან ტაივანის მიმართ გატარებული პოლიტიკა კი არ დაასახელა, არამედ ჩინელთა სწრაფვა გამდიდრებისკენ. კლინტონმა საუბარში ასევე აღნიშნა, რომ ამ ქვეყანაში მოძრავი მილიარდზე მეტი ავტომობილიდან გამოყოფილი სათბურის აირები ეკოლოგიური კატასტროფის წინაპირობას ქმნიდნენ.[11]

ეკოლოგიური პრობლემა ძირითადად ნამარხი საწვავის გამონაბოლქვითაა გამოწვეული. ჰაერში გამოფრქვეული ნამწვავი კი, თავის მხრივ, ჰაერის ხარისხის გაუარესებსა და კლიმატის ცვლილებას უწყობს ხელს. მეცნიერთა დიდი ნაწილის აზრით, კლიმატის ცვლილებას სწორედ ნამარხი საწვავის წვა უწყობს ხელს. ენერგეტიკული პრობლემის თაობაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც მეტი ნავთობის, აირისა თუ ქვანახშირის მოპოვება/მოხმარებას ითვალისწინებს მიზნად, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაამწვავებს ამ პრობლემას.

კლიმატის ცვლილება – დედამიწის კლიმატის ნებისმიერი ხანგრძლივი ალტერაცია, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი ფაქტორებით, ადამიანის ქმედებებით ან მათი ერთობლიობით.

გლობალური დათბობა – დედამიწის ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის ზრდა, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი ფაქტორებით, ადამიანის ქმედებებით ან მათი ერთობლივი მოქმედებებით.

კლიმატის ცვლილება (Climate Change) აიხსნება დედამიწის კლიმატის ნებისმიერი ხანგრძლივი ალტერაციით, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი ფაქტორებით, ადამიანის ქმედებებით ან მათი ერთობლიობით. დღესდღეობით კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ მთავარ პრობლემას **გლობალური დათბობა (Global Warming)** წარმოადგენს. ექსპერტები ვერ თანხმდებიან ამ პრობლემის კონკრეტულ ასპექტებზე: მომავალში რა ნიშნულს მიაღწევს ტემპერატურა, რამდენად მძიმე შედეგებს მოიტანს გლობალური დათბობა და რა დრო დასჭირდება ყველაფერ ამას. ამის მიუხედავად, მეცნიერთა შორის რამდენიმე საბაზისო საკითხზე კონსენსუსი მაინც არსებობს.

პირველი, დედამიწაზე ტემპერატურის მატებასთან დაკავშირებით მეცნიერთა დიდ ნაწილში ერთსულობა სუფევს. შეერთებული შტატების გარემოს დაცვის სააგენტოს (US Environmental Protection Agency (EPA) რწმუნებით, 1901-2013 წლების შუალედში დედამიწის მიწისპირა ტემპერატურა საშუალოდ, ყოველ ათწლეულში, 0.15° ფარენჰაიტით (0.15°F) იზრდებოდა. ამ პერიოდში ტემპერატურა დაახლოებით 1.65° ფარენჰაიტით (1.65°F) გაიზარდა. მას შემდეგ რაც ტემპერტურის თერმომეტრით გაზომვა დაიწყეს, 2001-2010 წლები სითბოს ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა.[12] გარდა ამისა EPA-ში ფიქრობენ, რომ ოცდამეერთე საუკუნეში დათბობის ტემპი კიდევ უფრო აჩქარდება და 2100 წლისათვის საშუალო ტემპერატურა 2–11.5 ფარენჰაიტს (2–11.5°F) მიაღწევს.[13] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (*გაერო*) თაოსნობით დაარსებულმა კლიმატის ცვლილების სამთავრობათშორისო ექსპერტთა ჯგუფმა (Intergovernmental Panel on Climate Change (IPCC) 2013 წელს განაცხადა:

„კლიმატური სისტემის გლობალური დათბობა რეალურ პრობლემას წარმოადგენს. ბოლო სამი ათწლეული უფრო თბილი იყო, ვიდრე ნებისმიერი გასული დეკადა 1850 წლიდან მოყოლებული. 1983-2012 წლების ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, ბოლო ათას ოთხასი წლის მანძილზე, სავარაუდოდ, ყველაზე თბილი პერიოდი დაფიქსირდა“.[14]

მეორე, მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ გლობალური დათბობა მხოლოდ ბუნებრივი ფაქტორებით არ არის გამოწვეული. ამ შეხედულებას იზიარებს კლიმატის ცვლილების სამთავრობათშორისო ექსპერტთა ჯგუფიც, რომელსაც მიიჩნია, რომ 1951-2010 წლების შუალედში მიწისპირა ტემპერატურის ზრდას „დიდი ალბათობით“ ადამიანებმაც შეუწყეს ხელი და კლიმატის ცვლილების ანთროპოგენური პირველმიზეზების დამადასტურებელი ფაქტები დროთა განმავლობაში კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა.[15] მაგალითად, საწვავის გამონაბოლქვი და ტყეების მასიური გაჩეხვა გლობალურ დათბობას უწყობენ ხელს. მოხმარებული ნამარხი საწვავი, ასევე საწარმოების მიერ გამოფრქვეული ნახშირორჟანგი, მეთანი თუ სხვა სახის სათბურის აირები ჩვენს ატმოსფეროში სითბოს აკავებენ. თუმცა, დედამიწაზე სითბოს შესანარჩუნებლად ასეთი აირების გარკვეული რაოდენობით მოხმარება საჭიროცაა და ამავდროულად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანიც. ბოლო ორი საუკუნის მანძილზე სამრეწველო რევოლუციამ ასეთი აირების გამოყენების საკითხი დააყენა დღის წესრიგში. ეს ტენდენცია კიდევ უფრო გააძლიერა დეფორესტიზაციამ. ხეებისა და მცენარეების შემცირებამ, რომლებიც, თავის მხრივ, ნახშირონჟანგს შთანთქავენ, კლიმატზე უარყოფითად იმოქმედა.

მესამე, კლიმატური პირობების კიდევ უფრო გაუარესების შემთხვევაში ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დადგება. მაგალითად, მყინვარებისა და პოლარული ქუდების დნობის პროცესი, რომელიც უკვე დაიწყო, ზღვის დონის ამაღლებას, შესაძლო წყალდიდობებსა და სანაპირო ტერიტორიების დატბორვას გამოიწვევს. გლობალურმა დათბობამ შეიძლება სოფლის მეურნეობის სტრუქტურაც კი შეცვალოს. კერძოდ, თუ დედამიწის ერთ ნაწილში მოსავლიანობის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდება, მეორე ნაწილში აუტანელი სიცხე და გვალვა ყველაფერს გაანადგურებს. გლობალურმა დათბობამ შესაძლოა კლიმატთან მიმართებაში მგრძნობიარე დაავადებების გავრცელებაზეც მოახდინოს გავლენა. ამ დაავადებებს მწერები გაავრცელებენ.[16] ზოგიერთი ადამიანი ამ შედეგებს დამღუპველად მიიჩნევს, თუმცა მოიძებნებიან ისეთებიც, რომლებიც ფაქტების შეფასებისას სიფრთხილეს იჩენენ და მავანთა ისტერიულ შეფასებებს არ იზიარებენ. ამავდროულად, თითქმის ყველა მიმომხილველს სჯერა, რომ გლობალური დათბობის კონტროლიდან გასვლის შემთხვევაში მოსალოდნელი არასასურველი შედეგების თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანი პოტენციალი არსებობს.

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული კონსენსუსი 2009 წლის მიწურულს კრიტიკის ქარცეცხლში მას შემდეგ მოექცა, როდესაც ერთი ცნობილი ბრიტანული უნივერსიტეტის სერვერზე განთავსებული ასობით ელექტრონული წერილი და სამეცნიერო დოკუმენტები ჰაკერების ხელში აღმოჩნდა. როგორც ამ წერილებიდან გაირკვა, კონკრეტული ჯგუფები კლიმატის ცვლილების საკითხისადმი სკეპტიკურად განწყობილ ადამიანებთან ბრძოლის სტრატეგიას განიხილავდნენ, დასცინოდნენ მათ მოსაზრებებს და, რაც, ალბათ ყველაზე ამორალურია, ტემპერატურის ვარდნასთან დაკავშირებული ზოგიერთი ბოლოდროიდენლი მტკიცებულების მისაჩქმალავად, სტატისტიკური „ხრიკების“ გამოყენების მეთოდებზე მსჯელობდნენ.[17] იმ დროს, როცა ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მტკიცებით ეს ელექტრონული წერილები კლიმატის ცვლილების შესახებ

საზოგადოებაში გაბატონებულ მოსაზრებას ძირს უთხრიან, მეცნიერთა უმეტესობა ირწმუნება, რომ მათი რამდენიმე კოლეგის საეჭვო ქცევის მიუხედავად, არსებობს უამრავი ფაქტი, რომლებიც კლიმატის ცვლილებით გამოწვეული საფრთხის რეალობასა და სერიოზულობაზე მიუთითებენ.

ნავთობის დეფიციტისა და კლიმატის ცვლილების კვალდაკვალ მსოფლიო საზოგადოება სხვა გამოწვევების წინაშეც დგას. ზოგიერთი მიმომხილველის თქმით, დედამიწის ზოგიერთ ნაწილში წყლის ნაკლებობა შეინიშნება, რაც უახლოეს მომავალში ძალზე ცუდ შედეგებს გამოიღებს და საყოველთაო შეშფოთების საგანი გახდება. გარემოს დაბინძურება, სმოგი, ტბებისა და ნაკადულების დეგრადაცია და მჟავა წვიმა ადამიანის ჯანმრთელობაზე, ეკონომიკასა და ცხოვრების პირობებზე უარყოფითად მოქმედებს.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ყველა ეს ეკოლოგიური გამოწვევა სუვერენული საზღვრების მნიშვნელობას უგულებელყოფს. მაგალითად, ქალაქ დეტროიტში განთავსებული ქარხნებიდან წამოსული დაბინძურება კანადის საზღვარზე მჟავა წვიმის მოსვლას უზრუნველყოფს; ინდოეთში ენერგიის მოხმარების ზრდა შეერთებულ შტატებში ნავთობის ფასის ზრდას უწყობს ხელს; ქვანახშირზე მომუშავე ახალი ქარხნები, რომლებიც ჩინეთში სწრაფი ტემპებით (*კვირაში ერთი*) შენდება, გაზრდის სათბურის აირების ემისიას, რამაც სავსებით შესაძლებელია, რომ გლობალურ დათბობასთან დაკავშირებით ევროკავშირის მცდელობები წყალში ჩაყაროს. 2006 წელს ჩინეთის ქარხნებიდან წამოსული „აზიური ყავისფერი ღრუბელი“ კორეის ნახევარკუნძულს დასტრიალებდა თავს, შემდეგ კი წყნარი ოკეანის მიმართულებით გადაინაცვლა. მეცნიერებმა აშშ-ის ტერიტორიაზე ამ ღრუბლის გადაადგილების თვალყურის სადევნებლად ამერიკული ხელოვნური თანამგზავრი დაიხმარეს. მასზე ჩატარებულმა დაკვირვებამ ცხადყო, რომ დაბინძურებების ზრდის ტემპი კიბოს, გულის დაავადებებსა და რესპირატორულ ავადმყოფობებს იწვევდა. ერთ-ერთმა მეცნიერმა აღმოაჩინა, რომ აღმოსავლეთი კალიფორნიის მთებში დაბინძურების გასაზომად განლაგებული ფილტრები ძალიან გაშავებულიყო.[18] 2008 წელს დიდი შეშფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ჰაერის დაბინძურება უარყოფითად იმოქმედებდა პეკინის ოლიმპიადაზე მონაწილე სპორტსმენების ჯანმრთელობასა და აქტივობაზე. ოლიმპიური თამაშების მიმდინარეობისას ჩინეთის დედაქალაქში ბოლო წლებთან შედარებით ჰაერის ხარისხის მაჩვენებელი დადებით ნიშნულს უტოლდებოდა, რადგან ოლიმპიადის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე ჩსრ-ის მთავრობამ დროებით დახურა მრავალი ფაბრიკა-ქარხანა და ავტომობილებზე გარკვეული შეზღუდვები დააწესა. 2012 წელს ჩატარებულმა კვლევამ ნათლად აჩვენა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიმართულებით მოძრავი აზიური ყავისფერი ღრუბლი 2024 წლისათვის ამ ქვეყანაში ჰაერის ტემპერატურას 0.4° ცელსიუსით (0.72°F) გაზრდიდა.

გამოწვევების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები: მოვლენათა განვითარების სამი სცენარი

ექსპერტთა აზრით, ოცდამეერთე საუკუნეში მოვლენების შესაძლო განვითარების რამდენიმე სცენარი არსებობს. ესენია: გეოპოლიტიკური კონფლიქტი, ბაზრები და ტექნოლოგიები და ეფექტური გლობალური რეგულაციები.

გლობალური კონფლიქტი რა თქმა უნდა, რეალისტურ პარადიგმას რესურსების (*მაგ. ნავთობი*) შედარებით დეფიციტსა თუ სიუხვესთან

ან გლობალური მასშტაბით კლიმატის ცვლილების მიზეზებთან არაფერი აკავშირებს. რეალიზმი ხელს უწყობს დისკუსიას იმის შესახებ, რომ სახელმწიფოები ამ პრობლემების გადასაჭრელად საკუთარი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით იმოქმედებენ, თუნდაც მათი პოლიტიკა სხვა ქვეყნების ინტერესებთან მოდიოდეს წინააღმდეგობაში. ამგვარად, რეალისტები საერთაშორისო დაძაბულობისა და კონფლიქტის გაღრმავების კიდევ ერთ პოტენციურ წყაროდ სწორედ გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემებს მიიჩნევენ. ამ უთანხმოების ფესვები ჩვენს პლანეტაზე არსებული მწირი რესურსების ხელში ჩასაგდებად გამართულ კონკურენციაში უნდა ვეძიოთ.

მსოფლიოში მიმოფანტულ ბუნებრივ რესურსებზე კონტროლის დასამყარებლად გაჩაღებული გეოპოლიტიკური კონფლიქტები სიახლეს არ წარმოადგენს. 1941 წლის 7 დეკემბერს იაპონელებმა პერლ ჰარბორში (Pearl Harbor) შეერთებული შტატების ფლოტზე იერიში მიიტანეს. ეს თავდასხმა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ნავთობის საბადოების მიტაცების გამო ამერიკული სამხედრო-საზღვაო ძალების საპასუხო ქმედების განეიტრალებას ისახავდა მიზნად. 1990 წლის აგვისტოს დასაწყიში ერაყი კუვეიტში შეიჭრა. სადამ ჰუსეინი ამ ქვეყნის ნავთობსაბადოების დაუფლებით დიდი ფინანსური სარგებლის მიღებას იმედოვნებდა. 1991 წელს შეერთებული შტატების მეთაურობით მსოფლიო კოალიციურმა ძალებმა ერაყის სამხედრო შენაერთები კუვეიტიდან განდევნეს და ჰუსეინს განზრახვაზე ხელი ააღებინეს.

შეერთებული შტატები, იაპონია, ევროკავშირი, რუსეთი და ჩინეთი მთელ მსოფლიოში ნავთობმარაგებისა და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსებისადმი მნიშვნელოვან ინტერესს იჩენენ. პროგნოზის თანახმად, ჩინეთი, რომელიც ნავთობმწარმოებელ ქვეყნებთან პოლიტიკურ კავშირებს აქტიურად ამყარებს, 2025 წლისათვის „შავი ოქროს“ დაახლოებით სამოცდათხუთმეტ პროცენტს საზღვარგარეთიდან მიიღებს. ამასობაში, ჩინური სახელმწიფო კომპანიები ინტენსიურად აბანდებენ კაპიტალს ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში მდებარე ნავთობსაბადოებში და საიმედოდ იცავენ ნავთობის მიწოდების შესახებ გაფორმებულ გრძელვადიან კონტრაქტებს. მაგალითად, ჩინეთი სუდანის მმართველ ავტორიტარულ რეჟიმსა და ნავთობით მდიდარ ვენესუელას უცხოური სანქციებისგან აქტიურად იცავს. ჩინელებმა ამერიკისადმი მტრულად განწყობილ რეჟიმებთან არაერთი ენერგეტიკული შინაარსის ხელშეკრულება გააფორმეს. ჩსრ შეერთებულ შტატებს ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით ბრძოლაში იწვევს. პესიმისტურად განწყობილი მიმომხილველების რწმენით, შეერთებული შტატები და ჩინეთი ნავთობით მორწყულ გზაზე ერთმანეთს კონკურენციას უწევენ.

ამ ორ სახელმწიფოს შორის არსებული ინტერესთა კონფლიქტი მთელ დედამიწას მოიცავს. 2014 წლის მიწურულს ანტარქტიდასთან ახლოს მდებარე ყინულმჭრელ გემზე მყოფი ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის, სი ძინპინის, განცხადებით, ჩინეთი ამ კონტინენტის შესასწავლად ძალისხმევას არ დაიშურებს. მრავალი მიმომხილველის თქმით, ამ რეგიონისადმი გამოჩენილი ცხოველი ინტერესი, სავარაუდოდ, ხელუხლებელ რესურსებს უკავშირდება.[20] ბოლო დროს ჩატარებული ერთი კვლევის თანახმად, მთელი მსოფლიოს მასშტაბით აღმოუჩენელი ნავთობის ერთი მეოთხედი შეიძლება სწორედ არქტიკაში იყოს თავმოყრილი. ამ და სხვა მიზეზთა ერთობლიობის გამო 2014 წლის მიწურულს რუსეთის ფედერაციამ ამ რეგიონში საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვის საბაბით არქტიკული ჯარები (*ჩრდილოეთის სამხედრო ოლქი*) შექმნა. [21]

კლიმატის ცვლილებამ შეიძლება უარყოფითი გეოპოლიტიკური შედეგებიც მოიტანოს. ბოლო წლებში არქტიკის რეგიონისადმი დაინტერესება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. კერძოდ, პოლარული ყინულის დნობამ საზღვაო გზების გათავისუფლება გამოიწვია, რამაც, თავის მხრივ, არქტიკის რესურსების ათვისება გაადვილა. უფრო რომ განვაზოგადოდ, 2004 წელს შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს შიდა ანალიტიკური ცენტრის (Office of Net Assessments) გამოქვეყნებულმა საანგარიშო მოხსენებამ კლიმატის მოულოდნელ ცვლილებასთან დაკავშირებით შეშფოთება გამოიწვია. ამ მოხსენების თანახმად, სამხრეთი ნახევარსფეროს დიდ ნაწილში ტემპერატურა ყოველწლიურად 4 ფარენჰაიტით (4°F) იზრდება, ხოლო ჩრდილოეთი ნახევარსფეროს დიდ ნაწილში, მათ შორის ევროპასა და შეერთებულ შტატებში ტემპერატურის დიდი შემცირება შეინიშნება. ეს მოულოდნელი ცვლილებები გვალვის, საკვები პროდუქტების დეფიციტის, მტკნარი წყლის შემცირებისა და ენერგორესურსებისადმი მიუწვდომლობის წინაპირობას ქმნიან (*იხ. თეორია პრაქტიკაში* 8.1).

ამ მოხსენების ავტორთა განმარტებით, მათ მოვლენების შესაძლო განვითარების ყველაზე არახელსაყრელი სცენარი წარმოგვიდგინეს. ამის მიუხედავად, მასში საუბარია გეოპოლიტიკური კონფლიქტის შესახებ, რომელიც შესაძლოა კლიმატის ცვლილებამ გამოიწვიოს.

> კლიმატის უეცარი ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო შიმშილი, ავადმყოფობა თუ სტიქიური უბედურებები მრავალ ქვეყანას პრობლემებს შეუქმნის. ეს კატაკლიზმები სასოწარკვეთილების გრძნობას გააჩენენ, რაც წონასწორობის აღსადგენად, სავარაუდოდ, თავდასხმით აგრესიამდე მიგვიყვანს. წარმოიდგინეთ აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები, რომლებიც თავიანთი მოსახლეობისთვის შემცირებული საკვების, წყლისა და ენერგორესურსების მიწოდებას ცდილობენ. რაც შეეხება რუსეთს, მისი მოსახლეობა თანდათანობით მცირდება, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანას მარცვლეულის, სასარგებლო წიაღისეულისა და ენერგორესურსების დიდი მარაგი გააჩნია. იაპონია, რომლის სანაპირო ქალაქები იტბორება და მტკნარი წყლის მარაგები ბინძურდება, სახალინის კუნძულზე არსებულ ნავთობისა და ბუნებრივი აირის რეზერვებს წყლის გასამტკნარებელი ქარხნებისთვისა და ენერგოინტენსიური სოფლის მეურნეობისათვის ენერგიის წყაროდ მიიჩნევს. წარმოიდგინეთ, ბირთვული იარაღით აღჭურვილი პაკისტანი, ინდოეთი და ჩინეთი, რომლებიც დროდადრო დევნილთა გამო ერთმანეთს იარაღითაც კი უპირსიპირდებიან, საერთო მდინარეებითა და სახნავი მიწებით სარგებლობენ. თევზჭერის უფლების გამო ესპანელი და პორტუგალიელი მეთევზეების დაპირისპირებამ სავსებით შესაძლებელია, რომ საზღვაო კონფლიქტებს დაუდოს სათავე.[22]

ამ მოხსენებაში ვკითხულობთ, რომ შეერთებული შტატები სხვა ქვეყნებთან შედარებით უკეთ ართმევს თავს მოულოდნელი კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ პრობლემებს, ეს კი, თავის მხრივ, როგორც მოხსენებაშია მითითებული, უსაფრთხოების პრობლემას წარმოქმნის, რადგან იგი დევნილთა რიცხვის ზრდასა და დანარჩენი მსოფლიოს გულისწყრომას გამოიწვევს.

მოკლედ რომ ვთქვათ, რეალისტების მოლოდინი იმის შესახებ, რომ გლობალური ეკოლოგიური კრიზისი მსოფლიო საზოგადოებას ერთობლივი საპასუხო ქმედებებისკენ უბიძგებს, რბილად რომ თქვათ გულუბრყვილობაა და მეტი არაფერი. თუ პენტანგონის საანგარიშო მოხსენება მწვავე ეკოლოგიური კრიზისისას სახელმწიფოთა მოქმედებაზე მიანიშნებს, მაშინ მომავალი კარგს არაფერს გვიქადის. ამგვარად, ეკოაქტივისტებისა და

თეორია პრაქტიკაში 8.1

კლიმატის ცვლილება და დარფურის კონფლიქტი

2003 წელს დარფურის რეგიონში (*სუდანი*) დაწყებულმა ეთნიკურმა კონფლიქტმა ასი ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ორ მილიონზე მეტი კი უსახლკაროდ დატოვა. ამ სისხლისმღვრელი კონფლიქტის დროს, რომელსაც ხშირად ეთნიკური და რასისტული სიძულვილის ნიმუშად მოიხსენიებენ, ერთმანეთს არაბები და შავკანიანი აფრიკელები დაუპირისპირდნენ. ჟურნალისტ სტეფან ფარისის (Stephan Faris) განცხადებით, ამ კონფლიქტის მიზეზები და მისგან გამოწვეული გენოციდური შედეგები სავსებით შესაძლებელია, რომ გლობალურ დათბობასთან იყოს დაკავშირებული.

გავრცელებული ინფორმაციით, შავკანიანი აფრიკელი ფერმერები და ცხენებსა და აქლემებზე ამხედრებული მომთაბარე არაბები წარსულში მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. ეს უკანასკნელები თავიან საქონელს ფერმერთა კუთვნილ ტერიტორიებზე აძოვებდნენ და წყურვილს ხშირად მათი ჭებიდან იკლავდნენ. თუმცა ვითარება 1980-იანი წლებში შეიცვალა, როდესაც ეს რეგიონი გვალვამ გააჩანაგა. ბუნებრივმა კატაკლიზმებმა ფერმერებს მიწების შემოღობვისკენ უბიძგა. წარმოქმნილმა ხელოვნურმა ბარიერებმა არაბები უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა. ზოგიერთი არაბი ფერმერთა მიწების მიტაცებას ცდილობდა. 1980-იანი წლების მიწურულს ასეთი ქმედებების გასასამართლებლად რასისტულ ენას იყენებდნენ. სწორედ ამ დროს აღმოცენდნენ ჯანჯავიდები (Janjaweed) – არაბული სამხედრო შენაერთები, რომლებმაც მასობრივი მკვლელობები ჩაიდინეს.

ფიქრობენ, რომ გვალვა დაბალხარისხიანმა აგროტექნიკამ და მიწამ გამოიწვია. ფარისი იშველიებს ექსპერტთა მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს, რომლებიც მიუთითებენ, რომ გაუარესებული პირობების უმეტესობა შეიძლება დაკავშირებული იყოს ოკეანის ტემპერატურის ცვლილებასთან, რომლის გაკონტროლებაც ადგილობივი მოსახლეობისა და სუდანის მთავრობის შესაძლებლობას აღემატება. ამგვარად, დარფურის კონფლიქტი ნათლად აჩვენებს მსოფლიო პოლიტიკის აღქმასთან დაკავშირებით სახელმწიფოებრივი მიდგომის უწყვეტ მდგრადობასა და შეზღუდვებს. ეს კრიზისი კლიმატის ცვლილებამ გამოიწვია, მისი გაკონტროლება კი დღევანდელი გადასახედიდან წარმოუდგენელია. სუდანის მთავრობამ დარფურში მომხდარ ხოცვა-ჟლეტასთან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოების გამოხმაურება არაფრად ჩააგდო და საკუთარი ტერიტორიის გაკონტროლებაც თავად იკისრა. დარფურის მაგალითმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ სახელმწიფოები და საერთაშორისო საზოგადოება სუვერენიტეტს დღემდე სერიოზულად აღიქვამენ

- თქვენი აზრით, განვითარებული ქვეყნები, რომლებმაც უარყოფითი როლი შეასრულეს კლიმატის ცვლილებაში, ვალდებული არიან, რომ ღარიბ ქვეყნებს კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ სირთულეებთან გამკლავებაში დაეხმარონ?
- თქვენი აზრით, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული გლობალური პრობლემა საერთაშორისო კონფლიქტის წარმოშობას უწყობს ხელს თუ პირიქით, თანამრომლობისკენ უბიძგებს მსოფლიო საზოგადოებას? განმარტეთ მიზეზები.
- რა როლს ასრულებს დარფურის კონფლიქტი რეალისტურ პერსპექტივასთან მიმართებაში? განმარტეთ მიზეზები.

წყარო: Stephan Faris, "The Real Roots of Darfur," Atlantic Monthly, April 2007, 67-69.

სხვა ადამიანების აზრით, რომლებიც ამ პესიმისტური სცენარისათვის თავის არიდებას ცდილობენ, გლობალური თანამშრომლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნია.

გლობალური რეგულაციები როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეალისტები გლობალურ ეკოლოგიურ გამოწვევებს სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტის ერთ-ერთ პოტენციურ წყაროდ განიხილავენ, ლიბერალები და კონსტრუქტივისტები კი ერთობლივი გლობალური პრობლემების გადაჭრის მთავარ საშუალებად თანამშრომლობასა და რეგულაციებს მიიჩნევენ. სახელმწიფო შიდა ეკოლოგიური ფრირაიდინგის რეგულირების

მიზნით სავაჭრო-სამეწარმეო ფირმებს, პროდუქციის გამომშვებ საწარმოებსა და სატრანსპორტო საშუალებებს გამონაბოლქვის სტანდარტებს უწესებს. ჯარიმებისა და პატიმრობის შიშით კონკრეტულმა სუბიექტებმა საზოგადოებრივი კეთილდღეობის (*სუფთა ჰაერი*) საქმეში შეიძლება გარკვეული წვლილიც კი შეიტანონ, თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოებრივი რეგულაციები ამ გამოწვევების თავიდან ასარიდებლად საკმარისი არ არის. უფასო გლობალური საზოგადოებრივი კეთილდღეობით დროდადრო სახელმწიფოებიც სარგებლობენ. მაგალითად, ჰიპოთეზურად წარმოვიდგინოთ, რომ ბრაზილია ჰაერის დაბინძურებას აქტიურად ებრძვის, აწესებს სტანდარტებს და ა.შ. არგენტინა კი, რომელიც არაფერს აკეთებს მის თავიდან ასაცილებლად, მეზობლის მაღალი სტანდარტებით სარგებელს ნახულობს. ამ დროს არგენტინის დაბინძურებული ჰაერი უარყოფითად მოქმედებს ბრაზილიელებზე.

ბოლო წლებში გლობალური რეგულაციების კუთხით რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. 1985 წელს ქალაქ ვენაში ხელმოწერილმა საერთაშორისო გარემოსდაცვითმა ხელშეკრულებამ – „ვენის კონვენცია ოზონის შრის დაცვის შესახებ“ (Vienna Convention for the Protection of the Ozone Layer) – საფუძველი ჩაუყარა 1987 წლის **მონრეალის პროტოკოლს (Montreal Protocol)**, რომელიც, თავის მხრივ, ხმარებიდან ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების ეტაპობრივად ამოღებას ითვალისწინებდა. ოზონი დედამიწას მზის მავნე ულტრაიისფერი სხივებისგან იცავს. 2009 წლისთვის ამ პროტოკოლს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (*გაერო*) ყველა წევრი ქვეყანა შეუერთდა. 1987 წლის ხელშეკრულებამ მომდევნო ექვს შესწორებასთან ერთად მნიშვნელოვნად შეამცირა ატმოსფეროში ოზონის დამშლელი ქლოროფლორკორბონების (Chlorofluorocarbons (CFCs) რაოდენობა. გაეროს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა (Kofi Annan) ეს ხელშეკრულება დადებითად შეაფასა. [23]

მონრეალის პროტოკოლი – 1987 *წელს ხელმოწერილი შეთანხმება, რომლის თანახმადაც სახელმწიფოები ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების ხმარებიდან ამოღებას ეტაპობრივად განახორციელებდნენ.*

კიოტოს პროტოკოლი – 1997 *წელს იაპონიის ქალაქ კიოტოში ხელმონერილი ეს საერთაშორისო შეთანხმება UNFCCC-ის განახლებული ვერსიაა. ეს შეთანხმება ქვეყნის საზღვრებს შიგნით სათბურის აირების გამოფრქვევის შემცირებას ისახავდა მიზნად.*

სამწუხაროდ, ქლოროფლორკორბონები ჩაანაცვლა ჰიდროფლოროკარბონებმა (Hydrofluorocarbons (HFCs), რომლებიც კონდიციონერებსა და აეროზოლის ბალონებში გამოიყენება. ისინი ოზონის დაშლის პროცესზე უარყოფითად არ მოქმედებენ, თუმცა ხელს უწყობენ გლობალურ დათბობას. ჰიდროფლოროკარბონები დღესდღეობით აკრძალულ ქლოროფლორკორბონებთან შედარებით გაცილებით საშიშია. სათბურის აირების (Greenhouse Gases (GHGs) ჯგუფს მიკუთვნებული ჰიდროფლოროკარბონების გამოყენება 1997 წელს ხელმოწერილი **კიოტოს პროტოკოლის (Kyoto Protocol)** ძალით შემცირებას დაექვემდებარა. ეს უკანასკნელი 1992 წელს დადებული საერთაშორისო ხელშეკრულების – „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ“ (1992 United Nations Framework Convention on Climate Change (UNFCCC) – განახლებული ვერსიაა. კიოტოს პროტოკოლი სათბურის აირების გამოფრქვევის შემცირებას ისახავდა მიზნად. პროტოკოლი 2005 წელს შევიდა ძალაში, როდესაც ორმოცდათხუთმეტმა სახელმწიფომ მისი რატიფიკაცია მოახდინა. 2009 წლის 25 ნოემბრის მონაცემებით, კიოტოს პროტოკოლის რატიფიცირება ას ოთხმოცდათორმეტმა ქვეყანამ მოახდინა.[24] კიოტო პროტოკოლმა ჩამოაყალიბა **გამონაბოლქვის კვოტების გაყიდვის (Emissions trading ან cap and trade)** სისტემა, რომელიც სახელმწიფო რეგულაციებს საბაზრო მოტივებთან აერთიანებს. ქვეყნის საზღვრებს შიგნით სათბურის აირების გამოფრქვევა დასაშვებ დონეზეა შესაძლებელი. განვითარებულ ქვეყნებში (*ე.წ. მიერთებული ქვეყნები*) ეს პროცესი კანონით რეგულირდება, რასაც ვერ ვიტყვით განვითარებად ქვეყნებზე (*არამიერთებული ქვეყნები*). სახელმწიფოებსა და კომპანიებს, რომლებიც გამონაბოლქვის ზღვრულ მაჩვენებელს არ სცდებიან, შეუძლიათ მიყიდონ გამოუყენებელი კვოტები

გამონაბოლქვის კვოტების გაყიდვა – *ამ სისტემის მეშვეობით სახელმწიფოებს, რომელთა მიერ ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი კიოტოს პროტოკოლით დადგენილ ნორმას არ აღემატება, შეუძლიათ მიყიდონ გამოუყენებელი კვოტები სხვა სახელმწიფოებსა და კომპანიებს, რომლებიც ამ მხრივ რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ეს სისტემა* “cap and trade”*-ის სახელიაც არის ცნობილი.*

სხვა სახელმწიფოებსა და კომპანიებს, რომლებიც ამ მხრივ რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ძირითადი მიზეზი კი იმაში მდგომარეობს, რომ კლიმატის ცვლილება გლობალური პრობლემაა და მნიშვნელობა არ აქვს მსოფლიოს რომელ რეგიონში შემცირდება გამონაბოლქვი. ერთიანი ეფექტის მისაღებად მისი გლობალური შემცირებაა საჭირო.

კიოტოს პროტოკოლის შემუშავებაში შეერთებული შტატები არ მონაწილეობდა. აშშ-ის მიერ მის რატიფიცირებაზე უარის თქმას ორი მიზეზი აქვს: პირველი, შეთანხმებაში გაწერილი ვალდებულებები თანხვედრაში არ მოდიოდა ამერიკის ეკონომიკასთან და მეორე, კიოტოს პროტოკოლი განვითარებად ქვეყნებს სავალდებულო მოთხოვნილებების შესრულებისგან ათავისუფლებდა. 2006 წელს ჩინეთმა სათბურის აირების ყოველწლიური გამოყოფის მაჩვენებლით შეერთებული შტატები უკან ჩამოიტოვა და მსოფლიოში GHG-ის უმსხვილესი გამომფრქვევის ესტაფეტა ჩაიბარა (*იხ. დიაგრამა.* 8.3). ამის მიუხედავად, ჩინეთს, როგორც არამიერთებულ ქვეყანას, კანონით გათვალისწინებული შეზღუდვები არ შეხებია.[25] ამასთან დაკავშირებით შეერთებულმა შტატებმა პროტესტი გამოთქვა. ამის პასუხად, ჩინეთმა და სხვა განვითარებადმა ქვეყნებმა განაცხადეს, რომ მსოფლიოში გამოფრქვეული სათბურის აირებით გამოწვეულ დაბინძურებაზე პასუხისმგებლობა განვითარებულ ქვეყნებს, მათ შორის შეერთებულ შტატებს უნდა აეღოთ. მიუხედავად იმისა, რომ 2010 წელს დაფიქსირებული სათბურის აირების გამოფრქვევაზე ჩინეთი იყო პასუხისმგებელი და არა შეერთებული შტატები, ერთ სულ მოსახლეზე აშშ-ის მიერ GHG-ის ემისია ჩინეთის მაჩვენებელს თითქმის სამასი პროცენტით აღემატებოდა (17.6 vs. 6.2 *მეტრული ტონები ერთ ადამიანზე*).[26]

კიოტოს პროტოკოლს მოქმედების ვადა 2012 წელს ამოეწურა. 2009 წლის დეკემბერში დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში გამართულ კონფერენციაზე (2009 United Nations Climate Change Conference ან უბრალოდ Copenhagen Summit) კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს. თავდაპირველად სამიტის მონაწილეთა ხმაში გაღიზანებული ტონი შეინიშნებოდა, რადგან განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლაში მედროშის როლზე ვერ შეთანხმდნენ. განსაკუთრებული პასიურობით ჩინეთი გამოირჩეოდა, რადგან მკაცრი შეთანხმება, რომელიც აირების გამოფრქვევასთან დაკავშირებით სავალდებულო შეზღუდვებს დააწესებდა, მისი შემდგომი „განვითარების უფლებაზე“ უარყოფითად იმოქმედებდა. ამ შეთანხმების გადარჩენით დაინტერესებულმა ობამას ადმინისტრაციამ პირობა დადო, რომ განვითარებადი ქვეყნების დასახმარებლად (*რათა მათ კლიმატური სტანდარტები მოეწესრიგებინათ*) განსაზღვრული ასი მილიარდი აშშ დოლარის მოსაგროვებლად სხვა განვითარებულ ქვეყნებთან ითანამშრომლებდა. მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად შეერთებული შტატების პრეზიდენტი დანიის დედაქალაქში გაემგზავრა. ასეთი მცდელობების მიუხედავად, იმ ადამიანებს, რომლებიც იმედის თვალით უყურებდნენ ამ შეთანხმებას, იმედი გაუცრუვდათ. საბოლოოდ, კონფერენციაზე ნაკლებად ამბიციური დოკუმენტი (Copenhagen Accord) მიიღეს. ეს შეთანხმება უფრო პოლიტიკური განცხადება გახლდათ, ვიდრე კანონით სავალდებულო დოკუმენტი, რომელსაც მავანთა რწმენით, კიოტოს პროტოკოლი უნდა ჩაენაცვლებინა.

2012 წელს კატარის დედაქალაქ დოჰაში გამართულ კონფერენციაზე (COP18) ოფიციალურ შეთანხმებას მიაღწიეს. „დოჰას შესწორებამ“ შეცვალა სათბურის აირების ჩამონათვალი, რომელიც ქვეყნებს თავიანთ ანგარიშში უნდა შეეტანათ. GHG-ის ემისიის შემცირებასთან დაკავშირებით განვითარებული ქვეყნებისათვის ახალი ვალდებულებები დაწესდა.

დიაგრამა 8.3 ქვეყნები, რომლებსაც გარკვეული წვლილი მიუძღვით გლობალურ დათბობაში, 2012

შენიშვნა: მოცემული პროცენტები დათვლილია აშშ-ის ენერგეტიკის სამინისტროდან, ენერგეტიკული საინფორმაციო სააგენტოსა და ნახშირორჟანიგის გამოფრქვევის საერთო რაოდენობიდან (*მილიონი მეტრული ტონა*) მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით. http://www.eia.gov/cfapps/ipdbproject/IEDIndex3.cfm?tid=90&pid=44&aid=8.



კონფერენციაზე კიოტოს პროტოკოლის მოქმედების ვადის 2020 წლამდე გახანგრძლივების გადაწყვეტილებაც მიიღეს. 2015 წლის აპრილის მდგომარეობით, დოჰას შესწორება მხოლოდ ოცდარვა ქვეყანას ჰქონდა რატიფიცირებული. ამ შეთანხმების ძალაში შესასვლელად ას ორმოცდაოთხი ქვეყნის რატიფიცირებაა საჭირო.[27] რამდენიმე სახელმწიფომ, განსაკუთრებით კი შეერთებულმა შტატებმა, რუსეთმა, იაპონიამ, კანადამ და ახალმა ზელანდიამ დოჰას შესწორებაში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადეს. კანადამ, რომელიც აირების გამოფრქვევის შემცირების თაობაზე კიოტოს პროტოკოლით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო დააჯარიმეს, 2011 წელს პროტოკოლის შეთანხმება დატოვა.

კიოტოს პროტოკოლის საბოლოო დოკუმენტი კომპლექსური ხასიათისაა. ერთი მხრივ, განვითარებულმა ქვეყნებმა აირების გამოფრქვევა შეზღუდეს როგორც ამას კიოტოს პროტოკოლი ითვალისწინებდა, თუმცა ამ წინ გადადგმულ ნაბიჯს სამი ფაქტორი აყენებს ჩრდილს: 1) შეერთებულმა შტატებმა უარი განაცხადა მონაწილეობაზე, 2) 2008 წლის გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა აირების გამოფრქვევის ზრდას ხელი შეუშალა, 3) ემისიის შემცირება გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში (*პოსტკომუნისტური სახელმწიფოებში*) ეკონომიკური აქტივობების

შენელებამ განაპირობა. უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, გაეროს კლიმატის ცვლილების სამთავრობათშორისო ექსპერტთა ჯგუფის (Intergovernmental Panel on Climate Change (IPCC) ინფორმაციით, კლიმატის ცვლილების შემცირებასთან დაკავშირებული არაერთი გატარებული ღონისძიების მიუხედავად, სათბურის აირების გამოფრქვევის პროცესი ჩვეულ რეჟიმში გრძელდება.[28]

ბაზრები და ტექნოლოგიები როგორც უკვე აღვნიშნეთ, მალთუსიანელთა აზრით, მსოფლიოში მიმოფანტული შეზღუდული რესურსების ინტენსიური ექსპლუატაცია დედამიწის ეკოლოგიურ მდგომარეობას სულ უფრო და უფრო აუარესებს. თუმცა, როგორც კრიტიკოსები შენიშნავენ, მათი პესიმიზმი ხშირად არ მართლდება, რადგან სათანადოდ ვერ აფასებენ ბაზრებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების ერთობლიობას. მალთუსიანელთა არგუმენტის თანახმად, რესურსების შემცირება მათი ფასების ზრდას განაპირობებს, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფო თუ კერძო ინვესტორებს ახალი მარაგების ან მათი შემცვლელი სხვა ტიპის რესურსების აღმოჩენისკენ ან ტექნოლოგიების განვითარებისკენ უბიძგებს. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ პერიოდში დაწყებული **მწვანე რევოლუცია (Green Revolution)**, რომელიც კერძო და სახელმწიფო კაპიტალის ნაზავს წარმოადგენდა, მაღალპროდუქტიული ბრინჯის, ხორბლისა და მარცვლეულის სხვა სახეობის ახალი ჯიშების აღმოჩენასა და ბაზარზე შეტანას ითვალისწინებდა, რაც განვითარებული მსოფლიოს დიდ ნაწილში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მნიშვნელოვან ზრდას შეუწყობდა ხელს.

2001 წლის 11 სექტემბრის შემდგომ პერიოდში ნავთობის ფასების ზრდით შეგულიანებულმა ნავთობკომპანიებმა ოდესღაც მიწაში მიტოვებული ნავთობის დიდი მარაგების ამოსაქაჩად ახალი ტიპის ტექნოლოგიები შექმნეს, რადგან წინათ მათი ექსტრაქციის ღირებულება ნავთობის საბაზრო ფასზე მაღალი იქნებოდა. 2000 წელს შეერთებული შტატების მთავრობის ჩატარებული კვლევის თანახმად, მსოფლიოში 3.3 ტრილიონი ანაზღაურებადი ბარელი ნავთობი იყო, ხოლო ერთი კერძო კომპანიის კვლევის შედეგებმა კი აჩვენა, რომ მსოფლიო ნავთობის მარაგები 4.8 ტრილიონ ბარელს აღწევდა. მრავალი მიმომხილველის აზრით, საუდის არაბეთის ოფიციალური განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ქვეყანა ორას სამოცი მილიარდი ბარელი ნავთობის მარაგებს ფლობს, შესაძლებელია რეალობას არ შეესაბამებოდეს, რადგან „შავი ოქროს“ ანაზღაურებადი მარაგები ორჯერ ან სამჯერ აღემატება ზემოთ დასახელებულ ოფიციალურ რიცხვებს.[29]

მწვანე რევოლუცია – *მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ პერიოდში მაღალპროდუქტიული ბრინჯის, ხორბლისა და მარცვლეულის სხვა სახეობის ახალი ჯიშების ბაზარზე გამოჩენამ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მნიშვნელოვან ზრდას შეუწყო ხელი.*

„როან პლატოზე“ (Roan Plateau, Colorado), განთავსებული ჭაბურღილები. რაში გამოიხატება ფრეკინგის (*ეკონომიკური, ეკოლოგიური და გეოპოლიტიკური*) ღირებულება და სარგებელი, და თქვენი აზრით, რომელი უფრო მნიშვნელოვანია?

ფრეკინგი – *ტექნოლოგიური დამუშავების პროცესი, როდესაც ნავთობის ან გაზის ნაკადის გასაზრდელად ღრმად მიწის ქვეშ დაბალი გამტარიანობის ქანებში, როგორიცაა შელფი ან ჰერმეტული ქვიშაქვა, უშვებენ წყალს მაღალი წნევით.*

ბოლო წლებში გამოჩენილი ახალი ტექნოლოგია, რომელმაც მსოფლიო ენერგეტიკული ბაზრების განვითარება გამოიწვია, ჰიდრავლიკური დანაწევრების, მოკლედ რომ ვთქვათ, **ფრეკინგის (Fracking)** სახელით არის ცნობილი. ფრეკინგი ეს არის ტექნოლოგიური დამუშავების პროცესი, როდესაც ნავთობის ან გაზის ნაკადის გასაზრდელად ღრმად მიწის ქვეშ დაბალი გამტარიანობის ქანებში, როგორიცაა შელფი ან ჰერმეტული ქვიშაქვა, უშვებენ წყალს მაღალი წნევით.[30] შეერთებულ შტატებში ამ მეთოდს წარმატებით იყენებენ. ფრეკინგმა ამ ქვეყანის ენერგეტიკულ ინდუსტრიაში გადატრიალება მოახდინა. ქვეყნაში ენერგიის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდის გამო 2013 წელს აშშ-ში მოხმარებული ენერგიის ცამეტი პროცენტი იმპორტზე მოდიოდა, მაშინ როდესაც 2005 წელს ეს რიცხვი ოცდაათ პროცენტს უტოლდებოდა.[31] მთელ მსოფლიოში ამ ახალი ამერიკული ტექნოლოგიით წარმოებული ენერგეტიკული მარაგების ზრდამ ხელი შეუწყო მსოფლიო მარაგების ზრდას, ასევე ნავთობისა და სხვა ნამარხი საწვავის მსოფლიო ფასების შემცირებას.

ფრეკინგის მხარდამჭერთა განცხადებით, ეს მეთოდი ნათელი დადასტურებაა იმისი თუ როგორ უარყოფს ბაზრებისა და ინოვაციების კომბინაცია მთელ მსფლიოში ენერგიის დეფიციტს შესახებ გამოთქმულ განცხადებებს, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს მალთუსიანელთა პესიმიზმის ახლომხედველობას. ფრეკინგის მხარდამჭერთა განცხადებით, ენერგოპროდუქტებზე ფასების ვარდნამ ეკონომიკური სარგებელი მოუტანა შეერთებულ შტატებსა და სხვა ენერგოიმპორტიორებს, რომელთა უმეტესობა ღარიბი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება. ფრეკინგის განვითარება შეერთებული შტატების ახლო აღმოსავლეთის ნავთობზე დამოკიდებულებას მკვეთრად ამცირებს, ხოლო მისი მოწინააღმდეგეების – რუსეთი და ირანი – გეოპოლიტიკურ გავლენას კი ერთიორად ასუსტებს, რადგან ამ ქვეყნების პოლიტიკური/ეკონომიკური სტაბილურობა დამოკიდებულია ენერგორესურსების ფასებზე, რადგან ეს უკანასკნელი მათი ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს. ფრეკინგის მხარდამჭერთა თქმით, იგი მწვანე ტექნოლოგია, რადგან „ქვანახშირს კლავს“. მისი მეშვეობით მოპოვებულმა იაფმა ბუნებრივმა აირმა ჩაანაცვლა ნაკლებად ეკოლოგიური ქვანახშირი, რამაც შეერთებულ შტატებში ნახშირბადის ემისია მკვეთრად შეამცირა. ბოლო წლებში ამ მიმართულებით აშშ-ში, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში, გარკვეული სახის პროგრესი შეინიშნება.[32] ყველაფრის მიუხედავად, ფრეკინგის ოპონენტები მის მწვანე ტექნოლოგიად გამოცხადებას არ ეთანხმებიან. კრიტიკოსთა თქმით, ეს ტექნოლოგიური პროცესი მიწისქვეშა დაბინძურებასა და მიწისძვრების ზრდას უწყობს ხელს. არსებობს შიში, რომ ნამარხი საწვავის თვითღირებულების შემცირებით, ფრეკინგი მის ჩასანაცვლებლად ენერგიის ალტერნატიული წყაროების ძიება/აღმოჩენის სტიმულს შეასუსტებს და კაპიტალი გაცილებით ენერგოეფექტური პროდუქტის განვითარებაში დაბანდდება.

შეერთებული შტატები ნავთობის ყველაზე დიდი მომხმარებელია. ამერიკაში მოხმარებული ნავთობის ორმოცი პროცენტი მანქანების, სპორტული-უტილიტარული ავტომობილების, მინი ფურგონებისა და პიკაპების გადაადგილებას ხმარდება.[33] ნავთობის მოხმარების შესამცირებლად ახალი ტექნოლოგიები ინერგება. მაგალითად, ჰიბრიდული ავტომობილები მუშაობენ ბენზინისა და ელექტრობატარეების შერწყმით **ბიოსაწვავთან (Biofuel)** ერთად, რომელსაც სიმინდისგან, სოიოსგან ან შაქრის ლერწმისგან აწარმოებენ. ბიოსაწვავის მოხმარების თვალსაზრისით ლიდეროობს ბრაზილია, სადაც სატრანსპორტო საშუალებების ნახევარი მუშაობს ეთანოლზე, რომელსაც ძირითადად ბრაზილიაში შაქრის ლერწმისგან აწარმოებენ. ამ ქვეყანაში ბიოსაწვავი ბენზინს თანდათანობით ანაცვლებს.

ბიოსაწვავი – *სიმინდისგან, სოიოსგან ან შაქრის ლერწმისგან მიღებული სპეციალური სითხე, რომელსაც ნავთობსაწვავთან შერწყმით სატრანსპორტო საშუალებებში იყენებენ.*

გამორიცხული არ არის, რომ მომავალში კიდევ უფრო ახალი ტექნოლოგია – წყალბადის საწვავის ელემენტები – ვიხილოთ.

ინოვაციების დანერგვა სატრანსპორტო სექტორში ძალიან მნიშვნელოვანია. ენერგიას ყველა სფერო მოიხმარს – იქნება ეს მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, სავაჭრო-სამრეწველო საწარმოები, სამთავრობო დაწესებულებები თუ რიგითი ადამიანები.[34] ზოგიერთი მიმომხილველის, მათ შორის „ნიუ-იორკ თაიმსის“ (New York Times) ფელეტონისტის, თომას ფრიდმანის, განცხადებით, ჩინეთს, რომლის მზარდი მრეწველობა ქალაქებს აბინძურებს, შესწევს უნარი ყველა სფეროში საკუთარ თავზე აიღოს ახალი მწვანე ტექნოლოგიების განვითარების ინიციატივა. ბარაკ ობამამ ერთ-ერთ პრიორიტეტად სწორედ „მწვანე ტექნოლოგიების“ განვითარება დაასახელა. შეერთებული შტატების ყოფილ პრეზიდენტს მათი დანერგვა მრეწველობის განვითარებისა და სამუშაო ადგილების შექმნის მთავარ წყაროდ მიაჩნდა, აღარაფერს ვამბობ ეკოლოგიაზე. რა თქმა უნდა, ამ ინოვაციებთან დაკავშირებით კითხვებიც არსებობს. წყალბადის საწვავის ელემენტები დღემდე ძვირადღირებული სიამოვნებაა და ამ ეტაპზე შიდა წვის ძრავის დანერგვა არ იძლევა იმის გარანტიას, რომ მათი მასიური გამოყენება დაიწყება. მთელ მსოფლიოში ბიოსაწვავის მოხმარების ზრდა, თავის მხრივ, მარცვლეულზე (*სიმინდი, სოიო*) მოთხოვნილებას ზრდის, მოთხოვნადი პროდუქციის დეფიციტი კი საკვებზე ფასების მატებას უწყობს ხელს, რაც განსაკუთრებით ღარიბი მოსახლეობის შემოსავლებზე აისახება. ამავდროულად, მოთხოვნადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ახალი მიწების მოძიება/ათვისებასა და დეფორესტიზაციას განაპირობებს, რასაც მძიმე ეკოლოგიურ შედეგებამდე მივყავართ. იმ დროს, როცა ბაზარზე ორიენტირებულ ოპტიმისტებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გამოწვევები ჯერ კიდევ გადაუჭრელად მიაჩნიათ, ისტორიული ფაქტები ცხადყოფენ, რომ სწორი აქცენტებისა და ადამიანის შემოქმედებითობის ერთობლიობა ამ მიმართულებით არსებულ პრობლემას ერთხელ და საბოლოოდ მოუღებს ბოლოს.

გლობალური ჯანმრთელობა და დაავადებები

8-3 განმარტეთ რა სახის საფრთხეს უქმნიან ინფექციური დაავადებები სახელმწიფო სისტემის არსებობას და იმსჯელეთ რა როლი მიუძღვის გლობალიზაციას ამ პრობლემის მასშტაბურობაში.

ადამიანებს გამოფრქვეული სათბურის აირებისა და სხვა დამაბინძურებელი ნივთიერებების გარდა ვირუსები და ბაქტერიებიც ასნეულებენ, მათ გავრცელებას კი ჩიტები და ცხოველები უზრუნველყოფენ. ჯანდაცვის პოლიტიკაში გატარებული შესაბამისი ღონისძიებები, როგორებიცაა ჯანმრთელი კვება, ვაქცინაცია, დაავადების ადრეული გამოვლინება თუ ფარმაკოლოგიური მკურნალობა, მხოლოდ დროებით ზღუდავენ მათი მოქმედების რადიუსს. სამწუხაროდ, მათგან თავის დაცვა ყველაზე განვითარებულ ქვეყნებსაც კი უჭირთ. ჯარისკაცები, ზარბაზანები და ტანკები მათ წინააღმდეგ უძლური არიან. ინფექციური დაავადებების მეყსეულ გავრცელებაში, თავის მხრივ, გლობალიზაციასაც მიუძღვის გარკვეული წვლილი.

ინფექციური დაავადებების ხელახალი აღმოცენება

დაავადებების გავრცელებას ხელს უწყობს ჩიტების, ცხოველების, ჯარისკაცებისა და ტურისტების მასობრივი გადაადგილება. მეთოთხმეტე

საუკუნის ევროპაში გავრცელებულმა ბუბონურმა ჭირმა („*შავი ჭირი*“) დაახლოებით ოცდახუთი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ბებერი კონტინენტის წამლეკავ ინფექციურ დაავადებას, რომელსაც ძირითადად ვირთხები და რწყილები ავრცელებდნენ, ვერცერთი სახელმწიფო ვერ აღუდგა წინ. 1918-1920 წლებში ფართოდ გავრცელებულმა გრიპმა მთელ მსოფლიოში დაახლოებით ორმოცდაათი მილიონი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ეს რიცხვი ორჯერ აღემატებოდა პირველ მსოფლიო ომში დაღუპული ჯარისკაცებისა და მოქალაქეთა საერთო რაოდენობას.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ინფექციური დაავადებები წარსულის გადმონაშთად მიაჩნდათ. თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში ანტიბიოტიკების დანერგვა/გამოყენებამ, აცრებმა, ჯანდაცვის მექანიზმების სრულყოფამ, ჰიგიენური ნორმების დაცვამ და საკვები პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებამ ტუბერკულოზისა და პოლიომიელიტისადმი შიში გააქრო. ხოლო განვითარებად ქვეყნებში დაავადების გამავრცელები კოლოების მოსასპობად ინსექტიციდების გამოყენებით, ღარიბი მოსახლეობისათვის წყლის მიწოდებისა და ვაქცინაციის გზით, როგორც ჩანს, **მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (World Health Organization (WHO)** „ღარიბი მოსახლეობის დაავადებების“ – ქოლერა და ციებ-ცხელება – ლიკვიდაციას ცდილობდა.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია – *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) სპეციალიზირებული დაწესებულება, რომელიც მთელ მსოფლიოში ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებაზე არის პასუხისმგებელი.*

თუმცა, 1980-იან წლებში საქმისადმი ასეთმა ოპტიმისტურმა დამოკიდებულებამ აქტუალობა დაკარგა. ერთი მხრივ, წარსულში დარჩენილმა ძველმა დაავადებებმა კვლავ იჩინეს თავი და მსოფლიო საზოგადოება რეალური საშიშროების წინაშე დააყენეს:

- **ტუბერკულოზი:** პირობა, რომლის თანახმადაც მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ პერიოდში გამოჩენილი ანტიბიოტიკები ბოლოს მოუღებდა ამ დაავადებას, ვერ შესრულდა. მსოფლიო ჯანდაცვის ოგანიზაციის ინფორმაციით, 2013 წელს ამ ინფექციური დაავადებით ცხრა მილიონი ადამიანი დაინფიცირდა, მილიონ-ნახევარი კი გარდაიცვალა.[35] ტუბერკულოზის ბაქტერიის სამკურნალო არაეფექტური პრეპარატების გამოჩენამ დიდი შეშფოთება გამოიწვია.
- **მალარია:** დდტ (Dichloro-Diphenyl-Trichloroethane) და სხვა ინსექტიციდები მალარიის დამარცხებას ისახავდნენ მიზნად. თუმცა, 1980-იან წლებში მის ლიკვიდაციაზე უარი თქვეს და მხოლოდ კონტროლისა და მკურნალობის მეთოდებს დასჯერდნენ. 2000 წლის შემდეგ მალარიით გარდაცვლილთა რაოდენობა თითქმის განახევრდა, თუმცა, 2013 წელს ამ დაავადების ას ოთხმოცდათვრამეტი მილიონი შემთხვევა დაფიქსირდა, აფრიკაში კი ნახევარი მილიონი ბავშვი გარდაიცვალა.[36]
- **ქოლერა:** მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველ წელს სამიდან ხუთ მილიონამდე დაფიქსირებული შემთხვევიდან ასი ათასზე მეტი ფატალურად სრულდება.[37] ამ დაავადებას ძირითადად ინფიცირებული წყალი იწვევს, მის მკურნალობას კი არაეფექტური წამლები ართულებს.

პანდემია – *ინფექციური დაავადების საყოველთაო გავრცელება. როგორც წესი, ადამიანებს ახალ პათოგენებთან საბრძოლველად ბუნებრივი იმუნიტეტი არ აქვთ გამომუშავებული.*

იმ დროს, როცა ამ ძველი დაავადებების ლიკვიდაცია ზრუნვის მთავარ საგანს წარმოადგენდა, ყველაზე საგანგაშო მაინც ახალი ინფექციური დაავადებების აღმოცენება გახლდათ. მეცნიერთა თქმით, ყოველ წელს დიდი ოდენობით ახალი, მომაკვდინებელი დაავადების გამომწვევი პათოგენები ჩნდებიან.[38] პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი ეს დაავადება შეიძლება **პანდემიაში (Pandemic)** გადაიზარდოს. პათოგენურ მიკროორგანიზმს ბუნებრივი იმუნიტეტი არ გააჩნია. ასეთი დაავადებებია:

დიაგრამა 8.4 აივ ინფექციის გავრცელების არეალი მსოფლიოს მასშტაბით

წყარო: World Health Organization, Map, "World: Adults and Children Estimated to Be Living with HIV, 2013—By WHO Region," Copyright © WHO 2014. All rights reserved. Used by permission. http://gamapserver.who.int/mapLibrary/Files/Maps/HIV_all_2013.png.

2013 წლის მონაცემები. მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები შიდსის ვირუსით დაინფიცირებული მოზრდილები და ბავშვები



- **შეძენილი იმუნური დეფიციტის სინდრომი (*შიდსი*):** შიდსის პირველი შემთხვევა 1981 წელს დაფიქსირდა. ამ მომაკვდინებელ დაავადებას მთელ მსოფლიოში დაახლოებით ოცდაცხრამეტი მილიონი ადამიანი ემსხვერპლა.[39] შიდსთან ბრძოლაში მიღწეული პროგრესისა და ახალი გამოვლინებების შემცირების მიუხედავად, იგი კვლავ აქტუალურია. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, მხოლოდ 2013 წელს, აივ-ვირუსით ოცდათხუთმეტი მილიონი ადამიანი იყო დაინფიცირებული. მათგან ორი მილიონ ასი ათასი ახლად დაინფიცირებული აღმოჩნდა, მილიონ-ნახევარი კი ამ ვირუსისა და მისგან გამოწვეული გართულებებით გარდაიცვალა. დღესდღეობით, დაინფიცირებული ადამიანების სამოცდაათი პროცენტი სუბსაჰარულ აფრიკაში ცხოვრობს. მსოფლიოში არ არსებობს რეგიონი, სადაც ეს ვირუსი არ იყოს დაფიქსირებული (*იხ. დიაგრამა* 8.4).
- **ებოლა:** ებოლას ვირუსს, რომელიც პირველად 1976 წელს გამოჩნდა, ახასიათებს პირღებინება, დიარეა და ხანდახან შიდა და გარე სისხლდენა. სიკვდილიანობის საშუალო მაჩვენებელი ორმოცდაათი პროცენტია, თუმცა აფეთქებების დროს ეს მაჩვენებე-

ლი ოთხმოცდაათ პროცენტამდეც კი აღწევს.[40] 2014 წლის მარტში მომხდარი აფეთქება თავისი მასშტაბურობით გამოირჩეოდა. 2015 წლის თებერვლის მდგომარეობით, ებოლათი ინფიცირების ოცდაორი ათას შვიდას ოთხმოცდაათი შემთხვევა და ცხრა ათას ას ორმოცდათერთმეტი გარდაცვალების ფაქტი დაფიქსირდა. ეს მაჩვენებელი ყველა ადრინდელ აფეთქებას ერთიანად აღემატებოდა. ამ ეტაპზე ებოლა მხოლოდ უშუალო კონტაქტით, სისხლით ან დაინფიცირებული ადამიანის სხეულის სითხეებით გადადის. ვირუსი ყველაზე ხშირად ოჯახის წევრებს, ჯანდაცვის მუშაკებსა და მოხუცებულთა მომვლელებს შორის ვრცელდება.

- **გრიპის ახალი სახეობები:** გრიპი ძველი დაავადებაა. ახალი ვირუსები, რომელთა მიმართაც ადამიანებს იმუნიტეტი გამომუშავებული არ აქვთ, ჩვენი საზოგადოებისთვის უცხო არ გახლავთ. H5N1-ის სახელით ცნობილი ფრინველის გრიპი (*ან „ქათმის გრიპი“*) პირველად 2003 წელს გამოჩნდა აზიაში. 2003-2015 წლების შუალედში მთელი მსოფლიოს მასშტაბით H5N1-ით დაავადების რვაას ოცდაექვსი შემთხვევა დაფიქსირდა, მათგან ოთხას ორმოცი შემთხვევა ფატალურად დასრულდა.[41] მიუხედავად იმისა, რომ ეს რიცხვები საგანგაშო არ არის, ინფიცირებულთა შორის სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი ჯანდაცვის ექსპერტების მუდმივ შეშფოთებას იწვევს (*იხილეთ თეორია პრაქტიკა* 8.2).

ამ დაავადებათა აღმოცენება ჩვენი საზოგადოებისთვის მოულოდნელობას არ წარმოადგენს. ისტორიაში ყოველთვის მოიძებნება ახალ, ხშირად მუტაციის მქონე, დაავადების გამომწვევ მიკრობებსა და ადამიანის ორგანიზმში მცხოვრებ პარაზიტებს შორის ბრძოლის ამსახველი მაგალითები. როგორც უნდა იყოს, დღესდღეობით, ინფექციური დაავადებების გავრცელებას სწორედ გლობალური პროცესები უწყობენ ხელს.

გლობალიზაცია და დაავადებები

პოლიტიკა და ტექნოლოგიები, რომლებიც ხელს უწყობენ ვაჭრობის განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვას, მოგზაურობასა და კულტურული ურთიერთკავშირების დამყარებას, ასევე უზრუნველყოფენ გლობალური მასშტაბით დაავადებების გავრცელებას. ავიამოგზაურობის ზრდამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ინფექციურ სნეულებათა პანდემიაში. ადამიანებს, რომლებიც მთელ მსოფლიოში მოგზაურობენ, თავიანთი ბარგითა და ხელჩანთებით შეუძლიათ გადაიტანონ მიკრობები. მეთხუთმეტე/მეთექვსმეტე საუკუნეებში ინფექციური დაავადების, მაგალითად, ჩუტყვავილის, გავრცელებას ერთი წელი მაინც სჭირდებოდა. დღესდღეობით, ინფექცია მთელ მსოფლიოში სულ რამდენიმე საათში ვრცელდება. თუ გავითვალისწინებთ საინკუბაციო პერიოდებს – ინფექციისა და სიმპტომების განვითარების შორის არსებული პერიოდი – ინფიცირებული ტურისტი, რომელიც თვითმფრინავით დედამიწის გარშემო მოგზაურობს, ისე დაავადებს სხვებს რომ საკუთარ მდგომარეობას ვერც კი გააცნობიერებს.[42]

1997-1998 წლებში საზღვარგარეთიდან შეერთებულ შტატებში გრიპმა ოცდაექვს დღეში მიაღწია, 2000-2001 წლებში კი ეს პერიოდი თერთმეტი დღით შემცირდა. ასევე, 2001-2002 წლებში 11 სექტემბრის შემდგომ პერიოდში გამეფებული შიშისა და შეზღუდვების გამო აშშ-ის მიმართულებით ავიაგადაზიდვების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა, რის შედეგადაც გრიპმა ამერიკამდე თექვსმეტ დღეზე ნაკლებ დროში მიაღწია. საფრანგეთში, სადაც ასეთი შეზღუდვები არ მოქმედებდა ინფლუენცას გავრცელება არ შენელებულა.[43]

თეორია პრაქტიკაში 8.2

ებოლა გრიპის წინააღმდეგ. პანდემიის საშიშროება

ამერიკის შეერთებულ შტატებში დაფიქსირებული ებოლას რამდენიმე შემთხვევისა და ორი დადასტურებული გარდაცვალების ფაქტის მიუხედავად, 2014 წელს ებოლას აფეთქებამ აშშ-ში პანიკა გამოიწვია. 2014 წელს პრესაში აქტიურად განიხილებოდა ეს პრობლემა. დასავლეთი აფრიკიდან დაბრუნებული ჯანდაცვის მუშაკები იზოლაციაში მოაქციეს. საშუალო თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები აფრიკის ქვეყნებიდან ჩამოსული სტუდენტებისა და მოწვეული სტუმრების მიღებისგან თავს იკავებდნენ.

ებოლა ეგზოტიკური დაავადებაა, რომელსაც საშინელი სიმპტომები ახასიათებს. ებოლას ბოლოდროინდელმა აფეთქებამ განსაკუთრებით დიდი სიკვდილიანობა გამოიწვია. რაც შეეხება გრიპს, იგი ადამიანთა უმეტესობას გადატანილი აქვს. უფრო მეტიც, ექსპერტების გამაფრთხილებელი განცხადებები გრიპის შესაძლო პანდემიასთან დაკავშირებით (*მაგ: ღორის გრიპთან* (H1N1) *დაკავშირებით* 2009 *წ.*) ტყუილი აღმოჩნდა.

ექსპერტების ვარაუდით, გრიპის პანდემიის საფრთხე უფრო დიდია, ვიდრე ებოლასი. ებოლა მხოლოდ უშუალო კონტაქტით, სისხლით ან დაინფიცირებული ადამიანის სხეულის სითხეებით გადადის. გრიპი კი, რომელიც ჰაერ-წვეთოვანი პათოგენია, შეიძლება ხველებით ან დაცემინებით შეეყაროს ადამიანს. თუ თვითმფრინავში H5N1 ვირუსით დაავადებული ადამიანის გვერდით აღმოჩნდებით, თქვენი დაინფიცირების საფრთხე ერთიორად გაიზრდება, რასაც ვერ ვიტყვით ებოლას შემთხვევაში. ებოლა უფრო ლოკალური დაავადებაა, რაც განსაკუთრებით ნათლად ჩანს ღარიბი ქვეყნების მაგალითზე, სადაც ჯანდაცვის პოლიტიკის ეფექტურობისა და სათანადო აღჭურვილობის ნაკლებობა შეინიშნება. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ შეერთებულ შტატებში ებოლას მასშტაბური გავრცელების შანსები მცირეა. 1918 წელს აფეთქებულმა ესპანურმა გრიპმა (Spanish flu), ზოგიერთი მონაცემებით, მთელ მსოფლიოში ორმოცდაათი მილიონი ადამიანის სიცოცხლე იმსხვეპლა (*შედარებისთვის, პირველ მსოფლიო ომში გაცილებით ნაკლები ადამიანი დაიღუპა*). ერთი საყოველთაოდ ცნობილი ექსპერტის ვარაუდით, გლობალური მასშტაბით H5N1 ვირუსის პანდემიამ შეიძლება გაცილებით ფატალური შედეგები მოიტანოს და მხოლოდ შეერთებულ შტატებში თექვსმეტი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწიროს. ეს რიცხვი აშშ-ის ისტორიაში მომხდარ ყველა ომში გარდაცვლილ ამერიკელთა საერთო რაოდენობას აღემატება. მართლაც, ბრიტანეთის მთავრობის გამოქვეყნებულ საანაგრიშო მოხსენებაში გრიპის პანდემია წყალდიდობაზე, გვალვაზე, სხვა დაავადებებზე, სამოქალაქო მღელვარებაზე, ომსა და ტერორიზმზე დიდ საფრთხედ იყო მიჩნეული. ამ მოხსენების თანახმად, გრიპის საყოველთაო გავრცელების შემთხვევაში ტერორისტული თავდასხმისას მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით გამოწვეულ კატასტროფულ შედეგებს მივიღებთ.

- თუ მხედველობაში მივიღებთ გრიპის პანდემიით გამოწვეულ ზემოხსენებულ საფრთხეებს, უკეთესი ხომ არ იქნებოდა, რომ არსებული რესურსები ტრადიციული სამხედრო დანახარჯების ნაცვლად, გრიპისა და სხვა ინფექციური დაავადებების გამოსაკვლევად და აღმოსაფხვრელად მიგვემართა?
- თქვენი აზრით, გრიპის პანდემიის საფრთხის თავიდან ასაცილებლად რამდენად მართებულია გლობალური პროცესების შეჩერება? უფრო მეტიც, სურვილის შემთხვევაში შეგვიძლია კი მათი მკვეთრი ცვლილება?
- თქვენი აზრით, გლობალური დაავადებების გამო უნდა შემცირდეს სტუდენტური გაცვლითი პროგრამები?

წყარო: Laurie Garrett, "The Next Pandemic?" Foreign Affairs, July/August 2005, http://www.foreignaffairs.org; Cabinet Office, "National Risk Register for Civil Emergencies," March 27, 2015, https://www.gov.uk/ government/publications/national-risk-register-for-civil-emergencies-2015-edition.

1918 წელს აფეთქებულმა ესპანურმა გრიპმა ორმოცდაათი მილიონი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის დროს ევროპის მასშტაბით დაწყებულმა ჯარისკაცების წინ და უკან გადაადგილებამ, ბოლო ხანებში ჩატარებული რამდენიმე კვლევის თანახმად, გრიპის გავრცელებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.[44]

ინფექციური დაავადებების საყოველთაო გავრცელებას სხვადასხვა ფაქტორი უწყობს ხელს. გლობალიზაციამ საკვები პროდუქტებით ვაჭრობის მასიური ზრდაც განაპირობა. შეერთებულ შტატებს საკვები პროდუქტების დაახლოებით ოცი პროცენტი საზღვარგარეთიდან შეაქვს, მათ შორის ახალი პროდუქტების ერთი მესამედი და ზღვის პროდუქტების ორ მესამედზე მეტი.[45] მთელი წლის მანძილზე ნექტარინებისა და ატმების მირთმევა ჯანმრთელობისთვის საშიშია. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ საკვებით დაავადების გადაცემის არაერთი შემთხვევაა დაფიქსირა.[46]

- 1990-იანი წლების ლათინურ ამერიკაში ქოლერას რეგენერაცია და გავრცელება, ნაწილობრივ, იმპორტული ზღვის პროდუქტების დაბინძურებით იყო გამოწვეული.
- რქოსანი საქონლის სპონგიფორმული ენცეფალოპათია (Bovine spongiform encephalopathy (BSE) ან „ძროხის ცოფი“ პირველად 1982 წელს დიდი ბრიტანეთში დაფიქსირდა, შემდეგ კი საკვები პროდუქტების მეშვეობით კონტინენტურ ევროპასა და იაპონიაში გავრცელდა. მთელი ყურადღება გაერთიანებულ სამეფოსკენ იყო მიპყრობილი, თუმცა დაავადების შემთხვევები მსოფლიოს სხვა ადგილებშიც დაფიქსირდა.
- კოლი-ბაქტერიას (Escherichia coli. *ნაწლავის ჩხირი*), რომელიც ძირითადად საქონლის ხორცით გავრცელდა, პირველად 1982 წელს მიაქციეს ყურადღება. იგი სალათის ფურცლებში, იონჯას ღივებსა და სხვა საკვებ პროდუქტებშიც აღმოაჩინეს. ნაწლავის ჩხირი ავსტრალიაში, იაპონიაში, კანადაში, შეერთებულ შტატებში, ევროკავშირსა და სამხრეთ აფრიკაშიც გავრცელდა.
- სამხრეთ ამერიკიდან იმპორტირებულმა დაბინძურებულმა ჟოლომ 1996-1997 წლებში ჩრდილოეთ ამერიკაში ციკლოსპორიას (cyclosporiasis) გავრცელება გამოიწვია.

შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების (US Center for Disease Control (CDC) 2012 წლის საანგარიშო მოხსენების თანახმად, აშშ-ში იმპორტირებული სურსათით გამოწვეული დაავადებების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. ოცდაცხრამეტი აფეთქება და დაავადების ორი ათას სამას ორმოცდარვა გამოვლენილი შემთხვევა საზღვარგარეთიდან შემოტანილ საკვებ პროდუქტებს უკავშირდებოდა.[47]

გლობალიზაცია არა მხოლოდ დაავადებათა პანდემიას, არამედ მათ სწრაფ ლიკვიდაციასაც უზრუნველყოფს.

გლობალური დაავადებების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები

ბოლო წლებში ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლას დიდი ყურადღება ეთმობა, გამოყოფილია მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები. ოცდაოთხსაათიან რეჟიმში მომუშავე საკაბელო საინფორმაციო არხებისა და ფართოხაზოვანი ინტერნეტის მეშვეობით მდიდარი ქვეყნების მოქალაქეები სახლიდან გაუსვლელად იგებენ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მცხოვრები ადამიანების გასაჭირისა და პრობლემების შესახებ. ამავდროულად, მდიდარი ქვეყნების მოქალაქეები ნათლად აცნობიერებენ, რომ ავიამოგზაურობა, იმპორტული საკვები პროდუქტები და სხვა გლობალური ასპექტები მთელ მსოფლიოს საფრთხეს უქმნიან, რადგან შორეულ ქვეყნებში მძვინვარე ინფექციურ დაავადებათა კონტროლის მექანიზმები ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული. ამგვარად, მორალურმა ვალდებულებებმა და პირადმა ინტერესებმა ინფექციური დაავადების წინააღმდეგ წამოწყებულ საყოველთაო ბრძოლას ახალი მნიშვნელობა შესძინა.

ამ ტენდენციის ნიშნები საერთაშორისო ორგანიზაციების, ეროვნული სახელმწიფოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ქმედებებში ვლინდება. 2000 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) თაოსნობით შემუშავებული ათასწლეულის განვითარების მიზნების (Millennium Development Goals) მეექვსე მიზანი (*სულ რვა მიზანია*) „აივ/შიდსთან, მალარიასა და სხვა დაავადებებთან ბრძოლა“ პირდაპირ მიუთითებს ინფექციურ დაავადებებზე. ამ მიზნების ჩამოყალიბების დასაწყისში ითქვა, რომ 2015 წლისათვის ჯერ უნდა შეეჩერებინათ, შემდეგ კი დაეწყოთ ამ და სხვა მსხვილი დაავადებების სალიკვიდაციო ღონიძიებები.

ამ მიზნის განხორციელებისთვის მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ და მსოფლიო ბანკმა საკმაოდ დიდი თანხები გაიღეს. ეს უკანასკნელი ჯანდაცვასა და დაავადებებს ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად მიიჩნევს. ათასწლეულის განვითარების მიზნების წასახალისებლად მსოფლიო ბანკმა ჯანდაცვის დაფინანსება გაზარდა. ეს უმსხვილესი საერთაშორისო ორგანიზაცია აივ-ინფექცია/შიდსის პროგრამების მთავარი დამფინანსებელის ტიტულის მოსაპოვებლად მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას კონკურენციასაც კი უწევს. [48] ამ გადაუდებელ პროგრამებს ეროვნული სახელმწიფოებიც აფინანსებენ. 2003 წელს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ ყოველწლიური მოხსენებით კონგრესის წინაშე გამოსულმა ჯორჯ უ. ბუშმა (George W. Bush) „შიდსთან საბრძოლველად პრეზიდენტის საგანგებო გეგმის“ (President's Emergency Plan for AIDS Relief (PEPFAR) შესახებ ისაუბრა.

ეს გეგმა განიხილა შეერთებული შტატების კონგრესმა, რომელმაც მთელ მსოფლიოში ხუთი წლით აივ-ინფექციის მეთვალყურეობისათვის, მკურნალობისა და პრევენციისათვის თხუთმეტი მილიარდი აშშ დოლარი გამოყო. ამ თანხის დიდი ნაწილი კარიბის ზღვის აუზისა და აფრიკის თოთხმეტ ქვეყნას მოხმარდა. 2014 წელს PEPFAR-ის ფარგლებში ორმოცდექვსი მილიარდი აშშ დოლარი დაიხარჯა შიდსთან საბრძოლველად. ეს გახლდათ უდიდესი ძალისხმევა ერთი მთავრობისა, რომელმაც ამ კონკრეტულ დაავადებასთან საბრძოლველად გაიღო.[49]

ამ პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციები და კერძო სექტორის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. „ბილ და მელინდა გეითსების ფონდი“ (Bill and Melinda Gates Foundation (BMGF) ყოველწლიურად გლობალური ჯანდაცვის პროგრამებზე კაპიტალის დაახლოებით სამოც პროცენტს ხარჯავს. ბილ გეითსის თქმით, მსოფლიოში ამ უმდიდრეს კერძო საქველმოქმედო ფონდში თავმოყრილი თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი „დიდი სამეულის“ – აივ-ინფექცია/შიდსი, მალარია და ტუბერკულოზი – პრევენციულ და სალიკვიდაციო ღონისძიებებს ხმარდება.[50] 1994 წელს დაარსებულმა ფონდმა მხოლოდ პირველი ათი წლის განმავლობაში დაავადებებთან მებრძოლ სხვადასხვა ორგანიზაციას ექვს მილიარდ აშშ დოლარზე მეტი ღირებულების გრანტი გამოუყო.[51] ამ პერიოდში ეს თანხები მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ბიუჯეტში აკუმულირებულ ფინანსურს სახსრებს დიდად არ ჩამოუვარდებოდა. სპეციალური პროგრამა „დიდი გამოწვევები მსოფლიო ჯანდაცვის სფეროში“ (Grand Challenges in Global Health), რომელიც ფონდმა 2004 წელს აამოქმედა, ჯანდაცვის საკითხებზე მომუშავე მეცნიერებს ფინანსებით უზრუნველყოს. ვაქცინების გაუმჯობესება, რომლებიც არ საჭიროებენ გაყინვას ან ერთდოზიანი ვაქცინები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ბავშვის დაბადებიდან მალევე, ფონდის მესვეურთა ინტერესებში შედიოდა.[52]

გაწეულმა დახმარებამ და გაღებულმა ფინანსებმა არაერთი კეთილი საქმე გააკეთა. მოკლედ რომ ვთქვათ, მათმა ძალისხმევამ ნაყოფი გამოიღო. მაგალითად, 2014 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

(გაერო) განცხადებით, 2001 წლის შემდეგ აივ-ვირუსით დაინფიცირებულთა რიცხვმა ოცდათვრამეტი პროცენტით დაიკლო, ამ მაჩვენებლის ორმოცდათვრამეტი პროცენტი ბავშვებზე მოდიოდა. ასევე, შიდსით გარდაცვლილთა რაოდენობა ოცდათხუთმეტი პროცენტით შემცირდა 2005 წელს დაფიქსირებული პიკის შემდეგ. გავრცელებული ინფორმაციით, ანტირეტროვირუსულმა მკურნალობამ 1995 წლიდან მოყოლებული ექვსი მილიონ ექვსასი ათას ადამიანს შეუნარჩუნა სიცოცხლე.[53] ასევე, 2000-2012 წლების შუალედში მალარიით გარდაცვალებულთა რაოდენობა ორმოცდაორი პროცენტით შემცირდა, რამაც, თავის მხრივ, სამი მილიონი ადამიანი უეჭველ სიკვდილს გადაარჩინა.[54]

ზემოთქმულის მიუხედავად, ინფექციური დაავადებები კვლავ ერთერთ მთავარ გამოწვევად რჩება. ზოგიერთი კრიტიკოსის განცხადებით, გამოყოფილი თანხების დიდი ნაწილი არასწორი მიმართულებით დაიხარჯა. ამ ყველაფერს კი „10/90/ პრობლემების“ სახელით ცნობილ შედეგებამდე მივყავართ. ამის თვალსაჩინო მაგალითია მთელ მსოფლიოში შიდსის წინააღმდეგ საბრძოლველად გაღებული თანხები. 1990 წელს შიდსი უკვე აშკარად მზადი საყოველთაო პრობლემა იყო, თუმცა სპეციალურ ჩამონათვალში იგი მხოლოდ ოცდამეექვსე ადგილს იკავებდა, რაც მთელი დაავადებების 0.84 პროცენტს შეადგენდა. შიდსის მასიურმა გავრცელებამ მსოფლიო საზოგადოებას დიდი თავსატეხი გაუჩინა, თუმცა როგორც ამბობენ, 2020 წლისათვის იგი განვითარებად ქვეყნებში წაყვანი დაავადებების აღმნიშვნელ სპეციალურ ნუსხაში მეათე ადგილზე გადაინაცვლებს.[55] მიუხედავად ამისა, შიდსი სხვა ნაკლებად ცნობილ და დაფინანსებულ დაავადებებს, მათ შორის პნევმონიასა და დიზენტერიას თავისი მასშტაბურობით აშკარად ჩამორჩება.

მაშინაც კი, როდესაც განსაკუთრებული ყურადღება შიდსთან ბრძოლის ღონისძიებებს ეთმობოდა, ზოგიერთ ადამიანი მათ პრიორიტებებს აკრიტიკებდა. განვითარებულ ქვეყნებში აივ ინფექციის წინააღმდეგ საბრძოლველად დახარჯული თანხების დიდი ნაწილი საკურნალო პროგრამებზეა მიმართული, მათ შორის ანტირეტროვირუსული პრეპარატების ძვირადღირებულ „კოქტეილებზე“. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, იაფასიანი უპატენტო პრეპარატებით მკურნალობის შემთხვევაშიც კი, ერთი წლით შიდსით დაავადებული პაციენტის ცხოვრების გახანგრძლივების ღირებულება დაახლოებით ათას ხუთას აშშ დოლარის აღწევს. PEPFAR-ის პროგრამით გამოყოფილი თანხების ოცი პროცენტი შიდსის პრევენციაზე კონცენტრირებული. ამის შედეგი კი ის გახლავთ, რომ იმ ქვეყნებშიც კი, რომლებშიც შიდსით დავადებული პაციენტების მკურნალობის პროცესი წარმატებით მიმდინარეობს, ახალი ინფექციების აფეთქების მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება. როგორც უნდა იყოს, თუ პოლიტიკურ რეალობას გავითვალისწინებთ, რესურსები ყოველთვის შეზღუდული იქნება და, შესაბამისად, დასაფინანსებელი პროექტების პრიორიტეტულობაც მუდამ განსჯის საგანი გახდება.

ინტერნეტი და გლობალური კომუნიკაციები

8-4 განმარტეთ რა საფრთხეს უქმნის ინტერნეტი სახელმწიფოს სუვერენიტეტს და როგორ რეაგირებენ სახელმწიფოები ამ საფრთხეებზე.

გლობალური გამოწვევების (*ეკოლოგიური გაუარესება* და *დაავადებები*) შესახებ გამართული დისკუსიისას ინტერნეტზე ყურადღების გამახვილება ერთი შეხედვით შეიძლება უცნაურადაც კი ჩანდეს. იმ დროს, როცა ეკოლოგიური და ინფექციური სახის პრობლემები სერიოზულ საფრთხეს გვიქადის, ინტერენეტი, როგორც წესი, დადებით მოვლენად

მიიჩნევა, რადგან მსოფლიოს ურთიერთდამაკავშირებელი ინსტრუმენტი ჩვენს ყოველდღიურობას მნიშვნელოვნად აიოლებს. თუმცა, ინტერნეტი ეკოლოგიური დაბინძურებისა და ინფექციური დაავადებების მსგავსად უგულებელყოფს პოლიტიკურ საზღვრებს და ეწინააღმდეგება სუვერენული სახელმწიფოს პრინციპებს, რაც დაკავშირებულია საკუთარ ტეროტორიაზე მიმდინარე მოვლენების გაკონტროლებასთან. ამ მხრივ ინტერნეტი სახელმწიფო სისტემის ერთ-ერთ მთავარ ტრანსნაციონალურ გამოწვევად რჩება.

საწყის ეტაპზე ინტერნეტის განვითარებას დიდწილად შეერთებული შტატების მთავრობა უწყობდა ხელს. კომპიუტერების ურთიერთდამაკავშირებელი ქსელი, რომელსაც დღესდღეობით სხვადასხვა სახის მიზნებისთვის ვიყენებთ, იქნება ეს ინფორმაციის მოძიება, მეგობრებთან ურთიერთობა, სპორტული შედეგების შემოწმება თუ ცხელი პიცის შეკვეთა, თავდაპირველად შეერთებული შტატების კვლევითი პროგრამის საფუძველზე შეიქმნა. 1960-იანი და 1970-იანი წლების დასაწყისში ფიქრობდნენ, რომ ასეთი ქსელის შექმნა ხელს შეუწყობდა და წაახალისებდა მეცნიერულ კვლევებს, რაც შეერთებულ შტატებს საბჭოთა კავშირსა და სხვა კონკურენტ სახელმწიფოებზე ტექნოლოგიური უპირატესობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაში დაეხმარებოდა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი – ექსპერტები შიშობდნენ, რომ საბჭოთა კავშირთან ომის შემთხვევაში, დიდი ალბათობით, სამხედრო დაპირისპირება ბირთვულ ომში გადაიზრდებოდა და სახელმწიფო კომუნიკაციებსა თუ სამხედრო მართვის ოპერატიული სისტემის ტრადიციულ ცენტრალიზებულ საშუალებებს საფრთხე დაემუქრებოდა. ამ მიზნის განსახორციელებლად, აშშ-ის მთავრობამ თავდაცვის სამინისტროსთან არსებული პერსპექტიული კვლევების პროექტის სააგენტოს (Defense Advanced Research Projects Agency (DARPA) (*თავდაპირველად* Advanced Research Projects Agency (ARPA) მეშვეობით შეერთებული შტატების უნივერსიტეტებსა და კორპორაციებში დეცენტრალიზირებული კომპიუტერული ქსელის შექმნის პროექტის დაფინანსება დაიწყო.

ინტერნეტის ეს ადრეული ისტორია თანხვედრაში მოდის რეალისტურ მსოფლმხედველობასთან. „თვითდახმარების“ კლასიკური გაგებით, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე თავისი სამხედრო მზადყოფნის გასაძლიერებლად შესაბამისი პროგრამის დაფინანსება გადაწყვიტა. მართლაც, ARPA, რომელიც ცივი ომის უშუალო ნაყოფად ითვლება, დედამიწის ორბიტაზე 1957 წელს გაშვებული პირველი ხელოვნური თანამგზავრის – „სპუტნიკი“ – საპასუხოდ შექმნეს. სატელიტური ტექნოლოგიები სამხედრო დანიშნულებითაც უნდა გამოეყენებინათ. ამგვარად, „სპუტნიკის“ წარმატებული გაშვებით გაოცებულმა და შეშფოთებულმა შეერთებულმა შტატებმა ამ ახალი საბჭოთა ტექნოლოგიური გამოწვევის საპირწონედ ARPA-სა და სხვა მრავალ პროგრამას ჩაუყარა საფუძველი.

მთავრობის ჩართულობის მიუხედავად, „დღესდღეობით ინტერნეტის კონტროლისა და მართვის სადავეები ძირითადად კერძო სტრუქტურების ხელშია თავმოყრილი“.[56] ზოგიერთი ადამიანის აზრით, ინტერნეტი სახელმწიფოთა ავტორიტეტსა და გავლენას საფრთხეს უქმნის.

სახელმწიფოს გამოწვევა

სახელმწიფოს უფლება აქვს საკუთარ ტერიტორიაზე კონტროლი განახორციელოს. საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოს ოფიციალური აღიარებისა და ამ აღიარების გამომწვევი ყველა მიზეზის (*მაგ: დიპლომატიური წარმომადგენლობა, ადგილები გაეროში*) მიხედვით, სახელმწიფო განსაზღვრული გეოგრაფიული ტერიტორიის კონტროლის უფლებას იტოვებს.

როდესაც ინტერნეტკომუნიკაციებზე ვსაუბრობთ იგი გულისხმობს გეოგრაფიულ თავისუფლებას. კომპიუტერებს სხვადასხვა მიზნისთვის ვიყენებთ. სხვა პროდუქციისგან განსხვავებით, იქნება ეს ავტომობილები თუ ტანისამოსი, რომლებიც ყოველთვის ერთ კონკრეტულ ადგილას შეხვდებით, ინტერნეტში თავმოყრილი ინფორმაცია ერთდროულად ყველგანაა გაბნეული. ეს მდგომარეობა წინააღმდეგობაში მოდის სუვერენული სახელმწიფოების უფლებამოსილებასთან სამ ურთიერთდაკავშირებულ სფეროში.

ინფორმაციაზე კონტროლი ინტერნეტი ინფორმაციის გავრცელებაზე კონტროლის დაწესებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს ბრძოლაში იწვევს. ეს რეალობა პრობლემას უქმნის ავტორიტარულ რეჟიმებს, რომელთა ძალაუფლების მდგრადობაც მთელ რიგ შეზღუდვაზეა დამოკიდებული. არადემოკრატი ლიდერები გულდასმით აკონტროლებენ ინფორმაციის ნაკადსა და მასზე წვდომის საშუალებებს. ავტორიტარული რეჟიმების მეთაურებმა კარგად უწყიან, რომ ინფორმაციულმა თავისუფლებამ მათი რეჟიმების სტაბილურობას შეიძლება ძირი გამოუთხაროს. ჩემი სიტყვების ნათელი დადასტურებაა ყოფილი საბჭოთა კავშირის მმართველი კომუნისტური რეჟიმი, რომელიც გაზეთების, ჟურნალების, ტელევიზიის, რადიოსა და გამომცემლობების ჩათვლით ყველა საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებას აკონტროლებდა. მამაცი რეპორტიორების, მწერლების, ტელე-რადიო წამყვანებისა თუ რედაქტორების მხრიდან გამოვლენილი ნებისმიერი სახის ურჩობის აღსაკვეთად, რაც კომუნისტური პარტიის ოფიციალურ კურსს ეწინააღმდეგებოდა, ცენზორები ინფორმაციის გავრცელებამდე ყველაფერს კითხულობდნენ და ამოწმებდნენ.

მეოცე საუკუნის მიწურულს ახალმა ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა სახელმწიფო ცენზორებს საგრძნობლად გაურთულა საქმიანობა. 1989 წელს კორუფციისა და რეპრესიების გასაპროტესტებლად პეკინში ტიანანმენის მოედანზე ადგილობრივი სტუდენტები შეიკრიბდნენ. საზღვარგარეთ მყოფი ჩინელი სტუდენტები თანამემამულეებს მსოფლიოს რეაქციისა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, რომელთა შესახებაც ჩინეთის ოფიციალური საინფორმაციო საშუალებები კრინტს არ ძრავდნენ, ფაქსის აპარატებით აყენებდნენ საქმის კურსში. 1991 წლის აგვისტოს მოვლენების დროს, როდესაც მკაცრი პოლიტიკის გატარების მომხრეებმა რეფორმისტი მიხეილ გორბაჩოვის დასამხობათ სახელმწიფო გადატრიალება მოაწყვეს, მსოფლიო საზოგადოება მოსკოვის ქუჩებში განვითარებულ მოვლენებს ტელეარხ „სიენენის“ (CNN) მეშვეობით ეცნობოდა.

წინა შემთხვევებისგან განსხვავებით, 2010-2011 წლებში დაწყებული ანტისამთავრობო საპროტესო ტალღის – „არაბული გაზაფხული“ – აგორებაში მთავარი როლი სოციალურმა მედიამ შეასრულა. ერთი კვლევის თანახმად, რომელიც 2011 წლის მოვლენების დასრულებისთანავე ჩატარდა, სხვადასხვა არაბულ ქვეყანაში პოლიტიკური დებატების დაწყება, ასევე დემოკრატიული იდეების გავრცელება და რევოლუციური მოძრაობების წახალისება სწორედ სოციალურმა მედიამ უზრუნველყო.[57] მართლაც, ამ რეგიონში მოქმედი ავტორიტარული რეჟიმების მცდელობებმა, დაებლოკა „ფეისბუქი“ და სხვა ვებგვერდები, შედეგი ვერ გამოიღო. ახალმა საკომუნიკაციო საშუალებებმა საპროტესო ტალღის აგორებასა და გაძლიერებაში ლოკომოტივის ფუნქცია იტვირთეს. მაგალითად, ეგვიპტეში „გუგლის“ (Google) თანამშრომლის, ვაილ გონიმის (Wael Ghonim), თაოსნობით რეჟიმის მოწინააღმდეგ ერთი ბლოგერის (*რომელიც პოლიციელებმა სიკვდილამდე სცემეს*) ღირსების დასაცავად „ფეისბუქში“ შექმნილ ჯგუფში ძალიან მალე სამასი ათასზე მეტი ადამიანი გაწევრიანდა. გონიმი დააპატიმრეს, თუმცა უკვე გვიანი იყო. რეჟიმი უკანასკნელ დღეებს ითვლიდა.

„არაბული გაზაფხულის“ (Arab Spring) ეგვიპტური ეპიზოდი 2011 წლის 25 იანვარს, ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში, ტაჰრირის მოედანზე, დაიწყო. თქვენი აზრით, რამდენად მდგრადია ავტორიტარული რეჟიმების ძალაუფლება ინტერნეტისა და სოციალური მედიის ეპოქაში?

ეგვიპტის პრეზიდენტის, ჰოსნი მუბარაქის (Hosni Mubarak), ოცდაათწლიანი მმართველობის დასრულებაში ლომის წვლილი „ტვიტერმაც“ შეიტანა. ამ ერთ-ერთი პოპულარული სოციალური ქსელის კედელზე გამოქვეყნებული „ტვიტები“ არა მხოლოდ ეგვიპტელებს ამარაგებდა ინფორმაციით მიმდინარე მოვლენების შესახებ, არამედ ამავე რეგიონის სხვა ქვეყნებში რევოლუციური შეტყობინებების გავრცელების ავანგარდში იდგა.

ავტორიტარული რეჟიმებისთვის, რომლებიც ინფორმაციაზე მონოპოლიის შენარჩუნებას ცდილობენ, ინტერნეტი და სოციალური მედია თავის ტკივილის ერთ-ერთ გამომწვევ ფაქტორად იქცა. ისინი რადიოსა და ტელევიზიის დარად, ინფორმაციის გამავრცელებელი საინფორმაციო საშუალებები არიან, თუმცა მათგან განსხვავებით, ძვირადღირებულ ტელესტუდიასა თუ გადამცემ კოშკურას არ საჭიროებენ. სმარტფონის მქონე ადამიანს „ფეისბუქის“ ან „ტვიტერის“ მეშვეობით შეუძლია სულ რამდენიმე წამში ათასობით ადამიანს კონკრეტული ინფორმაცია მიაწოდოს. ინტერნეტი ტელევიზიისა და რადიოს აუდიტორიას აერთიანებს.

მრავალი დასავლელი მიმომხილველის პროგნოზით, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები ავტორიტარული რეჟიმების დასასრულსა და მთელ მსოფლიოში დემოკრატიის ახალი ერის გამოცხადებას შეუწყობენ ხელს. ამასთან დაკავშირებით ჯორჯ უ. ბუშის ადმინისტრაციაში სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა (Colin Powell) განაცხადა: „დემოკრატიული განვითარება და ინფორმაციული რევოლუციის ძალა ერთმანეთის ძალისხმევას აერთიანებს“.[58] ახლა კი მოვუსმინოთ ჯორჯ უ. ბუშს, რომელმაც 1999 წლის საარჩევნო დებატებისას შენიშნა: „წარმოიდგინეთ, ჩინეთში, რომ ინტერნეტი გაჩნდეს, თავისუფლება როგორი სისწრაფით გავრცელდება“.[59] ამ მოსაზრებას საფუძვლად ედო რწმენა, რომლის თანახმადაც საკუთარი ქვეყნებისა და, ზოგადად, მსოფლიოს შესახებ არსებული უფრო დაწვრილებითი და ზუსტი ინფორმაცია, რომელიც გაერთიანებულია **სადემონსტრაციო ეფექტებთან (Demonstration Effects)** იმასთან დაკავშირებით თუ როგორ აღიქვამენ სხვა ქვეყნის მოქალაქეები საკუთარი რეპრესიული რეჟიმის დამხობას, დიდი ალბათობით მსოფლიოში დარჩენილ დიქტატორებს ძალაუფლებას დააკარგვინებდა.

სადემონსტრაციო ეფექტები – *გავლენას ახდენენ ადამიანების ქმედებაზე, რაც სხვა პირების საქციელზე დაკვირვებით არის გამოწვეული. მაგალითად, სხვა ქვეყნებში წარმატებით განხორციელებული რევოლუციები ბიძგს აძლევენ სახალხო მღელვარების მასიურ დაწყებას.*

ამავდროულად, ზოგიერთი მიმომხილველის თქმით, ინტერნეტი მხოლოდ ავტორიტარულ რეჟიმებს არ უქმნის პრობლემებს. მსგავსი გამო-

წვევების წინაშე დემოკრტიული სახელმწიფოებიც დგანან. დროდადრო ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფოებიც კი ცდილობენ, ხშირად მოსახლეობის მხარდაჭერის ფონზე, საინფორმაციო თუ გასართობი ვებგვერდების გაკონტროლებას. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია პორნოგრაფია, განსაკუთრებით კი მისი ერთ-ერთი ქვეჟანრი ბავშვთა პორნოგრაფია. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ყველაზე მგზნებარე ლიბერტარიანელებიც კი ეთანხებიან ასეთი მასალების წვდომაზე შეზღუდვების დაწესებას. თუ მარეგულირებელი ქვეყნის ტერიტორიაზე განთავსებული სერვერებიდან ვებგვერდებზე ასეთი შინაარსის სურათების ატვირთვა კანონის ძალით მკაცრად რეგულირდება, საზღვარგარეთ განთავსებული სერვერიდან ატვირთულ ასეთ სურათებზე წვდომას კანონი ვერ ზღუდავს. მსგავს გამომწვევებს აწყდებიან ის სახელმწიფოებიც, რომლებსაც ექსტერიტორიალურ ადგილებში განთავსებული სერვერებიდან გაშვებული ინტერნეტგემბლინგის დარეგულირება ან აკრძალვა სურთ.

2010 წელს ინტერნეტმა სახელმწიფოს კიდევ ერთი პრობლემა შეუქმნა. „ვიკილიქსმა“ (WikiLeaks) ავღანეთში შეერთებული შტატების გაჩაღებულ ომთან დაკავშირებით ოთხმოცდათი ათასზე მეტი საიდუმლო დოკუმენტი გამოაქვეყნა. 2007 წელს ინტერნეტში გაშვებული „ვიკილიქსის“ ვებგვერდის თანახმად, მის მიზანს წარმოადგენს „ჟურნალისტებისათვის ინოვაციური, უსაფრთხო და ანონიმური მეთოდებით ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა“.[60] სახელმწიფოსთვის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ გაზეთებისა და ტელევიზიისგან განსხვავებით, „ვიკილიქსისა“ და მისი პერსონალის საქმიანობაზე სახელმწიფოებს, რომლებსაც საიდუმლო დოკუმენტების არასანქცირებული გამოქვეყნების გამო უფლება აქვთ სასამართლოში იჩივლონ და დამნაშავე სისხლის სამართლის წესით დასაჯონ, ხელი არ მიუწვდებათ. ეს კი, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ თანამედროვე ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიებს ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფოების სუვერენიტეტის განადგურებაც კი ძალუძთ.

არასახელმწიფოებრივი აქტორების უფლებამოსილება ინტერნეტის მხრიდან წამოსული კიდევ ერთი გამოწვევა, რომელიც სახელმწიფო სუვერენიტეტს გარკვეული სახის საფრთხეს უქმნის, არის ის წვლილი, რომელიც არასახელმწიფოებრივი აქტორების, მათ შორის ცალკეული პირებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების უფლებამოსილების გაზრდაში შეიტანა. გავრცელებული ინფორმაციით, მთელ მსოფლიოში ათი ათასობით არასამთავრობო ორგანიზაცია მოქმედებს, იქნება ეს „ემნესთი ინთერნეშენალი“ (Amnesty International), „ალ-ქაიდა“ (al-Qaeda) თუ სხვა. მეოცე საუკუნის მიწურულს ტელესაკომუნიკაციო სფეროში მომხდარმა რევოლუციამ ეს ორგანიზაციები დიდი უფლებამოსილებით აღჭურვა. პირველი, იქიდან გამომდინარე, რომ ინტერნეტს ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების შესაძლებლობა გააჩნია, არასახელმწიფოებრივი აქტორები მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით სახელმწიფოს ოფიციალურ უწყებებს უკეთ უმკლავდებიან. ინტერნეტს ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებს როგორც „ემნესთი ინთერნეშენალი“ ისევე „ალ-ქაიდა“. მეორე, ინტერნეტი მთელ მსოფლიოში ერთობის შეგრძნებას აღვივებს. იგი აერთიანებს ადამიანის უფლებათა დამცველ აქტივისტებს, გარემოსდამცველებს ან ამერიკის მოძულე ტერორისტებს. ინტერნეტი ხელს უწყობს, რომ ამ უკანასკნელთა ტრანსნაციონალური კავშირები და ინტერესები მათთვის უფრო მნიშვნელოვანი გახდეს, ვიდრე ეროვნული იდენტურობა და ინტერესები. ზოგიერთი მიმომხილველის თქმით, გამორიცხული არ არის, რომ უახლოეს მომავალში **საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოების (Global Civil Society)** წარმოშობის მომსწრე შევიქნათ. როგორც „გლო-

საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოება – *ტრანსნაციონალურ საწყისებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზაციების ქსელი. ეს ცალკე მდგომი ორგანიზაციები ხშირად უპირისპირდებიან სახელმწიფო ინსიტუტების ძალაუფლებასა და უფლებამოსილებას.*

ბალური მართვის შემსწავლელმა ცენტრმა“ (Centre for the Study of Global Governance) განსაზღვრა, საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოება ეს არის „ადამიანების, მოვლენების, ორგანიზაციებისა და ქსელების მოქმედების არეალი, რომელიც ოჯახის წევრებს, სახელმწიფოსა და ბაზრებს შორის არსებობს, და რომელიც ეროვნული საზღვრებს მიღმა, ტრანსნაციონალურ ასპარეზზე ფუნქციონირებს“.[61] მსოფლიო სახელმწიფოებისთვის ეს იმას ნიშნავს, რომ მათი გატარებული პოლიტიკა და გადადგმული ნაბიჯები წინააღმდეგობაში მოდის არა მარტო საკუთარი მოქალაქეების ინტერესებთან ან სხვა ქვეყნების ოფიციალურ პოლიტიკურ კურსთან, არამედ ასევე ტრანსნაციონალურ ქსელებსა და ორგანიზაციებთან, რომლებიც ერთმანეთს ინტერნეტით უკავშირდებიან.

საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოების ფართო შესაძლებლობებისა და უფლებამოსილების ერთ-ერთი ნათელი მაგალითია „ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანია“ (International Campaign to Ban Landmines (ICBL). ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის დაბალმა ტემპმა 1990-იანი წლების დასაწყისში აქტივისტების იმედგაცრუება გამოიწვია. სანამ სახელმწიფოები თათბირობდნენ „იარაღის შესახებ ხელშეკრულებაზე“ (Convention on Conventional Weapons (CCW) – 1980 წელს დადებული ეს ხელშეკრულება ეხება ისეთ საკითხებს, რომლებიც ომის დროს არაკომბადანტების უსაფრთხოებაზე ახდენენ გავლენას – მილიონობით ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს ყოველწლიურად ათასობით სამოქალაქო პირის სიცოცხლეს ეწირებოდა.

1992 წელს დაარსებული ICBL აერთიანებს ათობით ქვეყანაში მოქმედ ათასზე მეტ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლებიც ადამიანის მომაკვდინებელი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების დაუყოვნებლივ და სრულ აკრძალვას ცდილობენ. 1996 წელს კანადის დედაქალაქ ოტავაში გამართულ კონფერენციაზე „ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანია“ ნაღმების ამკრძალავი ახალი და სეპარატული ხელშეკრულების მისაღებად ადგილობრივ ხელისუფლებასთან მჭიდროდ თანამშრომლობდა. ამ ხელშეკრულებას არაეფექტური CCW უნდა ჩაენაცვლებინა. ICBL-მა, რომელიც ყოველთვის ეფექტურად იყენებდა ინტერნეტს, ოტავას კონფერენციის მსვლელობისას მთელ მსოფლიოში გაფანტული მხარდამჭერები ელექტრონული ფოსტისა და მსოფლიო ინტერნეტქსელის მეშვეობით დარაზმა და ისინი საჭირო მონაცემებით, თემებით და სხვა სასარგებლო ტაქტიკური რჩევებით მოამარაგა. ICBL-ი სახელმწიფოებსა და მათ მოქალაქეებს კონკრეტულ ინფორმაციასა და ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებით დაშავებულთა ფოტოსურათებს ინტერნეტით უგზავნიდა.

„ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის“ ძალისხმევამ შედეგი მალევე გამოიღო. 1997 წელს ოტავას ხელშეკრულებას (Ottawa Treaty ან Mine Ban Treaty) მოაწერეს ხელი. ხელშეკრულება, რომლის რატიფიცირებაც ორმოცმა სახელმწიფომ მოახდინა, 1999 წლის მარტში შევიდა ძალაში. 2015 წლის მდგომარეობით, ამ ხელშეკრულებას ას სამოცდაორი ქვეყანა აწერდა ხელს. ICBL-ი ინტერნეტით დღემდე ზეწოლას ახდენს იმ სახელმწიფოებზე (*მათ შორის აშშ, რუსეთი და ჩინეთი*), რომლებსაც ჯერ კიდევ არ მოუხდენიათ ზემოხსენებული ხელშეკრულების რატიფიცირება. 1997 წელს კანადის იმჟამინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა: „არასამთავრობო ორგანიზაციები მრჩევლისა და ადვოკატის როლს აღარ სჯერდებიან. დღესდღეობით ისინი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობენ“. მართლაც, ICBL-ის წარმატებით შეშფოთებული ზოგიერთი ადამიანის განცხადებით,

ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები და თანამედროვე ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიები ხელს უშლიან სახელმწიფოებს დაიცვან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეროვნული ინტერესები.

კიბერტერორიზმის – *კომპიუტერულ ქსელებზე უკანონო თავდასხმა, რათა დააშინო ან აიძულო სახელმწიფო ან მისი მოქალაქეები შეცვალოს პოლიტიკური კურსი ან პოლიტიკური მიზნების განხორციელების მექანიზმები და საშუალებები.*

კიბერტერორიზმი ბოლო წლებში არ ცხრება ვნებათაღელვა იმასთან დაკავშირებით, რომ ტერორისტებმა თავიანთი პოლიტიკური დღის წესრიგის განსახორციელებლად შეიძლება კიბერსივრცეზე მოიპოვონ უპირატესობა. ტერმინი **კიბერტერორიზმი (Cyberterrorism)** გულისხმობს – „კომპიუტერებზე, ქსელებსა და მასში შენახულ ინფორმაციაზე უკანონო თავდასხმასა და თავდასხმის საფრთხეებს, რათა დააშინო ან აიძულო სახელმწიფო ან მისი მოქალაქეები პოლიტიკური ან სოციალური მიზნების მხარდაჭერაში“.[63] კიბერტერორიზმი შეიძლება აერთიანებდეს კომპიუტერული ქსელებისა და ვებგვერდების მწყობრიდან გამოსაყვანად მასიურ სპამ-თავდასხმებს, კომპიუტერული ვირუსების გავრცელებასა და სხვა სახის უკანონო მცდელობებს. არანაკლებ შემაშფოთებელია ის ფაქტიც, რომ კიბერტერორისტებმა შეიძლება უკანონოდ შეაღწიონ კომპიუტერებში და სხვადასხვა სფეროს (*საჰაერო მოძრაობა, კაშხლები, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვ.*) მარეგულირებელი კომპიუტერული სისტემების მართვის ბერკეტები ჩაიგდონ ხელში. მოვლენების ამგვარი განვითარება საფრთხეს შეუქმნის ეკონომიკურ ინფრასტრუქტურასა და ადამიანთა სიცოცხლეს.

კიბერტერორიზმსა და ჩვეულებრივ კომპიუტერულ დანაშაულს ერთმანეთისგან პოლიტიკური მოტივის არსებობა ან არარსებობა განასხვავებს. უდავოა, რომ ვირუსების, სპამების შექმნა/გაგზავნა და კომპიუტერული ქსელების გატეხვა, როგორც წესი, გამოწვეულია ეკონომიკური სარგებლის მიღების ან უბრალოდ „სპორტული ინტერესების“ მიზნით და არაფერი აკავშირებს ტერორიზმთან. ზოგიერთი მიმომხილველის განცხადებით, კიბერტერორიზმის საშიშროება ძალზე გაზვიადებულია. ამის მიუხედავად, სახელმწიფოები ამ საფრთხეს სერიოზულ თავის ტკივილად მიიჩნევენ და კიბერტერორიზმის არაერთ საყურადღებო გამოვლინებაზე მიუთითებენ.

2007 წლის მაისში ესტონეთში სამთავრობო დაწესებულებების, კერძო კომპანიების, ბანკებისა და პოლიტიკური პარტიების ვებგვერდებზე მასიური კიბერშეტევა განხორციელდა. სამკვირიანი თავდასხმის შედეგად მრავალმა მათგანმა ფუნქციონირება შეწყვიტა. თავდასხმის დრო ესტონეთის დედაქალაქიდან საბჭოთა ეპოქის დროინდელი ომის მემორიალის აღებას დაემთხვა. იმ დროს, როცა მომხდართან დაკავშირებით რუსეთის ფედერაცია პასუხისმგებლობის აღებას თავს არიდებდა, მავანთა მტკიცებით, პოლიტიკური მოტივებით განხორციელებული კიბერთავდასხმების მთელი ეს კასკადი ერთი კონკრეტული ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული კიბერშეტევის ნათელი მაგალითი იყო.[64] ესტონეთის მთავრობას ამ თავდასხმებზე პასუხისმგებელი პირების დასჯის ბერკეტები არ გააჩნდა.

2010 წელს მსოფლიო ქსელში გავრცელებული კომპიუტერული ვირუსი „სთაქსნეთი“ (Stuxnet), რომელიც, როგორც ამბობენ, ისრაელისა და შეერთებული შტატების სპეცსამსახურებმა შექმნეს, ძირითადად ირანის ბირთვული პროგრამის წინააღმდეგ იყო მიმართული. ვირუსმა ირანის ქალაქ ნეთენზში (Natanz) მდებარე ბირთვულ ობიექტში განთავსებული ცენტრიფუგები მწყობრიდან გამოიყვანა. ცენტრიფუგას დასაზიანებლად შექმნილი სპეციალური კომპიუტერული კოდის გამოყენებით ელექტროგადამცემი ხაზის, კაშხლის მუშაობის ან საჰაერო მოძრაობის დაზიანებაა შესაძლებელი.

2015 წელს შეერთებული შტატების სადაზვერვო უწყებამ გლობალური საფრთხეების შეფასებისას ეროვნული უსაფრთხოების მთავარ გამოწვევად კიბერსაფრთხეები დაასახელა. ეს შეტყობინება სენატის შეიარაღებული ძალების კომიტეტის წინაშე აშშ-ის ეროვნული დაზვერვის (National Intelligence (NI) დირექტორის, ჯეიმს კლეპერის (James Clapper), გამოსვლამაც გაამყარა. მისი სიტყვით, კიბერსაშიშროების „სიხშირის, მასშტაბის, სიზუსტისა და სიმწვავის ეფექტი“ ყოველდღიურად იზრდება.[65] ზოგიერთი კიბერთავდასხმის უკან სახელმწიფოები დგანან. ამგვარად, რეალისტები ქვემეხების, ტანკების, ჯარისკაცებისა და ბომბების კვალდაკვალ კიბერსაფრთხეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან იარაღად მიიჩნევენ. მრავალ ქვეყანას, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებს, რუსეთის ფედერაციასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ძალიან მაღალი დონის კიბერშესაძლებლობები გააჩნიათ. კლეპერის თქმით, 2014 წელს იაპონურ კომპანია „სონიზე“ (Sony) განხორციელებულმა კიბერთავდასხმამ აშშ-ის ინტერესები ძალიან დააზარალა. ამ კიბერშეტევის უკან, სავარაუდოდ, ჩრდილოეთი კორეა იდგა.[66] თავდასხმის შედეგად კომპანიის მრავალი კომპიუტერი ინოპერაბელური გახდა, კიბერთავდამსხმელებს კი საიდუმლო კორპორაციული და პერსონალური ინფორმაცია ჩაუვარდათ ხელში.

ჯეიმს კლეპერის თქმით, შეერთებულ შტატებს კიბერთავდასხმის საფრთხე ემუქრება არა მხოლოდ სხვა ქვეყნებისგან, არამედ ტერორისტებისგან, ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფებებისა და თვით ცალკეული პირებისგან. NI-ის დირექტორმა ასევე ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდაჭერით მოქმედი ე.წ. „კიბერხალიფატი“ (Cyber Caliphate) თავისუფლად აღწევს აშშ-ის შეიარაღებული ძალების ცენტრალური სარდლობის (United States Central Command (CENTCOM) „ტვიტერის“ ანგარიშსა და „იუთუბის“ გვერდზე. ცნობისათვის, CENTCOM-ი კოორდინაციას უწევს შეერთებული შტატების სამხედრო მოქმედებებს ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ აფრიკასა და ცენტრალურ აზიაში. ფაქტობრივად, კიბერთავდასხმების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად დღემდე რჩება ატრიბუცია – ხშირ შემთხვევაში ასეთ თავდასხმებზე პასუხისმგებელი პირის ვინაობის დადგენა საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმეა. კიბერთავდამსხმელები ადვილად კვეთენ სუვერენული სახელმწიფოების საზღვრებს, რადგან ორი ტერიტორიის გამყოფი ხაზის დაცვა და შემდგომი თავდასხმების თავიდან აცილება მათი ნიშანთვისებიდან და თავდამსხმელთა ვინაობის დადგენის სირთულიდან გამომდინარე დიდ პრობლემას წარმოადგენს.

სახელმწიფოს საპასუხო ქმედება

მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტი სუვერენული სახელმწიფოებისთვის ახალ თავის ტკივილად იქცა, ისინი ამ გამოწვევის წინაშე არც ისე უმწეოდ გამოიყურებიან. სახელმწიფოები ახალ საინფორმაციო ტექნოლოგიებს ადამიანთა თვალთვალისთვის იყენებენ.[67]

კომპიუტერის ეკრანის უკან კონკრეტული ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი იმალება. ბავშვთა პორნოგრაფიის გამავრცელებლები ან გემბლინგვებგვერდების შემქმნელები, რომლებსაც შეერთებული შტატების ბაზარზე სურთ ფეხის მოკიდება, მის საზღვრებს გარეთ მოქმედებენ, რადგან აშშ-ში ასეთი საქმიანობა კანონით ისჯება. კანონდამრღვევებს კი პატიმრობა და აპარატურის კონფისკაცია ელით. მაგალითად, შეერთებული შტატებს რუსეთში „მოღვაწე“ პირის, თუნდაც ის ინტერნეტში ბავშვთა პორნოგრაფიას ავრცელებდეს, დასჯა არ შეუძლია. ამერიკელი სამართალდამცავი ორგანოების უფლებამოსილება მსგავსი ტიპის დანაშაულზე მხოლოდ ქვეყნის საზღვრებს შიგნით ვრცელდება. ყველაფრის

მიუხედავად, სახელმწიფოებს კიბერსივრცეში მიმდინარე პროცესების დარეგულირება თავისუფლად შეუძლიათ. პირველ რიგში მათ ყურადღება უნდა მიაქციონ იმ შუამავლებს, რომლებიც ინფორმაციის მიმწოდებელსა და ბოლო მიმღებს ერთმანეთთან აკავშირებენ.

ინტერნეტის ნებისმიერმა მომხმარებელმა კარგად უწყის ამ შუამავლების შესახებ. პირველი, ინტერნეტ-პროვაიდერი (ISP). ტელესაკომუნიკაციო კომპანია „კომკასტი“ (Comcast) და სატელეფონო კომპანია „ვერაიზონი“ (Verizon) ქსელურ მოწყობილობასა და კომპიუტერულ პროგრამებს ისე უზრუნველყოფენ, რომ არცერთ კომპიუტერს არ შეეძლოს მეორე კომპიუტერზე წვდომა. იმ დროს, როცა მათი პროდუქცია, რომელიც ელექტრონებისგან შედგება, მსოფლიო კომპიუტერების ეკრანებზე ტექსტებად და გამოსახულებად ჩნდებიან, მათი სათავო ოფისები, სატვირთო მანქანები, პერსონალი, მრავალძარღვიანი სადენები და როუტერები სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარეობენ. მეორე, საძიებო სისტემა. „გუგლისა“ და სხვა მსგავსი ვებგვერდების გარეშე მსოფლიო კომპიუტერული ქსელი (Worl Wide Web (WWW) გამოუსადეგარ საინფორმაციო ჯუნგლს დაემსგავსებოდა. ასეთი ვებგვერდები კიბერსივრცეში, რომელშიც მილიარდობით ვებგვერდია შექმნილი, გზის გაკვლევაში გვეხმარებიან. მესამე, ფინანსური შუამავლები. ნებისმიერ დროს, როდესაც გადასახადს აწესებენ ვიღაცამ უნდა დააფიქსიროს ტრანსაქცია, შემდეგ თავი მოუყაროს თანხებს და სხვა ანგარიშებზე გადარიცხოს. ყველაზე ხშირად ასე იქცევა პროდუქციის საკრედიტო ბარათებით გამყიდველი კომპანია ან სპეციალიზირებული ელექტრონული გადახდის სისტემა როგორიცაა „ფეიფალი“ (PayPal). ამ შუამავლების დახმარებით სახელისუფლო ორგანოებს შეუძლიათ ბოლო მომხმარებლებს კომპიუტერებზე წვდომა შეუზღუდონ.

ამის თვალსაჩინო მაგალითია ჩინეთის შემთხვევა. იმედებისა და მოლოდინების მიუხედავად, რომლის თანახმადაც ინტერნეტი ჩინეთის ავტორიტარულ რეჟიმს ძირს გამოუთხრიდა, ჩინეთმა ინტერნეტის ეფექტური გაკონტროლების მექანიზმები შეიმუშავა. ჩინეთის დიდი კედლის დღევანდელი ვერსია გახლავთ ონლაინბრანდმაუერი (*ე.წ.* Internet Firewall), რომელიც საეჭვო ვებგვერდებიდან გამოგზავნილ ინფორმაციას ან რამდენიმე სიტყვიან ელექტრონულ წერილებს დაუყოვნებლივ ბლოკავს. ორმოცდაათი ათასი კაცით დაკომპლექტებული არმია, რომელიც მთავრობის დავალებით ჩინეთის ონლაინქსელს იცავს, სენსიტიური პოლიტიკური თემებით აჭრელებულ საიტებს ეძებს. ერთი პოლიტოლოგის თქმით, ეს ორმოცდაათი ათასი ცენზორი განსაკუთრებული მონდომებით ბლოკავს ყველა ანტისამთავრობო აქტიურობასა და ინფორმაციას. რაოდენ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, ეს ადამიანები მათზე დაკისრებულ მოვალეობას შესანიშნავად ართმევენ თავს.[68] „დიდ ბრანდმაუერს“ (Great Firewall) თან ერთვის „დიდი ქვემეხი“ (Great Cannon), რომელიც ინტერნეტტრაფიკის ნაკადს „გითჰაბისკენ“ (GitHub) აგზავნის. ეს დაშიფრული ვებგვერდი ეხმარება მათ, ვისაც სურს, რომ ადვილად და შეუმჩნევლად აუაროს გვერდი დიდ ბრანდმაუერს. სანამ დანაშაულებრივი გვერდები არ წაიშლება, დიდმა ქვემეხმა შეიძლება მიზანში ამოღებული ვებგვერდები გაანადგუროს.

ჩინეთის მთავრობამ რეჟიმისთვის საფრთხისშემცველი ინფორმაციისა და თემების მაძიებელთა ვინაობის დასადგენად „გუგლის“ საძიებო სისტემზე ეფექტური ზეწოლა განახორციელა. 2006 წელს უმსხვილესი ამერიკული ტექნოლოგიური კომპანიისა და ჩინეთის მთავრობის ურთიერთობამ დიდი ყურადღება მას შემდეგ მიიპყრო, როდესაც საძიებო სისტემამ, რომლის დევიზია „არ ჩაიდინო ბოროტება“, თანხმობა განაცხა-

და ცენზურაში გაეტარებინა ჩინეთში მცხოვრები ადამიანების ონლაინძიების შედეგები. ირონია იმაში მდგომარეობდა, რომ „გუგლმა“ ამის შესახებ 2006 წლის იანვარში განაცხადა, მალევე მას შემდეგ, როდესაც აღნიშნა, რომ იგი წინააღმდეგობას გაუწევდა ბუშის ადმინისტრაციის მოთხოვნას გადაეცა მისთვის ონლაინძიების მონაცემები, რათა აშშ-ის მთავრობას მკაცრი ზომები მიეღო პორნოსაიტების წინააღმდეგ. ჩინეთის შემთხვევაში „გუგლის“ მესვეურები ამტკიცებდნენ, რომ მათ სხვა არჩევანი არ დაუტოვეს: ან დაემორჩილებოდნენ ჩინეთის მთავრობის მოთხოვნებს ან ჩინეთის ბაზარზე ოპერირებისთვის საჭირო ლიცენზიას ვერ მიიღებდნენ. იმჟამად „გუგლის“ მთავარმა ადვოკატმა კომპანიის პერსონალური ვებგვერდის მეშვეობით განაცხადა: „ჩვენი ძიების შედეგების ფილტრაცია საფრთხეს უქმნის ჩვენს მისიას“.[70]

2010 წლის იანვარში ამერიკულ კომპანიასა და ჩინეთის მთავრობას შორის დაძაბულობამ მას შემდეგ იმატა, როდესაც „გუგლის“ ხელმძღვანელებმა ჩსრ-ს კიბერთავდასხმის განხორციელებაში დასდეს ბრალი. მათი თქმით, თავდამსხმელთა განსაკუთრებულ ინტერესს ჩინელი ადამიანის უფლებათა დამცველი აქტივისტების Gmail-ის ანგარიშები წარმოადგენდა. თავდასხმების შედეგად და ჩინეთის მთავრობის დაჟინებული მოთხოვნით დაიბლოკა სოციალური ქსელები – „ფეისბუქი“ (Facebook), „ტვიტერი“ (Twitter) და „იუთუბი“ (YouTube). ამ ნაბიჯის საპასუხოდ, ამავე წლის მარტში, „გუგლში“ განაცხადეს, რომ ისინი ასრულებდნენ ცენზურის პოლიტიკას ჩინურ საძიებო სისტემაში (Google.cn) და მომხმარებლებს ალტერნატივად სთავაზობდნენ კომპანიის ჰონგ-კონგის საძიებო სისტემას (Google.com.hk), სადაც ცენზურა არ მოქმედებდა.[71] თავის მხრივ, ჩინეთის მთავრობა ინტერნეტმომხმარებელთა შედეგების ფილტრაციისათვის ძალისხმევას არ იშურებდა. ჩინელებმა „გუგლზე“ ზეწოლის ახალი საშუალებები მონახეს. კერძოდ, დაემუქრნენ, რომ ჩინეთის უდიდესი ფიჭური კომპანიის მობილური ინტერნეტის მთავარ გვერდზე „გუგლის“ განთავსებასთან დაკავშირებულ გეგმებს გააუქმებდნენ.

ამ დღიდან მოყოლებული ჩინეთის მთავრობასა და ამერიკულ კომპანიას შორის ომი არ შეწყვეტილა, რადგან ჩინეთი დასავლურ ვებგვერდებზე წვდომას ძველი შემართებით ზღუდავს. გააცნობიერა რა სოციალური მედიის როლი „არაბული გაზაფხულის“ დაწყებაში, ჩინეთი გაცილებით მაამებლური ადგილობრივი ალტერნატიული ვებგვერდების სასარგებლოდ „ფეისბუქისა“ და „ტვიტერის“ დაბლოკვას კვლავინდებურად განაგრძობს, ასე იქცევა „გუგლთან“ მიმართებაშიც. 2014 წელს ამერიკულმა კომპანიამ ჩინეთში ყველა სახის მომსახურება დროებით შეაჩერა. იმავე წლის მიწურულს „გუგლის“ ჩინელი მომხმარებლები იტყობინებოდნენ, რომ კომპანიის საძიებო სისტემა და საფოსტო ანგარიშები იბლოკებოდა. როგორც ჩანს, ეს იყო ადგილობრივი მთავრობის სტრატეგიის ნაწილი, რათა ჩინელი მომხმარებლები ჩინურ საძიებო სისტემაზე, „ბაიდუზე“ (Baidu), გადასულიყვნენ. რაოდენ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, ამ სტრატეგიამ გაამართლა. თუ შემოსავლებით ვიმსჯელებთ, „ბაიდუს“ 2014 წლის მეოთხე კვარტალში „გუგლთან“ შედარებით ბაზრის ოთხმოცი პროცენტი ეკავა, ამერიკულ გიგანტს კი მხოლოდ თორმეტი პროცენტი.[72] განვითარებული მოვლენების მიუხედავად, „გუგლი“ 2014 წლის მონაცემებით, კვლავ დომინირებდა მსოფლიო საძიებო სისტემის ბაზარზე ორმოცდათოთხმეტი მთელი შვიდი მეათედი პროცენტით. თუმცა სწრაფმზარდ ჩინურ ბაზარზე „გუგლის“ ოპერაციების შეზღუდვამ, მსოფლიო მასშტაბით კომპანიის ბაზრის ხვედრითი წილის თანდათანობითი შემცირება გამოიწვია.[73].

ჩინეთის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ინტერნეტი დემოკრატიული სახელმწიფოების სუვერენიტეტს უფრო უქმნის საფრთხეს, ვიდრე

ავტორიტარული ქვეყნების სუვერენიტეტს. დემოკრატიულ სახელმწიფოში, რომელშიც გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების ხანგრძლივი ტრადიცია არსებობს, ინტერნეტის ცენზურასთან დაკავშირებით პოლიტიკური და სამართლებრივი კონსენსუსის მიღწევა რთული იქნება. როდესაც ბუშის ადმინისტრაცია 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ ინტერნეტ-პროვაიდერებისა და საძიებო სისტემებისგან მომხმარებელთა ონლაინაქტივობების შესასწავლად მონაცემებს ითხოვდა, „გუგლის“ წინააღმდეგობასა და ლიბერტარიანელთა აღშფოთებას წააწყდა. ასევე, შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს (National Security Agency (NSA) თაოსნობით ამერიკელთა სატელეფონო მეტამონაცემების საიდუმლოდ ხელში ჩაგდების ფაქტებმა მემარჯვენეებისა და მემარცხენეების აღშფოთება გამოიწვია, რადგან NSA-ს მოქმედებებს აშშ-ის მოქალაქეების პირად ცხოვრებაში ჩარევად და სამოქალაქო თავისუფლების შეზღუდვად მიიჩნევდნენ. 2013 წლის დასაწყისში ეუს-ს ყოფილი თანამშრომელის, ედუარდ სნოუდენის (Edward Snowden), მიერ საიდუმლო მონაცემების გასაჯაროებამ საჯარო დისკუსიებს დაუდო სათავე. 2015 წელს, ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს პროგრამა უკანონოდ ცნო.

ავტორიტარულ სახელმწიფოებში, მათ შორის ჩინეთში კი ყველაფერი პირიქითაა. ონლაინცენზურასა და მოქალაქეთა კომუნიკაციების ელექტრონულ მონიტორინგს სახელმწიფო მკაცრად აკონტროლებს. ჩინეთის მაგალითმა ნათლად დაგვანახა, რომ მტკიცე პოზიციას სასურველი შედეგი მოაქვს. 2014 წლისთვის ჩინური ვებგვერდების რიცხვმა ექვსას მილიონს გადააჭარბა, ხოლო მსოფლიოს მასშტაბით ინტერნეტის მომხმარებელთა ოცდაორი პროცენტი ჩინურ საძიებო სისტემას იყენებდა. ეს ყველაფერი ერთპარტიულ ჩინეთში უმტკივნეულოდ განხორციელდა, კომუნისტური პარტიის ყოველგვარი ძალაუფლების შესუსტების გარეშე.[74]

დასკვნა

წინამდებარე თავში განხილული სამი სადავო საკითხი ეკოლოგია, ინფექციური დაავადებები და ინტერნეტი ცხადყოფს, რომ მსოფლიოს შესახებ ტრადიციული სახელმწიფოებრივი შეხედულების ირგვლივ არსებული დაძაბულობა რეალისტური პარადიგმის საფუძველში ძევს. ამის ნაცვლად, ჩვენ რომ საერთაშორისო დანაშაული, ნარკოტიკების კონტრაბანდა ან ლტოლვილთა გადაადგილების მარშრუტები და მიგრაციის საკითხები შეგვესწავლა მონაცემები სავსებით განსხვავებული იქნებოდა, თუმცა არსებითად იგივე სურათს მივიღებდით. ამ შემთხვევებში ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი სუვერენული სახელმწიფოების სისტემასა და ახალ ტრანსსუვერენულ ძალებსა და აქტორებს შორის არსებული დაძაბულობაა. და, როგორც ჩანს, ოცდამეერთე საუკუნეში ისინი სახელმწიფო სისტემისათვის მთავარ გამოწვევად რჩებიან.

ამერიკელი პოლიტოლოგის, ჯეიმს როზენაუს (James Rosenau), თქმით, ეს დაძაბულობები მსოფლიო პოლიტიკის „ბიფურკაციას“ უწყობს ხელს.[75] ერთი მხრივ, არსებობს პოლიტიკური და სამხედრო სფერო, რომელსაც ძირითადად სახელმწიფო აკონტროლებს. ცნობისთვის, დღევანდელი მსოფლიო სწორედ 1648 წელს გაფორმებული ვესტფალიის სამშვიდობო შეთანხმების დებულების მიხედვით იმართება. მეორე მხრივ, არსებობს უფრო „მრავალცენტრული“ სამყარო, რომელშიც სახელმწიფოები სხვადასხვა სახეობის აქტორიდან (*ცალკეული პირები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ტერორისტები, კრიმინალური დაჯგუფებები*) მხოლოდ ერთ-ერთს წარმოადგენენ. ამ სამყაროში სახელმწიფოებს განსაზღვრული როლი აკისრიათ, თუმცა უპირატესი მდგომარეობა არ გააჩნიათ და, შესაბამისად, მათი სუვერენიტეტი მუდმივად საფრთხეშია.

რეალისტები და მათი კრიტიკოსები აცნობიერებენ ამ ორ სამყაროს შორის

არსებულ განსხვავებას, თუმცა მოქმედების სხვადასხვა მეთოდს ირჩევენ. ამ მხრივ რეალისტები ორ ძირითად საკითხს გამოყოფენ. პირველი, მათი განცხადებით, სახელმწიფოებრივ სფეროს დიდი მნიშვნელობა გააჩნია, რადგან ამ სამყაროში პოლიტიკურ თამაშებზე მაღალი ფსონები იდება. კერძოდ, ადამიანთა სიკვდილ-სიცოცხლეს ტყვიამფრქვევები და ბომბები განსაზღვრავენ. მეორე, მრავალცენტრულ სამყაროში არსებული პრობლემები გლობალური დათბობა, რესურების დეფიციტი ან ინფექციური დაავადებები თავად ხდებიან მაღალი ფსონები, ვიდრე სახელმწიფოები მათდამი მნიშვნელოვან ყურადღებას არ გამოიჩენენ და პრობლემათა ჩამონათვალში არ შეიტანენ. როგორც ჩინეთის ინტერნეტთან დამოკიდებულებამ ცხადყო, თუ სახელმწიფოები ტრანსსუვერენული ძალების გაკონტროლებას გადაწყვეტენ წინ ვერაფერი აღუდგებათ.

კრიტიკოსები რეალისტებს არცერთ საკითხში არ ეთანხმებიან. მათი აზრით, კლიმატის ცვლილება და ინფექციური დაავადებები ისეთივე დიდ საფრთხეს წარმოადგენენ კაცობრიობისთვის, როგორც მეზობელი ქვეყნის შეიარაღებული ძალები. ასევე, კრიტიკოსები მათგან განსხვავებით ნაკლებად დარწმუნებული არიან, რომ სუვერენული სახელმწიფოები ადეკვატურ წინააღმდეგობას გაუწევენ ახალ ტრანსსუვერენულ გამოწვევებს. სამხედრო ძლიერების მიუხედავად, სახელმწიფოები გლობალურ პრობლემებთან, როგორებიცაა ოკეანის დათბობა ან გრიპის პანდემია, საბრძოლველად არასათანადოდ არიან აღჭურვილი.

მოკლედ რომ ვთქვათ, ოცდამეერთე საუკუნის მსოფლიო პოლიტიკაში მოვლენათა განვითარების სამი ალტერნატიული გზა შეიძლება წარმოვიდგინოთ: პირველი, როზენაუს „მრავალცენტრული“ მსოფლიოს პერმანენტული გაფართოება; მეორე, სახელმწიფოები ეგუებიან ახალ გამოწვევებს, რომლებიც პრობლემათა ჩამონათვალში შეაქვთ; მესამე, მოუწესრიგებელი ბიფურკაციული მსოფლიო კვლავ იარსებებს განუსაზღვრელი დროით. სახელმწიფოებს მსოფლიო პოლიტიკაზე ერთპიროვნული გავლენის დამყარების საკმარისი შესაძლებლობა არ გააჩნიათ. წინამდებარე თავში მოცემულია საკმაო მტკიცებულება ინფორმირებული მიმომხილველებისათვის, რათა არ დაეთანხმონ მომავალში მსოფლიოს მართვასთან დაკავშირებულ პრინციპებს.

საკითხების მიმოხილვა

- რას ნიშნავს „ადამიანის უსაფრთხოება“ და კონკრეტულად რომელ ასპექტში უპირისპირდება იგი „ეროვნული უსაფრთხოების“ ტრადიციულ რეალისტურ კონცეფციას?
- რა საფრთხეს უქმნიან გლობალური ეკოლოგიური პრობლემები, ინფექციური დაავადებები და ინტერნეტი სუვერენულ სახელმწიფოს? და, არის თუ არა ეს ახალი გამოწვევა?
- ეთანხმებით იმ აზრს, რომ სახელმწიფოს სუვერენიტეტზე დაფუძნებული ვესტფალიის ერა დასასრულს მიუახლოვდა, ან მარკ ტვენის პერიფრაზს იმასთან დაკავშირებით, რომ სუვერენული სახელმწიფოს აღსასრულის შესახებ გავრცელებული ჭორები მეტისმეტად გაზვიადებულია? განმარტეთ თქვენი არგუმენტაცია.

საკვანძო ტერმინები

ადამიანის უსაფრთხოება
მალთუსიანელი
საზოგადოებრივი საქონელი
ფრი რაიდერის პრობლემა
საერთო რესურსები
საერთო რესურების ტრაგედია
ნავთობის პიკი
ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია
კლიმატის ცვლილება
გლობალური დათბობა
მონრეალის პროტოკოლი
კიოტოს პროტოკოლი
გამონაბოლქვის კვოტების გაყიდვა
მწვანე რევოლუცია
ფრეკინგი
ბიოსაწვავი
მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია
პანდემია
სადემონსტრაციო ეფექტები
საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოება
კიბერტერორიზმი

ჩამოტანილი შენიშვნები

1. Maryann K. Cusimano, *Beyond Sovereignty: Issues for a Global Agenda* (Bedford/St. Martin's, 2000), 3.
2. Stephen D. Krasner, "Think Again: Sovereignty," *Foreign Policy*, January/February 2001, 20, 24.
3. United Nations, *Human Development Report 1994*, 22, http://hdr.undp.org.
4. Garrett Hardin, "The Tragedy of the Commons," *Science*, December 13, 1968, 1243–1248, http://www.sciencemag.org.
5. "Global Public Goods," The World Health Organization, http://www.who.int/trade/glossary/story041/en/.
6. Energy Information Administration, *International Energy Statistics,* http://www.eia.gov/cfapps/ipdbproject/iedindex3.cfm?tid=44&pid=44&aid=2&cid=regions&syid=1980&eyid=2012&unit=QBTU.
7. Energy Information Administration, *International Energy Statistics.*
8. John Wood, Gary Long, and David Morehouse, "Long-Term World Oil Supply Scenarios," Energy Information Administration, http://www.eia.doe.gov.
9. "International Energy Outlook 2014," US Energy Information Administration, http://www.eia.gov/forecasts/ieo/more_overview.cfm.
10. Data in this paragraph are from Michael Klare, *Blood and Oil*, (Metropolitan Books, 2004), 19.
11. Bill Clinton as related to Thomas Friedman, "Gardening with Beijing," *New York Times*, April 17, 1996, http://www.nytimes.com.
12. US Environmental Protection Agency, "Climate Change Indicators in the United States: U.S. and Global Temperature," http://www.epa.gov/climatechange/science/indicators/weather-climate/temperature.html.
13. US Environmental Protection Agency, "Future Climate Change," http://www.epa.gov/climatechange/science/future.html.
14. Intergovernmental Panel on Climate Change, "Climate Change 2013: The Physical Science Basis: Summary for Policy-Makers," pp. 4–5, http://www.ipcc.ch/report/ar5/wg1/.
15. Intergovernmental Panel on Climate Change, "Climate Change 2013," p. 17.
16. US Environmental Protection Agency, "Climate Change: Health and Environmental Effects," http://www.epa.gov.
17. Andrew Revkin, "Hacked E-Mail Is New Fodder for Climate Dispute," *New York Times*, November 20, 2009, http://www.nytimes.com/2009/11/21/science/earth/21climate.html.
18. *New York Times*, June 11, 2006, http://www.nytimes.com.
19. Sid Perkins, "Asian Brown Cloud Threatens U.S.," *Science: AAAS,* May 25, 2012, http://news.sciencemag.org/asia/2012/05/asian-brown-cloud-threatens-u.s.
20. Jane Perlez, "China, Pursuing Strategic Interests, Builds Presence in Antarctica," *New York Times,* May 3, 2015, http://www.nytimes.com/2015/05/04/world/asia/china-pursuing-strategic-interests-builds-presence-in-antarctica.html?_r=0.
21. Council on Foreign Relations, "The Emerging Arctic," http://www.cfr.org/arctic/emerging-arctic/p32620#!/; Roger McDermott, "Russia Creates Arctic Military Command," *Eurasia Daily Monitor* 11:215, The Jamestown Foundation, December 3, 2014, http://www.jamestown.org/single/?tx_ttnews%5Btt_news%5D=43144&no_cache=1#.VUdrkY6qpHw.
22. Peter Schwartz and Doug Randall, "An Abrupt Climate Change Scenario and Its Implications for United States National Security," October 2003, prepared for US Department of Defense, Office of Net Assessments, http://www.grist.org.
23. *We the Peoples: The Role of the United Nations in the 21st Century* (United Nations Department of Public Information, 2000), 56, http://www.un.org.
24. "Status of Ratification," United Nations Framework Convention on Climate Change, http://unfccc.int/kyoto_protocol/status_of_ratification/items/2613.php/.
25. Union of Concerned Scientists, "Each Country's Share of CO2 Emissions," http://www.ucsusa.org/global_warming/science_and_impacts/science/each-countrys-share-of-co2.html.
26. The World Bank, http://data.worldbank.org/indicator/EN.ATM.CO2E.PC?order=wbapi_data_value_2010+wbapi_data_value+wbapi_data_value-first&sort=desc.
27. "Status of Doha Amendment," United Nations Framework Convention on Climate Change, http://unfccc.int/kyoto_protocol/doha_amendment/items/7362.php.
28. *Climate Change 2014: Mitigation of Climate Change,* Intergovernmental Panel on Climate Change," https://www.ipcc.ch/report/ar5/wg3/.
29. *New York Times*, March 5, 2007, A-1, A-11.
30. US Geological Society, http://energy.usgs.gov/OilGas/UnconventionalOilGas/HydraulicFracturing.aspx.

31. *Annual Energy Outlook 2015,* US Energy Information Administration, http://www.eia.gov/forecasts/aeo/section_energyprod.cfm.
32. Alex Trembath, Max Luke, Michael Shellenberger, and Ted Nordhaus, *Coal Killer: How Natural Gas Fuels the Clean Energy Revolution,* Breakthrough Institute, June 2013, p. 4, http://thebreakthrough.org/images/main_image/Breakthrough_Institute_Coal_Killer.pdf.
33. National Environmental Trust, "The Facts About Raising Auto Fuel Efficiency," http://www.net.org.
34. Tim Folger, "Blueprint for Disaster?" National Resources Defense Council, http://www.nrdc.org.
35. *Global Tuberculosis Report 2014,* World Health Organization, http://apps.who.int/iris/bitstream/10665/137094/1/9789241564809_eng.pdf.
36. World Health Organization, http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs094/en/.
37. World Health Organization, http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs107/en/.
38. BBC Online, http://news.bbc.co.uk.
39. Data in this paragraph are from the World Health Organization's HIV/AIDS Factsheet # 360, November 2014, http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs360/en/.
40. Data in this paragraph are from the World Health Organization's Ebola Virus Disease Factsheet #103, April 2015, http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs103/en/ and World Health Organization, "Ebola Virus Disease in West Africa," February 2015, http://www.afro.who.int/en/search.html?searchword=ebola&ordering=&searchphrase=all.
41. "Influenza at the Human-Animal Interface," World Health Organization, March 31, 2015, http://www.who.int/influenza/human_animal_interface/Influenza_Summary_IRA_HA_interface_31_March_2015.pdf.
42. Carnegie Endowment, "Globalization 101: Diseases Go Global," http://www.globalization101.org.
43. "Airline Travel Speeds Flu Spread, *Journal Watch*, http://infectious-diseases.jwatch.org.
44. Mark Osborne Humphries, "Paths of Infection: The First World War and the Origins of the 1918 Influenza Pandemic," *War in History* 21:1 (2013): 55–81.
45. "CDC Worried About Imported Food Safety? Fails to Factor in Volume of Imports, Reports are Meaningless," FDAImports.com Blog, http://www.fdaimports.com/blog/cdc-imported-food-safety-meaningless-2/.
46. World Health Organization, "Foodborne Diseases, Emerging," http://www.who.int.
47. Centers for Disease Control Press Release, March 14, 2012, http://www.cdc.gov/media/releases/2012/p0314_foodborne.html.
48. See Laurie Garrett, "The Challenge of Global Health," *Foreign Affairs*, January/February 2007, http://www.foreignaffairs.org. Also see William Easterly, *The White Man's Burden* (Penguin, 2006), 242–243.
49. *The United States President's Emergency Plan for Aids Relief*, http://www.pepfar.gov/funding/budget/.
50. CNN Money, June 25, 2006, http://money.cnn.com.
51. Bill and Melinda Gates Foundation, "Global Health Program Fact Sheet," http://www.gatesfoundation.org.
52. Bill and Melinda Gates Foundation, "Grand Challenges in Global Health," http://gcgh.grandchallenges.org/about/Pages/Overview.aspx.
53. "UN AIDS Factsheet 2014," http://www.unaids.org/en/resources/campaigns/2014/2014gapreport/factsheet; "The Millennium Development Goals Report 2014," United Nations, 2014, p. 36, http://www.un.org/millenniumgoals/2014%20MDG%20report/MDG%202014%20English%20web.pdf.
54. "The Millennium Development Goals Report 2014," p. 37.
55. Nicholas Prescott, "Setting Priorities for Government Involvement with Antiretrovirals," in *The Implications of Antiretroviral Treatments: Informal Consultation*, ed. Eric van Praag, Susan Fernyak, and Alison Martin Katz (World Health Organization in collaboration with UNAIDS, April 1997), 57–62, http://www.worldbank.org.
56. Robert E. Kahn, "The Role of Government in the Evolution of the Internet," in *Revolution in the U.S. Information Infrastructure* (National Academy of Sciences, 1994), http://books.nap.edu.
57. All of the information in this paragraph is from Philip N. Howard, et al., "Opening Closed Regimes: What Was the Role of Social Media During the Arab Spring?" Project on Information Technology and Political Islam, Working paper 2011.1, http://pitpi.org/wp-content/uploads/2013/02/2011_Howard-Duffy-Freelon-Hussain-Mari-Mazaid_pITPI.pdf.
58. Cited in Shanthi Kalathil and Taylor C. Boas, "The Internet and State Control in Authoritarian Regimes," Carnegie Foundation for International Peace, 2001, http://outreach.lib.uic.edu.
59. "George W. Bush on China," *On the Issues*, http://www.issues2000.org.
60. Wikileaks, http://wikileaks.org/wiki/WikiLeaks:About.
61. The Centre for the Study of Global Governance, "Global Civil Society," http://www.lse.ac.uk.
62. Cited in John F. Troxell, "Landmines: Why the Korea Exception Should Be the Rule," *Parameters*, Spring 2000, 82–101, http://carlisle-www.army.mil.

63. Dorothy E. Denning, "Cyberterrorism," Testimony Before the Special Oversight Panel on Terrorism Committee on Armed Services, US House of Representatives, May 23, 2000, http://www.cs.georgetown.edu.
64. *Guardian*, May 17, 2007, http://www.guardian.co.uk.
65. *Worldwide Threat Assessment of the U.S. Intelligence Community for the Senate Select Committee on Intelligence*, February 26, 2015, http://www.dni.gov/files/documents/Unclassified_2015_ATA_SFR_-_SASC_FINAL.pdf; James R. Clapper, "Opening Statement to Worldwide Threat Assessment Hearing, Senate Armed Service Committee," February 26, 2015, http://www.dni.gov/files/documents/2015%20WWTA%20As%20Delivered%20DNI%20Oral%20Statement.pdf.
66. James R. Clapper, "Opening Statement to Worldwide Threat Assessment Hearing."
67. A detailed treatment of the issues discussed below is found in Jack Goldsmith and Tim Wu, *Who Controls the Internet?* (Oxford University Press, 2006).
68. Kentaro Toyama, "How Internet Censorship Actually Works in China," *The Atlantic*, October 2, 2013, http://www.theatlantic.com/china/archive/2013/10/how-internet-censorship-actually-works-in-china/280188/.
69. Nicole Perlroth, "China Is Said to Use Powerful New Weapon to Censor Internet," *New York Times,* April 10, 2015, http://www.nytimes.com/2015/04/11/technology/china-is-said-to-use-powerful-new-weapon-to-censor-internet.html?_r=0.
70. Andrew McLaughlin, "Google in China," *The Official Google Blog*, January 27, 2006, http://googleblog.blogspot.com/2006/01/google-in-china.html.
71. "A New Approch to China: An Update," *The Official Google Blog*, March 22, 2010, http://googleblog.blogspot.com/2010/03/new-approach-to-china-update.html.
72. "China Search Engine Market Overview in 2014," *China Internet Watch*, March 16, 2015, http://www.chinainternetwatch.com/12678/search-engine-market-overview-2014/.
73. Ginny Marvin, "Google Still Dominant, but Baidu Benefitting from Google Ban in China Says eMarketer," March 31, 2015, http://searchengineland.com/google-still-dominant-but-baidu-benefitting-from-google-ban-in-china-says-emarketer-217745.
74. "Internet Users by Country (2014)," http://www.internetlivestats.com/internet-users-by-country/.
75. James Rosenau, *Turbulence in World Politics* (Princeton University Press, 1990).

თავი 9

მსოფლიოს მომავალი

ოცდამეერთე საუკუნის კონკურენტული მსოფლმხედველობები

მსოფლიოს მომავლის სურათი. 2015 წელს ჟურნალი „ატომური მეცნიერების ბიულეტენი“ (Bulletin of Atomic Scientists) თავის **განკითხვის დღის საათს** შუაღამის სამ წუთზე ასწორებს. საათი აჩვენებს თუ რა ახლოს ვართ ცივილიზაციის განადგურებასთან ატომური ომის, კლიმატის ცვლილებისა და ჩვენი ჩადენილი სხვა ქმედებების გამო. ოპტიმისტურ 1990-იან წლებში საათის ისრები ჩვიდმეტ წუთზე იყო გაჩერებული. თქვენ ოპტიმისტურად უყურებთ მსოფლიოს მომავალს თუ პესიმისტურად?

სწავლების მიზნები

9-1 განსაზღვრეთ „ისტორიის დასასრულთან“ დაკავშირებული მსოფლიოს მომავლის ხედვის ძირითადი ვარაუდები და შეაფასეთ მისი დამაჯერებლობა.

9-2 განსაზღვრეთ „ერთიან მსოფლიოსთან“ დაკავშირებული მსოფლიოს მომავლის ხედვის ძირითადი ვარაუდები და შეაფასეთ მისი დამაჯერებლობა.

9-3 განსაზღვრეთ „მსოფლიო სახელმწიფოსთან“ დაკავშირებული მსოფლიოს მომავლის ხედვის ძირითადი ვარაუდები და შეაფასეთ მისი დამაჯერებლობა.

9-4 განსაზღვრეთ „ომის წინააღმდეგ მიმართულ კასკადურ ნორმებთან“ დაკავშირებული მსოფლიოს მომავლის ხედვის ძირითადი ვარაუდები და შეაფასეთ მისი დამაჯერებლობა.

9-5 განსაზღვრეთ „აღმოცენებულ მშვიდობასთან“ დაკავშირებული მსოფლიოს მომავლის ხედვის ძირითადი ვარაუდები და შეაფასეთ მისი დამაჯერებლობა.

9-6 განსაზღვრეთ „ცივილიზაციათა შეჯახებასთან“ დაკავშირებული მსოფლიოს მომავლის ხედვის ძირითადი ვარაუდები და შეაფასეთ მისი დამაჯერებლობა.

9-7 განსაზღვრეთ „მსხვილმასშტაბიან ომთან“ დაკავშირებული მსოფლიოს მომავლის ხედვის ძირითადი ვარაუდები და შეაფასეთ მისი დამაჯერებლობა.

თუ თანამედროვე რიპ ვან ვინკლი (Rip Van Winkle) გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში დაიძინებდა და დღეს გაიღვიძებდა, ამ წლების განმავლობაში მსოფლიოში მომხდარი ცვლილებების აღსაქმელად დიდი ძალისხმევა დასჭირდებოდა. სანამ მას ეძინა დაეცა ბერლინის კედელი, დაიშალა საბჭოთა კავშირი, გერმანია ხელახლა გაერთიანდა, ტერორისტებმა იერიში მიიტანეს შეერთებულ შტატებზე, ევროპის დიდ ნაწილში ერთი ვალუტა გაბატონდა, შედარებით ღარიბი და კარჩაკეტილი ჩინეთი პოლიტიკური თუ ეკონომიკური თვალსაზრისით ანგარიშგასაწევ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. გამოღვიძების შემდეგ ამ ადამიანს წარმოდგენა არ ექნებოდა ჯორჯ უ. ბუშის (George W. Bush), უსამა ბინ ლადენის (Osama bin Laden), ვლადიმირ პუტინის (Vladimir Putin), ანგელა მერკელის (Angela Merkel), სი ძინპინის (Xi Jinping), ბარაკ ობამასა (Barack Obama) და ედუარდ სნოუდენის (Edward Snowden) ვინაობის ან ისეთი ორგანიზაციების შესახებ როგორებიცაა: „ალ-ქაიდა“ (al-Qaeda), „ისლამური სახელმწიფო“ (ISIS), „ჰამასი“ (Hamas), მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO) და ა.შ. თუ ამერიკის მთავარი სავაჭრო კონკურენტის ვინაობის შესახებ შეეკითხებოდით ჩინეთის მაგიერ უეჭველად იაპონიას დაასახელებდა. სავარაუდოდ, არც აუთსორსინგთან დაკავშირებით გამართული დისკუსიის შესახებ ეცოდინებოდა ბევრი რამ. თუ დაძინებამდე გეოგრაფიას გულმოდგინებით არ შეისწავლიდა, რუკაზე კოსოვოს, რუანდას ან ყირიმს ვერ იპოვნიდა. ხოლო თუ ამ ადგილების მოსაძებნად „გუგლის“ საძიებო სისტემის გამოყენებას შესთავაზებდით, უთუოდ მის გაოცებულ მზერას წააწყდებოდით.

ერთი უძველესი ანდაზის თანახმად, მსოფლიო მუდმივ ცვლილებებშია. გასულ ათწლეულებში მოღვაწე არაერთი მიმომხილველის რწმენით, მსოფლიო ყოველთვის საფუძვლიანად (*და არა უბრალოდ*) იცვლებოდა და იცვლება დღესაც. ბიპოლარული ცივი ომის ეპოქის დასასრულს ეკონომიკური გლობალიზაციის გაღრმავებამ, აზიაში რამდენიმე ეკონომიკური გიგანტის აღმოცენებამ, ასპარეზზე ახალი არასახელმწიფო აქტორების გამოჩენამ და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მომხდარმა რევოლუციამ მსოფლიო პოლიტიკაში ძირეული ცვლილებები გამოიწვია. ჩვენს თვალწინ მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური სისტემის ძირფესვიანი ცვლა ახალი ეპოქის დაბადებას გვაუწყებს.

ამ მოვლენებმა მთავარი ტენდენციების მიმართულების აღქმის მცდელობა გააჩინა. მეცნიერების გამოცემული „დიდი წიგნები“ პროვოკაციულად და განსხვავებულად აღწერენ ჩვენს მომავალს. მათი იდეების დიდი ნაწილი ფესვგადგმულია მსოფლიო პოლიტიკის საბაზისო პერსპექტივებში, რომელთა შესახებაც დაწვრილებით ვისაუბრეთ წინამდებარე წიგნის პირველ თავში. ყველა სხვა არარეალისტური პერსპექტივა, რომლებიც მსოფლიოს მომავალთან დაკავშირებით ერთმანეთისგან განსხვავდებიან, იზიარებს იმ აზრს, რომ მსოფლიო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები გაცილებით შედეგის მომტანია, ვიდრე განუწყვეტლობა. ერთი რეალისტის შეფასებით, თავს ვიტყუებდით, როდესაც ვიჯერებდით, რომ „ოდესღაც აღმოჩენილი ახალი იდეები მშვიდობიანი, ახალი ეპოქის დაბადებასა და ერებს შორის მეგობრული ურთიერთობების დამყარებას შეუწყობდნენ ხელს“, რაც ერთგვარი ილუზია აღმოჩნდა, როგორც რეალისტური ძალისმიერი პოლიტიკის ყველა სხვა ალტერნატივა, რასაც დიდი წარმატება არ მოჰყოლია.[1]

ამ თავში მსოფლიოს მომავალთან დაკავშირებულ შვიდ კონკურენტულ ხედვას განვიხილავთ. თითოეული მათგანი ეყრდნობა და აგრძელებს პირველ თავში განხილული ერთ-ერთი კონკურენტული პარადიგმის ლოგიკას. იმ დროს, როცა ეს თითოეული ხედვა ერთ-ერთი მთავარი პარადიგმის გაზვიადებული დადასტურებაა. პატივცემულმა მეცნიერებმა ხაზი გაუსვეს შვიდ ვერსიას, რომელთა შესახებაც თანმიმდევრობით ვისაუბრებთ. პირველ რიგში განვიხილავთ თითოეულ მათგანს, შემდეგ კი კრიტიკულ ანალიზსა და შეფასებას დავურთავთ.

მომავალი I: ისტორიის დასასრული

9-1 განსაზღვრეთ „ისტორიის დასასრულთან“ დაკავშირებული მსოფლიოს მომავლის ხედვის ძირითადი ვარაუდები და შეაფასეთ მისი დამაჯერებლობა.

ხედვა: როგორც უკვე ვისაუბრეთ მეოთხე თავში, 1970-იან წლებში სამხრეთ ევროპაში დაწყებული დემოკრატიზაციის „მესამე ტალღა“ სამხრეთ ამერიკას, აზიის დიდ ნაწილსა და სუბსაჰარული აფრიკის ქვეყნებს გადაედო. 1980-იანი წლების მიწურულსა და 1990-იანი წლების დასაწყისში ამ ტალღამ აღმოსავლეთი ევროპისა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური რუკის გარკვეული ტრანსფორმაცია მოახდინა. ერთპარტიული კომუნისტური მმართველობა კონკურენტული მრავალპარტიული სისტემით ჩანაცვლდა. 1989 წელს ბერლინის კედლის დანგრევამ, ასევე 1991 წლის მიწურულს საბჭოთა კავშირის დაშლამ და კომუნისტური რეჟიმის დამხობამ პოსტომისეული მსოფლიო რადიკალურად შეცვალა. 1990-იანი წლების მსოფლიოში დემოკრატიული ქვეყნებისა და საზოგადოებების პროცენტულმა მაჩვენებელმა კაცობრიობის ისტორიაში თითქმის ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია.

მსოფლიო დემოკრატიული ქვეყნების გეოგრაფიული და კულტურული მრავალფეროვნების მიუხედავად, დემოკრატიული მშვიდობის თეორეტიკოსების ვარაუდი, იმასთან დაკავშირებით, რომ ასეთი სახელმწიფოები ერთმანეთთან არ ომობენ, დიდწილად გამართლდა. ზოგიერთი ადამიანის გამოთქმული პესიმისტური მოსაზრება, რომლის თანახმადაც „საბჭოთა საფრთხის“ დასასრული დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებს საერთო მტრის ხატს წაართმევდა და ოდესღაც არსებულ კონკურენტულ გარემოს აღადგენდა, უსაფუძვლო აღმოჩნდა, რადგან წამყვანი დემოკრტიული სახელმწიფოები უთანხმოებებს უწინდებურად ცივილიზებული ფორმებით აგვარებდნენ.[2] გარდა ამისა, პოსტ-კომუნისტურ ეპოქაში რუსეთსა და დასავლეთს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობები, როგორც ვითარებამ აჩვენა, დემოკრატიული მშვიდობის თეორიის პროგნოზს შეესატყვისებოდა. 1990-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ბორის ელცინის (Boris Yeltsin) ხელმძღვანელობით რუსეთი დემოკრატიზაციის გზას დაადგა, ამ ქვეყნის ურთიერთობები შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპასთან იმ დონემდე გაუმჯობესდა, რომ ორივე მხარე ერთმანეთს პარტნიორად მიიჩნევდა და არა მოწინააღმდეგედ. რეალისტების გასაკვირად, ცივი ომის დროინდელი კონკურენცია დასრულდა არა სამხედრო გამარჯვებით, არამედ საბჭოთა კავშირის დაშლითა და რუსეთში მომხდარი შიდა პოლიტიკური ცვლილებით.

ამ მოვლენებით გამოწვეული ოპტიმიზმი ყველაზე მკაფიოდ ფრენსის ფუკუიამას (Francis Fukuyama) „ისტორიის დასასრულშია“ (The End of History) ასახული.[3] იაპონური წარმოშობის ამერიკელ ფილოსოფოსს მიაჩნდა, რომ საბჭოთა კომუნისტური სისტემის დასასრული გლობალური ტენდენციის ნაწილი იყო, რადგან დემოკრატიასა და საბაზრო კაპიტალიზმს ალტერნატივა არ ჰქონდა. ეს კი, თავის მხრივ, დაასკვნა მან, სახელმწიფოების ურთიერთდამოკიდებულებას შეცვლიდა და ოცდამეერთე საუკუნეში „რეალიზმის ირეალურობას“ ნათელს მოჰფენდა.[4]

როგორც უნდა იყოს, მეოცე-ოცდამეერთე საუკუნეების მიჯნაზე ზოგიერთი ქვეყანა „ისტორიის“ ჭაობში ჩარჩა. ახლო აღმოსავლეთის ისლამურ სახელმწიფოებს დემოკრატიული ცვლილებები არ შეხებიათ. „არაბულმა გაზაფხულმა“ (Arab Spring) რეგიონში დემოკრატიზაციის მეოთხე ტალღის დაწყების იმედები გააჩინა, რაც ერთხელ და სამუდამოდ ბოლოს მოუღებდა კამათს იმასთან დაკავშირებით, რომ ისლამური და არაბული კულტურა დემოკრატიას არ ეთავსებოდა, თუმცა ეს იმედები მალევე

გაქარწყლდა. დემოკრატიული ტალღის ნაცვლად, 2015 წელს რეგიონში სისხლისღვრა დაიწყო. ძალადობამ, ქაოსმა და განუკითხაობამ „ისლამური სახელმწიფოს“ (ISIS) აღმოცენებას შეუწყო ხელი. გარდა ამისა, მსოფლიო მოსახლეობის ერთი მეოთხედი ერთპარტიულ ავტორიტარულ ქვეყანაში ცხოვრობს. ეკონომიკური ლიბერალიზაციის მიუხედავად, ჩინეთის კომუნისტური პარტია ჯერ კიდევ თავს არიდებს დემოკრატიული რეფორმების გატარებას (*გაიხსენეთ ჩინეთის მიერ ინტერნეტის გაკონტროლების მცდელობა*).

თვით ამ დემოკრატიულ ნაპრალებშიც შეინიშნება ოპტიმიზმის ნიშნები. ჩინეთის კომუნისტი ლიდერების შეხედულებას, რომლის თანახმადაც ერთპარტიული მმართველობა ხელს არ უშლის ეკონომიკურ აღმავლობას, მრავალი პოლიტოლოგი ეჭვის თვალით უყურებს. **მოდერნიზაციის თეორიის (Modernization Theory)** თანახმად, ყველგან, სადაც კი ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები შეინიშნება, ჩნდება უფრო განათლებული საშუალო კლასი, რომელიც პოლიტიკურ პროცესში დემოკრატიული მონაწილეობის შესაძლებლობას მოითხოვს. დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება ითქვას, რომ 1989 წელს ტიანანმენის მოედანზე (Tiananmen Square) გამართულმა დემოკრატიულმა საპროტესტო აქციებმა, რომელიც ჩინეთის მთავრობამ სისხლში ჩაახშო, დემოკრტიული ზეწოლის ადრეული ინდიკატორის ფუნქცია ითავა, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკური მოდერნიზაციით იყო გამოწვეული. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ „არაბული გაზაფხულის“ დემოკრატიული მისწრაფებები ვერ განხორციელდა, 2010-2011 წლის მოვლენებმა ცხადყო, რომ არაბებისა და მუსულმანებისათვის გაცილებით ლიბერალური და დემოკრატიული მმართველობის ფორმა მისაღები იყო.

მოდერნიზაციის თეორია – *ამ თეორიის თანახმად, ყველგან, სადაც კი ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები შეინიშნება, ჩნდება უფრო განათლებული საშუალო კლასი, რომელიც პოლიტიკურ პროცესში დემოკრატიული მონაწილეობას მოითხოვს.*

მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლის მსოფლიო სრულყოფილი დემოკრატიულობითა და მშვიდობიანობით არ გამოირჩევა, ჯერ კიდევ ადრეა „ისტორიის დაასრულის დასარულზე“ საუბარი.[5] როგორც უნდა იყოს, 2015 წლის მსოფლიოში, სხვა პერიოდებისგან განსხვავებით, დემოკრატიული ტენდენციები მძლავრობს. მართალია ახალი ამბები ყოველდღიური გლობალური პრობლემების შესახებ გვაუწყებენ, მაგრამ თუ ისტორიულ ნორმებს გავითვალისწინებთ, სახელმწიფოთაშორისი ომები შედარებით იშვიათ მოვლენად იქცა.

კრიტიკული ანალიზი: დემოკრატიული მშვიდობის შესახებ ლიბერალური ინტერნაციონალისტური შეხედულება შეიძლება პოსტცივიომისეული წლების ოპტიმისტურ კონტექსტში გახდეს გასაგებია. ამის მიუხედავად, ბოლოდროინდელი მოვლენები მეტი სიფრთხილისაკენ გვიბიძგებს. პრობლემების გადასაჭრელად ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში სამი ტენდენცია გამოიკვეთა.

პირველი, არსებობს თეზისი, რომლის თანახმადაც სტაბილური, ერთიანი დემოკრატიული ქვეყნები ერთმანეთთან არ ომობენ, თუმცა ზოგიერთი მეცნიერის მტკიცებით, ავტორიტარიზმიდან დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლამ შეიძლება ომისადმი მიდრეკილება გაზარდოს.[6] ამის მიზეზი შემდეგში მდგომარეობს: გარდამავალ პერიოდში ხელისუფლების სათავეში მყოფმა პირებმა დაქსაქსული საზოგადოებრივი ჯგუფები რეჟიმის გარშემო უნდა გააერთიანონ. საზოგადოების კონსოლიდაციას ხშირად გარე ფაქტორები უწყობენ ხელს.

მეორე, ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ 1970-იან წლებში დაწყებულმა დემოკრატიზაციის მესამე ტალღამ შედეგი ვერ მოიტანა, რადგან მსოფლიოს დიდ ნაწილში, მათ შორის ჩინეთში, ახლო აღმოსავლეთის დიდ ნაწილში, სუბსაჰარული აფრიკისა და აზიის უმეტეს ქვეყნებში ჯერ კიდევ ანტიდემოკრატიული რეჟიმები ბატონობენ. ზოგიერთი მიმომხილველის ვარაუდი, რომ მეოთხე ტალღა ჩინეთისა და ახლო აღმოსავლეთის დემოკრატიზაციისაკენ წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა, როგორც ჩანს, არ

გამართლდა. გარდა ამისა, დემოკრატიზაციის პირველი და მეორე ტალღის შემდეგ ზოგიერთი ქვეყანა ავტორიტარული მმართველობის ფორმას დაუბრუნდა. ავტორიტარიზმის ხელახალი აღორძინების ყველაზე ნათელი მაგალითია ვლადიმირ პუტინის რუსეთი. მისი მმართველობის წლებში დემოკრატიული ნორმების სისტემატური უგულებელყოფა, ოპოზიციური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ ჟურნალისტების გაჩუმება ჩვეულ მოვლენად იქცა. (*იხ. თეორია პრაქტიკაში* 9.1)

თეორია პრაქტიკაში 9.1

ისტორიის დასასრული?: რუსული მოვლენა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სავარძელი ბორის ელცინმა დაიკავა, რუსეთსა და დასავლეთში იმედოვნებდნენ, რომ მოსკოვი ლიბერალური დემოკრატიის გზას დაადგებოდა. კომუნისტური მმართველობისაგან განსხვავებით, 1990-იანი წლების რუსეთი დემოკრატიულობითა და პროცესების გამჭვირვალობით გამოირჩეოდა. ერთი კანდიდატის საარჩევნო შარადა, რომელსაც საბჭოთა ეპოქაში „სოციალისტურ დემოკრატიას“ უწოდებდნენ, კონკურენტულმა მრავალპარტიულმა არჩევნებმა ჩაანაცვლა, სახელმწიფოს კონტროლირებული მედია კი მრავალფეროვანმა მედიასაშუალებებმა შეცვალა. თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ კორუფცია და ეკონომიკური არასტაბილურობა ელცინის რუსეთსაც ახასიათებდა. თითქმის ათწლიანი მმართველობის მიწურულს ჯანმრთელობა შერყეული პრეზიდენტის პოპულარობამ საგრძნობლად იკლო. რუსეთის მოქალაქეებს უსაფრთხოება, წესრიგი და ეკონომიკური კეთილდღეობა სურდათ.

ბორის ელცინმა თანამდებობა 1999 წლის 31 დეკემბერს დატოვა. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით, მისი მემკვიდრე პრემიერ-მინისტრი ვლადიმირ პუტინი ხდებოდა. პუტინმა, რომელიც მანამდე საბჭოთა უშიშროების (KGB) მემკვიდრე რუსეთის სადაზვერვო სამსახურს ხელმძღვანელობდა, 2000 და 2004 წლების საპრეზიდენტო არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. მისი მმართველობის წლებში რუსეთის ეკონომიკა დასტაბილურდა, პოლიტიკური სტაბილურობა კი გაიზარდა. პუტინის კრიტიკოსების თქმით, ქვეყნამ ამ ყველაფრის ფასი დემოკრატიისა და სამოქალაქო თავისუფლების შეზღუდვით გადაიხადა. მედია, განსაკუთრებთ კი ტელევიზია, კვლავ სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა. ერთი შეხედვით კონკურენტული არჩევნები ფსევდოდემოკრატიულ ფარსად გადაიქცა. პუტინის ოპონენტების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეები აღძრეს. დაიწყო დევნა/შევიწროვება. ზოგიერთი მათგანი საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა.

რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია ვლადიმირ პუტინს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას უკრძალავდა. ამავე წელს რუსეთის პრეზიდენტად არჩეულმა დმიტრი მედვედევმა (Dmitry Medvedev) პუტინს პრემიერ-მინისტრის პორტფელი ჩააბარა. პრემიერმა პუტინმა რუსულ პოლიტიკაში მთავარი მოთამაშის სტატუსი შეინარჩუნა და 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მორიგი გამარჯვება იზეიმა. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატები რუსეთში განვითარებული ანტიდემოკრატიული პროცესების გამო შეშფოთებას გამოთქვამენ, პუტინი რუსების თვალში კვლავაც ინარჩუნებს პოპულარობას. ყირიმის ოკუპაციამ მისი პოპულარობა კიდევ უფრო გაიზარდა. მართლაც, ავტორიტარიზმის აღორძინება, უკრაინის მოვლენები და ვლადიმირ პუტინის პოპულარობა, როგორც ჩანს, ძირს უთხრის „ისტორიის დასასრულის“ შესახებ გაბატონებული თეზისის ყველა ფაქტორს.

- რუსეთში მომხდარი მოკლევადიანი რეგრესის მიუხედავად, მსოფლიოში დემოკრატიისადმი ინტერესი ხომ არ შენელებულა? გამოთქვით თქვენი აზრი.
- რა დოზით უნდა მოიცავდეს დემოკრატიის განვითარება საგარეო პოლიტიკის მიზანს?
- დასრულდება კი ოდესმე ისტორია იმ გაგებით, რასაც ფუკუიამა გულისხმობდა?

ლიბანსა და პალესტინის კონტროლირებად ტერიტორიებზე პოლიტიკური პროცესების დემოკრატიზაციამ ისრაელისადმი ანტაგონისტურად განწყობილ „ჰეზბოლასა“ (Hezbollah) და „ჰამასს“ (Hamas) ხელისუფლებისაკენ გაუხსნა გზა. ახლო აღმოსავლეთში მშვიდობამ დროებით დაისადგურა. მართლაც, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ რეგიონში მცხოვრები მრავალი მუსულმანი ერაყსა და ავღანეთში ამერიკელთა გაჩაღებულ ომებს უსამართლოდ მიიჩნევს, გამორიცხული არ არის, რომ მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების სათავეში რადიკალური, ანტიდასავლური ისლამისტური პარტიები მოვიდნენ, რომლებიც პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთ გზად ისრელთან ომს მიიჩნევენ.

მოკლედ რომ ვთქვათ, ბერლინის კედლის დანგრევისა და ფუკუიამას „ისტორიის დასასრულის“ გამოცემიდან თითქმის სამი ათწლეულის შემდეგ განწყობილება, რომელიც დემოკრატიული მშვიდობის თეორიის შესახებ გამართულ დისკუსიებს უკავშირდება, მკვეთრად შეიცვალა. დემოკრატიზაციის მესამე ტალღის შეჩერება; რუსეთსა და ჩინეთში მოქმედი ავტორიტარული რეჟიმები და მათი მმართველობების ხანგრძლივობა;[7] მსოფლიოში ამერიკის გავლენის შედარებითი შემცირება; დემოკრატიის იდეის გაფერმკრთალება; ასევე ანტილიბერალურმა, გასამხედროებულმა ფორმირებებმა, რომლებმაც ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში გამართული დემოკრატიული არჩევნები სათავისოდ გამოიყენეს, ეჭვქვეშ დააყენეს საკითხი დაამარცხებდა თუ არა დემოკრატია პოლიტიურ ძალაუფლებასა და ომს.

მომავალი II: ერთიანი მსოფლიო

9-2 განსაზღვრეთ „ერთიან მსოფლიოსთან“ დაკავშირებული მსოფლიოს მომავლის ხედვის ძირითადი ვარაუდები და შეაფასეთ მისი დამაჯერებლობა.

ხედვა: „ისტორიის დასასრულისა“ და „დემოკრატიული მშვიდობის“ საკითხებთან დაკავშირებულმა პოსტცივიომისეულმა ეიფორიამ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში თანდათანობით იკლო. ჩინეთთან მიმართებით გამოთქმული პროგნოზები, რომლის თანახმადაც ეკონომიკური განვითარება პოლიტიკური ლიბერალიზაციის საწინდარია, არ მართლდება, რუსეთში კვლავაც ავტორიტარიზმი სუფევს, ხოლო „არაბული გაზაფხულის“ მარცხმა ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიული მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების იმედები გააქარწყლა. ოპტიმისტური განწყობილება პესიმიზზმა შეცვალა. მიმომხილველები კვლავ ალაპარაკდნენ წამყვან სახელმწიფოებს შორის ომის გაჩაღების პერსპექტივის შესახებ. უკრაინის გამო შეერთებული შტატები რუსეთის ფედერაციას დაუპირისპირდა, ხოლო სამხრეთი ჩინეთის ზღვაზე ჩსრ-ის მხრიდან სუვერენიტეტის განმტკიცების მცდელობებმა აღმოსავლეთის გიგანტსა და აშშ-ს შორის დაძაბულობა გამოიწვია.

კულტურული და პოლიტიკური მრავალფეროვნების მიუხედავად, ოცდამეერთე საუკუნის წამყვან სახელმწიფოებს ერთმანეთთან ეკონომიური ინტერესები აკავშირებთ. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებმა გლობალური ეკონომიკა ერთიან ორგანიზმად აქცია, რომელშიც წარმოებას, ვაჭრობასა და კომერციული საქმიანობას არაფერი აქვს საერთო გეოგრაფიასა და კულტურასთან. ამ ახალ სამყაროში ლოიალურობა და ინტერესები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე წარსული ეპოქისათვის დამახასიათებელი ნაციონალიზმი და პატრიოტიზმი.

2008 წელს დაწყებულმა გლობალურმა ფინანსურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა გლობალიზაციის დასასრულის მოახლოვებასთან დაკავშირე-

ბით მოლოდინები გააჩინა. სავარაუდოდ, გამარჯვება გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციის მომხრე ძალებს დარჩებათ. ვარაუდობდნენ, რომ 2008 წლის შემდეგ სავაჭრო ომები და მეზობლის გაკოტრების პოლიტიკა დაიწყებოდა, თუმცა ვარაუდები არ გამართლდა. 2015 წლის შუა პერიოდში მიმდინარე მოლაპარაკებებისას ეკონომიკური ინტეგრაციის გაფართოებას ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის (Trans-Pacific Partnership (TPP) მეშვეობით აპირებდნენ. ცხადია, ერთიანი მსოფლიოს იდეა ყველას როდი მოწონს. მრავალი პოლიტიკოსი, არაკვალიფიციური მუშახელი იმ ქვეყნებში, რომლებშიც მაღალანაზღაურებადი სამსახურებია, კულტურის აპოლოგეტები და პროფესიული კავშირები გლობალიზაციით გამოწვეული სუვერენიტეტისა და კონტროლის დაკარგვის საფრთხის შესახებ შეშფოთებას გამოთქვამენ. როგორც უნდა იყოს, გლობალიზაცია როგორც გამარჯვებულებს, ისე დამარცხებულებს შობს.

თომას ფრიდმანის განცხადებით, გლობალიზაციის შეჩერება, მზის ამოსვლისათვის ხელის შეშლის ტოლფასია.[8] გარდა ამისა, გლობალიზაციამ კაცობრიობის საყოველთაო ეკონომიური განვითარება და მშვიდობა უზრუნველყო.

შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის მესამე მსოფლიო ომის დაწყების ალბათობა დაბალია არა იმიტომ, რომ ბირთვულ ეპოქაში გაჩაღებული ომი საშინელი შედეგებით დასრულდება, არამედ იმიტომ, რომ ასეთი ომის დროს მეომარი მხარეები საკუთარ აქტივებს თავადვე გაანადგურებენ. შეერთებული შტატების მიერ ჩინეთზე მიტანილი იერიში მიწასთან გაასწორებს ამერიკელთა კუთვნილ ფაბრიკა-ქარხნებს, რომლებიც ამერიკელ მომხმარებლებს საჭირო პროდუქციით უზრუნველყოფენ, ხოლო ჩინეთის მიერ აშშ-ზე განხორციელებული თავდასხმა სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორზე გამოვლენილ აგრესიათ ჩაითვლებოდა, რადგან ჩსრ-ის ეკონომიკური სასწაული სწორედაც რომ შეერთებულ შტატებზეა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, ამ ქვეყნებს განსხვავებული ინტერესები ამოძრავებთ. ოცდამეერთე საუკუნეში წამყვან სახელმწიფოებს შორის ტოტალური ომის წარმოება წარმოუდგენელია, რადგან გონიერი ადამიანები ნათლად აცნობიერებენ, რომ ასეთი ომი უარყოფითად იმოქმედებს საერთაშორისო ვაჭრობაზე და ხელს შეუშლის გლობალურ ეკონომიკურ კეთილდღეობას. დასასრულს შეიძლება ითქვას, რომ ეკონომი-

1999 წელს „სტარბაქსმა“ (Starbucks) კონტინენტურ ჩინეთში პირველი მაღაზია გახსნა. 2015 წლისთვის, ამ ქვეყნის ოთხმოცდაათ ქალაქში კომპანიის ათას შვიდასი მაღაზია ფუნქციონირებდა. თქვენი აზრით, რამდენად შესაძლებელია, რომ ამ ორი ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც „სტარბაქსის“ ყავახანებში „კარამელის ფრაპუჩინოს“ (Caramel Frappuccinos) ეახლებიან, ერთმანეთს იარაღით ხელში დაუპირისპირდნენ?

კური ურთიერთკავშირები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გეოპოლიტიკის შესახებ გავრცელებული დრომოჭმული ცნებები.

კრიტიკული ანალიზი: როგორც მეშვიდე თავში ვისაუბრეთ, ლიბერალურ-კომერციული მოსაზრება, რომლის თანახმადაც ეკონომიკური ურთიერთკავშირი ომის დაწყების ალბათობას ამცირებს, ოცდამეერთე საუკუნისათვის უცხო არ გახლავთ. მსგავსი მოსაზრებები მეოცე საუკუნის დასაწყისში გლობალიზაციის პირველი ტალღის საპასუხოდაც გამოითქვა. ამ შეხედულების ყველაზე ცნობილი მხარდამჭერი გახლდათ ინგლისელი ჟურნალისტი და ნობელის პრემიის ლაურეატი ნორმან ენჯელი (Norman Angell). 1910 წელს გამოცემულ წიგნში „დიდი ილუზია“ (The Great Illusion) ენჯელი არ იზიარებდა არგუმენტს, რომელიც იმ დროს საკმაოდ გავრცელებული იყო კაპიტალიზმის მარქსისტ კრიტიკოსებსა და კაპიტალიზმის ზოგიერთ დამცველს შორის, რომლის თანახმადაც ომი ეკონომიკაზე დადებითად იმოქმედებდა.[9] პირიქით, ანჯელი ამტკიცებდა, რომ ომი ძალიან დიდ ფინანსურ რესურსს მოითხოვდა და ევროპის ერთიან ეკონომიკას არცერთი გონიერი ადამიანი დასაქცევად არ გაიმეტებდა.

ანჯელის წიგნის გამოცემიდან რამდენიმე წლის შემდეგ ევროპის კონტინენტზე მანამდე არნახული მასშტაბის სისხლისმღვრელი ომი გაჩაღდა. პირველი, გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციის გაგრძელებასთან დაკავშირებული ვარაუდები გამართლდა. ამის მიუხედავად, 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ან მსგავსმა ეკონომიურმა რეცესიებმა სახელმწიფოები გლობალური პროცესებისადმი უნდობლად განაწყო და პროტექციონისტული პოლიტიკის გაგრძელებისკენ უბიძგა.

მეორე, ანჯელი ადამიანებს გონიერ არსებებად მიიჩნევდა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს რომ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესს ცალკეული პირები იშვიათად აკონტროლებენ. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ამ დროს შეცდომების დაშვებისგან დაზღვეული არავინაა, ხოლო გადაწყვეტილებების ფორმირებას კი კოგნიტური მიდრეკილებები განსაზღვრავენ. მართლაც, მრავალი ადამიანის რწმენით, ევროპული ქვეყნები პირველ მსოფლიო ომში საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ აღმოჩნდნენ ჩართული.

საბოლოო და ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი. ანჯელის არგუმენტის თანახმად, ადამიანის მოტივაციის ამაღლებას პირველ რიგში ეკონომიკური კეთილდღეობა და განვითარება უწყობს ხელს. არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ შეხედულებას კაცობრიობა ხშირად არ იზიარებს. მაგალითად, თავისუფლების, დემოკრატიის, სუვერენიტეტის, ეროვნული სიამაყის, ღირსებისა თუ რელიგიური ფასეულობების გამო ადამიანები ხშირად უარს ამბობენ ეკონომიკურ კეთილდღეობზე.

თომას ფრიდმანი უდავოდ მართალია, როდესაც ამბობს, რომ პეკინს კარგად დაფიქრება მოუწევს, სანამ ტაივანის დასაბრუნებლად სამხედრო ძალას გამოიყენებს,[10] რადგან ეს კუნძული ჩინეთის ეკონომიკურ განვითარებაში, მრეწველობის აღორძინებასა და კონტინენტზე (*იგულისხმება ჩსრ*) ინვესტიციების განხორციელების მხრივ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. უფრო მეტიც, როგორც ფრიდმანი შენიშნავს, ტაივანზე განხორციელებული ნებისმიერი სახის თავდასხმამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ჩინეთის ეკონომიკურ ურთიერთობებს შეერთებულ შტატებთან, ევროპასა და იაპონიასთან, რომლებიც პეკინს, სავარაუდოდ, ეკონომიკური სანქციებით ან სამხედრო ძალით უპასუხებენ. ამასთან, პეკინმა რაღაც მომენტში შეიძლება ფსონი ეროვნულ ერთიანობაზე დადოს და არა ეკონომიკურ კეთილდღეობაზე და ჩათვალოს, რომ რამდენიმე სიმბოლური პროტესტის შემდეგ მსოფლიო საზოგადოება არსებულ რეალობას

იმის შიშით დაყაბულდებდა, რომ ჩინეთთან ომი მათ ეკონომიკურ კეთილდღეობაზე შეიძლება უარყოფითად აისახოს.

ანჯელის, ფრიდმანისა და სხვა ლიბერალების არგუმენტის თანახმად, ომის წარმოება საკმაოდ დიდ ფინანსურ რესურსს მოითხოვს. ანჯელის ომთან დაკავშირებული პროგნოზი გამართლდა. პირველმა მსოფლიო ომმა ევროპის ქვეყნების ეკონომიკა მიწასთან გაასწორა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ოცდამეერთე საუკუნეში საბრძოლო იარაღის დიდი არჩევანია, მსოფლიო ეკონომიკა ერთიანია და ომის წარმოება უზარმაზარ ხარჯებთან არის დაავშირებული, წაგებული მხარის დადგენა ერთობ რთული საქმე იქნება. ხარჯების მიუხედავად, სახელმწიფოები ომზე უარს მაინც არ ამბობენ.

მომავალი III: მსოფლიო სახელმწიფო

9-3 განსაზღვრეთ „მსოფლიო სახელმწიფოსთან“ დაკავშირებული მსოფლიოს მომავლის ხედვის ძირითადი ვარაუდები და შეაფასეთ მისი დამაჯერებლობა.

ხედვა: „სახელმწიფოების უცვლელ გეოგრაფიულ ლანდშაფტსა და დღევანდელი პრობლემებისა და გადაწყვეტილებების არატერიტორიულ ნიშან-თვისებას“ შორის არსებულ შეუსაბამობაზე მეოცე საუკუნის მიწურულს მრავალი მეცნიერი და ჟურნალისტი წერდა.[11] ისეთ პრობლემებს როგორებიცაა: ეკოლოგიური დეგრადაცია, ინფექციური დაავადებები თუ საერთაშორისო დანაშაული – ცალკეული სახელმწიფოები საკუთარი ძალები ვერ გაუმკლავდებიან. ერთიან მსოფლიო ეკონომიკაში ეროვნული ეკონომიკისა და ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის ცნებები აქტუალობას კარგავენ. მართლაც, ეს პრობლემები და ტენდენციები პირდაპირ უპირისპირდებიან სახელმწიფო სუვერენიტეტის ცნებას, რადგან ისინი სახელმწიფოების შეზღუდული შესაძლებლობის დემონსტრირებას ახდენენ – საკუთარ ტერიტორიაზე დააკანტროლოს მიმდინარე მოვლენები.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ეს გამოწვევა შედეგია **ახალი მედიევალიზმისა (New Medievalism)**, რომლის დროსაც სუბსახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორები ძალაუფლებას ინაწილებენ სახელმწიფოებთან, რომლებიც შეზღუდული არიან თავიანთ ქმედებებში. სახელმწიფოები გავლენების მოსაპოვებლად ექიშპებიან მრავალეროვნულ კორპორაციებს, ტერორისტულ დაჯგუფებებს, ტრანსნაციონალურ რელიგიურ ჯგუფებს, ასევე მთელ რიგ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაიას. მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოებრივი ძალაუფლების შემცირება იწვევს არა მათ ლიკვიდაციას ან ჩანაცვლებას სხვა ტიპის ორგანიზაციით, არამედ აქტორების ახალ პლურალიზმს, რომლის დროსაც სახელმწიფოების რიცხვი მცირდება.

ახალი მედიევალიზმი – *შეხედულება, რომლის თანახმადაც განვითარებად საზოგადოებაში სახელმწიფო უფლებამოსილებას, სუვერენიტეტსა და ძალაუფლებას ანაცვლებენ სუბეროვნული აქტორები, არასახელმწიფო აქტორები და ზეეროვნული ორგანიზაციები, რომლებიც ცალკეული პირების ერთგულებისა და მხარდაჭერისათვის ერთმანეთს ექიშპებიან.*

როგორც უნდა იყოს, ახალი გლობალური პრობლემები და ტენდენციები არა მხოლოდ სახელმწიფო ძალაუფლების შემცირებას, არამედ ზეეროვნულ დონეზე ახალი ინსტიტუტების ჩამოყალიბებასაც განაპირობებენ. ამ ინსტიტუტებს სუვერენულ სახელმწიფოზე მეტი ძალაუფლება გააჩნიათ. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო ინსტიტუტები გლობალური მმართველობისკენ მიისწრაფვიან. მაგალითად, რეგიონალურ დონეზე ზეეროვნული საკითხების მოსაგვარებლად ევროკავშირი შეიქმნა, ხოლო საერთაშორისო დონეზე პრობლემების გადაჭრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას (*გაერო*), მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და გაეროსთან ასოცირებულ სხვა სპეციალიზირებულ დაწესებულებებს დაევალათ. ზემოთქმულის

მიუხედავად, ამ ინსტიტუტებს მოქმედების სრული თავისუფლება არ გააჩნიათ: პირველი, მთელ რიგ შემთხვევაში ისინი ჯერ კიდევ ნომინალურად დამოკიდებული არიან სუვერენული სახელმწიფოების ნებაყოფლობით თანხმობაზე. ეს ინსტიტუტები ძირითადად დაბალ პოლიტიკასთან (low politics) დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ. მეორე, სახელმწიფოებს მსოფლიო პოლიტიკაში ძალის გამოყენების განსაკუთებული უფლება გააჩნიათ, თუმცა ზოგიერთი მეცნიერის პროგნოზით, უახლოეს მომავალში ეს მიდგომაც შეიცვლება.

პოლიტოლოგმა ალექსანდრე ვენდტმა (Alexander Wendt) ჯერ კიდევ 2003 წელს იწინასწარეტყველა, რომ ზეეროვნული ორგანიზაციის ფუნქციებით აღჭურვილი მსოფლიო სახელმწიფო, რომელსაც პოლიტიკაში ძალის კანონიერი გამოყენების განსაკუთრებული უფლება ექნება, არაუგვიანეს ას წელიწადში ჩამოყალიბდება.[12] მისი ვარაუდით, მსოფლიო სახელწიფოს შესაქმნელად ხუთი ეტაპია გასავლელი:

1. *სუვერენული სახელმწიფო სისტემა*. ეს არის ჰობსისეული სამყარო, რომელიც სახელმწიფო სუვერენიტეტს ეფუძნება. სუვერენული სახელმწიფოს პრინციპი ვესტფალიის სისტემიდან იღებს სათავეს.
2. *სახელმწიფოთა საზოგადოება*. სუვერენულ სახელმწიფოთა გაერთიანება. მისი წევრები იცავენ წესებსა და საერთაშორისო სამართლის ნორმებს, რომლებიც სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებს არეგულირებენ. გროოტის სისტემა (*იხ. თავი მეხუთე*) მეოცე საუკუნეში მეტ-ნაკლები წარმატებით მუშაობდა.
3. *მსოფლიო საზოგადოება*. მსოფლიო უსაფრთხოების გაერთიანების წევრი ქვეყნები სადავო საკითხებს ცივილიზებული ფორმებით აგვარებენ და არა ძალადობრივი მეთოდებით. ასეთი გაერთიანება პირველად მეოცე საუკუნის მიწურულს ჩრდილოეთი ამერიკის, დასავლეთი ევროპისა და იაპონიის თაოსნობით შეიქმნა (*იხ. თავი მეოთხე*). ამის მიუხედავად, ეს გაერთიანება ჯერ კიდევ სახელმწიფო სუვერენიტეტის სისტემის პრინციპში ჯდება.
4. *კოლექტიური უსაფრთხოება*. საერთაშორისო დავების გადაწყვეტისას სახელმწიფოები უარს ამბობენ ძალის გამოყენებაზე და ამავდროულად ვალდებულებას იღებენ დაიცვან სხვა სახელმწიფოები იმ შეთხვევაში, თუ „ხულიგანი სახელმწიფო“ უსაფრთხოების ნორმებს დაარღვევს. კოლექტიური უსაფრთხოების დამცველი პირველი გაერთიანებები (NATO, UN) მეოცე საუკუნის შუა პერიოდში, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ აღმოცენდნენ.
5. *მსოფლიო სახელმწიფო*. ამ დროს ძალის კანონიერი გამოყენების განსაკუთრებული უფლება ერთადერთ ზეეროვნულ აქტორს (*მსოფლიო სახელმწიფოს*) აქვს.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ნაციონალიზმმა დიდი პოპულარობა მოიპოვა, მსოფლიო სახელმწიფოს შესახებ ვენდტის გამოთქმული პროგნოზი არარეალისტურად ჩანს. შეიძლება შეიქმნას გარვეული ტიპის ფედერალისტური სისტემა, რომელიც მთელ რიგი საკითხებთან დაკავშირებით ადგილობრივ დონეზე მიიღებს გადაწყვეტილებებს, ხოლო ძალის გამოყენების ექსკულუზიურ უფლებას კი მსოფლიო სახელმწიფოს გადასცემს. ასეთი ნაბიჯის გადადგმა გლობალური პრობლემების გადაწყვეტისას და წამყვან სახელმწიფოებს შორის გაჩაღებული მესამე მსოფლიო ომის კატასტროფული შედეგებისგან თავის დაღწევაში დაგვეხმარება.

კრიტიკული ანალიზი: იდეა, რომლის თანახმადაც გლობალური პრობლემების გადაჭრა და საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფა

ზეეროვნული ინსტიტუტების ძალაუფლებაზეა დამოკიდებული, არაა ახალი. **გლობალურ მმართველობასთან (Global Governance)** დაკავშირებით ვკითხულობთ: „გლობალური პრობლემების განსაზღვრის, გაცნობიერებისა და გადაწყვეტის კოლექტიური მცდელობები ცალკეული სახელმწიფოების შესაძლებლობათა ფარგლებს სცილდება“.[13] ასეთი მცდელობები ხშირად ჰქონდა სუვერენული სახელმწიფოების შექმნილ ევროკავშირს, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და გაეროს დაწესებულებებს, რომლებსაც შეზღუდული ზეეროვნული უფლებამოსილება გააჩნდათ. ხსენებულმა ინსტიტუტებმა ამ მხრივ წარმატების სხვადასხვა დონეს მიაღწიეს.

ამის მიუხედავად, მსოფლიო სახელმწიფოს დაარსების იდეა იზიარებს ამ ლიბერალურ ინსტიტუციონალისტურ არგუმენტს თავისი ლოგიკური და რადიკალური დასკვნით და მიუთითებს, რომ ზეეროვნული უფლებამოსილების გამოყენება ისეთ სადავო საკითხებთან მიმართებით როგორებიცაა: ვაჭრობა, გარემოს დაცვა და ადამიანის უფლებები – საბოლოო ჯამში, ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით სუვერენული სახელმწიფოს განსაკუთრებულ უფლებაზეა დამოკიდებული. სინამდვილეში საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ გაირკვეს მსოფლიო სახელმწიფო ეს არის იდეა, რომლის განხორციელების დროც უკვე მოვიდა თუ ეს ყველაფერი უბრალოდ უტოპიური ფანტაზია?

მსოფლიო სახელმწიფოს იდეის შესახებ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებში სურვილები და განხორციელების შესაძლებლობები გამოსჭვივის. ზოგიერთი კრიტიკოსის თქმით, ეს იდეა ზოგჯერ შიშის მომგვრელია. მსოფლიო პოლიტიკაში ძალის გამოყენების ექსკლუზიური უფლებით აღჭურვილი საერთაშორისო ორგანიზაცია დიდი ალბათობით საფრთხეს შეუქმნის ეროვნულ წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებსა და კულტურას. ამასთან ერთად, კითხვები ჩნდება დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და პროცესებთან დაკავშირებითაც. ამ მხრივ ევროკავშირის გამოცდილება საყურადღებოა, რადგან ბრიუსელში მოკალათებულ ევროპელ ჩინოვნიკებს გაცილებითი დიდი ძალაუფლება და უფლებამოსილება გააჩნიათ, ვიდრე ევროპის პარლამენტს. იგივე რომ მომხდარიყო მსოფლიო სახელმწიფოსთან დაკავშირებით შედეგად მივიღებდით **დემოკრატიულ დეფიციტს (Democratic Deficit)**, რაც მსოფლიოს მრავალფეროვნებისა და მასშტაბების გამო გაცილებით თვალსაჩინო იქნებოდა.

სურვილი პირდაპირ კავშირშია განხორციელებასთან. მაგალითისთვის კიდევ ერთხელ შევეხები ევროკავშირის თემას. 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის შემდეგ არსებულ გამოწვევებთან შერწყმულმა რეზიდუალურმა ნაციონალურმა ვნებებმა არა მხოლოდ წინა პლანზე წამოწია ევროპის პოლიტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული შეზღუდვები, არამედ საფინანსო და ეკონომიკური ინტეგრაციის მომავალის შესახებაც გააჩინა კითხვები. მსოფლიოს მრავალ ქვეყნაში ეროვნული და ტომობრივი ერთგულება ჯერ კიდევ ძლიერია. ბალკანეთზე, ერაყში, პალესტინასა და სხვა ქვეყნებში აშკარად თვალშისაცემია ნაციონალურ ნიადაგზე ჩადენილი ძალადობრივი ქმედებები. უდიდესი გლობალური კრიზისის (*მაგ. გამანადგურებელი ომი*) გარეშე ნაციონალიზმსა და სუვერენიტეტზე უარის თქმა ძნელი წარმოსადგენია. მათი ნებაყოფლობითი დათმობა მსოფლიო სახელმწიფოს შექმნის წინაპირობაა. დღესდღეობით მიმდინარე სამოქალაქო ომები (*იხ. თავი მეოთხე*) თავისთავად აჩენს კითხვას ხომ არ აღმოჩნდებოდა მსოფლიო სახელმწიფო მუდმივი სამოქალაქო ომის მდგომარეობაში, როდესაც ადგილობრივი ორგანიზაციები მსოფლიო მთავრობას დაუპირისპირდებოდნენ. ამგვარად, მსოფლიო სახელმწიფოს დაარსება დიდი ალბათობით საომარი მოქმედებების ბუნების ცვლილებასაც გამოიწვევს.

გლობალური მმართველობა – *გლობალურ ბაზისზე დაფუძნებული კოლექტიური ძალისხმევა, რათა გადაჭრა ის პრობლემები, სადავო საკითხები თუ გამოწვევები, რომლებიც ცალკეული სახელმწიფოების საზღვრებს სცილდება და დამოუკიდებელი სახელმწიფოები მათ სათანადოდ ვერ გადაწყვეტენ.*

დემოკრატიული დეფიციტი – *დემოკრატიული ანგარიშვალდებულების დაკარგვა, როდესაც სუვერენული სახელმწიფოების დემოკრატიულად არჩეული საკანონმდებლო ორგანოები უფლებამოსილებას გადაცემენ ზეეროვნული ორგანიზაციების არა არჩეულ ბიუროკრატებს.*

მომავალი IV: კასკადური ნორმა ომის წინააღმდეგ

9-4 განსაზღვრეთ „ომის წინააღმდეგ მიმართულ კასკადურ ნორმებთან“ დაკავშირებული მსოფლიოს მომავლის ხედვის ძირითადი ვარაუდები და შეაფასეთ მისი დამაჯერებლობა.

ხედვა: მეოცე საუკუნის მიწურულს ლიბერალურად განწყობილმა საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრებმა ომების შემცირება იწინასწარმეტყველეს და ივარაუდეს, რომ წამყვან სახელმწიფოებს შორის ომი წარსულს ჩაბარდებოდა. ამ მკვლევართა ერთი ნაწილი დემოკრატიული მმართველობის ფორმის გავრცელებაზე ამყარებდა იმედს, მეორე ნაწილს კი ეკონომიკური ურთიერთკავშირის გავლენების ან სახელმწიფოთა მოქმედებების შემზღუდველი საერთაშორისო ინსტიტუტების შექმნა ეიმედებოდა. მნიშვნელოვანი განსხვავებების მიუხედავად, ეს ლიბერალი მკვლევრები მიიჩნევდნენ, რომ მსოფლიო პოლიტიკაში საყოველთაო მშვიდობის დამყარებას განაპირობებდა შიდა სახელისუფლებო სისტემების, საერთაშორისო ეკონომიკური სტრუქტურისა და საერთაშორისო ინსტიტუტების ტრანსფორმაცია. ვარაუდობდნენ, რომ გლობალური მშვიდობის უზრუნველყოფა მხოლოდ კანტის სამკუთხედის რომელიმე ელემენტის (*ან სამივე კომბინაციის*) ცვლილების საფუძველზე იყო შესაძლებელი.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით კი, ქვეყნებს შორის მშვიდობის დამყარებას ეს სტრუქტურული ფაქტორები არ განაპირობებენ. სიმშვიდეს მზარდი გლობალური კონსენსუსი ან რასაც კონსტრუქტივისტები უწოდებენ **ნორმა კასკადი (Norm Cascade)**[14] უზრუნველყოფს, ყოველ შემთხვევაში განვითარებულ ქვეყნებს შორის. ამ ნორმის თანახმად, ომის იდეამ აქტუალობა დაკარგა. ამ შეხედულების ყველაზე აქტიური მხარდამჭერი ამერიკელი პოლიტოლოგი ჯონ მიულერი (John Mueller)[15] შენიშნავს, რომ წესები, მაგალითად, დუელი ან მონობა, რომლებიც ოდესღაც ნორმად ითვლებოდა, დღეს უკვე წარსულის გადმონაშთია. მეოცე საუკუნის მიწურულს დუელი და დუელანტები დაცინვის ობიექტებად იქცნენ. ასევე, ადამიანთა უმეტესობისათვის მონების ყოლა წარმოუდგენელია, არა იმიტომ რომ უკანონოა, არამედ იმიტომ, რომ მონობა საყოველთაო გაკიცხვის საგანი გახდა. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ცივილიზებულ სამყაროში ომი „გარდაუვალ ბოროტებად“ მიიჩნეოდა.

ნორმა კასკადი – *სტადია, როდესაც უწინ არსებული ნორმა საზოგადოებისთვის მიუღებელი ხდება.*

ომის იდეა დროთა განმავლობაში აქტუალობას კარგავდა, რაც, ნაწილობრივ, მისი მზარდი მატერიალური და ფსიქოლოგიური დანახარჯებით იყო გამოწვეული. უკვე პირველი მსოფლიო ომის დროს ტექნოლოგიურმა რევოლუციამ მანამდე არნახული სიკვდილიანობა და განადგურება მოიტანა. ბირთვული თუ სხვა მასობრივი განადგურების „იარაღის“ განვითარებამ კლაუზევიცის მოსწრებულ გამონათქვამს – „ომი პოლიტიკის გაგრძელებაა“ – აქტუალობა დაუკარგა. შეიძლება ბევრმა თქვენთაგანმა იკითხოს კიდეც, თუ რა სარგებელს მოუტანდა ოცდამეერთე საუკუნეში გაჩაღებული ომი როგორც მოგებულ, ისე წაგებულ მხარეს.

ფაქტია, რომ ომის იდეის მიზანმიმართული დისკრედიტაცია მიმდინარეობს, რასაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს **ნორმის ანტერპრენერი (Norm Entrepreneurs)** – ცალკეული პირები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ტრანსნაციონალური ლობისტური ჯგუფები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ომის იდეას, როგორც მიზნის მიღწევის პოლიტიკურ ინსტრუმენტს. მსოფლიოს მართვასთან დაკავშირებული მათი შეხედულებები თანდათანობით ყოვლისმომცველი ხდება. მათი წახალისებული მშვიდობის „ნორმა“ მთელ მსოფლიოში ვრცელდება.

ნორმის ანტერპრენერი – *ცალკეული ადამიანებისა და ორგანიზაციების ნაზავი, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ განსაზღვრონ და ხელი შეუწყონ ახალი ნორმის ჩამოყალიბებას.*

მათი ძალისხმევის წარმატებული შედეგი „ხანგრძლივი მშვიდობა“, რომელიც 1945 წლიდან მოყოლებული წამყვან სახელმწიფოებს შორის სუფევდა, თითქმის სამი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში შენარჩუნდა. სახელმწიფოთა შორის აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ასევე მსოფლიოში, სადაც საერთაშორისო ინსტიტუტებს ჯერ კიდევ სუსტი პოზიციები უჭირავთ და სახელმწიფო სუვერენიტეტის იდეა არ მომკვდარა, მსხვილმასშტაბიანი ომის თავიდან არიდება საყოველთაო კონსენსუსმა განაპირობა. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ქვეყანა ომის წინააღმდეგია, ოცდამეერთე საუკუნეში მცირემასშტაბიანი ომები მაინც ხდება. ომის დაწყების შემთხვევაში ისინი, სავარაუდოდ, თავს შეიკავებენ. მოკლედ რომ ვთქვათ, ომის იდეა, მონობა, დუელი, სხვა ძველი სათაკილო წეს-ჩვეულებები და უპრეცენდენტო „ხანგრძლივი მშვიდობა“ ადასტურებს კონსტრუქტივისტი თეორეტიკოსების გამჭრიახობას იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანის ქცევების ჩამოყალიბებას უფრო მეტად სუბიექტური იდეები უწყობენ ხელს, ვიდრე ობიექტური სტრუქტურული ფაქტორები. კონსტრუქტივისტი ალექსანდრე ვენდტის თქმით, მსოფლიო ისეთია, როგორიც თავად ადამიანებს სურთ.

კრიტიკული ანალიზი: არაერთი რეალისტი და ლიბერალი მეცნიერის აზრით, არგუმენტი, რომლის თანახმადაც ომი წარსულს ჩაბარდა და აღარც პოლიტიკურ ინსტრუმენტად ითვლება, არადამაჯერებლია. პირველი, იმ შემთხვევაშიც კი თუ მსოფლიო საზოგადოების დიდი ნაწილი და სახელმწიფოები ომზე უარს იტყვიან, გამოჩნდება ერთი სახელმწიფო, რომელიც დადგენილ ნორმებს დაარღვევს და მშვიდობას საფრთხეს შეუქმნის.

მეორე, არგუმენტი, რომლის თანახმადაც ომი უკვე წარსულის გადმონაშთად ითვლება, გონივრულ ვარაუდს ემყარება. ეს არგუმენტი სახელმწიფოებს რაციონალური ნაბიჯების გადადგმისაკენ უბიძგებს. ხელმძღვანელი პირები სამხედრო ძალის გამოყენებამდე მოსალოდნელ შედეგებზე კარგად დაფიქრდებიან. ომისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიას თუ გადავხედავთ დავრწმუნებდით, რომ სახელმწიფოები ყოველთვის როდი მოქმედებდნენ გონივრულად; ხშირად უშვებენ შეცდომებს, ვერ აცნობიერებენ მოსალოდნელ შედეგებს და ისეთ მძიმე მდგომარეობაშიც ჩავარდნილან, საიდანაც თავის დაღწევა დიდ ფუფუნებას წარმოადგენდა. საკითხისადმი რაციონალური მიდგომის შემთხვევაში ომის დამწყები ქვეყნები წაგებულის როლში არ აღმოჩდებოდნენ. თანამედროვე ეპოქაში ომის წარმოებისას დაშვებულმა ერთმა შეცდომამ ან არასწორმა გათვლამ შეიძლება ძალზე სავალალო შედეგები გამოიწვიოს და დედამიწა განადგურების საფრთხის წინაშე დააყენოს. ბრძოლაში გაგზავნილი სამხედრო შენაერთებისგან განსხვავებით, სილოსიდან გაგზავნილ რაკეტას ბოლო წუთებში უკან ვეღარ დააბრუნებ. ამგვარად, გამანადგურებელი სამხედრო შეცდომის გამოსწორების ალბათობა ძალიან მცირეა.

ბოლოდროინდელ მტკიცებულებებს თუ ვერწმუნებით, ვარაუდი, რომლის თანახმადაც ადამიანები ომის წინააღმდეგ მისი ფსიქოლოგიური და მატერიალური დანახარჯების გამო ერთიანდებიან, მცდარია. სახელმწიფოები სამხედრო აღჭურვილობაზე დიდძალ თანხებსა და მწირ რესურსებს დაუფიქრებლად ხარჯავენ. უფრო მეტიც, ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც სხვადასხვა სახის ტერორისტულ აქტებს მრავალი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე ეწირება – იქნება ეს თვითმფრინავების გატაცება თუ თვითმკვლელი ტერორისტების „მოწამეობრივი სიკვდილი“.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში, მაგალითად დასავლეთ ევროპაში, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ომი პრობლემების გადაჭრის არაცივილიზებული მეთოდია, მსოფლიოში ჯერ კიდევ რჩება

ცხელი წერტილები, სადაც ანტიმილიტარისტულ პოლიტიკაზე საუბარი ღიმილის მომგვრელია. თუ აზიაში განვითარებულ ბოლოდროინდელ ტენდენციებს გავითვალისწინებთ, სამხრეთი ჩინეთის ზღვაში ან იაპონიასა და ჩინეთს შორის არსებულმა დაძაბულობამ შეიძლება აზიის კონტინენტი სისხლისმღვრელ ომში ჩაითრიოს

მომავალი V: აღმოცენებული მშვიდობა

9-5 განსაზღვრეთ „აღმოცენებულ მშვიდობასთან“ დაკავშირებული მსოფლიოს მომავლის ხედვის ძირითადი ვარაუდები და შეაფასეთ მისი დამაჯერებლობა.

ხედვა: მსოფლიოში მშვიდობის დასამყარებლად არაერთი ექსპერიმენტი ჩატარდა. შეიარაღებაზე დაწესებული კონტროლი, საერთაშორისო სამართალი, კოლექტიური უსაფრთხოება, დემოკრტიული პროცესებისადმი ხელშეწყობა და ა.შ. მსოფლიოს შეცვლას ისახავდა მიზნად. თუმცა, მავანთა მცდელობებმა დიდი შედეგი ვერ გამოიღო, რადგან ყოველი საომარი მოქმედების დაწყება კიდევ უფრო უცრუებდა საზოგადოებას იმის იმედს, რომ ომის პრობლემა წარსულს ჩაბარდა. ფემინისტი მეცნიერების მტკიცებით, ამ წარუმატებლობის მიზეზები მსოფლიოს ოპერირების აღქმასთან არის დაკავშირებული.

მეოცე საუკუნეში სუსტი სქესის წარმომადგენლებმა არაერთ სფეროში მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადეს. განვითარებულ ქვეყნებში ქალებმა ბიზნესსა თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე წამყვანი პოზიციები დაიკავეს. წარმატების მიუხედავად, სამთავრობო სტრუქტურებსა და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ნაკლებობა შეინიშნება. 2007 წელს ჩატარებულმა ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით საპარლამენტო ადგილების 17 პროცენტი და მინისტრთა პორტფელების 14 პროცენტი ქალებზე მოდიოდა. როგორც წესი, სახელისუფლო სტრუქტურებში მომუშავე ქალბატონები ძირითადად ქალთა პრობლემების – ოჯახი, განათლება და ჯანმრთელობა – გადაჭრით არიან დაკავებული.[16] 2015 წლისათვის, მინისტრებად სუსტი სქესის წარმომადგენელთა მხოლოდ 17 პროცენტი მსახურობდა, სახელმწიფოს მეთაურის პოსტი ათ ქალბატონს ეკავა, მთავრობას კი მხოლოდ თხუთმეტი ქალი ხელმძღვანელობდა. მაგალითად, 1980-იან წლებში დიდი ბრიტნეთის პრემიერ-მინისტრი მარგარეტ თეთჩერი (Margaret Thatcher) გახლდათ; ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნებად ასევე ქალბატონები კონდოლიზა რაისი (Condoleezza Rice) და ჰილარი კლინტონი (Hillary Clinton) მსახურობდნენ; 2005 წლიდან დღემდე კი გერმანიის აღმასრულებელ ხელისუფლებას ანგელა მერკელი (Angela Merkel) მეთაურობს.

ზემოთქმულის მიუხედავად, სამხედრო სფერო და ომის წარმოება ჯერ კიდევ მამაკაცების მოქმედების არეალად რჩება. ჯოშუა გოლდშტეინი (Joshua Goldstein) გენდერისა და ომის თემატიკაზე შექმნილ წიგნში შენიშნავს, რომ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში მთელი მსოფლიოს მასშტაბით უნიფორმებში გამოწყობილი ჯარისკაცების 97 პროცენტს მამაკაცები შეადგენდნენ, ხოლო უნიფორმიანი ქალების მაჩვენებელი მხოლოდ ექვს ქვეყანაში აღემატებოდა 5 პროცენტს. ცნობისათვის, მათი უმეტესობა საომარ მოქმედებებში არ მონაწილეობს.[17] გოლდშტეინის დასკვნით, ომი კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე გენდერული მოვლენაა.[18] ამ ფენომენთან დაკავშირებით, მეცნიერებს ზოგჯერ ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებები გააჩნიათ. საერთაშორისო ურთიერთობებს მამაკაცები და ქალბატონები განსხვავებულად უდგებიან.

ამგვარად, თუ ოცდამეერთე საუკუნეში ქალთა კრიტიკული მასა მაღალ პოლიტიკურ თანამდებობებს დაიკავებს ეფექტიც მნიშვნელოვანი იქნება. როგორც ერთი კვლევის შედეგებმა აჩვენა, ქალთა პოლიტიკური უფლებების გაზრდა საზოგადოებისთვის სარგებლობის მომტანია.[19] ამ კვლევის თანახმად, ლიდერ ქალებატონებს ნაკლებად ახასიათებთ კორუფციული ვნებანი, ხოლო უთანხმოებათა გადაწყვეტისას, მამაკაცებისგან განსხვავებით, მშვიდობიან მეთოდებს ამჯობინებენ. სახელმწიფო თანამდებობებზე მათი ყოფნა ზრდის მთავრობისადმი რწმენას, რასაც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ პოლიტიკური დივიდენდები მოაქვს. მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატიული მშვიდობის თეორიის გასაღები დაკავშირებულია, სულ მცირე, ნაწილობრივ, ქალთა შესაძლებლობებთან მონაწილეობა მიიღონ დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკურ პროცესებში.[20]

რასაკვირველია, დღევანდელ მსოფლიოში ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობათა გაფართოების კუთხით პრობლემები ჯერ კიდევ არსებობს. ამის მიუხედავად, პოლიტიკის ფემინიზაციამ სავსებით შესაძლებელია მსოფლიო გაცილებით მშვიდობიანი გახადოს და სახელმწიფოთა შორის წარმოქმნილი უთანხმოებები მშვიდობიანი მოლაპარაკებებით გადაიჭრას და არა იარაღის ჟღარუნით. ამგვარად, ნათელი გახდება, რომ ოდესღაც გაბატონებული პერსპექტივა როგორიცაა „რეალიზმი“ გენდერული პერსექტივა იყო და სამთავრობო თუ სამეცნიერო წრეებში მამაკაცები ჭარბობდნენ.

კრიტიკული ანალიზი: ფემინისტური მიდგომის კრიტიკოსები ეთანხმებიან ფემინისტებს იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ქალები სახელმწიფო სტრუქტურებში არასაკმარისად არიან წარმოდგენილი და სასურველია, რომ ამ სფეროში მათი როლი კიდევ უფრო გაიზარდოს. თუმცა, იქვე მიუთითებენ, რომ მსოფლიო საქმეებში გენდერული სხვაობა თვალში საცემია. კრიტიკა ეფუძნება როგორც ხელისუფლების სათავეში მყოფ ქალთა ემპირიულ მონაცემებს, ისე საგარეო პოლიტიკის ქცევის წყაროების განსხვავებულ შეფასებებს.

არაერთი ადამიანის განცხადებით, ხელისუფლების სათავეში მყოფი ქალბატონები, რომლებიც საგარეო პოლიტიკურ კურსს განსაზღვრავენ, ხშირად მამაკაცებზე არანაკლები სითამამითა თუ აგრესიულობით გამოირჩევიან. მაგალითად, „რკინის ლედად“ (“Iron Lady”) წოდებულმა მარგარეტ თეთჩერმა, რომელიც 1982 წელს არგენტინის წინააღმდეგ გამართულ ფოლკლენდის ომში (Falklands War) დიდ ბრიტანეთს ხელმძღვანელობდა, 1990 წელს პრეზიდენტი ჯორჯ ჰ.უ. ბუში კუვეიტში შეჭრილი სადამ ჰუსეინის დასჯაზე დაიყოლია. ინდოეთის ატომური ბომბის შექმნის პროგრამას ადრეულ ეტაპზე ხელმძღვანელობდა ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი (Indira Gandhi), რომელსაც 1971 წელს ინდოეთ-პაკისტანის ომის დროს ქვეყნის მართვის სადავეები ეპყრა ხელში. კონდოლიზა რაისი პირველი ქალბატონია, რომელსაც შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში მრჩევლის თანამდებობა ეკავა. მოგვიანებით სახელმწიფო მდივნის სავარძელში მოკალათებული რაისი პრეზიდენტ ბუშის 2003 წლის ანტიერაყულ კამპანიას ურყევ მხარდაჭერას უცხადებდა. იგი მეორე ქალია, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში აშშ-ის პირველი დიპლომატის სტატუსს ატარებდა. ანალოგიური შეიძლება ითქვას ყოფილ სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონზეც, რომელიც ავღანეთში პრეზიდენტ ობამას გატარებული პოლიტიკის ერთგული მხარდაჭერი გახლდათ. ამგვარი მაგალითები საგარეო პოლიტიკაზე გენდერის როლის მნიშვნელობასა და გავლენაზე მიუთითებენ.

ეს ქალბატონები პატრიარქალური საზოგადოების ხელისუფლების სათავეში მოექცნენ. არქეოლოგიური მტკიცებულებებს თუ ვერწმუნებით უძველესი მატრიარქალური საზოგადოებები მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ, რასაც ვერ ვიტყვით მამაკაცების მართულ მსოფლიოზე. ქალები ბრძოლებში ხშირად მნიშვნელოვან როლსაც ასრულებდნენ.[21] კათა პოლიტის (Katha Pollitt) თქმით, დიდი ხანი არ არის, რაც სუსტი სქესის წარმომადგენლები პაციფისტურ მოძრაობაში (*ამ მოძრაობაში მრავალი მამაკაციც არის გაწევრიანებული*) ჩაერთნენ. ამერიკელი პოეტი ეწინააღმდეგება იმ ცნებას, რომლის თანახმადაც ქალებს მამაკაცებისგან განსხვავებით, ომისადმი ანტაგონისტური დამოკიდებულება ახასიათებთ.[22]

ფემინისტური პერსპექტივის კრიტიკოსთა მტკიცებით, ლიდერთა ქცევას საერთაშორისო სისტემა და მათზე დაკისრებული როლი განსაზღვრავს და არა გენდერი. მარგარეტ თეთჩერის „მამაკაცურ“ ქცევას მისი მოვალეობა და პასუხისმგებლობა განაპირობებდა. როდესაც სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა ერაყის ომის დროს მტკიცე ხასიათი გამოავლინა, იგი მამაკაცივით არ იქცეოდა. რაისის ქმედებაში უფრო ის აზრი იკითხებოდა, რომ ამერიკის პირველი დიპლომატი ცდილობდა ესიამოვნებინა თავისი უშუალო უფროსისთვის, პრეზიდენტისთვის.

მომავალი VI: ცივილიზაციათა შეჯახება

9-6 განსაზღვრეთ „ცივილიზაციათა შეჯახებასთან“ დაკავშირებული მსოფლიოს მომავლის ხედვის ძირითადი ვარაუდები და შეაფასეთ მისი დამაჯერებლობა.

ხედვა: 1993 წელს სამუელ ჰანტინგტონის (Samuel Huntington) პირველად გამოქვეყნებულ კონცეფციას – „ცივილიზაციათა შეჯახება“ (Clash of Civilizations) – ფართო გამოხმაურება მოჰყვა.[23] ყოფილმა რეალისტმა საბჭოთა კავშირის დაშლით, ცივი ომის დასრულებით, დემოკრატიული მმართველობის გავრცელებითა და გლობალიზაციასთან ასოცირებული ეკონომიკური განვითარებით გამოწვეული ოპტიმიზმს პესიმისტური ნოტით უპასუხა. ამერიკელმა პოლიტოლოგმა პირველ სტატიასა და 1998 წელს გამოცემულ წიგნში სამი ძირითადი არგუმენტი წამოაყენა და განავითარა.

პირველი, ჰანტინგტონის მტკიცებით, მსოფლიო ცივილიზაციებად იყოფა. სტანდარტულ რეალისტურ მსოფლიო რუკაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა სუვერენულ სახელმწიფოთა პოლიტიკურ საზღვრებს ენიჭება, ჰანტინგტონის აზრით კი, მსოფლიო რუკაზე დემარკაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ხაზები ცივილიზაციათა შორის გავლებული კულტურული საზღვრებია. მის მულტიპოლარულ რუკაზე (*იხ. დიაგრამა* 9.1) მოცემულია ცხრა დიდი ცივილიზაცია (*დასავლური, ისლამური, ჩინური, მართლმადიდებლური, ინდური, სამხრეთამერიკული, იაპონური, ბუდისტური და აფრიკული*). კულტურული განსხვავებების თაობაზე გაკეთებულ მის ანალიზში რელიგიამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. სწორედ ეს განსხვავებები გამოყოფს ერთმანეთისგან ცივილიზაციებს, რაც იმ ფაქტითაც მტკიცდება, რომ მათგან ოთხს მთავარი რელიგიების სახელი ეწოდა. ჰანტინგტონის აზრით, კულტურული და ცივილიზაციური იდენტობის ზრდა ადგილობრივი კულტურებისა და ტრადიციების წინაშე არსებულმა გამოწვევებმა განაპირობა, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკური გლობალიზაციიდან იღებდა სათავეს.

მეორე, ჰანტინგტონის მტკიცებით, ერთ დღეს ეს ცივილიზაციები ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. განსხვავებით „ერთიანი მსოფლიოს

მომხრეებისგან“, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ გლობალიზაცია შეიარაღებულ კონფლიქტებს ბოლოს მოუღებდა და დემოკრატიული მშვიდობის თეორეტიკოსებისგან, რომლებმაც ისტორიის მშვიდობიანი დასასრული იწინასწარმეტყველეს, ჰანტინგტონი ფიქრობდა, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ბევრი სისხლი დაიღვრებოდა, რასაც, თავის მხრივ, ამ ცივილიზაციათა საზღვრების ცვლილებაც მოჰყვებოდა. მისი თქმით, ისლამური სამყაროს მიზანში დასავლური, მართლმადიდებლური და ინდური ცივილიზაციები მოხვდებოდნენ. ამ მასშტაბური დაპირისპირების ლაიტმოტივი რელიგია იქნებოდა. გამორიცხული არაფერია, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მსოფლიოში რელიგიური ფუნდამენტალიზმის იდეა თანდათან იკრებს ძალებს და გასული საუკუნისთვის დამახასიათებელი სეკულარიზმი აქტუალობას კარგავს.

მესამე, ჰანტინგტონმა ოცდმეერთე საუკუნეში დასავლური ცივილიზაციის დასასასრული იწინასწარმეტყველა. ზოგიერთი ცივილიზაციის (*მაგ. ჩინური*) აღმასვლისა და თვითრწმენის კომბინაციამ, ასევე დასავლეთისადმი გამოვლენილმა მზარდმა უკმაყოფილებამ (*მაგ. ისლამური*) მსოფლიო დაპირისპირების კერად აქცია, სადაც მომავალი კონფლიქტების არსი იქნება „დასავლეთი სხვა ცივილიზაციების წინააღმდეგ“. ჰანტინგტონი დარწმუნებული არ იყო, რომ დასავლეთი დომინირებულ მდგომარეობას მომავალშიც შეინარჩუნებდა.

1993 წელს სამუელ ჰანტინგტონის გამოაქვეყნებულ კონცეფცია – „ცივილიზაციათა შეჯახება“ – პროვოკაციული და მცდარი იყო. იმ დროს, როცა ოპტიმისტურმა დამოკიდებულებამ გლობალიზაციისა და დემოკრატიზაციის შესახებ პიკს მიაღწია და ცივი ომი დასავლეთის გამარჯვებით დასრულდა, მისი არგუმენტები ინტეგრაციის, მშვიდობისა და გავლენის

დიაგრამა 9.1 ჰანტინგტონისეული ცივილიზაციების რუკა

წყარო: Based on map by Simon & Schuster, Inc., from The Clash of Civilizations and the Remaking of the World Order by Samuel P. Huntington. Copyright © by Samuel P. Huntington. Base map: Copyright © Hammond World Atlas Corp.



შენარჩუნების ნაცვლად, კულტურულ ფრაგმენტაციაზე, მოსალოდნელ კონფლიქტებსა და დასავლეთის დაღმასვლაზე მიუთითებდა. მეოთხედი საუკუნის წინ გამოთქმულმა შეხედულებამ ჰანტინგტონი თავისი დროის წინდახედულ ადამიანად წარმოაჩინა. 2001 წლის 11 სექტემბერის ტრაგედია, აშშ-ის ომები ერაყსა და ავღანეთში, „ისლამური სახელმწიფოს“ დაბადება და 2015 წლის იანვარში, ქალაქ პარიზში, სატირული ჟურნალის – „შარლი ებდო“ (Charlie Hebdo) – რედაქციაზე განხორციელებული სისხლიანი თავდასხმა ჰანტინგტონის ცივილიზაციათა შეჯახების ნარატივთან შესაბამისობაში მოდიოდა. ამერიკელი პოლიტოლოგი არც იმაში შემცდარა, როდესაც ისლამური და დასავლური ცივილიზაციების შეჯახება იწინასწარმეტყველა (*იხ. თეორია პრაქტიკაში* 9.2). მართლაც, „ალ-ქაიდასა“ და „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერებმა თავად აირჩიეს ბრძოლის ამგვარი ტაქტიკა.

ოცდამეერთე საუკუნეში ისლამურ და დასავლურ ცივილიზაციებს შორის არსებული დაძაბულობა დასავლეთისა და დანარჩენი მსოფლიოს დაპირისპირებას ემსგავსება. როგორც ჰანტინგტონმა იწინასწარმეტყველა, დასავლეთის დაცემის სიმპტომები აქა-იქ უკვე შეინიშნება. აშშ-ის მიერ ისლამისტი ტერორისტების წინააღმდეგ გაჩაღებულმა ასიმეტრიულმა ომმა, მათ შორის მსხვილმასშტაბიანმა შეიარაღებულმა კონფლიქტმა ახლო აღმოსავლეთში, 2008 წლის საკრედიტო კრიზისის შემდეგ დასავლეთ ევროპაში გაჩენილმა ნდობის კრიზისმა, შობადობის შემცირებამ და ევროპის პოლიტიკური ინტეგრაციის იდეის მარცხმა სხვა ცივილიზაციები დასავლეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ მოწინააღმდეგეებად აქცია. ჰანტინგტონის სქემაში ჩინეთი ან ჩინური ცივილიზაცია ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით კიდევ უფრო დიდ ძალას მოიკრებს და მთელ მსოფლიოში პოზიციებს განიმტკიცებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, უნივერსალურ, გლობალურ და კულტურულ იდეასთან ხანმოკლე ფლირტის შემდეგ ადამიანებმა ოცდამეერთე საუკუნეში საკუთარ კულტურულ და რელიგიურ ფესვებთან დაიწყეს დაბრუნება. მსოფლიოში გაჩაღებულ ომებსა თუ ჩამოყალიბებულ ალიანსებს ბევრი არაფერი აქვთ საერთო იდეოლოგიურ ან პოლიტიკურ შეხედულებებთან, რასაც ვერ ვიტყვით იდენტობის ახალ, გლობალიზებულ პოლიტიკაზე.

კრიტიკული ანალიზი: ჰანტინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახებას“ არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. ამ კონცეფციის მხარდამჭერებისათვის ის ოცდამეერთე საუკუნის აღსაქმელად საუკეთესო შაბლონია, კრიტიკოსები კი ირეალურად და საფრთხის შემცველად მიიჩნევდნენ. ამ უკანასკნელთა თქმით, კონცეფციის მთავარი სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ ჰანტინგტონი ცივილიზაციებს მონოლითურ და შინაგანად ჰომოგენურ ერთეულებად მიიჩნევს. მაგალითად, მისი კრიტიკოსების განცხადებით, ერთიანი ისლამური ცივილიზაცია ბუნებაში არ არსებობს. ისლამი სექტებად (*სუნიტები და შიიტები*), ასევე პოლიტიკურ (*თეოკრატიული და სეკულარული*), გეოგრაფიულ (*ახლო აღმოსავლეთი და სამხრეთ–აღმოსავლეთი აზია*) და კულტურულ (*არაბული და სპარსული*) საფეხურებად იყოფა. დღევანდელ მსოფლიოში ისლამის სახელით დაწყებული კონფლიქტებისა თუ სისხლიანი ტერორისტული აქტების დიდი ნაწილი არა ცივილიზაციათა შეჯახებაზე, არამედ თავად მის შიგნით არსებულ უთანხმოებაზე მიუთითებს. სირიასა და ერაყში ფუნდამენტალისტურ სუნიტურ „ისლამურ სახელმწიფოსა“ და შიიტებს შორის გაჩაღებული ინტრა-ისლამური კონფლიქტი განსაკუთრებული ძალადობითა და სისხლისღვრით გამოირჩეოდა. მართლაც, სუნიტებისა და შიიტების დაპირისპირების მკაფიო მაგალითია სუნიტური (და *არაბეთი*) საუდის

თეორია პრაქტიკაში 9.2

კარიკატურული კრიზისი და „შარლი ებდოს“ სისხლიანი ტრაგედია. ცივილიზაციათა შეჯახება?

2005 წლის 30 სექტემბერს, ერთმა დანიურმა გაზეთმა ისლამის დამაარსებელის, წინასწარმეტყველი მუჰამედის, დამცინავი თორმეტი კარიკატურა დაბეჭდა. მუსულმანების განცხადებით, ამ კარიკატურებით ისლამი შეურაცხყვეს. ზოგიერთი ადამიანის თქმით, მიუღებელი იყო მუჰამედის სურათებზე გამოსახვა, თუმცა განსაკუთრებით შეურაცხმყოფელი იყო ის კარიკატურები, რომლებიც წინასწარმეტყველს ძალადობასა და ტერორიზმთან აკავშირებდა. ერთ კარიკატურაზე ხმლით ხელში იყო გამოსახული; მეორე კარიკატურაზე დოლბანდში ბომბი ედო; ხოლო მესამე კარიკატურაზე კი ღრუბლებზე დგომი მუჰამედი სამოთხეში მოხვედრის მსურველ თვითმკვლელ ტერორისტებს მიმართავს: „შეჩერდით, ქალიშვილები აღარ გვყავს“.

მომდევნო დღეებში დაძაბულობამ იმატა. ისლამური ქვეყნების ელჩებმა დანიის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა მოითხოვეს, მუსლიმანი სასულიერო პირები ბოდიშის მოხდასა და დანიური გაზეთის დასჯას ითხოვდნენ, ისლამურ სამყაროში პროტესტის გამოსახატად ქუჩაში ათასობით ადამიანი გამოვიდა. ერთმა პაკისტანელმა კლერკმა დამნაშავე კარიკატურისტების თავებისთვის ჯილდოც კი დააწესა. დასავლეთში მრავალმა ადამიანმა დაიცვა გაზეთის უფლებები და სარედაქციო პოლიტიკა. მათი თქმით, ეს უფლებები პრესისა და გამოხატვის თავისუფლების პრინციპებს ეფუძნებოდა. ამის მიუხედავად, მრავალმა ევროპულმა თუ ამერიკულმა საინფორმაციო სააგენტომ მათი გადაბეჭდვისგან თავი შეიკავა, რათა შეურაცხყოფილი მუსულმანების რისხვა არ დატყდომოდა თავს.

ეს კარიკატურები ერთმა ფრანგულმა სატირულმა ჟურნალმა „შარლი ებდომ“ გადაბეჭდა. 2011 წლის ნოემბერში ჟურნალის ოფისს ბომბები ესროლეს. ამის მიუხედავად, მომდევნო წლებში „შარლი ებდო“ კვლავ განაგრძობდა მუჰამედის კარიკატურების გამოქვეყნებას. 2015 წლის იანვარში ჟურნალის რედაქციაში შევარდნილმა ორმა მამაკაცმა, რომლებიც ერთ ისლამისტურ ტერორისტულ დაჯგუფებას მიაკუთვნებდნენ თავს, სამაგიეროს გადახდის მიზნით თორმეტი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. პარიზსა და მთელ მსოფლიოში მოკლულთა მხარდასაჭერად დემონსტრაციები გაიმართა. ადამიანები საქვეყნოდ გაიძახოდნენ – „ჟე სუს შარლი“ („*მე შარლი ვარ*“).

ზოგიერთი ადამიანის აზრით, ეს კარიკატურული კრიზისი და „შარლი ებდოზე“ განხოციელებული ტერორისტული თავდასხმა წლების წინ ჰანტინგტონის მიერ ნაწინასწარმეტყველები ცივილიზაციათა შეჯახების კიდევ ერთი გამოვლინება გახლდათ. რეალიზმის მსგავსაც, ჰანტინგტონის კონცეფციაც უარყოს მშვიდობიანი, ერთიანი მომავლის შესახებ გავრცელებულ ლიბერალურ შეხედულებას. როგორც უნდა იყოს, ამ კარიკატურულმა კრიზისმა ცხადად დაგვანახა, რომ მომავალი კონფლიქტი შეიძლება უკავშირდებოდეს როგორც განსხვავებულ კულტურულ ფასეულობებს, ისე რეალისტთა შეშფოთებებს სამხედრო ძალთა ბალანსის შესახებ.

- თქვენ რომ ამ სახელმძღვანელოს ავტორი ან გამომცემელი ყოფილიყავით, დაბეჭდავდით მასში ამ კარიკატურებს? გამოთქვით თქვენი აზრი.
- ჰანტინგტონის თქმით, კულტურული უთანხმოებები უფრო რთული გადასაჭრელია, ვიდრე ეროვნულ ინტერესებთან დაკავშირებული კონფლიქტები. მართალია ამერიკელი პოლიტოლოგი? განმარტეთ მიზეზები.
- ჰანტინგტონის სიტყვით, კულტურული განსხვავებები მომავალში ცივილიზაციათა შორის დაპირისპირებას გამოიწვევს. ოპონენტებს კი მიაჩნიათ, რომ გლობალიზაცია საერთო გლობალურ კულტურას ჩაუყრის საფუძველს. თქვენი აზრით, ვინ არის მართალი და რატომ?

არაბეთისა და სპარსეთის ყურის სახელმწიფოების, მათ შორის შიიტური (და *სპარსული*) ირანის მტრული ურთიერთდამოკიდებულება.

შემთხვევითი არ არის, რომ ჰანტინგტონის თეორიული ბაზისი რეალიზმიდან იღებს სათავეს, რადგან მისი კონცეფცია ბევრ რეალისტურ ვარაუდსა და რეალისტური აზროვნების ნაკლს მოიცავს. ჰანტინგტონის ვარაუდი ომისა და კონფლიქტის გარდაუვალობის შესახებ, ასევე შეხედულება წამყვანი აქტორების შესახებ პირდაპირ მიესადაგება რეალისტურ ტრადიციას. ამერიკელი პოლიტოლოგის აზრით, მთავარი აქტორები ცივილიზაციები არიან და არა ცალკეული სახელმწიფოები, ეს კი ნაკლებად ეწინააღმდეგება რეალიზმს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. რეალისტი ჯონ მირშაიმერი შენიშნავს: „რეალიზმი უბრალოდ მოითხოვს ანარქიას; მისთვის მნიშვნელობა არ აქვს თუ რომელი პოლიტიკური ერთეულები შეადგენენ სისტემას“.[24]

კრიტიკოსები შიშობენ, რომ ჰანტინგტონის კონცეფცია არა მხოლოდ მცდარი, არამედ საფრთხის შემცველია, რადგან შეიძლება ახდეს. მაგალითად, როდესაც დასავლელი პოლიტიკოსები ტერორიზმის, „ალ-ქაიდასა“ და „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლას ისლამურ და დასავლურ სამყაროებს შორის ჰანტინგტონის ცივილიზაციათა შეჯახების ნაწილად მიიჩნევენ, ამით ისლამისტი ექსტრემისტების წისქვილზე ასხამენ წყალს. ანალოგიური რამ შეიძლება ითქვას ჩინეთის მზარდი ეკონომიკის შესახებაც. მოკლედ რომ ვთქვათ, კრიტიკოსების შიშნარევი ვარაუდით, ცივილიზაციათა შეჯახებისთვის მზადება მომავალში ასეთი შეჯახების პროვოცირებას უზრუნველყოფს.

საფრანგეთის ქალაქ მარსელის ქუჩაში მიმავალი ორი ქალბატონი. 2010 წლის ივლისში, საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატამ სამას ოცდათხუთმეტი ხმით ერთი წინააღმდეგ საჯაროდ ჩადრით სიარული აკრძალა. თქვენი აზრით, ჰანტინგტონის ცივილიზაციათა შეჯახების იდეა ოცდამეერთე საუკუნის მსოფლიოს აღსაქმელად საუკეთესო მეთოდია?

მომავალი VII. მსხვილმასშტაბიანი ომი

9-7 განსაზღვრეთ „მსხვილმასშტაბიან ომთან“ დაკავშირებული მსოფლიოს მომავლის ხედვის ძირითადი ვარაუდები და შეაფასეთ მისი დამაჯერებლობა.

ხედვა: ჰანტინგტონის მსგავსად, არც ოცდამეერთე საუკუნის რეალისტები იზიარებენ იმ უტოპიურ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ომი წარსულს ჩაბარდა. რაშიც ისინი არ ეთანხმებიან ჰანტინგტონის კონცეფციას გახლავთ შემდეგი: რეალისტებისთვის ომი ეს არის სუვერენული სახელმწიფოების ხელში არსებული ინსტრუმენტი, რომლითაც შესაძელებელია ეროვნული ინტერესების დაცვა და არა ცივილიზაციათა შორის კულტურული შეუთავსებლობის ძალადობრივი მეთოდებით გადაჭრის მექანიზმი. 1945 წლიდან საერთაშორისო ურთიერთობებში გაბატონებული „ხანგრძლივი მშვიდობის“ მიუხედავად, რეალისტებს დღემდე მიაჩნიათ, რომ ოცდამეერთე საუკუნეში წამყვან სახელმწიფოებს შორის ომის დაწყების ალბათობა არსებობს. არცერთ სერიოზულ მეცნიერს არ აქვს იმის პრეტენზია, რომ ზუსტად განჭვრიტოს როდის, სად, როგორ და რატომ შეიძლება დაიწყოს ეს მსხვილმასშტაბიანი ომი, თუმცა არიან ისეთები, რომლებსაც მომავალი სამყაროს ბედი აღელვებთ.

ამ წუხილის მიზეზს იძლევა შეერთებული შტატებისა და რუსეთის შესაძლო სამხედრო დაპირისპირება. 2015 წლის სტატიაში გრემ ელისონმა (Graham Allison) და დიმიტრი საიმსმა (Dimitri Simes) ეჭვქვეშ დააყენეს თვითკმაყოფილებით გამსჭვალული ადამიანების შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ მსხვილმასშტაბიანი ომი წარმოუდგენელია და საბოლოოდ ცივი გონებით მოაზროვნე ადამიანები გაიმარჯვებენ. „ცივი ომის დასრულების შემდეგ ისინი ასეთი შეშფოთებული არ ყოფილან“.[25]

რასაკვირველია, ამ შეშფოთების საფუძველს ქმნის უკრაინის კონფლიქტი. რეგიონში, რომელშიც სტრატეგიული და ტაქტიკური ხედვები ერთმანეთშია გადაჯაჭვული, ერთმა არასწორმა ნაბიჯმაც კი შეიძლება კატასტროფული შედეგები მოიტანოს. სტრატეგიული თვალსაზრისით რუსეთი უკრაინასა და აღმოსავლეთ ევროპას მუდამ თავისი გავლენის სფეროდ მიიჩნევდა, რომელზეც 1990-იან წლებში დროებით დაკარგა კონტროლი. რუსების საპირისპიროდ, ამერიკელები ცივი ომის დასრულების შემდეგ რეგიონში დაწყებული ახალი პოლიტიკური პროცესების შენარჩუნებას უჭერენ მხარს, რადგან არსებული ვითარება მათ ინტერესებში შედის. ტაქტიკური კუთხით თუ შევხედავთ, ამ შეშფოთების არსი იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთმა შეიძლება ზედმეტი მნიშვნელობა მიანიჭოს საკუთარ შესაძლებლობებს და სათანადოდ ვერ შეაფასოს შეერთებული შტატებისა და ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის საპასუხო ქმედებები ან ამერიკელებმა სანქციების დაწესებით რუსეთი პოლიტიკურ იზოლაციაში მოაქციონ და პუტინს სამხედრო კონფლიქტის დაწყებისაკენ უბიძგონ იმ რეგიონში, რომელშიც დიდი გავლენები აქვს.

თუ რუსეთ-ამერიკის ომი დროებითი წუხილის საგანია, შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის ომის დაწყების ალბათობა უფრო გრძელვადიანი პრობლემაა. შეიძლება ასეთი ომის დაწყებას სამხრეთი ჩინეთის ზღვის გაკონტროლების მცდელობამ, ტაივანის სტატუსმა ან სულაც აღმოსავლეთი ჩინეთის ზღვაში მდებარე სენკაკუს კუნძულების (Senkaku Islands – *კუნძულებს ჩინეთში დიაოიუიდაოს სახელით მოიხსენიებენ*) გამო ჩინეთსა და იაპონიის შორის არსებულმა დაძაბულობამ შეუწყოს ხელი, თუმცა გაცილებით შემაშფოთებელია ჩსრ-ში ახალი ძალის ზრდის დინამიკა და შეერთებული შტატების რეაქცია. როგორც თავდაცვითი

რეალისტები (Defensive Realists) ამტკიცებენ, უსაფრთხოების შესანარჩუნებლად სახელმწიფოებმა პოტენციური მოწინააღმდეგის ძალები უნდა აბალანსონ, ხოლო თავდასხმითი რეალისტების (Offensive Realists) აზრით კი, უსაფრთხოება ემყარება არა ბალანსის პოლიტიკას, არამედ რეგიონალურ ჰეგემონობას. სავსებით მოსალოდნელია, რომ ერთ დღეს ჩინეთმა წყნარი ოკეანის რეგიონზე, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ შეერთებული შტატები იცავს, პრეტენზია განაცხადოს, თუმცა გულხელდაკრეფილი არც ამერიკელები ისხდებიან. თავდასხმითი რეალიზმის აპოლოგეტის, ჯონ მირშაიმერის, განცხადებით, ჩინეთს მომავალში აზიაში დომინირების ისეთივე სურვილი გაუჩნდება, როგორც შეერთებული შტატები არის გაბატონებული დასავლეთ ნახევარსფეროში. მისი თქმით, ამერიკის შეერთებული შტატები სხვა რეგიონალურ აქტორებთან ერთად ჩინეთის სწრაფვას შეეწინააღმდეგება, რაც უსაფრთხოების კუთხით ინტენსიურ კონკურენციას გამოიწვევს.[26]

შეერთებული შტატების ეროვნული დაზვერვის საბჭო (National Intelligence Council (NIC), რომელიც ეროვნული დაზვერვის (National Intelligence) დირექტორს გრძელვადიანი სტრატეგიული ანალიზით უზრუნველყოფს, სახელმწიფოთაშორისი ომის დაწყებასთან დაკავშირებულ მოსაზრებას იზიარებს. საბჭოს საანგარიშო მოხსენებაში (Global Trends 2030) ვკითხულობთ, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ მსოფლიო საზოგადოებამ ომებზე უარი თქვა, თუმცა საერთაშორისო სისტემაში განხორციელებული ცვლილებები ომის დაწყების შანსებს ზრდის.[27] ამ საანგარიშო მოხსენებაში ჩინეთის შესახებ გამაფრთხილებელ შენიშვნას ქვემოთ წაიკითხავთ:

> ჩინეთის მმართველ ელიტებში გაჩაღებული ცხარე დისკუსიები, მაგალითად, იმის თაობაზე უნდა გადაუხვიოს თუ არა ჩინეთმა ტრადიციული პოლიტიკური გზიდან – არ ჰქონდეს უცხოური ბაზები, უარი თქვას დიდ სამხედრო ალიანსებში გაერთიანებაზე და არ ჩაერიოს სხვა ქვეყნების შიდა საქმეებში – მის საგარეო ინტერესების გაფართოებას უკავშირდება. ამ დისკუსიების შედეგი მიგვანიშნებს ჩინეთის განზრახულობაზე გახდეს მსოფლიო ზესახელმწიფო. სხვა წამყვან სახელმწიფოსთან გავლებული ისტორიული პარალელების თანახმად, ჩინელთა თავდაჯერებულობამ შეიძლება ქვეყნის ეკონომიკური ზრდა შეაფერხოს. ასევე, ჩინელები პოლიტიკურად მზად არიან მსოფლიო ასპარეზზე საკუთარი სიტყვის სათქმელად.[28]

ამ საანგარიშო მოხსენების გამოქვეყნების შემდეგ შეშფოთების გამომხატველთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. მართლაც, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა 2012 წლის შემდეგ სი ძინპინის ხელმძღვანელობით გაცილებით თავდაჯერებული გახდა. ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელების მიუხედავად, ჩინეთის სამხედრო ძალების სწრაფი მოდერნიზაცია კვლავინდებურად გრძელდება. ჩსრ-მ სამხრეთი და აღმოსავლეთი ჩინეთის ზღვებში საკუთარი ინტერესები ნათლად ჩამოაყალიბა. 2015 წელს ჩინეთმა სამხრეთი ჩინეთის ზღვაში მდებარე ხელოვნურ კუნძულებზე სამხედრო თვითმფრინავების ასაფრენ-დასაფრენი ზოლების აშენებით მთელ ზღვაზე სუვერენული პრეტენზიები საჯაროდ გამოხატა. საპასუხოდ კი ობამას ადმინისტრაციამ ამერიკულ სამხედრო-საზღვაო ფლოტთან დაკავშირებულ გეგმებს მოჰფინა ნათელი. რთული წარმოსადგენი არ არის, რომ ამგვარი დაძაბული ურთიერთობები ნებსით თუ უნებლიეთ შეიძლება ამ ორ ქვეყანას შორის მასშტაბურ ომში გადაიზარდოს.

კრიტიკული ანალიზი: მსოფლიოს მომავალთან დაკავშირებული ეს ხედვა წამყვან სახელმწიფოებს შორის ომის შესაძლო დაწყებაზე მიუთი-

თებს. როგორც ჩანს, ბევრი რამ იცვლება, ბევრიც კი თავის პირვანდელ სახეს ინარჩუნებს. როდესაც წამყვანი მოთამაშეები წინა პლანზე გამოდიან (*ჩინეთი*) ან უჩინარდებიან (*საბჭოთა კავშირი*) მსოფლიო პოლიტიკურმა ავანსცენამ შეიძლება ერთი პოლიტიკური მოქმედების თეატრიდან (*ევროპა*) მეორეში (*აზია*) გადაინაცვლოს. ხოლო ანარქია, როგორც საერთაშორისო სისტემის მთავარი ფაქტი, უცვლელი რჩება. რეალისტური პერსპექტივის თანახმად, არგუმენტები, რომლებიც ოცდამეერთე საუკუნეში მშვიდობას პროგნოზირებენ, გადაჭარბებულად იზიარებენ ევროცენტრისტულ პერსპექტივას, რადგან ისინი განსაზღვრავენ დასავლეთ ევროპაში, ზოგადად კი მთელ მსოფლიოში ამჟამად გაბატონებულ მშვიდობას. ამგვარად, ეს არგუმენტები არა მხოლოდ უგულებელყოფენ ევროპის სისხლიან წარსულს, არამედ ვერ აცნობიერებენ, რომ ევროპის წარსული ხვალ შეიძლება აზიის მომავალი გახდეს.

ამის მიუხედავად, რეალიზმის კრიტიკოსები არ ეთანხმებიან ამ „უკან მომავალში“ პერსპექტივას.[29] მაგალითად, განვიხილოთ აშშ-სა და ჩინეთს შორის შესაძლო ომთან დაკავშირებული რეალისტური შეშფოთება. პირველი, ეს სცენარი არ ითვალისწინებს შიდა პოლიტიკურ ცვლილებებს. რეალისტებისთვის მნიშვნელობა არ აქვს გადავა თუ არა ჩინეთი დემოკრატიული მმართველობის ფორმაზე, რადგან მათი შეხედულებით, სახელმწიფოთა საგარეო ქმედებებს გარე უსაფრთხოების ფაქტორები განსაზღვრავენ და არა მათი მთავრობების დემოკრატიულობის ხარისხი. რეალიზმის კრიტიკოსები ამ მოსაზრებას საკმაოდ არარეალისტურად მიიჩნევენ. ჩინეთის დემოკრატიულ საწყისებზე გადასვლის ალბათობა ბუნდოვანია. მრავალი ადამიანი ეჭვის თვალით უყურებს იმ რეალისტურ არგუმენტს, რომლიც თანახმადაც იგი გავლენას არ მოახდენს ჩინეთის პოლიტიკაზე.

მეორე, ეს სცენარი უგულებელყოფს ლიბერალურ კომერციალისტურ არგუმენტს, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკური ურთიერთკავშირის დამაწყნარებელ ეფექტთან. თუ შეერთებული შტატები და ჩინეთი ერთმანეთს დაუპირისპირდებიან, ამ შემთხვევაში ორივე მხარე საკუთარ აქტივებს გაანადგურებს და წაგებული დარჩება. მაგალითად, ჩინეთის ეკონომიკური დედაქალაქი შანხაი ამერიკის სახელოსნოა, სადაც ამერიკელებისთვის განკუთვნილ პროდუქციას ამზადებენ, შემდეგ კი ეს საქონელი ამერიკული ტრანსნაციონალური კორპორაციების შვილობილი კომპანიების მეშვეობით შეერთებულ შტატებში „ვოლმარტისა“ და სხვა მაღაზიათა თაროებზე ხვდება. ასევე, ჩინეთის ცენტრალურ ბანკში შენახულმა მილიარდობით აშშ დოლარმა, რომელიც ამ ქვეყნის მნიშვნელოვანი ფინანსური მარაგია, პოსტომისეულ მსოფლიოში შეიძლება ღირებულება დაკარგოს. ეკონომიკურმა ურთიერთკავშირმა პირველი მსოფლიო ომის დაწყებას ხელი ვერ შეუშალა და, სავარაუდოდ, ვერც შეერთებული შტატებისა და ჩინეთის ურთიერთდაპირისპირების შეჩერებას.

მესამე, ეს სცენარი ნათელს ჰფენს ბირთვული იარაღის ეფექტს. ამ ქვეყნების სამომავლო გეგმებში ბირთვული ომი ნამდვილად არ უნდა შედიოდეს, რადგან ვაშინგტონსა და პეკინში მოსალოდნელ შედეგებს კარგად აცნობიერებენ. თუმცა, ზოგიერთი მიმომხილველი და მკვლევარი ჯერ კიდევ შიშობს, რომ ამ ქვეყნებს სტანდარტული ომის დაწყებისკენ სწორედ ის ფაქტორი უბიძგებს, რომ მათი ურთიერთდაპირისპირება ბირთვულ ომში არ გადაიზრდება (*სტაბილურობა/არასტაბილურობის პარადოქსის საუკეთესო მაგალითი. იხ. თავი მეოთხე*). სწორედ უკონტროლო ბირთვულ ომში გადაზრდის საფრთხე აიძულებს შეერთებულ შტატებსაც და ჩინეთს, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ურთიერთობები იარაღით არ არკვიონ.

დასასრულს, ამერიკისა და ჩინეთის ომთან დაკავშირებული რეალისტური წინასწარმეტყველება შეიძლება ახდეს. ომის გადაუვალობაზე ხშირი საუბრებით ორივე მხარეს პროცესების დაჩქარებისა და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმისკენ ვუბიძგებთ. რეალიზმის კონსტრუქტივისტ კრიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ამ ქვეყნების ურთიერთობა თავად განისაზღვრება. ვენდტის პერიფრაზის თანახმად, შეერთებული შტატებისა და ჩინეთის ურთიერთობა იქნება ისეთი, როგორსაც ეს ქვეყნები მოისურვებენ. ადამიანებს საკუთარი ბედ-იღბლის კონტროლის უნარი გააჩნიათ.

გავაუმჯობესოთ მსოფლიო

წინამდებარე თავში განხილულ მსოფლიო პოლიტიკის ძირითად პარადიგმებსა და მათ ლოგიკურ დასკვნებს, რომლებიც მსოფლიოს მომავალთან დაკავშირებულ ამ შვიდ ხედვაშია მოცემული, როგორც აღწერითი, ისე სადირექტივო მოცემულობა აქვთ. ამ პერსპექტივების განსჯისა და შეფასებისას გვიჩნდება კითხვა თუ როგორ გამოხატავს თითეული მათგანი მსოფლიო პოლიტიკის ოპერირების მეთოდებს. ამავდროულად, მეცნიერთა დიდი ნაწილისათვის, და, რა თქმა უნდა, მათთვის, ვინც ამ წიგნს კითხულობს, მსოფლიოს აღქმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოს პოლიტიკისა და ქცევის ფორმულირების ბაზისი. მსოფლიო მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ თქვენეული ხედვა ეფუძნება იმ პარადიგმას, რომელსაც ყველაზე მართებულად მიიჩნევთ.

მაგალითად, ლიბერალი ინტერნაციონალისტი, რომელსაც სწამს დემოკრატიული მშვიდობის ლოგიკისა და რეპუტაციის, დაემორჩილებოდა იმ საგარეო პოლიტიკას, რომელიც დემოკრატიის ხელშეწყობა/განვითარებისკენ მიისწრაფვის. ლიბერალი კომერციალისტის აზრით, თავისუფალი ბაზრების, საერთაშორისო ვაჭრობისა და გლობალური ინვესტიციების წახალისებას უკეთესი სამყაროსაკენ მივყავართ. ლიბერალი ინსტიტუციონალისტის რწმენით, საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტს საერთაშორისო ინსტიტუტების განვითარება და გაძლიერება უნდა წარმოადგენდეს. ფემინისტებს მიაჩნიათ, რომ გლობალური მშვიდობისა და უსაფრთხოებისკენ მიმავალი გზა ქალთა უფლებამოსილების გაზრდაზე გადის. კონსტრუქტივისტის შეხედულებით კი, ქცევის ახალი ნორმები მსოფლიო პოლიტიკაზე დისკურსის ცვლილებით ყალიბდება.

განსხვავებულობის მიუხედავად, ისინი იზიარებენ შეხედულებას, რომელსაც შეუძლია ძირიანად შეცვალოს მსოფლიო პოლიტიკის ზნე-ჩვეულებანი. ოპტიმიზმმა ამ მიმართულებით 1990-იან წლებში მიაღწია პიკს. ახლა კი რობერტ კაგანს (Robert Kagan) მოვუსმინოთ:

> „ცივი ომის დასრულების შემდეგ გაჩნდა განცდა, რომ მსოფლიო სრულიად შეიცვლებოდა: საერთაშორისო მეტოქეობის, გეოპოლიტიკისა და ისტორიის დასასრული სწორედ ამაზე მიუთითებდა. როდესაც პოსტცივიომისეული ეპოქის პირველ დეკადაში ადამიანებმა „გლობალიზაციის“ ახალი ერის დახასიათება დაიწყეს, საზოგადოებაში გაჩნდა საყოველთაო მოლოდინი, რომ მეყსეული გლობალური კომუნიკაციების ფენომენი, პროდუქციის თავისუფალი მიმოქცევა, იდეებისა და ინფორმაციის სწრაფი გავრცელება და კულტურათა შეზავება მომავალში კიდევ უფრო შეაკავშირებდა მსოფლიოს, რომელმაც ეს-ესაა მოიშუშა იდეოლოგიური თუ გეოპოლიტიკური ჭრილობები. „გლობალიზაცია“ მეოცე საუკუნის მიწურულს იმავე როლს ასრულებდა, რასაც „ტკბილი კომერცია“ (“Sweet Commerce”) მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს – მალამო ომით გატანჯული მსოფლიოსათვის“.[30]

ამ ოპტიმისტური პერსპექტივის თანახმად, მსოფლიოს მართვასთან დაკავშირებული რეალისტური წარმოდგენები მოძველდა და საგარეო პოლიტიკის დანიშნულებანი, რომლებიც რეალისტური აზროვნებიდან იღებენ სათავეს, ხელს უშლიდა პროგრესს. რეალისტების აზრით კი, თამაშის არსი არ შეცვლილა. იმოწმებს რა ჰანს მორგენტაუს (Hans Morgenthau), კაგანი შენიშნავს:

> „მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ახალი საერთაშორისო წესრიგის დამყარებას იმედოვნებდნენ. ჰანს მორგენტაუმ იდეალისტები გააფრთხილა, რომ რაღაც მომენტში „უკანასკნელი ფარდა დაეშვებოდა და ძალისმიერ პოლიტიკას ბოლო მოეღებოდა“. თუმცა, მსოფლიო ბრძოლა დღემდე გრძელდება“.[31]

ამგვარად, რეალისტების აზრით, ძველი და დროში გამოცდილი დანიშნულებანი როგორებიცაა ძალაუფლების აკუმულირება, მოწინააღმდეგე ძალის დაბალანსება, კონცენტრირება ეროვნულ ინტერესებზე და ა.შ. დღემდე სახელმძღვანელო პრინციპებად რჩება.

რეალისტებსა და მათ კრიტიკოსებს შორის არსებული ფუნდამენტური სხვაობა აჩენს კითხვას ჩვენ უფრო მეტ წარმატებას მივაღწევთ, თუ ის საზოგადოება, რომელსაც რეალისტები გვიხატავენ. რეალისტური თვალსაზრისით, კარგი მტერი უკეთესია. მსოფლიოს გარდაქმნის მცდელობისას, უარი ვთქვათ მილიტარისტულ ვნებებზე ან საერთაშორისო ურთიერთობებში პრიორიტეტი სამართლიანობას მივანიჭოთ, არა მხოლოდ მარცხისათვის ვართ განწირული, არამედ მოუმზადებელი ვრჩებით იმ სახელმწიფოების პირისპირ, რომლებსაც ნაკლებად სენტიმენტალური და მეტად „რეალისტური“ ხედვები აქვთ მსოფლიოს შესახებ. რეალისტების აზრით, ყველა ომის დასრულების უტოპიურ ოცნებებზე კი არ უნდა ვახდენდეთ კონცენტრაციას, არამედ ძალებს უნდა ვიკრებდეთ, რათა საჭიროების შემთხვევაში თავიდან ავირიდოთ კონკრეტული ომი. ამ შეხედულების კრიტიკოსთა თქმით, რეალიზმი ოცდამეერთე საუკუნეში არმაგედონის რეცეპტს გვთავაზობს. თუ დღევანდელი ზესახელმწიფოების არსენალს თვალს გადავავლებთ და სამხედრო ტექნოლოგიების მოქმედების მასშტაბურობას გავითვალისწინებთ, მომავალი ფართომასშტაბიანი ომი კაცობრიობისათვის შესაძლებელია უკანასკნელი აღმოჩნდეს.

წინამდებარე წიგნი მკითხველებს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების სწორად აღქმაში დაეხმარება. ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე შეიძლება მსოფლიო პოლიტიკის შემუშავებაშიც მიიღოთ მონაწილეობა, რათა საზოგადოებასა და მომავალ თაობებს უკეთესი სამყარო აჩუქოთ. მსოფლიოს მართვის პრინციპების ცოდნა კი მსოფლიოს გაკეთილშობილებაში დაგეხმარებათ.

საკითხების მიმოხილვა

- წინამდებარე თავში განხილული ხედვები, პირველ თავში მოცემულ მსოფლიო პოლიტიკის რომელ პარადიგმასთან ან პარადიგმებთან არის ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული?
- თქვენი აზრით, რომელი ხედვა შეესაბამება ყველაზე მეტად მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე ამჟამინდელ ტენდენციებს?
- I-V ხედვა ოპტიმისტურად უყურებს მსოფლიო პოლიტიკაში განსახორციელებელი ძირეული ცვლილებების პერსპექტივებს. მათ ერთმანეთთან რამე ხომ არ აკავშირებთ? რა აერთიანებს ან განასხვავებს ორ ყველაზე პესიმისტურ ხედვას VI-სა და VII-ს?

საკვანძო ტერმინები

მოდერნიზაციის თეორია
ახალი მედიევალიზმი
გლობალური მმართველობა
დემოკრატიული დეფიციტი
ნორმა კასკადი
ნორმის ანტერპრენერი

ჩამოტანილი შენიშვნები

1. Stanley Michalak, *A Primer in Power Politics* (Scholarly Resources, 2001), 173.
2. John Mearsheimer, "Back to the Future: Instability in Europe After the Cold War," *International Security* 15:1 (1990): 5–56.
3. Francis Fukuyama, "The End of History?" *National Interest*, Summer 1989, 3–18.
4. Francis Fukuyama, *The End of History and the Last Man* (Free Press, 1992), 245.
5. Robert Kagan, "The End of the End of History," *The New Republic,* April 23, 2008, http://www.newrepublic.com/article/environment-energy/the-end-the-end-history.
6. Edward D. Mansfield and Jack Snyder, "Democratization and War," *Foreign Affairs*, May/June 1995, 79–97.
7. Azar Gat, "The Return of Authoritarian Great Powers," *Foreign Affairs*, July/August 2007, 59–69.
8. Thomas Friedman, *The Lexus and the Olive Tree,* (Farrar, Strauss, and Giroux, 1999), xviii.
9. Norman Angell, *The Great Illusion: A Study of the Relation of Military Power in Nations to Their Economic and Social Advantage* (Putnam, 1910).
10. Thomas Friedman, *The World Is Flat,* (Farrar, Strauss, and Giroux, 2005), 419–425.
11. Jessica Mathews, "Power Shift," *Foreign Affairs*, January/February 1997, 50–66.
12. Alexander Wendt, "Why a World State Is Inevitable: Teleology and the Logic of Anarchy," *European Journal of International Relations* 9:4 (2003): 491–542.
13. Ramesh Thakur and Thomas Weiss, "The UN and Global Governance: An Idea and Its Prospects," http://www.unhistory.org.
14. Martha Finnemore and Kathryn Sikkink, "International Norm Dynamics and Political Change," *International Organization* 52:4, Autumn 1998, 895.
15. John Mueller, *Retreat from Doomsday: The Obsolescence of Major War* (Basic Books, 1989).
16. Swanee Hunt, "Let Women Rule," *Foreign Affairs*, May/June 2007, 109–120.
17. Joshua S. Goldstein, *War and Gender: How Gender Shapes the War System and Vice Versa* (Cambridge University Press, 2001), from Chapter 1, online at http://www.warandgender.com/wgch1.htm.
18. Joshua S. Goldstein, "War and Gender," *Encyclopedia of Sex and Gender* (Springer Science and Business Media, 2003), 107.
19. Hunt, "Let Women Rule."
20. Francis Fukuyama, "Women and the Evolution of World Politics," *Foreign Affairs*, September/October 1998, 24–40.
21. Barbara Ehrenreich, "Men Hate War Too," *Foreign Affairs*, January/February 1999, 118–122.
22. Katha Pollitt, "Father Knows Best," *Foreign Affairs*, January/February 1999, 122–125.
23. Samuel P. Huntington, "The Clash of Civilizations?" *Foreign Affairs*, Summer 1993, 22–50. Also see Samuel P. Huntington, *The Clash of Civilizations and the Remaking of World Order* (Simon & Schuster, 1998).
24. John Mearsheimer, *The Tragedy of Great Power Politics* (Norton, 2001), 365.
25. Graham Allison and Dimitri K. Simes, "Russia and America: Stumbling to War," *The National Interest*, May–June 2015, digital edition, http://nationalinterest.org/feature/russia-america-stumbling-war-12662?page=2.
26. See the revised concluding chapter of John Mearsheimer, *The Tragedy of Great Power Politics*, (Norton, 2014), available online at *The National Interest*, October 25, 2014, http://nationalinterest.org/commentary/can-china-rise-peacefully-10204.
27. National Intelligence Council, *Global Trends 2030: Alternative Worlds,* December, 2012, p. 64, https://globaltrends2030.files.wordpress.com/2012/11/global-trends-2030-november2012.pdf.
28. National Intelligence Council, p. 65.
29. Mearsheimer, "Back to the Future."
30. Robert Kagan, "End of Dreams, Return of History," *Policy Review* 144 (August/September 2007): 17–44, http://www.hoover.org.
31. Kagan, "End of Dreams, Return of History."